ქართული ნუმიზმატიკა

გიორგი დუნდუა
თედო დუნდუა

I

არტანუჯი

გიორგი დუნდუა
თედო დუნდუა

ქართული ნუმიზმატიკა

I ნაწილი

გამომცემლობა **არტანუჯი**
თბილისი 2006

ქართული ნუმიზმატიკის ახალი სახელმძღვანელო აქ მხოლოდ მისი პირველი ნაწილითაა წარმოდგენილი, სადაც ძვ. წ. VI – ახ. წ. XIII საუკუნეების ლოკალური ემისიები და სინქრონული უცხოური მონეტების მიმოქცევაა მიმოხილული. სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სპეციალური და არასპეციალური ფაკულტეტებისთვის; მას სიამოვნებით გაეცნობიან როგორც ისტორიკოსები, ასევე – მკითხველთა ფართო აუდიტორიაც. სახელმძღვანელოს არქიტექტონიკა ასეთია: ძირითადი ტექსტი, შენიშვნები, ტაბულები, ინგლისური რეზიუმე და ბიბლიოგრაფია. ალტერნატიული მოსაზრებანი, რაც ბუნებრივია თანაავტორთა არსებობის პირობებში, ხშირად ტექსტისა და შენიშვნების მექანიზმით რეგულირდება.

რედაქტორი **ნიკო ჯავახიშვილი**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ISBN 99940-55-36-4 (გ. დუნდუა, თ. დუნდუა, „ქართული ნუმიზმატიკა")

ISBN 99940-11-16-2 (I ნაწილი)

© გამომცემლობა „არტანუჯი", 2006

© გ. დუნდუა, თ. დუნდუა, 2006

ლითონით დაწერილი ისტორია

დაახლოებით ოცდაშვიდი საუკუნეა, რაც ადამიანმა ლითონის ფული – მონეტა გამოიგონა. ეს ფაქტი შეიძლება ყველაზე დიდი აღმოჩენების გვერდით დავაყენოთ. გარკვეული აზრით, შეიძლება ითქვას, რომ ამ ხნის განმავლობაში კაცობრიობის განვითარების ერთ-ერთი მამოძრავებელი ბერკეტი ფულია. ნათქვამი ცხადყოფს, რომ ფულის ისტორიის შესწავლა, საზოგადოდ, მეცნიერების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრობლემაა. ეს, ცხადია, შეეხება კონკრეტული ქვეყნების ნუმიზმატიკური ძეგლების შესწავლასაც, მათ შორის, რა თქმა უნდა, საქართველოსაც.

საქართველო სამონეტო ცივილიზაციის უძველესი კერაა. მონეტების ემისია მის ტერიტორიაზე ძვ. VI საუკუნეში დაიწყო და 1833 წლამდე გაგრძელდა. საკმარისია ადამიანმა დახედოს ლითონის ამ, ერთი შეხედვით, ცივ და „მუნჯ" ნიმუშებს, რომ თვალწინ წარმოუდგეს საქართველოს გმირული და ტრაგიკული ისტორია ოცდახუთი საუკუნის მანძილზე, მისი აღზევება და დაცემა, მისი საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი, მისი ეკონომიკური ცხოვრების უტყუარი და ობიექტური სურათი დროის უდიდესი პერიოდის განმავლობაში.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მოჭრილი მონეტები ლითონზე დაწერილი ქვეყნის უტყუარი ისტორიაა, გადმოცემული ლაკონურ, მაგრამ აბსოლუტურად ობიექტურ ფორმებში, რამდენადაც მონეტა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის, იურიდიული ხასიათის დოკუმენტია და ის დაზღვეულია ამა თუ იმ მემატიანეს სუბიექტური ტენდეციებისაგან. მაგრამ ყოვლად შეუძლებელია რომელიმე ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების სურათის აღდგენა მარტოოდენ ადგილობრივ მოჭრილი მონეტების საშუალებით. აუცილებელია სინქრონული უცხოური მონეტების განხილვაც, მით უმეტეს, რომ ადგილობრივი ემისიები, ხშირ შემთხვევაში, ტიპოლოგიურად და მეტროლოგიურადაც სწორედ უცხოური ნიმუშების მიხედვითაა მოჭრილი. შეუძლებელია საქართველოს პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შესწავლა იმ უცხოური მონეტების შესწავლის გარეშე, რომლებიც აქ იყო ბრუნვაში საუკუნეების განმავლობაში. ისინი საქართველოს ისეთივე ნუმიზმატიკური ძეგლებია, როგორც ადგილობრივი მონეტები. ყველა ადრე გამოცემული სახელმძღვანელოს სწორედ ეს ნაკლი ახასიათებს. მაგრამ მარტო ეს არა. პროფ. დ. კაპანაძის ნაშრომი „ქართული ნუმიზმატიკა", რომელიც დღემდე მოქმედი სახელმძღვანელოა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და რომელზედაც თაობები გაიზარდა, უკანასკნელად 1969 წელს გამოქვეყნდა. თითქმის 40 წლის

მანძილზე სრულიად ახალი მასალა დაგროვდა, რომელმაც მრავალი კორექტივი შეიტანა მასში, როგორც კონცეპტუალურად, ასევე მთელი სამონეტო ჯგუფების ახლებური ატრიბუციის თვალსაზრისით. ყველაფერი ეს, აუცილებელს ხდის ახალი, თანამედროვე ტიპის სახელმძღვანელოს გამოცემას.

რას მოგვითხრობენ ძველებური მონეტები

ძველებური მონეტების მეცნიერულ შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურის ისტორიის საკითხების გასაშუქებლად. ერთი შეხედვით, ამ ცივი ლითონის ნაჭრებს სათანადო დარგის სპეციალისტის ხელში „ამეტყველება" და წარსულის მთელ რიგ კარდინალურ საკითხებში გარკვეულობის შეტანა შეუძლია. მონეტა, წერილობით წყაროებთან ერთად, გარდასულ დროთა დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია. მაგრამ როგორც წყაროს, მას გარკვეული თავისებურება და, შეიძლება ითქვას, უპირატესობაც ახასიათებს. მონეტის მოჭრის უფლება, როგორც წესი, სახელმწიფოს კომპეტენციაა. ამდენად, მონეტა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე საბუთია. აქედან გამომდინარე, ფული, მართალია, ძუნწ ფორმებში, მაგრამ სამაგიეროდ ობიექტურად ასახავს ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენას, რამდენადაც ის დაზღვეულია ავტორის სუბიექტური შეხედულებებისა და ტენდენციისაგან. საილუსტრაციოდ მრავალი მაგალითის მოტანა შეგვიძლია, მაგრამ ჯერჯერობით უმჯობესია მოკლედ შევჩერდეთ მონეტის წარმოშობაზე, ნუმიზმატიკურ მეცნიერებაზე, ზოგიერთ ნუმიზმატიკურ ტერმინსა და სხვა საკითხებზე.

სამეცნიერო დისციპლინას, რომელიც ძველებურ მონეტებს შეისწავლის, ნუმიზმატიკა ეწოდება. ეს ტერმინი მომდინარეობს მონეტის ბერძნული სახელწოდებიდან – ნომისმა. ლათინურად მონეტას ნუმისმა ეწოდება, ხოლო ძველ ქართულში მის აღსანიშნავად საფასეს ხმარობდნენ. სიტყვა „მონეტა" თავდაპირველად წარმოადგენდა იუნონას (ქალების მფარველი რომაული ღვთაებაა) ერთ-ერთ ეპითეტს.

ძველ რომაელებს სჯეროდათ, რომ ყველა მამაკაცს ჰყავს თავისი მფარველი ღმერთი – გენია, ხოლო ქალებს – მფარველი ღვთაება იუნონა, და რომ ყველა ღვთაება ემორჩილება ცისა და მიწის ღმერთს იუპიტერს და მის მეუღლეს იუნონა მონეტას (დამრიგებელს, მოძღვარს). და აი, რომის ყველაზე მაღალ წერტილზე აიგო კაპიტოლიუმის ტაძარი იუნონას საპატივცემულოდ. რიგი წლების განმავლობაში რომაელები ებრძოდნენ ეპირის მეფეს პიროსს და ძვ. წ. 275 წელს ბოლოსდაბოლოს დაამარცხეს იგი. მთელი ნადავლი, რაც კი რომაელებმა ჩაიგდეს ხელთ, შესწირეს იუნონას ტაძარს და დააკანონეს აქ ფულის მოჭრა. აქედან სახელწოდება – მონეტა. ლითონისაგან მოჭრილ ფულს ამ ღვთაებისა და ზარაფხანის საპატივცემულოდ მონეტა ეწოდა.

ნუმიზმატიკური მეცნიერების ყველაზე არქაული პრობლემაა ის საკითხი, თუ სად და როდის გაჩნდა პირველად მონეტა, ვინ იყო მისი გამომგონებელი. ეს საკითხი აღელვებდა ჯერ კიდევ ძველ ბერძნებსა და რომაელებს. ისინი მონეტის

გამოგონებას თავიანთ ღმერთებსა და მითიურ გმირებს მიაწერდნენ. ძველი ბერძნებისა და რომაელების ინტერესი მონეტის გენეზისის პრობლემისადმი გასაგებია, ვინაიდან მონეტის გამოგონება უძველესი ცივილიზაციის ერთ-ერთი დიდი მონაპოვარი იყო. ეს ფაქტი თავისი მნიშვნელობით შეიძლება დიდ მეცნიერულ აღმოჩენებს ამოვუყენოთ გვერდში. სამწუხაროდ, მონეტის გენიალური გამომგონებლის სახელი ჯერჯერობით უცნობია მეცნიერებისათვის, მაშინ როდესაც ლითონის ფულის სამშობლოს დასახელება დღეისათვის არც თუ ისე დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული.

მონეტა გაჩნდა ძვ. წ. VIII-VII საუკუნეთა მიჯნაზე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ძველი სამყაროს ორ პუნქტში: მცირე აზიის სახელმწიფო ლიდიაში და კუნძულ ეგინაზე (საბერძნეთშია). ასახელებენ ეგინაზე მონეტის წარმოშობის თარიღს – სულ მალე VIII ოლიმპიადის შემდეგ. I ოლიმპიადა შედგა ძვ. წ. 776 წელს, VIII – ძვ. წ. 748 წელს.

ლიდიის მონეტები ელექტრუმისაგანაა (ვერცხლისა და ოქროს შენადნობი) მოჭრილი, ხოლო ეგინასი – ვერცხლისაგან. ადრეარქაული მონეტები ცალმხრივია, ე. ი. გამოსახულება ერთ მხარეზეა ამოტვიფრული, ხოლო მეორე მხარეს ჩაღრმავებები აქვს. კუნძულ ეგინას მონეტებზე გამოსახულია, მაგალითად, ზღვის კუ. უძველეს ლიდიურ სტატერზე კი გამოსახულია მორბენალი მელიები. ეს მათი წმინდა ცხოველი იყო, სიმბოლურად გამოხატავდა ლიდიელთა მთავარ ღვთაებას ბასარეიას.

უძველესი ქართული მონეტის –„კოლხური თეთრის" – ზოგიერთი სახეობა ძვ. წ. VI საუკუნით თარიღდება. ამრიგად, კოლხეთი სამონეტო ცივილიზაციის ერთ-ერთი ადრეული კერაა. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ „კოლხური თეთრის" ზოგიერთი ნიმუში მხატვრული თვალსაზრისით არაფრით ჩამოუვარდება ბერძნული სამყაროს მონეტებს.

მონეტას ორი მხარე აქვს: შუბლი (ავერსი A.) და ზურგი (რევერსი R.). მათ განსხვავებული ფუნქციები გააჩნია. მონეტის შუბლზე თავსდება ისეთი გამოსახულება, რომელსაც საკანონმდებლო ფუნქცია აქვს. მასზე გამოსახული ღვთაება, შემდეგ მონარქი, იმპერატორი, რესპუბლიკისა ან ქალაქის სიმბოლო ამა თუ იმ მონეტას ბრუნვაში აკანონებს და იძლევა მისი სრულფასოვნების გარანტიას. ზურგის გამოსახულებას გამოსაცნობი ფუნქცია აკისრია. მისი დახმარებით ჩვენ ვგებულობთ მონეტის მოჭრის ადგილს (სახელმწიფო, ქალაქი).

საწარმოს, სადაც მონეტის მოჭრა წარმოებდა, ზარაფხანა ეწოდება. მონეტაზე მოთავსებულ წარწერებს ლეგენდა ან ზედწერილი ჰქვია.

ძველი ბერძნული ვერცხლის მონეტების ძირითად ერთეულს დრაქმა ეწოდება. გარდა ამისა, იჭრებოდა დიდრაქმა (ორდრაქმიანი), ტეტრადრაქმა (ოთხდრაქმიანი), დეკარდრაქმა (ათდრაქმიანი), ჰემიდრაქმა (ნახევარდრაქმიანი) და სხვ. ბერძნული სამყაროს ოქროს მონეტას ეწოდება სტატერი, რომაულ ვერცხლის ფულს – დენარი, ოქროსას – აურეუსი.

აღმოსავლეთში ვერცხლისაგან იჭრებოდა სიკილა (აქემენიანთა ირანის ეპოქაში ძვ. წ. VI ს-დან), დირჰემი (VII-XIV სს.), თანგა (თემურ-ლენგის ეპოქიდან), აბაზი (სეფიანთა ირანში), აყჩე (ოსმალეთში); ოქროსაგან – დარიკი (აქემენიანთა ირანში), დინარი (სასანიანთა ირანსა და არაბთა სახალიფოში), ალთუნი (ოსმალეთში).

ყოველივე ამის ცოდნა აუცილებელია ქართული სამონეტო სისტემების გასაგებად.

ანტიკური მონეტებით გატაცება დაიწყო იტალიაში რენესანსის (აღორძინების) ეპოქაში. უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ნაბიჯი მეცნიერული ნუმიზმატიკის შექმნის საქმეში კოლექციონერობა, მონეტების შეგროვება იყო. ამდენად, ნუმიზმატიკის, როგორც მეცნიერების, ისტორია საწყის ეტაპზე ფაქტობრივად მონეტების შეგროვების ისტორიაა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათ შორის იგივეობის ნიშანი დავსვათ. პირიქით, მათ შორის პრინციპული სხვაობაა.

ერთ-ერთი პირველი კოლექციონერი იყო ცნობილი ჰუმანისტი პოეტი პეტრარკა (1304-1374 წწ.), რომელმაც რომაული მონეტების ბრწყინვალე კოლექცია შეაგროვა. ანტიკური მონეტების შესანიშნავი კოლექცია შეაგროვეს ფლორენციელმა მეცენატმა კოზიმო მედიჩიმ (1389-1464 წწ.) და ნეაპოლის მეფემ ალფონს არაგონელმა. XV საუკუნეში ეს გატაცება იტალიის ფარგლებს გარეთაც ვრცელდება. ევროპის სახელმწიფოს თითოეული მმართველი ცდილობდა რაც შეიძლება კარგი და მრავალრიცხოვანი კოლექცია შეეგროვებინა. კოლექციონერობით გატაცებულნი იყვნენ ავსტრიისა და საფრანგეთის იმპერატორები და მეფეები მაქსიმილიან I (1459-1519 წწ.), ანრი IV (1589-1610 წწ.), ლუი XIV (1661-1715 წწ.) და მარკგრაფი გეორგ ვილჰელმი (1619-1640 წწ.). ასე იქმნებოდა ე. წ. მიუნცკაბინეტები (მონეტების კაბინეტები), სადაც დაცული იყო შეგროვილი მასალა და წარმოებდა მათი შესწავლა. XVIII საუკუნეში შეიქმნა ხუთი ასეთი ცენტრი: სამეფო ან საიმპერატორო ნუმიზმატიკური ცენტრები ვენაში, ბერლინში, პარიზში, ლონდონსა და პეტერბურგში.

ნუმიზმატიკური მეცნიერების მამამთავრად აღიარებულია იოსებ ილარი ეკელი (1737-1798 წწ.), რომელიც წლების განმავლობაში ვენის საიმპერატორო ნუმიზმატიკური კაბინეტის მცველი იყო. მან თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „მეცნიერება ძველებური მონეტების შესახებ" (ტ. I-VIII, 1792-1798 წწ.) ლახვარი ჩასცა დილეტანტიზმს და დაასაბუთა, რომ ნუმიზმატიკა ცოდნის გარკვეული სისტემა და მეცნიერების დამოუკიდებელი დარგია.

ეკელის შემდეგ ინტერესი ძველებური მონეტების მიმართ კიდევ უფრო გაიზარდა და იზრდება ყოველდღიურად. ნუმიზმატიკურმა მეცნიერებამ მოკლე ხანში მოასწრო „ინტელექტუალური დავაჟკაცება" და ამჟამად დიდ დახმარებას უწევს ისტორიულ მეცნიერებას, არქეოლოგიას, ხელოვნებათმცოდნეობას, რელიგიისა და დამწერლობის ისტორიას და ა. შ.

რაც შეეხება ქართული ნუმიზმატიკური მეცნიერების ჩასახვა-განვითარებას, მისი ფუძემდებელია რუსეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე თავადი მიხეილ

ბარათაშვილი (1784-1856 წწ.), რომელმაც 1844 წელს პეტერბურგში რუსულ და ფრანგულ ენებზე გამოსცა კაპიტალური ნაშრომი „საქართველოს სამეფოს ნუმიზმატიკური ფაქტები". საქართველოში ნუმიზმატიკური მეცნიერების ჩასახვა-განვითარების საქმეში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის აკად. ივანე ჯავახიშვილს (1876-1940 წწ.), მაგრამ მის მესაძირკვლედ მაინც ითვლება გამოჩენილი ქართველი მეცნიერი თამარ ლომოური (1883-1965 წწ.). ქართული მონეტების ბრწყინვალე მკვლევარები იყვნენ პროფესორები ევგენი პახომოვი (1880-1965 წწ.) და დავით კაპანაძე (1898-1971 წწ.) (ქართული ნუმიზმატიკის განვითარების ეტაპები, კონკრეტული მეცნიერების ღვაწლი ამ მიმართებით ცალკე საუბრის თემაა).

მაინც რით არის გაპირობებული შეუნელებელი ინტერესი ძველებური მონეტების მიმართ?

მონეტა პოლიტიკური ინფორმაციის პირველხარისხოვანი წყაროა. ხშირ შემთხვევაში მასზე მოთავსებული წარწერები ისეთ ცნობებს შეიცავს, რაც მატიანეებში დაცული არ არის, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ის სათანადოდ აზუსტებს და ავსებს კიდეც წერილობითი წყაროების მონაცემებს. ამ მხრივ ნუმიზმატიკური მასალა დიდ დახმარებას უწევს ისტორიულ მეცნიერებას. მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი: როგორც ცნობილია, პირდაპირი ცნობები ძვ. წ. VI საუკუნის კოლხეთში სახელმწიფოს არსებობის შესახებ მეცნიერებას არ გააჩნია. მიუხედავად ამისა, ქართველი მეცნიერები (და არა მარტო ქართველი მეცნიერები) არქეოლოგიური მასალისა და ბერძნულ-რომაული წყაროების ფრაგმენტული ცნობების ურთიერთშეჯერების საფუძველზე მივიდნენ იმ ფაქტის აღიარებამდე, რომ ძვ. წ. VI საუკუნეში კოლხეთის ტერიტორიაზე სამეფო არსებობდა. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი დამაჯერებელი არგუმენტი, რომლის მოყვანაც კი შეიძლება ამ დებულების სასარგებლოდ, არის უცილობელი ფაქტი სამონეტო ემისიისა (ამ შემთხვევაში, მოჭრის, გამოშვების) თანამედროვე დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე. ის პოლიტიკური ერთეული კი, რომელიც მონეტის მოჭრას აწარმოებს, უდავოდ სახელმწიფოებრივი გაერთიანებაა. კოლხეთის ტერიტორიაზე უკვე ძვ. წ. VI საუკუნიდან იჭრებოდა საკუთარი ვერცხლის მონეტა, ე. წ. „კოლხური თეთრი". დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე ეს მონეტები დიდი რაოდენობით გვხვდება როგორც არქეოლოგიური გათხრების დროს, ისე შემთხვევითი აღმოჩენების სახით. „კოლხური თეთრის" დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ ის თითქმის არ გადიოდა კოლხეთის საზღვრებს გარეთ და მასზე აღბეჭდილი ზოგიერთი გამოსახულება მჭიდრო კავშირშია ქართველური სამყაროს რელიგიურ წარმოდგენებთან.

1865 წელს ტრაპეზუნტის მიდამოებში (ძველად კოლხეთის საზღვრებში შემოდიოდა) აღმოჩნდა უნიკალური სტატერი შუბლზე ალექსანდრე მაკედონელისა და ზურგზე ტახტზე მჯდომი ქალღმერთ ათენას გამოსახულებით. მონეტაზე მოთავსებული ბერძნული წარწერა – „ბასილეოს აკუ" (მეფე აკასი, ან აკესის) – იუწყებოდა, რომ ის ეკუთვნოდა მეფე აკას. ამჟამად ეს მონეტა დაცულია პარიზის მედლების კაბინეტში. თავის დროზე მან დიდი გამოხმაურება გამოიწვია მეცნიერ-

თა შორის, მაგრამ მათი დაჟინებითი და მრავალრიცხოვანი ცდის მიუხედავად, ამ მონეტის საიდუმლოება ამოუხსნელი რჩებოდა. არავინ იცოდა, რომელი ქვეყნის მეფე იყო აკა, ან რომელ პერიოდში მეფობდა. 1946 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა შეიძინა ანალოგიური სტატერი, ნაპოვნი ხონის რაიონის სოფ. კინჩხაში. ქართველმა მეცნიერმა პროფ. დ. კაპანაძემ ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე ამგვარი მონეტის ორგზის აღმოჩენის საფუძველზე, აგრეთვე სხვა არაპირდაპირი მონაცემების მოშველიების გზით (მაგ., მამაკაცის სახელი აკა უკავშირდება ქართველურ სამყაროს და არა ბერძნულს და ა. შ.) წამოაყენა დებულება, რომ მეფე აკა კოლხეთის მმართველია ელინისტურ ხანაში. ეს საინტერესო მოსაზრება გაიზიარეს სხვა მეცნიერებმაც. ამრიგად, თითქოს დადგინდა სხვა წყაროებით უცნობი მეფის სახელი კოლხეთის სამეფოს ისტორიაში.

კიდევ ერთი მაგალითი საქართველოს ისტორიიდან. მიღებული ქრონოლოგიის თანახმად, აღმოსავლეთ საქართველოში 1302 წელს ვახტანგ III გამეფდა. ეს თარიღი აშკარად მოითხოვს კორექტივს, ვინაიდან ჩვენამდე მოაღწია ვახტანგ III ვერცხლის მონეტებმა, დათარიღებულმა ჰიჯრის (მუსლიმური წელთაღრიცხვით) 697 წლით (ანუ 1297/98 წწ.), რომელთა წარწერაშიც ვახტანგი უკვე მეფედ იხსენიება.

ჩვენ შეგნებულად ვიკავებთ თავს იმისაგან, რომ კიდევ მოვიტანოთ საილუსტრაციო მასალა საქართველოს ისტორიიდან, ვინაიდან გვინდა ისინი ქართული ფულის ისტორიის განხილვისას გამოვიყენოთ სათანადო ადგილას.

მივმართოთ სხვა ქვეყნების ნუმიზმატიკურ ძეგლებს.

შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ არც ერთ ძველ რუსულ მონეტას არ უსარგებლია ისეთი პოპულარობით, როგორც იმპერატორ კონსტანტინე პავლეს ძის მანეთიანს. დიახ, იმპერატორ კონსტანტინეს მონეტას, მაგრამ ასეთი იმპერატორი რუსეთს არ ჰყოლია. მიუხედავად ამისა, ასეთი ნუმიზმატიკური კურიოზი არსებობს და მის ემისიას ადგილი ჰქონდა 1825 წლის დეკემბერში, დეკაბრისტების აჯანყების პერიოდში.

როგორ მოხდა ეს?

როგორც ცნობილია, 1801 წლის 11 მარტს საკუთარ საწოლში მოახრჩვეს იმპერატორი პავლე I და რუსეთის ტახტი დაიკავა მისმა უფროსმა ვაჟმა ალექსანდრე I-მა, რომელსაც ტახტის მემკვიდრე არ ჰყავდა. ამიტომ ალექსანდრეს გარდაცვალების შემთხვევაში, იმპერიის მესაჭე უნდა გამხდარიყო მისი მომდევნო ძმა კონსტანტინე. მაგრამ ამ უკანასკნელმა 1819 წელს უარი თქვა ტახტზე. ამიტომ ტახტის მემკვიდრედ დაინიშნა მათი უმცროსი ძმა – ნიკოლოზი. სათანადო დოკუმენტს თვით ალექსანდრე I-მა გაუკეთა რედაქცია და ის ინახებოდა საიდუმლო პაკეტში. ამის შესახებ რუსეთში ინფორმირებული იყო სულ რამდენიმე კაცი.

1825 წელს რუსეთში მოგზაურობისას ტაგანროგში მოულოდნელად გარდაიცვალა ალექსანდრე I. დედაქალაქმა, მოსკოვმა და მთელმა სახელმწიფომ ერთგულების ფიცი მისცა კონსტანტინეს. წიგნის ფარდულებში იყიდებოდა კონსტან-

ტინეს პორტრეტები, მთავრობა მოქმედებდა მისი სახელით. თვით კონსტანტინე ამ დროს ვარშავაში იმყოფებოდა და არც აპირებდა პეტერბურგში ჩამოსვლას. სწორედ ამ პერიოდში, იმისათვის რომ ესიამოვნებია ახალი იმპერატორისათვის, ფინანსთა მინისტრმა კანკრინმა კონსტანტინეს სახელით მოაჭრევინა საცდელი მონეტები, რათა შემდეგ ისინი დასამტკიცებლად წარედგინა იმპერატორისათვის. ეს იყო მლიქვნელობის აქტი. მაგრამ არ გაუმართლა ფინანსთა მინისტრს. რუსეთის ტახტზე ავიდა ნიკოლოზ I და მრავალი წლის განმავლობაში კონსტანტინეს სახელის ხსენებაც კი არ შეიძლებოდა იმპერიაში, არათუ მისი სახელით მოჭრილი მონეტების გამოჩენა. კანკრინმა სასწრაფოდ მოსპო გამოშვებული მონეტების მთელი ემისია (ამ შემთხვევაში, მთელი ერთჯერადი პროდუქცია), მაგრამ მიუხედავად საგანგებო ღონისძიებისა, მონეტების რამდენიმე ეგზემპლარი გადარჩა და თავი შეაფარა სხვადასხვა მუზეუმებისა და კერძო პირთა კოლექციებს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს უიშვიათესი ნუმიზმატიკური ძეგლი საზღვარგარეთ ზღაპრულ თანხადაა შეფასებული.

მონეტებმა ბევრი რამ დაიმახსოვრა ეკლესიის საჩოთირო საქმეებიდან. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ მონეტა მოჭრილი დიდი ჩეხი მოღვაწის იან ჰუსის სიკვდილით დასჯის აღსანიშნავად. იან ჰუსი იბრძოდა თავისი ხალხის თავისუფლების, პაპის ხელისუფლების წინააღმდეგ, ეკლესიის სამარცხვინო ქმედებების წინააღმდეგ. ეკლესიამ მას მწარედ გადაუხადა სამაგიერო: 1415 წელს იგი ცოცხლად დაწვეს კოცონზე. ამ მომენტის აღსანიშნავად ვატიკანმა მოაჭრევინა მონეტა, სადაც გამოსახულია ბოძზე მიკრული იან ჰუსი კოცონს ზემოთ.

მეორე მაგალითი: 1572 წლის 24 აგვისტოს საფრანგეთის კათოლიკეებმა პაპის წაქეზებით თავის რელიგიურ მონინააღმდეგე 30000 ჰუგენოტს გამოჭრეს ყელი. ეს ფაქტი ცნობილია „ბართლომეს ღამის" სახელწოდებით და ეს „სასიხარულო" შემთხვევა ეკლესიამ აღნიშნა მონეტის ემისიით, რომლის ერთ მხარეს გამოსახული ამ ბარბაროსული აქტის შემოქმედი პაპი გრეგორ XIII, ხოლო მეორეზე – ანგელოზი მახვილით ხელში ყელგამოჭრილი გვამების წინ.

განსაკუთრებული სამსახური გაუწია მონეტის იკონოგრაფიამ საფრანგეთის რევოლუციას. 1789 წელს აქ იფეთქა ბურჟუაზიულმა რევოლუციამ, რომელმაც ტახტიდან ჩამოაგდო საფრანგეთის მეფე ლუი XVI. და აი, 1791 წლის ერთ დღეს საფრანგეთის განაპირას, საზღვართან ახლოს გაჩერდა კარეტა. კარეტის მსახურებმა იქვე მდებარე დუქნის პატრონს მოთხოვეს წყალი ცხენებისათვის და ა. შ. ამ დროს კარეტის ფარდა გადაიწია და მედუქნემ ვიღაც მამაკაცის სახე დალანდა, რომელსაც ძალიან ნაცნობი ნაკვთები ჰქონდა, იგი შევიდა დუქანში, მივიდა სალაროსთან, ამოიღო მონეტა და მიხვდა, რომ კარეტაში ლუი XVI იჯდა. მან განგაში ატეხა და ასე დააპატიმრეს საფრანგეთის მეფე და დედოფალი მარია-ანტუანეტა.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს აღმოსავლურ მონეტებს აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიისა და გეოგრაფიის შესასწავლად. მუსლიმური ქვეყნების მონეტებზე სარწ-

მუნიციპალური მოტივების გამო აკრძალული იყო რაიმე გამოსახულების მოთავსება და მთელი აქცენტი გადატანილი იყო ლეგენდებზე. შედარებით მცირე ზომის მონეტებზე ამ ზედწერილების საშუალებით ლაკონურ ფორმებში მთელი ისტორიაა გადმოცემული. მაგალითად, არაბული მონეტების ზედწერილები გვაუწყებს: 1. რომელიმე მმართველის სახელს; 2. მმართველის მამის სახელს; 3. მის ტიტულს; 4. არაიშვიათად ამ მმართველის ერთ-ერთი ვეზირის სახელსაც; 5. მისი მმართველობის ერთ-ერთ წელს; 6. სამეფოს ერთ-ერთი ქალაქის სახელს; 7. მონეტაზე მოთავსებული ლოცვის თანახმად ისტორიკოსი არკვევეს რომელ რელიგიურ სექტას მიეკუთვნება ეს პირი; 8. თუ იგი რომელიმე ოლქის მმართველია, მაშინ ზედწერილში მოხსენიებულია მისი უმაღლესი ხელისუფლის სახელი და აგრეთვე თანამედროვე ხალიფას – მუსლიმური სამყაროს პაპის – სახელიც. როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია. აღმოსავლეთის ისტორია მდიდარია მარტოოდენ ნუმიზმატიკური მასალით დადგენილი ფაქტებით და მათი ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა.

ნუმიზმატიკური მასალა დიდად უწყობს ხელს ხელოვნებისა და არქიტექტურის შესწავლას. ამასთან დაკავშირებით ჩვენ გვინდა დავსვათ ასეთი კითხვა: გაგიგონიათ ფინია პიკლზის სახელი? ვისაც ფეხბურთი უყვარს, მან შესანიშნავად იცის „ცივცხვირა მეძებრის" – პიკლზის ვინაობა. მაშ მოდით, ერთად მოვიგონოთ ის შემთხვევა, რომელმაც პიკლზი ფეხბურთში VIII მსოფლიო ჩემპიონატის წინ თვით ლეგენდარულ პელეზე უფრო პოპულარულ ფიგურად აქცია.

1966 წელი... ფეხბურთის სამშობლო ინგლისი მსოფლიო ჩემპიონატის ღირსეულად ჩასატარებლად ემზადება. ფიფას პრეზიდენტმა სტენლი როუზმა ბრაზილიელებისაგან ჩაიბარა ოქროს ქალღმერთი... და აი, მსოფლიოს ელვის სისწრაფით მოედო სენსაციური ამბავი: დაიკარგა ჟიულ რიმეს თასი, ყველაზე მაღალი და სანუკვარი ჯილდო ფეხბურთში, რომელიც დღისით, მზისით მოიპარეს ვესტმინსტერის სენტრალ-ჰოლიდან. მთელი მსოფლიო ფეხზე დადგა. ინგლისის საიდუმლო პოლიცია დღედაღამ ეძებდა ქურდს, მაგრამ ამაოდ. თასი იპოვნა ინგლისელი მუშის დევიდ კორბეტის ფინია პიკლზიმ სეირნობის დროს. ეს შემთხვევა თქვენთვის, ცხადია, ცნობილია. ცნობილია ისიც, რომ ჟიულ რიმეს თასი გამარჯვების ქალღმერთს – ნიკეს განასახიერებდა. მაგრამ იცით თუ არა თქვენ თვით გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს ისტორია? იცით, როგორ მოხვდა ნიკე სპორტში? რა როლი ითამაშა ნიკესთან დაკავშირებით ძველებურმა მონეტებმა? შეიძლება ეს ყველამ არ იცოდეთ.

1863 წელს ფრანგმა არქეოლოგმა შამპუაზომ საბერძნეთის კუნძულ სამოთრაკიაზე მიაკვლია მარმარილოს ქანდაკების ტანს და მარმარილოსავე, გაურკვეველი დანიშნულების დიდი ზომის ნატეხებს. მიუხედავად იმისა, რომ ქანდაკებას აკლდა თავი და ხელები, იგი მაინც უდიდეს ეფექტს ახდენდა. ქანდაკება განასახიერებდა რომელილაც ფრთებგაშლილ ღვთაებას, რომელიც მზად იყო გასაფრენად. მეცნიერებმა წამოაყენეს მრავალი ვარაუდი, მაგრამ დანამდვილებით არავინ იცოდა, რომელ ღვთაებას განასახიერებდა ეს უთავო, ჯადოსნური ხელოვნებით

ნაძერწი ქანდაკება, რომელ პერიოდს მიეკუთვნებოდა ის, ან რა შემთხვევასთან იყო დაკავშირებული მისი შექმნა. საიდუმლობებს ფარდა მონეტამ ახადა. მაკედონიის მმართველმა დემეტრიოს პოლიორკეტმა (ძვ. წ. IV ს-ის დასასრული) ეგვიპტის ფლოტზე კვიპროსის სალამინთან საზღვაო გამარჯვების აღსანიშნავად მოაჭრევინა მემორიალური (ე. ი. სამახსოვრო) ვერცხლის მონეტები, რომლებზეც გამოსახული იყო გემის ცხვირზე მდგომი ფრთოსანი ქალღმერთი ხელში საყვირით. სწორედ ამ მონეტებმა მოაგონეს არქეოლოგებს მარმარილოს დიდი ნამტვრევები, რომელთა დანიშნულება მათ არ იცოდნენ. ისინი შეაერთეს და მიიღეს გემის ცხვირის მოყვანილობის კვარცხლბეკი. ასე გაირკვა მონეტის საშუალებით ძველი ბერძნული ხელოვნების ერთ-ერთი შედევრის შექმნის დრო, მიზეზი, ვინაობა. ქანდაკება დიდი სიფრთხილით გადაიტანეს პარიზში და გამოფინეს ლუვრში. შემდეგში ეს მოტივი გამოიყენა პარიზელმა იუველირმა ლეფევრმა და შექმნა ფეხბურთში მსოფლიო პირველობის თასი, რომელსაც ფიფას პირველი პრეზიდენტის საპატივცემულოდ ჟიულ რიმეს თასი ეწოდა.

ძვ. წ. IV საუკუნის უდიდესი ბერძენი მოქანდაკის პრაქსიტელეს ქანდაკება, რომელიც გამოსახავს ვაჭრობისა და ვაჭრების ღმერთს – ჰერმესს ყრმა დიონისეთი (ღვინისა და ვენახის ღმერთი) მარცხენა ხელში, საქვეყნოდაა ცნობილი. ამ ქანდაკებას მარჯვენა ხელი მოტეხილი აქვს და არავინ იცოდა ჰერმესის ნამდვილი პოზა. აპრიორულად ვარაუდობდნენ, რომ ჰერმესს მარჯვენა ხელი ზევით უნდა ჰქონოდა აწეული და ხელში ყურძნის მტევანი სჭეროდა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ჰიპოთეზა. და აი, აღმოჩნდა თრაკიის ერთ-ერთი ქალაქის მონეტა, რომელმაც დაადასტურა ხელოვნებათმცოდნეების ეს ვარაუდი. მონეტაზე გამოსახული იყო პრაქსიტელესეული ჰერმესის ქანდაკება მინიატურაში, რომელსაც მართლაც ყურძნის მტევანი ეკავა მარჯვენა ხელში და ყრმა დიონისეს უჩვენებდა.

ძალიან ხშირად მონეტებზე გამოსახულია ხელოვნების ისეთი შედევრები, რომლებსაც ჩვენამდე არ მოულწევია. ასეთების რიცხვს ეკუთვნის ძვ. წ. V საუკუნის დიდი ბერძენი მოქანდაკის ფიდიასის ქმნილება – ოლიმპიელი ზევსი. იმპერატორმა ადრიანემ ახ. წ. II საუკუნის I ნახევარში იმოგზაურა ოლიმპიაში და ამასთან დაკავშირებით მოაჭრევინა მონეტები ოლიმპიელი ზევსის გამოსახულებით. ჩვენამდე მოაღწია ორმა ასეთმა მონეტამ. ერთი ინახება პარიზში და მასზე ოლიმპიელი ზევსის მხოლოდ თავია ამოტვიფრული, ხოლო მეორე – ფლორენციაში, რომელზეც ზევსი მთელი ტანითაა გამოსახული. ამ ქანდაკების რეკონსტრუქციის დროს ეს მონეტები პირველხარისხოვან წყაროს წარმოადგენდა სპეციალისტებისათვის.

გარდა ქანდაკებებისა, ნუმიზმატიკურ ძეგლებზე არც ისე იშვიათად გამოსახულია არქიტექტურული კომპლექსები, ნავსადგურები, ხიდები და სხვ. მაგალითად, კოლიზეუმი რომში, სადაც საცირკო წარმოდგენები იმართებოდა, ხიდი მდ. დუნაიზე და ა. შ. მიუხედავად მინიატიურული ფორმისა, არ შეიძლება უარყოფილი იქნეს მათი მნიშვნელობა არქიტექტურის ისტორიისათვის.

მონეტებზე შემონახულია დიდი ადამიანების, დიდი ფილოსოფოსების პორტრეტები – დემოკრიტეს, პლატონის, სოკრატეს, საფოს, ჰეროდოტეს, ჰიპოკრატეს, ჰორაციუსის, პერიკლეს, თემისტოკლეს, ალექსანდრე მაკედონელის.

რომაული მონეტების კოლექცია გვაძლევს იმპერატორთა შესანიშნავ პორტრეტულ გალერეას. რომაული ხელოვნების მკვლევართათვის ისინი მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროა.

ნათქვამი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს სამონეტო საქმე ხელოვნებისა და არქიტექტურული ძეგლების უბრალო ფიქსატორი იყოს და მეტი არაფერი. ძველ საბერძნეთში სამონეტო საქმე ხელოვნების დამოუკიდებელ დარგად იქცა, რომელსაც თავისი მხატვრული კანონები გააჩნდა. სამონეტო გლიპტიკამ განსაკუთრებით ბრწყინვალე განვითარება პოვა ძვ. წ. V საუკუნის II ნახევარში სიცილიის ქალაქებში. საქვეყნოდ ცნობილი გახდნენ სამონეტო საქმის ისეთი ოსტატები, როგორიც იყვნენ ევენეტი, კიმონი, ევკლიდე, ევმენი, არისტოქსენე და სხვ. ისინი ამაყად ჭრიდნენ თავიანთ სახელებს სირაკუზისა და სიცილიის სხვა ქალაქების მონეტებზე. სიცილიის მონეტებით აღფრთოვანებული იყო დიდი იტალიელი მოქანდაკე, მხატვარი და არქიტექტორი მიქელანჯელო, ხოლო გოეთემ მათ შესახებ თქვა: „ეს შესანიშნავი მონეტები წარმოადგენს ყვავილების დაუსრულებელ გაზაფხულს და ნაყოფს ხელოვნებისას".

ძველებური მონეტები რელიგიის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანესი და, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე უფრო სანდო წყაროა.

ანტიკურ მონეტებს ალექსანდრე მაკედონელის ეპოქამდე (ძვ. წ. 336-323 წწ.), როგორც წესი, ღვთაებათა გამოსახულება ამშვენებს. მაგალითისათვის ავიღოთ ათენის მონეტები. ძვ. წ. VI-V საუკუნეების ათენურ ტეტრადაქმებზე, ისევე როგორც უფრო მოგვიანო ხანის მონეტებზე, ქალღმერთ ათენას გამოსახულებაა ამოკვეთილი, რაც აშკარად ამტკიცებს, რომ ათენა ამ ქალაქის მფარველი ღვთაება იყო. ასევეა სხვა ქალაქების მიმართაც. ბერძნული პანთეონის კალეიდოსკოპური სიჭრელე იშვიათი სიზუსტითაა გადმოცემული მონეტებზე. ძალიან ხშირად ნუმიზმატიკური მასალა ერთადერთი საბუთია ამა თუ იმ პუნქტის პანთეონში შემავალ ღვთაებათა დასადგენად, ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის რელიგიურ რწმენა-წარმოდგენათა შესასწავლად. თავის ადგილზე ჩვენ მოვიყვანთ მაგალითებს II-III საუკუნეების ქ. ტრაპეზუნტის (ერთ-ერთი ქართველური ცენტრი იყო) ნუმიზმატიკიდან, რომელიც მთელი სისრულით დაგვანახებს, რისი გაკეთება შეუძლია მონეტას, როგორც რელიგიის ისტორიის წყაროს.

მონეტა მეზობელ ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ურყევი საბუთია, ამდენად უდავოა მისი როლი ქვეყნის ეკონომიკური ისტორიის შესწავლის საქმეში.

საქართველოს მიწა-წყალზე დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი უცხო სახელმწიფოთა საფასეები: ბერძნული, რომაული, პართული, სასანური, არაბული,

ბიზანტიური, სელჩუკური, მონღოლური, ჯუჩიდური, შირვანული, სპარსული, თურქული, ევროპული და ა. შ., რაც ნათლად ამტკიცებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ კავშირურთიერთობას გარე სამყაროსთან. მაგრამ იმისათვის, რომ მონეტამ არ დაკარგოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის მაჩვენებელი საბუთის მნიშვნელობა, საჭიროა მონეტათა აღმოჩენის ზუსტი აღრიცხვა. მონეტას არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუკარგოთ პასპორტი (ე. ი. ცნობა აღმოჩენის ადგილის, დროისა და გარემოების შესახებ). უნდა გვახსოვდეს, რომ მონეტას, როგორც ისტორიულ წყაროს, გარკვეული თავისებურება ახასიათებს: მონეტის თვით აღმოჩენის ადგილია საინტერესო. ეს საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ უცხოური მონეტების შემოსვლის გზები ჩვენში, გამოვყოთ „ნუმიზმატიკური პროვინციები", სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეპოქების მიხედვით დავადგინოთ საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში რომელი უცხოური მონეტები იყო დასაქმებული სამონეტო ცირკულაციაში და სხვა მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი.

მონეტები, როგორც ძვირფასი დამათარიღებელი მასალა, უდიდეს დახმარებას უწევს არქეოლოგიას. არქეოლოგიური გათხრების დროს მონეტების აღმოჩენის შემთხვევები ძალიან ხშირია. მათი დახმარებით არც თუ ისე იშვიათად ხდება მთელი არქეოლოგიური კომპლექსების ზუსტი დათარიღება. ეს გასაგებიცაა: ბევრ მონეტაზე მოჭრის თარიღია ამოტვიფრული ან თარიღდება მონარქისა და იმპერატორის მმართველობის წლებით. მონეტა გაცვეთილიც რომ იყოს და ზედწერილები გადაშლილი, გამოცდილ ნუმიზმატს მაინც არ გაუჭირდება მისი მოჭრის საუკუნის დადგენა. ცხადია, მონეტა მოჭრისთანავე ძალიან იშვიათად ხვდება მიწაში, გადის დროის გარკვეული მონაკვეთი, რაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს არქეოლოგმა.

ძველებური მონეტების მეცნიერულ შესწავლას სხვა ასპექტებიც აქვს, მაგრამ, ვფიქრობთ, ნათქვამიც საკმარისია იმ დიდი როლის გასათვალისწინებლად, რაც მათ აკისრია ქვეყნის წარსულის შესწავლის საქმეში. მონეტები, ისევე როგორც კულტურის სხვა ძეგლები, ერის სიამაყე და საუნჯეა. ამიტომ თითოეული მოქალაქის პირდაპირი და საპატიო მოვალეობაა ნუმიზმატიკური მასალისადმი სერიოზული და სათუთი დამოკიდებულება. ჩვენი ქვეყნის მიწაში აღმოჩენილი ყოველი მონეტა ერის ისტორიის ფურცელია, მისი გადარჩენა და შთამომავლობისათვის შენახვა ყველა ჩვენგანის მოვალეობაა. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მონეტის სათანადო განსაზღვრა, მისი ქცევა ისტორიული მნიშვნელობის საბუთად ყველას როდი ძალუძს. ნუმიზმატიკის სფეროში მუშაობა მრავალმხრივ განათლებასა და დიდ პრაქტიკულ ცოდნას მოითხოვს. ამიტომ თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში მონეტათა აღმოჩენის ფაქტები დაუყოვნებლივ უნდა ვაცნობოთ სათანადო დაწესებულებასა (მუზეუმს) და სპეციალისტებს. ეს იქნება მოქალაქეობრივი ვალის მოხდა სამშობლოს წინაშე.

ქართული ნუმიზმატიკის განვითარების ძირითადი ეტაპები

ქართული ნუმიზმატიკური მეცნიერების მიღწევები დღეისათვის საყოველთაოდაა ცნობილი არა მარტო ჩვენი ქვეყნის ფარგლებში, არამედ საზღვარგარეთაც. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ღირსეული პატივი მივაგოთ იმ ადამიანებს, ვინც თავიანთი მოღვაწეობით უზრუნველყვეს ქართული ნუმიზმატიკის ესოდენ მაღალი რეიტინგი, განვიხილოთ მისი განვითარების ძირითადი ეტაპები და აღვადგინოთ იმ უჯრედის ისტორია, რომლის ფონდი საფუძვლად დაედო საკუთრივ ქართული ნუმიზმატიკის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბებას.

ქართული ნუმიზმატიკური ძეგლების შესწავლა ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში დაიწყო. პირველი ქართული მონეტა, სხვა აღმოსავლურ მონეტებთან ერთად, გამოსცა ადლერმა რომში 1782 წელს. ადლერის შემდეგ ქართული მონეტები მოექცა ცნობილი ორიენტალისტისა და ქართველოლოგის მარი ბროსეს (1802-1880 წწ.) კვლევის სფეროში. 1847-1848 წლებში მან იმოგზაურა საქართველოში, შეკრიბა დიდძალი ეპიგრაფიკული, დოკუმენტური, ნუმიზმატიკური მასალა და 1849-1851 წლებში პეტერბურგში სამ წიგნად გამოაქვეყნა. ამით მან წინ წაწია ქართული მონეტების შესწავლის საქმე (მ. ბროსეს სხვა დამსახურებას ქართული კულტურის წინაშე, ცხადია, აქ ჩვენ ვერ შევეხებით). მაგრამ ოდნავადაც არ ვამცირებთ რა მ. ბროსეს ღვაწლს, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული ნუმიზმატიკური მეცნიერების ფუძემდებლად უნდა ჩაითვალოს ჩვენი თანამემამულე თავადი მიხეილ პეტრეს ძე ბარათაშვილი (1784-1856 წწ.).

ვინ არის ეს პიროვნება?

მ. ბარათაშვილი (ბარათაევი) დაიბადა სიბირსკის გუბერნიის სოფ. ბარატაევკაში. მისი მამა, გენერალ-პორუჩიკი პეტრე მელქისედეკის ძე ბარათაშვილი, იყო სიბირსკის გუბერნატორი, რომლის მამაც ვახტანგ მეექვსესთან ერთად გადასახლებულა რუსეთში. ბარათაშვილების ეს შტო უახლოეს ნათესაურ კავშირში იმყოფებოდა მელიტონ ბარათაშვილთან, ჩვენი დიდი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის მამასთან.

მ. ბარათაშვილი სამხედრო პირი იყო. მონაწილეობდა 1812 წლის სამამულო ომში. 1820-1835 წლებში ეკავა სიბირსკის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლის პოსტი. 1826 წელს ის დააპატიმრეს, ბრალად ედებოდა კავშირი დეკაბრისტების აჯანყებასთან, მაგრამ მამხილებელი საბუთების უქონლობის გამო მალე გაათავისუფლეს. 1837 წელს მან მიიღო ტაინი სოვეტნიკის ხარისხი, ხოლო 1839

წელს გამოიგზავნა საქართველოში საოლქო საბაჟოს მმართველად. ამ წლიდან ეყრება საფუძველი მის გატაცებას ქართული ანტიკვარული და ნუმიზმატიკური ნივთებით. საქართველოში მ. ბარათაშვილმა ოთხი წელი გაატარა. ამ მცირე ხნის განმავლობაში მან მოახერხა საქართველოს ფარგლებში მიმოფანტული ქართული ფულის უნიკალური კოლექციის შეგროვება, რომელიც შემდგომ საფუძვლად დაედო არა მარტო მის კაპიტალურ ნაშრომს, არამედ სხვა მეცნიერთა გამოკვლევებსაც. ამ თვალსაზრისით მ. ბარათაშვილის დამსახურება ფასდაუდებელია (სამწუხაროდ, ეს ძვირფასი კოლექცია საქართველოსათვის დაკარგულია, რის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ). აღსანიშნავია, რომ ქართულის გარდა მან აქვე შეაგროვა ბერძნული, რომაული, არაბული, თურქული, ირანული და სომხური მონეტები, რომელთა დიდი ნაწილი, რა თქმა უნდა, ადგილობრივ უნდა ყოფილიყო აღმოჩენილი. სწორედ საქართველოში ყოფნის დროს წაუწერა დიდმა ნ. ბარათაშვილმა ბაზარფეშაზე თავის ნათესავს ცნობილი სტრიქონები: „ამავსებ ღვინით, აგავსებ ლხინით, შესვი? გაამოს!"

1844 წელს პეტერბურგში მ. ბარათაშვილმა გამოსცა დიდტანიანი ნაშრომი „საქართველოს სამეფოს ნუმიზმატიკური ფაქტები" რუსულ და ფრანგულ ენებზე, სადაც აღწერილია ქართული ფულები „სასანო-ქართველთა, ანუ ხოსროიან-ივერიელთა" ხანიდან ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის დრომდე. წიგნს ახლავს უაღრესად ფაქიზად შესრულებული ილუსტრაციები, ქართველ მეფეთა და მთავართა გენეალოგიური ტაბულები და ა. შ. ამ ნაშრომისათვის იგი არჩეულ იქნა პარიზის მეცნიერებათა აკადემიის წევრად. დღეისათვის ეს წიგნი, ცხადია, სავსებით მოძველებულია, მაგრამ თავის დროისათვის მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ქართული ნუმიზმატიკური ძეგლების ერთად თავმოყრის პირველ ცდას. ამ შრომის მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ მას აქტიურად იყენებდნენ მ. ბროსე, შემდეგში ფრანგი ნუმიზმატი ვიქტორ ლანგლუა და, რაც მთავარია, ქართული მონეტების ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მკვლევარი პროფ. ე. პახომოვი. აღსანიშნავია, რომ თავისი წიგნის ერთი ეგზემპლარი ავტორმა გამოუგზავნა მელიტონ ბარათაშვილს და სთხოვდა სათანადო კომენტარს. განსაკუთრებით აინტერესებდა ნიკოლოზ ბარათაშვილის აზრი, მაგრამ იგი ამ დროს უკვე აღარ იყო ცოცხალი.

სამწუხაროდ, მ. ბარათაშვილის შემდეგ თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში ქართულ მონეტებს მხოლოდ უცხოელი სპეციალისტები იკვლევდნენ.

1850-იანი წლებიდან მოღვაწეობას იწყებს ცნობილი არქეოლოგი და ნუმიზმატი, გენერალ-ლეიტენანტი ივანე ალექსის ძე ბართოლომეი (1813-1870 წწ.). მან პირველმა გამოთქვა მოსაზრება ქართულ ნუმიზმატიკურ ძეგლებს შორის ანტიკური ხანის მონეტების არსებობის შესახებ, ყურადღება გაამახვილა სასანური ტიპის ქართულ მონეტებზე.

ჯერ 1852, ხოლო შემდეგ 1860 წელს ფრანგულ ენაზე ქართული ნუმიზმატიკის შესახებ გამოდის ვ. ლანგლუას მონოგრაფია. მაგრამ როგორც პირველი, ასევე

მეორე გამოცემაც უამრავ ლაფსუსს შეიცავს და მათი გამოყენება მეტისმეტ სიფრთხილეს მოითხოვს.

XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში ქვეყნდება კიდევ რამდენიმე საყურადღებო წერილი ჩვენთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ პრინციპულად ახალი, ჭეშმარიტად მეცნიერული ეტაპი იწყება 1910 წლიდან, როდესაც გამოდის ევგენი ალექსანდრეს ძე პახომოვის (1880-1965 წწ.) ბრწყინვალე მონოგრაფიის „საქართველოს მონეტების" (Монеты Грузии, С-П., 1910) პირველი ნაწილი. სამწუხაროდ, მეორე ნაწილის გამოსვლას ხელი შეუშალა პირველმა მსოფლიო ომმა. დღის სინათლე (უცვლელი სახით) მან მხოლოდ 1970 წელს იხილა, როდესაც პროფ. დ. კაპანაძის რედაქტორობით და კომენტარებით ამ მონოგრაფიის ორივე ნაწილი გამოაქვეყნა გამომცემლობა „მეცნიერებამ". გადაჭრით უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად ზოგიერთი ნაკლისა, რაზედაც თავის დროზე მიუთითებდა აკად. ივ. ჯავახიშვილი, ხსენებული ნაშრომი მთლიანად ინარჩუნებს თავის პირველხარისხოვან მნიშვნელობას. საკმარისია აღინიშნოს, რომ ქართული ნუმიზმატიკური მეცნიერების დიდი წარმატებების მიუხედავად ამ წიგნის გამოსვლის შემდეგ, განსაკუთრებით ცალკეული პერიოდების ძეგლების შესწავლისა და შევსების თვალსაზრისით, მსგავსი უნივერსალური ტიპის მონოგრაფია დღემდე არ გამოქვეყნებულა. თუ ჩვენ გვსურს ქართული მონეტების ერთად თავმოყრილი მეცნიერული აღწერილობა ვიხილოთ, მხოლოდ და მხოლოდ ამ წიგნს უნდა მივმართოთ. ამ თვალსაზრისით მას ბადალი არ გააჩნია. განსაკუთრებულია ე. პახომოვის დამსახურება ამიერკავკასიაში აღმოჩენილი ფულადი განძების ტოპოგრაფიის შედგენის თვალსაზრისითაც.

1925 წელს საქართველოში გამოდის ივ. ჯავახიშვილისა (1876-1940 წწ.) და პროფ. ს. კაკაბაძის (1886-1967 წწ.) თეორიული ხასიათის ნაშრომები, რომლებთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული საფასის შესწავლის თვალსაზრისით.

განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ივ. ჯავახიშვილის მონოგრაფიის – ქართული საფას-საზომთამცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, ტფ., 1925 წ. – გარშემო. თავისი წიგნის ზოგადი შეფასება ყველაზე უკეთ ავტორმა შეძლო. ნაშრომის შესავალში იგი წერდა: „ქართული ფულებისა და საზომების ისტორია ჯერ არ დაწერილა. არც წინათ და არც XIX-XX საუკუნეებში ამგვარი მიზანი არავის დაუსახავს და წინამდებარე გამოკვლევა პირველი ცდაა..." ამრიგად, ივ. ჯავახიშვილის ნაშრომის დიდი მეცნიერული მნიშვნელობა ზოგადი თვალსაზრისით, უწინარეს ყოვლისა, მდგომარეობს იმაში, რომ ესაა პირველი ცდა მონოგრაფიულად იქნეს შესწავლილი ქართული საფას-საზომების უწყვეტი ისტორია.

მეორე ზოგადი მომენტი, რომელიც ასევე განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას ივ. ჯავახიშვილის ნაშრომის შეფასებისას, გახლავთ მეთოდოლოგიის საკითხი. მიმოიხილავდა რა ქართული ნუმიზმატიკის შესახებ XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში გამოქვეყნებულ ნაშრომებს, იგი წერდა, რომ „ყველა ზემოდასახელებ-

ული შრომები მხოლოდ აღწერილობითი ხასიათისანი არიან. ტერმინების, ფულის სისტემის და ტეხნიკის მიმოხილვა-განმარტების შემცველი ქართული ფულების ისტორია იქ არ მოიპოვება". ნიშანდობლივია, რომ ივ. ჯავახიშვილის ასეთი კვალიფიკაციის ქვეშ მოყვა ე. პახომოვის ზემოხსენებული ბრწყინვალე მონოგრაფიაც კი. იქვე ივ. ჯავახიშვილმა მოხაზა გეგმა, რომლის მიხედვითაც აპირებდა დაეწერა ქართული ფულის ისტორიისადმი მიძღვნილი თავისი სამნაწილიანი გამოკვლევა. მისი აზრით, პირველი ნაწილი უნდა ყოფილიყო თეორიული ხასიათისა, ე. ი. წერილობითი წყაროების მონაცემებზე აგებული ქართული ფულის ისტორია (ასეთად ივ. ჯავახიშვილი თავის „ნუმიზმატიკა-მეტროლოგიას" მიიჩნევდა), მეორე – აღწერილობითი, ანუ ფაქტობრივად არსებული ქართული მონეტების მეცნიერული აღწერა-ატრიბუცია, ხოლო მესამე – შედარებითი. ამ ნაწილში ერთმანეთთან უნდა შეჯერებულიყო წერილობითი წყაროების მონაცემები და რეალურად არსებული ნუმიზმატიკური მასალა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თუკი რამ ფასეული შექმნილა ამ უკანასკნელი რვა ათეული წლის მანძილზე ქართული ნუმიზმატიკა-მეტროლოგიის შესახებ, მისი ამოსავალი იყო და არის ივ. ჯავახიშვილის ეს ფუნდამენტური მეთოდოლოგიური მითითება.

თუ კონკრეტულად, პრაქტიკული თვალსაზრისით შევაფასებთ ივ. ჯავახიშვილის შრომას, ისევ თვით ავტორის სიტყვები უნდა მოვიშველიოთ: „ორასამდე საფასსაზომების ტერმინების შესახებ ცნობები პირველწყაროებითგან ამოკრებილ-განხილული და ოდენობით განსაზღვრულია". ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ხასიათისა და მოცულობის სამუშაო ქართული ნუმიზმატიკა-მეტროლოგიის საკითხების შესახებ დღემდე არავის უწარმოებია. ამ მიმართებით ივ. ჯავახიშვილის მონოგრაფია უნიკალური და უნივერსალური ცნობარია.

არ შეიძლება არ აღინიშნოს 30-იან წლებში გამოსული ცნობილი არქეოლოგის მიხეილ მიხეილის ძე ივაშჩენკოსა (1881-1946 წწ.) და პროფ. სერგი მაკალათიას (1893-1974 წწ.) სტატიები, მიძღვნილი საქართველოში აღმოჩენილი ანტიკური ხანის მონეტების შესწავლისადმი. მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი მათგანი არ იყო პროფესიონალი ნუმიზმატი, მათი პუბლიკაციები მაღალი მეცნიერული დონით გამოირჩევა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ცნობილი მეცნიერის ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ზოგრაფის (1889-1942 წწ.) ღვაწლი. მან ორი სპეციალური ნაშრომი უძღვნა ანტიკური პერიოდის კავკასიის ნუმიზმატიკური ძეგლების შესწავლას. იგი პირველი იყო, ვინც სცადა ერთად მოეყარა თავი კავკასიაში მოჭრილი და კავკასიაში გავრცელებული ანტიკური მონეტებისათვის, მოეცა მათი მეცნიერული ატრიბუცია და ასევე მეცნიერულად გაეაზრებია შესაბამისი პერიოდის სამონეტო მიმოქცევისა და სამონეტო საქმის კარდინალური საკითხები. ეს შრომები დღესაც ინარჩუნებს თავის სრულ მეცნიერულ ღირებულებას.

აი, ძირითადად, ეს მეცნიერული მემკვიდრეობა მიიღო ქართველ ნუმიზმატთა პირველმა თაობამ – საქართველოში ნუმიზმატიკური მეცნიერების ფუძემდებელმა

დოც. თ. ლომოურმა და პროფ. დ. კაპანაძემ. მაგრამ მათი მეცნიერული მოღვაწეობის დასახასიათებლად აუცილებელია იმ უჯრედის ისტორიის ცოდნა, სადაც XIX საუკუნეში თავი ეყრებოდა ნუმიზმატიკურ კოლექციებს, რომლებიც შემდეგ აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებამ მიიღო მემკვიდრეობით. წინააღმდეგ შემთხვევაში სათანადოდ ვერ შევაფასებთ არა მარტო თ. ლომოურისა და დ. კაპანაძის მეცნიერულ მემკვიდრეობას, არამედ თანამედროვე ქართული ნუმიზმატიკური მეცნიერების დონესაც საზოგადოდ.

როგორც ცნობილია, 1850 წელს დაარსდა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური განყოფილება, ხოლო 1852 წელს – ამ განყოფილების მუზეუმი.

1854 წელს „Кавказский Календарь"-ში დაიბეჭდა პირველი ცნობა რ. გ. ს. კ. გ. მუზეუმის შესახებ. განყოფილების მუზეუმი სამი კაბინეტისაგან შედგებოდა: 1. ეთნოგრაფიული, 2. საბუნებისმეტყველო და 3. ისტორიული და 1854 წლისთვის შეიცავდა 3000-მდე სხვადასხვა ექსპონატს.

1854-1857 წლებში მუზეუმის ისტორიული კაბინეტი შეიცავდა 445 ცალ ექსპონატს, აქედან 384 მონეტა იყო.

ნუმიზმატიკური კოლექციის შევსება სპორადულ ხასიათს ატარებდა. ის უმთავრესად სხვადასხვა დაწესებულებებისა და სხვადასხვა პირების მიერ შემოწირულებათა ხარჯზე იზრდებოდა. ამავე დროს მონეტების განსაზღვრაც საკმაოდ ნელი ტემპით მიმდინარეობდა.

როგორც აღვნიშნეთ, მუზეუმი 1854 წლისთვის 384 მონეტის მფლობელი იყო, აქედან 1857 წელს მხოლოდ 93 ცალი განისაზღვრა.

მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა ი. ბართოლომეის დირექტორად არჩევის შემდეგ. თუ 1856 წლამდე მუზეუმი უბრალოდ აქვეყნებდა კოლექციაში არსებულ მონეტათა რიცხვს, 1857-58 და 1859 წლებში შედგენილ „Кавказский Календарь"-ის ნომრებში უკვე ცნობები ქვეყნდებოდა მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერულად განსაზღვრული მონეტების შესახებ. მიუნც-კაბინეტის საბოლოო მოწყობას მუზეუმის დირექცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. მიუნც-კაბინეტის მუშაობის შესახებ გეოგრაფიული საზოგადოების 1857 წლის ანგარიშში ვკითხულობთ:

„1856 წლის განმავლობაში მუზეუმის დირექცია აწარმოებდა განყოფილების მუზეუმში დაცულ საერთოდ ყველა მონეტების სისტემატურ წესრიგში მოყვანას, რაზედაც მან გასწია აუცილებელი ხარჯი მის განკარგულებაში მყოფი თანხებიდან. პოლკ. ბართოლომეიმ შესწირა მიუნც-კაბინეტს ყველა ინსტრუმენტი, რომელიც საჭიროებას წარმოადგენს მონეტებისათვის მაუდის კოლოფების დასამზადებლად და დათანხმდა განესაზღვრა კაბინეტში მყოფი ყველა ვერცხლის და ოქროს მონეტები, ხოლო სპილენძის მონეტებიდან, რომელთა რიცხვი ფრიად მნიშვნელოვანია, მხოლოდ ისეთები, რომლებიც აღმოჩნდება გამოსადეგი. ამათგან სპილენძის

მონეტები უკვე განხილულია, განსაზღვრულია და ამჟამად წარმოებს მათი დალაგება მიუნც-კაბინეტისათვის საგანგებოდ შეკვეთილ კარადაში". მაგრამ მიუხედავად ი. ბართოლომეის დამსახურებისა, კავკასიური განყოფილების მუზეუმის ნუმიზმატიკური უჯრედი იმთავითვე მცდარ გზაზე იდგა.

კოლექციის ზრდა კვლავ შემოწირულობების ხარჯზე ხდებოდა. მუზეუმის საცავებში თავშესაფარს პოულობდა ისეთი მონეტები, რომლებთაც საერთო არაფერი ჰქონდათ კავკასიის ტერიტორიასთან, ხოლო კავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ზოგიერთი მონეტა, ი. ბართოლომეის მცდარი დასკვნების საფუძველზე, სამუდამოდ დაიკარგა მეცნიერებისათვის. ბართოლომეის ასეთი პოზიციის ახსნა ნაწილობრივ შეიძლება მუზეუმის უაღრესად ლიმიტირებული სახსრებით, მაგრამ, ვიმეორებთ, მხოლოდ ნაწილობრივ.

ბართოლომეი რ.გ.ს.კ.გ. მუზეუმის ლიკვიდაციის (რომელიც 1864 წ. მოხდა) ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო. მისი აზრით, განყოფილებისათვის მუზეუმი ზედმეტი ტვირთი იყო. იგი წინადადებას იძლეოდა მუზეუმის ექსპონატები ევროპისა და რუსეთის მუზეუმებისათვის გადაეცათ.

ი. ბართოლომეი აქ, ჩვენთან, თბილისში ყიდულობდა უნიკალურ ცალებს და მათ საიმპერატორო ერმიტაჟში აგზავნიდა. ასე შეიძინა მან ერმიტაჟისათვის ბაგრატ III-ის (975-1014 წწ.) მონეტის ერთადერთი ცნობილი ცალი.

ქართული კულტურის წინაშე ი. ბართოლომეის უდიდესი დანაშაული მიუძღვის. მისი წყალობით ბარათაშვილის ცნობილმა კოლექციამ სამშობლოს ფარგლებს გარეთ ჰპოვა თავშესაფარი (ბერლინში).

1857 წლის დეკემბრის სხდომაზე მუზეუმის დირექციამ ი. ბართოლომეის დასკვნის საფუძველზე უარი თქვა 2000 მანეთად შეფასებული ბარათაშვილის უნიკალური კოლექციის შეძენაზე შემდეგი მიზეზების გამო:

„თავ. ბარათაევის მემკვიდრეების კუთვნილი კატალოგი და ქართული ფულების კოლექციების ანაბეჭდები, გადმოცემული განყოფილებაში მისი დასკვნისათვის, დაუბრუნდეს ბ-ნ დეისტ. სტატსკი სოვეტნიკს კრუზენშტერნს და ეცნობოს მის აღმატებულებას, რომ განყოფილებას არ მიაჩნია შესაძლებლად თავისი მუზეუმისათვის აღნიშნული კოლექციის შეძენა, როგორც დანიშნული ფასის სიდიდის გამო, ისევე და უფრო იმიტომაც, რომ ის (ე. ი. კოლექცია) შეადგენს საგანს სრულიად შეუსაბამოს განყოფილების მიზნებისათვის".

ძნელი წარმოსადგენია იმაზე მეტი აბსურდული დასკვნა, რომ თბილისში არსებული კავკასიის მუზეუმის მიზნებისათვის სრულიად შეუსაბამო იყო ქართული მონეტების უნიკალური კოლექცია. როგორადაც პარადოქსულად არ უნდა გამოიყურებოდეს, ამ დასკვნის ავტორია ერუდირებული ნუმიზმატი ი. ბართოლომეი.

1865 წლიდან დაიწყო კავკასიის მუზეუმის მეორე ხანა. მას სათავეში უდგება გუსტავ ივანეს ძე რადე (1831-1903 წწ.). ბართოლომეის შემდეგ კავკასიის მუზეუმს თავის შტატში არ ჰყოლია სპეციალისტი ნუმიზმატი, მონეტები იგზავნებოდა ერმიტაჟში განსაზღვრის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ამ მონეტებს

საზღვრავდნენ მ. ბროსე, გრიმი, ტიზენჰაუზენი, ივერსენი, ბართოლომეი და სხვ., არ შეიძლებოდა კოლექციის ასეთ „სამეცნიერო მივლინებას" თბილისიდან პეტერბურგში დაღი არ დაემჩნია მის შემადგენლობაზე.

ამ ხანებშიაც კავკასიის მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის ზრდა ძირითადად კვლავ შემოწირულობების ხარჯზე მიმდინარეობს. მაგრამ ეს არ იყო ერთადერთი გზა. გ. რადეს დირექტორობის ხანაში მუზეუმმა შეიძინა ობრეხტის ცნობილი კოლექცია, რომელიც 1921 ცალს შეიცავდა. მისი დირექტორობის ხანაში მუზეუმის ფონდს შემოუერთდა ბროსესა და საჯარო ბიბლიოთეკის კოლექციები.

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში კავკასიის მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექცია 2593 ცალს ითვლიდა. მუზეუმში მოწყობილი იყო ნუმიზმატიკური მასალის ექსპოზიციაც.

1924 წელს აკად. ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაარსდა ნუმიზმატიკის კაბინეტი, რომელსაც, დღიდან მისი დაარსებისა, სათავეში ედგა თ. ლომოური (1883-1965 წწ.). 1931 წელს უნივერსიტეტის ნუმიზმატიკური კაბინეტის მონეტები და ინვენტარი გადაეცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს და აი აქ უკვე მეორე გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, აკად. გ. ჩუბინაშვილის ინიციატივით საფუძველი ეყრება ნუმიზმატიკურ უჯრედს, რომელიც შემდეგში განყოფილებად გადაიქცა.

1931 წლის 25 სექტემბრიდან თ. ლომოური დაინიშნა ძველი ხელოვნებისა და ისტორიის განყოფილების ასისტენტ-ნუმიზმატად.

თითქმის 15 წლის მანძილზე, აქედან 7 წლის მანძილზე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კედლებში, დიდებულ ქართველ მეცნიერს თ. ლომოურს, მარტოდმარტო, იშვიათი კეთილსინდისიერებითა და საქმის ღრმა ცოდნით სისტემაში მოჰყავდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტის უმდიდრესი კოლექციები. მისი დაულალავი და აკადემიური მოღვაწეობის შედეგად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კედლებში თავი მოიყარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს საისტორიო და ეთნოგრაფიული საზოგადოების, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კოლექციებმა. ეს მასალა, აგრეთვე ყოფილი კავკასიის მუზეუმის კოლექციები, თ. ლომოურის მიერ ხელახლა იქნა კლასიფიცირებული და განსაზღვრული. ეს იყო ჭეშმარიტად დიდი, შრომატევადი და პატრიოტული საქმე.

1939 წელს ნუმიზმატიკის კაბინეტი გაიზარდა ერთი საშტატო ერთეულით (დავით კაპანაძე, 1898-1971 წწ.), ხოლო 1940 წელს მას კიდევ ერთი თანამშრომელი მიემატა.

1940 წლიდან დაიწყო ნუმიზმატიკის კაბინეტის ფონდების რეორგანიზაცია. 1940 წლამდე კაბინეტში არსებული ფონდების მდგომარეობა უკვე სერიოზულად ამუხრუჭებდა ნუმიზმატიკური მეცნიერების წინსვლას და უკიდურესად ართულებდა საჭირო მასალის მიგნებას. მასალის განლაგება ამ პერიოდში ემყარებოდა კოლექციის მფლობელის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთგვარ გაფეტიშებას. ასე, მაგალი-

თად, მიუხედავად იმისა, რომ ობრეხტის, ან ბროსეს, ან რომელიც გნებავთ სხვა კოლექციებში შედიოდა სულ სხვადასხვა პერიოდისა და სხვადასხვა ქვეყნების მონეტები, რომლებთაც არაფერი არ ჰქონდათ ერთმანეთთან საერთო, ისინი ინახებოდა ერთად ცალკე პარკებსა და პაკეტებში, ხოლო შემოსული მასალა, ასევე მიუხედავად მათი სადაურობისა, მუზეუმში მათი შემოსვლის შესაბამისად ქმნიდა ერთ ფონდს.

1940 წელს დ. კაპანაძის უშუალო ინიციატივით დაისვა კაბინეტის ფონდების რეორგანიზაციის საკითხი. კოლექციის მფლობელის „პიროვნების კულტი" რეორგანიზაციის შედეგად უკუგდებულ იქნა და მონეტათა განაწილებას ფონდებში საფუძვლად დაედო მათი ძირითადი ნიშანი – სადაურობა.

ეს უაღრესად რთული სამუშაო სამი წლის დაძაბული შრომის შედეგად შეასრულა ნუმიზმატიკის კაბინეტის სამმა თანამშრომელმა: თამარ ლომოურმა, დავით კაპანაძემ და თამარ აბრამიშვილმა. შედარებით მოკლე ვადაში მათ სისტემაში მოიყვანეს კაბინეტში იმ დროს არსებული 43 ათასი ცალი მონეტა.

რეორგანიზაციის შედეგად კაბინეტში შემდეგი ფონდები ჩამოყალიბდა: 1. ქართული მონეტების ფონდი; 2. რუსული მონეტების ფონდი; 3. კლასიკური მონეტების ფონდი; 4. ძველი ერანის მონეტების ფონდი; 5. ბიზანტიისა და ტრაპიზონის მონეტების ფონდი; 6. აღმოსავლური მონეტების ფონდი; 7. ევროპული მონეტების ფონდი; 8. მედლების, ორდენებისა და ჟეტონების ფონდი; 9. განძების ფონდი.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ კაბინეტის ფონდების რეორგანიზაცია იყო ახალი ხანის, ახალი ეტაპის დასაწყისი და რომ ჭეშმარიტად მეცნიერულ ნიადაგზე ქართული ნუმიზმატიკა მხოლოდ ამ დროიდან დადგა. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ქართველი ნუმიზმატების შრომების აბსოლუტური უმრავლესობა დაწერილია კაბინეტის ფონდების რეორგანიზაციის შემდეგ.

რეორგანიზაციის შედეგების უდიდესი მნიშვნელობის გასათვალისწინებლად მარტო განძების ფონდის დასახელებაც კი კმარა. მონეტა დიდი მნიშვნელობის მქონე პოლიტიკურ-ეკონომიკური ხასიათის დოკუმენტია. მაგრამ წერილობით წყაროებთან შედარებით მას, როგორც წყაროს, გარკვეული თავისებურება ახასიათებს. მონეტის თვით აღმოჩენის ადგილი უკვე თავისთავად ბევრს ამბობს ქვეყნის წარსულის შესწავლის მიზნით. ამიტომ პასპორტიან მონეტას, თუნდაც ის ნუმიზმატიკური თვალსაზრისით არავითარ სიახლეს არ წარმოადგენდეს, კონკრეტული ქვეყნისათვის გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე რომელიმე იშვიათ, მაგრამ უპასპორტო მონეტას.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მონეტების ფონდის ცალკე გამოყოფით ქართველ ნუმიზმატებს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის წინაშე დიდი დამსახურება მიუძღვით, რადგან, რაც კი შექმნილა ქართული ნუმიზმატიკის გარშემო, თითქმის ყველაფრის მატერიალურ ბაზას განძების ფონდი წარმოადგენს.

საკმარისია ადამიანმა დახედოს ამ ფონდის შემადგენლობას, რომ პერიოდების მიხედვით, დროის უდიდესი მონაკვეთის მანძილზე – ძვ. წ. VI საუკუნიდან ახ. წ. XIX საუკუნის I ნახევრის ჩათვლით – თვალწინ წარმოუდგეს სამონეტო მიმოქცევის, ეკონომიკური ცხოვრების სურათი ჩვენს ქვეყანაში, თვალწინ წარმოუდგეს საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე.

დავუბრუნდეთ თ. ლომოურისა და დ. კაპანაძის მოღვაწეობას.

უპირველეს ყოვლისა, თ. ლომოურის შესახებ. ნუმიზმატიკურ სარბიელზე მოღვაწეობის დაწყებისთანავე თ. ლომოურის წინაშე დაისვა საკითხი ქართული ნუმიზმატიკური ტერმინოლოგიის შექმნის შესახებ, რასაც მან თავის დროისათვის წარმატებით გაართვა თავი. თ. ლომოური პირველი მეცნიერი იყო, რომელმაც საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი სასანური და არაბული მონეტების განძები შეისწავლა. შესაბამისად, ქართულ ისტორიოგრაფიაში მან პირველმა დასვა საქართველოში სასანური და არაბული მონეტების მიმოქცევის, ამ ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებისა და სავაჭრო-სატრანზიტო გზების საკითხი, მოხაზა სასანური და არაბული მონეტების გავრცელების სფერო ჩვენს ქვეყანაში.

შესანიშნავი ნაშრომი უძღვნა ავტორმა შოთა რუსთაველის ეპოქის მონეტების შესწავლას. აქ მან არა მარტო აღწერა და მიმოიხილა XI-XIII საუკუნეების ქართული მონეტები (ბაგრატ III-დან დავით ულუს მონეტების ჩათვლით), არამედ პირველმა დასვა აღნიშნულ ხანაში საქართველოში უცხოური მონეტების ცირკულაციის საკითხი როგორც ფაქტობრივი, ასევე ქართული საისტორიო და ლიტერატურული ძეგლების მონაცემების საფუძველზე. ამ მხრივ ეს ნაშრომი სანიმუშოა.

თ. ლომოურმა დაადგინა ვახტანგ III ტახტზე ასვლის ნამდვილი თარიღი – 1298-99 წლები (თუმცა დღეს ასეთად 1297/8 წწ. მიჩნეული) და გამოთქვა ვარაუდი საქართველოს მთიანეთში (ჟინვანი, სტეფანწმინდა) ზარაფხანის ფუნქციონირების შესახებ.

თ. ლომოურმა პირველმა მოჰკიდა ხელი საქართველოში აღმოჩენილი სელჩუკური და მონღოლური მონეტების განძების სისტემატურ შესწავლას; დაადგინა ახალციხის ზარაფხანის არსებობის ფაქტი XIII-XIV საუკუნეებში; პირველმა შეისწავლა საქართველოში გავრცელებული ილხანებისა და ჯუჩიდების მონეტები და პირველმა წამოაყენა დებულება იმის შესახებ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული შეხედულება ე. წ. „გიორგაული თეთრის" არსებობის შესახებ ბექა-აღბულას კანონთა კოდექსის სათანადო ადგილის მცდარ ინტერპრეტაციაზე იყო აგებული.

სპეციალურად იკვლევდა თ. ლომოური XVI საუკუნის ქართული ფულის საკითხებს. პირველად მან დაასაბუთა XVI საუკუნის დასავლეთ საქართველოში ქართული მონეტების მოჭრის ფაქტი და ა. შ.

თ. ლომოურის ნუმიზმატიკურ ნაშრომებს წითელი ხაზივით გასდევს ერთი საერთო ნიშანი – ყოველ მათგანში იგრძნობა, რომ მათი ავტორი, პირველ რიგში, ყოველმხრივ მომზადებული ისტორიკოსია.

დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული ნუმიზმატიკის წინაშე პროფ. დ. კაპანაძეს. მისი მოღვაწეობა რამდენიმე მიმართულებით წარიმართა: უპირველეს ყოვლისა, ის იყო მასალის შესანიშნავი შემგროვებელი და ქართული ნუმიზმატიკის დაულალავი პროპაგანდისტი. მის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტის გადაქცევა ნუმიზმატიკის განყოფილებად და მეტ-ნაკლებად კადრების მომზადების საქმეც. გარდა ამისა, იგი ავტორია 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, რომლებიც გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, გერმანულ, პოლონურ და ჩეხურ ენებზე. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ დ. კაპანაძის ნაშრომებმა გაიტანა ფართო პლანით ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ქართული ფულის ისტორია და კიდევ უფრო გააცხოველა ინტერესი ამ პრობლემისადმი.

დ. კაპანაძის შრომებიდან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს მისი სახელმძღვანელო „ქართული ნუმიზმატიკა", რომელიც სამგზის გამოიცა, ერთხელ მოსკოვშიაც კი (1955 წ.). გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ წიგნზე, მიუხედავად იმისა, რომ მას ხარვეზები აქვს, გაიზარდა და იზრდება მთელი თაობები, რამდენადაც ის დღესაც მოქმედი სახელმძღვანელოა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

დ. კაპანაძის სამეცნიერო ინტერესების დიაპაზონი ძალიან ფართოა. იგი იკვლევდა როგორც ანტიკური, ასევე ფეოდალური ხანის ქართულ და საქართველოში გავრცელებულ უცხოურ მონეტებს. მის სახელთანაა დაკავშირებული ახალი სამონეტო ტიპების, ახალი სამონეტო ჯგუფებისა და არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ მოპოვებული ნუმიზმატიკური მასალის ჩართვა სამეცნიერო მიმოქცევაში. ასე, მაგალითად, მან გამოაქვეყნა კოლხური თეთრის იშვიათი ცალები, აკესის სტატერის მეორე ეგზემპლარი, ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სტატერების ტიპის უნიკალური ქართული მინაბაძები, საქართველოში აღმოჩენილი ავგუსტეს დენარებისა და რომაული აურეუსების იმიტაციები, მცხეთის, ბიჭვინტის, ზღუდერის და სხვა არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ მოპოვებული ნუმიზმატიკური მასალა, ჯაფარიდების თბილური დირჰემები, XI საუკუნის ბიზანტიურ ტიტულებიანი ქართული მონეტები, XIV-XV საუკუნეების ქართველი ფეოდალების – ვამიყ დადიანისა და ყვარყვარე ათაბაგის ფულები, XV საუკუნის ქართული მონეტების უზარმაზარი განძი გორიდან, და ა. შ. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ დ. კაპანაძის პუბლიკაციების წყალობით, რიგ შემთხვევებში, შეივსო ქართული ნუმიზმატიკის „თეთრი ლაქები".

ცხადია, დ. კაპანაძის როლი არ შემოიფარგლება მხოლოდ და მხოლოდ მასალის პუბლიკატორის როლით. პარალელურად იგი ახდენდა მის მეცნიერულ გააზრებას, ცდილობდა ახლებურად გადაეჭრა მთელი სამონეტო ჯგუფების გენეზისისა

და დათარიღება-ატრიბუციის საკითხები. უაღრესად საინტერესოა მისი მოსაზრებები, გამოთქმული ე. წ. კოლხური თეთრის თარიღებთან, მინაბაძების გენეზისთან, ჯაფარიდების გენეალოგიასთან, XV საუკუნის საქართველოში სამონეტო საქმესთან, ზარაფხანების ლოკალიზაციასთან და სხვ. მრავალ საკითხთან დაკავშირებით.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგის დევიდ მარშალ ლანგის მიერ 1955 წელს გამოცემული სპეციალური გამოკვლევა ქართული ნუმიზმატიკის შესახებ („ძიებანი საქართველოს ნუმიზმატიკის ისტორიიდან", ნიუ-იორკი, 1955., ინგლისურ ენაზე). ამ წიგნში მან გამოაქვეყნა აშშ-ს ნუმიზმატიკური ასოციაციის კოლექციის ქართული მონეტები და გადმოსცა სამონეტო საქმის ისტორია საქართველოში თითქმის 2500 წლის მანძილზე. ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ ამ მონოგრაფიის როლი ქართული მონეტების პოპულარიზაციის საქმეში ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ კიდევ ერთ უცხოელ სპეციალისტს – კონსტანტინე გოლენკოს. შეიძლება სრული საფუძვლით ითქვას, რომ კ. გოლენკო იყო თანამედროვე რუსული (საბჭოური) ნუმიზმატიკური სკოლის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მეტად გამოჩენილი მეცნიერი, რომელსაც, სხვა დამსახურებასთან ერთად, დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე ანტიკური ხანის საქართველოს ნუმიზმატიკური ძეგლების შესწავლის საქმეში. ამ მხრივ, პირველ რიგში, აღსანიშნავია მისი მონოგრაფია: „Денежное обращение Колхиды в римское время" (Л., 1964) და ვრცელი გამოკვლევა: „Заметки об обращении римской монеты в Закавказье" (ВДИ, 1971, № 4). ეს შრომები ყურადღებას იქცევს არა მარტო მასალის კვალიფიციური ატრიბუციით, არამედ რიგი სახელმძღვანელო დებულებებით და პრობლემებით.

კ. გოლენკოს დამსახურებაა დიოსკურიის სპილენძის საქალაქო მონეტების ზუსტი დათარიღება, არისტარქე კოლხის დრაქმების მონოგრაფიული შესწავლა, ფიჭვნარში აღმოჩენილი კოლხური და სინოპური მონეტების, აგრეთვე XIII საუკუნის ტრაპიზონული ასპრების ტობანიერის განძის მაღალ მეცნიერულ დონეზე პუბლიკაცია და სხვ.

ნაყოფიერად მოღვაწეობდა ქართული ნუმიზმატიკის სფეროში უფროსი თაობის კიდევ ერთი წარმომადგენელი თ. აბრამიშვილი. იგი წარმატებით მუშაობდა საქართველო-ბიზანტიის, საქართველო-პართიის ურთიერთობის საკითხებზე ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თითოეულ ამ საკითხს მან სტატიების სერია და ოთხი სპეციალური მონოგრაფია უძღვნა.

50-იანი წლების დასაწყისში და მეორე ნახევარში, ასევე 60-იანი წლების დასაწყისში ქართულ ნუმიზმატიკაში მოვიდა ახალი თაობა: ირ. ჯალაღანია, გ. დუნდუა, რ. ქებულაძე, მ. ანთაძე, უფრო მოგვიანებით – გ. ჯაფარიძე, თ. ქუთელია, ც. ღვაბერიძე, მ. წონელია, იზ. ცუხიშვილი, კიდევ უფრო გვიან – ს. შამბა, თ. დუნდუა და სხვ.

თ. ლომოურის მიერ წამოწყებულ სამეცნიერო კვლევის მიმართულებას უშუალოდ აგრძელებს ირინე ჯალაღანია – წარმატებით იკვლევს რა V-XIII საუკუნე-

ების ქართული ნუმიზმატიკის პრობლემებს. მან მონოგრაფიულად შეისწავლა სამონეტო საქმის ისტორია XIII საუკუნის საქართველოში, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა სასანური, სასანურ-ბიზანტიური, სასანურ-არაბული და არაბული მონეტების სრულიად ახალი განძები, პარალელურად მოახდინა უკვე ცნობილი განძების შემადგენლობაში შემავალი მონეტების ატრიბუცია ახალი სამეცნიერო ლიტერატურის შუქზე. მის მიერ გამოქვეყნებული ზოგიერთი განძი რამდენიმე ათასს ეგზემპლარს შეიცავს, მათ შორის იშვიათ და უნიკალურ ცალებსაც. 1979 წელს გამოქვეყნდა ირ. ჯალაღანიას შემაჯამებელი ნაშრომი: „Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв." (Тб.), სადაც განხილულია საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ვრცელი რეგიონის მრავალი კარდინალური ასპექტი, საქართველოში უცხოური მონეტების ცირკულაციის საკითხები V-XIII საუკუნეებში.

1964 წელს გამოქვეყნდა გიორგი დუნდუას მონოგრაფია „სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში", სადაც პირველად ქართული ნუმიზმატიკის ისტორიაში რეალიზებულია ივ. ჯავახიშვილის ის მეთოდოლოგიური მითითება, რომლის შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ. წიგნი შედგება სამი ნაწილისაგან: თეორიული (წყაროების მიმოხილვა), აღწერილობითი (მონეტების აღწერა – ატრიბუცია როგორც ქართული, ასევე XV საუკუნის საქართველოს სამონეტო ცირკულაციაში ჩართული უცხოური მონეტებისა) და შედარებითი (სადაც მოცემულია წერილობითი წყაროებისა და ფაქტობრივი მასალის მონაცემების ურთიერთშეჯერება). გარდა ამისა, მონოგრაფიის შესავალში დასახულია ქართული ნუმიზმატიკის განვითარების შემდგომი ამოცანებისა და გზების ძიების ცდები. „ე. პახომოვისა და დ. კაპანაძის ზოგადი ხასიათის შრომების შემდეგ, – ნათქვამია მონოგრაფიაში, – საჭირო ხდება ქართული ნუმიზმატიკის დიფერენცირებული შესწავლა პერიოდებად, საუკუნეების მიხედვით შესწავლა. მაგრამ უკუგდებული უნდა იქნეს ამა თუ იმ პერიოდის ქართული მონეტების იზოლირებული განხილვის ცდები. აუცილებელია პარალელურად შეისწავლოს სინქრონულ ხანებში საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული უცხოური საფასეებიც. ეს ერთად თავმოყრილი ნუმიზმატიკური მასალა უნდა შეჯერდეს წყაროების ცნობებთან და არქეოლოგიური კვლევის შედეგებთან. უნდა მოხდეს საქართველოს ტერიტორიის დაყოფა „ნუმიზმატიკურ პროვინციებად", ე. ი. პერიოდების მიხედვით უნდა შეიქმნას საქართველოს ისტორიულ-ნუმიზმატიკური გეოგრაფია, რომ წარმოდგენა გვქონდეს გარკვეულ ხანებში საქართველოს ესა თუ ის კუთხე რომელი ქვეყნის მონეტებით იკვებებოდა. ამის შემდეგ კი უნდა გაირკვეს სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობანი გარე სამყაროსთან და სავაჭრო-სატრანზიტო გზების საკითხი". ეს ვრცელი ამონაწერი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ თითქმის ყველა ნაშრომი ქართველი ნუმიზმატებისა, რომელიც ამ წიგნის შემდგომაა გამოცემული, სწორედ ამ პრინციპებს ემყარება, ის ერთგვარ პროგრამად იქცა.

ადრეფეოდალური ხანის ქართული მონეტების, კერძოდ, VI საუკუნის ქართლის ერისმთავრების დრაქმების პრობლემის გაშუქებას ეძღვნება გ. დუნდუას მონოგრაფიული გამოკვლევა „ე. წ. ქართულ-სასანური მონეტების პრობლემა და ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის საკითხები". აქ, პირველად ქართული ნუმიზმატიკური მეცნიერების ისტორიაში, დადგენილია ქართლის ერისმთავრების დრაქმების ემისიის ზუსტი ქრონოლოგიური ჩარჩოები, რომ სტეფანოს II-ს არასოდეს არ მოუჭრია მონეტა, რომ ამ სახელით გამოშვებული დრაქმების ერთად-ერთი ავტორი სტეფანოს I-ია. ამასთანავე ხაზგასმულია ამ დიდი პიროვნების ღვაწლი ეროვნულ-გამანთავისუფლებელ მოძრაობაში სპარსელების წინააღმდეგ, რაც გამოიხატა თუნდაც მონეტებზე ჯვრის მოთავსებით, ქართული ხუროთმოძღვრების სიამაყის – მცხეთის ჯვრის მონასტრის მშენებლობაში. ასევე ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ქართული წყაროები აშკარად ტენდენციურია, როდესაც სტეფანოს I-ის ურწმუნოებასა და „ღვთის უშიშობაზე" წერენ.

მაგრამ გ. დუნდუას ინტერესების სფერო ძირითადად მაინც ანტიკური პერიოდის ქართული ნუმიზმატიკის პრობლემატიკით შემოიფარგლება. ამ კუთხით მან გამოაქვეყნა ბიჭვინტისა და ვანის არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ მოპოვებული მდიდარი ნუმიზმატიკური მასალა, რამაც საშუალება მისცა მას წამოეყენებინა სრულებით ორიგინალური დებულება ქალაქ ტრაპეზუნტის II-III საუკუნეების სპილენძის საქალაქო მონეტების ქართველური სამყაროსადმი მიკუთვნებებისა და ჰიპოთეზა ძვ. წ. I საუკუნეში ვანში სპილენძის ანონიმური მონეტების ემისიის შესაძლებლობების შესახებ. მან მონოგრაფიულად შეისწავლა „დიდი მცხეთის" ნუმიზმატიკური ძეგლები; სეფიეთისა და ეკის რომაული მონეტების განძები; გამოსცა ვრცელი მონოგრაფია „Нумизматика античной Грузии", Тб., 1987, სადაც მეტნაკლები სიღრმით გაშუქებულია კოლხური თეთრის გენეზისისა და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ბერძნული კოლონიზაციის პრობლემა, დასაბუთებულია, რომ კოლხური თეთრის ემისიის ემიტენტი არის ფასისი – ბერძნული პოლისი, შედგენილია კოლხეთსა და იბერიაში მოჭრილი ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სტატერების ტიპის მინაბაძების სრული მეცნიერული კატალოგი, განხილულია მათი წარმოშობისა და თარიღის საკითხები, გადათარიღებულია ე. წ. აკას სტატერი, დიდი ადგილი აქვს დათმობილი კოლხური პანთეონის შესწავლას ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, კოლხეთისა და იბერიის პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის ასპექტებს ძვ. წ. VI – ახ. წ. IV საუკუნეების მანძილზე გარე სამყაროსთან სამონეტო მონაცემების მიხედვით და სხვ.

საქართველო-ევროპის ურთიერთობა ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით XV-XVIII საუკუნეებში, პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში, სპეციალურად გამოიკვლია რევაზ ქებულაძემ. გარდა ამისა, მან რამდენიმე სტატია მიუძღვნა აგრეთვე ე. წ. ქართულ-ბიზანტიურ მონეტებსაც.

საქართველოს და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით შესწავლილი აქვს მერი ანთაძეს, ხოლო საქართველოსა და სეფიანთა ირანის ურთიერთობა XVI-XVIII საუკუნეებში – თინათინ ქუთელიას.

წარმატებით მუშაობს საქართველოსა და ილხანთა ირანის და საქართველოსა და ჯელაირთა სახელმწიფოსთან კავშირების გაშუქების მიზნით ციალა ღვაბერიძე. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ც. ღვაბერიძემ დაადგინა ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე XIV საუკუნეში სრულებით ახალი ზარაფხანის – ყარჯინის ფუნქციონირების ფაქტი, სადაც ქართველი მეფეები ილხანების სახელით აწარმოებდნენ სამონეტო ემისიას.

ნაყოფიერად მუშაობს არაბული ნუმიზმატიკისა და არაბულ-ქართული მეტროლოგიის საკითხებზე გოჩა ჯაფარიძე. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია მისი მონოგრაფია „ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან" (თბ., 1973 წ.). სპეციალური გამოკვლევა უძღვნა გ. ჯაფარიძემ აბასიანთა სახალიფოს ზარაფხანების დადგენის და ლოკალიზაციის საკითხს. უაღრესად მაღალ მეცნიერულ დონეზეა შესრულებული ავტორის შრომები, რომლებიც ამიერკავკასიისა და, კერძოდ, საქართველოში ოქროს მონეტების ცირკულაციას ეხება. მათ შორის მაინც საგანგებოდაა გამოსაყოფი „ოქროს მონეტის ტერმინოლოგია XI-XIII საუკუნეების საქართველოში" („მაცნე", ისტორიის... სერია, 1976, № 3).

გარდა ამისა, გ. ჯაფარიძემ მონოგრაფიულად შეისწავლა თბილისის ამირა ალი იბნ ჯაფარის მონეტები, დაადგინა თამარ მეფის გარდაცვალების, ჩვენი აზრით, ჭეშმარიტი თარიღი – 1210 წელი (თ. ნატროშვილთან თანაავტორობით).

IV-XII საუკუნეებში ბიზანტია-დასავლეთ საქართველოს ურთიერთობების ასპექტებს მონეტების მიხედვით იკვლევს იზოლდა ცუხიშვილი.

აფხაზეთის სამონეტო ცირკულაციაში ჩართული ძვ. წ. V – ახ. წ. XIII საუკუნეების ადგილობრივი და უცხოური მონეტები მონოგრაფიულად შეისწავლა სერგეი შამბამ.

სამონეტო მიმოქცევის საკითხები აჭარის ტერიტორიაზე I საუკუნიდან 1453 წლამდე სპეციალურად გააშუქა ირინე ვარშალომიძემ.

აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის სასანური მონეტების კატალოგი გამოსცა მედეა წოწელიამ.

90-იან წლებში გამოქვეყნდა თედო დუნდუას მონოგრაფიები: „კოლხეთი, იბერია და პონტოს სამეფო ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით" (თბ., 1993), „საქართველო და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით" (თბ., 1995), „ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით (ძვ. წ. VI ს. – 1453 წ.)" (თბ., 1997) და რიგი სტატიებისა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ავტორის შრომები სავსეა ნოვაციებით, ეს არაა ნუმიზმატიკური გამოკვლევები ტრადიციული გაგებით, არამედ სამონეტო მონაცემებზე დაყრდნობით საქართველოსა და დასავლური სამყაროს კავშირურთიერთობის ისტორიის მნიშვნელოვანი პრობლემების უაღრესად ორიგინალური (ზოგიერთ

შემთხვევაში სადისკუსიოც) გაშუქების ცდა. კონკრეტული ნუმიზმატიკური კვლევის შედეგები, წერილობითი წყაროების მონაცემების ფართო გამოყენება და ახალი მეთოდის – ციკლური დიალექტიკის დანერგვა ქართულ ისტორიოგრაფიაში, საშუალებას აძლევს მკვლევარს გლობალური ისტორიული საკითხების დასმისა და თავისებური ინტერპრეტაციისათვის.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ავტორთა კოლექტივმა (ი. გაგოშიძე, მ. ანთაძე, ც. ღვაბერიძე, მ. ნოწელია, თ. ქუთელია, მ. შეროზია) გამოსცა ვრცელი ნაშრომი ქართულ და ინგლისურ ენებზე, „ფული საქართველოში", რომლის მეორე გადამუშავებული ვარიანტი (ავტორები: თ. დუნდუა, გ. დუნდუა, ნ. ჯავახიშვილი, ა. ერისთავი) დაიბეჭდა 2003 წელს.

ასეთია ზოგად ხაზებში ქართული ნუმიზმატიკური მეცნიერების განვითარების ეტაპები ორ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე. ამ პერიოდში პრობლემის გარშემო ქართულ, რუსულ და ევროპულ ენებზე დაახლოებით სამი ათეული მონოგრაფია და 250-ზე მეტი სამეცნიერო წერილია გამოქვეყნებული. ამდენად, ქართული ნუმიზმატიკური მეცნიერების მიღწევები დღეისათვის საყოველთაოდაა ცნობილი არა მარტო ჩვენი ქვეყნის ფარგლებში, არამედ ახლო და შორეულ საზღვარგარეთაც.

კოლხური თეთრი

საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი მონეტა მოიჭრა ძვ. წ. VI საუკუნის დასასრულს. ვერცხლის ეს მონეტები სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია „კოლხური თეთრის" სახელწოდებით. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთი ტერმინი წყაროებში არ იხსენიება (და არც შეიძლება იხსენიებოდეს), ის მეცნიერების მიერ შერქმეული ტერმინია, ვინაიდან ეს სამონეტო ჯგუფი ფართოდ იყო გავრცელებული თანამედროვე დასავლეთ საქართველოს ფარგლებში (ე. ი. ისტორიული კოლხეთის მიწა-წყალზე) და, იშვიათი გამონაკლისის გარდა, თითქმის არ გვხვდება მის საზღვრებს გარეთ. აქედან მისი რუსული სახელწოდება „Колхидки" და ქართული შესატყვისი – კოლხური თეთრი.

კოლხური თეთრის პრობლემა ერთგვარ „გორდიოსის კვანძს" წარმოადგენს ქართული ნუმიზმატიკური მეცნიერებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ მის შესახებ ბევრი რამ დაწერილა, დღეისათვის მასთან დაკავშირებული საკითხები არ შეიძლება ჩაითვალოს საბოლოოდ გადაწყვეტილად. ეს, უპირველეს ყოვლისა, კოლხური თეთრის ანეპიგრაფიული ხასიათითაა გამოწვეული (ე. ი. მონეტები უწარწერია). წერილობითი წყაროებიც არაფერს გვაუწყებს კოლხეთის სამონეტო საქმის შესახებ. დაბოლოს, კოლხური თეთრის ემისიის პრეტენდენტებად თანაბარი უფლებებით შეიძლება ჩაითვალოს კოლხეთის სამეფო და შავი ზღვის სანაპიროზე არსებული ქალაქები (მაგ., ფაზისი, თანამედროვე ფოთი). ნათქვამი ცხადყოფს, რომ კოლხური თეთრის პრობლემა შორს სცილდება ერთი სამონეტო ჯგუფის ატრიბუციის ფარგლებს და მჭიდროდაა დაკავშირებული კოლხეთში სახელმწიფოს კონსოლიდაციისა და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ბერძნული კოლონიზაციის საკითხებთან.

კოლხური თეთრის რამდენიმე ტიპი (სამონეტო ტიპი მონეტაზე მოცემული გამოსახულებაა) და ნომინალია (ფულის ერთეული) ჩვენამდე მოღწეული. მათ შორის უდიდესია ე. წ. ტეტრადრაქმა (ოთხდრაქმიანი). მაგრამ მონეტების აღწერას ვიწყებთ მცირე ნომინალიდან, მეორე ტიპის ნახევარდრაქმიდან (ტრიობოლი), ვინაიდან ისინი ათასობითაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოს საზღვრებში (ამდენად მათი კოლხური გენეზისი არავითარ ეჭვს არ იწვევს) და სწორედ მათი საშუალებით მოხდა დანარჩენი კოლხური მონეტების უმრავლესობის წარმომავლობის დადგენა. საქმე ის გახლავთ, რომ ტიპოლოგიურად ისინი უკავშირდება სხვა ნომინალებს. ტერმინი „კოლხური თეთრი" თავდაპირველად სწორედ ამ მონეტებს აღნიშნავდა (ტაბ. I, №№ 6-7).

1. **შუბლი** – ხაზოვან ან წერტილოვან რკალში ჩასმული მარჯვნივ (ზოგიერთ შემთხვევაში მარცხნივ) მიმართული ადამიანის თავი (შემორჩენილია ცალები, რომლებზედაც ამ გამოსახულებას გრძელი, მხრებზე დაყრილი თმები აქვს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქმე რომელილაც ქალღმერთის იკონოგრაფიასთან გვაქვს. გამოთქმა „ადამიანის თავი" – პირობითია).

ზურგი – ასევე მარჯვნივ მიმართული ხარის თავი, რომელიც ხაზოვან რკალშია ჩასმული.

ამ მონეტების წონითი რემედიუმი საგრძნობ გადახრებს იძლევა: 1,2-2,6 გრ.

მეორე ტიპის კოლხური ნახევარდრაქმების დათარიღების საკითხში ერთსულოვნება არ სუფევს. ალბათ, უფრო მისაღებია მათი მოჭრის თარიღად ძვ. წ. V-III საუკუნეები ვივარაუდოთ, რადგან ისინი სწორედ ამ პერიოდის სამარხებში გვხვდება. გარდა ამისა, იშვიათ შემთხვევაში, მაგრამ მაინც, ეს მონეტები აღმოჩნდა კარგად დათარიღებულ უცხო ქვეყნის საფასეებთან ერთად, რაც ამაგრებს ზემოთ დასახელებულ თარიღს.

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, კოლხური თეთრის აბსოლუტური უმრავლესობა ანეპიგრაფიულია, მაგრამ უმნიშვნელო რაოდენობაზე მაინც გვხვდება ბერძნული ასო-ნიშნები: ΜΟ/ΣΟ? Φ, Α, Ο? Ε, Π, Δ. მათი მნიშვნელობის გახსნა დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული.

დავუბრუნდეთ კოლხური თეთრის დიდ ნომინალს, ე. წ. ტეტრადრაქმას. მისი აღწერილობა ასეთია:

2. **შუბლი** – იშვიათი ხელოვნებით შესრულებული დაღრენილი ლომის თავის გამოსახულება მარცხნივ.

ზურგი – ჩაქდეულ კვადრატში (ე. წ. კვადრატუმ ინკუზუმში) მოთავსებული ფრთოსანი რაშის პროტომა (ანუ წინა ნაწილი) მარჯვნივ (სამონეტო ტიპისთვის იხ. ტაბ. I, № 1). (კვადრატუმ ინკუზუმი ტექნიკური დანიშნულების დეტალია, რომლის ფუნქცია მდგომარეობდა იმაში, რომ ჩაქუჩის დარტყმის დროს მონეტის ნამზადი სიქიდან არ ამოვარდნილიყო).

ეს მონეტა გამოქვეყნებული იყო ჯერ კიდევ 1907 წელს და გამომცემლის მიერ ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე, დაკავშირებული კუნძულ ლესბოსთან (მდებარეობს ეგეოსის ზღვაში, საბერძნეთი). ამჟამად ეს ცალი ინახება ჰააგის მუზეუმში.

1949 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კუთვნილი იდენტური მონეტა გამოსცა პროფ. დ. კაპანაძემ, ხოლო 1957 წელს ბრიტანეთის მუზეუმში დაცული ანალოგიური ცალი ინგლისელმა ქართველოლოგმა დ. ლანგმა.

სამივე მონეტა უპასპორტოა. ეს ართულებს მათი წარმომავლობის საკითხის გარკვევას. მიუხედავად ამისა, დ. კაპანაძემ სტილისტური, ფაქტურული და ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე ისინი კოლხურ მონეტათა ჯგუფს მიაკუთვნა. დ. კაპანაძის აზრი დღეისათვის სავსებით გაზიარებულია. მართლაც, სრულიად უდავოა ტეტრადრაქმის შუბლზე გამოსახული ლომის თავის გამოსახულების

იდენტურობა დანარჩენი კოლხური მონეტების (რომელთა კოლხური წარმოშობა ეჭვსგარეშეა) იკონოგრაფიასთან. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რევერსის გამოსახულება (ფრთოსანი რაშის პროტომა) ანალოგიის გარეშეა.

დ. კაპანაძემ ამ ცალებს ტეტრადრაქმა უწოდა. მათი წონითი მაჩვენებელი ასეთია: ჰააგის ცალი იწონის 10,40 გრამს, ბრიტანეთისა – 12,72 გრამს, ხოლო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა – 13 გრამს. კოლხური დიდრაქმების (ორდრაქმიანების) საშუალო წონა მერყეობს 8,99-9,90 გრამებში. ტეტრადრაქმა დიდრაქმაზე ორჯერ მეტი უნდა იყოს. აქ ეს შეფარდება დარღვეულია. როგორც ჩანს, აქ საქმე გვაქვს უაღრესად შემცირებული წონის მქონე ნომინალთან.

ე. წ. ტეტრადრაქმების ზუსტი დათარიღება ძალიან ჭირს, ვინაიდან ისინი არ აღმოჩენილა კარგად დათარიღებულ არქეოლოგიურ თუ სამონეტო კომპლექსებში. მაგრამ მათი შედარების გზით სხვა ცენტრების არქაულ მონეტებთან, სტილისტური, ტიპოლოგიური და ფაქტურული ანალიზის საშუალებით სავსებით შესაძლებელია მათი მიკუთვნება ძვ. წ. VI საუკუნის დასასრულისათვის.

შემდეგ მოდის დიდრაქმების რიგი (სამი ტიპისა), რომელთა შორის ყველაზე ადრეულია მწოლიარე ლომის გამოსახულებიანი მონეტა. მათი მსოფლიო მარაგი 9 ცალით განისაზღვრება; სამი დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ორი – ერმიტაჟში (სანკტ-პეტერბურგი), თითო-თითო ცალი ქუთაისის, ბერლინის, ბრიტანეთისა და ბოსტონის მუზეუმებში. ვიძლევით მათ სანიმუშო აღწერილობას:

> 3. **შუბლი** – მწოლიარე ჰერმაფროდიტი ლომის (ხვადის ფაფარითა და ძუს ძუძუებით) გამოსახულება მარჯვნივ, რომელსაც თავი უკან აქვს მიბრუნებული.
>
> **ზურგი** – ჩაქდეულ სწორკუთხედში მოთავსებული მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი ქალის (აშკარად შეიმჩნევა მკერდის მოხაზულობა) ფიგურა მარჯვნივ. მარჯვენა ხელი ჩამოშვებული აქვს ბარძაყის გასწვრივ. ყელთან შეიმჩნევა ნაოჭები (ყელსაბამი? ნიღაბი?).

ამ აღწერილობისაგან სხვა ცალები ვარიანტული სახეცვლილებებით გამოირჩევა, მაგრამ სტანდარტი ერთია (სამონეტო ტიპისთვის იხ. ტაბ. I, № 2).

აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ შემდეგ გარემოებას: თუკი პირველი ტიპის კოლხური დიდრაქმის შუბლის გამოსახულებას (მწოლიარე ლომი) პირდაპირი ანალოგია გააჩნია ქ. მილეტის (მდებარეობს მცირე აზიაში და ითვლება ფაზისის მეტროპოლიად) ნუმიზმატიკაში, ზურგის გამოსახულება (ხარისთავიანი დაჩოქილი ადამიანი) უნიკალურია, მას პარალელები არ გააჩნია.

რა საბუთი არსებობს ამ მონეტების კოლხური წარმოშობის სასარგებლოდ? საქმე ისაა, რომ ზემოთ მოხსენიებული ცხრა მონეტიდან ხუთი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეა ნაპოვნი, ხოლო ხუთიდან სამი აღმოჩენილია ფოთისა და ახალსოფლის (ზუგდიდის რ-ნი) კოლხური მონეტების განძებში. გარდა ამისა, ყუ-

რადღებას იქცევს ასეთი მომენტიც: დასავლეთ საქართველოს ფარგლებში ათასობითაა აღმოჩენილი ხარისთავის გამოსახულებიანი მცირე ზომის მონეტები (მეორე ტიპის ნახევარდრაქმა №1), რომელთა კოლხური გენეზისი ყოველგვარი ეჭვის გარეშეა. ამ მონეტებზე გამოსახული ხარის თავი კი მსგავსია იმ ფანტასტიური არსების ხარის თავისა, რომელიც პირველი ტიპის დიდრაქმაზეა გამოსახული.

პირველი ტიპის კოლხური დიდრაქმის დასათარიღებლად მეცნიერებას მტკიცე კრიტერიუმი არ გააჩნია, მაგრამ ანალოგიების, სტილისტური და ფაქტურული ანალიზის საშუალებით შეიძლება ითქვას, რომ ისინი უნდა მიეკუთვნოს ძვ. წ. VI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედს.

მეორე ტიპის კოლხური დიდრაქმის აღწერილობა ასეთია:

4. **შუბლი** – ხაზოვან რკალში ჩასმული ადამიანის (ღვთაების) თავის პროფილი მარჯვნივ (ზუსტად ისეთი, როგორც მეორე ტიპის ნახევარდრაქმაზე. იხ. №1).

ზურგი – ჩაჭდეულ კვადრატში ერთმანეთის საპირისპიროდ ადამიანის ისეთივე თავები, როგორც მონეტის შუბლზეა გამოსახული (სამონეტის ტიპისთვის იხ. ტაბ. I, №3).

ამ მონეტების კოლხური წარმოშობის საკითხი სრულიად უდავოა. ტიპოლოგიურად ისინი ძალიან ახლოს დგას ჩვეულებრივი ტიპის კოლხურ მონეტებთან: მათზე ამოტვიფრული ადამიანის თავების პროფილი იდენტურია. ამას გარდა, მათი ერთი ნაწილი აღმოჩენილია სხვა კოლხურ მონეტებთან ერთად განძებში (ფოთსა და ახალსოფელში).

ეს მონეტებიც ძალიან იშვიათია: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულია 7 ცალის რაოდენობით, ქუთაისში – 2, ერმიტაჟში – 1, აშშ ნუმიზმატიკური ასოციაციის კოლექციაში – 1. გარდა ამისა, კიდევ რამდენიმე ეგზემპლარი ცნობილია ლიტერატურიდან.

მეორე ტიპის დიდრაქმა ძვ. წ. V საუკუნის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს.

1959 წელს ჩეხმა მეცნიერმა ევგენი პოხიტონოვმა გამოაქვეყნა კოლხური დიდრაქმის ახალი ტიპი (მესამე), რომელიც თურმე 1910 წელს ფოთში აღმოჩენილი კოლხური მონეტების განძის შემადგენლობაში შედიოდა. მას ასეთი სახე აქვს:

5. **შუბლი** – ხაზოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავის პროფილი მარჯვნივ (ისეთივე, როგორც II ტიპის დიდრაქმაზე. № 4).

ზურგი – ორი ხარის გამოსახულება ერთმანეთის საპირისპიროდ ჩაჭდეულ კვადრატებში (ხარები იდენტურია კოლხურ ნახევარდრაქმაზე გამოსახული ხარისა. № 1).

ეს უნიკალური მონეტა ამჟამად დაკარგულია. ევგ. პოხიტონოვს შემორჩენილი ჰქონია მისი ჩანახატი, რომელიც მან დ. კაპანაძეს გამოუგზავნა. ევგ. პოხიტონოვი მას მეორე ტიპის დიდრაქმის სინქრონულად მიიჩნევდა.

შემდეგში ნომინალი – ე. წ. დრაქმა, წარმოდგენილია ერთი ცალით. იგი ქუთაისის მუზეუმის კუთვნილებაა. წონა – 5,52 გრამია.

6. **შუბლი** – ლომის თავის გამოსახულება პირდაპირ.

ზურგი – ჩაქდეულ კვადრატში მოთავსებული მარჯვნივ მიმართული ხარის თავი (ტაბ. I, № 4).

მონეტა უპასპორტოა. მიუხედავად ამისა, ა. ზოგრაფმა ტიპოლოგიური მსგავსების საფუძველზე შესაძლებლად მიიჩნია მისი შეტანა კოლხეთის ნუმიზმატიკური ძეგლების რიცხვში. ეს აზრი ამჟამად დამკვიდრებულად ითვლება სამეცნიერო ლიტერატურაში. ძნელია მსჯელობა იმის შესახებ, თუ რამდენად მართებულია ერთადერთი და ისიც უპასპორტო მონეტის მიკუთვნება ამა თუ იმ ქვეყნის ნუმიზმატიკური მემკვიდრეობისათვის მარტოოდენ ტიპოლოგიური მსგავსების საფუძველზე, მით უმეტეს, რომ დრაქმაზე ამოტვიფრული ლომის თავი an face პარალელს ვერ პოულობს დანარჩენ კოლხურ მონეტებს შორის. მონეტის ნომინალის დადგენა და დათარიღება ძვ. წ. V საუკუნით (კვადრატუმ ინკუზუმის მიხედვით) ეკუთვნის დ. კაპანაძეს.

გარდა მსხვილი ნომინალებისა, როგორც აღვნიშნეთ, იჭრებოდა აგრეთვე კოლხური თეთრის მცირე ნომინალებიც, კერძოდ, ნახევარდაქმები ანუ ტრიობოლები. მეორე ტიპის ნახევარდაქმა ჩვენ უკვე აღვწერეთ (№ 1). რაც შეეხება პირველი ტიპის ნახევარდრაქმებს (რემედიუმი – 1,7-2,6 გრ.), ისინი ძალიან იშვიათია. მათი მსოფლიო მარაგი ოთხი ცალით განისაზღვრება. ამასთანავე, ყველა მათგანი საქართველოშია მიკვლეული (ახალსოფელსა და ქობულეთში).

7. **შუბლი** – დაღრენილი ლომის თავის მარჯვენა პროფილი (ქობულეთში აღმოჩენილ მონეტაზე ლომის თავი მარცხნივაა მიმართული).

ზურგი – ჩაქდეულ კვადრატში მოთავსებული მარჯვნივ მიმართული ძუ ლომის პროტომა (ტაბ. I, № 5).

სხვა ქვეყნების პარალელების საფუძველზე შეიძლება მათი დათარიღება ძვ. წ. VI-V საუკუნეებით.

დაბოლოს, უნდა შევჩერდეთ უიშვიათეს მონეტებზე, რომლებსაც მიაკვლია ფიქვნარის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი პროფ. ამირან კახიძე) 1968 წელს ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევრის სამარხში. ესენია სამი ერთტიპური ვერცხლის წვრილი მონეტა, რომელთა გაზომვა პრაქტიკულად თითქმის შეუძლებელია. ისინი ჭურჭელში რომ არ ყოფილიყო მოთავსებული, ალბათ, სამუდამოდ დაიკარგებოდა მეცნიერებისათვის, რადგან მათი პოვნა, თუნდაც უაღრესად სკრუპულოზური პრეპარაციის დროს, ძნელი წარმოსადგენია. მონეტების აღწერილობა ასეთია:

8. **შუბლი** – მარჯვნივ მიმართული ადამიანის თავის გამოსახულება (იდენტური მეორე ტიპის კოლხურ ნახევარდრაქმაზე ამოკვეთილი პროფილისა. №1).

ზურგი – მარჯვნივ მიმართული რომელიღაც ფრინველი, რომელიც თავის მაღალი ფეხების გამო შეიძლება წეროთა ოჯახის ჯგუფს მივაკუთვნოთ.

ამ მონეტებს ჩვენ უყოყმანოდ კოლხურ მონეტათა რიცხვს ვაკუთვნებთ. გარდა შუბლის გამოსახულებათა იდენტურობისა, ამაზე მიუთითებს მათი სტილი, ფაქტურა და უნიკალობაც. ვერც ერთ პუბლიკაციაში ანალოგიები ვერ დავძებნეთ. ამრიგად, ფიქვნარში მიკვლეულ იქნა კოლხური თეთრის ახალი ტიპი და არათუ ახალი ტიპი, არამედ ახალი ნომინალიც. მათი წონა უდრის 0,150, 0,111 და 0,110 გრამს. ე. ი. ეს ნომინალი დრაქმის 1/24 ნაწილზე (ტეტარტემორიონზე) უკნინესია და, შესაძლებელია, პირობით ჰემიტეტარტემორიონი (დრაქმის 1/48 ნაწილი) ვუწოდოთ.

ასეთია დღემდე ცნობილი კოლხური მონეტების აღწერილობა.

ყველაზე რთული პრობლემა, რომელიც ამ მონეტების ატრიბუციასთანაა დაკავშირებული, გახლავთ მათი გენეზისის საკითხი.

ზემოთ აღწერილ მონეტებს მეცნიერთა უმრავლესობა კოლხეთის სამეფოს უკავშირებს. ამ დებულების სასარგებლოდ მათ საბუთების მთელი სერია მოჰყავთ, რომელთა შორის უმთავრესია კოლხური თეთრის გავრცელების არეალი. ეს მონეტები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოში (უმეტესწილად შიდა რაიონებში) და, უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, არ გადის მის ფარგლებს გარეთ. ეს ძალიან სერიოზული არგუმენტია, მაგრამ იმავე საბუთით შეიძლება იმის მტკიცებაც, რომ ამ მონეტებს ჭრიდა ქ. ფაზისი (რომელიც, სხვათა შორის, კოლხეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა) ადგილობრივ მოსახლეობასთან სავაჭროდ. ჩვენი აზრით, როგორც არ უნდა გადაწყდეს კოლხური თეთრის წარმომავლობის საკითხი, ერთი უდავოა: ეს მონეტები იჭრება ადგილობრივი მოსახლეობის, ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. აქედან ცხადია, რომ კოლხეთი ამ დროს სახელმწიფოებრივი წარმონაქმნია, ხოლო მისი მოსახლეობა ადრეკლასობრივი საზოგადოებაა.

ერთ-ერთ არგუმენტად ამ მონეტების სამეფოსათვის მიკუთვნების სასარგებლოდ წამოყენებულია მოსაზრება, რომლის თანახმადაც კოლხურ თეთრზე ამოტვიფრული გამოსახულებანი, კერძოდ, ადამიანის თავისა და ხარის გამოსახულება, დაკავშირებულია ადგილობრივ ღვთაებებთან. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ კოლხური თეთრის გენეზისის გასარკვევად ჩვენ გადამწყვეტ, ძირითად გზად სწორედ მათზე ამოკვეთილ გამოსახულებათა სემანტიკური მნიშვნელობის გახსნა მიგვაჩნია. თუკი მეცნიერება შეძლებს დაამტკიცოს ამ გამოსახულებათა კავშირი ქართველური ან ბერძნული სამყაროს პანთეონთან, კოლხური თეთრის წარმოშობის საკითხიც წარმატებით იქნება გადაჭრილი. მაგრამ საკითხის სირთულის გამო, ამ მხრივ ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული. ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ გადმოვცეთ რამდენიმე ისტორიულ მომენტი ფაზისისა და მილეტის ურთიერთობიდან.

1. ანტიკური ტრადიცია და წყაროთა ერთი ნაწილი ფაზისის (თანამედროვე ფოთი) დაარსებას მიაწერს მილეტიდან გამოსულ კოლონისტებს და მას „ელინურ ქალაქს" უწოდებს. ახ. წ. I საუკუნის I ნახევრის მწერალი პომპონიუს მელა კოლონისტთა წინამძღოლსაც კი ასახელებს – თემისტაგორას.
2. ცნობილია, რომ მილეტის მთავარი ღვთაება იყო აპოლონი (ეს მრავალსახა ღვთაებაა, მაგრამ ამჯერად ჩვენთვის ისაა მნიშვნელოვანი, რომ იგი აღიარებულია გზების, მგზავრებისა და მეზღვაურების მფარველად და აგრეთვე მზის სხივის ღვთაებად). ისიც ცნობილია და დავას არ იწვევს, რომ კოლონიას თავის დამაარსებელ ქალაქთან აკავშირებდა რელიგიური კულტი; კოლონიაში იგივე ღვათებას სცემდნენ თაყვანს, როგორსაც მეტროპოლიაში.
3. 1899 წელს მდ. ყუბანის ნაპირას ხუტორ ზუბოვკაში აღმოჩნდა ვერცხლის თასი წარწერით: „აპოლონ-წინამძღოლისა ვარ, რომელიც ფაზისში არის". წარწერა თარიღდება ძვ. წ. V საუკუნით დასასრულით, ან IV საუკუნის დასაწყისით. ამის საფუძველზე ყველა მკვლევარი ერთხმად აღიარებს, რომ ფაზისში არსებობდა აპოლონის ტაძარი ან სამლოცველო და ეს ნივთი მისთვის იყო შეწირული. ამრიგად, ფაზისში, ისევე როგორც ყველა თავის კოლონიაში, მილეტელებს გადმოუტანიათ და დაუნერგავთ აპოლონის კულტი. განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ ფაზისში აპოლონ-წინამძღოლის-ჰეგემონის ტაძარი იყო, ე. ი. სწორედ კოლონისტების კულტი იყო გადმოტანილი.
4. ჩვენამდე მოღწეულია ძვ. წ. IV საუკუნის მოღვაწის არისტოტელეს, ან მისი უახლოესი მოწაფის ნაწარმოების ფრაგმენტები – „პოლიტიები". მათ შორის XVIII ფრაგმენტი არის „ფაზისელთა პოლიტია", ე. ი. ფაზისელთა სახელმწიფო წყობილება. აქ ის წერს, რომ ადრე ფაზისში ჰენიოხები ცხოვრობდნენო, ახლა კი – მილეტელებიო. ამრიგად, არისტოტელეს ცნობით მტკიცდება, რომ ძვ. წ. IV საუკუნეში ფაზისი გარკვეული პოლიტიკური ერთეულია, აქვს თავისი სახელმწიფოებრივი წყობილება და იქ მილეტელებიც ცხოვრობენ.
5. ლომი მილეტის სახელმწიფოებრივი ემბლემაა და გამოსახულია მის მონეტებზე. ლომის მოტივი ძალიან ხშირია ბერძნულ ნუმიზმატიკაში და მას სხვადასხვა გეოგრაფიულ პუნქტში განსხვავებული ფუნქციები აკისრია. მაგრამ მილეტის ნუმიზმატიკაში, როგორც ამას სპეციალისტები ერთხმად აღიარებენ, ის ყოველგვარი ეჭვის გარეშე დაკავშირებულია აპოლონის კულტთან. გარდა ამისა, იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ მილეტის კოლონიების მონეტებზე ყველგან ლომია გამოსახული (მაგ., პანტიკაპეიონის – თანამედროვე ქერჩის – მონეტებზე).
6. პირველი ტიპის კოლხურ დიდრაქმაზე გამოსახული ლომი (№ 3), როგორც ეს არაერთგზისაა აღნიშნული სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში, ყველა დეტალში იმეორებს მილეტურ მონეტაზე ამოტვიფრულ ლომს. მათი იდენტურია

აგრეთვე კოლხურ ტეტრადრაქმაზე (№ 2) და პირველი ტიპის ნახევარდრაქმაზე (№ 7) ამოკვეთილი ლომის თავები.

ზემოთ მოტანილი არგუმენტები იძლევა საფუძველს, რომ ლომის გამოსახულებიანი კოლხური თეთრის ემისია ფაზისის ზარაფხანას მივაკუთვნოთ.

ამაზე მიუთითებს აგრეთვე კოლხური მონეტების ტიპოლოგიის მრავალფეროვნება (სამეფო ხელისუფლების სამონეტო საქმიანობა მაინც გარკვეული ერთფეროვნებით ხასიათდება) და, რაც მთავარია, ნომინალთა დიფერენცირებული სისტემა. როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, იჭრება კოლხური ტეტრადრაქმა, დიდრაქმა, დრაქმა, ნახევარდრაქმა და ჰემიტეტარტემარიონი. ნომინალთა ასეთი დიფერენცირებული სისტემა (განსაკუთრებით უმცირესი ერთეულების ემისია) დამახასიათებელია ქალაქის სამონეტო საქმიანობისათვის. დაბოლოს, კიდევ ერთი არგუმენტი: ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ კოლხური ნახევარდრაქმების უმნიშვნელო რაოდენობაზე გვხვდება ბერძნული ასო-ნიშნები, სულ – შვიდი. მათი მნიშვნელობის გახსნა უაღრესად რთულია, მაგრამ ანალოგიების საფუძველზე შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ ისინი მაგისტრატების სახელების აღმნიშვნელი ასოებია. მაგისტრატები კი ქალაქის თვითმმართველობის ჩინოვნიკებია, რომლებიც პასუხს აგებენ სამონეტო ემისიაზე.

ყველაფერი ეს, ერთად აღებული, თითქოს მეტ დამაჯერებლობას მატებს ჰიპოთეზას იმის შესახებ, რომ კოლხური თეთრის ემისიას აწარმოებდა ფაზისის ზარაფხანა.

მაგრამ ეს გახლავთ კოლხური თეთრის წარმომავლობის მხოლოდ ერთი ასპექტი. საქმე ისაა, რომ, მართალია, კოლხურ თეთრზე ამოკვეთილი ლომების კავშირი აპოლონის კულტთან თითქოს უეჭველია, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართველური სამყაროს პანთეონის ერთ-ერთი უმთავრესი ღვთაება იყო სწორედ მზე. მზის სიმბოლოდ კი საზოგადოდ ლომია მიჩნეული. ამავე დროს, ქართველური ტომების რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, მზე მდედრობითი სქესისაა. ახლა თუ გავიხსენებთ იმას, რომ პირველი ტიპის კოლხურ დიდრაქმაზე გამოსახულია ჰერმაფროდიტი ლომი (ფაფარითა და ძუძუებით, № 3), მაშინ ჩნდება კიდევ ერთი ჰიპოთეზის წამოყენების შესაძლებლობა: ვინაიდან კოლხეთის სამეფოს არ ჰქონდა სამონეტო ემისიის ტრადიცია, ხომ არ მოჭრეს ბერძნებმა ისეთი ტიპის მონეტა, რომლის შუბლის გამოსახულება თანაბრად აკმაყოფილებდა ორივე ეთნიკური ჯგუფის (კოლხური და ბერძნული) ინტერესებს, რადგან ლომის გამოსახულება სემანტიკურად უკავშირდებოდა როგორც აპოლონის, ასევე ქართველური ტომების ერთ-ერთი მთავარი ღვთაების – მზის კულტს.

მოსაზრებას, რომ კოლხური თეთრი სინთეზური კატეგორიის მონეტაა, კიდევ უფრო ამტკიცებს პირველი ტიპის კოლხურ დიდრაქმის (№ 3) ზურგზე ამოკვეთილი ხარისთავიანი დაჩოქილი ადამიანის გამოსახულება. მსოფლიო ნუმიზმატიკაში მას პარალელი არ ეძებნება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იგი ადგილობრივი ღვთაებაა. ე. ი. ფაზისის ზარაფხანაში შესაძლებელია მოიჭრა ე. წ. ჰიბრიდული

მონეტა, რომლის შუბლის გამოსახულება უკავშირდებოდა აპოლონს (ე. ი. აკმაყოფილებდა მილეტელ კოლონისტებს და, სხვათა შორის, მისალები იყო კოლხებისათვისაც), ხოლო რევერსის იკონოგრაფია აღებული იყო ადგილობრივი პანთეონიდან.

მაგრამ რას უკავშირდება ყველაზე უფრო გავრცელებული კოლხური თეთრის იკონოგრაფია ადამიანისა და ხარის თავების გამოსახულებით? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია იმ ფანტასტური არსების სწორი დეფინიცია, რომელიც პირველი ტიპის დიდრაქმაზეა ამოტვიფრული. ეს უაღრესად რთული საკითხია, მაგრამ ზოგიერთი მოსაზრების წამოყენება მაინც არის შესაძლებელი.

ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ზოგიერთი მეცნიერის მიერ ადრევე იყო შენიშნული დიდი მსგავსება ჩვეულებრივი ტიპის ნახევარდრაქმაზე (№ 1) გამოსახულ ხარისა და დაჩოქილი ადამიანის ხარის თავებს შორის. ეს იძლევა მათ შორის იკონოგრაფიული ძაფის გაბმის საშუალებას. გაითვალისწინა რა ზემოთქმული, გამოჩენილმა რუსმა მეცნიერმა ა. ზოგრაფმა დასვა უაღრესად მნიშვნელოვანი კითხვა: ხომ არ არის კოლხური თეთრის ტიპოლოგიის ცვალებადობა ერთ და იმავე ღვთაებაზე წარმოდგენათა დიფერენციაციის, წარმოდგენათა ცვალებადობის (ცხადია, დროის განზომილებაში) შედეგი? ეს უაღრესად მნიშვნელოვანი დაკვირვებაა. მართლაც, შესაძლებელია ფანტასტიურ არსებაზე წარმოდგენათა დიფერენციაციამ ძვ. წ. V საუკუნეში, თავდაპირველად მოგვცა მეორე ტიპის დიდრაქმა (№ 4. შუბლზე ადამიანის თავის და ზურგზე ერთმანეთის საპირისპიროდ ორი ასეთივე ადამიანის თავის გამოსახულება), ხოლო შემდეგ – მესამე ტიპის დიდრაქმა (№ 5. შუბლზე ადამიანისა და ზურგზე ორი ხარის თავის გამოსახულება ერთმანეთის საპირისპიროდ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანისა და ხარის თავების მონაცვლეობა მეორე და მესამე ტიპის კოლხური დიდრაქმების რევერსზე შემთხვევითი არ უნდა იყოს და მათ ეკვივალენტურობაზე უნდა მიუთითებდეს), და ბოლოს მივიღეთ მეორე ტიპის ნახევარდრაქმა (№ 1) ადამიანისა და ხარის თავების გამოსახულებით.

ხარი, როგორც წესი, უკავშირდება მთვარის ღვთაებას. სამთავიანი ღვთაება (გავიხსენოთ მეორე ტიპის დიდრაქმაზე ამოკვეთილი რომელიღაც ღვთაების სამი თავი) კი ანტიკურ მითოლოგიაში, რომელსაც მთვარის ღვთაების ფუნქციაც აქვს, არის ჰეკატე, ძველაღმოსავლური ღვთაება, რომლის კულტიც საბერძნეთში აღმოსავლეთიდანაა შესული. სწორედ ამ ქალღმერთის სამი თავი უნდა იყოს გამოსახული მეორე ტიპის დიდრაქმაზე. ამრიგად, თითქოს გაიბა ერთგვარი ჯაჭვი კოლხური თეთრის სხვადასხვა ტიპის მონეტებს შორის.

ზემოთ შემოთავაზებული ჰიპოთეზა მით უფრო სარწმუნო იქნება, თუ გავიხსენებთ ანტიკური და ბიზანტიური ხანის ავტორების მოწმობას იმის შესახებ, რომ ჰეკატეს კულტი და მასთან დაკავშირებული მისტერიები ფართოდ იყო გავრცელებული კოლხეთში. სიმპტომატურია ისიც, რომ ჯერ კიდევ ძვ. წ. V საუკუნეში ბერძნები (მაგალითად, ევრიპიდე) ჰეკატეს ადგილსამყოფელად კოლხეთს მიიჩნევდ-

ნენ. უკანასკნელ ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ ჰეკატეს კულტის კოლხეთში არსებობის დამადასტურებელი არქეოლოგიური ნაშთია ვანის ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე გამოვლენილი უზარმაზარი ორმო (სიღრმით 21 მეტრი), ე. წ. „ბინიერთა ხახა".

გაითვალისწინეს რა ყოველივე ზემოთქმული, ქართველმა მეცნიერებმა დ. კაპანაძემ და ი. შენგელიამ მეორე ტიპის დიდრაქმაზე გამოსახული სამი იდენტური თავი მიიჩნიეს სამთავიან ჰეკატეს იკონოგრაფიად და დაუკავშირეს მთვარის სამ ფაზას.

ამრიგად, ჰეკატეს კულტის არსებობის ფაქტი კოლხეთში რეალობაა (თუ მსჯელობა ჰეკატეს კულტისა და კოლხური თეთრის ტიპოლოგიის ურთიერთკავშირის შესახებ შესაწყნარებელია, მაშინ შესაძლებელია აიხსნას აგრეთვე ე. წ. ტეტრადრაქმის – № 2 – რევერსზე გამოსახული ფრთოსანი რაშის სემანტიკური მნიშვნელობაც, რომელიც ამოვარდნილია კოლხური თეთრის საერთო ტიპოლოგიიდან. საქმე ისაა, რომ სხვა მრავალ ფუნქციას შორის, რომელიც მას გააჩნდა, ჰეკატე ცხენების მოშენების მფარველი ღვთაებაცაა. ძალიან ფრთხილი ვარაუდის სახით შეიძლება გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ამ შემთხვევაშიც საქმე ჰეკატეს კულტის ანარეკლთან გვაქვს).

იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ძველ ქართულ წარმართულ პანთეონში მთვარის ღვთაება ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო (აკად. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით კი მთვარე მთავარი ღვთაებაა ქართველური ტომების რწმენა-წარმოდგენებში). ჰეკატე კი თავის თავში აერთიანებდა მთვარის ღვთაების ფუნქციებსაც. ამავე დროს, ჰეკატეს კულტი, სხვადასხვა სამეცნიერო გამოკვლევების თანახმად, ასევე პოპულარული იყო მილეტშიც.

აქედან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია, რომ მილეტიდან მოსულმა ბერძნებმა ადგილობრივი მთვარის ღვთაება გაიაზრეს როგორც ჰეკატე და მოათავსეს მისი გამოსახულება ე. წ. კოლხურ მონეტებზე. თუ ეს ასეა, მაშინ არაფერი იქნება იმაში უჩვეულო, რომ ეს მონეტები ერთდროულად ასრულებდა საქალაქო მონეტის ფუნქციასა და კოლხეთის შიდა რაიონებთან სავაჭრო ეკვივალენტის როლსაც. ეს მოსაზრება დასტურდება იმითაც, რომ კოლხური თეთრი აღმოჩენილია როგორც შავი ზღვის სანაპირო ზოლის პუნქტებში, ასევე დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონებში. ამასთანავე, დღეისათვის მათი აღმოჩენების რიცხვი შიდა რაიონებში ჭარბობს, რასაც თავისი ახსნა აქვს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს აკად. ოთ. ლორთქიფანიძის პოზიცია I და II ტიპის კოლხურ დიდრაქმების იკონოგრაფიასთან დაკავშირებით. მისი აზრით, I ტიპის კოლხური დიდრაქმის ზურგზე მამაკაცია გამოსახული და ეს ფანტასტიური ხარისთავიანი ადამიანი უნდა განასახიერებდეს მდინარე-ღვთაება ფასისს (იხ. ოთ. ლორთქიფანიძე, „მდინარე-ღვთაება ფასისი (კოლხური დიდრაქმების I ტიპის იკონოგრაფიისათვის)", ძიებანი, № 1, 1998, გვ. 37). ამის საფუძველს მას აძლევს

ძვ. წ. III საუკუნის ბერძენი მწერლის ფილოსტრატე უმცროსის სიტყვები: „შენ ხედავ თვითონ მდინარე (ღმერთს) ლერწნარის სილრმეში მწოლიარეს, საშინელი შესახედაობისას: თმა მას ხშირი და ყალყზე შემდგარი აქვს, ხოლო ნიკაპი საზარელი, თვალები კი ბრწყინვალე, (წყლის) ნაკადი თავისი სიმრავლით ილვრება არა თასიდან, როგორც ჩვეულებრივ (გამოსახავენ), არამედ მთლიანად (ღმერთისაგან) მოედინება, რაც ჩვენ საშუალებას გვაძლევს, წარმოვიდგინოთ თუ რა ძალით ეშვება პონტოში". ოთ. ლორთქიფანიძის ეს ჰიპოთეზა ძნელი გასაზიარებელია. ჯერ ერთი, ძალიან ძნელია ვამტკიცოთ, რომ I ტიპის კოლხური დიდრაქმის ზურგზე მამაკაცია გამოსახული, მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ, მონეტის იკონოგრაფია და მდინარე-ღვთაება ფასისის აღწერილობა ერთმანეთს არ ემთხვევა.

ასევე ძნელია დაეთანხმო მის მეორე მოსაზრებას, რომელიც მან გამოაქვეყნა II ტიპის კოლხური დიდრაქმის იკონოგრაფიასთან დაკავშირებით. როგორც უკვე იყო აღნიშნული, ამ მონეტის შუბლზე ადამიანის თავია გამოსახული, ხოლო ზურგზე – ერთმანეთის საპირისპიროდ თითქმის ისეთივე ადამიანის ორი თავი. ოთ. ლორთქიფანიძეს მიაჩნია, რომ თმის ვარცხნილობის მიხედვით გარკვეული სხვაობაა, ამიტომ მათში სამი სხვადასხვა ღვთაება უნდა დავინახოთ: მონეტის ავერსზე უნდა იყოს დიდი ქალღმერთი ლეტო, ხოლო რევერსზე – მისი ტყუპი შვილები აპოლონი (მარჯვენა პროფილში) და არტემიდა (მარცხენა პროფილში). (იხ. ოთ. ლორთქიფანიძე, „კოლხური დიდრაქმის II ტიპის იკონოგრაფიისათვის", ძიებანი, № 3, თბ., 1999, გვ. 37). სრულებით გაუგებარია როგორ უნდა გაარჩიო ორ ერთნაირ პროფილში რომელია მამაკაცის (აპოლონი) და რომელია ქალის (არტემიდა). გარდა ამისა, როგორც უკვე გვქონდა მითითებული, II ტიპის კოლხურ ნახევარდრაქმებზე ისეთივე ადამიანის თავია ამოკვეთილი, როგორიც II ტიპის დიდრაქმის შუბლსა და ზურგზე. თმის ვარცხნილობისა და სხვა დეტალების მიხედვით ამ მონეტებში ათეულობით (მეტი რომ არ ვთქვათ) ვარიანტი გამოიყოფა. ამის საფუძველზე ხომ არ შეიძლება ერთი საერთო ნახაზით შესრულებულ იკონოგრაფიაში ათეულობით სხვადასხვა ღვთაება დავინახოთ?!

უკანასკნელი გამოკვლევების თანახმად, აღარაა სადავო, რომ ბერძნული კოლონიზაცია არ იყო ერთტიპიური ყველა რეგიონში, რომ კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, მას შეიძლება ჰქონოდა აგრარული ან სავაჭრო ხასიათი და ა. შ. დამოუკიდებლად იმისა, მიიჩნევს თუ არა ფაზისს პოლისად (ე. ი. ქალაქსახელმწიფოდ, რომელსაც თავისი თვითმმართველობა ჰქონდა), ყველა მკვლევარი თითქმის ერთხმად აღიარებს ამ დასახლების სავაჭრო ხასიათს, რომ ის დაარსებული იყო კოლხეთის მოსახლეობასთან ვაჭრობის მიზნით, კოლხეთის ნედლეულის (ლითონის, ხე-ტყის და სხვ.) გატანის მიზნით. ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ კოლხური თეთრის მასობრივი ტეზავრაცია (ანუ განძებად ქცევა) ქვეყნის შიდა რაიონებში, მისი გავრცელების ასე ფართო დიაპაზონი ადვილი ასახსნელია. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ მონეტების საშუალებით ქაჩავდა ადგილობრივ ნედლეულს ფაზისი. ამ ასპექტში მეტად ნიშანდობლივი ფაქტია, რომ განსაკუთრებით მრავლად

კოლხური თეთრის განძები მდინარე რიონის აუზშია დადასტურებული. ეს იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ მთავარი სავაჭრო-ეკონომიკური ძარღვი ქვეყნისა რიონის ხეობაზე გადიოდა შესართავიდან ვიდრე სათავეებამდე, რაც მკვეთრად იფარგლება ფოთისა და ონის განძებით. როგორც ჩანს, სწორედ ქალაქი ფაზისი უწევდა კონტროლს ფაზის-ყვირილას სავაჭრო მაგისტრალს და ამიტომაცაა ასე მრავლად ე. წ. კოლხური მონეტების განძები რიონის ხეობაში.

ჩვენი აზრით, ზემოთქმულის სასარგებლოდ კიდევ ერთი დაკვირვების მოტანაც შეიძლება. დასავლეთ საქართველოს ცენტრალური რაიონებიდან ალექსანდრე მაკედონელის ეპოქამდე (ძვ. წ. 336-323 წწ.) თითქმის არაა ცნობილი უცხოური მონეტები. აქედან თითქოს ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ კოლხეთის შიდა რაიონებთან ვაჭრობის ჰეგემონია ფაზისის ხელში იყო, მისი საშუალებით გადიოდა კოლხეთის ნედლეული საერთაშორისო ბაზარზე.

ამ მოკლე მიმოხილვიდანაც კი მკითხველისათვის, ვფიქრობთ, ცხადი უნდა იყოს, თუ რაოდენ რთულია კოლხური თეთრის გენეზისის (და არა მარტო გენეზისის) მეცნიერული შესწავლა[2]. მაგრამ ისიც ცხადია, რომ როგორც არ უნდა გადაწყდეს ემიტენტეს საკითხი (ე. ი. ვისი კომპეტენცია იყო მისი ემისია – კოლხეთის სამეფოსი თუ ქალაქ ფაზისის), ეკონომიკური თვალსაზრისით ეს სამონეტო ჯგუფი კოლხური ფენომენია და უსათუოდ უნდა იქნეს შეტანილი ქართულ ნუმიზმატიკურ ძეგლებს შორის.

ძვ. წ. VI-IV საუკუნეების უცხოური მონეტების მიმოქცევა საქართველოში

წინა თავში ჩვენ მიმოვიხილეთ კოლხურ თეთრთან დაკავშირებული საკითხები და, რა თქმა უნდა, შევეხეთ მისი ცირკულაციის საკითხსაც. მაგრამ თუ გვსურს მთლიანად აღვადგინოთ ძველი საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების სურათი, მისი სამონეტო ბაზარი, მისი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ძირითადი მიმართულებანი, აუცილებლად უნდა შევეხოთ აგრეთვე სინქრონულ უცხოურ მონეტებსაც, რომლებიც ადგილობრივ ერთეულებთან ერთად არის ჩართული სამონეტო მიმოქცევაში. ეს მით უფრო აუცილებელია (და ამაში სხვა პერიოდის მასალის განხილვისას დავრწმუნდებით), რომ ხშირ შემთხვევაში ქართული მონეტების ტიპოლოგია პირდაპირ აღებულია იმ უცხოური მონეტებიდან, რომლებიც შესაბამის პერიოდში მიმოიქცევა კოლხეთისა და იბერიის ტერიტორიაზე. ამისკენ ისიც გვიბიძგებს, რომ დღეს, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში, ჩვენი ქვეყნის ისტორიულ-ეკონომიკური ცხოვრების სურათის აღდგენას შეიძლება გარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდეს.

მაშ ასე, რა უცხოური მონეტები მიმოიქცეოდა ძველი საქართველოს ტერიტორიაზე კოლხური თეთრის პარალელურად (ე. ი. ადრეანტიკურ ხანაში – ძვ. წ. VI-IV სს-ში), როგორია მათი ცირკულაციის ინტენსივობა? ვინაიდან მათი აღმოჩენების რიცხვი არცთუ ისე დიდია, ვიძლევით მათ სიას და სქემატურ აღწერილობას.

მცირეაზიური მონეტები:

ა) ლიდია (მდებარეობს დასავლეთ მცირე აზიაში).

1. 1990 წელს ვანის რაიონის სოფელ სულორში აღმოჩნდა მეორე ტიპის კოლხური ნახევარდრაქმების განძი, რომლის შემადგენლობაში ერია ვერცხლის სამი უცხოური მონეტა (აღმოჩენის პირობებს ჩვენ აქ დაწვრილებით ვერ გადმოვცემთ). ამ აღმოჩენას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმის გამო, რომ უცხოური მონეტები გარკვეულწილად ამაგრებს კოლხური ნახევარდრაქმების ადრე მიღებულ დათარიღებას, არამედ იმიტომაც, რომ ესაა პირველი შემთხვევა კოლხეთის სიღრმეში შერეული განძის პოვნისა. იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ქვეყნის შიდა რაიონებში ადრეანტიკური ხანის უცხოური მონეტების პოვნის შემთხვევები ძალიან იშვიათია და ამ მხრივაც ეს განძი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. სამი უცხოური მონეტიდან ორის განსაზღვრა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, მესამეს ატრიბუცია კი სათუოა.

ვერცხლის ერთი მონეტა მოჭრილია ლიდიაში ძვ. წ. 561-546 წლებში შუბლი – ერთმანეთის საპირისპიროდ გამოსახული დაღრენილი ლომისა და ხარის თავები, ზურგი – ორი კვადრატუმ ინკუზუმი; მცირე ზომის ვერცხლის მეორე მონეტაზე გამოსახულია მარჯვნივ მიმართული ფაფარიანი ლომის თავი, ხოლო ზურგზე – გამარტივებული ვარსკვლავისმაგვარი ფიგურა. შუბლის მოტივის მიხედვით, პირობით ისიც შეიძლება ლიდიას მივაკუთვნოთ (გამორიცხული არაა მათი ემისია კარიაში) და ძვ. წ. VI საუკუნის პირველი ნახევრით დავათარიღოთ. რაც შეეხება მესამე მონეტას, ის აქემენიდურია (ძველი ირანი) და მას თავის ადგილას შევეხებით.

ბ) კიზიკური სტატერები:

2. 1952 წელს სოფელ ფიჭვნარში (ქობულეთის რაიონი) შემთხვევით აღმოჩნდა მეორე ტიპის კოლხური მონეტების განძი, რომლის შემადგენლობაში ერია ძვ. წ. 500-460 წლებით დათარიღებული კიზიკის (ქალაქი მარმარილოს ზღვის სამხრეთ სანაპიროზე) სტატერი გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს გამოსახულებით, ზურგზე – კვადრატუმ ინკუზუმი.
3. 1968 წელს ფიჭვნარის არქეოლოგიური გათხრების დროს, ბერძნული სამაროვნის № 15 სამარხში იპოვეს კიზიკური მონეტა ტრიტონის (ზღვის დემონი) გამოსახულებით. სტატერი თარიღდება ძვ. წ. V საუკუნის I ნახევრის დასასრულით.
4. 1967 წელს იმავე სამაროვანზე № 6 სამარხში მიკვლეულ იქნა კიზიკური სტატერი ნიმფა კლიტეს (კლიტიას) გამოსახულებით (ნიმფა – ბუნების ქალღმერთია. არჩევენ წყლის, ზღვების, წყაროების, ჭაობების, მთების, ჭალებისა და ა. შ., კლიტე – ოკეანოსის ან ოკეანეს ქალიშვილია). მონეტა თარიღდება ძვ. წ. 460/430 წლებით.
5. ლიტერატურაში დაცული ცნობის თანახმად, ერთი კიზიკური მონეტა აღმოჩენილა ვანში 1895 წელს სამწუხაროდ, ზუსტი თარიღი ამ სტატერისა ცნობილი არ არის.

გ) სინოპური (შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო) **დრაქმები:**

6. 1967 წელს ფიჭვნარის ადრეანტიკური ხანის სამაროვანზე შემთხვევით იპოვეს ძვ. წ. VI-V საუკუნეების სინოპური დრაქმა (ტიპი: დელფინი – კვადრატუმ-ინკუზუმი).

7-8. 1965 და 1966 წლებში ურეკში ზღვის ნაპირას შემთხვევით აღმოჩნდა ძვ. წ. IV საუკუნის I ნახევრის სინოპური დრაქმები. ვინაიდან იდენტური მონეტები შედარებით ფართოდაა გავრცელებული კოლხეთის სანაპირო ზოლში, ვიძლევით მათ სტანდარტულ აღწერილობას.

შუბლი – ნიმფა სინოპეს თავის გამოსახულება მარცხნივ.

ზურგი – მარცხნივ მიმართულ დელფინზე მჯდომარე არწივი. არწივის ფრთის ქვეშ სხვადასხვა მაგისტრატის სახელი ბერძნული ასოებით. დელფინს ქვემოთ ასევე ბერძნულად ქალაქის სახელი: სინო...

9-12. ძვ. წ. IV საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება შემდეგი ოთხი სინოპური დრაქმა, აღმოჩენილი ბათუმის მიდამოებში 1900-იან წლებში (ტიპი ისეთივეა, როგორც №№ 7-8).

13. 1948 წელს ფიჭვნარში საკარმიდამო ნაკვეთის დამუშავების დროს აღმოჩნდა ვერცხლის მონეტების განძი წონით 6-8 კგ. მისი ძირითადი ნაწილი გაიფანტა. აჭარის სახელმწიფო მუზეუმში 149 მონეტაა დაცული, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში – 9. გადარჩენილი ნაწილიდან 103 სინოპური დრაქმაა (ტიპი ისეთივეა, როგორც №№ 7-8), რომლებიც ზოგადად ძვ. წ. 360-320 წლებით თარიღდება; დანარჩენი კი მეორე ტიპის კოლხური ტრიობოლები. განძის მონეტების მეცნიერულმა შესწავლამ დააკონკრეტა მისი ჩაფლობის თარიღი – ძვ. წ. 350-345 წლები.

14. 1880-იან წლებში სოხუმში იპოვეს ძვ. წ. IV საუკუნის სინოპური დრაქმა (იგივე ტიპისა).

დ) ამისოს (შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო) **დრაქმები:**

15. 1966 წელს ქობულეთში შემთხვევით აღმოჩნდა ქალაქ ამისოს ვერცხლის მონეტა, დათარიღებული ძვ. წ. IV საუკუნით, ალექსანდრე მაკედონელის მეფობის წინარე ხანებით (ტიპი: შუბლი – ქალის თავის გამოსახულება, ზურგი – ბუ).

16. ასეთივე მონეტა შემთხვევით აღმოჩნდა აგრეთვე სოხუმის ციხის ტერიტორიაზე.

ჩრდილო შავიზღვისპირეთის მონეტები:

ა) პანტიკაპეიონი (თანამედროვე ქერჩი).

17. 1967 წელს ფიჭვნარში, ბერძნული სამაროვნის № 5 სამარხში აღმოჩნდა ძვ. წ. 475-450 წლებით დათარიღებული პანტიკაპეიონის ვერცხლის მონეტა (შუბლი – დელფინი, ზურგი – კვადრატუმ ინკუზუმი).

18. ლიტერატურაში დაცული ცნობის თანახმად, ციხისძირში შემთხვევით უპოვიათ პანტიკაპეიონის სპილენძის მონეტა, მოჭრილი ძვ. წ. 370-340 წლებში.

ბ) ნიმფეიონის (ყირიმი, ქერჩის სრუტესთან) **დიობოლი** (დრაქმის 1/3).

19. 1968 წელს ფიჭვნარის ბერძნული სამაროვნის № 8 სამარხში აღმოჩნდა ნიმფეიონში მოჭრილი დიობოლი, დათარიღებული ძვ. წ. V საუკუნის უკანასკნელი მეოთხედით (შუბლი – ნიმფას თავის გამოსახულება, ზურგი – კვადრატუმ ინკუზუმში მოთავსებული ვაზის ლერწი ყურძნის მტევნითა და ფოთლებით).

აქემენიდური ირანი:

20. ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი სულორის განძის შესახებ (იხ. № 1). სწორედ ამ განძის შემადგენლობაში აღმოჩნდა აქემენიდური ხანის – ძვ. წ. V საუკუნის

სპარსული სიკლი (შუბლი – მარჯვნივ მიმართული, ცალ მუხლზე დაჩოქილი ირანის „მეფის“ გამოსახულება, ზურგი – კვადრატუმ ინკუზუმი).

21. ლიტერატურაში დაცული ცნობის თანახმად, თითქოს სურამის მიდამოებში 1856 წელს კოლხურ ნახევარდრაქმებთან ერთად აღმოჩენილია აქემენიდური სიკლი.

ათენური ტეტრადრაქმები:

22. 1890-იანი წლების დასასრულს მწვანე კონცხის მიდამოებში იპოვეს ძვ. წ. V-IV საუკუნეების ათენური ტეტრადრაქმა (შუბლი – მარჯვნივ მიმართული ქალღმერთ ათენას თავის გამოსახულება, ზურგი – მარჯვნივ მიმართული ბუ), რომელიც პირადად ნახა და აღწერა ე. პახომოვმა. ამდენად, ეს აღმოჩენა ეჭვს არ იწვევს.

23. 1939 წელს დმანისის რაიონის სოფელ საკირესთან შემთხვევით აღმოჩნდა ათენური ტეტრადრაქმა, რომელიც ასევე ე. პახომოვმა ძვ. წ. V-IV საუკუნეებით დაათარიღა (ტიპი იგივეა). ასე რომ, არც ეს აღმოჩენა იწვევს რაიმე ეჭვს.

მაკედონია (საბერძნეთი, ბალკანეთის ნახევარკუნძული):

24. ვანში არქეოლოგიური გათხრების დროს (ხელმძღვანელი აკად. ოთარ ლორთქიფანიძე) 1969 წელს კოლხი მეომრის სამარხში აღმოჩნდა მაკედონიის მეფის ფილიპე II-ის (ძვ. წ. 359-336 წწ.) სტატერი (ეს გახლავთ ალექსანდრე მაკედონელის მამა). ამ ოქროს მონეტის აღწერილობა ასეთია: შუბლი – აპოლონის თავის გამოსახულება მარჯვნივ; ზურგი – მარჯვნივ მიმართული მხედარი ორცხენიან ეტლზე. ცხენების წინა ფეხებთან სიმბოლო – ლომის თავი პირდაპირ. ხაზს ქვემოთ ბერძნული ზედწერილი: ფილიპუ ე. ი. ფილიპესი.

ამით ამოიწურება საქართველოში აღმოჩენილი ადრეანტიკური ხანის უცხოური მონეტების სია. რა დასკვნების გამოტანა შეგვიძლია მისი ანალიზის საშუალებით (რა თქმა უნდა, კოლხური თეთრის გავრცელების ტოპოგრაფიის გათვალისწინებით)?

სამონეტო მიმოქცევის თვალსაზრისით, საქართველოს ტერიტორია მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, ძირითადად, ორ რეგიონად იყოფა: დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოდ. თავის მხრივ, ეს ორი ცენტრალური „ნუმიზმატიკური პროვინცია“ ასევე ქვერეგიონებადაა დიფერენცირებული. ასე, მაგ.: კოლხეთში, თუ ფაქტობრივი მასალის გავრცელების მიხედვით ვიმსჯელებთ, ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ორი სფეროს შემოფარგვლა შეგვიძლია: ქვეყნის შიდა რაიონებისა და სანაპირო ზოლის.

დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონებში განუყოფლად კოლხურ მონეტებს ეკუთვნით წამყვანი როლი. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მაღალმთიანი სვანეთის გარდა, ძნელია აქ მოიძებნოს რომელიმე კუთხე, სადაც ეს მონეტები არ იყოს აღმოჩენილი, განძებისა და ცალკეული ცალების სახით.

ამრიგად, შეიძლება გადაჭრით ითქვას (და ამ დასკვნას, ალბათ, ვერავითარი ახალი აღმოჩენები ვერ დააყენებს ეჭვის ქვეშ), რომ დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონებში კოლხური თეთრი წარმოადგენს ფულადი მეურნეობის ძირითად (თუ ერთადერთს არა) კომპონენტს.

მართალია, სოფელ სულორში აღმოჩენილი განძის შემადგენლობაში ერია ლიდიაში ძვ. წ. VI საუკუნეში მოჭრილი ვერცხლის მონეტები და ძვ. წ. V საუკუნის აქემენიდური სიკლი, მაგრამ მასალა ჯერჯერობით ძალიან მცირეა, რათა ვიმსჯელოთ იმის შესახებ, რომ უცხოურ მონეტებს რაიმე საგრძნობი ხვედრითი წონა ჰქონდა კოლხეთის შიდა რაიონების სამონეტო ბაზარზე. უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი სანაპირო ზოლის ქალაქების მეშვეობის მოხვდა აქ.

რაც შეეხება სანაპირო ზოლს, კოლხური თეთრი აქაც მიმოიქცევა, თანაც არა მარტო ფოთისა და ქობულეთ-ბათუმის სექტორში, არამედ საკმაო ინტენსიურობით – ჩრდილოეთითაც (ანაკლია, ოჩამჩირე, სოხუმი, ეშერა, ფსირცხა) და, შესაძლებელია, სამხრეთითაც (აღმოჩენილია ტრაპეზუნტის მიდამოებში), მაგრამ მასთან ერთად, ძვ. წ. V საუკუნიდან აქ გზას იკვლევს უცხოური ვალუტაც. ეს მასალა, ძირითადად მაინც, ქობულეთ-ბათუმის მიდამოებიდან მომდინარეობს და გარკვეული ცენტრების (უპირატესად კიზიკისა და სინოპეს) პროდუქციას წარმოადგენს. ჩვენი აზრით, ეს იმით უნდა აიხსნას, რომ სპარსელთა მიერ ძვ. წ. VI საუკუნის დასასრულსა და V საუკუნის დასაწყისში იონური ცენტრების (იონია – მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროს ცენტრალური ნაწილისა და ახლოს მდებარე კუნძულების ბერძნული სახელწოდება) განადგურების პერიოდში და მის შემდგომ, ათენი გარკვეულ უპირატესობას აღწევს კოლხეთთან (ისევე, როგორც შავიზღვისპირეთის დანარჩენ მხარეებთან) ურთიერთობაში.

შევჩერდეთ ამ საკითხის შესახებ უფრო დაწვრილებით.

ძვ. წ. V საუკუნის შუა ხანებში ათენი თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერების მწვერვალს აღწევს. ის გამარჯვებული გამოდის ბერძენ-სპარსელთა ომიდან და შემდეგ ხელთ იგდებს სააღებმიცემო ურთიერთობებს მთელ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში და პონტოში. ამავე ხანებში ღვივდება კონფლიქტი ათენსა და პელოპონესის კავშირს შორის (სამხრეთი საბერძნეთი, ძველბერძნულ პოლისთა გაერთიანება სპარტის მეთაურობით დაახლოებით ძვ. წ. 550-362 წწ.), რაც მას კარნახობდა ძლიერი ფლოტის აგების აუცილებლობას. ამ მიზანს ემსახურებოდა ათენის მიერ პოზიციების განმტკიცება ხე-ტყითა და სხვა რესურსებით მდიდარ რაიონებში: მაკედონიაში, თრაკიასა (ოლქი ჩრდილო-აღმოსავლეთით საბერძნეთიდან, ნაწილობრივ ეგეოსის ზღვის სანაპიროზე) და ქალკედონში (ქალაქი ბითვინიაში, მარმარილოს ზღვის სამხრეთ სანაპიროზე). იმავე ხანებში ათენის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს შავიზღვისპირეთიც, მისი სამხრეთი და აღმოსავლეთი სანაპიროები, საიდანაც შეიძლებოდა არა მხოლოდ საუკეთესო გამძლეობის, მაღალხარისხოვანი და ძვირფასი ჯიშის ხე-ტყის (მუხა, წიფელი, ბზა) ექსპორტირება, არამედ ხომალდმშენებლობისათვის საჭირო ყველა სხვა მა-

სალის (რკინა, სპილენძი, ტილო, სელი, ფისი, ცვილი, კანაფი და სხვ.) გატანა, ან ხომალდების ადგილზე დამზადება. სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის ასევე ჩრდილო შავიზღვისპირეთის პურს. ათენი მიმართავს ზომებს, რათა განიმტკიცოს პოზიციები მისთვის საჭირო ზონაში. უპირველეს ყოვლისა, იმის საშუალებით, რომ ბიზანტიონი (ქალაქი ბოსფორის სრუტის ევროპულ სანაპიროზე) ძვ. წ. 439-411 წლებში მის ერთგულ მოკავშირედ რჩებოდა, უმკაცრესი კონტროლი იქნა დაწესებული სრუტეებზე. ეს იმას ნიშნავდა, რომ სავაჭრო ურთიერთობა შავიზღვისპირეთთან ამიერიდან ფაქტობრივად მთლიანად ათენის განკარგულებაში ექცეოდა და მას ექვემდებარებოდა. გარდა ამისა, დაახლოებით ძვ. წ. 437-435 წლებში პერიკლემ (ათენის გამოჩენილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე) პონტოში სპეციალური ექსპედიცია მოაწყო. ექსპედიციის შედეგად საზღვაო კავშირში შეყვანილი იქნა: სინოპე, პირეოსი (ათენელების მიერ ამისოში დაარსებული ახალშენი), ჰერაკლეა (ქალაქი შავი ზვის სამხრეთ სანაპიროზე).

როგორც ვარაუდობენ, პერიკლეს ექსპედიცია შეეხო დასავლეთ და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთსაც. ათენის საზღვაო კავშირში შეყვანილი იქნა აპოლონია, ოლბია და, საფიქრებელია, ნიმფეიონიც.

განსაკუთრებულ როლს ათენის პოლიტიკაში სინოპე ასრულებდა. მისი მეშვეობით ახერხებდა ათენი მხარის ეკონომიკურ ათვისებას და ასევე სხვა ახალშენების გაყვანას. თუ არქეოლოგიური მასალების მიხედვით ვიმსჯელებთ, ატიკური სამოსახლოები ძვ. წ. V საუკუნის II ნახევარში დაარსდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზედაც, კერძოდ, ოჩამჩირეში (გიენოსი), ფიჭვნარში და, შესაძლებელია, ეშერაშიც. ეს რაიონები მდიდარია გემთსაშენი მასალით, რკინით, სპილენძით. ფიქრობენ, რომ ეს სამოსახლოებიც სინოპეს საშუალებით უნდა ყოფილიყო დაარსებული და წარმოადგენდა იმ ჯაჭვის გაგრძელებას, რომელიც ათენმა პონტოს სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე შექმნა[3].

ამრიგად, თითქოს ჩამოყალიბდა პონტოს აუზის ერთიანი პოლიტიკურ-ეკონომიკური რეგიონი (როგორ ეხმიანება ყველაფერი ეს დღევანდელ ვითარებას – შავი ზღვის აუზის ქვეყნების თანამეგობრობის შექმნის იდეას, ოღონდ, რა თქმა უნდა, მშვიდობიანი გზით).

გარდა ამისა, იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ათენის ჰეგემონიის მოშლის შემდეგ (ძვ. წ. IV საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი) წამყვანი როლი კოლხეთთან ვაჭრობაში სინოპესა და ჰერაკლეაზე გადადის. აღნიშნული ხანიდან სწორედ სინოპე თამაშობდა მნიშვნელოვან როლს კოლხეთის ურთიერთობაში ხმელთაშუა ზღვის აუზსა და მცირე აზიის ქალაქებთან.

ეს ვრცელი ექსკურსი ათენისა და პონტოს ქვეყნების ურთიერთობის სფეროდან იმიტომ მოვიყვანეთ, რომ სწორედ ის იძლევა გასაღებს შავი ზღის აღმოსავლეთ სანაპიროზე აღმოჩენილი უცხოური მონეტების აქ გავრცელების მიზეზების ასახსნელად და, ამავე დროს, თავის მხრივ, ეს მასალა ამაგრებს იმ მოსაზრებებს, კოლხეთისა და ათენის კავშირურთიერთობის შესახებ რომაა გამოთქმული სამეცნიერო ლიტერატურაში.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ადრეანტიკური ხანის უცხოური მონეტები, ძირითადად, აჭარის სანაპიროზე, ქობულეთ-ბათუმის სექტორშია კონცენტრირებული (2, 3, 4, 6, 9, 13, 15, 17, 18, 19, 22). ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი, ვინაიდან ქობულეთ-ფიჭვნარის მიდამოებში, როგორც უკვე გვქონდა ნაჩვენები, ატიკური სამოსახლო ივარაუდება, ხოლო ელინისტური ხანიდან ფიჭვნარი (ისევე როგორც გიენოსი და ეშერა) სინოპეს ხელში უნდა გადასულიყო. ამრიგად, სავსებით ცხადია, რატომ მიმოიქცევა ამ რეგიონში ასე ინტენსიურად კიზიკინები და, განსაკუთრებით, სინოპური დრაქმები.

რამდენიმე სიტყვა კიზიკური მონეტების შესახებ. დიდი ხნის განმავლობაში (ძვ. წ. VI-IV სს.) საერთაშორისო ფულად მიმოქცევაში ისინი ინტერლოკალური მონეტების ფუნქციას ასრულებდა და შავიზღვისპირეთის ფულად მეურნეობაში ძირითად ერთეულს წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ ათენმა კიზიკის ზარაფხანა არა თუ გააუქმა, არამედ თავისი სამონეტო კარის ფილიალადაც კი აქცია და კიზიკინებს მსხვილი სავაჭრო ოპერაციების საწარმოებლად გამოიყენებდა.

ამდენად, აღმოჩენები №№ 2-4 ფიჭვნარის მიდამოებში სავსებით კანონზომიერია და მათი საშუალებით შეიძლება ვივარაუდოთ ამ რეგიონში კიზიკინების ინტენსიური ცირკულაცია.

რაც შეეხება საკითხს სინოპური დრაქმების წამყვანი როლის შესახებ კოლხეთის სანაპირო ზოლის სამონეტო მიმოქცევაში, ეს კონკრეტული მასალით დადასტურებული უდავო ფაქტია (იხ. №№ 6, 7, 8, 9-13, 14). ამასთანავე, მათი კონცენტრაცია მაინცდამაინც ქობულეთ-ფიჭვნარის მიდამოებში წარმოადგენს კიდევ ერთ სერიოზულ საბუთს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისის სასარგებლოდ, რომ სწორედ სინოპეს მიერ უნდა ყოფილიყო გაყვანილი ფიჭვნარის ბერძნული სამოსახლო.

ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ურეკში მიკვლეული სინოპური მონეტები (№№ 7-8) ფიჭვნარიდანაა შესული. რაც შეეხება სოხუმში სინოპური დრაქმის აღმოჩენის ფაქტს (№ 14), ესეც ადვილი ასახსნელია. საქმე ისაა, რომ ეშერაში ასევე სინოპეს მიერ დაარსებული ატიკური სამოსახლო ივარაუდება, თუმცა არც ისაა გამოსარიცხი, რომ ეს მონეტა დიოსკურიის ფარგლებში ფიჭვნარიდან, ან უშუალოდ სინოპედან შემოვიდა.

ამავე ჭრილში უნდა იქნას განხილული აგრეთვე ათენური ტეტრადრაქმისა (№ 22) და ამისოს სიკლის (№№ 15-16) აღმოჩენები მწვანე კონცხში, ქობულეთსა და სოხუმში. მიუხედავად იმისა, რომ ისინი თითო-თითო ცალად არის წარმოდგენილი, ორივე მათგანი იმ საერთო სიტუაციის ნაკადია, ათენის წინსვლას რომ სდევდა თან პონტოს აღმოსავლეთ სანაპიროზე.

ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ათენის მიერ ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, პონტოს აუზის ქვეყნები თითქოს ერთ პოლიტიკურ-ეკონომიკურ რეგიონად იქცა და მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს. ამდენად, ვფიქრობთ, ფიჭვნარის სამაროვანზე პანტიკაპეიონის ძვ. წ. V-IV საუკუნეების ვერცხლისა და სპილენძის

მონეტების (№№ 17-18) და ნიმფეიონის ძვ. წ. V საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის დიობოლის (№ 19) აღმოჩენა არ შეიძლება ჩაითვალოს დიდ მოულოდნელობად, მით უმეტეს, რომ ნიმფეიონში ადრე კოლხური თეთრი და კოლხური კერამიკაც იყო ნაპოვნი.

ამრიგად, კოლხეთის სანაპირო ზოლის მიდამოებში ადრეანტიკური ხანის ცალკეული ჯგუფების მონეტების გავრცელების მიზეზებს ისტორიული თვალსაზრისით შეიძლება სავსებით დამაჯერებელი ახსნა მოვუძებნოთ. რაც შეეხება კოლხეთის შიდა რაიონებში (ვანის მიდამოებში) მიკვლეულ ოთხ უცხოურ მონეტას (№№ 1, 20, 24), ჯერჯერობით მათი რიცხვი მცირეა და ისინი საერთო სურათს ვერ არღვევს. ამასთანავე, კოლხეთის ერთ-ერთი დიდი ცენტრი ვანი, ცხადია, მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული სანაპირო ზოლის ქალაქებთან და ეს მონეტები იქ, ალბათ, მათი მეშვეობით მოხვდა.

აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ადრეანტიკური ხანის ორი მონეტაა მიკვლეული: ძვ. წ. VI-IV საუკუნეების აქემენიდური სიკლი სურამში (№ 21) და ძვ. წ. V-IV საუკუნეების ათენური ტეტრადრაქმა დმანისში (№ 23).

ამასთან დაკავშირებით ხაზგასასმელია ერთი საინტერესო დეტალი: ეს მონეტები ქრონოლოგიურად უსწრებს წინ სამეფო ხელისუფლების წარმოქმნას აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, რასაც, როგორც ვარაუდობენ, ძვ. წ. IV-III საუკუნეთა მიჯნაზე ჰქონდა ადგილი.

ხომ არ უნდა აიხსნას ეს გარემოება იმით, რომ ტრანსკავკასიური სავაჭრო-სატრანზიტო გზის ათვისება, რომელიც შავ ზღვას ინდოეთთან აკავშირებდა (და რომელიც იბერიაზე გადიოდა), მართლაც ელინისტურ ხანამდე (ძვ. წ. IV ს-ის დასასრული – I ს.) განხორციელდა. ყოველ შემთხვევაში, ცხადზე უცხადესია, რომ, და ამაზე სამართლიანადაა გამახვილებული ყურადღება სამეცნიერო ლიტერატურაში, ამ გზის ცალკეული მონაკვეთები, რომელთაც თავდაპირველად ლოკალური მნიშვნელობა ჰქონდა, ისახებოდა ჯერ კიდევ წინარეელინისტურ ხანაში. ამაზე სრულებით აშკარად მიუთითებს აქემენიდური სიკლის აღმოჩენა სურამის მიდამოებში. უდავოა ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ის აქ უცილობლად კოლხეთის საზღვრებიდანაა შემოსული მდ. ფაზისის საშუალებით, ვინაიდან კოლხური მონეტების განძთან ერთადაა აღმოჩენილი. იგივე ითქმის დმანისში აღმოჩენილი ათენური ტეტრადქამის შესახებ. ამჯერად პრინციპული მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს იმ გარემოებას, რომ დმანისის რაიონი რამდენადმე მოცილებულია ძირითად ტრასას.

დასკვნის სახით იბერიის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ მონეტათა აღმოჩენების სიმცირე მის ტერიტორიაზე გვაიძულებს ვაღიაროთ, რომ ადრეანტიკურ ხანაში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სამონეტო მიმოქცევა ჩასახული არ იყო.

ყალბი ფული... ფულის გაფუჭება

1992 წელს რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა გამოუშვა და მიმოქცევაში ჩართო 1000 მანეთიანი ქაღალდის ფული. თითქმის თანადროულად პრესაში გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ ბაზარზე გამოჩნდა შესატყვისი ყალბი ბანკნოტები. ეს მეტად ნიშანდობლივი ფაქტია. ყალბი ფულის მომჭრელის პროფესია ისეთივე ძველია, როგორც თვით მონეტა.

ძველ საბერძნეთსა და რომში ყალბი ფულის დამზადება ერთ-ერთ უმძიმეს დანაშაულად ითვლებოდა და სახელმწიფო ხელისუფლება მის აღსაკვეთად უკიდურეს ღონისძიებებსაც კი მიმართავდა: დამნაშავეებს სიკვდილით სჯიდა ან ხელს აჭრიდა, მაგრამ ამ ბოროტების ამოძირკვა, როგორც ვხედავთ, დღემდე ვერ მოხერხდა და, ალბათ, ვერასოდეს ვერ მოხერხდება. ეს პროფესია მოკვდება ფულის სიკვდილთან ერთად.

ერთი გახმაურებული შემთხვევა გვინდა გავიხსენოთ ამასთან დაკავშირებით ანტიკურ ისტორიიდან. ალბათ, ბევრს გაუგონია დიოგენე სინოპელის (დაახლ. ძვ. წ. 404-323 წწ.) სახელი. მაინც შეგახსენებთ, რომ ეს გახლავთ ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, კინიკური სკოლის წარმომადგენელი. იგი ყოველგვარი ცივილიზაციის, კერძოდ, სახელმწიფოს წინააღმდეგი იყო და მოითხოვდა, რომ ადამიანი დაბრუნებოდა პირველყოფილ მდგომარეობას. თავის თავს ის მსოფლიო მოქალაქედ თვლიდა. I-II საუკუნეების ბერძენი ისტორიკოსის პლუტარქეს ცნობით, მას უარუყვია ამქვეყნიური ცხოვრების აღიარებული წესი და კასრში ჩასახლებულა. არსებობს გადმოცემა, რომ კორინთოში დიოგენეს ეახლა თვით ალექსანდრე მაკედონელი. მოხუცი ბრძენი მარადიული „საცხოვრისიდან" – კასრიდან გამომძვრალიყო და მზეზე თბებოდა. ალექსანდრეს უკითხავს: ხომ არაფერი გჭირდებაო, რაზედაც დიოგენეს გულგრილად უპასუხნია: გთხოვ, ცოტა იქით გაინიო, მზეზე ნუ მეფარებიო. ამ პასუხით აღფრთოვანებულ მაკედონელს პათეტიკურად წარმოუთქვამს – ვფიცავ ღმერთებს, რომ მე არ ვიყო ალექსანდრე, ვინატრებდი დიოგენობასო. ეს ფაქტი, ცხადია, ბევრისთვის ცნობილია. ცნობილია აგრეთვე ფიგურალური გამოთქმა „დიოგენეს ფარანი", რომლითაც იგი დღისით, მზისით, ჭეშმარიტებას ეძებდა. მაგრამ ძალიან ბევრმა ალბათ არ იცის, რომ, ისტორიული გადმოცემის თანახმად, ახალგაზრდობაში მას ყალბი ფულის მოჭრა დაბრალდა და მამასთან ერთად გაძევებული იქნა სამშობლოდან – სინოპედან.

არსებობს ლეგენდა, რომლის თანახმადაც დიოგენეს თავდაპირველად რჩევისათვის მიუმართავს დელფოს ორაკულისათვის (აპოლონის ტაძრის სამისნო დელ-

ფოში, საბერძნეთში, პარნასის მთის ძირას). როგორც ყოველთვის, ორაკულისაგან მას მიულია ორაზროვანი პასუხი, რომლის თანახმადაც დიოგენეს შეეძლო თავის სამშობლოს კანონების შეცვლა. აქ სიტყვების თამაშია. ბერძნულად ნომოს, ნომისმა ერთდროულად ნიშნავს კანონსაც და მონეტასაც. მომავალმა ფილოსოფოსმა ორაკულის სიტყვები ისე გაიგო, როგორც მას უნდოდა და შეუდგა ყალბი ფულის მოჭრას. „შეუძლიათ თუ არა გამირისხდნენ მე ღმერთები – როდესაც თვით აპოლონის ტაძარში კედელზე ამოკვეთილია წარწერა: „უკეთესია გააყალბო მონეტა, ვიდრე ჭეშმარიტება" – თითქოს უთქვამს მას. ეს ლეგენდაა, მაგრამ უტყუარი ფაქტია ისიც, რომ დიოგენეს მამა იკესიოსი იყო სამონეტო საქმის მაგისტრატი სინოპეში და მას დაბრალდა ძვირფასი ლითონის გადამალვა ანგარების მიზნით. გარდა ამისა, მოღწეულია იკესიოსის მაგისტრატობის დროს გამოშვებული, შუაზე გაკვეთილი სინოპური დრაქმები, რაც კიდევ უფრო ზრდის ეჭვს ამ პიროვნების მოღვაწეობის მიმართ. მართალია, მეცნიერება უარყოფს ამ ბოროტებაში დიოგენეს მონაწილეობას, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: მამა-შვილი გაძევებული იქნენ სინოპედან და დიოგენემ თავისი ფილოსოფიური მოღვაწეობისათვის სხვაგან, ათენში პოვა ასპარეზი. შემდეგში სინოპელები ძალიან ამაყობდნენ თავიანთი სახელოვანი შვილით. რომაულ ეპოქაში მათ მონეტაც კი მოჭრეს ფილოსოფოსის გამოსახულებით, ხოლო მისი საფლავი შესანიშნავი ეპიტაფიით შეამკეს, აი, ეს ეპიტაფიაც: „დრო ბრინჯაოსაც ანადგურებს, მაგრამ დიოგენეს დიდებას მარადისობაც ვერ მიიტაცებს, რადგან შენ ერთმა ასწავლე მოკვდავთ მცირედით დაკმაყოფილება და მიუთითე ცხოვრების ყველაზე იოლი გზა", მაგრამ დიოგენეს საბოლო რეაბილიტაცია ისტორიის წინაშე მაინც ვერ მოხერხდა.

ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ ყალბი ფულის მოჭრისა და ფულის გაფუჭების, ფულის ფალსიფიკაციის საკითხები.

ფულის გაფუჭებას ძალიან ხშირად თვით სახელმწიფო მიმართავდა ფისკალური მიზნებით. ხორციელდებოდა ის ორი ხერხით – წონის შემცირებით და ძვირფასი ლითონისათვის ლიგატურის შერევით. არასრულფასოვანი ფულის დამზადების კიდევ ერთი ხერხია – სუბერატული მონეტების მოჭრა. სუბერატული მონეტის გულგულა სპილენძისაა ან ტყვიის (წონის მისაცემად), ხოლო ზემოდან გადაკრული აქვს ძვირფასი ლითონის (ვერცხლის, ოქროს) თხელი ფენა. ამ გზით სახელმწიფო ზოგავდა ძვირფას ლითონს. მაგალითისათვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება. მეორე ტიპის კოლხური ნახევარდრაქმების უმრავლესობა, რომელთა შემოწმებაც კი მოხერხდა, სუბერატული ანუ პლაკირებული მონეტაა.

დადგენილი წესის მიხედვით, ამა თუ იმ სახის ლითონის გარკვეული რაოდენობიდან, რომლითაც მარაგდებოდა ზარაფხანა, უნდა მოჭრილიყო გარკვეული რაოდენობის მონეტა. ამას ეწოდება სამონეტო რიგი. მაგრამ ეს შეფარდება თითქმის არასოდეს ყოფილა დაცული. მონეტის თეორიულ და პრაქტიკულ წონას შორის ყოველთვის იყო სხვაობა და ეს სხვაობა წარმოადგენდა სახელმწიფო ხაზინის პირდაპირ შემოსავალს. გარდა ამისა, თავისი დიდი ხარჯების დასაფარავად

სახელმწიფო ძალიან ხშირად ზრდიდა ლიგატურის პროცენტულ შემადგენლობას. ძველი ბერძნები ამ ხერხს იშვიათად მიმართავდნენ, ხოლო რომაელები II და, განსაკუთრებით, III საუკუნეებში – სისტემატურად, რათა თავისი სამხედრო ხარჯები დაეფარათ. ამის გამო რომაული დენარები, ხოლო შემდეგ ანტონინიანები (რომაული ვერცხლის მონეტა მოჭრილი იმპერატორ კარაკალას მიერ 214 წელს) გადაიქცა ჯერ ბილონის, შემდეგ კი სპილენძის მონეტებად. სპილენძის შერევა ვერცხლის მონეტებთან დაიწყო ჯერ კიდევ იმპერატორ ნერონის (54-68 წწ.) დროს. ის შეადგენდა 5-10%-ს, ტრაიანეს (98-117 წწ.) ხანაში მიაღწია 15%-ს, მარკუს ავრელიუსის (161-180 წწ.) დროს – 25%-ს, კომოდუსის (180-192 წწ.) – 30%-ს, სეპტიმიუს სევერუსის (193-211 წწ.) – 50-60%-ს და ვალერიანეს (254-260 წწ.) დროს – 80-85%-ს.

ძველ საბერძნეთში სპილენძის ფულის მოჭრას, რომელიც იძულებით გაუთანაბრდებოდა ვერცხლის მონეტის კურსს, იშვიათად მიმართავდნენ. მართალია, ძვ. წ. 406 წელს ათენში ამ მიზნით მოჭრეს სპილენძის მონეტები, მაგრამ ამან არავითარი შედეგი არ გამოიღო. რომში ეს უფრო ხშირი იყო.

უაღრესად საინტერესო მაგალითის მოყვანა შეიძლება საქართველოს ნუმიზმატიკიდან. თამარ მეფე ჭრის სპილენძის მონეტას, რომლის შუბლზე მოთავსებულია ასომთავრული ლეგენდა: „სახელითა ღვთისაითა იქნა ჭედაი ვერცხლისი ამის ქორონიკონსა 407" (= 1187 წ.). ამ შემთხვევაში გასარკვევია, რა აზრით იხმარება აქ სიტყვა ვერცხლი, როგორც ფულის ზოგადი სახელი, თუ ლითონის აღმნიშვნელი ტერმინი. ყოველ შემთხვევაში, მეორე შესაძლებლობის გამორიცხვა ძალიან ძნელია. თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ გვექნება კლასიკური მაგალითი სპილენძის ფულის იძულებით გათანაბრებისა ვერცხლის მონეტების კურსთან.

საფრანგეთის მეფე ფილიპე IV ლამაზი (1268-1314 წწ.) ისტორიაში შევიდა როგორც ყალბი ფულის მომჭრელი მეფე. აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება ფულის გაფუჭება, რომელსაც იგი მიმართავდა დიდძალი საომარი ხარჯების დაფარვის მიზნით. შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ დანტემ, აღწერა რა ჯოჯოხეთი, სხვა ცოდვილებთან ერთად იქ ფილიპეც მოათავსა. ინგლისის მეფის ჰენრი VI-ის (1421-1471 წწ.) კარის ალქიმიკოსმა დაადგინა, რომ თუ ვერცხლის წყლით დაიფარება სპილენძი, ის მიიღებს ვერცხლის ელფერს. ამით ისარგებლა ინგლისის მეფემ და გამოუშვა ვერცხლის წყლით დაფარული სპილენძის მონეტების მთელი პარტია. აღსანიშნავია, რომ XVII საუკუნეში გერმანულ სახელმწიფოთა მმართველები მასობრივად აწარმოებდნენ ფულის ფალსიფიცირებას და შემდეგ თვითონვე უარს ამბობდნენ მიეღოთ ისინი ბაჟისა და გადასახადის სახით. ითხოვდნენ წინა ემისიებს.

კიდევ ერთი მაგალითი, ამჟამად რუსეთის ისტორიიდან. 1662 წელს მოსკოვში დიდმა აჯანყებამ იფეთქა, რომელიც „სპილენის ბუნტის" სახელითაა ცნობილი. მიზეზი იყო მთავრობის მიერ სპილენძის ფულის გამოშვება ვერცხლის მონეტის

კურსით. აჯანყება სასტიკად ჩაახშვეს, მაგრამ მთავრობაც იძულებული გახდა შეეწყვიტა ფალსიფიცირებული ფულის ემისია.

მაგრამ მონეტის გაფუჭებას არასოდეს მოუტანია სახელმწიფოსათვის სარგებლობა, პირიქით, ბოლოსდაბოლოს ის მთლიანად შლიდა ფულად მეურნეობას, ვაჭრობას, ეკონომიკას. კოპერნიკმა, რომელიც არა მარტო დიდი ასტრონომი იყო, არამედ კარგად ერკვეოდა ფულადი მეურნეობის სპეციფიკაში, 1526 წელს პოლონეთის მეფეს სიგიზმუნდ I-ს წარუდგინა ტრაქტატი, სადაც ავითარებდა იმ აზრს, რომ სახელმწიფოს დაღუპვას ოთხი მიზეზი აპირობებდა: 1. შინაური აშლილობა, 2. მოსახლეობის სიკვდილიანობის დიდი პროცენტი, 3. ნიადაგის გამოფიტვა და 4. ფულის (მონეტის) გაფუჭება.

ფულად ცირკულაციას თავისი კანონები აქვს, ისეთივე მკაცრი, როგორც ბუნებას. ერთ-ერთი ასეთი კანონის თანახმად, არ შეიძლება მიმოქცევაში გაუშვა იმაზე მეტი ფულის მასა, რაც ღირს სახელმწიფოში არსებული მთელი საქონელი. პირიქით, ფული მიმოქცევაში უნდა იყოს უფრო ნაკლები.

დავუბრუნდეთ ყალბ ფულს.

რესპუბლიკურ რომში ყალბი ფულის მომჭრელთა საქმიანობამ ისეთი გაქანება მიიღო, რომ სულას კანონების (ძვ. წ. I ს. 80-იანი წწ.) მიხედვით, მათ წინააღმდეგ საგანგებო ზომები იქნა მიღებული. დამნაშავეთა მიმართ, მათი სოციალური ფენებისადმი კუთვნილების მიხედვით, სხვადასხვა სასჯელი იყო გათვალისწინებული: გადასახლება, მაღაროებში კატორღული მუშაობა, მონების ჯვარზე გაკვრა, ხოლო თავისუფალ ადამიანებს ცირკში გარეულ მხეცებს უგდებდნენ დასაგლეჯად. დაუნდობელ ბრძოლას მათ წინააღმდეგ აწარმოებდნენ რომის იმპერატორები. იმპერატორმა ავრელიანემ (270-275 წწ.) შეამჩნია, რომ მონეტის მოჭრის უმაღლესი მოხელე, სახელად ფელიციისიმუსი, თაღლითობს და ფულად მიმოქცევაში ყალბ მონეტას უშვებს, რაც თავის მხრივ, ძირს უთხრის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას. ფელიციისიმუსი მარტო არ იყო. საქმე ის გახლავთ, რომ რომაულ ეპოქაში ზარაფხანების მომსახურე პერსონალმა (ე. წ. მონეტარიებმა) მასობრივად იწყეს არასრულფასოვანი მონეტების ემისია, რაც მათი შემოსავლის წყაროდ იქცა. ავრელიანემ ფელიციისიმუსი და მისი მიმდევარნი სიკვდილით დასაჯა და თან ბრუნვაში გაშვებული ფულის ნომინალური კურსი ძალადაკარგულად გამოაცხადა. ამან გარკვეული კომერციული კრიზისი გამოიწვია, რასაც მოჰყვა მონეტარიების აჯანყება, რომელსაც შეუერთდნენ მონები და სამონეტო საქმეში დასაქმებული ხელოსნები. აჯანყებამ ფართო მხარდაჭერა ჰპოვა რომის დაბალი ფენების მოსახლეობაში. ავრელიანე თავის მამობილს ატყობინებდა, რომ აჯანყების ჩაქრობის დროს 7000 მეომარი დამელუპაო.

ყალბი ფულით აივსო ბაზარი იმპერატორ დიოკლეტიანეს (284-305 წწ.) დროს. საქმე ის იყო, რომ ამ პერიოდში ისედაც გაუფასურებული მონეტები ცირკულირებდა, რომელთა ემისიას ლეგალური ხელისუფლება აწარმოებდა და ამით ძალიან მოხერხებულად სარგებლობდნენ ათასი ჯურის თაღლითები. ისინი სპილენძისაგან

ამზადებდნენ ყალბ მონეტებს და ასაღებდნენ როგორც ოფიციალური ხელისუფლების მიერ მოჭრილ ფულად. ამან მთლად გააუარესა ისედაც მოშლილი რომის ფინანსური მდგომარეობა. დიოკლეტიანემ შემოიღო კანონი, რომელიც ახალისებდა ყალბ მონეტათა დამზადების საქმიანობის დასმენას. მონა, რომელიც მთავრობას შეატყობინებდა ასეთი შემთხვევის შესახებ, იღებდა თავისუფლებას და რომაელი მოქალაქის სტატუსს.

იმპერტორმა კონსტანტინე I-მა (306-337 წწ.) გამოსცა ბრძანებულება, რომლის ძალითაც სიკვდილით ისჯებოდა ყალბი ფულის მომჭრელი, დამოუკიდებლად იმისა, რომელ ფენას ეკუთვნოდა იგი. ყალბი ოქროს მონეტის დამზადებისათვის კი დამნაშავეს კოცონზე წვავდნენ. კონსტანტინე I-ის ბრძანებულების მიხედვით, ისჯებოდნენ აგრეთვე ის პირნი, რომლებიც მიმოქცევაში უკვე ჩართულ მონეტებს გააფუჭებდნენ: კიდეებს მოჭრიდნენ, ოქროს აფხეკდნენ და მონეტას გაჩეხავდნენ. მეტიც: იდევნებოდნენ ისინიც, ვინც ინახავდა ოქროს მონეტებს და ამით ხელს უშლიდა ნორმალურ ფულად მიმოქცევს. კონსტანტინე I-ისა და შემდეგ თეოდოსი I-ის (379-395 წწ.) დროს ყალბი ფულის მოჭრა ითვლებოდა „უდიდებულესობის შეურაცხყოფად", ე. ი. უმაღლეს დანაშაულად. მაგრამ ვერცერთმა რადიკალურმა ღონისძიებამ ვერ გაჭრა. დამნაშავეობის მასშტაბები სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და, რაც ყველაზე უფრო შემაშფოთებელი იყო, თვით სამონეტო საქმის სპეციალისტებს შორის. ასე, მაგალითად, ბიზანტიის იმპერატორის იუსტინიანე I-ის (527-565 წწ.) დროს „მოღვაწეობდა" ვინმე ალექსანდრე, რომელიც სპეციალურად მის მიერ დამზადებული მაკრატლით უკვე დამზადებულ სრულფასოვან ოქროს მონეტას აჭრიდა კიდეებს ისეთი ოსტატობით, რომ ვიზუალურად ეს შესამჩნევი არ იყო. თავის გამოგონების გამო მას „მაკრატელი" შეარქვეს. ძველი რუსული კანონებით, ასევე მკაცრად ისჯებოდა ყალბი ფულის დამამზადებელნი. მათ გახურებულ ტყვიას ასხამდნენ ყელში ან ხელებსა და ფეხებს ჭრიდნენ.

დროთა განმავლობაში ყალბი ფულის დამზადებაში თვით სახელმწიფოები სპეციალისტდება და იყენებს მას, როგორც იარაღს საგარეო პოლიტიკაში. ასე, მაგალითად, 1517 წელს ჩეხეთის მეფემ ლუდვიგმა მოაჭრევინა პოლონური ნახევარგროშები, ოღონდ ვერცხლის მცირე შემადგენლობით და შეიტანა ისინი პოლონეთის ბაზარზე. XVII საუკუნის დასაწყისში რუსეთის ფინანსების მოშლის მიზნით ჯერ პოლონეთმა, ხოლო შემდეგ შვეციამ მოჭრა ყალბი რუსული მონეტები. შვიდწლიანი ომის დროს (1756-1763 წწ.) პრუსიის მეფის ფრიდრიხ II-ის ბრძანებით მოიჭრა ოქროს ყალბი პოლონური მონეტები, რომლებიც სამჯერ ნაკლებ ძვირფას ლითონს შეიცავდა, ვიდრე ორიგინალები. ეს ასე მოხდა: 1756 წელს პრუსიის მეფის ჯარები შევიდნენ რეჩ-პოსპოლიტას ტერიტორიაზე, სადაც სხვა ნადავლთან ერთად მათ ხელში ჩაუვარდათ ზარაფხანა და ლიტვური მონეტის დამამზადებელი ინსტრუმენტები. ამავე დროს, ახალ ემისიებზე, რომ ეჭვი არ შეპარვოდათ მათ სიყალბეში, მონეტებზე სვამდნენ ძველ თარიღებს. ვაჭრები, რომლებიც პრუსიის არმიას ამარაგებდნენ საქონლით, სიამოვნებით ღებულობდნენ

ამ ფულს და შემდეგ ქვეყანაში ავრცელებდნენ, რაც იწვევდა ფულადი მეურნეობის რღვევას, საქონლის უკმარისობას. სულ პრუსიის მეფის მიერ დამზადებული იქნა 400 მილიონი ოქროს ყალბი მონეტა.

პრუსიის მოწინააღმდეგე სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს იმავე ღონისძიებებით ეპასუხათ. ინგლისში დაიწყეს ყალბი პრუსიული ზილბერგროშების მოჭრა და პრუსიის მოსახლეობაში გავრცელება. ოღონდ მოუვიდათ ერთი შეცდომა: ყალბი პრუსიული მონეტის შემადგენლობაში უფრო მეტი იყო ვერცხლის რაოდენობა, ვიდრე ორიგინალში.

სამოქალაქო ომების დროს ერთ-ერთი მხარე ყოველთვის აწყობს ეკონომიკურ დივერსიას მეორე მხარის დასუსტების მიზნით, რაც ყალბი ფულის დამზადებაში გამოიხატება. აშშ სამოქალაქო ომის წლებში (1861-1865 წწ.) სამხრეთელები აწარმოებდნენ ჩრდილოელების ფულის გაყალბებას მათი ეკონომიკის მოშლის მიზნით. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს, XVIII საუკუნის დასასრულს, ემიგრანტი როიალისტები ლონდონისა და შვეიცარიის მანუფაქტურებში აყალბებდნენ პარიზში კონვენტის მიერ გამოშვებულ ფულს. ემისიის მასშტაბებზე მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ, როდესაც კონტრრევოლუციონერები კიბერონთან დამარცხდნენ, გამარჯვებულებს ხელთ ჩაუვარდათ 10 მილიარდი ლივრის ყალბი ფულადი ნიშნები.

ახლა ძალიან კარგადაა ცნობილი, რომ ნაპოლეონი თავისი ექსპანსიონისტური მიზნებისათვის იყენებდა აგრეთვე ეკონომიკურ დივერსიებსაც ყალბი ფულის დამზადების სახით. 1806-1809 წლებში მისი ბრძანებით დაიწყო პრუსიისა და ავსტრიის ფულის, ხოლო 1810 წელს – ინგლისის საბანკო ბილეთების გამოშვება. შემდეგში ჯერი მიდგა რუსეთზე. ნაპოლეონის მიზანი ნათელი იყო: მოეშალა მოწინააღმდეგე სახელმწიფოს ეკონომიკა, ფინანსები. ნაპოლეონის მიერ ყალბი რუსული ასიგნაცია, კერძოდ, 1808 წლით დათარიღებული 25 და 50 მანეთიანი, აღწერილი აქვს ცნობილ ბონისტს ლ. როზენბერგს სტატიაში: „Историю рассказывают деньги" (იხ. ჟურნალი „Наука и жизнь", 1964, № 3). ამ ფულზე „Государственной"-ის ნაცვლად წერია „госуларственной", „ходячей"-ის ნაცვლად კი – „холячей". სხვა მხრივ ნაპოლეონის ეს სიყალბე დედნებზე უკეთესია. ნაპოლეონმა დიდი რაოდენობით შემოგზავნა ეს ასიგნაციები რუსეთში. როდესაც 1812 წლის ომის დამთავრების შემდეგ რუსეთის სენატმა შეცვალა ფულის ნიშნები, გამოირკვა, რომ მიმოქცევაში ჩართულ 832 მილიონიდან 70 მილიონზე მეტი ყალბი ასიგნაცია იყო. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მთელი ეს პროცედურა ყალბი ფულის დამზადებისა დღეისათვის ძალიან კარგადაა ცნობილი თვით უშუალო მონაწილის, საფრანგეთის მთავარი სამხედრო სამმართველოს გრავიორის ლალის მოგონებებიდან. ისიცაა ცნობილი, რომ ყალბი ფულის დამამზადებელი მანუფაქტურა თავისი აღჭურვილობით, ნაპოლეონის არმიის წინსვლის შესაბამისად, მონპარნასიდან ჯერ გადატანილი იქნა დრეზდენში, შემდეგ – ვარშავაში და ბოლოს მოსკოვშიაც კი.

1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომის დროს კორეასა და მანჯურიაში ფართოდ გავრცელდა იაპონიაში დამზადებული ყალბი რუსული მანეთიანები.

პირველი მსოფლიო ომის წინ უაღრესად გასაიდუმლოებულ პირობებში აწარმოებდნენ უცხოური ვალუტის ემისიას გერმანია და ავსტრია-უნგრეთი. რუსეთის იუსტიციის მინისტრი შჩეგლოვიტოვი წერილობით მიმართავდა პოლიციის დეპარტამენტის უფროსს იმის შესახებ, რომ თითქმის მთელს რუსეთში გავრცელდა 50 მანეთიანი ყალბი სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები თავისი ჭვირნიშნით, რომელიც აქამდე სრულფასოვნების გარანტია იყო. ამ შეტყობინებიდან ცოტა ხნის შემდეგ ვოლგისპირეთის ქალაქებსა და კავკასიაში გავრცელდა ყალბი 100 მანეთიანებიც.

ახლა დროებით თავი დავანებოთ პოლიტიკურ თაღლითებს და ვნახოთ როგორ იყენებდნენ ყალბი ფულის ემისიას დიდი ფინანსური აფერას მიზნით.

1924 წელს ლონდონის პოლიგრაფიული ფირმის მფლობელთან ვილიამ ვატერლოოსთან, რომელიც ცნობილი იყო იმით, რომ მისი ფირმა მთელი რიგი წლების განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოებს უბეჭდავდა ფულად ნიშნებს, ფასიან ქაღალდებს და საფოსტო მარკებს, თხოვნით მივიდა ვინმე დოქტორი მარანგი. ეს პიროვნება იყო ჰოლანდიის ანალოგიური ფირმის თანამფლობელი. მან ვილიამ ვატერლოოს წარუდგინა ნოტარიალურად დამოწმებული კონტრაქტი, რომლის ძალითაც ჰოლანდიის ფირმას, რომელსაც მარანგი წარმოადგენდა, საიდუმლოდ უნდა დაებეჭდა პორტუგალიისათვის 500 ესკუდოიანი 600 ათასი ბანკნოტი. მაგრამ, მარანგის განცხადებით, ვინაიდან ლონდონის ფირმამ ასეთი თანხა და ასეთივე ნომინალებით უკვე დაუბეჭდა პორტუგალიას, შესაბამისად მას ექნება შემონახული სათანადო კლიშეები, ამიტომ უმჯობესია ეს შეკვეთა შესრულდეს ინგლისშიო. ამრიგად, იგი ითხოვდა ტირაჟის განმეორებას იმავე ნომრებითა და იმავე სერიით. ეს მოთხოვნა მოტივირებული იყო იმით, რომ პორტუგალიამ, რომელიც ღრმა კრიზისმა მოიცვა, გადაწყვიტა დააფინანსოს ანგოლაში სასარგებლო წიაღისეულის ახალი მაღაროების მშენებლობა. ვატერლოო, რა თქმა უნდა, მიხვდა, რომ თხოვნას ცუდი სუნი ასდიოდა, მაგრამ დათანხმდა შეკვეთის შესრულებაზე იმ პირობით, რომ მიიღებდა ლისაბონის ბანკის დადასტურებას. მარანგმა ეს მოთხოვნა შეასრულა. 1925 წელს ტირაჟი დაიბეჭდა და გადატანილ იქნა ლისაბონში.

როგორც შემდეგ გაირკვა, მარანგის მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ყალბი იყო. ლისაბონში მისი თანამონაწილენი იყვნენ არტურ რაისი და ადოლფ ჰენისი, რომლებმაც დააარსეს ანგოლის სახალხო მეურნეობის განვითარების დასაფინანსებელი კერძო ბანკი. ბანკის აგენტებმა დაიწყეს ლონდონიდან ჩამოტანილი ყალბი ფულით პორტუგალიის სახელმწიფო ბანკის აქციების შესყიდვა. ბანკის ხელმძღვანელობას ჰქონდა გრანდიოზული ჩანაფიქრი – შეესყიდათ სახელმწიფო ბანკის 51% და გამხდარიყვნენ მისი დირექტორები. ეს, მათი ჩანაფიქრით, საშუალებას მისცემდა ჩუმად ამოეღოთ ყალბი ბანკნოტები მიმოქცევიდან. მაგრამ

კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. საქმე ის იყო, რომ პორტუგალიაში მალე მიაქციეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ მიმოქცევაში სულ უფრო და უფრო ხშირად ჩნდებოდა ერთი და იმავე ნომრით აღბეჭდილი ბანკნოტები. მაქინაციას ფარდა აეხადა. მარანგი გაუჩინარდა, რაისი და ჰენისი დააპატიმრეს, მაგრამ ბირჟაზე პანიკის თავიდან ასაცილებლად ისინი სასამართლოს მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ გადასცეს. საბოლოოდ გაირკვა, რომ ადოლფ ჰენისი არის პორტუგალიის ყოფილი ფინანსთა მინისტრის ფრანცისკო და კოსტრას ფსევდონიმი, რომელიც ამ პოსტზე ყოფნის დროს (1920-1922 წწ.) ხშირად მიმართავდა ერთი და იმავე ნომრიანი ბანკნოტების გამოშვების პრაქტიკას (ეს და სხვა მსგავსი შემთხვევები აღწერილი აქვს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს დ. მირსკის თავის სტატიაში „Титулованные фальшивомонетчики", იხილე ჟურნალი „Наука и жизнь", 1969, №10).

დავუბრუნდეთ პოლიტიკურ თაღლითებს. პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დაგროვილი გამოცდილება კვლავ გამოიყენეს გერმანიის, ავსტრიისა და უნგრეთის სახელმწიფო მოღვაწეებმა. ავსტრიის ტერიტორიაზე დაამზადეს ჩეხური ბანკნოტები, მაგრამ გასაღების პირველივე ცდა მარცხით დამთავრდა – აგენტი დააპატიმრეს.

1923-1929 წლებში გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გუსტავ შტრეზემანმა შეადგინა ფრანკების გაყალბების გეგმა. ნარმატების შემთხვევაში ჯერი უნდა მიმდგარიყო გირვანქა სტერლინგებზე. ამ გეგმის რეალიზაცია თავს იდო უნგრეთის მთავრობამ, რომელმაც მისი სისრულეში მოყვანა დაავალა თავად ლუდვიგ ვინდიშგრეცუს. ოპერაცია დიდის პედანტობით და გულმოდგინებით მზადდებოდა. გენერალური შტაბის პოლკოვნიკი იანკოვიჩი სპეციალურად იმყოფებოდა პარიზში, სადაც მოახერხა შეესწავლა ფრანკების შეფუთვის ტექნიკა საფრანგეთის ბანკის მიერ. 1925 წლისთვის ყალბი ბანკნოტები მზად იყო. მისი გადაზიდვა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში დაევალათ დიპლომატიურ კურიერებს. ოპერაციის დაწყებამდე მთელი ეს „სიმდიდრე" ინახებოდა უნგრეთის საელჩოებში. ჰოლანდიაში დიპლომატიურ კურიერად, ცხადია ყალბი ფულით, გაგზავნილი იქნა იანკოვიჩიც. ჰააგაში მან თხოვნით მიმართა ბანკს გადაეხურდავებინათ მისთვი ვალუტა და სრულფასოვან ფულს შეურია ერთი ყალბი ათასფრანკიანი ბილეთი. ბანკის მოლარემ გამოიცნო ყალბი ბანკნოტი და პოლიციას გამოუძახა. უნგრეთის ელჩმა დაუყოვნებლივ აცნობა ეს ინციდენტი თავის მთავრობას. ყველა აგენტმა მიიღო ინსტრუქცია სასწრაფოდ მოესპოთ სამხილი. ყალბ ფულს გადაასხეს ბენზინი და დაწვეს.

მაგრამ დაპატიმრებულმა იანკოვიჩმა გასცა თავისი თანამზრახველები. საფრანგეთმა სასწრაფოდ მიავლინა დეტექტივები ბუდაპეშტში რეალური სურათის გასარკვევად. მიუხედავად იმისა, რომ უნგრეთის პოლიცია ყოველნაირად ცდილობდა კვალის დაფარვას, მათ მალე დაადგინეს საქმის ნამდვილი არსი. სახელმწიფოთა შორის კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, დანაშაულის მთელი სიმძიმე

თავის თავზე აიღო ლუდვიგ ვინდიშგრეცუმ და მისმა მოადგილეებმა (ერთ-ერთი მათგანი იყო პოლიციის გენერალი ემერიხ ნადიში). საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით, ორივე მათგანი და იანკოვიჩი 1926 წელს გაასამართლეს, მაგრამ სასჯელს იხდიდნენ კომფორტულ პირობებში და ვადამდე გაანთავისუფლეს კიდეც. მეტიც: ამნისტირებულ ლუდვიგ ვინდიშგრეცუს უნგრეთის დიქტატორმა ჰორტიმ მაიორის წოდებაც კი მიანიჭა „სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის".

გერმანიის საიდუმლო სამსახური დიდი გულმოდგინებით ცდილობდა მოესპო ყოველგვარი კვალი, რაც ყალბი ფულის დამზადებასთან იყო დაკავშირებული. სისტემატურად იცვლიდა ბინას, ხელახლა ხდებოდა პერსონალის გადამოწმება, მაგრამ 1927 წლის ზაფხულში სკანდალმა ისევ იფეთქა – ამჟამად ყალბი მანეთების ემისიასთან დაკავშირებით. მთავრობა იძულებული გახდა ხანმოკლე პატიმრობაში აეყვანა ორი პიროვნება, ორივე ჩვენი თანამემამულე – ემიგრანტები შალვა ქარუმიძე და ვასილ სადათერაშვილი. ამის შესახებ მოთხრობილია იულიუს მადერის წიგნში „შავი ორდენის" განძი" (რუსულ ენაზე, მოსკოვი, 1965), მაგრამ ორივე მათგანი სულ მოკლე ხანში გააპარა შვეიცარიაში. 1933 წელს, როდესაც ჰიტლერი მოვიდა ხელისუფლების სათავეში, ისინი მიწვეული იყვნენ გერმანიაში ექსპერტების რანგით. ამავე რანგში დასახელებულია კიდევ ერთი ქართველი – მიხეილ ახმეტელი, დაბადებული 1895 წელს, „რუსული ინსტიტუტის" ხელმძღვანელი ბერლინში, რომელიც ასევე მონაწილეობდა ფალსიფიცირებული მანეთიანების გამოშვებაში.

ჰიტლერის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ ყალბი ფულის ემისიამ არნახული მასშტაბები მიიღო. ჰიტლერის უშიშროების სამსახური სულ მარცვალ-მარცვალ აგროვებდა და ანზოგადებდა ყველაფერს, რაც ამ მაქინაციასთან იყო დაკავშირებული: გამოცდილებას, ტექნიკურ საშუალებებს, პროფესიონალ-სპეციალისტებს. უშუალოდ ამ საქმით იყვნენ დაკავებული უშიშროების პოლიციის უფროსი რაინჰარდ ჰაიდრიხი და ამავე უწყების ინსპექტორი ვენაში, სს-ის ბრიგადენფიურერი ოტო რაში, აგრეთვე ისტორიკოსისა და ფილოსოფიის დოქტორის ნიღბით შენიღბული, სს-ის ჰაუპტშტურმფიურერი ვილჰელმ ჰეტლი. ჰიტლერული გერმანია, რა თქმა უნდა, ყალბი ფულის წარმოების ჩემპიონია. დადგენილია, რომ 1939 წლიდან ის აწარმოებდა ყალბ ინგლისურ სტერლინგებს, 1941 წლიდან – საბჭოთა მანეთებს (თუცმა არის ვარაუდი, რომ ეს ღონისძიება უფრო ადრე დაიწყო), 1944 წლიდან კი – იუგოსლავურ ბანკნოტებსა და ამერიკულ დოლარებს. მეტის თქმაც შეიძლება: გერმანელები თავიანთი მოკავშირეების ფულსაც კი აყალბებდნენ, მაგალითად, იტალიისას.

განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ბეჭდავდა გერმანია ინგლისურ სტერლინგებს. 1942-1944 წლებში, თუ ლიტერატურაში მოყვანილი ცნობები სწორია, მათ დაბეჭდეს 134,6 მილიონი გირვანქის ღირებულების ყალბი ბანკნოტები. ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ რა დარტყმას აყენებდა ეს აქცია ინგლისის ეკონომიკას, რომლის ოქროს მარაგის ღირებულება 1933 წლისათვის შეადგენდა 137 მილიონ გირვანქა სტერლინგს.

ეს, თავისი გაქანებით მანამდე არნახული მაქინაცია, პირადად ჰიტლერმა დაამტკიცა. მისი კოდური სახელწოდება იყო „ოპერაცია ბერნჰარდი", ვინაიდან მას ხელმძღვანელობდა ჰაუპტშტურმფიურერი ბერნჰარდ კრიუგერი (ამ ოპერაციის შესახებ მოთხრობილია ი. ფ. კრიზენტალის წიგნში „Операция Бернгард", Москва, 1964).

ინგლისური ფულის გაყალბების მთელი პროცედურა ჩატარდა გერმანული გულმოდგინებითა და პედანტობით. ბანკნოტების ქაღალდის დასამზადებლად გემით სპეციალურად თურქეთიდან ჩამოიტანეს რამდენიმე ტონა განსაკუთრებული ჯიშის სელი. მისგან დამზადებული ქსოვილის ნაჭრები, ქიმიკოსების რჩევით, დაანაწილეს ფაბრიკა-ქარხნებში მანქანა-დანადგარების გასაწმენდად. გარკვეული დროის შემდეგ ეს ჩვრები გაასუფთავეს და ხელმეორედ დააგზავნეს ფაბრიკა-ქარხნებში იმავე მიზნით. შემდეგ ქსოვილები ისევ გაწმინდეს და გადასცეს სათანადო საწარმოს ქაღალდის დასამზადებლად. ამ გზით მიღებული ქაღალდი, ქიმიკოსების ერთსულოვანი დასკვნით, იდენტური იყო ნამდვილი მასალისა.

ასევე რთული იყო ჭვირნიშნების სიქებისა და კლიშეების დამზადების პროცესი. ამ უაღრესად ფილიგრანულ სამუშაოს ასრულებდნენ გერმანიის საუკეთესო გრავიორები და პროფესიონალ-რეციდივისტები, რომლებიც დაოსტატებული იყვნენ ფულის ფალსიფიკაციაში. დამზადებული კლიშეების ათჯერ და ოცჯერ გადიდებული ანაბეჭდების პროეცირება ხორციელდებოდა ეკრანზე ნამდვილი ბანკნოტების გვერდით. ხდებოდა ყველა დეტალის სკრუპულოზური შედარება, სათანადო კორექტივების შეტანა. კლიშეების დამზადება შვიდ თვეს გაგრძელდა!

გერმანელებმა დაამზადეს 5, 10, 20, 50, 100, 500 და 1000 გირვანქა სტერლინგის ღირებულების ბანკნოტები. მაგრამ უკანასკნელი ორის რეალიზაცია, სიფრთხილის გამო, საერთოდ არ განხორციელებულა, ხოლო 100-იანს გამონაკლისს შემთხვევაში უშვებდნენ მიმოქცევაში. ასევე დიდი გულმოდგინებით აწარმოებდნენ ყალბი ბანკნოტების შეფუთვას. ერთმანეთში იყო არეული ძველი და ახალი ფულის ნიშნები, ერთმანეთს არ მისდევდა ბანკნოტების ნომრები და ა. შ.

ინგლისის დაზვერვამ მალე აღმოაჩინა ყალბი სტერლინგების მიმოქცევის ფაქტი, მაგრამ ბრიტანეთის მთავრობა დუმილს ამჯობინებდა. მას ეშინოდა არ შეერყია ნეიტრალური ქვეყნების (განსაკუთრებით ჩრდილო აფრიკის, მახლობელი და შუა აღმოსავლეთის) მოსახლეობის ნდობა ფუნტისადმი.

1944 წლის ბოლოდან ესესელები შეუდგნენ „ოპერაცია ბერნჰარდ II"-ის რეალიზაციას – ყალბი ამერიკული დოლარების ბეჭდვასა და გავრცელებას, მაგრამ ეს ვერ მოასწრეს.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ რახან ფაშისტებმა ამ მიმართებით სხვებს გაუსწრეს, დანარჩენი სახელმწიფოები ანგელოზები იყვნენ. ერთ-ერთი მაღალი ჩინის მქონე ამერიკელი მოღვაწის მემუარებიდან ვგებულობთ, რომ 1942 წელს ნიუიორკის მახლობლად შეიქმნა საიდუმლო ფაბრიკა იმ ქვეყნების ყალბი ფულის დამზადების მიზნით, რომლებიც ოკუპირებული იყო გერმანიისა და იაპონიის

მიერ. ასე დამზადდა ფილიპინების ყალბი ბანკნოტები, ჰოლანდიის ემიგრანტული მთავრობის შეკვეთით – ინდონეზიის ფული. ამერიკელი ჯაშუშების ხელფასის ანაზღაურების მიზნით იჭრებოდა ავსტრიის იმპერატრიცას მარია-ტერეზას (1740-1780 წწ.) ტალერები (ევროპული ვერცხლის ფულის ერთეული), რომელთაც ძალიან დიდი გასავალი ჰქონდათ მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში. თუმცა ამ თვალსაზრისით პრიორიტეტი ამერიკელებს არ ეკუთვნით. ჯერ კიდევ 1935 წ. იგივე აქცია ჩაატარეს იტალიელმა ფაშისტებმა, როდესაც ეთიოპიის ოკუპაცია მოახდინეს, რადგან ადგილობრივი მოსახლეობა უარს ამბობდა მიეღო დამპყრობლის ფული.

მართალია, 1929 წელს ჟენევაში დაიდო კონვენცია ყალბი ფულის დამზადების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისა, რომელსაც ხელი მოაწერა მრავალმა ქვეყანამ, მაგრამ, როგორც ზემოთ დავინახეთ, ამას ხელი არ შეუშლია ამ ბოროტების ფართოდ გავრცელებისათვის თვით ხელისმომწერ სახელმწიფოთა შორის.

საქართველოში გავრცელებული ელინისტური ხანის ოქროს მონეტები

არიან ადამიანები, რომლებიც მთელ ეპოქებს ქმნიან კაცობრიობის ისტორიაში. ასეთ ადამიანთა რიცხვს, უპირველესად, ალექსანდრე მაკედონელი (ძვ. წ. 336-323 წწ.) განეკუთვნება, რომელსაც, სხვათა შორის, საისტორიო ტრადიციამ პირველს მიანიჭა „დიდის" ტიტული. ამ განუმეორებელმა პიროვნებამ თავისი მძლავრი ინტელექტით და გასაოცარი მოლვაწეობით საფუძველი დაუდო მსოფლიო ცივილიზაციის ხანგრძლივ, ურთულესსა და უმშვენიერეს ეპოქას, ე. წ. ელინიზმს (ძვ. წ. IV ს. დასასრული - ძვ. წ. I ს. დასასრული).

ისევე როგორც ანტიკურ სახელმწიფოთა ცხოვრების ყველა სფეროში, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებმა მთელი გადატრიალება მოახდინა სამონეტო საქმის ისტორიაშიც. აქემენიდური სპარსეთის დაპყრობის შემდეგ მისმა ფულადმა სისტემამ გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა თითქმის მთელს იმდროინდელ მსოფლიოში, გამოდევნა რა ბაზრიდან ყველა ინტერლოკალური მონეტა. მეტიც: ალექსანდრე მაკედონელმა პირველმა გაბედა თავის ვერცხლის მონეტებზე გამოსახულ ჰერაკლეს პროფილისათვის საკუთარი სახის ნაკვთები მიეცა. ეს იყო რევოლუციური აქტი სამონეტო საქმეში, ვინაიდან აქამდე მონეტებზე მხოლოდ ღმერთებსა და გერბებს ათავსებდნენ. ამით მან ღმერთებს გაუტოლა თავი.

ცხადია, ამ უნივერსალური ეკონომიკური ცხოვრებიდან ძველი საქართველო განზე არ დარჩენილა. კოლხური თეთრის ემისიის შეწყვეტა სწორედ ალექსანდრე მაკედონელის სტატერების მასობრივ შემოსვლასთანაა დაკავშირებული. კოლხურმა თეთრმა უბრალოდ ვერ გაუძლო სრულფასოვანი ოქროს მონეტების ექსპანსიას ბაზარზე. უფრო მეტიც, მოგვიანებით ძველი კოლხეთისა და იბერიის ტერიტორიაზე მოჭრილი მონეტები ტიპოლოგიურად სწორედ ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს (თრაკია-მაკედონიის მეფე – ძვ. წ. 306-282 წწ.) სტატერებს უკავშირდება, მათი იმიტაციაა (ისევე როგორც მაკედონელის ოქროს მონეტები, ლისიმაქეს სტატერებიც საერთაშორისო ვალუტის როლს თამაშობდა. ამ საკითხს ქვემოთ შეეხებით).

კიდევ ერთ ნიუანსს უნდა გაესვას ხაზი: ორივე სამონეტო ჯგუფი იმდენად პოპულარული იყო ძველ მსოფლიოში, რომ ამ მონარქების გარდაცვალების შემდეგ ორი-სამი საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა მათი მოჭრა მათივე სახელით, სხვადასხვა ტერიტორიაზე და სხვადასხვა იურიდიული ორგანოს (თუ პირის) მიერ.

ზემოთქმულის გამო, როდესაც ელინისტური ხანის საქართველოში სამონეტო საქმისა და ფულადი მიმოქცევის შესახებ ვსაუბრობთ, მიღებული სქემა უნდა დავარღვიოთ და, პირველ რიგში, უნდა მიმოვიხილოთ კოლხეთისა და იბერიის ტერიტორიაზე გავრცელებული ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი მონეტები.

დაბოლოს, ვინაიდან თავისთავად გამოიკვეთა ოქროს მონეტების მიმოქცევის საკითხი ელინისტური ხანის საქართველოში, ჩვენ აქვე შევეხებით კოლხეთის ტერიტორიაზე მიკვლეულ სხვა პუნქტების ოქროს მონეტებსაც.

ვიძლევით ალექსანდრე მაკედონელის მონეტების სტანდარტულ აღწერილობას.

ა) სტატერი, საშუალო წონა დაახლოებით 8,50 გრამი, ბაჯაღლო ოქრო.

შუბლი – გრძელთმიანი ათენა ქალღმერთის თავის გამოსახულება კორინთულ მუზარადში მარჯვნივ; მუზარადზე ზოგჯერ დაკლაკნილი გველია გამოხატული. ასევე ზოგჯერ, ქალღმერთს ყელზე მძივები უკეთია და ყურეზზე საყურე ჰკიდია (ათენა – სიბრძნის ღვთაებაა).

ზურგი – გრძელ ქიტონში ჩაცმული ფრთოსანი ნიკეს გამოსახულება მთელი ტანით მარცხნივ. მარჯვენა ხელში მას გვირგვინი უჭირავს, მარცხენაში – სტილიდა. ადრეულ ცალებზე მის უკან მოთავსებულია ბერძნული ზედწერილი: ალექსანდრუ (ალექსანდრესი); მოგვიანო ცალებზე გამოსახულების წინ – ბასილეოს, უკან – ალექსანდრუ (მეფე ალექსანდრესი). გარდა ამისა, მონეტის არეზე ამოკვეთილია სხვადასხვა მონოგრამები და სიმბოლოები, რომელთა მეშვეობით ხერხდება ზარაფხანების დადგენა. (სამონეტო ტიპისთვის იხ. ტაბ. II, № 8).

ბ) ვერცხლის მონეტები, სხვადასხვა ნომინალები.

შუბლი – ახალგაზრდა ჰერაკლეს თავის გამოსახულება ლომის ტყავში მარჯვნივ. მას ალექსანდრე მაკედონელის სახის ნაკვთები აქვს (ჰერაკლე – ბერძნული მითოლოგიის გმირი, ზევსის შვილი, რომელმაც თორმეტი გმირობა შეასრულა. თავისივე მოკლული ლომის ტყავი ტანსაცმლად გამოიყენა).

ზურგი – ტახტზე მჯდომი ზევსის (ბერძენთა უზენაესი ღვთაება, ელვისა და ჭექა-ქუხილის ღმერთი) გამოსახულება მარცხნივ. მას მარჯვენა ხელზე არწივი უზის. გამოსახულების უკან მოთავსებულია ბერძნული ზედწერილი: ალექსანდრუ (ალექსანდრესი). მონეტის არეზე ასევე სხვადასხვა მონოგრამები და სიმბოლოები.

ალექსანდრე მაკედონელის სტატერის ტიპს უცვლელად იმეორებს მაკედონიის მეფის ფილიპე III (323-316 წწ.) ოქროს მონეტა, განსხვავებაა მხოლოდ ლეგენდაში: ალექსანდრუს ნაცვლად ამოტვიფრულია ფილიპუ – ფილიპესი. რა თქმა უნდა, იდენტურობისა და სრულფასოვნების გამო, ამ მონეტებსაც დიდი ხვედრითი წონა ჰქონდა.

ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შემდეგ მისი მხედართმთავრები (დიადოხოსები, ბერძნ. – მემკვიდრე) უმაღლესი ხელისუფლებისათვის ერთმანეთს ებრძოდნენ. მათ შორის ერთ-ერთი უსაჩინოესი იყო ლისიმაქე, მაკედონიის და თრაკიის მბრძანებელი. როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, მისმა მონეტებმაც დიდი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ჩანს, ისინი ფართოდ იყო გავრცელებული დასავლეთ საქართველოს ფარგლებში, რასაც მოწმობს როგორც ფაქტობრივი მასალა, ასევე ისიც, რომ ლისიმაქეს სტატერების მიბაძვით აქ იჭრება მონეტების მთელი სერია.

ლისიმაქეს სტატერები და ვერცხლის მონეტები ერთტიპიურია.

შუბლი – მარჯვნივ მიმართული ალექსანდრე მაკედონელის თავის გამოსახულება დიადემაში.

ზურგი – მარცხნივ მიმართული ტახტზე მჯდომი ათენა პალადა, რომელსაც მარჯვენა გაშლილ ხელში ქალღმერთი ნიკე უჭირავს, ხოლო მარცხენათი შუბსა და ფარს ეყრდნობა. გამოსახულების უკან ბერძნული ზედწერილი – ბასილეოს, წინ – ლისიმახუ, ლისიმაქე მეფისა. მონეტის ზურგზე დამატებითი სიმბოლოები და მონოგრამებია მოთავსებული იმის მიხედვით, თუ რომელ ზარაფხანაშია მოჭრილი ესა თუ ის ცალი (პალანტი – ერთ-ერთი ტიტანი, გიგანტომახიის ანუ გიგანტთა ომის მონაწილე. იგი დაჭრა ათენამ და შემდეგ ცოცხლად გაატყავა. აქედან მისი სახელი „პალანტი", „პალადა"). (სამონეტო ტიპისთვის იხ. ტაბ. II, № 12).

ლისიმაქეს სტატერებთან დაკავშირებით ხაზი უნდა გაესვას ერთ უაღრესად მნიშვნელოვან გარემოებას. ლისიმაქეს გარდაცვალების შემდეგ მისი სახელით მონეტებს ჭრის ქალაქი ბიზანტიონიც, ოღონდ თავისი ემბლემით: ათენა პალადას ქვემოთ ათავსებს სამთითასა და ორ პაწია დელფინს. მათ ემისიას მეცნიერები მიაკუთვნებენ ძვ. წ. III-II საუკუნეთა მიჯნას, უფრო ზუსტად კი, ძვ. წ. 195 წლის შემდგომ პერიოდს. ამ დეტალს აქვს დიდი მნიშვნელობა ლისიმაქეს სტატერების მიხედვით მოჭრილი ქართული მინაბაძების დასათარიღებლად, რადგან მათ დიდ უმრავლესობაზე სწორედ სამთითაა ამოკვეთილი.

თუ შევაჯამებთ ლიტერატურაში შემონახულ ცნობებსა (რომელთა სიზუსტე, ცხადია, სათუოა) და ფაქტობრივად არსებულ მასალას, ალექსანდრე მაკედონელის, ფილიპე III-ისა და ლისიმაქეს სტატერების აღმოჩენათა რიცხვი და ტოპოგრაფია ასე გამოიყურება: ალექსანდრე მაკედონელის სახელით მოჭრილი ოქროს მონეტები აღმოჩენილია სვანეთში (სხვადასხვა ადგილას) 367 ცალი, რეყეში (ზუგდიდის რაიონში) – 2, ვანში – 2, თითო-თითო ცალი ფიჭვნარში, ლენტეხში, ფარცხანაყანევში (წყალტუბოს რაიონი), გულრიფშის რაიონში, ჭიორაში (ონის რაიონი) და მცხეთაში. ვერცხლის მონეტებიდან ორი დრაქმაა და ერთი ტეტრადრაქმა. გავრცელების ტოპოგრაფია ასეთია: ქუთაისი, ყვირილას მიდამოები და კაჭრეთის რაიონი.

სვანეთში აღმოჩენილ ალექსანდრე მაკედონელის სტატერებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მათი უმრავლესობა განძებში იყო თავმოყრილი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი ამოღებული იყო ფულად მიმოქცევიდან.

ფილიპე III-ის ორი ოქროს მონეტაა ნაპოვნი ჩვენს ტერიტორიაზე, ერთი – შემთხვევით აგუძერაში (აფხაზეთი) ზღვის ნაპირას და მეორე – ვანში, არქეოლოგიური გათხრების დროს.

საქართველოს ტერიტორიაზე ლისიმაქეს ექვსი სტატერია ნაპოვნი. აქედან ორი მონეტა მიკვლეულია სვანეთში, ორი – ვანში, თითო-თითო – ეკსა (სენაკის რაიონი) და გულრიფშში. ვერცხლის ორი მონეტიდან ერთი აღმოჩენილია ვანში და ერთიც მაკრიალასთან (ადრე შედიოდა ბათუმის ოლქში, ამჟამად თურქეთის ფარგლებშია).

გადავდივართ საქართველოში აღმოჩენილი ელინისტური ხანის სხვა ქვეყნების ოქროს მონეტის აღწერილობაზე.

პანტიკაპეიონის (თანამედროვე ქერჩი) **სტატერები**, ძვ. წ. IV საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი. სტანდარტული ტიპი ასეთია:

> **შუბლი** – მარცხნივ მიმართული წვეროსანი სატირის თავის გამოსახულება სუროს გვირგვინში (სატირი – ტყის ღვთაება, ნაყოფიერების დემონი, ღვინისა და მევენახეობის მფარველი ღმერთის – დიონისეს თანმხლები).
>
> **ზურგი** – მარცხნივ მიმართული ლომისთავიანი გრიფონის გამოსახულება, მის ქვემოთ პურის თავთავი. ბერძნული ზედწერილი: პან... გადმოცემს ქალაქის სახელს (შემოკლებით).

ასეთი მონეტები, დახლოებით 30-32 ცალი, აღმოჩნდა სვანეთში ასევე განძის სახით, ხოლო ერთი – სადღაც სამეგრელოს რეგიონში.

სირაკუზი (სიცილია), ჰიერონ II-ის (ძვ. წ. 275/4-216 წწ.) ნახევარსტატერი, აღმოჩნდა ვანში არქეოლოგიური გათხრების დროს. მისი აღწერილობა ასეთია:

> **შუბლი** – მარცხნივ მიმართული პერსეფონეს თავის გამოსახულება (მინისქვეშეთის ღვთაება).
>
> **ზურგი** – მარჯვნივ მიმართული გამარჯვების ქალღმერთი ნიკე ორცხენიან ეტლზე. ბერძნული ლეგენდა: ჰიერონოს, ჰიერონის.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის ერთადერთი შემთხვევა შორეული სიცილიის მონეტების აღმოჩენისა საქართველოში.

დაბოლოს, ევგ. პახომოვის ცნობით, 1900-იან წლებში ქუთაისის მიდამოებში აღმოჩენილია პონტოს მეფის მითრიდატე VI ევპატორის (ძვ. წ. 120-63 წწ.) ოქროს მონეტა ზურგზე ირმის გამოსახულებით.

ამით ამოიწურება საქართველოში აღმოჩენილი ელინისტური ხანის უცხო ქვეყნების ოქროს მონეტების სია. რა დასკვნების გამოტანა შეიძლება მათი ანალიზის საშუალებით?

ელინიზმის ხანა კოლხეთში, ისევე როგორც მთელს იმდროინდელ მსოფლიოში, ეკონომიკური ცხოვრების გამოცოცხლებისა და სავაჭრო აღებ-მიცემობის არნახული პერიოდია. საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობის ფართო ქსელში ექცევა არა მარტო მცირე აზია, მესოპოტამია და ეგვიპტე, არამედ უფრო შორეული ქვეყნებიც – ცენტრალური აზია და ინდოეთი. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ საგარეო ვაჭრობა ელინისტურ ხანაში იღებს „მსოფლიო" ხასიათს. ამ ხნის განმავლობაში კოლხეთის ურთიერთობა ხმელთაშუა ზღვისა და მცირე აზიის ბერძნულ ქალაქებთან კიდევ უფრო ფართოვდება. საფიქრებელია, რომ ასევე გაფართოვდა სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა მასშტაბები ელინისტური აღმოსავლეთის ქვეყნებთან (ეგვიპტე, სირია, ბაქტრია, პართია და სხვ.).

კოლხეთის მჭიდრო საგარეო-სავაჭრო ეკონომიკური კავშირი, როგორც დასავლეთის, ისე, განსაკუთრებით, ელინისტური აღმოსავლეთის ქვეყნებთან (ბაქტრია, ინდოეთი) იმითაც იყო განპირობებული, რომ სწორედ ამ ხანებში ინტენსიურად მოქმედებს კოლხეთზე გამავალი ინდოეთისა და შავი ზღვის აუზის ქვეყნების დამაკავშირებელი დიდი სავაჭრო-სატრანზიტო, „მსოფლიო მნიშვნელობის" მაგისტრალი.

არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ადრეელინისტურ ხანაში გარე სამყაროსთან ეკონომიკური ურთიერთობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო უტყუარი საბუთი საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ალექსანდრე მაკედონელის სახელით მოჭრილი ნუმიზმატიკური მასალაა.

როგორ ფაქტობრივი მასალის ანალიზი ცხადყოფს, ალექსანდრე მაკედონელის სახელით მოჭრილი სტატერები ინტენსიურადაა ჩართული საქართველოს (განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოს) სამონეტო ცირკულაციაში. სულ საქართველოში ზემომოხსენიებული მონეტები დაახლოებით 377 ცალის რაოდენობითაა ნაპოვნი, აქედან მხოლოდ ერთია აღმოსავლეთ საქართველოში (მცხეთაში). ცხადია, უნდა ვივარაუდოთ, რომ იბერიაში მათ შედარებით ნაკლები გავრცელება ჰქონია. მეორე მხრივ, ამის საწინააღმდეგოდ თითქოს უნდა მიუთითებდეს ის გარემოება, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ფართოდაა გავრცელებული ალექსანდრე მაკედონელის სტატერების „ბარბაროსული მინაბაძები". ბუნებრივია, მინაბაძების გაჩენას, ალბათ, წინ უძღოდა ორიგინალების ინტენსიური ტრიალი.

საქართველოში აღმოჩენილი ალექსანდრე მაკედონელის ზოგიერთი სტატერი მოჭრილია მაკედონიის, თრაკიისა და თესალიის (ისტორიული ოლქი საბერძნეთში) ქალაქებში, ერთიც – ეფესოში (ქალაქი მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე) და ქრონოლოგიურად ადრეულ ჯგუფს მიეკუთვნება. 14 სტატერიდან, რომლებიც ჩვენს ხელთაა (ან თვით მონეტები, ან მათი ანაბეჭდები) მხოლოდ სამს აქვს ზედწერილი: ალექსანდრე მეფისა, დანარჩენებს კი უბრალოდ – ალექსანდრესი. უკვე დამტკიცებულია, რომ მეფის ტიტულის მოთავსება ალექსანდრე დიდმა თავის მონეტაზე მხოლოდ ძვ. წ. 329 წლიდან დაიწყო.

საქართველოში აღმოჩენილი ალექსანდრეს ვერცხლის ორი მონეტა, ისევე როგორც სტატერები, ქრონოლოგიურად ადრეულ ჯგუფს ეკუთვნის.

რა თქმა უნდა, დღესდღეობით ძალიან ძნელია დადგენილ იქნას დასავლეთ საქართველოში ალექსანდრე მაკედონელის სტატერების შემოსვლის გზები, მაგრამ ვარაუდის სახით შეიძლება გამოითქვას შემდეგი: ელინიზმის ეპოქაში კოლხეთთან ურთიერთობაში შეინიშნება სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისა და მცირე აზიის აქტიური როლი, ხოლო ხმელთაშუაზღვისპირეთის ცენტრებთან და, პირველ რიგში კი, ატიკასთან – ურთიერთობის საგრძნობი შესუსტება. არქეოლოგიური მასალები მოწმობს, რომ ამ დროს კოლხეთთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში უპირატესობა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ცენტრებს აქვს მოპოვებული და პირველ რიგში კი, როგორც ჩანს, სინოპეს. ელინისტურ ხანაში სინოპეს იმპორტი გავრცელებულია როგორც კოლხეთის ზღვისპირა ზოლში, ასევე შიდა რაიონებში. კოლხეთისა და სინოპეს ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა დასტურდება ნუმიზმატიკური მასალებითაც (ამის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით).

ასეთ ვითარებაში, ცხადია, არ იქნება მთლად უსაფუძვლო, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული ალექსანდრე მაკედონელის სახელით მოჭრილი სტატერები სინოპეს გზით შემოსულებად ვივარაუდოთ (ყოველ შემთხვევაში, გარკვეული ნაწილი მაინც).

ყურადღებას იქცევს ერთი ფაქტი: საქართველოში აღმოჩენილ ალექსანდრეს სახელით მოჭრილი 377 მონეტიდან 367 ნაპოვნია სვანეთის ფარგლებში. რით ავხსნათ ეს ფაქტი?

სვანეთის სოციალური წყობილების საკითხს, ანტიკური წყაროების მონაცემების საფუძველზე, შეეხო აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია და დაასკვნა, რომ ძველი ავტორების „... აღწერილობა ნიშანდობლივია და უეჭველად მოქმედ გვაროვნულ საზოგადოებას ახასიათებს“ და რომ „იმ დროს მთის განვითარება რამდენამდე ჩამორჩებოდა ბარისას“. გვაროვნული წყობილება კი შეუთავსებელია ფულად მეურნეობასთან. ამავე დროს, ჩრდილოეთ კოლხეთის მოსახლეობისათვის მეკობრეობა და სანაპირო ზოლის ქალაქებზე თავდასხმა ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. სამეცნიერო ლიტერატურაში არის ცდა სვანების გაიდენტურებისა ჰენიოხებთან, იმ ჰენიოხებთან, რომლებმაც, ახ. წ. I საუკუნის რომაელი ისტორიკოსის პლინიუსის ცნობით, მრავალგზის გაძარცვეს პიტიუნტი (თანამედროვე ბიჭვინტა) და, შესაძლოა, დიოსკურიაც (სოხუმი).

სიმპტომატურია ერთი გარემოებაც: სვანეთის ტერიტორიაზე ანტიკურ ხანაში ფულადი მეურნეობა სუსტადაა განვითარებული. მის ფარგლებში აღრიცხულია მხოლოდ და მხოლოდ სინქრონული ალექსანდრე მაკედონელისა და პანტიკაპეიონის სტატერების აღმოჩენები განძების სახით. მათ ემატება აგრეთვე დროის მცირე მონაკვეთით დაცილებული ლისიმაქეს სახელით მოჭრილი მონეტები შეზღუდული რაოდენობით (2 ცალი). ყველაფერი ეს ქმნის საცთურს დაისვას კითხვა: ხომ არ

გვაქვს აქ საქმე ერთი კამპანიის დროს მოპოვებულ ქონებასთან? მაგრამ, მეორე მხრივ, სვანეთში გამოვლენილი ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის არქეოლოგიური მასალის ერთი ნაწილი მიუთითებს გარე სამყაროსთან სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურულ ურთიერთობის არსებობას. თანამედროვე არქეოლოგიურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ენგურის ხეობის ზემო ნაწილის მოსახლეობას სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა აკავშირებდა არა მარტო კოლხეთის ბართან, არამედ წინა აზიისა და ბერძნული სამყაროს ცივილიზებულ ქვეყნებთან. ასეთ ვითარებაში, ცხადია, გადამწყვეტი სიტყვის თქმა მომავალ არქეოლოგიურ და ნუმიზმატიკურ აღმოჩენებს ეკუთვნის.

ძვ. წ. III საუკუნის ბოლოდან სპეციალურად შავიზღვისპირეთისათვის სავაჭრო მონეტის როლს ასრულებდა ლისიმაქეს სახელით მოჭრილი სტატერები. მათ ემისიას მრავალი ქალაქი აწარმოებდა, მაგრამ განსაკუთრებული ინტენსიურობით ბიზანტიონის ზარაფხანა გამოირჩეოდა (ძვ. წ. III ს-ის დასასრულიდან ახ. წ. I ს-ის დასაწყისამდე).

საქართველოს ფარგლებში ლისიმაქეს ოქროს მონეტების აღმოჩენის ექვსი შემთხვევაა აღრიცხული, აქედან სამი მოჭრილია ბიზანტიონში. ექვსივე სტატერი დასავლეთ საქართველოშია ნაპოვნი, რაც გარკვევით მიუთითებს მათი გავრცელების არეალზე საქართველოს საზღვრებში. კოლხეთის ბაზრის დიდ მოთხოვნილებაზე ფულის ამ ერთეულზე მიუთითებს ისიც, რომ ლისიმაქეს სტატერების იმიტაციები სწორედ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეა ფართოდ გავრცელებული.

საქართველოში გავრცელებულ პონტოს მეფის მითრიდატე VI-ის მონეტების შესახებ ჩვენ შემდგომ ვისაუბრებთ, ეს იმდენად დიდი და საინტერესო თემაა. რაც შეეხება ჰიერონ II-ის ნახევარსტატერს, ისიც, ალბათ, მცირე აზიიდანაა შემოსული ვანში, რამდენადაც ნაკლებად სავარაუდოა შორეულ სიცილიასთან პირდაპირი კონტაქტი.

გადავდივართ ადგილობრივ ოქროს მონეტებზე. ამასთან დაკავშირებით, პირველ რიგში უნდა შევეხოთ კლასიკური სტატერს, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში აკის სტატერის სახელითაა ცნობილი. მისი აღწერილობა ასეთია: წონა – 8,45 გრამი, ბაჯაღლო ოქრო.

> **შუბლი** – ალექსანდრე მაკედონელის თავის გამოსახულება მარჯვნივ.
> **ზურგი** – მარცხნივ მიმართული ტახტზე მჯდომი ათენა პალადა, რომელსაც მარჯვენა გაშლილ ხელში გამარჯვების ქალღმერთი ნიკე უჭირავს, ხოლო მარცხენათი ტახტის სახელურს ეყრდნობა. ტახტის უკან მოთავსებულია ფარი. ათენა პალადას ქვემოთ სამთითა, რომლის ორსავე მხარეს პაწია დელფინებია გამოსახული. ამ კომპოზიციის უკან ბერძნული ზედწერილი – ბასილეოს, წინ – აკუ (ტაბ. II, № 16).

მეფის სახელი ჩასმულია ნათესაობით ბრუნვაში და ქართულად ითარგმნება როგორც მეფე აკესისა/აკასი, ან აკოსისა (სახელობით ბრუნვაში იქნება აკესი ან

აკოსი. სხვა ფორმას ბერძნულში ვერ მივიღებთ). ეს ერთი დეტალი, რომელსაც აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი. და მეორე: ჩვენს მიერ აღწერილი მონეტა ზუსტი ასლია ლისიმაქეს სახელით მოჭრილი ოქროს მონეტებისა, რომელთა ემისიას აწარმოებდა ქალაქი ბიზანტიონი ძვ. წ. 195 წლის შემდგომ ხანებში.

ზემოაღწერილი სტატერი სულ ორ ცალადაა ცნობილი: ერთი აღმოჩნდა 1865 წელს ქალაქ ტრაპეზუნტში (ძველად კოლხეთის საზღვრებში შემოდიოდა) და ინახება პარიზში, მედლების კაბინეტში.

თავის დროზე ამ მონეტამ უდიდესი რეზონანსი გამოიწვია სამეცნიერო საყაროში. მისით დაინტერესდნენ მსოფლიო რეპუტაციის მქონე ანტიკოსები, მაგრამ მათი დაჟინებითი და მრავალრიცხოვანი ცდის მიუხედავად, ამ მონეტის საიდუმლოება ამოუხსნელი რჩებოდა. არავინ იცოდა, რომელი ქვეყნის მეფე იყო ეს ინკოგნიტო პიროვნება, ან რომელ პერიოდში მეფობდა.

1946 წელს აკად. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა შეიძინა ანალოგიური სტატერი, ნაპოვნი ხონის რაიონის სოფელ კინჩხაში. პროფესორმა დ. კაპანაძემ ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე ამგვარი მონეტის ორგზის აღმოჩენის საფუძველზე წამოაყენა დებულება, რომ მონეტის ზედწერილში მოხსენიებული სხვა წყაროებით უცნობი მეფე კოლხეთის მმართველი იყო. ცხადია, მონეტათა აღმოჩენის ტოპოგრაფია ძლიერი არგუმენტია, მაგრამ ის საკმარისი არ იყო. ამიტომ დ. კაპანაძემ მეფის სახელი აკესი ან აკოსი „გააქართულა" და გადმოიტანა როგორც აკი. ეს უკანასკნელი კი ქართულ ონომასტიკონში გავრცელებული სახელია. ქართველმა მეცნიერმა ეს სტატერი დაათარიღა ძვ. წ. III საუკუნით. რა შეიძლება ითქვას ამასთან დაკავშირებით? თავისთავად დ. კაპანაძის მიერ წამოყენებული ჰიპოთეზა უაღრესად საინტერესოა და მას გარკვეული საფუძველიც გააჩნია. შემთხვევითი არაა, რომ ამ მონეტების კოლხური წარმოშობის ვარაუდი არავის უარუყვია. მაგრამ სადავო ხდება თვით მეფის სახელის გადმოცემის ფორმა. მაგალითად, რუსმა მეცნიერმა ლ. ხარკომ ეჭვის ქვეშ დააყენა მონეტაზე მოხსენიებული მეფის არსებობა საზოგადოდ, ვინაიდან ასეთი პიროვნება არ იხსენიება არცერთ ანტიკურ ავტორთან. ის თვლის, რომ „აკუ" არის „ლისიმ-ახუ-ს" დაბოლოების დამახინჯებული ფორმა („ხ" შეცვლილია „კ"-თი). ასეთი მოსაზრება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. მონეტა იმდენად მაღალმხატვრულ დონეზეა მოჭრილი, რომ შეუძლებელია ასოთა ასეთი აღრევა დაეშვა ხელოსანს.

სხვა მოსაზრების თანახმად, „აკუ" არის „აკუ-სილოხის" შემოკლებული ფორმა. ეს ჰიპოთეზა უფრო ანგარიშგასაწევია. საქმე ისაა, რომ ძვ. წ. II საუკუნის ბერძენი მწერლის პოლიბიოსის მიერ მართლაც იხსენიება ასეთი მეფე, რომელიც მოღვაწეობდა ძვ. წ. II საუკუნის 70-იან წლებში. მართალია, ხსენებული ავტორი არ აზუსტებს რომელი ქვეყნის მეფეა ეს აკუსილოხი, მაგრამ იგი ისეთ გეოგრაფიულ ნომენკლატურაშია მოხსენიებული, რომ სრულებითაც არ არის გამორიცხული კოლხეთი. ახლა თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ ე. წ. აკის სტატერი ზუსტი ასლია ლისიმაქეს სახელით მოჭრილი ოქროს მონეტებისა, რომელთა ემისია ძვ. წ. 195

წლის შემდეგ ხორციელდებოდა (ამდენად, დ. კაპანაძის მიერ შემოთავაზებული თარიღი – ძვ. წ. III ს. – მართებული არ არის), მაშინ არავითარ ეჭვს არ იწვევს აკუსილოხის მოლვანეობისა და მონეტის მოჭრის სინქრონულობა.

მაგრამ მათი იდენტურობის წინააღმდეგ ისევ ფაქტობრივი მასალა გამოდის. საქმე ისაა, რომ ელინისტურ ხანაში მონეტებზე მეფის სახელი მხოლოდ იმ შემთხვევაში თავსდებოდა ფრაგმენტულად, როდესაც ამას მოითხოვდა მონეტის არის სიმცირე, მისი მხატვრულ-ტექნიკური მხარე. ე. წ. აკის სტატერზე კი მეფის სახელის შემოკლება არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა, სტატერის არეზე სავსებით თავისუფლად მოთავსდებოდა აკუსილოხის სრული სახელი.

დასკვნის სახით ამ მონეტებთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას შემდეგი: ე. წ. აკის სტატერი, ჯერჯერობით მაინც, კოლხურ სამყაროს უნდა დავუკავშიროთ და თუ მომავალი აღმოჩენები ამ ფაქტს ეჭვმიუტანლად დაადასტურებს, მაშინ ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი არგუმენტი დასავლეთ საქართველოს ფარგლებში ძვ. წ. II საუკუნის 80-70-იან წლებში სამეფოს არსებობისა, ვინაიდან მონეტაზე აღნიშნული პირი მეფის ტიტულითაა მოხსენიებული.

შემდეგ მოდის ადგილობრივ მოჭრილი ოქროს მონეტების მთელი სერია. მაგრამ ვიდრე უშუალოდ ზოგიერთი მათგანის აღწერას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია რამდენიმე სიტყვით შევეხოთ საკითხის ისტორიოგრაფიას.

სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ცნობილია გარკვეული სამონეტო ჯგუფი – ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი სტატერების მინაბაძები. იმთავითვე იყო ტენდენცია ეს მონეტები კავკასიის ტერიტორიისათვის დაეკავშირებინათ, მაგრამ სულ მალე ეს მართებული მოსაზრება უარყოფილ იქნა სხვა სპეციალისტების მიერ და მის სანაცვლოდ წამოყენებული იყო მათი ცენტრალურაზიური ან ევროპული წარმოშობის ჰიპოთეზა. შემდეგში ე. პახომოვი და ა. ზოგრაფი გადაჭრით გამოვიდნენ ამ მონეტების კავკასიის ტერიტორიისათვის მიკუთვნების სასარგებლოდ. ცნობილმა ქართველმა არქეოლოგმა გერმანე გობეჯიშვილმა ალექსანდრე მაკედონელის სტატერების მინაბაძს „კოლხეთის ოქროს მონეტები" უწოდა, ხოლო აკად. სიმონ ჯანაშიას რედაქციით გამოსულ ერთ-ერთ კატალოგური ხასიათის ნაშრომში ჩვენთვის საინტერესო მინაბაძებისათვის ასეთი კვალიფიკაციაა მიცემული: „კოლხური სტატერი, ლისიმაქეს სტატერის მინაბაძი". შემდგომი კვლევაძიება ამ ოქროს მონეტებისა უშუალოდ დაკავშირებულია დ. კაპანაძის სახელთან, რომელმაც საბოლოოდ დაადასტურა მათი წარმოშობის ქართული ხასიათი. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მინაბაძების პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ არის გადაჭრილი. მაგალითად, სრულებით გაუგებარია ვინ ჭრის მათ, სახელმწიფო ხელისუფლება თუ სხვა რომელიმე ორგანო, ან კერძო პირი, ვისი კომპეტენციაა მათი ემისია და ა. შ.

გადავდივართ სანიმუშო ცალების აღწერაზე. ვინაიდან ლისიმაქეს სტატერების მინაბაძების ჯაჭვში თითქმის ყველა რგოლი გვაქვს, აღწერას სწორედ ამ ჯგუ-

ფის მონეტებიდან ვიწყებთ. მათგან ყველაზე ადრეულია სოფელ რეყეში (რიყეში, ზუგდიდის რაიონი) 1920 წელს აღმოჩენილი ცალი. წონა – 7,78 გრამი, ოქრო მაღალი სინჯისა.

შუბლი – ოდნავ დამახინჯებული ალექსანდრე მაკედონელის პროფილი მარჯვნივ.

ზურგი – ასევე ოდნავ დამახინჯებული მარცხნივ მიმართული ტახტზე მჯდომი ათენა პალადა, რომელსაც მარჯვენა ხელში უჭირავს ნიკე, მარცხენათი ტახტის სახელურს ეყრდნობა. გამოსახულების ქვემოთ – სამთითა, რომლის ტარის შემკობა ხელოსანს, ჩანს, დელფინებით უნდოდა და მათ მაგივრად თავსა და ბოლოში წერტილებით დაბოლოებული ორი მოკლე ჰორიზონტალური ხაზი გამოსახა. ათენა პალადას წინ და უკან დამახინჯებული ბერძნული ზედწერილი, რომლის მეორე ფრაგმენტი შეიძლება მივიჩნიოთ როგორც ლისიმახუს, ისე აკუს იმიტაციად. ალბათ, უფრო პირველის (ტაბ. II, № 13).

ამრიგად, აღწერილი მონეტის სახით ჩვენ გვაქვს პირველი რგოლი, რომელიც ბაძავს ბიზანტიონში მოჭრილ ლისიმაქეს სტატერებს, ან თვით ე. წ. აკის მონეტას. ამაზე აშკარად მიუთითებს სამთითა და დელფინების გამოსახვის მცდელობა. ბიზანტიონში სამთითას და დელფინების გამოსახულებიანი მონეტები კი, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, იჭრებოდა ძვ. წ. 195 წლის შემდეგ. ალბათ, ძვ. წ. II საუკუნის 80-იანი წლებით უნდა დათარიღდეს ე. წ. აკის სტატერი. რეყეში აღმოჩენილი ცალი კი ძალიან ახლოს დგას ორიგინალებთან, რაც გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ქრონოლოგიურად ის ძალიან არ მოვაცილოთ აღნიშნულ მონეტებს. ძვ. წ. II საუკუნის 60-50-იანი წლები, ალბათ, მისაღები თარიღია. თუ ეს ასეა, მაშინ თავისთავად წამოიჭრება მეტად მნიშვნელოვანი საკითხი: თუ ე. წ. აკის სტატერი კოლხურია, ეს იმას მოწმობს, რომ კოლხეთის სამეფოს აქვს შესანიშნავი ზარაფხანა, სადაც სამონეტო საქმის ბრწყინვალე ოსტატები მუშაობენ, ვინაიდან ის აბსოლუტურად ტოლფასოვანია ლისიმაქეს სტატერებისა. მაშ, ვინ ამახინჯებს სულ ცოტა ხნის შემდეგ რეყეში აღმოჩენილ ცალს? ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ რაღაც ოციოდე წლის მანძილზე კოლხეთი ისეთი დეგრადაციის გზას დაადგა, რომ სამეფოში ბერძნული დამწერლობის მცოდნე ერთი კაციც კი ვერ მოიძებნა, მთლიანად გაწყდა სამონეტო საქმის ოსტატები. ორში ერთი: ან ე. წ. აკის სტატერი არ არის კოლხური წარმოშობისა, ან მინაბაძების სერიის ემისია არ შეადგენს სამეფო ხელისუფლების რეგალიას.

შემდეგში ლისიმაქეს სახელით მოჭრილი სტატერების მინაბაძების გამოსახულებანი თანდათან უხეშდება, სქემებად იქცევა და ძალიან სცილდება ორიგინალებს. გარდა ამისა, უარესდება მონეტების სინჯი და ეცემა წონა (რემედიუმი: 1,1-7,9 გრ.). ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ხდება დროთა განმავლობაში (ტაბ. II, №№ 14-15).

როგორ უნდა დათარიღდეს აღნიშნული სამონეტო ჯგუფი? ვინაიდან ისინი აღმოჩენილია სხვა კარგად დათარიღებულ მონეტებთან და ასევე კარგად დათარიღებულ სამარხებში, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი ემისია გრძელდებოდა ძვ. წ. II საუკუნის 80-იანი წლების შემდგომი პერიოდიდან (ასე თარიღდება მათ შორის უადრესი, რეყეში აღმოჩენილი ცალი), ვიდრე ძვ. წ. I საუკუნის უკანასკნელ მეოთხედამდე.

რაც შეეხება ალექსანდრე მაკედონელის სტატერების მინაბაძებს, მათ ადრეულ ცალებს ჩვენამდე არ მოულწევია (ჯერჯერობით მაინც). ზოგადი აღწერილობა ასეთია:

> **შუბლი** – მარჯვნივ მიმართული ქალღმერთ „ათენას" სქემატური პროფილი. სახის ნაკვთები გადმოცემულია მკვეთრი, გაბედული შტრიხებით. დროთა განმავლობაში გამოსახულება თანდათან მახინჯდება.
>
> **ზურგი** – ფრთოსანი „ნიკეს" სქემატური გამოსახულება პირდაპირ. ფრთები ფართოდ გაშლილ-ჩამოყრილი აქვს, პირობითადაა გადმოცემული, მაგრამ ისე, რომ არავითარ ეჭვს არ ტოვებს, თუ რისი გამოსახვა სურდა ხელოსანს (ტაბ. II, №№ 9-11).

უნდა აღინიშნოს, რომ ამ კატეგორიის მინაბაძების წონაც (რემედიუმი: 1,6-3,7 გრ.) თანდათან ეცემა და უარესდება სინჯი. ბოლოსდაბოლოს ისინი ვერცხლის მონეტებად იქცევა.

თარიღთან დაკავშირებით უნდა გავიმეოროთ იგივე, რაც ვთქვით ლისიმაქეს სტატერების მინაბაძების შესახებ. ალექსანდრე მაკედონელის ოქროს მონეტების იმიტაციებიც, საბედნიეროდ, აღმოჩენილია კარგად დათარიღებულ მონეტებთან ერთად და სამარხებში, რაც საშუალებას გვაძლევს მოვხაზოთ მათი ემისიის ქრონოლოგიური დიაპაზონი: ძვ. წ. I – ახ. წ. I საუკუნეები. რა თქმა უნდა, ეს ეხება მხოლოდ და მხოლოდ დღემდე მოღწეულ ცალებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ალექსანდრე მაკედონელის ოქროს მონეტების მინაბაძები ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული, ხოლო ლისიმაქესი – დასავლეთში. შესაბამისად, მათ აღსანიშნავად შემოთავაზებული იყო ტერმინები: იბერიული და კოლხური სტატერი. დღეისათვის ამ მოსაზრების გაზიარება გაძნელდება. ჯერ ერთი, მინაბაძების კატეგორიას არ შეიძლება ეწოდოს სტატერი და, მეორეც, ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა მათი გავრცელების სურათიც. ასე, მაგალითად, ახალი მონაცემებით, საკუთრივ აღმოსავლეთ საქართველოში პირველი ჯგუფის მინაბაძები მიკვლეულია 14 ცალის რაოდენობით, არგვეთში (ზემო იმერეთი, რომელიც პოლიტიკურად იბერიის გავლენის სფეროში შედიოდა) – 19, ე. ი. სულ 33 ცალი. დასავლეთ საქართველოში კი მათი აღმოჩენების რიცხვი 26-ს აღწევს. ამდენად, უკვე აღარ შეიძლება მათ იბერიულ წარმოშობაზე საუბარი. რაც შეეხება ლისიმაქეს სტატერების მინაბაძებს, 18 მიკვლეულია დასავლეთ საქართველოში, 8 – აღმოსავლეთში.

ამრიგად, უნდა დავასკვნათ, რომ ორივე კატეგორიის მინაბაძები საერთო ქართული მოვლენაა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ჩვენთვის საინტერესო იმი-

ტაციები არა მარტო საკუთრივ ალექსანდრესა და ლისიმაქეს მინაბაძებია, არამედ მათი გარდაცვალების შემდეგ მათივე სახელით მოჭრილი ოქროს მონეტებისა, მაშინ უმჯობესია ვიხმაროთ ტერმინი: ალექსანდრე მაკედონელის სტატერების ტიპის ქართული მინაბაძი და ლისიმაქეს სტატერების ტიპის ქართული მინაბაძი.

რამდენიმე სიტყვით უნდა შევჩერდეთ ე. წ. „ბარბაროსული" მინაბაძების გენეზისის მიზეზებზე და მათ ფუნქციაზე.

სამეცნიერო წრეებში მათი წარმოშობის მიზეზის გამო არავითარი უთანხმოება არაა. ერთხმადაა აღიარებული, რომ, როდესაც ფართოდ გავრცელებული და პოპულარული მონეტის შემოსვლა კლებულობს ამა თუ იმ ქვეყნის ბაზარზე, ამ „ვაკუუმის" შევსება ხდება მინაბაძების საშუალებით. სხვა საკითხია ვინ ახორციელებს მათ ემისიას – სახელმწიფო ხელისუფლება თუ კერძო პირები, რომლებიც არაეკვივალენტური სუროგატებით ამარაგებენ ბაზარს. ეს ურთულესი პრობლემაა და ამჯერად მის ირგვლივ ვრცელი საუბრის საშუალება, ცხადია, არ არის.

დაბოლოს, აქვს თუ არა მინაბაძებს ფულის ფუნქცია? მეცნიერთა აბსოლუტური უმრავლესობა ამ კითხვაზე დადებითად პასუხობს. ამაზე მიუთითებს ცალკეული ცალების შედარებით სრულყოფილება, მაღალი წონა და სინჯი, აგრეთვე ის გარემოებაც, რომ იმიტაციები აღმოჩენილია სხვა, თუ შეიძლება ასე ითქვას, კანონიერ მონეტებთან ერთად განძებში.

მაგრამ არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც. მაგალითად, პროფ. ს. მაკალათია ფიქრობდა, რომ მათ სპეციალურად ჭრიდნენ მიცვალებულებისათვის სამარხებში ჩასატანებლად, რაც, სხვათა შორის, არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადასტურებული ფაქტია. ამ არგუმენტზე შეიძლება გაიცეს მარტივი პასუხი: განა ორიგინალურ მონეტებს არ ატანდნენ მიცვალებულებს სამარხებში?! ამის გამო მათ ხომ არ დაუკარგავთ ფულის ფუნქცია? ასე რომ, მინაბაძების ეკონომიკური ბუნება დავას არ უნდა იწვევდეს.

ასეთია საქართველოში ელინისტურ ხანაში გავრცელებული ოქროს მონეტების ზოგადი მიმოხილვა.

იჭრებოდა თუ არა მონეტა ვანში?

წინა თავში ჩვენ მიმოვიხილეთ საქართველოში გავრცელებული ელინისტური ხანის ოქროს მონეტები. ამჯერად შევჩერდებით ამავე პერიოდის სხვა მონეტებზე, როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურზე.

უპირველეს ყოვლისა, რა მონეტები იჭრება აღებულ ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე? იბერიაში, თუ არ ჩავთვლით უკვე მოხსენიებული მინაბაძების კატეგორიას (რომელთა ლეგიტიმურობაში ჩვენ გარკვეულწილად ეჭვი გვეპარება), სამონეტო ემისიას ადგილი არა აქვს[4]. კოლხეთში, მართალია, მონეტები იჭრება, მაგრამ უცხო ძალის ეგიდის ქვეშ, რასაც ქვეყნის პოლიტიკური ვითარება აპირობებდა[5].

თავდაპირველად შევჩერდებით მცირე ზომის სპილენძის (თუ ბილონის?) და ვერცხლის მონეტების გარშემო, რომელთა სწორ ატრიბუციას დიდი მნიშვნელობა აქვს კოლხეთში ძვ. წ. II საუკუნეში სამეფოს არსებობის დადასტურების თვალსაზრისით. ჩვენამდე მათ მოაღწიეს რვა ცალის რაოდენობით და ყველა ეგზემპლარი ერთის გარდა, საზღვარგარეთაა დაცული: მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში – სამი, ბერლინისა – სამი და ბრიტანეთის – ერთი, 1 – ვანის მუზეუმში. ეს მონეტები იყოფა სამ ტიპად. ვიძლევით მათ აღწერილობას:

I. **შუბლი** – მარჯვნივ მიმართული მამაკაცის პროფილი სხივანა გვირგვინში.

ზურგი – მარჯვნივ მიმართული ხარის თავი. გამოსახულების ზემოთ და ქვემოთ ბერძნული ზედწერილი: ბასი... საულ ან საუმ... ე. ი. მეფე საულაკისა ან საუმაკისა. საქმე ისაა, რომ მეფის სახელი მონეტაზე ფრაგმენტულად არის ამოკვეთილი, ხოლო უკანასკნელი ასოს მიჩნევა შეიძლება როგორც „ლ"-დ, ასევე „მ"-დ (ტაბ. III, № 17).

II. **შუბლი** – მარჯვნივ მიმართული მამაკაცის პროფილი სხივანა გვირგვინში.

ზურგი – ვარდის გამოსახულება, რომლის ზემოთ და ქვემოთ ბერძნული ლეგენდა: ბასილ... საუ...

III. **შუბლი** – მამაკაცის თავის გამოსახულება სხივანა გვირგვინში პირდაპირ.

ზურგი – ფრთოსანი ელვა, რომლის ზემოთ და ქვემოთ წარწერა: ბასი... საუ...

როგორც ვხედავთ, არც ერთ მონეტაზე მეფის სახელი სრულად არაა შემორჩენილი, რამაც მათი გენეზისის საკითხი მწვავე დისკუსიის საგნად აქცია საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში.

მეცნიერთა ერთი ნაწილი მეფის სახელს კითხულობს როგორც საუ(ლაკოს) და ამ მონეტებს უკავშირებს კოლხეთის სამეფოს. ერთ-ერთ არგუმენტად მათ მოჰყავთ I საუკუნის რომაელი ისტორიკოსის პლინიუსის ცნობა, რომლის თანახმადაც კოლხეთში ოდესღაც მეფობდა ლეგენდარული სავლაკი. მაგრამ საქმე ისაა, რომ, როგორც დაანგარიშებულია, ეს ზღაპრული სავლაკი კოლხეთში მეფობდა 1200 წლით ადრე, ვიდრე ჩვენთვის საინტერესო მონეტები მოიჭრებოდა. ასე რომ, ისტორიულად ამ პარალელის გავლებას საფუძველი არ გააჩნია. შემდეგი არგუმენტი, რომელიც მოჰყავთ ამ მონეტების კოლხური წარმოშობის სასარგებლოდ, გახლავთ ის, რომ პირველი ტიპის ცალების ზურგზე გამოსახულია ხარის თავი. აქედან – კავშირი კოლხურ თეთრთან. და ბოლოს ისიც, რომ ე. წ. სავლაკისა და კოლხური მონეტები ერთად გაყიდულა სოხუმში, რაც თითქოს მათი ერთობლივი აღმოჩენის დამამტკიცებელი საბუთია. ცხადია, ძალიან სასურველია ზემოთ აღწერილი მონეტების კოლხური ნუმიზმატიკური ძეგლების რიცხვში შეტანა, თუნდაც იმიტომ, რომ ის იქნება ერთადერთი საბუთი, რომელიც კოლხეთში შესაბამის პერიოდში სამეფოს არსებობის ფაქტს დაადასტურებს, ვინაიდან მათზე მოთავსებულია ზედწერილი „ბასილეოს“ – მეფის. სამწუხაროდ, ამ მოსაზრების სასარგებლოდ მოყვანილი არგუმენტები სუსტია. პირველი არგუმენტის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. ასევე ვერ უძლებს კრიტიკას მეორე საბუთიც. საქმე ისაა, რომ ხარის გამოსახულების გეოგრაფია ბერძნულ სამყაროში ძალიან ფართოა, ის მრავალი ქვეყნისა და ქალაქის მონეტებს ამშვენებს და მისი დაკავშირება მაინცდამაინც კოლხურ სამყაროსთან, რბილად რომ ვთქვათ, მართებული არაა. რაც შეეხება ე. წ. სავლაკისა და კოლხური მონეტების ერთად გაყიდვის ფაქტს, ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს მათ ერთ პუნქტში აღმოჩენას. ყველაზე ძლიერი არგუმენტი, რომლის მოყვანაც კი შეიძლება ამ მონეტების კოლხური წარმოშობის სასარგებლოდ, გახლავთ ის, რომ დღემდე ცნობილი 8 ეგზემპლარიდან – 5 დასავლეთ საქართველოს ფარგლებშია აღმოჩენილი (სოხუმის მიდამოებში და ვანში).

მეცნიერთა მეორე ნაწილი ზემოთ აღწერილ მონეტებს ბოსფორის სამეფოს უკავშირებს. მათი არგუმენტაცია ასეთია: მთელი რეპერტუარი ამ მონეტების ტიპოლოგიისა აღებულია როდოსის (კუნძული ხმელთაშუა ზღვაში) ნუმიზმატიკიდან. კერძოდ, ვარდის გამოსახულებიანი სადავო მონეტა ზუსტი ასლია როდოსის იმ მონეტებისა, რომელთა მოჭრა წარმოებდა ძვ. წ. 166-88 წლებში. ეს კი იძლევა სადისკუსიო ცალების ზუსტი დათარიღების საშუალებას – ძვ. წ. II-I საუკუნეები. ერთადერთი რეალური ისტორიული პიროვნება ამ ხანაში, რომლის არსებობაც წყაროებითაც დასტურდება, არის სავმაკი. ეს ის სავმაკია, რომელიც იხსენიება მითრიდატე VI პონტოელის მხედართმთავრის – დიოფანტეს საპატივცე-

მულოდ ქერსონესში აღმართულ დეკრეტში. მან ძვ. წ. II საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა ბოსფორის სამეფოში და მცირე ხნით თვით დაიკავა ტახტი. სწორედ ამ პერიოდში უნდა მოეჭრა მას ჩვენთვის საინტერესო მონეტები. ძვ. წ. 107 წელს კი იგი დაამარცხა და ტყვედ იგდო უკვე მოხსენიებულმა დიოფანტემ. ყოველივე ზემოთქმულის გამო, სადავო მონეტები უყოყმანოდ უნდა მიეკუთვნოს ბოსფორის სამეფოს ნუმიზმატიკას. ძალიან ძნელია კონტრარგუმენტების მოძებნა ამ დებულების წინააღმდეგ. თუმცა ერთი ცხადია: ვიდრე არ აღმოჩნდება ე. წ. სავმაკის (თუ სავლაკის) სრულწარწერიანი მონეტა, მანამ ეს საკითხი ყოველთვის პოლემიკის საგანი იქნება.

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია ცნობილია დიოსკურიის (თანამედროვე სოხუმი) სპილენძის საქალაქო მონეტები (ხალკი მაგ. 1,3-3,1 გრ.; დიხალკი მაგ. 3,7-5 გრ.; ტეტრახალკი მაგ. 6,1 გრ.), რომელთაც ასეთი სახე აქვთ: შუბლი – ტყუპი ძმების პოლიდევკესა და კასტორის ემბლემის – ორი ფრიგიული ქუდის გამოსახულება, რომელთა ზემოთ მოთავსებულია ექვსი ან რვაქიმიანი ვარსკვლავები. ზურგი – მონეტის ცენტრში კვერთხის გამოსახულება, მის ორივე მხარეს სამ სტრიქონად ბერძნული ზედწერილი: დიოსკურიადოს (ტაბ. III, №№ 20-21). ამ მონეტების ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენას პრინციპული მნიშვნელობა აქვს კოლხეთის ისტორიის ზოგიერთი მომენტის დასაზუსტებლად. კერძოდ, იმ ფაქტის დადგენის თვალსაზრისით, თუ როდის მოხდა პონტოს მეფის მითრიდატე VI დიონისე ევპატორის (ძვ. წ. 120-63 წწ.) მიერ კოლხეთის დამორჩილება. საქმე ისაა, რომ პონტოს მეფის ცხოვრების ძირითადი მიზანი იყო გაეერთიანებინა შავიზღვისპირეთის აუზის ქვეყნები, მცირე აზიის ელინისტური სამყარო და ამ გზით დაპირისპირებოდა რომის ექსპანსიას. მას მოსვენებას არ აძლევდა ლეგენდარული ალექსანდრე მაკედონელის ლანდი, თავი მის მემკვიდრედ მიაჩნდა. შემთხვევითი როდია ის ფაქტი, რომ მითრიდატე ევპატორის გამოსახულებას მონეტებზე თავისი დიდი წინამორბედის ნაკვთები აქვს. ამრიგად, რომთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბატალიების წინ, შავი ზღვის აუზის ქვეყნების კონსოლიდაციის მიზნით, ბრძოლას იწყებს ძველი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამორჩეული პიროვნება მითრიდატე VI ევპატორი. ცხადია, ამ გზაზე იგი გვერდს ვერ აუვლიდა კოლხეთს, რისი დასტურიც, სხვა მონაცემებთან ერთად, არის სწორედ დიოსკურიის სპილენძის საქალაქო მონეტები. რატომ? იმიტომ რომ ისინი ტიპოლოგიურად უკავშირდება სამხრეთ შავიზღვისპირეთის სპილენძის საქალაქო მონეტებს (ე. ი. იმ ქალაქების ნუმიზმატიკურ ძეგლებს, რომლებიც უშუალოდ შედიოდა მითრიდატეს სამფლობელოში). კერძოდ, შუბლის მოტივი (დიოსკურების ორი ქუდი) აღებულია ამისოს იმ მონეტებიდან, რომლებიც იჭრებოდა ძვ. წ. 120-111 წლებში, ხოლო ზურგისა (დიონისეს კვერთხი) ასევე ნასესხებია სამხრეთ და ჩრდილო შავიზღვისპირეთის საქალაქო ნუმიზმატიკიდან, იმ მონეტებიდან, რომლებიც თარიღდება ძვ. წ. 105-90 წლებით. ამრიგად, ყოველგვარი ეჭვის გარეშე,

დიოსკურიაში მოჭრილი მონეტები ძვ. წ. II საუკუნის დასასრულითა და I-ის დასაწყისით უნდა დათარიღდეს. შესაბამისად, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს შეერთება თავის სამფლობელოსთან მითრიდატე VI განახორციელა სინქრონულად (რაც შეეხება კოლხეთის შიდა რაიონების ინკორპორირებას პონტოს სამეფოს მიერ, ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ). ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ დიოსკურიის სპილენძის საქალაქო მონეტები ქართულ ნუმიზმატიკას მიეკუთვნება მხოლოდ და მხოლოდ გეოგრაფიული თვალსაზრისით. დიოსკურიაში, ჩანს, იდგა მითრიდატე VI-ის მხედრიონი და სამონეტო რეგალიას სწორედ მის მიერ დანიშნული ხელისუფლება ახორციელებდა.

სისხლისმღვრელი ბრძოლები რომსა და პონტოს შორის რამდენიმე ათეული წელი გაგრძელდა და მითრიდატეს მარცხით დასრულდა. რომის ძლევამოსილი სარდალი გნეუს პომპეუსი ჯერ სომხეთში შევიდა და იქ პონტოს მოკავშირე ტიგრან II (ძვ. 95-55 წწ.) დაამარცხა, ხოლო შემდეგ, კერძოდ, ძვ. წ. 65 წელს იბერიას მოადგა. მიუხედავად მედგარი წინააღმდეგობისა, ქართლის მეფე არტაგი ბოლოს-დაბოლოს იძულებული გახდა დამორჩილებოდა პომპეუსს. იბერიიდან რომაელები გადადიან კოლხეთში და აქ პომპეუსი ქვეყნის ეფემერულ მმართველად ძვ. წ. 63 წელს ნიშნავს არისტარქე კოლხს. ჩვენამდე მოაღწია მისი სახელით მოჭრილმა ვერცხლის ექვსმა მონეტამ. ყველა მათგანი დაცულია საზღვარგარეთ: ბერლინის, ეშმოლის და ბრიტანეთის მუზეუმებში, აგრეთვე პარიზის მედლების კაბინეტში – თითო-თითო ცალი, ორიც – სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟში (აქედან ერთი – აღმოჩენილი სოხუმის მიდამოებში). ვიძლევით მათ აღწერილობას: შუბლი – მარჯვნივ მიმართული მამაკაცის პროფილის გამოსახულება სხივანა გვირგვინში (ინგლისელი და რუსი მეცნიერების – ჯ. ჯენკინსისა და კ. გოლენკოს გამოკვლევების თანახმად, მონეტაზე გამოსახულია მზის ღმერთი ჰელიოსი, რომელსაც პომპეუსის ნაკვეთები აქვს. რით ასაბუთებენ ამ მოსაზრებას? საქმე ისაა, რომ კოლხეთის პირველი მეფე, პლინიუსის ცნობის მიხედვით, მზის შვილი იყო, ხოლო არისტარქემ ძალაუფლება პომპეუსისაგან მიიღო. ამ შემთხვევაში ერთმანეთს შეერწყა ადგილობრივი ტრადიცია და პოლიტიკური კონიუნქტურა. ჩვენი აზრით, ეს უაღრესად ანგარიშგასაწევი მოსაზრებაა). ზურგი – მარჯვნივ მიმართული ტახტზე მჯდომი ქალის დრაპირებული გამოსახულება კოშკურა გვირგვინში. მარცხენა ხელში მას სფეროს მაგვარი საგანი უჭირავს, ხოლო მარჯვენათი საჭეს ეყრდნობა. გამოსახულების ორსავე მხარეს და ქვემოთ ბერძნული ზედწერილი: არისტარხუ ტუ ეპი კოლხიდოს ბი, ე. ი. არისტარქესი, კოლხეთის მეფისნაცვლისა, ან კოლხეთის მმართველის, ან არისტარქესი, რომელიც კოლხეთს მართავს, და თარიღი – 12, რაც უდრის ამ პიროვნების მმართველობის მე-12 წელს, ანუ ძვ. წ. 52-51 წლებს. (ტაბ. III, № 19).

ამ გამოსახულების სწორი ინტერპრეტაცია უკანასკნელ ხანებში მოახერხა ჯ. ჯენკინსმა იმის წყალობით, რომ მის განკარგულებაში აღმოჩნდა შესანიშნავად

დაცული ეგზემპლარი, სადაც კარგად ჩანდა საჭე, უცილობელი ატრიბუტი შემთხვევის, ბედისა და ბედნიერების ღმერთქალისა – ტიხესი.

არისტარქე კოლხის დრაქმების (რემედიუმი /წონითი მერყეობა/ – 3,2-3,7 გრ.) ისტორიული მნიშვნელობა ძალზე დიდია. მათი ლაკონიური ზედწერილი თვალნათლივი ილუსტრაციაა იმისა, თუ ზოგიერთ შემთხვევაში რა უპირატესობა აქვს მონეტების ლეგენდებს წერილობით წყაროების ცნობებთან შედარებით. საქმე ისაა, რომ ზოგიერთი ანტიკური ავტორი არისტარქეს მეფეს უწოდებს, თვით მონეტის წარწერაში კი, რომელსაც იურიდიული მნიშვნელობის ხასიათი აქვს, ეს უკანასკნელი მმართველის სახელითაა მოხსენიებული. ამრიგად, მონეტის ლეგენდის საშუალებით მთელი ქვეყნის პოლიტიკური სტატუსის ვითარების დადგენა ხერხდება. ცხადია, კოლხეთი ამ დროს სამეფო კი არ არის, არამედ რომზე დამოკიდებული მხარეა.

ამ მონეტების მნიშვნელობის კიდევ ერთ ასპექტს უნდა შევეხოთ. ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ საქართველოში იჭრებოდა ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სტატერების იმიტაციები და იქვე შევნიშნავდით, რომ დღემდე გაურკვეველია მათი იურიდიული ბუნება. სხვა სიტყვებით, დაუდგენელია ვინ ჭრიდა მათ – სახელმწიფო ხელისუფლება, თუ კერძო პირნი. ამ კუთხით არისტარქეს დრაქმების იკონოგრაფიას შეუძლია გარკვეულად წინ წაწიოს ამ საკითხის შემდგომი კვლევა-ძიება. საქმე ისაა, რომ არისტარქეს მონეტის ზურგის მოტივს (ტახტზე მჯდომი ტიხე) იმეორებს ლისიმაქეს სტატერის ერთი ქართული მინაბაძი, რომლის შუბლზე გამოსახულია ალექსანდრე მაკედონელის დამახინჯებული პროფილი. ხომ არ შეიძლება იმის დაშვება, რომ ორივე კატეგორიის მონეტა – არისტარქეს კლასიკური დრაქმა და ლისიმაქეს სტატერის ტიპის მინაბაძი ერთდროულად მოიჭრა ერთსადაიმავე ზარაფხანაში?! აქ, ჩვენ ვფიქრობთ, ლეგალურ და არალეგალურ ემისიებთან უნდა გვქონდეს საქმე.

ახლა შევეხოთ ელინისტურ ხანაში (ძვ. წ. III-I სს.) საქართველოში გავრცელებულ უცხოურ მონეტებს. ამასთანავე, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ თანადროული ოქროს მონეტები წინა ნაწილებში ჩვენ უკვე მიმოვიხილეთ.

სამონეტო მიმოქცევის ინტენსივობითა და სიჭრელით, ცხადია, საქართველოს ორი დიდი „ნუმიზმატიკური პროვინცია" – კოლხეთი და იბერია – ერთმანეთისაგან განსხვავდება. ამიტომ ჩვენ მათ ცალ-ცალკე დავახასიათებთ. გარდა ამისა, ასევე გამოყოფილად უნდა იქნეს დახასიათებული კოლხეთის სანაპირო ზოლისა და შიდა რაიონების სამონეტო ბაზარი. ამ თვალსაზრისით ეტალონად ჩვენ ვიღებთ დიოსკურიისა და ვანის მიდამოებს იმ მოსაზრებით, რომ მასალა აქ კომპაქტურადაა წარმოდგენილი (სხვა პუნქტებიდან მომდინარე მასალას გამოვიყენებთ როგორც დამხმარეს). ვინაიდან კოლხეთის ტერიტორიაზე ელინისტური ხანის მრავალრიცხოვანი ნუმიზმატიკური მასალაა მოძიებული, ამიტომ უცხოური მონეტების აღწერილობას, გამომდინარე სახელმძღვანელოს სპეციფიკიდან, ვიძლევით ძალზე

სქემატურად, ან საერთოდ გვერდს ვუვლით ამ საკითხს და ვკმაყოფილდებით მათი სადაურობისა და თარიღის მითითებით.

მაშ, რა მონეტებია მიკვლეული დიოსკურიასა და მისი რადიაციის სფეროში?

1. ეშერას გათხრების დროს (ხელმძღვანელი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი შამბა) აღმოჩნდა ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისის სინოპური ჰემიდრაქმები: ა) შუბლზე ნიმფა სინოპესა და ზურგზე არწივის გამოსახულებით, 1 ცალი. ზუსტად ასეთივე მონეტები აღმოჩენილია ფიჭვნარში (3 ცალი) და დაფნარში (1); ბ) შუბლი – ნიმფა სინოპეს თავი, ზურგი – გემის ცხვირი.
2. 1939 წელს სოხუმის ციხის მიდამოებში იპოვეს ძვ. წ. III ს. დასასრულისა და II საუკუნის დასაწყისის ამისოს სიკლი.
3. იქვე აღმოჩნდა რომის რესპუბლიკური დენარი, მოჭრილი ძვ. წ. 171-151 წლებში.
4. იქვე მოიძიეს ძვ. წ. II საუკუნის I ნახევრის პანტიკაპეიონის სპილენძის მონეტა შუბლზე სატირისა და ზურგზე დიოსკურების ორ ქუდს შორის მოთავსებული სიუხვის ყანწის გამოსახულებით.
5. 1949 წელს სოხუმში ზღვამ გამორიყა ე. წ. „ახალი სტილის" ათენური ტეტრადრაქმა (მისი ემისია ათენში დაიწყო ძვ. წ. III საუკუნის ბოლოს. არქაული ტეტრადრაქმისაგან განსხვავებით, მასზე გამოსახულია მარჯვნივ მიმართული ათენას თავი მუზარადში, რაც ძვ. წ. V საუკუნის უდიდესი ბერძენი მოქანდაკის ფიდიასის ქმნილების ასლია, ხოლო ზურგზე – ამფორაზე მჯდომი ბუ და ზედწერილები, რომლებიც გადმოგვცემს ქალაქისა და მაგისტრატის სახელებს, თარიღს და ა. შ.), რომელიც ძვ. წ. 130/129 წლებშია მოჭრილი.
6. სოხუმში აღმოჩნდა რომის რესპუბლიკური დენარი, მოჭრილი ძვ. წ. 99-94 წლებში მარკუს სერგიუს სილუსის სახელით.
7. სოხუმის ციხის ტერიტორიაზე 1942 წელს შემთხვევით უპოვიათ ძვ. წ. 100-75 წლების პანტიკაპეიონის ტეტრახალკი (სპილენძის მონეტის ნომინალი) შუბლზე აპოლონისა და ზურგზე სამფეხაზე მოთავსებული კვერთხის გამოსახულებით.
8. ეშერაში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა ტეტრახალკი და დიხალკი (სპილენძის მონეტის ნომინალი), გამოშვებული ძვ. წ. 111-105 ან 105-90 წლებში. ერთი მათგანი მოჭრილია ამისოში (ტიპი: ომის ღმერთის არესის პროფილი – მახვილი).
9. იმავე პუნქტში ნაპოვნია კიდევ სპილენძის შვიდი მონეტა, მოჭრილი ძვ. წ. 105-90 წლებში (ტიპი: გორგონა-ნიკე. გორგონა – ბერძნულ მითოლოგიაში ფრთოსანი ურჩხული ქალია). მონეტები ცუდადაა დაცული, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი უცილობლად ამისოშია მოჭრილი, ერთიც, შესაძლებელია, ამასტრიაში (ქალაქი შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, მცირე აზიაში).

10. ქალაქ სოხუმში 1886 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა ამისოში მოჭრილი სპილენძის მონეტა იმავე ხანისა.
11. მითრიდატე VI ევპატორის ეპოქით თარიღდება ქალაქ ფარნაკეაში (შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო) მოჭრილი ტეტრახალკი, აღმოჩენილი ეშერაში 1971 წელს (ტიპი: ტიხეს თავი კოშკურა გვირგვინში, ზევსი მთელი ტანით).
12. 1972 წელს აქვე მიაკვლიეს ნეოკესარიაში (ქალაქია მცირე აზიაში) მოჭრილ თანადროულ დიხალკს (ტიპი: დიონისეს თავი – კვერთხი).
13. იმავე ეშერში აღმოჩნდა ძვ. წ. 80-70 წლებში ამისოში(?) მოჭრილი ტეტრახალკი (ტიპი: ზევსი – არწივი).
14. აქვეა ნაპოვნი ვანში(?) გამოშვებული სპილენძის მცირე ზომის ანონიმური მონეტა (მასზე ჩვენ დაწვრილებით ქვემოთ შევჩერდებით).
15. სოხუმის სანაპიროზე იპოვეს ძვ. წ. 87 წლით დათარიღებული რომის რესპუბლიკური დენარი.
16. 1936 წელს სოხუმის მიდამოებში აღმოჩნდა მითრიდატე VI ევპატორის ორი ტეტრადრაქმა. ერთ-ერთი მათგანი მოჭრილი იყო ძვ. წ. 74 წელს.
17. სოხუმის ციხის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ძვ. წ. 83 წელს გამოშვებული რომის რესპუბლიკური დენარი.
18. სოხუმის მიდამოებშივე იპოვეს რომის რესპუბლიკური დენარი, მოჭრილი ძვ. წ. 48 წელს.
19. ეშერაში აღმოჩნდა სიცილიაში ძვ. წ. 49 წელს მოჭრილი რომის რესპუბლიკური დენარი.

ამ სიას, ცხადია, სისრულისთვის უნდა დაემატოს 1890-იან წლებში მდ. კელასურის ნაპირზე ნაპოვნი დიოსკურიის სპილენძის საქალაქო მონეტების განძი, რომელიც, გადმოცემის თანამხმად, რამდენიმე კილოს იწონიდა.

დღემდე ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ინტენსიური სამონეტო ცირკულაცია დიოსკურიასა და მის მიდამოებში იწყება მითრიდატე VI ევპატორის ხანიდან, რაც, რა თქმა უნდა, პირდაპირ კავშირშია პოლიტიკურ მომენტებთან, კერძოდ, ქალაქის უშუალო დაქვემდებარებასთან პონტოს მეფის მიერ. ყოველგვარი ეჭვის გარეშე შავი ზღვის ამ სექტორში, თვით დიოსკურიაში მოჭრილი მონეტების პარალელურად, ფართოდ მიმოიქცევა პონტოს სპილენძის საქალაქო პროდუქცია. აგრეთვე, ალბათ, თვით მითრიდატე VI ევპატორის სახელით მოჭრილი ტეტრადრაქმები, მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით მხოლოდ ორი ცალია ნაპოვნი.

რაც შეეხება ადრეულ ცალებს (სინოპური ჰემიდრაქმები, ამისოს სიკლი), მათ აღმოჩენაც დიოსკურიის მიდამოებში სავსებით ბუნებრივია. ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი, რომ ძვ. წ. IV საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან სინოპეს ხელში გადადის კოლხეთთან ვაჭრობის ჰეგემონია. ცხადია, ამ ფონზე ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისის

სინოპური ჰემიდრაქმების მოძიება შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირობზე მოულოდნელი არაა (ისევე, როგორც სინოპეს სავაჭრო პარტნიორის, ამისოს სიკლისა).

ახლა შევეხოთ ფულადი მიმოქცევის საკითხს კოლხეთის შიდა რაიონებში ვანის ნაქალაქარის მაგალითზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სამონეტო ცირკულაცია ამ პუნქტში ძვ. წ. IV ს. II ნახევრიდან დაიწყო. ნაქალაქარის ტერიტორიაზე მიკვლეულია კოლხური თეთრი, ფილიპე II (ძვ. წ. 359-336 წწ.) სტატერი (ერთი), ალექსანდრე მაკედონელის (ძვ. წ. 336-323 წწ.) ოქროს ორი მონეტა, ფილიპე III (ძვ. წ. 323-316 წწ.) და ლისიმაქეს (ძვ. წ. 306-282 წწ.) თითო-თითო სტატერი, აგრეთვე ჰიერონ II (275/4-216 წწ.) ერთი ნახევარსტატერი. გარდა ამისა, აქვეა აღმოჩენილი ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სტატერების ტიპის ორ-ორი მინაბაძი. ყველაფერ ამის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით და ამიტომ ამჯერად მათზე აღარ გავამახვილებთ ყურადღებას, ოღონდ, მათი მონაწილეობა ვანის სამონეტო ბაზარში ყოველთვის უნდა გვახსოვდეს.

ვიძლევით ვანში აღმოჩენილი ელინისტური ხანის დანარჩენი მონეტების სიას (სულ ნაქალაქარის ტერიტორიაზე, შემთხვევით ან გათხრების შედეგად, დაახლოებით 250-მდე მონეტაა ნაპოვნი):

1. ძვ. წ. II-I (?) საუკუნეების სპილენძის სამი მონეტა.
2. ე. წ. „ახალი სტილის" ათენური მონეტები: ა) დრაქმა მოჭრილი ძვ. წ. 146/5 წლებში და ბ) ტეტრადრაქმა დათარიღებული ძვ. წ. 125/4 წლებით.
3. ვერცხლის მცირე ზომის მონეტა, მოჭრილი როდოსში ძვ. წ. 166-88 წწ. ჰელიოსისა და ვარდის გამოსახულებით. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მონეტა გამოუქვეყნებელია. ესაა როდოსული მონეტის საქართველოში აღმოჩენის პირველი და ერთადერთი შემთხვევა.
4. კაპადოკიის (მცირე აზია) მეფეთა დრაქმები: ა) არიარათ VI (ძვ. წ. 130-116 წწ.) – 1 ცალი; ბ) არიარათ VII (ძვ. წ. 116-101 წწ.) – 1; გ) არიარათ IX (ძვ. 101-87 წწ.) – 2; დ) არიობარძანე I (ძვ. წ. 96-63 წწ.) – 3.
5. რესპუბლიკური ხანის რომაული დენარები – 2 ცალი (ერთი მოჭრილი ძვ. წ. 119-110 ან 90-80 წწ., ერთიც – ძვ. წ. 64 წ.), კვინარიუსი (დენარის ნახევარი) – 1 ცალი, დათარიღებული ძვ. წ. 102 წლით.
6. მითრიდატე VI ევპატორის ეპოქის პონტოს ქალაქების სპილენძის მონეტები:
   ა) ძვ. წ. 111-105 წლებით დათარიღებული, ტიპი: არესი – მახვილი – 1 ეგზემპლარი;
   ბ) ძვ. წ. 111-105 ან 105-90 წლები – 14, ტიპი – იგივე. ამისოს ზარაფხანა – 5, ზარაფხანა არ იკითხება – 9;
   გ) ძვ. წ. 105-90 წლები – 1. ტიპი: ათენა – პერსევსი (ბერძნული მითოლოგიის გმირი, გორგონას მკვლელი), ამისოს ზარაფხანა;
   დ) ძვ. წ. 105-90 წლები, ტიპი: გორგონა – ნიკე, ამისო – 7, ამასტრია – 3, განუსაზღვრელი ზარაფხანა – 14. სულ – 24 ცალი.

ე) ძვ. წ. 90-80 წლები – 1. ტიპი: დიონისე – კისტა (ან ცისტა – სარიტუალო კალათი) – ამისო.

ვ) ძვ. წ. 80-70 წლები – 5. ტიპი: ზევსი – არწივი, ამისო – 2; დაუდგენელი ზარაფხანა – 3;

ზ) ძალიან ცუდად დაცული სპილენძის მონეტები, მაგრამ ყოველგვარი ეჭვის გარეშე მოჭრილი მითრიდატე VI-ის ეპოქაში პონტოს ქალაქებში – 9.

ამრიგად, სულ 55 ეგზემპლარი, აქედან 47 – ტეტრახალკია, 6 – დიხალკი და ერთიც – ობოლი (სპილენძის მონეტის ნომინალებია).

7. ძვ. წ. I საუკუნის 80-იან წლებში ვანში(?) მოჭრილი სპილენძის ანონიმური მონეტები – 126 ცალი. ამ უნიკალური მონეტების შესახებ ჩვენ დაწვრილებით ცალკე გვექნება საუბარი. აქ კი გვინდა მოკლედ შევჩერდეთ მათი აღმოჩენის პირობებზე და აღწერაზე.

ვანის გათხრების დროს 1967 წელს მოზაიკურიატაკიანი ტაძრის საკურთხევლის წინ აღმოჩნდა 119 სპილენძის მონეტისაგან შემდგარი განძი, რომელიც, როგორც ჩანს, მოთავსებული იყო ქისაში. განძის 118 მონეტა იდენტურია: შუბლი – ეგვიპტური ნაყოფიერების ღვთაების ისიდას თავსამკაულის – სტილიზებული ლოტოსის გამოსახულება, ზურგი – რვაქიმიანი რელიეფური ვარსკვლავი (რომელიც, ნახევარმთვარის გამოსახულებასთან ერთად, მითრიდატების დინასტიურ ემბლემად ითვლებოდა) (ტაბ. III, № 18). განძის 119-ე მონეტა მოჭრილია ამისოში ძვ. წ. 111-105 ან 105-90 წლებში (მისი ცუდი დაცულობის გამო თარიღის ზუსტი დადგენა ვერ ხერხდება) და მას ასეთი სახე აქვს: შუბლი – ომის ღმერთის არესის თავის გამოსახულება მარჯვნივ; ზურგი – ქარქაშში ჩაგებული მახვილი. ეს მონეტა, საბედნიეროდ, ათარიღებს განძის შემადგენლობაში შემავალ დანარჩენ ცალებს ძვ. წ. I საუკუნის დასაწყისით.

8. მითრიდატე VI ევპატორის (ძვ. წ. 120-63 წწ.) ტეტრადრაქმა, დათარიღებული ძვ. წ. 74-3 წლებით. მას ასეთი სახე აქვს: შუბლი – მითრიდატე ევპატორის თავის გამოსახულება გაშლილი თმებით მარცხნივ (მას ალექსანდრე მაკედონელის სახის ნაკვთები აქვს). ზურგი – მარცხნივ მიმართული ირმის გამოსახულება, რომელიც ბალახს ძოვს. ირმის ზემოთ მითრიდატიდების დინასტიური ემბლემა – ნახევარმთვარე და ვარსკვლავი. ზედწერილი: ბასილეოს მითრიდატუ ევპატოროს – მეფე მითრიდატე ევპატორისა, თარიღი და მონოგრამები.

ამავე მონარქის კიდევ ერთი ტეტრადრაქმა აღმოჩნდა ვანის არქეოლოგიური გათხრების დროს, ოღონდ მის ზურგზე ფრთოსანი პეგასია გამოსახული.

9. პართული (სამეფო კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, შემდგომ ის მთელ ირანს მოიცავდა) დრაქმები: ა) მეფე სინათრუქისა (ძვ. წ. 77-70 წწ.), ოროდ II-ისა (ძვ. წ. 57-38/7 წწ.) – თითო-თითო ცალი.

10. პერგამონში (ქალაქი და სამეფო მცირე აზიაში) ძვ. წ. 50-49 წლებში მოჭრილი კისტაფორი (ვერცხლის დიდი ზომის მონეტა. ასე მას ეწოდება იმიტომ, რომ მის ზურგზე გამოსახულია სარიტუალო კალათა – კისტა).
11. იმპერატორ მარკუს ავრელიუსის (161-180 წწ.) დენარი.
12. იმპერატორ კარაკალას (211-217 წწ.) კესარიაში (კაპადოკიის მთავარი ქალაქი, მცირე აზია) მოჭრილი დრაქმა.

რა დასკვნების გამოტანა შეიძლება ზემოთ მოტანილი მასალის ანალიზიდან? უპირველეს ყოვლისა, ისევ და ისევ გავიხსენოთ, რომ ვანის ადრეულ მასალებში (ძვ. წ. IV-III სს.) სჭარბობდა ოქროსა და ვერცხლის მონეტები (კოლხური თეთრი). უცხოური მონეტებიდან კი მიმოიქცევა ისინი, რომელთაც დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა (ფილიპე II, ალექსანდრე მაკედონელის, ფილიპე III-ისა და ლისიმაქეს სტატერები) და მსხვილი სავაჭრო ოპერაციებისათვის იყო განკუთვნილი. ამავე დროს, შესაბამისი პერიოდის არც ერთი სპილენძის მონეტა არ არის ჯერჯერობით მიკვლეული ვანში, რაც ფულადი მეურნეობის სუსტ განვითარებაზე მიუთითებს ამ რეგიონში. ადგილობრივი ბაზარი, ჩანს, სრულებით არ საჭიროებს ხურდა ფულს (სპილენძის მონეტას). ეს პირველი დასკვნა. მეორე: ვანის მასალებში არ გვხვდება ძვ. წ. III საუკუნის მეორე ნახევრისა და ძვ. წ. II საუკუნის პირველი ნახევრის მონეტები. და მესამე: გარდატეხა კოლხეთის ეკონომიკაში, ჩვენ ხელთ არსებული მასალების მიხედვით, იწყება ძვ. წ. II საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან. განსაკუთრებული რელიეფურობით ეს გარდატეხა გამოიკვეთა ძვ. წ. II-I საუკუნეთა მიჯნაზე. ეს სიახლე ვანის ეკონომიკაში დაკავშირებული იყო მის ისტორიაში მომხდარ ცვლილებებთან, ის გარედან იყო მოტანილი.

ისტორიული ტეხილი, რომელმაც მკვეთრად შეცვალა სამონეტო მიმოქცევის სურათი ვანის ნაქალაქარის ტერიტორიაზე (აქ, უწინარეს ყოვლისა, იგულისხმება სპილენძის მონეტების ინტენსიური ტრიალი), მითრიდატე VI ევპატორის მიერ კოლხეთის დაპყრობაში მდგომარეობს. როგორც ზემოთ დავინახეთ, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის შეერთება თავის სამფლობელოსთან მან ძვ. წ. 105-90 წლებში განახორციელა. იგივე შეიძლება ითქვას კოლხეთის შიდა რაიონების მიმართაც, რადგან ვანის მასალებში პონტოს ქალაქების სწორედ ის მონეტები სჭარბობს, რომლებიც ამავე პერიოდითაა დათარიღებული.

კოლხეთის დასაყრდენ პუნქტებში მითრიდატეს, როგორც ჩანს, თავისი გარნიზონები ჩაუყენებია. ერთ-ერთი ასეთი პუნქტი სწორედ ვანი უნდა ყოფილიყო (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი პროფესორი ოთარ ლორთქიფანიძე არ იზიარებდა ამ მოსაზრებას). სამონეტო მიმოქცევის ის ჭრელი და რთული სურათი, რომელიც ძვ. წ. II-I საუკუნეებში შეინიშნება ვანის ნაქალაქარის ტერიტორიაზე, უდავოდ მითრიდატეს ჯარისკაცების „დამსახურებაა", ეს მონეტები მათი შემოტანილია ვანში, ეს მათი ფულადი მეურნეობაა, ეს არის ვანის ჩართვა მითრიდატეს ვრცელი სახელმწიფოს სამონეტო ბაზარში.

სხვანაირად ამ ფაქტს ვერ ავხსნით, რადგან სპილენძის მონეტების ინტენსიური ტრიალი არაა დამახასიათებელი კოლხეთის ფულადი მეურნეობისათვის მთელი მისი განვითარების ისტორიის მანძილზე. საკმარისია ითქვას, რომ კოლხეთის ტერიტორიაზე არ აღმოჩენილა ძვ. წ. VI – ახ. წ. IV საუკუნეების სპილენძის მონეტების არც ერთი განძი; უფრო მეტიც: არ აღმოჩენილა სპილენძის არც ერთი მონეტა, მოჭრილი მითრიდატე ევპატორის ეპოქის წინარე ხანებში (აქ არ იგულისხმება სანაპირო ზოლის ქალაქები) და, ასეთ ვითარებაში, კოლხეთის მარტო ერთ პუნქტში (ვანში) მოძიებული იქნა მითრიდატე VI ევპატორის ეპოქის თითქმის ორი ასეული სპილენძის მონეტა. ამ გასაოცარ ფაქტს ვერაფრით ვერ ავხსნით, თუ არა ვანში პონტოს მხედრიონის დგომით.

რა თქმა უნდა, ძვ. წ. II-I საუკუნეების ყველა მონეტა, რომელიც ვანშია მიკვლეული, მითრიდატეს ჯარისკაცების მიერ არაა აქ შემოტანილი. მაგალითად, ე. წ. „ახალი სტილის" ათენური დრაქმა და ტეტრადრაქმა, შეიძლება ვივარაუდოთ, სხვა არხებით მოხვდა კოლხეთში, მაგრამ მონეტების ძირითადი ნაწილი მაინც ამ გზით უნდა დალექილიყო ვანის მიწა-წყალზე.

ახლა დავუბრუნდეთ სპილენძის მცირე ზომის მონეტებს ლოტოსისა და ვარსკვლავის გამოსახულებით. მათ ემისიას ჩვენ პირობით ვანს მივაწერთ. რა საბუთით?

1. ვანის განძის მონეტები ისიდას სტილიზებული თავსამკაულის გამოსახულებით უნიკალურია.
2. მართალია, ანონიმური სპილენძის მონეტები ვარსკვლავის გამოსახულებით პონტოს სამეფოს ტერიტორიაზე იჭრება, მაგრამ არა მითრიდატეს ხანაში, არამედ ადრე და სულ სხვა ტიპოლოგიური კომბინაციით. მიუხედავად იმისა, რომ პონტოს ანონიმური საფასეები თითქმის საუკუნეა რაც ქვეყნდება სამეცნიერო ლიტერატურაში, ვანის ცალების იდენტური მონეტები ცნობილი არაა. არაა ისინი დაცული მსოფლიოს დიდ სამუზეუმო ცენტრებში. ამიტომ ჩვენი მონეტების მიკუთვნება პონტოს სამეფოსადმი შეუძლებელია. შეუძლებელია აგრეთვე ქრონოლოგიური თვალსაზრისითაც. პონტოში მოჭრილი ანონიმური სპილენძის მონეტები თარიღდება მითრიდატეს მეფობის წინა პერიოდით, ვანში აღმოჩენილი ცალები კი, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, მოჭრილია ძვ. წ. I საუკუნის 80-იან წლებში. საქმე ისაა, რომ ვანის განძში შედის ამისოს ტეტრახალკი, მოჭრილი ძვ. წ. 111-105 ან 105-90 წლებში. ის ძალიან ცუდადაა დაცული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ განძში მოხვედრამდე დიდი ხნის მანძილზე იყო მიმოქცევაში. განძის დანარჩენი მონეტა კი შესანიშნავადაა შემონახული. ამრიგად, ვანის განძის მონეტები მითრიდატე VI-ის ეპოქას მიეკუთვნება.
3. ვანის ანონიმური მონეტების ემისია პონტოს სამეფოს ტერიტორიაზე გამორიცხულია შემდეგი მიზეზის გამოც: მითრიდატე ევპატორმა მოახდინა სამონეტო საქმის უნიფიკაცია. ოქროსა და ვერცხლის მონეტები პონტოს სამეფოში

იჭრება მხოლოდ და მხოლოდ მეფის სახელით და მისი ხელყოფა სიკვდილით ისჯება. პონტოს სამეფოს ფარგლებში შემავალი ქალაქები, მართალია, ახორციელებენ სამონეტო რეგალიას, მაგრამ საერთო ტიპოლოგიით, სტანდარტული ტიპოლოგიით. ამრიგად, ქალაქთა სამონეტო საქმიანობაც, ფაქტობრივად, მითრიდატეს კონტროლის ქვეშაა. ასეთ პირობებში სრულებით წარმოუდგენელია ანონიმური მონეტების ემისია პონტოს ტერიტორიაზე. ვის მისცემდა ამის უფლებას მითრიდატე?!

4. მაგრამ დავუშვათ ვანის განძისა და პონტოს სპილენძის მონეტების სინქრონულობა და შევუდაროთ ისინი ერთმანეთს: ა) პონტოს ანონიმური მონეტებისათვის ძირითადად დამახასიათებელია ნომინალი ტეტრახალკი, ობოლი – იშვიათად, ხოლო დიხალკი და ხალკი (მცირე ერთეულები) იჭრება ეპიზოდურად. ვანის განძის მონეტების წონა მერყეობს 1,2-1,8 გრამებში. ზოგიერთი ცალი იწონის 0,88, 0,87, 2,01, 2,15, 2,03; ამრიგად, ვანის განძის საფასეებში შეიძლება ორი ნომინალის გამოყოფა: ხალკისა და ჰემიხალკისა. არც ერთი და არც მეორე არაა დამახასიათებელი პონტოს მონეტებისათვის; ბ) პონტოს არც ერთ ანონიმურ მონეტაზე არაა გამოსახული ისიდას სიმბოლო; გ) მართალია, ორივე ჯგუფის მონეტების ზურგზე გამოსახულია რვაქიმიანი ვარსკვლავი, მაგრამ პონტოს ადრეულ სპილენძზე მას აუცილებლად თან ახლავს ორი ნახევარმთვარე, ხოლო გვიანდელებზე – მშვილდისრის გამოსახულება. ვანის განძის მონეტებზე ეს დეტალები არ შეიმჩნევა. პონტოს მონეტების ზოგიერთ სერიაზე ამოტვიფრულია მონოგრამები და წარწერები. ვანის ცალები ანეპიგრაფიულია. ამრიგად, ეს ორი სამონეტო ჯგუფი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

5. არ არის აღრიცხული არც ერთი შემთხვევა ამ მონეტების აღმოჩენისა კოლხეთის გარდა სხვაგან. ძირითადი მასა თავმოყრილია ვანში და რამდენიმე ცალი – ეშერაში. სპილენძის მონეტების მოჭრის ცენტრის ლოკალიზაციის თვალსაზრისით (მით უმეტეს, ასეთი უკნინესი ერთეულისა) ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ამრიგად, თითქოს არის საფუძველი ლოტოსის გამოსახულებიანი სპილენძის ანონიმური მონეტების ემისია ვანის ზარაფხანას დავუკავშიროთ. რა ისტორიული ახსნა შეიძლება მოეძებნოს ამ ფაქტს?

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, მითრიდატეს კოლხეთის დაპყრობა ძვ. წ. 105-90 წლებში უნდა განეხორციელებია. თავდაპირველად კოლხეთი პონტოს სატრაპიას წარმოადგენდა, მაგრამ შემდეგში, II საუკუნის ისტორიკოსის აპიანეს ცნობის თანახმად, კოლხები აჯანყებულან და მითრიდატესათვის მოუთხოვიათ, რომ მას კოლხეთში მისი ერთ-ერთი შვილი გაემეფებია. ამ უკანასკნელმა ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა. დასავლეთ საქართველოში გამეფდა ევპატორის ვაჟი მითრიდატე ფილოპატორ-ფილადელფოსი. ამ ხნიდან მოკიდებული, კოლხეთი ნომინალურად

ვასალური სახელმწიფოა. მაგრამ კოლხეთის ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მითრიდატემ თავის შვილს ღალატში დასდო ბრალი და მალე სიკვდილით დასაჯა.

სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია მამა-შვილის კოლიზიები დეტალურად, მაგრამ სასჯელის ზომის მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დანაშაული მიუტევებელი ყოფილა. ჩვენი აზრით, მითრიდატე უმცროსის სეპარატიზმის ერთ-ერთი კონკრეტული გამოვლენა სამონეტო რეგალიის განხორციელება უნდა ყოფილიყო[6]. მას მამის შიშით, ცხადია, არ შეეძლო მოეჭრა ოქროსა და ვერცხლის მონეტები, ვინაიდან ამ პრეროგატივას მონოპოლიურად ფლობდნენ პონტოს მეფენი. მაგრამ მისთვის, როგორც სამეფო ოჯახის წევრისათვის, კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი ანონიმური ემისიების იურიდიული ბუნება და ტიპოლოგია. ამ კატეგორიის მონეტებს, რვაქიმიანი ვარსკვლავის გამოსახულებით, ჭრიდნენ პონტოს მეფეთა ნაცვლები. მითრიდატე უმცროსს მით უფრო უნდა ჰქონოდა ამასთან დაკავშირებით პრეტენზიები. ბოლოსდაბოლოს, ის ხომ მეფე იყო?! თუ ეს ვარაუდი შესაწყნარებელია, მაშინ თავისთავად ცხადია, რატომაა გამოსახული ვანში აღმოჩენილი მონეტების რევერსზე რელიეფური ვარსკვლავი, რომელიც მთელი ანონიმური სერიის აუცილებელი თანამგზავრია და სამეცნიერო ლიტერატურაში ინტერპრირებულია როგორც პონტოს მეფეთა დინასტიური ემბლემა.

მაგრამ რა შუაშია მონეტის ავერსზე ამოტვიფრული ისიდას სიმბოლო? რას უნდა დაუკავშირდეს იგი? პროფ. ოთ. ლორთქიფანიძის აზრით, ვანი სატაძრო ქალაქია, რომელიც უკავშირდება ძველი ბერძენი გეოგრაფის სტრაბონის (ძვ. წ. 64-ახ. წ. 20 წწ). მიერ მოხსენიებულ სატაძრო ცენტრს, ლეკვოთეას ტაძარს. ლეკვოთეა კი თავისი წარმოშობით ნაყოფიერებისა და მოსავლიანობის ღვთაებაა. როგორც ვარაუდობენ, ნაყოფიერების ღვთაების ქანდაკება უნდა მდგარიყო ვანის ნაქალაქარის კარიბჭესთან. ეს იყო ქალაქის მფარველი ღვთაება. ჩავიხედოთ ნებისმიერ მითოლოგიურ ლექსიკონში და ადვილად დავრწმუნდებით, რომ ისიდაც, აგრეთვე, ეგვიპტური წარმოშობის ნაყოფიერების მფარველი ღვთაებაა, რომლის კულტი ძალიან ადრე გავრცელდა საბერძნეთში, ხოლო ელინიზმის ეპოქაში ყველაზე უფრო პოპულარული ქალღმერთი გახდა ინდოეთიდან დუნაიმდე. არ ვიქნებით ორიგინალური, თუ ვიტყვით, რომ მითრიდატე უმცროსის რეზიდენცია კოლხეთში ვანი უნდა ყოფილიყო. ვინ ან რა უნდა გამოესახა მას თავის მონეტის შუბლზე, თუ არა ქალაქის მფარველი ღვთაება, ან მისი სიმბოლო? (სხვა საკითხია, რატომ იქნა გააზრებული ეს ღვთაება მაინცდამაინც როგორც ისიდა).

ასეთია ის ლოგიკური გზა, რომელიც, ჩვენი აზრით, საშუალებას იძლევა ვამტკიცოთ ვანში მონეტის მოჭრის შესაძლებლობა. მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ჰიპოთეზაა და არა უცილობელი ფაქტი.

კიდევ რა მონეტებია აღმოჩენილი კოლხეთის შიდა რაიონების სხვადასხვა პუნქტში?

1. 1914 წელს ზუგდიდის რაიონში შემთხვევით უპოვიათ სომხეთის მეფის ტიგრან II (ძვ. წ. 95-55 წწ.) ტეტრადრაქმა.
2. ანტიოქიის (სირია) ზარაფხანაში ძვ. წ. 83-69 წლებში მოჭრილი ტიგრან II-ის ტეტრადრაქმა აღმოჩენილა აგრეთვე ჭიათურის მიდამოებში.
3. 1930 წელს გალის რ-ნის სოფელ ღუმურიშში შემთხვევით იპოვეს ვერცხლის სამი მონეტა. ერთი, ა. ზოგრაფის განსაზღვრით, ტიტუს კარიზიუსის დენარი ყოფილა, მოჭრილი ძვ. წ. 45 წელს.
4. სოფელ საზოდელავოში (სენაკის რ-ნი) 1897 წელს შემთხვევით აღმოჩნდა ძვ. წ. I საუკუნის რომაული დენარების განძი 23 ცალის რაოდენობით.

რა შეიძლება ითქვას ამ აღმოჩენებთან დაკავშირებით? რომაული დენარების პოვნა დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონებში არავითარ მოულოდნელობას არ წარმოადგენს. უფრო საინტერესოა ტიგრან II-ის ტეტრადრაქმების მოძიების ფაქტები. ჭიათურაში, ალბათ, ეს მონეტა იბერიიდან შემოვიდა. რაც შეეხება ზუგდიდის ცალს, ამასთან დაკავშირებით შეიძლება გარკვეული ვარაუდის გამოთქმა: ჩვენამდე მოაღწია IV საუკუნის გეოგრაფის კასტორიუსის რუკამ, რომელიც მეცნიერებაში ტაბულა პეუტინგერიანას სახელითაა ცნობილი. ამ რუკაზე დატანილია ძველი სავაჭრო გზები. ერთ-ერთი გზის მონაკვეთი სომხეთის დედაქალაქს არტაშატს კოლხეთთანაც აკავშირებდა. რა თქმა უნდა, ერთი მონეტის საფუძველზე კატეგორიულად იმის მტკიცება, რომ ზუგდიდში ტიგრან II-ის ტეტრადრაქმა უშუალოდ სომხეთიდან შემოვიდა, ძნელია, მაგრამ ასეთი დაშვების გამორიცხვაც არ იქნებოდა სწორი.

სამონეტო მიმოქცევა ელინისტური ხანის იბერიაში (ძვ. წ. III-I სს.)

გადავდივართ იბერიის ტერიტორიაზე მიკვლეული ელინისტური ხანის მონეტების მიმოხილვაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ადრეული პერიოდის, კერძოდ, ძვ. წ. IV-II საუკუნეების მონეტების აღმოჩენის შემთხვევები არცთუ ისე ხშირია. ვიძლევით მათ სიას.

1. როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული ადრე, 1951 წელს მცხეთაში აღმოჩნდა ალექსანდრე მაკედონელის სტატერი.
2. 1940 წელს ზემო ავჭალის რკინიგზის სადგურის მახლობლად, ხიდის მშენებლობის დროს აღმოჩნდა ცუდად დაცული ეგვიპტური სპილენძის მონეტა პტოლემაიოს III-ის (?) (ძვ. წ. 247-222 წწ.). შუბლი – წვეროსანი ზევსის თავი; ზურგი – ელვაზე მჯდომი არწივი.
3. 1950 წელს ცნობილმა არქეოლოგმა პროფესორმა ბორის კუფტინმა ცხინვალთან ახლოს სამარხში მიაკვლია სპილენძის მცირე ზომის მონეტას შუბლზე დაფნისგვირგვინიანი პროფილის გამოსახულებით, ხოლო ზურგზე – ხარის თავისა, რომლის რქებს შორის მოთავსებულია ასოები. თავის საველე დღიურში ბ. კუფტინი წერდა, რომ ასოები არამეულიაო. მაგრამ მონეტის სკრუპულოზურმა შესწავლამ დაადასტურა, რომ წარწერა ბერძნულია, თუმცა მისი ზუსტი წაკითხვა არ ხერხდება. ეს მონეტა უდიდეს ინტერესს იწვევს. ბ. კუფტინი და დ. კაპანაძე ფიქრობდნენ, რომ ეს უნიკალური ცალი, რომლის მსგავსი არც ერთ სპეციალურ გამოკვლევაში გამოქვეყნებული არ არის, შესაძლებელია იბერიაში იყოს მოჭრილი.
4. გასულ საუკუნეში გორის მიდამოებში შემთხვევით აღმოჩნდა ძვ. წ. III-II საუკუნეების პართული დრაქმების განძი. მისი ზუსტი შემადგენლობა და რაოდენობა ცნობილი არაა, მაგრამ ვიცით, რომ ი. ბართოლომეიმ ამ განძიდან შეიძინა 30 ეგზემპლარი.
5. კაპადოკიის მეფის არიარათ IV-ის (ძვ. წ. 220-163 წწ.) დრაქმა აღმოჩნდა აღაიანის (კასპის რაიონი) არქეოლოგიური გათხრების დროს. კაპადოკიური მონეტების ტიპი სტანდარტულია, იცვლება მხოლოდ სათანადო ზედწერილი და მეფის პორტრეტი. ამიტომ ვიძლევით სანიმუშო ცალის აღწერილობას: შუბლი – არიარათ IV-ის თავის გამოსახულება დაფნის გვირგვინში მარჯვნივ; ზურგი – მარცხნივ მიმართული ათენა მთელი ტანით, მარცხენა ხელში შუბი და გორგონას გამოსახულებიანი ფარი უჭრავს, ხოლო მარჯვენაში – ნიკე.

6. გორის მიდამოებში (როდის და რა ვითარებაში ცნობილი არაა) შემთხვევით იპოვეს პართიის მეფის მითრიდატე I-ის (ძვ. წ. 171-138 წწ.) დრაქმა. ასეთივე მონეტა აღმოჩნდა ნასტაკისის (კასპის რაიონი) არქეოლოგიური გათხრების დროს 1979 წელს. (ხელმძღვანელი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ალექსი ბოხოჩაძე).
7. 1939 წელს სოფ. დილომში შემთხვევით იპოვეს სირიის მეფის დემეტრე I სოტერის (ძვ. წ. 150-145 წწ.) სპილენძის მონეტა. შუბლი – მარჯვნივ მიმართული დემეტრეს თავის გამოსახულება; ზურგი – ომფალოსზე მჯდომი აპოლონი ხელში მშვილდისრით.
8. 1943 წელს ქალაქ ცხინვალში საკარმიდამო მიწის დამუშავების დროს აღმოჩნდა სელევკიდური ვერცხლის მონეტა ანტიოქე ევერგეტისა (ძვ. წ. 138-129 წწ.).
9. პართიის მეფის მითრიდატე II-ის (ძვ. წ. 123-88 წწ.) ექვსი დრაქმა აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს შემდეგ პუნქტებში: გორში, ყორნისის რაიონში, მცხეთასა და აღაიანში. პართული მონეტებიც სტანდარტული ტიპისაა: შუბლი – მარცხნივ მიმართული პართიის მეფის ბიუსტი ან თავის გამოსახულება; ზურგი – ტახტზე მჯდომი არშაკი (პართიის სამეფო დინასტიის ფუძემდებელი) ხელში მშვილდისრით მარჯვნივ. გამოსახულების გარშემო სათანადო ბერძნული ზედწერილი.
10. 1979 წელს ნასტაკისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ერთ-ერთ სამარხში მიაკვლია ძვ. წ. 118 წელს მოჭრილ რომის რესპუბლიკის დენარს. შუბლი – ქალაქ რომის ეპონიმის რომას თავის გამოსახულება მარჯვნივ (ეპონიმი – პირი, რომლის სახელისაგან წარმოდგება ხალხის, ადგილის სახელწოდება). ეს ღვთაება ანსახიერებდა რომის სახელმწიფოს; ზურგი – კვადრიგაზე (ოთხცხენიანი ეტლი) მდგომი ფრთოსანი ვიქტორიას (გამარჯვების ქალღმერთი) გამოსახულება, რომელსაც მარჯვენა ხელში გვირგვინი უჭირავს. ქვემოთ ლათინური წარწერა.
11. XIX საუკუნის 70-იან წლებში თბილისში ქალთა გიმნაზიის მშენებლობის დროს აღმოჩნდა ძვ. წ. II საუკუნის (?) ვერცხლის ექვსი ბაქტრიული მონეტა. მათი ადგილსამყოფელი დღეისათვის უცნობია (ბაქტრია მოიცავდა ახლანდელი უზბეკეთის, ტაჯიკეთისა და ავღანეთის ტერიტორიის ნაწილს).
12. იმავე საუკუნის 90-იან წლებში თბილისში შემთხვევით იპოვეს ძვ. წ. II-I საუკუნეების ქალაქ სოლის (კილიკია, მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი) მონეტა.

რა დასკვნის გამოტანა შეიძლება მოტანილი მასალის ანალიზის საშუალებით; უპირველეს ყოვლისა, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ადრეელინისტურ ხანაში იბერიაში სამონეტო მიმოქცევა ჯერ კიდევ არაა ჩასახული. საოცარია, რომ იბერიის ისეთი მსხვილი ცენტრები, როგორიც იყო მცხეთა-ნასტაკისი, არ იძლევა

შესაბამისი პერიოდის ნუმიზმატიკურ მასალას. ცხადია, ეს შემთხვევითი არ არის. საერთო სურათის შეცვლა არ შეუძლია თითო-ოროლა ცალს, თუნდაც ალექსანდრე მაკედონელის სტატერს, რადგან ის გვიანდელ სამარხშია მიკვლეული.

თითქოს უფრო ინტენსიურ ხასიათის ღებულობს სამონეტო მიმოქცევა (ან მისი საწყისი სტადია) იბერიაში ძვ. წ. III-II საუკუნეებში დიდი მნიშვნელობა აქვს გორის მიდამოებში აღმოჩენილ პართული მონეტების განძს. მართალია, ჩვენთვის ცნობილი არაა განძის ზუსტი შემადგენლობა, მაგრამ ვიცით ის, რომ 30 ეგზემპლარი ამ სამონეტო კომპლექსისა შეიძინა ი. ბართოლომეიმ. ეს გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ განძის შემადგენლობა მრავალრიცხოვანი ყოფილა. გარდა ამისა, ადრეული პართული დრაქმები, კერძოდ, მითრიდატე I-ისა (ძვ. წ. 171-138 წწ.), მიკვლეულია გორსა და ნასტაკისში. ამრიგად, ძვ. წ. II საუკუნის დასაწყისიდან მაინც უნდა ვივარაუდოთ იბერიაში პართული მონეტების შედარებით ფართო ცირკულაცია. სირიული მონეტების პოვნის ფაქტები კი ამაგრებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ იბერიის ეკონომიკა აღმოსავლეთისკენაა ორიენტირებული.

ძვ. წ. II საუკუნის დასასრულიდან და, განსაკუთრებით, ძვ. წ. I საუკუნის დასაწყისიდან იბერიაში უკვე ჩამოყალიბდა უაღრესად ჭრელი სამონეტო ბაზარი. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნული პერიოდის 72 მონეტაა მოძიებული. მათი დიფერენცირება მოჭრის ადგილის მიხედვით უაღრესად საინტერესო სურათს გვაძლევს.

72 მონეტიდან 45 პართული დრაქმაა, აქედან ე.ის მოჭრილია მითრიდატე II-ის (ძვ. წ. 123-88 წწ.) მიერ და აღმოჩენილია გორში, ყორნისის რაიონში, მცხეთასა და აღაიანში; 11 ეკუთვნის არტაბან II-ს (ძვ. წ. 88-77 წწ.); პოვნის ადგილი: მცხეთა, ხაშურის რ-ნი, გურჯაანის რ-ნი და აღაიანი; 9 – სინათრუქს (ძვ. წ. 77-70 წწ.) – მცხეთა, დიღომი, ყორნისი, აღაიანი; 13 – ფრააატ III-ს (ძვ. წ. 70-57 წწ.) – მცხეთა, ქარელის რ-ნი, ყორნისი; 6 – მითრიდატე III-ს (ძვ. წ. 57-54 წწ). – მცხეთა, ჯავის რ-ნი. უნდა აღინიშნოს, რომ 45 პართული დრაქმიდან 26 აღმოჩენილია მცხეთაში, 11 – აღაიანში.

რაოდენობით მეორე ადგილზეა რესპუბლიკური ხანის რომაული დენარები – 12 ეგზემპლარი:

1. აღაიანში არქეოლოგიური გათხრების დროს ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა იტალიის რომელილაც ზარაფხანაში ძვ. წ. 93-92 წლებში მოჭრილი რესპუბლიკური დენარი. შუბლი – ორსახოვანი იანუსის თავის გამოსახულება; ზურგი – დრაპირებული რომას გამოსახულება მთელი ტანით, რომელსაც თავზე მუზარადი ახურავს. მარცხენა ხელში მას სკიპტრა უჭირავს, მარჯვენათი ტროფეიზე (ნადავლზე) გვირგვინს ამაგრებს. ნადავლის საფუძველზე ორი მოგრძო ფორმის გალური ფარი და საყვირები. რომას თავს ზემოთ ვარსკვლავი.
2. რომის ზარაფხანაში ძვ. წ. 87 წელს მოჭრილი დენარი აღმოჩენილია აღაიანში. შუბლი – საბინების (იტალიკური ტომი) მეფის ტატიუსის წვეროსანი

თავის გამოსახულება მარჯვნივ; ზურგი – თმაგაშლილი ტარპეას გამოსახულება, რომელიც ცდილობს თავი დაიცვას ორი ჯარისკაცისაგან. ისინი ფარებით ცდილობენ მის გასრესას (ტარპეა – რომაულ მითოლოგიაში მოლალატე ქალი, რომელმაც საბინების წინააღმდეგ ომის დროს რომის ერთ-ერთი ციტადელის კარი გაულო მტერს. მაგრამ მიუხედავად ამ „დამსახურებისა", მოწინააღმდეგეთა მეფემ ბრძანა მოღალატე ფარებით ჩაექოლათ).

3. იმავე პუნქტში ნაპოვნია რომის ზარაფხანაში ძვ. წ. 87 წელს გამოშვებული დენარი. შუბლი – როგორც № 2; ზურგი – ორი მეომრის გამოსახულება, რომლებიც საბინელი ტომის ქალს იტაცებენ.
4. იმავე პუნქტში აღმოჩნდა რომში ძვ. წ. 87 წელს მოჭრილი დენარი. შუბლი – როგორც № 2; ზურგი – როგორც № 3.
5. იმავე პუნქტში ნაპოვნია რომის ზარაფხანაში ძვ. წ. 87 წელს მოჭრილი დენარი. შუბლი – წვეროსანი იუპიტერის (ცის რომაული ღვთაება) თავის გამოსახულება დაფნის გვირგვინში მარჯვნივ; ზურგი – კვადრიგა, რომელზედაც ვიქტორია დგას გვირგვინით ხელში.
6. იქვე აღმოჩნდა იმავე ზარაფხანასა და იმავე წელს მოჭრილი დენარი. შუბლი – როგორც № 4; ზურგი – როგორც № 4.
7. ძვ. წ. 72 წელს დათარიღებული რომაული დენარი აღმოჩნდა აღაიანში. შუბლი – ვირტუტის (ვირტუსის) ბიუსტი მუზარადში მარჯვნივ (ლათინთა ღვთაება, გამარჯვების მფარველი, იგი მარსის თანამგზავრად ითვლებოდა); ზურგი – კონსულ მანიუს აკვილიუსის გამოსახულება მთელი ტანით, რომელსაც მარცხენა ხელით ფარი უჭირავს, ხოლო მარჯვენათი ფეხზე წამოდგომაში შველის ნახევრადშიშველ ქალს, რომელიც სიცილიას ანსახიერებს.
8. სოფელ არადეთში (ქარელის რაიონი) ადგილობრივმა მცხოვრებმა იპოვა ძვ. წ. 67 წელს რომის ზარაფხანაში მოჭრილი დენარი. შუბლი – ძველ საბინელთა მოსავლიანობის ქალღმერთის ვაკუნას ბიუსტი მუზარადში მარჯვნივ; ზურგი – ელვაზე მჯდომი არწივი.
9. მარნეულის რაიონში 1965 წელს სამარხში აღმოჩნდა ძვ. წ. 60 წელს რომში გამოშვებული დენარი. შუბლი – მოკლეწვერიანი მარსის დრაპირებული ბიუსტი მუზარადში მარჯვნივ. გამოსახულების უკან ნადავლი; ზურგი – მარჯვნივ მიმართული მხედარი, რომელიც გალ მეომარს კლავს. ამ უკანასკნელს ხელთ მახვილი და ოვალური ფარი უჭირავს. იქვეა უკვე განგმირული მოწინააღმდეგის გვამი. მხედრის წინ – წვეტიანი მუზარადი და ოვალური ფარი.
10. აღაიანში არქეოლოგიური გათხრების დროს მიაკვლიეს ძვ. წ. 60 წელს რომის ზარაფხანაში მოჭრილ დენარს. შუბლი – კონკორდიას თავის გამოსახულება პირსაბურავსა და დიადემაში მარჯვნივ (კონკორდია – მოქალაქეთა, ქალაქთა, სახელმწიფოთა და სხვათა თანხმობის რომაული ქალღმერთი); ზურგი – ორსართულიანი სვეტებიანი საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა.

11. 1948 წელს ქალაქ თბილისში, ნიკოლაძის ჩიხის № 5 ეზოში იპოვეს რომში ძვ. წ. 59 წელს გამოშვებული დენარი. შუბლი – მარჯვნივ მიმართული წვეროსანი პატრიციუსის – ლუციუს იუნიუს ბრუტუსის თავის გამოსახულება (რომაული ტრადიციით – ის პატრიციუსი არისტოკრატი, რომელმაც რომში მეფეთა ხელისუფლება დაამხო და რესპუბლიკა დააარსა); ზურგი – კონსულ გაიუს სერვილიუს აჰალას წვეროსანი თავის გამოსახულება მარჯვნივ.
12. გალიის (ისტორიული ოლქი ევროპაში, მოიცავდა ჩრდილოეთ იტალიას, საფრანგეთს, ლუქსემბურგსა და ბელგიას, აგრეთვე ნიდერლანდებისა და შვეიცარიის ნაწილს) ზარაფხანაში ძვ. წ. 54-51 წლებში გაიუს იულიუს ცეზარის სახელით მოჭრილი დენარი აღმოჩნდა აღაიანში. შუბლი – მარჯვნივ მიმართული ხორთუმაწეული სპილოს გამოსახულება; ზურგი – ქურუმის ემბლემა, რომელიც სხვადასხვა სამსხვერპლო ინსტრუმენტისაგან შედგება.

რამდენადმე მოულოდნელია იბერიის ტერიტორიაზე მითრიდატე VI ევპატორის ეპოქის პონტოს საქალაქო სპილენძის მონეტების აღმოჩენა.

1. 1951 წელს ახალციხე-ბოგდანოვკის (ნინოწმინდა) გზაზე შემთხვევით იპოვეს დასახელებული ეპოქის ამისოს მონეტა შუბლზე პერსევსისა და ზურგზე პეგასის გამოსახულებით.
2. 1939 წელს მცხეთის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა ძალიან ცუდად დაცული პონტოს ერთ-ერთ ქალაქში ძვ. წ. 111-105 ან 105-90 წლებში მოჭრილი ტეტრახალკი არესისა და მახვილის გამოსახულებით.
3. 1939 წელს სამთავროს სამაროვანზე მიაკვლიეს სინოპურ ტეტრახალკს, რომელიც ძვ. წ. 111-105 ან 105-90 წლებით თარიღდება. შუბლი – როგორც წინა, ზურგი – ქარქაშში ჩაგებული მახვილი.
4. 1968 წელს მცხეთაშივე, ქალაქის ძველ კარიბჭესთან აღმოჩნდა პონტოს ერთ-ერთ ქალაქში ძვ. წ. 111-105 ან 105-90 წლებში გამოშვებული სპილენძის მონეტა.
5. იმავე პერიოდის ირმის გამოსახულებიანი ქალაქ ამისოს მონეტა აღმოჩენილია 1945 წელს არმაზის გათხრების დროს.
6. 1961 წელს თბილისში, მტკვრის კალაპოტში იპოვეს ქალაქ ამასტრიაში ძვ. წ. 105-90 წლებში მოჭრილი მონეტა. ტიპი: გორგონა-ნიკე.
7. 1945 წელს ბაგინეთის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილა ქალაქ ამისოში ძვ. წ. 80-70 წლებში გამოშვებული მონეტა ზევსისა და არწივის გამოსახულებით.
8. 1958 წელს ქალაქ მცხეთაში მოიძიეს პონტოს ერთ-ერთ ქალაქში ძვ. წ. 80-70 წლებში მოჭრილი დიხალკი ზევსისა და არწივის გამოსახულებით.

დიდ ინტერესს იწვევს აღაიანში არქეოლოგიური გათხრების დროს ძვ. წ. 72 წლით დათარიღებული თვით მითრიდატე VI ევპატორის ტეტრადრაქმის აღ-

მოჩენის ფაქტი. ეს ერთადერთი შემთხვევაა ქართლის ტერიტორიაზე პონტოს მეფის მონეტის აღმოჩენისა. ვიძლევით მის აღწერილობას:

შუბლი – მითრიდატე ევპატორის მარჯვენა პროფილი გაშლილი თმებით (მას ალექსანდრე მაკედონელის სახის ნაკვთები აქვს).

ზურგი – მარცხნივ მიმართული ირმის გამოსახულება, რომელიც ბალახს ძოვს, მის წინ ნახევარმთვარისა და ვარსკვლავის გამოსახულება (მითრიდატების დინასტიური ემბლემა). ლეგენდა: ზემოთ – ბასილეოს, ქვემოთ – მითრადატუ ევპატოროს, ე. ი. მეფე მითრიდატე ევპატორისა და თარიღი.

აღმოსავლეთ საქართველოს ფარგლებში აღმოჩენილი პონტოს ნუმიზმატიკური მასალის კონტექსტში უნდა განვიხილოთ აგრეთვე აღაიანში აღმოჩენილი სომხეთის მეფის ტიგრან II-ის სამი ტეტრადრაქმა. სამივე მათგანი მოჭრილია ორონთის ანტიოქიაში ძვ. წ. 83-69 წლებში. მათ ასეთი სახე აქვს: შუბლი – ტიგრან II-ის ბიუსტი თავზე სომხური ტიარით. ტიარის ცენტრში ორი არწივი, რომელთა შორის რვაქიმიანი ვარსკვლავია გამოსახული; ზურგი – მარჯვნივ მიმართული ტიქე ხელში პალმის შტოთი, რომელსაც თავზე კოშკურა გვირგვინი ხურავს. მის ქვემოთ მოკურავე ადამიანი მდინარე ორონტს განასახიერებს. ბერძნული ზედწერილი: ბასილეოს ტიგრანუ – ტიგრან მეფისა.

გარდა ამისა, იბერიის საზღვრებში, კერძოდ, ფასანაურთან ახლოს, შემთხვევით აღმოჩნდა ძვ. წ. I საუკუნის სოლდური (სახელმწიფო ცენტრალურ აზიაში) ტეტრადრაქმის მინაბაძი.

დაბოლოს, 1969 წელს მცხეთაში არქეოლოგიური გათხრების დროს იპოვეს კაპადოკიის მეფის არიობარძანე I-ის (ძვ. წ. 96-63 წწ.) დრაქმა.

ამრიგად, იბერიაში მიკვლეული ძვ. წ. II-I საუკუნეების 72 მონეტიდან უმრავლესობა კონცენტრირებულია მცხეთა-აღაიანის მიდამოებში.

ზემოთ მოყვანილი მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ ძვ. წ. II საუკუნის დასასრულსა და I საუკუნის პირველ ნახევარში წამყვანი როლი იბერიის ეკონომიკაში ეკავა პართულ დრაქმებს. მათი შემოსვლის გზები აღმოსავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ ა. ზოგრაფმა მოხაზა: კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროს გასწვრივ აზერბაიჯანსა და სომხეთში, იქიდან მდინარე მტკვრის არტერიით საქართველოში.

იბერიის სამონეტო ბაზრის შესწავლის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს აღაიანის არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებული მონეტების შედარებას მეზობელი ქვეყნების, კერძოდ, კოლხეთის, ალბანეთის (თანამედროვე აზერბაიჯანის ფარგლებში) და სომხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ნუმიზმატიკურ მასალასთან. ამ მხრივ იბერიაში მიკვლეული მასალა უფრო მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს სომხეთის ფარგლებში ნაპოვნ მონეტებთან.

ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ძველი საავჭრო გზების შესწავლის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს IV საუკუნის გეოგრაფის კასტორიუსის რუკას, ე. წ. „ტაბულა პეუტინგერიანას". ამ დოკუმენტის მიხედვით, სომხეთის

დედაქალაქი არტაშატი ეკონომიკურად მჭიდროდ იყო დაკავშირებული იბერიასთან სავაჭრო მაგისტრალით. ჩვენთვის ამჟამად გზის ის მონაკვეთია საინტერესო, რომელიც ინყებოდა ქალაქ არტაშატთან და გაივლიდა შემდეგ პუნქტებს: დილიჟანი-აღსტაფა-ყაზახი-რუსთავი-თბილისი-მცხეთა. სხვათა შორის, სტრაბონის ცნობით, სწორედ ამ გზით ილაშქრა გნეუს პომპეუსმა სომხეთიდან იბერიაში ძვ. წ. 65 წელს სწორედ ამ გზით უნდა შემოსულიყო იბერიაში ელინისტური აღმოსავლეთისა და რესპუბლიკური ხანის რომაული დენარების გარკვეული ნაწილი.

რაც შეეხება პონტოს სპილენძის საქალაქო მონეტებს, ისინი ყოველგვარი ეჭვის გარეშე, დასავლეთ საქართველოდანაა იბერიის ფარგლებში შემოსული, ვინაიდან აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სამონეტო ცირკულაციაში მათი ხვედრითი წონა პრაქტიკულად ნულის ტოლია.

პონტოს ქალაქების სპილენძი, აგრეთვე ბაქტრიული და სოღდური მონეტები მოწმობს იმას, რომ ტრანსკავკასიური სავაჭრო გზა, რომელიც შავი ზღვის აუზის ქვეყნებს ინდოეთთან აკავშირებდა, გვიანელინისტურ ხანაში ინტენსიურად ფუნქციონირებდა.

ამრიგად, იბერიის სამონეტო ბაზარს ძირითადად ორი ეკონომიკური არხი კვებავდა: ტრანსკავკასიური და არტაშატის სავაჭრო მაგისტრალი. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ იბერიაში აღმოჩენილი ყველა მონეტა მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკური ურთიერთობის შედეგადაა აქ მოხვედრილი. ანგარიში უნდა გავუწიოთ აგრეთვე პოლიტიკურ მომენტსაც. I-II საუკუნეების ბერძენი ისტორიკოსის პლუტარქეს ცნობით, ძვ. წ. 69 წელს მითრიდატე VI-ისა და ტიგრან II-ის მხარეზე რომაელების წინააღმდეგ, საკუთრივ სომხეთის ტერიტორიაზე იბერებიც იბრძოდნენ. ამიტომ, ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ნაწილი ჩვენთვის საინტერესო მონეტებისა უკან დაბრუნებულმა იბერმა მეომრებმა შემოიტანეს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. არ შეიძლება აგრეთვე პომპეუსის ლეგიონერების „ღვაწლის" უარყოფაც ამ მიმართებით. მეტის თქმაც შეიძლება. არის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ პომპეუსის ლაშქრობამ გააცხოველა იბერიაში სამონეტო მიმოქცევის ინტენსიურობა.

იბერიის ეკონომიკის ძირითადი მიმართულება უცვლელია აგრეთვე ძვ. წ. I საუკუნის II ნახევარშიც. აქ აღმოჩენილი მონეტების სტატისტიკა და ტოპოგრაფია ასეთ სურათს იძლევა: პართული დრაქმები – 135 ეგზემპლარი, მათგან 119 ცალი მოჭრილია ოროდ II-ის (ძვ. წ. 57-38/7 წწ.) დროს (ტაბ. IV, № 23); ფრაატ IV-ს (ძვ. წ. 38/7 – 3/2 წწ.) ეკუთვნის 16 ეგზემპლარი; 135 მონეტიდან 55 კონცენტრირებულია მცხეთაში, 44 – აღაიანში.

ამავე პერიოდის რომაული დენარები აღმოსავლეთ საქართველოს ფარგლებში აღმოჩენილია 12 ცალის რაოდენობით:

1. 1934 წელს ქარელის რაიონის სოფელ აბისში იპოვეს ძვ. წ. 47 წელს რომში მოჭრილი დენარი. შუბლი – გორგონას გამოსახულება პირდაპირ; ზურგი –

კვადრიგაზე მდგომი ფრთოსანი ავრორას (განთიადის ქალღმერთი) გამოსახულება, რომელიც მზისკენ მიფრინავს. ხელში პალმის რტო უჭირავს.

2. კავთისხევში (კასპის რ-ნი) აღმოჩნდა ძვ. წ. 46 წელს რომის ზარაფხანაში გამოშვებული მონეტა. შუბლი – ტყუპი ძმების დიოსკურების პროფილი; ზურგი – მარცხნივ მიმართული ვენერას (იგივე აფროდიტე – სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთი) გამოსახულება, რომელსაც მარჯვენა ხელში სასწორი უჭირავს, ხოლო მარცხენაში – სკიპტრა. მის უკან კუპიდონი (სიყვარულის რომაული ღვთაება, ვენერას ვაჟი).

3. 1967 წელს მცხეთაში არქეოლოგიური გათხრების დროს ქალაქის ძველ კარიბჭესთან აღმოჩნდა რომის ზარაფხანაში ძვ. წ. 36-24 წლებში მოჭრილი დენარი. შუბლი – დიადემით შემკული მარჯვნივ მიმართული პაქსის (მშვიდობის რომაული ღვთაება) თავის გამოსახულება; ზურგი – მარცხნივ მიმავალი ოქტავიანე (შემდეგში რომის იმპერატორი) მთელი ტანით, რომელსაც მარცხენა ხელში შუბი უჭირავს, ხოლო მარჯვენა წინ აქვს გაშვერილი.

4. აღაიანში არქეოლოგიური გათხრების დროს იპოვეს ძვ. წ. 39 წლით დათარიღებული რომაული მონეტა. შუბლი – პრეტორ (სახელმწიფო თანამდებობა რომში) ლუციუს რეგულუსის წვეროსანი თავის გამოსახულება მარჯვნივ; ზურგი – საკრალური სკამის გამოსახულება.

5-7. აღაიანის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა აღმოსავლეთის ზარაფხანაში მარკუს ანტონიუსის (ძვ. წ. I ს. რომის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე) სახელით ძვ. წ. 32-31 წლებში მოჭრილი სამი იდენტური დენარი. შუბლი – მარჯვნივ მიმართული სამხედრო ხომალდი მენიჩბეებით. ხომალდის ცხვირზე შტანდარტი; ზურგი – სამი შტანდარტისა და სალეგიონო არწივის გ მოსახულება.

8. ამავე პუნქტში აღმოჩნდა ავგუსტეს (ძვ. წ. 27-ახ. წ. 14 წწ.) დენარი, მოჭრილი ძვ. წ. 14-12 წლებში გალიის ზარაფხანაში. შუბლი – მარჯვნივ მიმართული ავგუსტეს თავის გამოსახულება; ზურგი – მარქენალი ხარი მარჯვნივ.

9. ნასტაკისის არქეოლოგიური გათხრების დროს მოიძიეს ესპანეთის ერთ-ერთ ზარაფხანაში ავგუსტეს სახელით ძვ. წ. 19-16 წლებში მოჭრილი დენარი. შუბლი – ინსიგნიების (უმაღლესი ხელისუფლების ნიშნები) გამოსახულება; ზურგი – მარჯვნივ მიმართული კვადრიგა, რომელზედაც ვიქტორია დგას.

10. იქვე აღმოჩნდა ძვ. წ. 19-12 წლებით დათარიღებული რომაული დენარი.

11. 1900-იან წლებში გორში მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით იპოვეს რამდენიმე მონეტა, რომელთა შორისაც იყო ანტონიუსისა და ეგვიპტის დედოფალ კლეოპატრას (ძვ. წ. 69-30 წწ.) სახელით ანტიოქიაში მოჭრილი ტეტრადრაქმა.

12. თბილისიდან 17 კმ-ის დაცილებით, ტყეში გზის გაყვანის დროს იპოვეს ძვ. წ. 28-27 წლებით დათარიღებული ოქტავიანეს დენარი.

აღწერილი მასალიდან ხუთი მონეტა მოჭრილია რომში, აღმოსავლეთ პროვინციის ზარაფხანაში – 3, თითო-თითო ცალი ანტიოქიაში, ესპანეთსა და გალიაში. მათი ქრონოლოგიური დიაპაზონია ძვ. წ. 47-14/12 წლები თორმეტ ეგზემპლარიდან ხუთი აღმოჩენილია აღაიანში, ორი – ნასტაკისში, თბილისში, გორში, მცხეთაში, აბისსა და კავთისხევში – თითო-თითო ცალი.

ამრიგად, სრულებით ნათელია, რომ იბერიის სამონეტო ბაზრის ძირითადი კომპონენტები ძვ. წ. I საუკუნის მეორე ნახევარში კვლავ პართული დრაქმები (პირველ ადგილზე) და რომაული დენარებია, ხოლო უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ცენტრები ისევ და ისევ მცხეთა და აღაიანია.

ანტიკური მედლები საქართველოდან

საქართველოში ანტიკური ხანის მედლების (მედალიონების) აღმოჩენის შემთხვევები ძალიან იშვიათია. დღეისათვის აღრიცხულია სულ სამი შემთხვევა. წინამდებარე თავის მიზანია მათი გაცნობა ფართო საზოგადოებისათვის.

1. 1920 წლის 13 მარტს მცხეთაში ადგილობრივმა გლეხმა გაბო ხუბიეროვმა თავის ეზოში ორმოს ამოთხრის დროს, დაახლოებით სამი მეტრის სიღრმეზე აღმოაჩინა ქვის აკლდამა. მან აკლდამა გაძარცვა, ძვირფასი ნივთები გადამალა ან გაყიდა და საქართველოს მუზეუმის წარმომადგენელს გადასცა აკლდამიდან ამოღებული ნივთების მხოლოდ უმცირესი და მისთვის გამოუსადეგარი ნაწილი. ერთ-ერთი გადარჩენილი ნივთი წარმოადგენს ბრინჯაოს მედალს, რომელიც თავის დროზე პროფესორმა სერგი მაკალათიამ გამოაქვეყნა. ვიძლევით მის აღწერილობას:

შუბლი – მაღალი ხელოვნებით ამოკვეთილი ახალგაზრდა მამაკაცის პროფილი მარჯვნივ. გარშემო ბერძნული წარწერა: ანტინოონ თეონ ჰე პატრის (ღვთაებრივ ანტინოეს მისი სამშობლო. ან: ანტინოეს, ღმერთს, სამშობლო).

ზურგი – მარცხნივ მიმართული ჰერმესის (მესაქონლეობისა და მწყემსთა მფარველი ღვთაება, მგზავრთა და მოგზაურთა შემწე, ვაჭართა და ვაჭრობის ღმერთი და ა. შ.) გამოსახულება ხართან ერთად მწყემსის ჯოხით. მათ წინ მაღალი მცენარე, ზემოთ – ვარსკვლავი. გარშემო: ადრიანონ ბეითვინიეონ (ადრიანეს ბითვინია).

მედლის ზომა 3,7 სანტიმეტრია.

ამრიგად, მედალიონის წარწერაში ორი ისტორიული პირია მოხსენიებულია: ლეგენდარული ანტინოე და რომის იმპერატორი ადრიანე (117-138 წწ.). ამდენად მედლის ატრიბუცია და მისი დათარიღება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. მედალი მემორიალური (სამახსოვრო) ხასიათისაა და ეძღვნება იმპერატორ ადრიანეს ინტიმური მეგობრის ანტინოეს ხსოვნას. მაგრამ ვიდრე ამ ორი პიროვნების ურთიერთობას შევეხებით, საჭიროდ მიგვაჩნია მოვიხსენიოთ კიდევ ერთი ნივთი, ასევე მცხეთაში აღმოჩენილი, რომელიც ისევ და ისევ ანტინოეს სახელთანაა დაკავშირებული. ესაა არმაზისხევის № 1 აკლდამაში მოძიებული ვერცხლის პინაკი (ჯამი), რომლის ძირას მირჩილულია ანტინოეს მედალიონი. აკლდამა ეკუთვნის იბერიის არისტოკრატიის წარმომადგენელს ასპარუგ პიტიახშს (ერისთავს) და იქ აღმოჩენილი ადრიანეს ოქროს მონეტების საშუალებით თარიღდება II საუკუნის შუა ხანებით, ან მეორე ნახევრით.

ეს პინაკი თავის დროზე გამოაქვეყნეს გამოჩენილმა ქართველმა არქეოლოგებმა ანდრია აფაქიძემ, გერმანე გობეჯიშვილმა, ალექსანდრე კალანდაძემ და გიორგი ლომთათიძემ თავიანთ კაპიტალურ მონოგრაფიაში „მცხეთა I", თბილისი, 1955, ხოლო ნივთის ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზი ეკუთვნის პროფესორ კიტი მაჩაბელს (იხ. მისი „Серебряные фиалы из Армазисхеви", Тбилиси, 1970).

პინაკის მედალიონზე ამოკვეთილია ხუჭუჭთმიანი ატლეტური აგებულების, გასაოცარი, მაგრამ ოდნავ ქალური სილამაზის მქონე ჭაბუკის მკერდამდე გამოსახულება, რომლის თავი დაფნის გვირგვინითაა შემკული. რა თქმა უნდა, მედალიონის გამოსახულების იდენტიფიკაცია ანტინოესთან იმთავითვე სწორად მოხდა მისი შედარების საფუძველზე ანტინოეს მრავალრიცხოვან პორტრეტებთან.

ამრიგად, იბერიის ძველი დედაქალაქის მცხეთის ტერიტორიაზე ორგზის აღმოჩნდა ნივთი ანტინოეს გამოსახულებით და ორივე მდიდრულ, წარჩინებული პირის აკლდამაში. ეს, ცხადია, შემთხვევითი არაა და გარკვეულ ახსნას მოითხოვს. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ვინ იყო ანტინოე და რა ურთიერთობა ჰქონდა რომის იმპერატორთან – ადრიანესთან?

არსებული წყაროებისა და ლიტერატურის მიხედვით, ანტინოე დაიბადა დაახლოებით 110 წელს ბითვინიის ქალაქ კლავდიოპოლისში (ბითვინია ოლქია მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე). ერთ-ერთი მოგზაურობის დროს ადრიანე შეხვდა ზღაპრული სილამაზის ჭაბუკს, რომელიც იმ დღიდან გახდა მისი უსაყვარლესი ფავორიტი და მისი ამალის მუდმივი წევრი. იგი თან ახლდა რომის იმპერიის მბრძანებელს ყოველი მოგზაურობის დროს. შემონახულია პირდაპირ ფანტასტიური გადმოცემები ანტინოეს ერთგულებასთან დაკავშირებით იმპერატორისადმი.

130 წლის ოქტომბერში ადრიანეს ამალა დაბანაკებული იყო ეგვიპტის ქალაქ ბეზას შემოგარენში. ეგვიპტის წმინდა მდინარის ნილოსის წყალუხვობასთან დაკავშირებით, ამ დროს ქვეყანაში დიდი დღესასწაულების დრო იყო. რომ დაემტკიცებია იმპერატორისათვის თავდადებული სიყვარული, რელიგიურ ექსტაზში შესული თუ უზომო მელანქოლიით შეპყრობილი ანტინოე მდინარე ნილოსში გადავარდა და იქ დაიხრჩო. მაგრამ ეს იყო ანტინოეს მხოლოდ ფიზიკური სიკვდილი და მისი ხელმეორედ დაბადება – ამჯერად უკვე ღმერთად! უსაზღვროდ დამწუხრებულმა იმპერატორმა იგი სამშობლოს ღმერთად გამოაცხადა.

იმპერატორის ბრძანებით ანტინოეს საპატივცემულოდ დაიწყო ტაძრების მშენებლობა კულტის ყველა ატრიბუტითურთ (სამისნოები, მისტერიები, თამაშობანი). ნილოსის დელტაში მდებარე ქალაქ ბეზას, სადაც ანტინოე დაიხრჩო, მისი სახელი დაერქვა; მისი სახელი დაერქვა აგრეთვე ლოტოსის ყვავილს და ერთ-ერთ, ვითომ ახლად აღმოჩენილ ვარსკვლავს. იმპერატორისავე ბრძანებით დაიწყო მასობრივი ინდუსტრია ანტინოეს პორტრეტების დამზადებისა, ანტინოეს ქანდაკებებისა, ანტინოეს გამოსახულებით დამშვენებული მონეტებისა, მედლებისა, გემებისა (ძვირფასი

ქვებისა). საზოგადოდ, ვინც ადრიანესთან კეთილგანწყობილებაში იმყოფებოდა, ან მის მფარველობას და მეგობრობას ეძებდა, მას იმპერატორის გულის მოსაგებად აუცილებლად თან უნდა ჰქონოდა ანტინოეს რაიმე გამოსახულება. ამით აიხსნება ანტინოეს მედლების, ბარელიეფების, ქანდაკებებისა და სხვათა სიმრავლე, რომლებზედაც გამოსახულია მისი ღვთაებრიობის მრავალნაირობა.

ანტინოეს თაყვანისცემის კულტი განსაკუთრებით გავრცელებული და ძლიერი იყო რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც მის მიმდევართა რელიგიური კორპორაციებიც ბლომად მოიპოვებოდა.

ცხადია, ანტინოეს მრავალრიცხოვანი გამოსახულებანი, ქანდაკებები პორტრეტული მსგავსებით გამოირჩევა, მაგრამ მათ ღვთაებრივი ატრიბუტებიც ამშვენებს.

ყველაზე ადრე, უმტკივნეულოდ და თავისთავად, ანტინოეს გალვთაებრიობა მოხდა ეგვიპტეში. შეიქმნა ანტინოე-ოსირისის კულტი (მოკვდავი და კვლავ გაცოცხლებადი ბუნების ღვთაება ძველ ეგვიპტეში), რადგან ეს ლეგენდარული პიროვნება სწორედ ეგვიპტელთა წმინდა მდინარეში დაიხრჩო. გარდა ამისა, ანტინოე გამოისახებოდა ჰერმესის, აპოლონის, ბაკხუსის (ბახუსის) და სხვათა სახით. ეს გადმოიცემოდა განსხვავებული ატრიბუტებით. მაგალითად, პანია ფრთების საშუალებით – ჰერმესი, ყურძნის ლერწით – დიონისე, ეგვიპტური თავსამკაულით – ოსირისი და ა. შ. ყველაზე უფრო ხშირად ანტინოეს ჰერმესის სახით გადმოსცემდნენ, რაოდენობის მხრივ მეორე ადგილზეა ბაკხუსი, ხოლო შემდეგ – აპოლონი.

არმაზის პინაკის მედალიონზე გამოსახულ ანტინოეს დაფნის გვირგვინი ამშვენებს. ეს კი მას აპოლონთან აკავშირებს, თუმცა, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ანტინოეს პორტრეტი აქ უფრო ინდივიდუალიზებულია.

რაც შეეხება მონეტებზე გამოსახულ ანტინოეს, როგორც ვარაუდობენ, ის არ წარმოადგენს პორტრეტს ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, არამედ ამ ლეგენდარული პიროვნების იდეალიზებული, განზოგადებული სახეა.

მონეტები და მედლები ანტინოეს სახელით განსაკუთრებით ინტენსიურად იჭრებოდა იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში და საბერძნეთში, სადაც განსაკუთრებით სცემდნენ თაყვანს ანტინოეს კულტს. კორინთო, დელფო, ლესბოსი, ბითვინია, მცირე აზია, ეგვიპტე – აი, ის ადგილები, სადაც ანტინოეს გამოსახულებიანი მონეტები იჭრებოდა. თითოეული ქალაქის მონეტაზე ანტინოეს თავისი ატრიბუტი ჰქონდა. მაგალითად, დელფოს მონეტებზე იგი გამოისახებოდა აპოლონის სახით, კორინთოს – დიონისეს, ალექსანდრიის – ჰერმეს-ტოტემის (ცხენის) სახით. ამის გამო, ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრების თანახმად, ვინაიდან მცხეთაში აღმოჩენილი მედლის ზურგზე ჰერმესია გამოსახული, შესაძლებელია ისიც ალექსანდრიაში (ეგვიპტე) იყოს მოჭრილი. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ იგი ანტინოეს მშობლიურ ბითვინიაშია გამოშვებული.

რა გზით მოხვდა მცხეთაში აღმოჩენილი ვერცხლის პინაკი და ბრინჯაოს მედალი იბერიის ფარგლებში?

როგორც ცნობილია, იმპერატორ ადრიანესა და მის თანამედროვე იბერიის მეფე ფარსმან „ქველს“ შორის უაღრესად დაძაბული ურთიერთობა იყო. გაძლიერებული იბერია არ ეპუება რომს, ყოველგვარი შენიღბვის გარეშე ებრძვის მას და ცდილობს მის განდევნას კოლხეთიდან და სხვა მეზობელი ადგილებიდან.

მისი მოკავშირე ამ დროს არიან ალანები და სხვა ჩრდილოკავკასიელი ტომები. ამიტომაა, რომ ადრიანე ყველაზე მეტ და ყველაზე ძვირფას საჩუქრებს სწორედ იბერიის მეფეს უგზავნის. ერთ-ერთი ასეთი ძღვენის სახით რომის იმპერატორმა ფარსმან I-ს სპილო და ხუთასკაციანი რაზმიც კი გამოუგზავნა. მაგრამ მან იბერიის მეფის შემობრუნება, გარკვეულ დრომდე, მაინც ვერ მოახერხა. სავსებით შესაძლებელია, რომ საჩუქრებს შორის ყოფილიყო ვერცხლის პინაკი და ბრინჯაოს მედალი ანტინოეს გამოსახულებით, რომლებმაც შემდეგ ადგილი იბერიის წარჩინებულ პირთა აკლდამებში ჰპოვა. ან ისიც კი არის შესაძლებელი, რომ ადრესატები თვით ქართლის ერისთავები ყოფილიყვნენ (კერძოდ, ასპარუგ პიტიახში), რომელთა შორის ადრიანე ქვეყნის შიგნით დასაყრდენ ძალას ეძებდა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არაა ერთადერთი ვარიანტი. ამასთან დაკავშირებით არსებობს სხვა ვარაუდიც. „მცხეთა I“-ის ავტორთა მოსაზრებით, სავსებით დასაშვებია, რომ ასპარუგ პიტიახში თან ახლდა ფარსმანს რომში მოგზაურობის დროს და ვერცხლის პინაკი სწორედ იქიდან ჩამოიტანა. მაგრამ ავტორები არ აზუსტებენ რომელი იმპერატორის დროს განხორციელდა ფარსმანის ვიზიტი იმპერიის დედაქალაქში. პროფესორი ს. მაკალათია ფიქრობდა, რომ იბერიის მეფე რომს ადრიანეს სიცოცხლეშივე ეწვია, რაც მართებული არაა. რომისა და იბერიის ურთიერთობა იმპერატორ ანტონინუს პიუსის (138-161 წწ.) დროს გაუმჯობესდა. სწორედ ამ ხანებში, იმპერატორის მიწვევით, მარადიულ ქალაქში დიდი ამალით ჩავიდა იბერიის მეფე, რომელიც იქ განსაკუთრებული პატივით მიიღეს. საკმარისია აღინიშნოს, რომ მსოფლიო იმპერიის დედაქალაქის ერთ-ერთ ტაძარში ცხენოსანი ფარსმანის ქანდაკებაც კი დადგეს. ცხადია, რომიდან უკან დაბრუნებულ იბერთა მეფის ამალას შეეძლო ანტინოეს გამოსახულებიანი ვერცხლის პინაკისა და მედლის ჩამოტანაც. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ადრიანეს გარდაცვალების შემდეგ „ანტინოეანას“ მოდა სწრაფად და საგრძნობლად შემცირდა. ამიტომ ჩვენ მაინც გვგონია, რომ ეს ნივთები აღმოსავლეთ საქართველოში ადრიანეს სიცოცხლეშივე შემოვიდა როგორც იბერიის მეფეთა დიდი მოხელეების საჩუქრები.

2. 1963 წელს ბიჭვინტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელსაც 1975 წლამდე ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი ანდრია აფაქიძე, აღმოაჩინა თრაკიის (ისტორიული ოლქი ბალკანეთის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში, ეგეოსის, შავსა და მარმარილოს ზღვებს შორის) ქალაქ პაუტალიაში რომის იმპერატორ ანტონინუს პიუსისა (138-161 წწ.) და ქალაქის მმართველის პომპეიუს ვოპისკუსის სახელით მოჭრილი ბრინჯაოს იშვიათი მონეტა (მედალიონი). მას ასეთი სახე აქვს:

შუბლი – დაფნის გვირგვინიანი ანტონინუს პიუსის თავის გამოსახულება მარჯვნივ. გარშემო ბერძნული ზედწერილი: აუტ კაი ტაი ადრი ანტონინოს, ეს ყველაფერი ჩასმულია წერტილოვან რკალში.

ზურგი – ქალღმერთი დემეტრე (ბერძნულ მითოთოლოგიაში მიწათმოქმედებისა და ნაყოფიერების ქალღმერთი, ხორბლის დამწიფების მფარველი ღვთაება) დგას ორცხენიან ეტლზე, ორსავე ხელში მას ჩირაღდანი უჭირავს. გარშემო ჰგემ პომ/პეიუ ო პეისკუ. გამოსახულების ქვემოთ – პაუტალიოტონ. წერტილოვანი რკალი.

წონა – 20,64 გრამი, ზომა – 35/36 მილიმეტრი.

ერთადერთი იდენტური მედალიონი, რომელიც ჩვენთვისაა ცნობილი, ინახება სოფიის (ბულგარეთი) არქეოლოგიური მუზეუმის ნუმიზმატიკურ კოლექციაში. ბიჭვინტაში აღმოჩენილი ცალი მეორეა.

სამონეტო ემისია პაუტალიაში, მსგავსად თრაკიის სხვა ქალაქებისა, იმპერატორ ანტონინუს პიუსის დროს დაიწყო, მაგრამ, როგორც ჩანს, პაუტალიის ზარაფხანა ამ პერიოდში არ მუშაობდა ინტენსიურად, რადგან ანტონინუს პიუსის სახელით ამ ქალაქში მოჭრილი საფასეები საკმაოდ დიდ იშვიათობას წარმოადგენს. ასე, მაგალითად, ბრიტანეთის მუზეუმის კატალოგში მხოლოდ ორი მონეტაა გამოქვეყნებული. სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟის ნუმიზმატიკის განყოფილების ფონდებში დაცულია მხოლოდ ერთადერთი მონეტა ანტონინუს პიუსისა, მოჭრილი პაუტალიაში. სამივე მონეტის (და არა მედალიონის) ზურგის მოტივი განსხვავებულია ბიჭვინტის ცალისაგან.

თრაკია – რომის პროვინცია, ანტონინუს პიუსის ეპოქაში ეკონომიკურად დაწინაურებულია და მშვიდობიან ცხოვრებას ეწევა. ფიქრობენ, რომ პროვინციის ქალაქების მონეტების ტიპოლოგიაში (დემეტრე, ათენა, ნიკე) ალეგორიულად სწორედ ეს ისტორიული სინამდვილე აისახა. როგორც ვარაუდობენ, ბიჭვინტაში აღმოჩენილი მედალიონი უფრო მემორიალური ხასიათისა უნდა იყოს და პროვინციის კეთილდღეობასა და მშვიდობიან ცხოვრებაზე მიუთითებს: დემეტრე ხომ მიწათმოქმედებისა და ნაყოფიერების ქალღმერთია!

3. ბიჭვინტაში ნაპოვნი მეორე მედალიონი მიეკუთვნება იმპერატორ ლუციუს ვერუსის (161-169 წწ.) მეულლეს ლუცილას (გარდაიცვალა 183 წ.). ვიძლევით მის აღწერილობას:

წონა – 35,48 გრამი, ზომა – 38/40 მილიმეტრი. მედალი ცუდადაა დაცული.

შუბლი – მარჯვნივ მიმართული ლუცილას ბიუსტი. გარშემო ლათინური ლეგენდა: ლუცილლე ავგ ანტონინი ავგ. რკალი ნერტილოვანი.

ზურგი – ვესტალების გამოსახულება საკრალურ ცეცხლთან (რელიგიურ კულტთან და რიტუალთან დაკავშირებული ცეცხლი). რკალი – ნერტილოვანი.

ვინ არიან ვესტალები?

ვესტა არის ოჯახის კერისა და ცეცხლის მფარველი ღვთაება, ვესტალები – ქალღმერთ ვესტას ქურუმები რომში. უზენაესი ქურუმის (პონტიფექსის) ბრძანებით, ვესტალებად აირჩევდნენ 20 გოგონას, რომლებიც უნდა ყოფილიყვნენ 6-10 წლისა, არ უნდა ჰქონოდათ არავითარი ფიზიკური ნაკლი, მშობლები უნდა ჰყოლოდა ცოცხალი და ცნობილი გვარის წარმომადგენელნი. ამის შემდეგ ისინი მამას აღარ ემორჩილებოდნენ და მთლიანად უმაღლესი პონტიფექსის მფარველობის ქვეშ ექცეოდნენ. ვესტალების მოვალეობას შეადგენდა ვესტას ტაძარში მარადიული ცეცხლის შენარჩუნება. თუ მათ ცეცხლი ჩაუქრებოდათ – გარიზგავდნენ, ხოლო თუ ქალწულობას დაკარგავდნენ – ცოცხლად დამარხავდნენ. ვესტალების სამსახური გრძელდებოდა 30 წელიწადს. 30 წლის შემდეგ ისინი თავისუფლდებოდნენ და უფლება ჰქონდათ გათხოვილიყვნენ. საზოგადოებაში ვესტალები უდიდესი პატივით სარგებლობდნენ. ვესტალების ინსტიტუტი IV საუკუნემდე არსებობდა.

დავუბრუნდეთ ბიჭვინტაში აღმოჩენილ მედალიონს. უნდა აღინიშნოს, რომ ისიც საკმაოდ იშვიათია. ყოფილი საბჭოთა კავშირის მუზეუმებში ჩვენ იგი არ გვეგულება. სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია ლუცილას მხოლოდ ორი მედალიონი ზურგის იდენტური გამოსახულებით. ორივე ცალი სხვა სიქითაა მოჭრილი. თუ ბიჭვინტის მედალიონის შუბლისა და ზურგის გამოსახულება ჩასმულია მხოლოდ წერტილოვან რკალში, ლიტერატურიდან ცნობილ ცალებზე მოცემულია ჯერ ხაზოვანი რკალები, შემდეგ კი – წერტილოვანი.

ტრაპეზუნტის მონეტები და ქართველური ტომების რელიგიის ისტორიის საკითხები

გვიანანტიკურ ხანაში (I-IV სს.) საკუთრივ კოლხეთისა და იბერიის ტერიტორიაზე ორიგინალური ქართული მონეტა არ იჭრება. მაგრამ არის ქართველური ტომებით დასახლებული ერთი პუნქტი, კერძოდ ტრაპეზუნტი (შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირო), რომელიც II-III საუკუნეებში ჭრის სპილენძის საქალაქო მონეტებს. მათ შუბლზე რომის იმპერატორის სახელი აწერია, ხოლო ზურგზე – თემისა (ტრაპეზუნტელებისა).

II-III საუკუნეების ქალაქ ტრაპეზუნტის როგორც პოლიტიკური, ასევე კულტურულ-რელიგიური ისტორიის შესახებ მეტად მცირე წერილობითი წყაროები მოგვეპოვება. ამიტომ მეცნიერები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ ამ ქალაქის არტიფაქტებს, მათ შორის მონეტებსაც. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს 1958 წელს ბიჭვინტის არქეოლოგიური გათხრების დროს (მას 1975 წლამდე ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე, ხოლო შემდეგ – პროფესორი გურამ ლორთქიფანიძე) აღმოჩენილ II-III საუკუნეების ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტების განძს, რომელიც, როგორც ჩანს, ქისაში ყოფილა მოთავსებული, ვინაიდან მონეტებზე შემორჩენილი იყო ქსოვილის ფრაგმენტები.

ვიდრე განძის შემადგენლობას მოვიყვანდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ადრე, ბიჭვინტის გათხრებამდე, ტრაპეზუნტის საქალაქო მონეტების აღმოჩენის შემთხვევები ამ ქალაქის ფარგლებს გარეთ ფიქსირებული არ იყო. ამის საფუძველზე ზოგიერთი მკვლევარი საკმაო კატეგორიულობით ამტკიცებდა, რომ ტრაპეზუნტი არ აწარმოებდა დამოუკიდებელ სავაჭრო-ეკონომიკურ პოლიტიკას და მის მონეტებს მხოლოდ ლოკალური ხასიათის ფულის ნიშნად თვლიდა. ბიჭვინტისა და 1959 წელს სოხუმის არქეოლოგიურმა კამპანიებმა (ხელმძღვანელი ანდრია აფაქიძე) მთლიანად დაარღვია ეს დებულება. საქმე ისაა, რომ ამ პუნქტებში, უკვე მოხსენიებული განძის გარდა, ტრაპეზუნტის მონეტების აღმოჩენა ცალკეული ერთეულების სახით ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ამ ქალაქის ეკონომიკური ისტორიისათვის, არამედ მისი პოლიტიკური სტატუსის გასარკვევადაც.

დავუბრუნდეთ ბიჭვინტის განძს. მის შემადგენლობაში შედის 149 მონეტა. აქედან ათი ვერცხლისაა, ხოლო 139 – II-III საუკუნეების ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტა. ვერცხლის მონეტები მოჭრილია რომის პროვინცია კაპადოკიის (მცირე აზიის ცენტრალური ნაწილის ოლქი) დედაქალაქ კესარიაში (ახლანდელი კაისერი) შემდეგი იმპერატორების სახელით: 1. ადრიანეს (117-138 წწ.) – 4 ცალი; 2. კომოდუსის (180-192 წწ.) – 1; 3. სეპტიმიუს სევერუსის (193-211 წწ.) – 2;

4. მისი მეუღლის იულია დომნას სახელით – 1; 5. გეტას (209-212 წწ.) – 1 და 6. კარაკალას (211-217 წწ.) – 1 ცალი. განძის 139 მონეტა, როგორც აღვნიშნეთ, ტრაპეზუნტის ზარაფხანაშია მოჭრილი II საუკუნის დასასრულსა და III საუკუნის პირველ ნახევარში. განძის გვიანდელი მონეტა ეკუთვნის ფილიპე უმცროსს (247-249 წწ.) და თარიღდება 244/5 წლებით ამრიგად, განძი დამარხულია 244/5 წლების შემდეგ.

ტრაპეზუნტის მონეტები ბიჭვინტასა და სოხუმში აღმოჩენამდე ძალიან დიდ იშვიათობას წარმოადგენდა. ვინაიდან ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტების საერთო რიცხვის დადგენას გარკვეული მნიშვნელობა აქვს, ჩვენ, სადაც კი ხელი მიგვიწვდებოდა, შევეცადეთ მოგვეკრიბა ცნობები მათ შესახებ.

ისეთ დიდ ცენტრებში, როგორიცაა მოსკოვის ისტორიული და სახვითი ხელოვნების მუზეუმები, ეს საფასეები საერთოდ არ ინახება. არაა ისინი აგრეთვე დანიის ნაციონალურ და სოფიის (ბულგარეთი) არქეოლოგიურ მუზეუმებში. გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ ეს მონეტები არ შედის ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის მუზეუმების (ქერსონესი და ქერჩი) ნუმიზმატიკურ კოლექციაში.

სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟის ფონდებში ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტები შვიდი ცალის რაოდენობითაა წარმოდგენილი.

ბრიტანეთის მუზეუმში 1889 წლისათვის ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტების სამი ნიმუში ინახებოდა. პროფესორმა დევიდ ლანგმა თავის დროზე ჩვენი თხოვნით შეამოწმა ბრიტანეთის მუზეუმის ბერძნული მონეტების ფონდი და გამოირკვა, რომ 80 წლის მანძილზე ამ მონეტების რიცხვი მხოლოდ ცხრა ცალით გაზრდილა. ეს საცავი კი თავისი არხებით მთელ მსოფლიოსთანაა დაკავშირებული. სამი ნიმუშის მფლობელია ბერლინის მუზეუმი. ყველაზე მრავალრიცხოვნად (რამდენიმე ათეული ცალი) კი ეს მონეტები პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის კოლექციაშია წარმოდგენილი.

გარდა ამისა, კოლექციონერმა დ. ნ. მოშნიაგინმა პროფესორ დ. კაპანაძეს მიაწოდა ცნობა იმის შესახებ, რომ მას სხვადასხვა დროს უნახავს კიდევ 36 ჩვენთვის საინტერესო მონეტა, რომელთა ნაწილი თითქოს აზოვისპირეთსა და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე იყო ნაპოვნი (ახლა ამ ცნობების შემოწმება, ცხადია, ძნელია).

ოთხი მონეტის ქალალდის ანაბეჭდი ჩვენ პირადად ვნახეთ ოდესის არქეოლოგიური მუზეუმის ფონდებში.

ამრიგად, თუ თავს მოვუყრით ბიჭვინტასა და სოხუმში აღმოჩენილ ცალებს, ლიტერატურაში არსებულ ცნობებს, სხვადასხვა მუზეუმებში თუ კერძო კოლექციებში დაცულ ეგზემპლარებსა და ანაბეჭდებს, მივიღებთ, რომ დღეისათვის ჩვენთვის ცნობილია ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტების დაახლოებით 340-350 ერთეული. აქედან დაახლოებით 230-240 ცალი ბიჭვინტაშია ნაპოვნი (რიცხვები, ცხადია, აბსოლუტურად ზუსტი არ შეიძლება იყოს).

ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტების შესახებ ლიტერატურა მეტად ღარიბია. ბიჭვინტაში აღმოჩენილი მასალის საგრძნობი ნაწილი თავისი დროისათვის გამოუქვეყნებელი იყო. მათმა მეცნიერულმა შესწავლამ გარკვეული ნათელი მოჰფინა არა მარტო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქალაქების ეკონომიკური ცხოვრების ისტორიას, არამედ თვით ტრაპეზუნტის პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურის ისტორიის საკვანძო საკითხების ზოგიერთ ასპექტს.

შევჩერდეთ ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით.

ტრაპეზუნტის მონეტების შუბლზე ყოველთვის გამოსახულია მარჯვნივ მიმართული რომის იმპერატორის, ან მისი მეუღლის პროფილი და სათანადო ბერძნული ლეგენდა, რომელიც იმპერატორის ვინაობას გვამცნობს; ზურგზე – სხვადასხვა ღვთაებები და ბერძნული ზედწერილი – ტრაპეძუნტიონ – ე. ი. ტრაპეზუნტელებისა და თარიღი. და აი, სწორედ ზურგის მოტივების სწორმა დეფინიციამ გააშუქა სათანადოდ ტრაპეზუნტის რელიგიისა და კულტურის ისტორიის საკითხები.

ვნახოთ რას გამოსახავდნენ ტრაპეზუნტელები თავიანთ მონეტებზე. იმ 340-350 მონეტის ზურგზე, რომლებიც ჩვენთვისაა ცნობილი (და რომელთა დაცულობა ამის საშუალებას იძლევა), დაახლოებით 210-220 ცალზე გამოსახულია მზისა და სინათლის ღვთაება მითრა; შემთხვევის, ბედისა და ბედნიერების ქალღმერთი ტიხე – 50-55 ცალზე; დიონისე (მცენარეულობის ღმერთი, მევენახეობისა და მეღვინეობის მფარველი ღვთაება) – 17-ზე; სერაპისი (ეგვიპტური ღვთაება, რომელმაც გააერთიანა ოსირისის – მარად ცვალებადი ბუნების განსახიერება, აიდას – მიწისქვეშა სამყაროს მბრძანებელი, ასკლეპიოსისა – მკურნალი ღმერთი და აპოლონის ნიშნები) – 12-ზე; აბუდანცია (სიუხვის განსახიერება) – 12-ზე; აპოლონი – 6-ზე; ჰერმესი – 2-ზე; ჰერაკლე – ერთზე; რეა-კიბელა (ღმერთების დიდი დედა) – ერთზე; პალესი (?) (მწყემსთა და ნახირთა მფარველი ძველიტალიკური ღვთაება) – ერთზე.

ზემოთ მოყვანილი რიცხვები გვარწმუნებს, რომ მითრა ტრაპეზუნტის მთავარი ღვთაება იყო. მზისა და სინათლის ღვთაება მითრა არ არის ბერძნული წარმოშობისა. ისმის კითხვა: რამ გამოიწვია მისი წინა პლანზე წამოწევა ელინურ (ბერძნულ) ქალაქში? ეს გარემოება გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ ძვ. წ. V-IV საუკუნეების ბერძენი ისტორიკოსის ქსენოფონტეს სიტყვებს, რომ ტრაპეზუნტი იყო „ხალხმრავალი ელინური ქალაქი პონტოს ევქსინოს სანაპიროზე, სინოპეს კოლონია კოლხების ქვეყანაში". ცხადია, ამ ქალაქის მოსახლეობის ძირითადი ბირთვი არაელინური ელემენტისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი. უფრო რელიეფურად ეს ჩანს იმპერატორ ადრიანეს (117-138 წწ.) მოხელის ფლავიუს არიანეს ცნობებიდან. აღწერს რა ამ ქალაქს, იგი წერს იმპერატორს: „... ახლა აქ სამსხვერპლოებია აღმართული, მაგრამ ხორკლიანი ქვისაგან, და, ამიტომ, ასოები ვერაა ნათლად ამოკვეთილი, ხოლო ბერძნული წარწერა შეცდომითაც კია შედგენილი, რადგან ბარბაროსების მიერაა დაწერილი... შენი ქანდაკება დგას აქ, მდგომარეობა მისი მოხერხებულია – იგი ზღვას უთითებს. ქანდაკება არაა შენი მსგავსი და

არც სხვა მხრივაა კარგი. ხოლო აქვე აშენებულია ოთხკუთხა ქვებით ტაძარიც. არაა ცუდი, მაგრამ ჰერმესის ქანდაკება არ შეეფერება არც ტაძარს, არც ამ ადგილს". როგორც ვხედავთ, არიანე პირდაპირ ამბობს, რომ ბერძნული წარწერები „ბარბაროსების" მიერ არის შესრულებულიო. ცხადია, „ბარბაროსებში" კოლხები იგულისხმება. მეტიც, ტრაპეზუნტის არა თუ ძირითადი მოსახლეობა, არამედ მისი მმართველი წრეც უმეტესად „ბარბაროსების" ტომებიდან უნდა ყოფილიყო გამოსული, რადგან ძნელი წარმოსადგენია კლასიკურ ესთეტიკურ ტრადიციებზე გაზრდილ პირებს სანქცია მიეცათ ადრიანეს ქანდაკების დადგმისათვის, რომელიც ბერძნული ხელოვნების ნორმების დარღვევით იყო შექმნილი. ამრიგად, მითრას კულტის გამარჯვებისათვის ტრაპეზუნტში ეთნიკური საფუძველი არსებობდა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა „ქართლის ცხოვრების" ერთი ცნობა:

„მოვიდა ... ანდრია ქალაქად ტრაპიზონად, რომელ არს სოფელი მეგრელთა..." (ქც, I, 39). სინქრონულად მცირე აზიის სხვა ელინურ ქალაქებში არ არის არავითარი ნიშანწყალი მითრას კულტის არსებობისა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ტრაპეზუნტის ე. წ. მითრას გამოსახულებიან მონეტებს პარალელი არ მოეძებნება სხვა ქალაქებისა და სამეფოების ნუმიზმატიკაში.

მაგრამ ნამდვილად მითრაა გამოსახული ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტების რევერსზე?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად თვალი გავადევნოთ მითრას გამოსახულებათა ევოლუციას მონეტებზე. თავდაპირველად მათზე ამოტვიფრულია მითრას ბიუსტი სხივებიან ფრიგიულ ქუდში, შემდეგ მას ემატება ცხენის პროტომა. ბიჭვინტაში აღმოჩენილ ტრაპეზუნტის მონეტების განძში ერია სამი ნიმუში ფანტასტიკური გამოსახულებით. ლიტერატურაში მისი პარალელი ვერ მოვიძიეთ. ჩვენი აზრით, ეს ტერა ინკოგნიტოც მითრას კულტთან უნდა იყოს დაკავშირებული. სხვანაირად არ შეიძლება იქნეს კვალიფიცირებული სტილიზებული მანერით შესრულებული ტახტზე მჯდომარე ცხენის გამოსახულება. ასეთია მითრას პოზები II საუკუნის მონეტებზე. II საუკუნის დასასრულიდან მითრა ცხენზეა ამხედრებული. მხედრის წინ დგას ბომონი (საკურთხეველი), რომლის წინაშეც ცხენს მარჯვენა წინა ტორი აწეული აქვს. შემდეგში მას ემატება სიცოცხლის ხე, რომელზედაც ზოგიერთ შემთხვევაში გველია შემოხვეული. მომდევნო ეტაპზე მითრა-მხედრის წინ და უკან ჩნდებიან თანამგზავრები. ბომონის გვერდით აღიმართება კოლონა (სვეტი), რომელზედაც დგას ამური, უმეტეს შემთხვევაში კი ზის მტაცებელი ფრინველი – ყვავი, რომლის ზემოთაც მოთავსებულია ვარსკვლავი. დაბოლოს, ყველაფერ ამას ემატება ისიც, რომ ხაზს ქვემოთ (ე. ი. მიწის ქვემოთ) გართხმულია გველი (ტაბ. III, № 22).

ჯერ კიდევ მითრას მისტერიების ცნობილმა პუბლიკატორმა ფ. კიუმონმა სრულიად სამართლიანი აზრი გამოთქვა, რომ III საუკუნის ტრაპეზუნტის მონეტებზე გამოსახული მხედარი არ არის მითრა ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით, არამედ სინკრეტული ღვთაებაა, რომელმაც გააერთიანა მითრას და კაპადოკიური მთვარის ღმერთის – მენის ფუნქციები. ფ. კიუმონს ჰქონდა ამის საფუძველი,

რადგან მითრა ძალიან იშვიათად გამოისახებოდა ცხენზე ამხედრებული, ხოლო მენისათვის ეს ჩვეულებრივი პოზაა. მაგრამ მის წინააღმდეგ გაილაშქრეს ცნობილმა ანტიკოსებმა ვ. ვადინგტონმა, ე. ბაბელონმა, თ. რაინაკმა და მ. მაქსიმოვამ იმ საფუძვლით, რომ მენის კულტისათვის დამახასიათებელი ატრიბუტი – ნამგალა მთვარე, ტრაპეზუნტის მონეტებზე არ გვხვდებაო. ძნელია გაიზიარო ამ ავტორების აზრი. ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ ერთ კონტრარგუმენტს, რომლის გაბათილება ერთობ ძნელია:

დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ცხრა გემა, რომლებზედაც გამოსახულია ე. წ. მითრა ისეთივე პოზაში, როგორც ტრაპეზუნტის მონეტებზე (მათ შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი). იგივეობა აბსოლუტურია: ამხედრებული ღვთაება ბომონის წინაშე და სიცოცხლის ხე. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ორ მათგანზე – ბერლინის მუზეუმის კუთვნილ უპასპორტო ცალზე და კარსნისხევში (მცხეთის რაიონი) აღმოჩენილ ეგზემპლარზე – მხედრის ზემოთ, წინ და უკან ვარსკვლავი და ნამგალა მთვარეა გამოსახული. ეს კი სრულიად უეჭველს ხდის იმ ფაქტს, რომ ტრაპეზუნტის მონეტებსა და გემებზე გამოსახული მხედარი არ არის მითრა პურიტანული გაგებით, არამედ სინკრეტული ღვთაებაა – მთვარის, მზისა და ვარსკვლავთ ღვთაებათა ფუნქციების გამაერთიანებელი, მათი უნიფიცირებული სახე. უნდა აღინიშნოს ასეთი დეტალიც: ღვთაება მენის კიდევ ერთი ატრიბუტი – ნაძვის გირჩი გამოსახულია ტრაპეზუნტში მოჭრილი მონეტების ზოგიერთ ცალზე, მხედრის წინ, ზედ ბომონზე.

საქართველოში მითრას კულტი ფართოდ იყო გავრცელებული. ქართულ წარმართულ კალენდარში არსებობდა მითრას სადღესასწაულო თვე მირკანი (მიჰრკანი). ბორსა (ხარაგაულის რაიონი) და არმაზში აღმოჩნდა ვერცხლის თასები, რომლებზედაც გამოსახულია ტორაწეული ცხენები. მათ აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი მითრას კულტს უკავშირებდა. ცხენიანი პინაკები აღმოჩნდა აგრეთვე ზღუდერის (ქარელის რაიონი) არქეოლოგიური გათხრებისას (ხელმძღვანელი გურამ ნემსაძე) და შემთხვევით – ზაჰესის არხის გაყვანის დროს. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა იმავე ზღუდერში ბრინჯაოს მცირე ზომის ბომონის თუ საცეცხლურის აღმოჩენა. ის წარმოადგენს კარებიან ტაძარს, რომლის გუმბათი ფიჭვის დახვრეტილი გირჩია. ზღუდერის საცეცხლურ-ბომონის ასლია ტრაპეზუნტის მონეტებზე გამოსახული სამსხვერპლოები.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ბორის თასზე გამოსახული სხივოსან-ფაფარიანი ცხენი ყველა დეტალით დიდ მსგავსებას ამჟღავნებს ტრაპეზუნტის მონეტებზე ამოკვეთილ ცხენებთან. საკმარისია ამ უკანასკნელებს მხედარი მოვაცილოთ, რომ სრული იგივეობა მივიღოთ. როგორც ბორის თასზე, ასევე ტრაპეზუნტის საფასეებზე გამოსახულია სხივოსან-ფაფარიანი ცხენები, რომლებიც ფეხაწეული დგას ბომონის წინაშე. ბორის პინაკის სამსხვერპლოზე, ისევე როგორც ტრაპეზუნტის ზოგიერთ მონეტაზეა გამოსახული, დევს გირჩი.

მეტად ნიშანდობლივია შემდეგი ფაქტი: იდენტურ გამოსახულებიანი ცხრა გემადან (რომელიც ჩვენ ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ) რვა საქართველოშია აღმოჩენილი (ხუთი – ურბნისში, ქარელის რაიონი, ორი მცხეთის მიდამოებში და ერთიც ქუთაისში), ხოლო მეცხრე, ბერლინის მუზეუმის კუთვნილი ცალი, როზენის მიერ კონსტანტინოპოლშია (სტამბოლში) შეძენილი და, როგორც ჩანს, მცირეაზიური წარმოშობისაა. ეს გემები I-III საუკუნეებით თარიღდება და, სპეციალისტების აზრით, ტრაპეზუნტში უნდა იყოს დამზადებული, თუმცა ჩვენ პირადად არ გამოვრიცხავთ მათი ადგილობრივი წარმოშობის შესაძლებლობას.

ზემოთქმულის შეჯამების საფუძველზე მეტად საინტერესო სურათს ვღებულობთ: ტრაპეზუნტის ე. წ. მითრას გამოსახულებიან სპილენძის საქალაქო მონეტებს პარალელი არ მოეძებნება სხვა ქალაქებისა და სამეფოების ნუმიზმატიკაში. ცხენოსანი „მითრა" მხოლოდ და მხოლოდ საქართველოში აღმოჩენილ (თუ დამზადებულ) სინქრონულ გემებზეა ამოჭრილი. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, საფუძველს მოკლებული არ იქნება ვივარაუდოთ ამ ღვთაების ქართველურ ნიადაგზე წარმოშობა. შესაბამისად ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტებიც ქართულ ნუმიზმატიკურ ძეგლთა რკალში უნდა მოექცეს, რადგან ტრაპეზუნტი კოლხეთის მიწა-წყალზე მდებარეობდა, მოსახლეობის დიდი ნაწილი ადგილობრივი, „ბარბაროსული" ტომებისაგან შედგებოდა და მონეტებზე ამოტვიფრული გამოსახულებანი შინაარსობრივად მჭიდროდაა დაკავშირებული უძველეს ქართველურ რწმენა-წარმოდგენებთან.

სამონეტო ემისია ტრაპეზუნტმა ძვ. წ. IV საუკუნეში დაიწყო, მაგრამ ეს იყო მეტად ხანმოკლე ეპიზოდი. ახ. წ. 63 წელს მან მიიღო თავისუფალი ქალაქის სტატუსი და აქედან ეძლევა დასაბამი ამ ქალაქის ერასაც. იმპერატორ ტრაიანეს (98-117 წწ.) ეპოქიდან ტრაპეზუნტი ხანგრძლივი ინტერვალის შემდეგ კვლავ იწყებს მონეტის მოჭრას. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ვინაიდან ტრაპეზუნტი მონეტებზე თავს „თავისუფალ ქალაქს" არ უწოდებს, მან ეს პრივილეგია ტრაიანეს დროს დაკარგა. მართალია, წყაროთა სიმცირის გამო, ქალაქის პოლიტიკური ისტორიის შესახებ ამ პერიოდში ჩვენ ბუნდოვანი წარმოდგენა გვაქვს, მაგრამ ეს მოსაზრება როგორლაც არ ებმის ფაქტებს. ძნელია წარმოვიდგინოთ, მაგალითად, თუკი ტრაპეზუნტმა ნამდვილად ტრაიანეს დროს დაკარგა თავისუფალი ქალაქის სტატუსი, რომ მას სწორედ ამ ხანებში განეახლებინოს სამონეტო ემისია, თანაც მკვეთრად გამოხატული ადგილობრივი მოტივებით. მაგრამ, როგორც არ უნდა გადაწყდეს ამ ქალაქის პოლიტიკური ისტორიის საკითხები, ერთი უდავოა: ტრაპეზუნტის ავტონომიური ტიპის მონეტები ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით და მოთხოვნით იჭრება. რა თქმა უნდა, ნათქვამი იმას არ ნიშნავს, რომ ტრაპეზუნტი ამ ხანებში თავისი მოსახლეობით წმინდა ქართული ქალაქი იყო. ამის საწინააღმდეგოდ მიუთითებს ე. წ. მითრას გვერდით ბერძნული კულტების არსებობა, მაგრამ პრიორიტეტი რომ ადგილობრივ ელემენტს ეკუთვნოდა, თითქოს ეს არავისთვის არ უნდა იყოს სადავო.

დაბოლოს ერთი საკითხიც. სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია გამოთქმულია აზრი, რომ ქართველი ხალხის წარმოდგენაში წმ. გიორგის ძველი, წარმართობისდროინდელი, მთავარი ღვთაების ადგილი უნდა ეკავოს. ლიტერატურაში ასევე მრავალგზის იყო აღნიშნული, რომ წმ. გიორგის ცხოვრებასთან დაკავშირებული ფანტასტიური მოტივები (მაგ., ბრძოლა გველეშაპთან) ქართულ ნიადაგზე უნდა იყოს აღმოცენებული და რომ „წმინდა გიორგის შესახებ ლეგენდების კლასიკური ქვეყანა" საქართველო, შეიძლება, მის სამშობლოდაც ჩაითვალოს. ტრაპეზუნტის მონეტებს ამ მიმართებით ბევრი რამის თქმა შეუძლიათ.

აკად. ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევის თანახმად, ქართველი ხალხის აზროვნებაში წმ. გიორგის მთვარის ღვთაების ადგილი ეკავა, რომელიც, მისი აზრით, წარმართულ საქართველოში მთავარი ღვთაება იყო. მთავარი ღვთაება იყო მენი კაპადოკიაშიც, სადაც მესხური ელემენტის არსებობასაც გულისხმობენ. წმ. გიორგის კულტის გენეზისს სამეცნიერო ლიტერატურაში სწორედ ამ ქვეყანას უკავშირებენ. ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ მენი – მხედარი, რომელიც, შესაძლოა, შეცვალა წმ. გიორგიმ, ახლო დგას ამ უკანასკნელთან არა მარტო ფუნქციით, არამედ იკონოგრაფიულადაც. ახალი რელიგია ღებულობს ძველ ფორმას. ივანე ჯავახიშვილს მრავალი მაგალითი მოჰყავს, რომლებიც წმ. გიორგისადმი მიძღვნილ რიტუალებს წარმართულ საქართველოში მთვარის თაყვანისცემასთან აკავშირებს.

მაგრამ, მეორე მხრივ, ეთნოგრაფიული მასალის შესწავლის შედეგად, პროფესორი ს. მაკალათია ასკვნის, რომ „წარმართულ საქართველოში წმ. გიორგის წინამორბედი ღვთაება მირსა ან მითრა უნდა ყოფილიყო", რასაც „... მოწმობს დასავლეთ საქართველოში დღემდე დაცული „მირსობა", „მეჲსარობა" და „ჯეგემისარონი". სხვათა შორის, ცნობილი მეცნიერი ვიქტორ ნიზაძე შეცდომად უთვლის ივ. ჯავახიშვილს მთვარის ღვთაების წმ. გიორგის კულტთან დაკავშირებას. მისი სიტყვით, „წმინდა გიორგის კულტი სწორედ მზის თაყვანებასთანაა გადაბმული". უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში თითქოს ასეთი ტენდენცია იმარჯვებს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

ჩვენი აზრით, თუ საკითხს სინკრეტიზმის პრინციპით განვიხილავთ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ორივე მხარე სწორ პოზიციაზე დგას. მართალია, მთვარე ერთ-ერთი მთავარი ღვთაებაა ქართველური სამყაროსათვის, მაგრამ კაპადოკიური მთვარის ღვთაება მენი „წმინდა" სახით არ შეიძლებოდა წმ. გიორგის უშუალოდ წინამორბედი ყოფილიყო. საკმარისია აღინიშნოს, რომ წმ. გიორგის იკონოგრაფიისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ძირითადი მომენტი – ბრძოლა გველეშაპთან, მენისათვის უცხოა. როგორც ტრაპეზუნტის მონეტების ზურგის იკონოგრაფია გვიმტკიცებს, II საუკუნის დასასრულს ხდება მენის შერწყმა მითრასთან. ასტრალურ ღვთაებათა ტრიადა (მთვარე, მზე, ვარსკვლავები) ერთიანდება სინკრეტულ ღვთაებად, რომელიც უპირისპირდება მიწიერ ძალებს, მონეტებზე გამოსახული გველის სახით. ერთ-ერთი მეცნიერის სამართლიანი ინტერპრეტაციით, ტრაპეზუნტის მონეტებზე გამოსახული გველი მიწას აღნიშნავს.

ამის შემდეგ ლოგიკური იქნება დავსვათ ასეთი კითხვა: ეგებ ტრაპეზუნტის მონეტებზე და საქართველოში აღმოჩენილ გემებზე გამოსახული ღვთაებაა სწორედ ის წარმართული ღვთაება, რომელიც წმ. გიორგიმ შეცვალა. ასეთ ვარაუდს მხარს უჭერს არა მარტო წმ. გიორგის რიტუალებში დაცული მთვარისა და მზის თაყვანისცემის გადმონაშთები, არამედ ტრაპეზუნტის მონეტებზე გამოსახული ღვთაების დიდი იკონოგრაფიული მსგავსება ცხენოსან წმ. გიორგისთან. საკმარისია მას ხელში შუბი მივცეთ, რომ იგი წმ. გიორგად იქცეს.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ცხენოსანი წმ. გიორგის გამოსახულება ყველაზე ადრე საქართველოში ჩნდება. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ექსპონირებულია ქვემო ქართლის ტერიტორიაზე (აღიქსა და ბურდაძორში – მარნეულის რაიონი) აღმოჩენილი ადრეფეოდალური ხანის ორი სტელა ცხენოსანი წმ. გიორგის გამოსახულებით. ბურდაძორის სტელაზე გამოსახულია შუბოსანი მხედარი წმ. გიორგი, რომელიც გველს კლავს. იმავე სტელაზე ამოკვეთილია სიცოცხლის ხე და მედალიონებში ჩასმული ასტრალური ნიშნები (მზე, მთვარე, ვარსკვლავი). მთვარე წარმოდგენილია ხარის თავის სახით, რომელსაც ნამგალა მთვარისებური რქები აქვს. წმ. გიორგია გამოსახული სიცოცხლის ხესთან ერთად აღიქის სტელაზეც. ორივე სტელაზე გველეშაპი მიწის აღმნიშვნელი ხაზის ქვემოთაა: გველეშაპი ხომ ქვესკნელის განსახიერებაა. ასევეა გააზრებული ტრაპეზუნტის მონეტების კომპოზიციაც: ასტრალურ მნათობთა სინკრეტული ღვთაება უპირისპირდება ხაზქვეშ (მიწისქვეშ) გართხმულ გველს (მიწიერ ძალებს). ამ გამოსახულებათა გენეტიკური კავშირი სრულიად უდავოა. დასახელებული სტელები განვითარების შემდგომი საფეხურია.

ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ მონეტების საშუალებით დგინდება ის ფაქტი, რომ ტრაპეზუნტში არსებობდა ბერძნული კულტებიც. აქ თაყვანს სცემდნენ ჰერმესს. ჰერმესის ტაძრის შესახებ წერს არიანე. მონეტაზე იგი წარმოდგენილია ლისიპეს (ძვ. წ. IV ს. გამოჩენილი ბერძენი მოქანდაკე) ქანდაკების სახით. ჰერმესი გამოსახულია აგრეთვე ტრაპეზუნტიდან მომდინარე გემაზე, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმშია დაცული. აღმერთებდნენ ტიხეს, დიონისეს, სერაპისს და აბუდანციას – სიუხვის პერსონიფიცირებულ ღვთაებას.

ბიჭვინტაში აღმოჩენილმა მონეტებმა ტრაპეზუნტის პანთეონს შემდეგი ღვთაებები შემატა: ჰერაკლე, აპოლონ ლიკიელი (ე. ი. ამ ღვთაების ის სახეობა, რომლის სამშობლოდაც მცირე აზია ითვლება), პალესი (?) და რეა კიბელე. მონეტაზე ეს უკანასკნელი გამოსახულია ტახტზე მჯდომარე, რომლის ფერხთით ორი ლომია.

ასეთია ბიჭვინტაში აღმოჩენილი ტრაპეზუნტის მონეტების მეცნიერული შესწავლის ზოგიერთი ასპექტი. ცხადია, აქ წამოყენებული რიგი მოსაზრება შეიძლება სადისკუსიო იყოს, მაგრამ ამას ამჯერად არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა. ჩვენი მიზანი იყო ილუსტრაცია იმისა, თუ რა შეუძლია მონეტებს, როგორც რელიგიის ისტორიის ერთ-ერთ წყაროს.

სამონეტო მიმოქცევა კოლხეთში I-IV საუკუნეებში

სამონეტო მიმოქცევის თვალსაზრისით კოლხეთის ტერიტორია ორ „ნუმიზმატიკურ" სფეროდ – შავი ზღვის სანაპირო ზოლად და ქვეყნის შიდა რაიონებად – სწორედ I-IV საუკუნეები იმიჯნება განსაკუთრებული სიმკვეთრით. იმისათვის, რომ თვალნათლივ დავინახოთ ქვეყნის ცენტრალური რაიონებისა და სანაპირო ზოლის ფულადი მეურნეობის თავისებურება, მათ შორის არსებული სხვაობა, საჭიროა აქედან მომდინარე მასალის ურთიერთდაპირისპირება, მათი შედარება. სახელმძღვანელოში ამის გაკეთება ძალიან რთულია, ვინაიდან კოლხეთის საზღვრებში I-IV საუკუნეების მონეტები დიდი რაოდენობითაა მიკვლეული. ამიტომ ეტალონად სანაპირო ზოლისათვის ჩვენ ვიღებთ ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიციის მასალას, ხოლო შიდა რაიონებისათვის – I-III საუკუნეების რომაული მონეტების სამ განძს, რომლებიც სხვადასხვა დროს აღმოჩენილია სოფლებში ღურზულში (გულრიფშის რაიონი. სხვათა შორის, ეს სამონეტო კომპლექსი სამეცნიერო ლიტერატურაში, მათ შორის ქართულშიც, შესულია როგორც გერზეულის განძი, დასახლების რუსული სახელწოდების მიხედვით), ეკსა (სენაკის რაიონი) და სეფიეთში (აბაშის რაიონი).

1952 წლიდან ბიჭვინტის ნაქალაქარის ტერიტ[illegible]ზე საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სათანადო ინსტიტუტი აწარმოებდა არქეოლოგიურ გათხრებს, რომელსაც ჯერ აკადემიკოს ანდრია აფაქიძე ხელმძღვანელობდა, ხოლო შემდეგ – პროფ. გურამ ლორთქიფანიძე. ამ ხნის განმავლობაში ექსპედიციამ უმდიდრესი და უმნიშვნელოვანესი მასალა მოიპოვა, რომელიც გამოქვეყნებულია ანდრია აფაქიძის რედაქტორობით გამოსულ „დიდი პიტიუნტის" სამტომეულში (თბილისი, 1975, 1977 და 1978 წწ.) და გურამ ლორთქიფანიძის მონოგრაფიაში („ბიჭვინტის ნაქალაქარი", თბ., 1991) სხვა ძეგლებთან ერთად ბიჭვინტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ პირველხარისხოვანი ნუმიზმატიკური მასალაც გამოავლინა. საკმარისია აღინიშნოს, რომ ნაქალაქარის ტერიტორიაზე 1500-მდე მონეტაა მიკვლეული, მათ შორის ოთხი განძი. მაგრამ, რა თქმა უნდა, საქმის არსი მონეტათა რაოდენობაში როდია. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არცერთ არქეოლოგიურ ძეგლს საქართველოში (და არა მარტო საქართველოში) არ მოუცია გვიანანტიკური და ადრე ბიზანტიური ხანის ისეთი მნიშვნელოვანი მასალა, როგორც ეს ბიჭვინტამ მოგვცა. დაბოლოს, ალბათ, ისიც უნდა ითქვას, რომ 1975 წელს გამოსულ „დიდი პიტიუნტის" ფურცლებზე ეს უნიკალური მასალა მონოგრაფიულად შესწავლილი და გაანალიზებულია. მართალია, მას შემდეგ ბიჭვინტის საზღვრებში დამატებით კიდევ 114 მონეტა აღმოჩნდა, მაგრამ მას პრინციპუ-

ლი სიახლე არ შეუტანია იმ თვალსაზრისში, რომელიც ადრე იქნა შემუშავებული. ამიტომ რიცხვებით ოპერირებას ჩვენ ძველი მონაცემებით ვაწარმოებთ. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, ახლად მოძიებულ მასალასაც მოვუხმობთ.

ამრიგად, როგორია სამონეტო ცირკულაციის სურათი ბიჭვინტის ნაქალაქარის ტერიტორიაზე I-IV საუკუნეებში (მასალა დიფერენცირებულია საუკუნეების მიხედვით).

ბიჭვინტა, როგორც წერილობითი წყაროები გვამცნობს, ძვ. წ. II საუკუნეში უკვე არსებობს. მიუხედავად ორმოცი წლის განმავლობაში ჩატარებული კამპანიისა, წერილობითი წყაროების ცნობას არქეოლოგიური საფუძველი ვერ მოეძებნება. ჩვენს განკარგულებაშია სინქრონული სპილენძის ორი მონეტა. ამ ორი მონეტიდან ერთის განსაზღვრა არავითარ ეჭვს არ იწვევს. ესაა ძვ. წ. II საუკუნის ქერსონესში (თანამედროვე სევასტოპოლის გარეუბანი) მოჭრილი სპილენძის მონეტა, ხოლო მეორე – ცუდი დაცულობის გამო, შეიძლება ფრიგიის ლაოდიკეას (მცირე აზია) მივაკუთვნოთ.

ძვ. წ. I საუკუნის ნუმიზმატიკური მასალა, ასევე მონეტის ცუდი დაცულობის გამო, თითქოს წარმოდგენილი უნდა იყოს ერთი ცალით. ესაა მითრიდატე VI ევპატორის ეპოქის ტეტრახალკი.

ახ. წ. I საუკუნის ოთხი მონეტაა მიკვლეული ბიჭვინტაში: იმპერატორ ავგუსტეს (ძვ. წ. 27-ახ. წ. 14 წწ.) სპილენძი, ნერონის (54-68 წწ.) აურეუსი, პონტოს მეფის პოლემონ II-ის (38-63 წწ.) დრაქმა და ქალაქ ამასტრიის (შავი ზღვის სამხრეთი სანაპირო) ე. წ. კვაზი (ფსევდო)-ავტონომიური სპილენძის მონეტა.

I საუკუნის ავტორის პლინიუსის ცნობით, ახ. წ. I საუკუნეში პიტიუნტი (პიტიუს-პიტიუნტი გახლავთ ბიჭვინტის ბერძნულ-ლათინური შესატყვისი) მდიდარი ქალაქი ყოფილა, მაგრამ ის გაუძარცვავთ მეომარ ტომებს ჰენიოხებს (ზოგიერთი მეცნიერი მათ სვანებთან აიგივებს). ამ ფონზე სავსებით კანონზომიერად მოჩანს ბიჭვინტაში სინქრონული არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური მასალის სიმცირე.

II საუკუნის 30-იანი წლებისათვის შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ სანაპირობზე საინსპექციო მიზნით იმოგზაურა ფლავიუს არიანემ (იმპერატორ ადრიანეს მოხელემ). მეტად საგულისხმოა, რომ სანაპიროს იმ პუნქტებს შორის, სადაც რომის მხედრიონი იდგა, არიანე არ ასახელებს პიტიუნტს. უფრო მეტიც: იგი გარკვევით ამბობს, რომ დიოსკურია-სებასტოპოლისთან (ე. ი. სოხუმთან) „... მთავრდება რომაელთა სამფლობელოები პონტოს მარჯვენა მხარეს მცურავთათვის". არიანეს ამ ცნობას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. როგორც არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური მასალა ადასტურებს, II საუკუნიდან ბიჭვინტა ინტენსიურ საქალაქო ცხოვრებას იწყებს და, ჩვენი აზრით, სრული უფლება გვაქვს ბიჭვინტაში აღმოჩენილი II საუკუნის მონეტები არა მარტო პოლიტიკური, არამედ უშუალოდ სავაჭრო-ეკონომიკური არხებით შემოსულად ჩავთვალოთ.

მაგრამ ამ ვარაუდს უკანასკნელ ხანებში გარკვეული დაბრკოლება გადაეღობა წინ. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა ვარაუდი, რომ ახ. წ. II საუკუ-

ნის ბოლოდან რომაელთა უკიდურესი სასაზღვრო ფორტპოსტი დას. ამიერკავკასიაში სებასტოპოლისიდან პიტიუნტის ციხესიმაგრეში გადადის. ამის მატერიალური დადასტურებაა გათხრების ტერიტორიაზე მიკვლეული ძალიან დაზიანებული ლათინური წარწერა, შესრულებული პატარა ზომის ქვიშაქვაზე. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც აღვნიშნეთ, წარწერა ძალიან დაზიანებულია, პროფ. მ. შპაიდელის (აშშ) მიერ ის მიჩნეულია კონსულების გლაბრიონისა და ჰომულის წარწერად და დათარიღებულია 152 წლით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჰომულის სახელის არცერთი ასო არაა შემორჩენილი ქვიშაქვაზე. მიუხედავად ამისა, პროფ. გ. ლორთქიფანიძის აზრით, 152 წლისთვის პუტიუნტში ნამდვილად იდგა რომაული გარნიზონი. თუ ეს ასეა, ცხადია, ბიჭვინტაში აღმოჩენილი მონეტები უფრო „მილიტარისტული" არხებითაა შემოსული აქ, ვიდრე ეკონომიკური.

ბიჭვინტაში II საუკუნის 60-ზე მეტი მონეტაა აღმოჩენილი. აქედან ორი მედალია (მათ შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით). მონეტების საერთო რიცხვიდან 17 ვერცხლისაა, დანარჩენი კი სპილენძის. ქვეყნების, ზარაფხანებისა და მმართველების მიხედვით დიფერენცირებული მათი სია ასე გამოიყურება: 1. ადრიანე (117-138 წწ.) – 8 ცალი; 2. ანტონინუს პიუსი (138-161 წწ.) – 5; 3. ლუციუს ვერუსი (161-169 წწ.) – 2; მისი მეუღლე ლუცილა – 1; 4. კომოდუსი (180-192 წწ.) – 13; 5. სეპტიმიუს სევერუსი (193-211 წწ.) – 3; 6-7. ბოსფორის მეფეთა კოტის II-ისა (123-132 წწ.) და საურომატ II-ის (174-210 წწ.) – 2 ც.; 8. ზოგადად II საუკუნის დასასრული – 17 (უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბიჭვინტის ჭაობიან გარემოცვაში მონეტები, განსაკუთრებით სპილენძის, ცუდად ინახება. ამიტომ მათი ზუსტი ატრიბუცია ჭირს. ამის გამო, ზოგჯერ ერთმანეთს არ დაემთხვევა საერთო და განსაზღვრული მონეტების რიცხვი). ზემოთ ჩამოთვლილი მონეტებიდან 30 ცალი მაინც ტრაპეზუნტშია მოჭრილი, ათიოდე – კაპადოკიის კესარიაში (მცირე აზია), ორი – ბოსფორის სამეფოში (ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი), რამდენიმე ცალი რომში და თითო-თითო ეგზემპლარი პაუტალიასა (თრაკია) და აღმოსავლეთის რომელიღაც ზარაფხანაში.

ადვილი მისახვედრია, რომ ბიჭვინტის ეკონომიკური ძარღვი უპირატესად მცირე აზიასთანაა დაკავშირებული, ყველაზე მეტად კი ქალაქ ტრაპეზუნტთან.

V საუკუნის დასასრულისა და VI საუკუნის დასაწყისის ბიზანტიელი ისტორიკოსის ზოსიმეს ცნობის თანახმად, III საუკუნის ბიჭვინტა რომაელთა გამაგრებულ პუნქტს წარმოადგენდა, რომელსაც გარშემო მაღალი კედლები ევლო და მეტად ხელსაყრელი ნავთსაყუდელი ჰქონდა.

მიუხედავად იმისა, რომ II-III საუკუნეების პიტიუნტის კასტელუმის გეგმა ჯერჯერობით არ არის გამოვლენილი, აქ III საუკუნეში რომაული კოჰორტის დგომის ფაქტი მატერიალურად დადასტურებულია. 1985 წელს ციხესიმაგრის ტერიტორიაზე, II საუკუნის დასასრულისა და III საუკუნის დასაწყისის ფენაში, აღმოჩნდა კერამიკული ფილა ლათინური წარწერით: LEG XV, რაც ასე იშიფრება: LEG

XV Apollinaris. ეს პირდაპირი მოწმობაა XV ლეგონის გარკვეული ქვედანაყოფის დგომისა ბიჭვინტის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ XV ლეგიონის დამღიანი ფილა ბიჭვინტის გარდა საქართველოში აღმოჩენილია აგრეთვე პეტრაში (ციხისძირი, ქობულეთის მახლობლად), XII ლეგიონის (Fulminata – ელვისებური) დამღასთან ერთად. გარდა ამისა, იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ კერამიკული ფილები წარწერით LEG, კიდევ ორგზის აღმოჩნდა ბიჭვინტის გათხრების დროს – 1957 და 1961 წლებში.

XV ლეგიონი თავდაპირველად რომის პროვინცია პანონიაში იდგა. 74 წელს აღმოსავლეთში მოვლენების გართულების გამო (ალანთა აქტივიზაცია, მოსალოდნელი ომი პართიასთან), ვესპასიანემ ის მცირე აზიაში, კერძოდ, პროვინცია კაპადოკიაში გადმოიყვანა. სალეგიონო ბანაკი მოეწყო სატალაში, მცირე არმენიის ყოფილ დედაქალაქში, სადაც ამ ლეგიონის ბაზამ ახ. წ. V საუკუნემდე იარსება. მისი ცალკეული ვექსილაციები იდგა პროვინციის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პუნქტში, მათ შორის ტრაპეზუნტში. ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, როდესაც ბიჭვინტის სამონეტო მიმოქცევის ისტორიას ვეხებით.

III საუკუნე პიტიუნტის ცხოვრების აყვავების ხანაა. ბიჭვინტაში მიკვლეული ამ პერიოდის 350-ზე მეტი მონეტა ამის ნათელი ილუსტრაციაა. მონეტების საერთო რიცხვიდან 149 განძის სახითაა წარმოდგენილი (მის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით), ხოლო დანარჩენი უშუალოდ ფენებშია ნაპოვნი. III საუკუნის პირველ ნახევარს მიეკუთვნება 250-ზე მეტი მონეტა. მოჭრილია ისინი რომის შემდეგი იმპერატორებისა და მათი მეუღლეების სახელით: 1. სეპტიმიუს სევერუსის; 2. იულია დომნას (193-217 წწ.) 3. კარაკალას (211-217 წწ.); 4. გეტას (209-212 წწ.); 5. ელაგაბალუსის (218-222 წწ.); 6. ალექსანდრე სევერუსის (222-235 წწ.); 7. იულია მეზას (გარდაიცვალა 223 წ.); 8. გორდიანე III-ის (238-244 წწ.); 9. ტრანკუილინას – გარდიანეს II მეუღლე; 10. ფილიპე I-ის (244-249 წწ.); 11. ოტაცილია სევერას (238-249 წწ.); 12. ფილიპე II-ის (247-249 წწ.).

ბიჭვინტაში აღმოჩენილი III საუკუნის I ნახევრის მონეტათა აბსოლუტური უმრავლესობა – 230-ზე მეტი – მცირე აზიის ზარაფხანებშია მოჭრილი (190-ზე მეტი ტრაპეზუნტში, 30-ზე მეტი კესარიაში, 3 – ნეოკესარიაში, 1 – სინოპეში, 1 – ამისოში(?) და 1 – ნიკომედიაში). სახეზე გვაქვს პიტიუნტ-ბიჭვინტის უაღრესად მჭიდრო კავშირი ტრაპეზუნტთან, მაგრამ ამ შემთხვევაში ეკონომიკურ კავშირურთიერთობაზე საუბარი ძნელია.

საქმე ისაა, რომ ამ პერიოდში ბიჭვინტაში დგას რომაელთა გარნიზონი (ამის შესახებ ჩვენ დანამდვილებით ვიცით როგორც წერილობითი წყაროების, ასევე არქეოლოგიური კულტურის ძეგლების მონაცემებით), ხოლო ტრაპეზუნტი თავისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით (სიახლოვე ამიერკავკასიასთან და შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროსთან), ასრულებდა უდიდეს როლს ამიერკავკასიის ქალაქებში მდგომი რომაული გარნიზონების მომარაგების საქმეში. ზოგიერთი

მკვლევარი ტრაპეზუნტს რომაელთა ფლოტის ძირითად ბაზადაც კი მიიჩნევს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია ის გარემოება, რომ ტრაპეზუნტი გვევლინება მონეტების ძირითად მიმწოდებლად შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ქალაქებისათვის.

ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება: ბიჭვინტაში მიკვლეული III საუკუნის I ნახევრის მონეტათა დიდი უმრავლესობა სპილენძისაა. ეს პირდაპირ მიუთითებს ფულადი მეურნეობის განვითარებაზე პიტიუნტის ტერიტორიაზე, პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ეს რომაელთა გარნიზონის ფულადი მეურნეობაა, რადგან ადგილებზე ისინი ხელფასს (უფრო ზუსტად, ჯიბის ფულს) სწორედ სპილენძის ფულით ღებულობდნენ.

დასასრულ ერთი საკითხიც: რა მიზეზთანაა დაკავშირებული ბიჭვინტაში აღმოჩენილი ტრაპეზუნტის მონეტების განძის ჩაფვლა? როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული წინა პარაგრაფში, განძის გვიანდელი მონეტა მოჭრილია 245 წელს, ე. ი. განძი 245 წლის შემდეგაა ჩამარხული. მაგრამ ამ თარიღის დაკონკრეტება, წყაროთა ჩვენების გათვალისწინებით, შესაძლებელია. ისტორიკოსი ზოსიმე გვაუწყებს, რომ პიტიუნტს 252 წელს თავს დასხმიან გუთი მეკობრეები, მაგრამ ქალაქის გარნიზონს სუკესიანეს (სუკესიანუსის) მეთაურობით ისინი უკუუგდია. შემდეგ წელს, როდესაც ეს უკანასკნელი იმპერატორმა ვალერიანემ (253-260 წწ.) რომში გამოიძახა, გუთ მეკობრეებს კიდევაც მოუხერხებიათ ქალაქის აღება. სწორედ ამ შიშიანობის დროს უნდა იყოს დამარხული განძიც. ის ხანძარიც, რომლის კვალიც ემჩნევა ბიჭვინტთაში აღმოჩენილ მონეტებს, გუთების ლაშქრობის შედეგია უდავოდ.

მაგრამ, როგორც ჩანს, ბიჭვინტას მალე მოუშეშებია გუთების მიერ მიყენებული ჭრილობები. არქეოლოგიურ მასალასთან ერთად, ამის ნათელი დადასტურებაა აქ ნაპოვნი III საუკუნის II ნახევრის 100-ზე მეტი მონეტა. ეს მონეტები *მოჭრილია შემდეგი იმპერატორების სახელით: 1. ტრებონიანე გალუსის (251-253 წწ.); 2. ვოლუსიანეს (251-254 წწ.); 3. გალიენეს (254-268 წწ.); 4. სალონინას (მისი მეულლე); 5. კლავდიუს II გოთელის (268-270 წწ.); 6. ავრელიანეს (270-275 წწ.); 7. ტაციტუსის (275-276 წწ.); 8. პრობუსის (277-282 წწ.); 9. კარინეს (283-285 წწ.); 10. დიოკლეტიანეს (284-305 წწ.); 11. მაქსიმიანეს (286-305, 308, 310 წწ.); 12. კონსტანციუს I ხლორუსის (292-306); 13. გალერიუს მაქსიმიანეს (292-311 წწ.).* გარდა ამისა, ბიჭვინტაში აღმოჩენილია ბოსფორის მეფის რისკუპორიდ V-ის (240-267 წწ.) 264 წელს მოჭრილი სპილენძის მონეტა.

როგორ ნაწილდება ეს მასალა ზარაფხანების მიხედვით?

რაოდენობის მხრივ პირველ ადგილზეა საკუთრივ რომში მოჭრილი მონეტები (მაგრამ არ არის გამორიცხული, უფრო სწორად, უეჭველია, რომ მათ შორის საკმაო რაოდენობით ურევია აზიის ზარაფხანაში მოჭრილი ფული. საქმე ისაა, რომ III საუკუნის მეორე ნახევრის მონეტების მოჭრის ცენტრების დადგენა ძალიან დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული) – 70 ცალი. შემდეგ მოდის ანტიოქიაში (სირია) გამოშვებული საფასეები – 11, კიზიკში (მცირე აზია) – 6;

დანარჩენ ზარაფხანებში მოჭრილი ცალები თითო-ოროლა ცალითაა წარმოდგენილი. უნდა ვიფიქროთ, რომ საკუთრივ რომაული ანტონინიანები (ფორმალურად ვერცხლის ნომინალი, ფაქტობრივად კი – სპილენძი) ისევ და ისევ ტრაპეზუნტის მეშვეობითაა მოხვედრილი პიტიუნტის ტერიტორიაზე (არ უნდა გაგვაკვირვოს იმ ფაქტმა, რომ III საუკუნის II ნახევრის ბიჭვინტის ნუმიზმატიკურ მასალაში არ არის საკუთრივ ტრაპეზუნტში მოჭრილი მონეტები. საქმე ისაა, რომ 249 წელს ეს ქალაქი წყვეტს სამონეტო ემისიას).

მეტად საინტერესოა ციზალპიური გალიის, ზემო პანონიისა და მაკედონიის ქალაქების: მედიოლანუმის (მილანი), ტიცინუმის, სისციისა და თესალონიკის ზარაფხანებში მოჭრილი მონეტების აღმოჩენა ბიჭვინტის ტერიტორიაზე, მაგრამ მათი რიცხვი იმდენად მცირეა, რომ რაიმე გარკვეული დასკვნის გაკეთება შეუძლებელია.

მიუხედავად იმისა, რომ ანტიოქიაში მოჭრილი საფასეები არცთუ ისე მრავალრიცხოვანია, ჩვენ გვგონია, ამ ქალაქთან პიტიუნტს მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებდა. საქმე ისაა, რომ ბიჭვინტაში აღმოჩენილი ანტიოქიაში მოჭრილი 11 მონეტა III საუკუნის დასასრულით თარიღდება. IV საუკუნის დასაწყისიდან კი აქ ანტიოქიაში მოჭრილი ფულების ისეთი მოზღვავებაა, რომ ამის ახსნა მათი უშუალო სავაჭრო-ეკონომიკური (ან სხვა ხასიათის) კავშირის გარეშე, ჩვენი აზრით, შეუძლებელია.

ისევე როგორც წინა საუკუნის, კვლავ მინიმალური რაოდენობითაა წარმოდგენილი ჩრდილო შავიზღვისპირეთის სანაპიროს მასალა – მხოლოდ ერთი მონეტა. როგორც ჩანს, ამ ორი პუნქტის ეკონომიკური ურთიერთობა ან სულ არ არსებობდა, ან თუ არსებობდა, მეტად შეკვეცილ ფარგლებში. თუმცა პროფესორ გურამ ლორთქიფანიძის მოსაზრების თანახმად, ბოსფორული მონეტები კარგად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ პიტიუნტი III საუკუნეში საკაბოტაჟო ნაოსნობის ერთ-ერთი პუნქტია, ბოსფორის სამეფოსთან დამაკავშირებელი ნავსადგურია. ამის დამადასტურებელია სებასტოპოლისში (სოხუმში) აღმოჩენილი ჩრდილო შავიზღვისპირეთის 10 მონეტა.

IV საუკუნეში ბიჭვინტა მძლავრ აღმავლობას განიცდის. ამ პერიოდისათვის აქ უკვე არსებობს იმ დროისათვის დიდი ქრისტიანული ტაძარი და ბიჭვინტის ეპისკოპოსი სტრატოფილე 325 წელს მონაწილეობს ნიკეის (მცირე აზია) საეკლესიო კრების მუშაობაში.

უნდა ითქვას, რომ არცერთი საუკუნის ნუმიზმატიკური მასალა არ არის ბიჭვინტაში წარმოდგენილი ისე უხვად, როგორც IV ს.: 500-ზე მეტი! აქედან 310 ცალი განძში იყო თავმოყრილი. თავდაპირველად სწორედ მას შევეხებით.

1961 წელს ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩნდა 310 სპილენძის მცირე ზომის მონეტებისაგან შემდგარი განძი. განძის მონეტები მოჭრილია შემდეგი იმპერატორების სახელით: კონსტანტინე I დიდის (306-337 წწ.) – 11 ცალი; დედოფალ ელენეს (კონსტანტინე I-ის დედა) – 4; კონსტანტინე I-ის (გარდაცვალების

შემდეგ) – 52; კონსტანტინე II-ის (337-340 წწ.) – 6; კონსტანციუს II-ის (337-361 წწ.) – 102; კონსტანსის (337-350 წწ.) – 75; კონსტანციუს II ან კონსტანსის (337-350 წწ.) – 60 მონეტა.

ზარაფხანების მიხედვით განძის მონეტები ასე ჯგუფდება: კონსტანტინოპოლი – 20; ანტიოქია – 87; ნიკომედია (მცირე აზია) – 51; კიზიკი – 31; ალექსანდრია (ეგვიპტე) – 10; სისცია – 9; თესალონიკა – 1; გაურკვეველი – 101.

ამრიგად, განძის შემადგენლობაში ჭარბობს ანტიოქიაში (87 ცალი) და მცირე აზიის ქალაქებში – კონსტანტინოპოლში, ნიკომედიასა და კიზიკში (102) მოჭრილი სპილენძის მონეტები. ბიჭვინტის საერთო პოლიტიკურ-ეკონომიკური და, შეიძლება ითქვას, კონფესიური (სარწმუნოებრივი) ორიენტაცია IV საუკუნის უკვე ამ განძის შემადგენლობითაც სავსებით ნათელია. მაგრამ ვნახოთ რა სურათს იძლევა IV საუკუნის ცალკეულად აღმოჩენილი მონეტები. ისინი მოჭრილია შემდეგი იმპერატორების სახელით: 1. ლიციინიუსის (308-325 წწ.); 2. კონსტანტინე დიდის; 3. ელენეს; კონსტანტინეს სახელით სიკვდილის შემდეგ; 4. კრისპუსის (317-326 წწ.); 5. კონსტანტინე II-ის; 6. კონსტანციუს II-ის; 7. კონსტანსის; 8. ვალენტინიანე II-ის (375-393 წწ.). ერთი მონეტა ეკუთვნის ბოსფორის მეფეს რისკუპორიდ VI-ს (318-333 წწ.).

თუ ზარაფხანების მიხედვით შევაჯამებთ ცალკეულად აღმოჩენილი მონეტების სიას, შემდეგ სურათს მივილებთ: ანტიოქია – 30 ცალი, კონსტანტინოპოლი – 20, ნიკომედია – 11, კიზიკი – 5, თესალონიკა – 6, სისცია – 7, ბოსფორი – 1, ტრირი – 1, სირმიუმი – 1, ალექსანდრია – 1, გაურკვეველი – 127.

ახლა თუ შევადგენთ განძში შემავალი და ცალკეულად აღმოჩენილი IV საუკუნის მონეტების სიას მათი მოჭრის ადგილის მიხედვით, მეტად საინტერესო სურათს მივილებთ: ანტიოქიაში მოჭრილია 117 მონეტა, ნიკომედიაში – 62, კიზიკში – 36, კონსტანტინოპოლში – 40 (ამრიგად, მცირე აზიის ზარაფხანაში სულ მოჭრილია 138 ცალი), სისციაში – 16, ალექსანდრიაში – 11, თესალონიკაში – 7, ბოსფორში, ტრირსა და სირმიუმში – თითო-თითო ცალი. გაურკვეველი დარჩა 200-ზე მეტი მონეტის ზარაფხანა მათი მეტად ცუდი დაცულობის გამო. მაგრამ ჩვენ ერთი წუთით არ გვეპარება ეჭვი იმაში, რომ მათ შორის უმრავლესობა მოჭრილია ანტიოქიისა და მცირე აზიის ქალაქების ზარაფხანაში.

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ IV საუკუნეში ბიჭვინტაში ფულადი მეურნეობა დაფუძნებულია სპილენძის მონეტებზე. ეს გამოწვეულია იმით, რომ IV საუკუნეში არმიას ხელფასი ძირითადად სპილენძის მონეტების სახით ურიგდებოდა. ამაზე მიუთითებს ისიც, რომ ბიჭვინტაში აღმოჩენილი მონეტების გარკვეული ნაწილი ე. წ. საარმიო ტიპისაა. მათზე მოთავსებულია წარწერა: „დიდება არმიას", გამოსახულია გამარჯვების ქალღმერთი ვიქტორია, ჯარისკაცები (შუბოსნისა და ფაროსნის წყვილი) და ა. შ. ეს ერთი. მეორე: ბიჭვინტის პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული

ურთიერთობის ძირითადი მიმართულებაა მტკიცე კავშირი ადრექრისტიანული ხანის დიდ ცენტრთან – ანტიოქიასთან და მცირე აზიის ქალაქებთან.

ეს დასკვნა, გარკვეული კორექტივებით, შეიძლება გავავრცელოთ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მთელ სანაპირო ზოლზე. ყოველ შემთხვევაში, არავითარი დიდი პრინციპული სხვაობა არ არსებობს სამონეტო მიმოქცევის თვალსაზრისით გვიანანტიკურ ხანაში პიტიუნტ-ბიჭვინტასა და სებასტოპოლისს (სოხუმს) შორის.

ვნახოთ რა ვითარებაა ამ კუთხით ქვეყნის შიდა რაიონებში. საკონტროლო მასალად, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ვიღებთ რომაული ხანის სამ განძს სოფელ ღურზულიდან (გერზეულიდან) – ჩრდილოეთ კოლხეთისათვის, ეკსა და სეფიეთიდან – ქვეყნის ცენტრალური ნაწილისათვის.

1. 1926 წელს სოფელ ღურზულში (გულრიფშის რაიონი, მერხეულის სასოფლო საბჭო, ცენტრიდან 4 და ზღვიდან 11-12 კმ-ის დაცილებით) შემთხვევით აღმოჩნდა დიდი განძი, რომელიც, სამწუხაროდ, გაიფანტა. ცნობილმა არქეოლოგმა მ. ივაშჩენკომ მოახერხა განძის გადარჩენილი ნაწილის (469 ცალი) შესწავლა და მისი პუბლიკაცია პროფესორ ნ. ა. ზოგრაფის კომენტარით. განძის შემადგენლობაში შედის ერთი დენარი, მოჭრილი იმპერატორ ავგუსტეს (ძვ. წ. 27-ახ. წ. 14 წწ.) სახელით და ერთიც – ლისიმაქეს სტატერის ტიპის მინაბაძის ნატეხი. დანარჩენი მონეტები მოჭრილია რომის პროვინცია კაპადოკიის მთავარ ქალაქ კესარიაში. მოგვყავს მათი სია იმპერატორების მიხედვით: 1. ნერონი (54-68 წწ.) – 1 ცალი; 2. ვესპასიანე (69-79 წწ.) – 30; 3. დომიციანე (81-96 წწ.) – 9; 4. ნერვა (96-98 წწ.) – 22; 5. ტრაიანე (98-117 წწ.) – 165; 6. ადრიანე (117-138 წწ.)– 90; 7. ანტონინუს პიუსი (138-161 წწ.) და მარკუს ავრელიუსი (161-180 წწ.) – 122; 8. ლუციუს ვერუსი (161-169 წწ.) – 28.

განძის ადრეული მონეტა (მხედველობაში არ ვიღებთ ავგუსტეს დენარსა და ლისიმაქეს სტატერის მინაბაძს), ნერონის ჰემიდრაქმა მოჭრილია 59 წელს, გვიანდელი მიეკუთვნება მარკუს ავრელიუსისა და ლუციუს ვერუსის ერთობლივი მმართველობის ხანას. ა. ზოგრაფის აზრით, განძი შეიძლება დამარხულიყო 168 წელს, როდესაც კავკასიაში არეულობის გამო აქ ილაშქრა კაპადოკიის ნაცვალმა მარციუს ვერუსმა.

განძის შემადგენლობის ანალიზი სრულ უფლებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ ჩრდილოეთ კოლხეთის შიდა რაიონების ფულად მიმოქცევაში I-II საუკუნეებში კესარიული ვერცხლის მონეტები თამაშობდა წამყვან როლს. მაგრამ, ამავე დროს, ვინაიდან ყოველგვარი ეჭვის გარეშე, განძის მონეტები გერზეულში დიოსკურია-სებასტოპოლისის მიდამოებიდანაა მოხვედრილი, ის ასახავს აგრეთვე I-II საუკუნეების სამონეტო ცირკულაციის სურათს ამ ქალაქშიაც.

შემდეგი ორი განძი ერთ მიკრორაიონშია აღმოჩენილი (ძველი ლაზიკის დედაქალაქის – ნოქალაქევ-არქეოპოლისის რადიაციის სექტორში. სოფელ ეკის ტერიტორიაზე ციხეა დადასტურებული, რომელიც სხვა სიმაგრეებთან ერთად იცავდა ნოქალაქევის მისადგომებს, ხოლო სეფიეთის ბაზილიკა სამხრეთ-აღმოსავლეთის

მიმართულებით სულ ექვსიოდე კმ-ითაა დაშორებული არქეოპოლისს) და უტყუარად ასახავს სამონეტო მიმოქცევის სურათს ამ რეგიონში.

2. ეკის განძი. აღმოჩენილია სენაკის რაიონის სოფელ ეკის მცხოვრებ ტოჩი ნინუას ეზოში 1971 წლის იანვრის ბოლო რიცხვებში, მიწის სამუშაოების დროს. განძი თიხის ჭურჭელში იყო მოთავსებული. მისი გადარჩენილი ნაწილი 907 ვერცხლის მონეტისაგან შედგება. აქედან ერთი მონეტა, სახელდობრ ოროდ II-ის (ძვ. წ. 57-38/37 წწ.) პართული დრაქმა, საკმაოდ იშვიათია ამ რაიონისათვის. დანარჩენი მონეტების სია იმპერატორების მიხედვით ასე გამოიყურება: 1. ნერვა – 1 ცალი; 2. ტრაიანე – 2; 3. ადრიანე – 712; 4. ანტონინუს პიუსი – 55; 5. ლუციუს ვერუსი – 1; 6. კომოდუსი (180-192 წწ.) – 1; 7. პერტინაქსი (193 წ.) – 5; 8. პესცენიუს ნიგერი (193-194 წწ.) – 1; 9. სეპტიმიუს სევერუსი (193-211 წწ.) – 101; 10. იულია დომნა (193-217 წწ.) – 15; 11. კარაკალა (211-217 წწ.) – 3; 12. გეტა (209-212 წწ.) – 2; 13. ელაგაბალუსი (218-222 წწ.) – 1; 14. ალექსანდრე სევერუსი (222-235 წწ.) – 6.

განძის მონეტების აბსოლუტური უმრავლესობა (771 ცალი) კაპადოკიის კესარიაში მოჭრილი დიდრაქმებია. ამავე ზარაფხანაშია მოჭრილი აგრეთვე განძის შემადგენლობაში შემავალი ოთხი დრაქმაც; ე. ი. კესარიული ვერცხლის მონეტები სულ წარმოდგენილია 775 ცალის რაოდენობით, აქედან 712 ცალი მოჭრილია ადრიანეს სახელით, ხოლო 55 – ანტონინუს პიუსისა.

დენარების საერთო რიცხვი 131 ეგზემპლარს შეადგენს. აქედან 101 ცალი მოჭრილია სეპტიმიუს სევერუსის სახელით. საინტერესოა ისიც, რომ მათი უმრავლესობა (84) აღმოსავლეთის ზარაფხანის პროდუქციას მიეკუთვნება და მოჭრილია 194 წელს.

განძის გვიანდელი მონეტა ალექსანდრე სევერუსის ეპოქას განეკუთვნება. მისი ემისიის წელია – 222. სხვა სიტყვებით, ეკის განძი დამარხულია 222 ან 222 წლის შემდეგ.

3. სეფიეთის განძი. აღმოჩენილია შემთხვევით 1931 წლის თებერვალში, აბაშის რაიონის სოფელ სეფიეთში, ადგილობრივ მცხოვრებ ანტონ გვაჯიას მიერ, საკუთარ ეზოში მიწის სამუშაოების წარმოების დროს. განძი მოთავსებული ყოფილა თიხის კოჭობში. თავის დროზე განძი გამოაქვეყნა პროფესორმა ს. მაკალათიამ. იგი შედგება 377 ვერცხლის მონეტისაგან და სია იმპერატორების მიხედვით ასე გამოიყურება: 1. ტრაიანე – 2 ცალი; 2. ადრიანე (?) – 1; 3. ანტონინუს პიუსი – 3; 4. მარკუს ავრელიუსი – 6; 5. კომოდუსი – 33; 6. კრისპინა (180 წ.) – 1; 7. პერტინაქსი – 1; 8. პესცენიუს ნიგერი – 1; 9. კლოდიუს ალბინუსი (193-197) – 7; 10. სეპტიმიუს სევერუსი – 227; 11. იულია დომნა – 27; 12. გეტა – 9; 13. კარაკალა – 18; 14. ელაგაბალუსი – 10; ალექსანდრე სევერუსი – 31.

სეფიეთის განძის აბსოლუტურ უმრავლესობას (365 ცალი) დენარები შეადგენს. აქედან 118 ცალი მოჭრილია რომში, 158 – ემესაში (სირია), 62 – აღმოსავლე-

თის ზარაფხანაში. კესარიის პროდუქცია სრულიად უმნიშვნელოა – 11. მათგან არცერთი ცალი არაა დიდრაქმა.

განძის ძირითად ბირთვს შეადგენს სეპტიმიუს სევერუსის სახელით მოჭრილი მონეტები (227 ცალი). მათი უმრავლესობის ემისიის წელია 194 (153 ცალი) და განეკუთვნება ემესას ზარაფხანას.

განძის გვიანდელი მონეტა ალექსანდრე სევერუსის სახელითაა მოჭრილი იმავე 222 წელს. ამრიგად, სეფიეთის განძიც 222 წლის შემდგომ ხანებში უნდა იყოს ჩამარხული.

რით არის საინტერესო ეკისა და სეფიეთის განძები და რა გზით მოხვდა ისინი ჩვენში? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გაძნელდება კოლხეთის ისტორიის მოკლე ექსკურსიის გარეშე.

როგორც წინა თავებიდან ვიცით, ძვ. წ. 63-47 წლებში, არისტარქეს დროს, კოლხეთი რომის რესპუბლიკაზე დამოკიდებულ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა, ხოლო ამის შემდეგ ის დიდი ხნით დაუკავშირდა რომაელთადმი ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფ პონტოს სამეფოს – კოლხეთი პონტოს მეფეებს დაექვემდებარა. 63 წელს ნერონმა გააუქმა პონტოს სამეფო და ის თავის პროვინციად აქცია. 72 წლიდან დომიციანეს მმართველობამდე (81-96 წწ.) კოლხეთი შედიოდა „კაპადოკიურ კომპლექსში", რომელიც აერთიანებდა კაპადოკიისა და გალატიის პროვინციებს, ხოლო ამის შემდეგ ცალკე ჩამოყალიბებული კაპადოკიის პროვინციის ნაწილად გვევლინება.

ახ. წ. II საუკუნისთვის კოლხეთის ტერიტორიაზე რამდენიმე პოლიტიკური ერთეულია წარმოქმნილი და მათ შორის ლაზიკის (ეგრისის) სამეფოც. ფლავიუს არიანეს მიხედვით, ლაზების, აბასგებისა და სანიგების მეფეებმა ძალაუფლება მიიღეს ადრიანესაგან, ხოლო აფსილების მეფემ – ტრაიანესაგან.

დაბოლოს ისიც უნდა აღინიშნოს ხაზგასმით, რომ კოლხეთის ზღვისპირა პუნქტებში (აფსაროსში – გონიო, ფაზისში – ფოთი, სებასტოპოლისში – სოხუმი) რომაული გარნიზონი იდგა.

კოლხეთის ისტორიის ამ სქემატური ექსკურსიდან რამდენიმე მომენტს აქვს ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა: 1. ლაზიკის სამეფოს ოფიციალური ცნობის ხანა ემთხვევა იმპერატორ ადრიანეს მმართველობის დროს; 2. კოლხეთი პოლიტიკურად დაკავშირებული იყო კაპადოკიასთან.

თუ თვალს გადავავლებთ კოლხეთის მინა-წყალზე აღმოჩენილ ნუმიზმატიკურ მასალას, დავრწმუნდებით, რომ ის მჭიდროდაა დაკავშირებული კაპადოკიასთან არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ეკონომიკურადაც. საკმარისია აღინიშნოს, რომ ეკის განძის მიკვლევამდე კოლხეთში 500-მდე კესარიული მონეტა იყო აღმოჩენილი (საილუსტრაციოდ მარტო გერზეულის განძის დასახელება კმარა). ეს გარემოება უეჭველს ხდის იმ ფაქტს, რომ კოლხეთის სამონეტო ცირკულაციაში გაბატონებული ადგილი ეკავა კაპადოკიის მონეტებს.

მაგრამ საკუთრივ ლაზიკის ტერიტორიაზე, ეკის განძის პოვნამდე, ასეთი დიდი რაოდენობით (775 ცალი) კესარიული მონეტები არასოდეს ყოფილა აღმოჩენილი. ახლა, თუ შევიხსენებთ იმასაც, რომ ეკის განძის 712 ეგზემპლარი ადრიანეს სახელით მოჭრილ დიდრაქმას წარმოადგენს და ამას დავუკავშირებთ არიანეს ცნობას იმის შესახებ, რომ ლაზთა მეფემ ხელისუფლება ადრიანესაგან მიიღო, ჩვენი აზრით, არ შეიძლება ეს ორი ფაქტი როგორღაც ერთმანეთთან კავშირში არ იყოს.

კესარიის ზარაფხანა დიდი მასშტაბით ახორციელებდა სამონეტო ემისიას და აკმაყოფილებდა მთელი მცირე აზიის მოთხოვნილებას. კესარიული პროდუქციის ასეთ პოპულარობას ისიც უწყობდა ხელს, რომ მისი ზოგადი ტიპოლოგია და წონა დაკავშირებული იყო იმპერიის ძირითად სამონეტო ერთეულთან – დენართან. ამ საერთო ეკონომიკურ ფერხულში ჩაბმული იყო კოლხეთიც. იმპერატორ ანტონინუს პიუსის (138-161 წწ.) შემდგომ კესარიის ზარაფხანის მასშტაბები იკვეცება და კოლხეთშიც ამ მონეტების შემოსვლა კლებულობს. მაგრამ ეკის განძის შემადგენლობა ამტკიცებს, რომ ეს მონეტები არათუ გამქრალა სამონეტო მიმოქცევიდან, არამედ II საუკუნის დასაწყისში მოჭრილ დიდრაქმებს (ადრიანეს) კვლავ დიდი ადგილი ეჭირა ლაზეთის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამაშიც მდგომარეობს ეკის განძის ერთ-ერთი მეცნიერული მნიშვნელობა.

კესარიული მონეტები ჩვენში, როგორც ეს კარგადაა ნაჩვენები სამეცნიერო ლიტერატურაში, საზღვაო გზითაა შემოსული. ამას ადასტურებს ის დაკვირვებაც, რომ ეს მონეტები თითქმის არ გვხვდება ამიერკავკასიის შიდა რაიონებში.

როგორც ეკისა და, განსაკუთრებით, სეფიეთის განძის შემადგენლობა ამტკიცებს, კესარიული დიდრაქმების შემოსვლის შეწყვეტის შემდეგ დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონების სამონეტო ცირკულაციაში II საუკუნის დასასრულიდან ერთვება საერთო საიმპერიო ტიპის დენარები. ეს მომენტი განსაკუთრებული რელიეფურობით გამოიკვეთა სეპტიმიუს სევერუსის მმართველობის დასაწყისიდან. ეკის განძში ამ იმპერატორის სახელით მოჭრილი 101 დენარი შედის, სეფიეთის განძში – 200-ზე მეტი. მათი აბსოლუტური უმრავლესობა (235 ცალი) 194 წელს მოჭრილი. ისიცაა ხაზგასასმელი, რომ ეგრისის სამეფოს ტერიტორიაზე მიკვლეული დენარების დიდი ნაწილი წარმოადგენს რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებისა და სირიის (ემესას) ზარაფხანების პროდუქციას. რომაული დენარების გავრცელების გვიანდელი ქრონოლოგიური ზღვარი ლაზიკის ტერიტორიაზე არის ალექსანდრე სევერუსის მმართველობის დასაწყისი (222 წელი).

არ იწვევს არავითარ ეჭვს ის გარემოება, რომ რომაული დენარებიც იმავე გზითაა ჩვენში მოხვედრილი, რა გზითაც თავის დროზე შემოდიოდა კესარიული დიდრაქმები. მონეტების ძირითადი „მიმწოდებელი" შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსათვის არის მცირე აზია, ხოლო უმთავრესი არტერია – საზღვაო გზა. სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანადაა შენიშნული, რომ მონეტებით აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს, ძირითადად, ტრაპეზუნტი ამარაგებდა. აქედან მონ-

ეტები შემოდიოდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ქალაქებში და შემდეგ ვრცელდებოდა კოლხეთის შიდა რაიონებში. ამ აზრს ძნელია არ დაეთანხმო.

მაგრამ აქ არის ერთი ნიუანსი. კოლხეთის შიდა რაიონების მოსახლეობა განურჩევლად არ ილებს ყველა მონეტას, რომელიც მიმოიქცეოდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ქალაქებში. საილუსტრაციოდ შევუდაროთ ლაზიკის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სეფიეთისა და ეკის განძების შემადგენლობა სინქრონულ მასალას, რომელიც ბიჭვინტიდან მომდინარეობს. როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, „დიდი პიტიუნტის" ტერიტორიაზე III საუკუნის I ნახევრის (ან ამ ხანებში სამონეტო ცირკულაციაში ჩართული) 250-მდე მონეტაა ნაპოვნი, აქედან 190-ზე მეტი ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტაა. ეს საფასეები კი, ბიჭვინტისა და სოხუმის გარდა, საერთოდ არ არის ნაპოვნი დასავლეთ საქართველოს მინაწყალზე, თვით აფხაზეთშიაც კი, პიტიუნტისა და სებასტოპოლისის სიახლოვეს (უკანასკნელ ხანებში ტრაპეზუნტის მონეტების რამდენიმე ცალი აღმოჩნდა გონიოში, ე. ი. ისევ სანაპირო ზოლში).

აქედან დასკვნა: 1. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ქალაქებში მონეტები შემოდის ტრაპეზუნტის გზით; 2. ლაზიკის ბაზარი არ ღებულობს სპილენძის მონეტებს. შესაბამისად, ფულადი ურთიერთობის განვითარების თვალსაზრისით, ქვეყნის შიდა რაიონები შედარებით დაბალ საფეხურზე დგას, ვიდრე სანაპირო ზოლის ქალაქები; 3. ზღვისპირა ქალაქებიდან ქვეყნის სიღრმეში მხოლოდ ვერცხლის მონეტები – დიდრაქმები და დენარები იკაფავს გზას, რადგან მათ რეალური ღირებულება გააჩნია (ძვირფასი ლითონია).

ახლა რაც შეეხება იმ პუნქტის საკითხს, საიდანაც მოხვდა ეკისა და სეფიეთის განძები თავის ჩამარხვის ადგილას. ასეთად, ალბათ, უფრო მართებულია ფაზისის მიჩნევა, ვიდრე ბიჭვინტის ან სებასტოპოლისა.

ს. მაკალათიას მიაჩნდა, რომ სეფიეთის განძის მონეტები შეადგენდა რომაელთა გარნიზონის კუთვნილებას, რომელიც ნოქალაქევის მიდამოებში იდგა. მაგრამ, როგორც სამართლიანად შენიშნავს პროფესორი ნოდარ ლომოური, არქეოპოლისის მიდამოებში რომაული გარნიზონის დგომის არავითარი საბუთი არ არსებობს და ამიტომ ს. მაკალათიას ჰიპოთეზა თავისთავად მოხსნილია.

ჩვენი აზრით, ორივე განძის მონეტები ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრებას შეადგენს, რომლის ხელში ეს სიმდიდრე ფაზისში მდგარ რომაელთა გარნიზონის სარდლობასთან ჩატარებული მსხვილი სავაჭრო ოპერაციების შედეგად მოხვდა.

დაბოლოს, ყურადღება უნდა მიექცეს ერთ მეტად სიმპტომატურ ფაქტს. როგორც უკვე თავის ადგილზე გვქონდა აღნიშნული, ორივე განძი სინქრონულადაა ჩამარხული. ეს დამთხვევა არ უნდა ატარებდეს შემთხვევით ხასიათს და აშკარად მიგვანიშნებს, რომ განძთა დამარხვა ერთი საერთო მიზეზითაა გამოწვეული. როგორც ჩანს, ერთსა და იმავე დროს ამ მიდამოებს სამხედრო საშიშროება დამუქრებია, რის შესახებაც წერილობით წყაროებში არაფერია თქმული. ეს გარემოება ეკისა და სეფიეთის განძებს პირველხარისხოვან ისტორიულ წყაროდ აქცევს.

სამონეტო მიმოქცევა იბერიაში I-IV საუკუნეებში

ისევე როგორ კოლხეთში, ახ. წ. I-IV საუკუნეებში იბერიაშიც, როგორც ჩანს, საკუთარი, ორიგინალური მონეტა არ იჭრება. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი მცხეთა-არმაზის ბრწყინვალე არტიფაქტების ფონზე, იბერიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი ნუმიზმატიკური მასალის ფონზე, ეს ფაქტი, ცოტა არ იყოს, პარადოქსულად გამოიყურება, მაგრამ მას ვერსად გავექცევით და ვერც შემთხვევითობით ავხსნით. ხარვეზს თითქოს ავსებს აღმოსავლეთ საქართველოს ფარგლებში მიკვლეული რომაული დენარებისა და აურეუსების ადგილობრივი ემისიები, მინაბაძები, მაგრამ მათი იურიდიული ბუნება ჯერ კიდევ სკრუპულოზურ კვლევას მოითხოვს. სამაგიეროდ, შესაბამის ხანაში იბერიაში რომაული და პართული მონეტების ისეთი მოზღვავებაა, რომ მათი თავმოყრა ერთ თავში პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ ჩვენ საკონტროლო მასალად ვიღებთ აღმოსავლეთ საქართველოს რამდენიმე პუნქტიდან მომდინარე მონეტებს, სადაც ისინი არქეოლოგიური გათხრების შედეგადაა მიკვლეული (ამდენად მეცნიერულად სრულიად სანდო) და ასე თუ ისე კომპაქტურადაა თავმოყრილი. ნათქვამის გამო ეს მასალა სრულად იძლევა სამონეტო ცირკულაციის სურათს იბერიის მთელ ტერიტორიაზე. ეს პუნქტებია: მცხეთა-აღაიანი-ნასტაკისი, ზღუდერი (ქარელის რაიონი), ერწო-მაგრანეთი-ქუშანაანთ გორა (თიანეთის რაიონი) და ჟინვალი (დუშეთის რაიონი). ვიძლევით ამ პუნქტებში აღმოჩენილი I-IV საუკუნეების მონეტების სიას.

მცხეთა-აღაიანი-ნასტაკისი: 1. ავგუსტეს (ძვ. წ. 27-ახ. წ. 14 წწ.) დენარები მოჭრილი ძვ. წ. 2 – ახ. წ. 4 წლებში გალიის ზარაფხანაში (ლუგდუნუმში? თანამედროვე ლიონში) – 158 ცალი (ტაბ. IV, № 25); 2. ტიბერიუსი (ახ. წ. 14-37 წწ.): აურეუსი – 1, მოჭრილი ლუგდუნუმში, დენარი – 3, ლუგდუნუმი ან ზოგადად გალიის ზარაფხანა, სულ – 4; 3. კალიგულა (37-41 წწ.) – კესარიული დრაქმა; 4. პართია, ე. წ. გოტარზეს (40/1-51 წწ.) დრაქმა – 102 (ტაბ. IV, № 24); 5. ბოსფორის სამეფო, კოტის I-ის (45-62 წწ.) სპილენძის მონეტა; 6. პონტო, პოლემონ II-ის (38-63 წწ.) დრაქმა – 2; 7. პართია, ვოლოგეზ I-ის (51-77/8 წწ.) დრაქმა – 2; 8. ნერონი (54-68 წწ.), აურეუსი მოჭრილი რომში 64-68 წლებში – 6; 9. გალბა (68-69 წწ.), აურეუსი მოჭრილი რომში – 1; 10. ვიტელიუსი (69 წ.), აურეუსი მოჭრილი რომში – 1; 11. ვესპასიანე (69-79 წწ.), აურესი მოჭრილი რომში 77-78 წლებში – 1, ლუგდუნუმში – 1, სულ 2; 12. ტიტუსი (79-81 წწ.), აურეუსი მოჭრილი რომში ვესპასიანეს დროს 73, 76, 80 წლებში – 4; 13. დომი-

ციანე (81-96 წწ.), აურეუსი მოჭრილი 76 წელს რომში, ვესპასიანეს დროს. დენარი, მოჭრილი 77-78 წლებში – 3, სულ 4; 14. ტრაიანე (98-117 წწ.), აურეუსი მოჭრილი რომში – 2. დენარი მოჭრილი 98-117, 112-117 წლებში – 3. კესარიული ნახევარდრაქმა – 1, სულ – 6; 15. ადრიანე (117-138 წწ.), აურეუსი მოჭრილი რომში 119-122, 125-128, 119-138, 134-138 წლებში – 8. დენარი მოჭრილი რომში 125-128, 134-138 წწ. – 3, სულ 11; 16. ანტინოეს მედალი (დაახლოებით 130 წ.), სპილენძი, ბითვინია – 1; 17. ანტონინუს პიუსი (138-161 წწ.), აურეუსი მოჭრილი რომში 149-150, 155-156 წლებში – 2, დენარი დათარიღებული 140-144, 155-156 წლებში – 2, სულ 4; 18. ფაუსტინა უფროსი (ანტონინუს პიუსის დროს), აურეუსი მოჭრილი 141 წელს რომში – 2, იმავე წლით დათარიღებული დენარი – 1, სულ – 3; 19. ფაუსტინა უმცროსი (ანტონინუს პიუსის დროს), აურეუსი მოჭრილი რომში – 1, დენარი – 2; 20. მარკუს ავრელიუსი (161-180 წწ.), აურეუსი მოჭრილი რომში 151-152, 156-157 წლებში (ანტონინუს პიუსის დროს) – 2; 21. კომოდუსი (180-192 წწ.), აურეუსი, რომის ზარაფხანა? – 1; 22. II ს. რომაული აურეუსის მინაბაძი; 23. სეპტიმიუს სევერუსი (193-211 წწ.), აურეუსი, რომი – 2. კესარიული დრაქმა – 1. სპილენძის მონეტა – 2, სულ – 5; 24. II საუკუნის დასასრულისა და III საუკუნის I ნახევრის განუსაზღვრელი მონეტები: ვერცხლი – 2 (ერთ-ერთი მათგანი კესარიაშია მოჭრილი), სპილენძი – 2, სულ – 4; 25. გორდიანე III (238-244 წწ.), აურეუსი – 2; 26. ფილიპე I (244-249 წწ.), აურეუსი – 1, მინაბაძი – 2 (მაგ. ტაბ. V, № 33), სულ – 3; 27. ფილიპე II (247-249 წწ.), აურეუსი – 1; 28. დეციუს ტრაიანე (249-251 წწ.), აურეუსი – 1; 29. ჰოსტილიანეს (251 წ.) აურეუსის მინაბაძი – 1; 30. ვალერიანე (253-260 წწ.), აურეუსი – 1; 31. სასანიანთა ირანი, შაპურ I (238-269 წწ.), დრაქმა – 2; 32. კარინე (283-285 წწ.), სპილენძის მონეტა – 1; 33. ნუმერიანეს (282-284 წწ.) აურეუსის მინაბაძი – 1; 34. კონსტანტინე I-ის (306-337 წწ.) სოლიდი (ოქროს მონეტის ნომინალი) მოჭრილი ნიკომედიაში – 1; 35. კონსტანციუს II-ის (337-361 წწ.) სოლიდი მოჭრილი ანტიოქიაში – 1; 36. ვალენტის (364-378 წწ.) ვერცხლის მონეტა – 1.

ზღუდერი: 1. ავგუსტეს დენარები (ძვ. წ. 2-ახ. წ. 4 წწ. ლუგდუნუმი?) – 32 ცალი; 2. ფაუსტინა უფროსი (ანტონინუს პიუსის დროს), დენარი, რომი, 141 წ. შემდეგ – 1; 3. დომიციანე, აურეუსი მოჭრილი 77-78 წლებში (ვესპასიანეს დროს) რომში – 1; 4. ფაუსტინა უფროსი (ანტონინუს პიუსის დროს), აურეუსი, რომი, 141 წ. შემდეგ; 5. ანტონინუს პიუსი, აურეუსი, რომი, 150-151 წლები; 6. მარკუს ავრელიუსი და კომოდუსი, აურეუსი, რომი, 175-176 წლები; 6. კომოდუსი, აურეუსი, რომი, 190 წ.; 7. კარაკალა (211-217 წწ.) და გეტა (209-212 წწ.) (სეპტიმიუს სევერუსის დროს), აურეუსი, რომი, 198-199 წლები; 8. კარაკალა (სეპტიმიუს სევერუსის დროს), აურეუსი, რომი, 204 წელი; 9. ელაგაბალუსი (218-222 წწ.), აურეუსი, რომი 218-219 წლები – 1, 220-222 წლები –

2. აღმოსავლეთის ზარაფხანა 218-219 წლები – 1. სულ – 4; 10. ალექსანდრე სევერუსი (222-235), აურეუსი, რომი, 226 წელი, 228 წელი – 1+1, სულ – 2; 11. გორდიანე III, აურეუსი, რომი, 240 წელი; 12. პართია, ე. წ. გოტარზე I-ის დრაქმები, ეკბატანას ზარაფხანა – 12 ცალი.

ერწო, მაგრანეთი, ქუშანაანთ გორა: 1. ავგუსტეს დენარები (ძვ. წ. 2 – ახ. წ. 4 წწ., ლუგდუნუმი?) – 12 ცალი; 2. ე. წ. გოტარზეს დრაქმები – 14; 3. ალექსანდრე მაკედონელის სტატერის ტიპის ქართული მინაბაძი; 4. კომოდუსის აურეუსის მინაბაძი; 5. ალექსანდრე სევერუსის აურეუსი, რომი, 225 წელი; 6. გორდიანე III-ის აურეუსი – 2; 7. ფილიპე I-ის აურეუსის მინაბაძი – 1; 8. კარუსის (282-283 წწ.) აურეუსი – 1; 9. დიოკლეტიანეს (284-305 წწ.) აურეუსი – 1.

ჟინვალი: ავგუსტეს დენარი (ისეთივე, როგორც სხვა პუნქტებში) – 4 ცალი; 2. ავგუსტეს აურეუსის მინაბაძი (ტაბ. V, № 31); 3. ე. წ. გოტარზეს დრაქმა – 4; 4. იულია დომნას აურეუსი მოჭრილი 198-209 წლებში რომის ზარაფხანაში; 5. ვალერიანეს (253-260 წწ.) აურეუსი; 6. ვალერიანეს აურეუსის მინაბაძი (ტაბ. V, № 34).

ამ მასალის ანალიზის საშუალებით შეიძლება აღვადგინოთ სამონეტო მიმოქცევის სურათი იბერიაში ახ. წ. I-IV საუკუნეებში. ამასთანავე, ერთი წუთით არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზემოჩამოთვლილი მონეტები ნაწილია იმ მასალისა, რომელიც საერთოდ არის აღმოჩენილი აღმოსავლეთ საქართველოს ფარგლებში. მაგრამ თუ ჩვენ ამჯერად მთელი სისრულით არ ვითვალისწინებთ შემთხვევით, ან არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოძიებულ ცალებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი პრინციპულად არ ცვლის სურათს.

ახ. წ. I საუკუნის დასაწყისიდან იბერიის სამონეტო ბაზრის გაერთფეროვნება განსაკუთრებული რელიეფურობით გამოიკვეთა. წამყვან ადგილს საბოლოოდ იკავებს გალიის (ლუგდუნუმი?) ზარაფხანაში ძვ. წ. 2 – ახ. წ. 4 წლებში ავგუსტეს სახელით მოჭრილი დენარები (რომელთა ზურგზე იმპერატორის შვილობილების გაიუსისა და ლუციუსის გამოსახულებაა მოთავსებული) და ე. წ. გოტარზეს (40/1-51 წწ.) პართული დრაქმები. პირველი ჯგუფის მონეტები ზემოთ მოხსენიებულ პუნქტებში 206 ცალის რაოდენობითაა ნაპოვნი, ხოლო მეორე – 132 (ამას უნდა დაემატოს აგრეთვე ცალკეულად აღმოჩენილი ცალებიც და სურათიც ნათელი იქნება).

გარდა ამისა, ერთეული ცალებითაა წარმოდგენილი ტიბერიუსისა (14-37 წწ.) და კალიგულას (37-41 წწ.) მონეტები. ტიბერიუსის ორი დენარი ნაპოვნია მცხეთაში, ერთიც – აღაიანში. სამივეს ემისიის ცენტრია გალიის რომელიღაც ზარაფხანა. განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ იბერიის სამონეტო ბაზარზე გამოჩნდა რომაული აურეუსი (ტიბერიუსი, გალიის ზარაფხანა), რომელიც I საუკუნის მეორე ნახევრიდან, ავგუსტეს დენარებთან ერთად, ფულადი

მიმოქცევის ძირითად საშუალებად იქცა მთელს რეგიონში (ლიტერატურაში დაცული ცნობის თანახმად, კიდევ ერთი აურეუსი შესაბამისი პერიოდისა, კერძოდ, ავგუსტესი, აღმოჩენილა მცხეთაში 1902 წელს ნავთსადენის გაყვანის სამუშაოების დროს). უაღრესად საინტერესოა აგრეთვე 37-38 წლებით დათარიღებული კალიგულას სახელით კესარიაში მოჭრილი დრაქმის აღმოჩენა აღაიანში. კესარიული მონეტების გავრცელების სფერო ამიერკავკასიაში დასავლეთ საქართველოა, ამდენად ეს შემთხვევა რამდენადმე მოულოდნელია. მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ კაპადოკიის ადრეული მონეტები დადასტურებულია მცხეთა-ნასტაკისის ფარგლებში, ეს უკანასკნელი ფაქტი არც ისე იზოლირებულად გამოიყურება, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს.

როგორც ზემოთ მოყვანილი სია მოწმობს, ავგუსტეს დენარები იბერიის ფულადი მეურნეობის საფუძველია I-II საუკუნეებში. ამ მონეტების ემისია, როგორც ვარაუდობენ, წარმოებდა ძალიან ფართო მასშტაბებით და ისინი განსაკუთრებული ინტენსიურობით ვრცელდებოდა იმპერიის პერიფერიებში, რაზედაც პირდაპირ მიუთითებს ესპანეთის, გერმანიის, ბალკანეთის, მახლობელი აღმოსავლეთისა და სამხრეთ ინდოეთის აღმოჩენები. სამეცნიერო ლიტერატურაში ავგუსტეს დენარების ასეთი პოპულარობა იმითაა ახსნილი, რომ ნერონის მიერ 64 წელს ჩატარებული რეფორმის შემდეგ, რომაული დენარის წონა შემცირდა და სინჯი გაუარესდა. ამის გამო „ბარბაროსული" პერიფერია მათ აღარ ღებულობდა, ამიტომ პროვინციებში დიდი რაოდენობით გაჰქონდათ ავგუსტეს და ტიბერიუსის დენარები.

ამიერკავკასიაში მათი შემოსვლის გზა კარგად აქვს მოხაზული რუს მეცნიერს კ. გოლენკოს. მისი აზრით, ვინაიდან ეს მონეტები პრაქტიკულად არ იყო გავრცელებული დასავლეთ საქართველოში, უნდა გამოირიცხოს მათი შემოსვლის საზღვაო გზა. როგორც კ. გოლენკო ვარაუდობს, ავგუსტეს დენარები ამიერკავკასიაში შემოდიოდა არა უშუალოდ იმპერიის ფარგლებიდან, არამედ პერიფერიიდან, სამხრეთიდან, ევფრატის ზემო წელიდან, მესოპოტამიის საზღვრებიდან. ამ მონეტების აღმოჩენათა ტოპოგრაფია ამიერკავკასიაში მოწმობს, რომ მათი ერთი ნაწილი მდ. არაქსის ზემო და შუა დინების საშუალებით აღწევდა ალბანეთს, ხოლო მეორე ნაკადი მიემართებოდა ჩრდილოეთისაკენ და მდ. მტკვრის არტერიით იბერიაში ილექებოდა.

თავისი მაღალი რეპუტაციის გამო, ავგუსტეს დენარები მეტად ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმოიქცეოდა იბერიის ფარგლებში. სამარხეული კომპლექსების ანალიზის შედეგად შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ I საუკუნის დასაწყისიდან III საუკუნის შუა ხანებამდე იბერიის ეკონომიკაში ავგუსტეს დენარების წამყვანი როლი სრულებით უდავოა.

როგორც ჩანს, ამ მონეტების რიცხვის მკვეთრმა შემცირებამ III საუკუნის შუა ხანებიდან გამოიწვია მათი ადგილობრივი იმიტაციების გენეზისი (ტაბ. IV-V, №№ 26, 28-30). სამწუხაროდ, ვინაიდან ისინი ჯერჯერობით არ აღმოჩენილა კარგად დათარიღებულ კომპლექსებში, მათი ემისიის თარიღის დადგენა ჭირს. მა-

სალის სიმცირის გამო ასევე ძნელია ავგუსტეს დენარების მინაბაძების ცენტრის ლოკალიზაცია.

დასასრულ, ხაზი უნდა გაესვას კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას: ახ. წ. I საუკუნის მასალა ჯერჯერობით გაცილებით მეტია აღმოჩენილი საკუთრივ მცხეთასა და მის შემოგარენში, ვიდრე ალაიანსა და ნასტაკისში. განსაკუთრებით ეს ითქმის ალაიანის მასალაზე, სადაც აშკარად ძვ. წ. I საუკუნის მონეტებს უკავია პრევალირებული ადგილი. შესაძლებელია, ეს ფაქტი როგორღაც მიუთითებდეს მცხეთის განსაკუთრებულ დაწინაურებაზე მაინცდამაინც ახ. წ. I საუკუნიდან.

ახ. წ. I საუკუნის მეორე ნახევრიდან იბერიის სამონეტო ცირკულაციაში ასევე აქტიურად ერთვება ე. წ. გოტარზეს დრაქმები, რომლებიც ავგუსტეს დენარებთან ერთად, ხანგრძლივი დროის განმავლობაში წარმოადგენდა ძირითად ფულად ერთეულს იბერიის სამონეტო ბაზრისა. ამავე დროს, თუ ავგუსტეს დენარების პოპულარობა მეტ-ნაკლებად დამაჯერებლადაა ახსნილი სამეცნიერო ლიტერატურაში, ამას ვერ ვიტყვით ე. წ. გოტარზეს მონეტების შესახებ. სრულებით გაუგებარია, მაგალითად, რატომაა მცხეთაში მხოლოდ ორად-ორი შემთხვევა აღრიცხული ვოლოგეზ I-ის (51-77/78 წწ.) დრაქმის პოვნისა, მაშინ როდესაც არავითარი სხვაობა (ღირებულების თვალსაზრისით) ამ უკანასკნელსა და ე. წ. გოტარზეს მონეტებს შორის არ არსებობს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მცხეთის ტერიტორიაზე ბოსფორის მეფის კოტის I-ის (45-62 წწ.) სპილენძის მონეტისა და პოლემონ II-ის (38-63 წწ.) დრაქმების აღმოჩენა. არც ერთი და არც მეორე აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გავრცელებული არ არის. მეტიც: სპილენძის მონეტებს იბერიის ეკონომიკაში უმნიშვნელო ხვედრითი წონა ჰქონდა. მით უფრო საინტერესოა ის ფაქტი, რომ მცხეთის აღმოჩენა არ არის ერთადერთი ამიერკავკასიის საზღვრებში. ასე, მაგალითად, 1. 1947 წელს თბილისში შემთხვევით იპოვეს სპილენძის ორი ბოსფორული მონეტა. ერთი ეკუთვნის მითრიდატე III-ს (39-45 წწ.), ხოლო მეორე – დედამისს, ჰიპერპიას; 2. 1931 წელს სოფ. არტაშარში (კამარლინის რაიონი, სომხეთი) აღმოჩნდა რისკუპორიდ II-ის (80-91 წწ.) სპილენძის მონეტა; 3. იმავე 1931 წელს სომხეთში, სოფელ ხორძიბარში, შემთხვევით იპოვეს საგრომატ I-ის (93-123 წწ.) სპილენძის მონეტა; ჩვენი აზრით, ბოსფორის მონეტების შემოსვლის გზა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, ისევე როგორც პონტოს მეფის პოლემონ II-ის დრაქმებისა, დასავლეთ საქართველოზე დევს.

I საუკუნის მეორე ნახევრის დანარჩენი მონეტები (19 ცალი) აღმოჩენილია მხოლოდ და მხოლოდ მცხეთაში და რომაულ აურეუსებს (16 ცალი) და დენარებს (3) წარმოადგენს. მათი ემისია ეკუთვნის შემდეგ იმპერატორებს: 1. ნერონი – 6 ცალი (აურეუსი, რომის ზარაფხანა); 2. გალბა – 1 (აურეუსი, რომი); 3. ვიტელიუსი – 1 (აურეუსი, რომი); 4. ვესპასიანე – 3 (აურეუსი, რომი – 2, ლუგდუნუმი – 1) (ვესპასიანეს ოქროს ერთი მონეტის აღმოჩენის შესახებ ცნობა დაცულია

ლიტერატურაში); 5. ტიტუსი – 4 (აურეუსი, რომი); 6. დომიციანე – 4 (აურეუსი – 1, რომი, დენარი – 3, რომი).

ამრიგად, რომაული აურეუსების გააქტიურება იბერიის სამონეტო ცირკულაციაში I საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება.

მთელი II საუკუნის მანძილზე იბერიის სამონეტო ბაზარი, ავგუსტეს დენარებთან და გოტარზეს დრაქმებთან ერთად, რომაული აურეუსებით საზრდოობს. მცხეთის რაიონში აღმოჩენილი II საუკუნის ნუმიზმატიკური მასალის სია, დიფერენცირებული იმპერატორების მიხედვით, ასე გამოიყურება: 1. ტრაიანე: აურეუსი – 2, დენარი – 3, კესარიული ნახევარდრაქმა – 1, სულ – 6; 2. ადრიანე: აურეუსი – 8, დენარი – 3, სულ – 11; 3. ანტინოეს სპილენძის მედალი – 1; 4. ანტონინუს პიუსი: აურეუსი – 2, დენარი – 2, სულ – 4; 5. ფაუსტინა უფროსი: აურეუსი – 2, დენარი – 1, სულ – 3; 6. ფაუსტინა უმცროსი: აურეუსი – 1, დენარი – 2; 7. მარკუს ავრელიუსი: აურეუსი – 2; 8. კომოდუსი: აურეუსი – 1; სულ აურეუსი – 18, დენარი – 11, კესარიული ნახევარდრაქმა – 1, სპილენძის მედალი – 1. ამავე დროს საუკუნის I და II ნახევრის მონეტები დაახლოებით თანაბრადაა წარმოდგენილი.

გარდა ამისა, II საუკუნის 5 აურეუსი და ერთი დენარი აღმოჩენილია აგრეთვე მცხეთიდან სულ ახლოს ქარელის რაიონის სოფელ ზღუდერში.

ამრიგად, რომაული აურეუსების საკმაოდ ინტენსიური ცირკულაცია იბერიის ტერიტორიაზე უცილობელი ფაქტია.

გარდა ამისა, იბერიაში შემოდის აგრეთვე II საუკუნის რომაული დენარებიც. საქმე ისაა, რომ პერიფერიის ბაზარი, მართალია შეზღუდულ ფარგლებში, მაგრამ მაინც ღებულობს დენარებს, რომელთა ემისია 64 წელს რეფორმის შემდეგ განხორციელდა. ეს აიხსნება, ალბათ, რომაული ვერცხლის მონეტების ნაკლებობით. მაგრამ არსებობს ქრონოლოგიური ტეხილი, რომლის შემდგომ გამოშვებულ დენარს პერიფერია უგულებელყოფს. ესაა II-III საუკუნეთა მიჯნა. ამის შემდგომ მოჭრილ დენარებს, მათი დაბალი სინჯის გამო, „ბარბაროსული" მოსახლეობა არ ღებულობს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მცხეთაში ნაპოვნია კიდევ რამდენიმე მონეტა, რომელთა ზუსტი ატრიბუცია არ ხერხდება. ჩვენი ვარაუდით, ისინი II საუკუნის დასასრულითა და III საუკუნის (?) I ნახევრით უნდა დათარიღდეს. ვერცხლი – 2 ცალი (ერთ-ერთი მათგანი კესარიაშია მოჭრილი), სპილენძი – 2. ცხადია, კესარიაში მოჭრილი განუსაზღვრელი დრაქმისა (ამავე ჭრილშია განსახილველი ტრაიანეს კესარიული ნახევარდრაქმა, რომელიც მცხეთის № 905-ე სამარხში აღმოჩნდა) და სპილენძის მონეტების დადასტურება მცხეთის მასალებში დიდ ინტერესს იწვევს.

„დიდი მცხეთის" მიდამოებში აღმოჩენილი III საუკუნის ნუმიზმატიკური მასალის სია იმპერატორებისა და ნომინალების მიხედვით ასე გამოიყურება: 1. სეპტიმიუს სევერუსი: აურეუსი – 2, კესარიული დრაქმა – 1, სპილენძი – 2; 2. გორდი-

ანე III, აურეუსი – 2; 3. ფილიპე I, აურეუსი – 1; 4. ფილიპე II, აურეუსი – 1; 5. ტრაიანე დეციუსი, აურეუსი – 1; 6. ვალერიანე, აურეუსი – 1; 7. სასანიანთა ირანი, შაპურ I (238-269 წწ.), დრაქმა – 2; 8. კარინე, სპილენძი – 1.

ამრიგად, მცხეთაში აღმოჩენილია III საუკუნის 8 აურეუსი, სამ-სამი ვერცხლისა და სპილენძის მონეტა.

თუ მცხეთის საზღვრებში აღმოჩენილი მასალის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომაული ოქროს მონეტების შემოსვლა იბერიის ტერიტორიაზე თითქოს ძალიან იკვეცება. მაგრამ ეს ასე არაა. ასე, მაგალითად, ზღუდერში მოძიებულია III საუკუნის პირველი ნახევრის 7 აურეუსი: კარაკალას – 1, ელაგაბალუსის – 3, ალექსანდრე სევერუსის – 2 და გორდიანეს – 1.

ამავე რეგიონში სხვადასხვა დროს შემთხვევით კიდევაა მიკვლეული III საუკუნის პირველი ნახევარის რამდენიმე ოქროს მონეტა: 1. 201-206 წწ. მოჭრილი იმპერატორ კარაკალას ოქროს მონეტა აღმოჩნდა სოფელ რუისში (ქარელის რ-ნი). 2. XX საუკნის 30-იან წლებში სოფელ ნიჩბისში უპოვიათ ალექსანდრე სევერუსის აურეუსი.

III საუკუნის რომაული აურეუსები აღმოაჩინა აგრეთვე ჟინვალისა და ერწოთიანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი პროფესორი რამინ რამიშვილი). ეს მონეტები მოჭრილია იულია დომნას (1 ცალი), ალექსანდრე სევერუსის (1), გორდიანე III-ის (2), კარუსის (1), დიოკლიტიანეს (1) და ვალერიანეს (1) სახელით, სულ – 7 ცალი.

დაბოლოს: 1. XX საუკუნის დასაწყისში გორის მიდამოებში მიწის სამუშაოების დროს იპოვეს იმპერატორ კარინეს (283-295 წწ.) აურეუსი; 2. ალექსანდრიაში მოჭრილი დიოკლეტიანეს ოქროს მონეტა აღმოჩნდა არქეოლოგიური გათხრების დროს ოკამის (კასპის რ-ნი) № 1 აკლდამაში (ხელმძღვანელი ბედი შატბერაშვილი).

ამრიგად, III საუკუნის 26 აურეუსია ნაპოვნი აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრებში. აქედან უმეტესობა პირველ ნახევარს მიეკუთვნება.

ჯერჯერობით მეცნიერების განკარგულებაში არსებული მასალების მიხედვით, რომაული ოქროს მონეტის შემოსვლის ინტენსიურობა იბერიის ტერიტორიაზე კლებულობს მხოლოდ III საუკუნის მეორე ნახევრიდან, რაც უშუალო კავშირში უნდა იყოს იმპერიის კრიზისთან საზოგადოდ, რომლის ერთ-ერთი გარეგნული გამოვლენაც ფულად კრიზისში გამოიხატა.

ფულადი მეურნეობის კრიზისის არსი რომის სახელმწიფოში მოკლედ შეიძლება ასე გადმოიცეს. დროთა განმავლობაში კატასტროფულად ეცემა ვერცხლის მონეტების (დენარისა და ანტონინიანის) ღირებულება, რის კომპენსირებას ხელისუფლება ცდილობს ახალი ემისიებით. ჩნდება ახალი ფულადი საანგარიშო ერთეული – ფოლისი („ტომარა", ე. ი. ფულით სავსე ტომარა). პარალელურად, ცხადია, იჭრება ოქროს მონეტებიც. მაგრამ მათ შორის იმდენად დიდი სხვაობა იყო, რომ პრაქტიკულად აურეუსის გადაცვლა ანტონინიანზე შეუძლებელი შეიქნა. ასეთ

ვითარებაში აურეუსების წონა და ემისია კლებულობს. ასე, მაგალითად, უკვე მარკუს ავრელიუსის დროს ოქროს მონეტების ემისია იკვეცება. კიდევ უფრო მცირდება მისი მასშტაბები კომოდუს – ალექსანდრე სევერუსის დროს, ხოლო გორდიანების ეპოქაში აურეუსები თითქმის იშვიათობად იქცა. სწორედ ამას უნდა გამოეწვია ოქროს მონეტების შემოსვლის საგრძნობი შეკვეცა იბერიაში, ხოლო ამ უკანასკნელს – რომაული ოქროს მონეტების იმიტაციების ემისია საქართველოში.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი რომაული აურეუსების მინაბაძების კვლევა, მასალის სიმცირის გამო, დღესდღეობით არ შეიძლება გასცდეს იმ სამუშაოების ფარგლებს, რაც ასე ბრწყინვალედ ჩაატარა კ. გოლენკომ. შევეცდებით მოკლედ გადმოვცეთ ავტორის პოზიცია ამ უაღრესად საინტერესო ნუმიზმატიკურ ფენომენთან დაკავშირებით: 1. მან ეჭვმიუტანლად დაამტკიცა, რომ საქართველოში აღმოჩენილი რომაული აურეუსების მინაბაძები, წინააღმდეგ ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებისა, ადგილობრივაა მოჭრილი. ამ დებულების სასარგებლოდ კ. გოლენკომ წამოაყენა უძლიერესი არგუმენტი: საქართველოში აღმოჩენილ 11 მინაბაძიდან 7 ერთიდაიგივე სიქითაა მოჭრილი. ჩვენი მხრით კიდევ დავუმატებთ ერთ საბუთს. 1974 წელს ჟინვალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დუშეთის რაიონის სოფელ ჟინვალის არაგვისპირის სამაროვნის № 13 სამარხში აღმოაჩინა იმპერატორ ვალერიანეს (253-260 წწ.) ოქროს მონეტა, რომლის აღწერილობა ასეთია: შუბლი – ვალერიანეს დრაპირებული ბიუსტი დაფნის გვირგვინში მარცხნივ. გარშემო (ლათინურად) – imp c p lic valerianus avg. რკალი წერტილოვანი. ზურგი – ორცხენიან ეტლზე (ბიგაზე) მდგომი მარჯვნივ მიმართული ფრთოსანი ვიქტორია მათრახს უჭერს ცხენებს. გარშემო: ვიკტორიე, ხაზს ქვემოთ: ავგგ; იმავე სამარხში აღმოჩნდა აგრეთვე ვალერიანეს ზემოთ აღწერილი აურეუსის ზუსტი იმიტაცია ოდნავ დამახინჯებული იმპერატორის, მარცხნივ მიმართული ფრთოსანი ვიქტორიას გამოსახულებით და ლეგენდით. ერთსადაიმავე სამარხში ორიგინალისა და მისივე ასლის პოვნა კიდევ ერთი ძლიერი საბუთია რომაული აურეუსების მინაბაძების იბერიული წარმოშობის თვალსაზრისის სასარგებლოდ. დავა შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ ამ კატეგორიის მონეტათა იურიდიულმა ბუნებამ, რეგალიის საკითხმა. ჩვენთვის პირადად ნაკლებად დამაჯერებელია, რომ არმაზული კულტურის შემქმნელ სახელმწიფოს ვერ მოეჭრა მონეტა (თუნდაც უცხოური ყაიდისა) დამახინჯებების გარეშე.

2. კ. გოლენკოს ყველაზე დიდი დამსახურება მინაბაძების შესწავლის საქმეში ისაა, რომ მან საქართველოში აღმოჩენილ ყველა ცალს მოუძებნა პროტოტიპი, გამოავლინა, ხშირ შემთხვევაში, მათი ჰიბრიდული ხასიათი (ტაბ. IV, № 27, ტაბ. V, № 32). დაამტკიცა, რომ მათი გარკვეული ნაწილის ემისია წარმოებდა არა ერთი, არამედ რამდენიმე სხვადასხვა მონეტის მიხედვით და საკმაოდ დამაჯერებლად დაასაბუთა იმიტაციების მოჭრის შესაძლებლობა 250/260-285 წლებში.

შემდეგ კ. გოლენკო შეეცადა გაერკვია საქართველოში რომაული აურეუსების შემოსვლის შეწყვეტისა და მინაბაძების გენეზისის პოლიტიკური ასპექტები, რის გამოც ის მოკლედ მიმოიხილავს III საუკუნის რომის იმპერიის ისტორიას: 258-268 წლებში რომის სახელწიფო თითქმის დალუპვის პირასაა მისული, დაკარგულია აღმოსავლეთი, სისტემატური ომები მიმდინარეობს მცირე აზიაში, რაც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის ამიერკავკასიასთან სავაჭრო კონტაქტებს როგორც შიდა რაიონების, ასევე შავი ზღვის საშუალებით. 252-260 წლებზე მოდის სასანიანთა ტრიუმფი და იმპერატორ ვალერიანეს დატყვევება. 10 წლის მანძილზე რომაული აზია წარმოადგენდა პალმირასა (სირია) და ირანის მეტოქეობის ასპარეზს. ისიცაა აღსანიშნავი, რომ 255 წლიდან შავ ზღვაზე გუთები გაბატონდნენ. ყველაფერი ეს, ცხადია, ხელს უშლიდა რომის იმპერიის ტრადიციულ ეკონომიკურ (და არა მარტო ეკონომიკურ) მიმართულებას.

პოლიტიკურ და სამხედრო ვითარების სტაბილიზაციას ადგილი ჰქონდა III საუკუნის 70-იან წლებში: დამარცხებული იქნენ გუთები, დანგრეული – პალმირა. 275 წლის შემდეგ მოჭრილი რამდენიმე აურეუსის აღმოჩენა ამიერკავკასიაში თითქოს მოწმობს ძველი ტრადიციების აღდგენას, მაგრამ, არსებული მასალების მიხედვით, ძველი მასშტაბებით ეს კავშირურთიერთობა აღარ განახლებულა, თვით IV საუკუნეშიც კი, როდესაც კონსტანტინე I-ის რეფორმის შემდეგ სოლიდი გახდა ძირითადი ერთეული იმპერიაში. მეტიც: კ. გოლენკოს მიაჩნია, რომ ახალმა ფულადმა ერთეულმა ვერ დაიკავა რომაული აურეუსების ადგილი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, ისინი აქედან სასანურმა ვერცხლის მონეტებმა გამოდევნა.

IV საუკუნის მიმართ ჯერჯერობით ეს დებულება მართებული არაა, მაგრამ შემდგომი პერიოდისათვის სწორია, თუმცა იგი უმეტესწილად პოლიტიკური მოტივებით იყო განპირობებული, ვიდრე ეკონომიკურით, კერძოდ, სასანიანთა პოლიტიკური წარმატებით ამიერკავკასიაში.

IV საუკუნის სამონეტო მიმოქცევის ინტენსიურობა იბერიაში კატასტროფულად კლებულობს. ასე, მაგალითად, მცხეთა-აღაიანის მიდამოებში აღმოჩენილია IV საუკუნის ორი სოლიდი (კონსტანტინე I-ისა, მოჭრილი ნიკომედიის ზარაფხანაში და კონსტანციუს II-ისა, ანტიოქიის ზარაფხანა) და ერთი ვერცხლის მონეტა (ვალენტისა, ანტიოქიის ზარაფხანა).

გარდა ამისა, შეგვიძლია კიდევ ორი შემთხვევითი აღმოჩენა დავასახელოთ აღმოსავლეთ საქართველოდან: 1. კონსტანციუს ხლორუსის (292-306 წწ.) ოქროს მონეტა ნაპოვნია ახალქალაქის რაიონში და 2. ლისის ტბის მიდამოებში (თბილისი) 1963 წელს აღმოჩნდა კონსტანციუს II-ის სპილენძის მონეტა, მოჭრილი კონსტანტინოპოლის ზარაფხანაში.

შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ აღაიანის სამაროვანში კონსტანტინე I სოლიდთან ერთად აღმოჩნდა ნუმერიანეს (282-284 წწ.) აურეუსის მინ-

აბაძი. ოქროზე პერიფერიის მოთხოვნილება, უნდა ვიფიქროთ, ვერ კმაყოფილდება IV საუკუნის სოლიდებით.

ამრიგად, ჩვენ მიმოვიხილეთ სამონეტო მიმოქცევა კოლხეთსა და იბერიაში[7] I-IV საუკუნეებში მაგრამ სურათი სრული არ იქნება, თუ სქემატურად მაინც არ შევეხებით კიდევ ერთ რეგიონს, რომელიც გეოგრაფიულად კოლხეთია, ხოლო პოლიტიკურად გვიანანტიკურ ხანაში დაკავშირებულია იბერიასთან. ესაა ისტორიული არგვეთის ტერიტორია (თანამედროვე თერჯოლის, ხარაგაულის, ზესტაფონის, ჭიათურისა და საჩხერის რაიონები). ბორი-ჭიათურის მიდამოებში I-III საუკუნეებში ვარაუდობენ ქართლის ერთ-ერთი საპიტიახშოს ცენტრსაც. მეორე მოსაზრების თანახმად, გვიანანტიკურ ხანაში არგვეთის საერისთავოს ცენტრი საჩხერე უნდა ყოფილიყო.

თავისი გეოგრაფიული მდებარეობის და პოლიტიკური სტატუსის გამო, არგვეთის სამონეტო ბაზარი ერთგვარ ეკლექტიკურ ხასიათის ატარებდა. აქ პარალელურად მიმოიქცეოდა ოთხი კატეგორიის მონეტები: საერთო საიმპერიო დენარები, პართული დრაქმები, ალექსანდრე მაკედონელის სტატერების ტიპის ქართული მინაბაძები და კესარული ვერცხლი. ბოლო ხანებში აქ აღმოჩნდა აგრეთვე IV საუკუნის რომაული ოქროს მონეტები.

რეგიონის კიდევ ერთ ეკონომიკურ სპეციფიკას უნდა გაესვას ხაზი: აქ გადიოდა მთავარი სავაჭრო არტერია, რომელიც კოლხეთს იბერიასთან აკავშირებდა, შესაბამისად, შავი ზღვის აუზის ქვეყნებს – აღმოსავლეთთან (ქალაქი ფაზისი, მდინარეების რიონი-ყვირილას საშუალებით შორაპანი, სურამი ულელტეხილი და მდინარე მტკვრის მეშვეობით კასპიის ზღვა და ა. შ.). ამრიგად, უკვე თეორიულად აქ სამონეტო ცირკულაციაში ჩართული უნდა ყოფილიყო ის მონეტები, რომლებიც მიმოიქცეოდა როგორც იბერიაში, ასევე კოლხეთში. ვიძლევით მათ სიას: 1. ავგუსტეს დენარები, მოჭრილი გალიის (ლუგდუნუმი?) ზარაფხანაში ძვ. წ. 2 – ახ. წ. 4 წლებში – 56 ცალი (კლდეეთი – 16, ბორი – 29, მდ. ყვირილას აუზი – 10, სოფელი კაცხი – 1); 2. ტიბერიუსის (14-37 წწ.) დენარი – 1 (სოფ. ჯულელი, ზესტაფონის რ-ნი); 3. კალიგულას (37-41 წწ.) დენარი – 1 (ბორი); 4. ე. წ. გოტარზეს დრაქმები (40/1-51 წწ.) – 19 (კლდეეთი – 8, ბორი – 9, ზესტაფონი – 1, ილემი – 1); 5. პოლემონ II-ის (49-63 წწ.) დრაქმა, მოჭრილი 57/58 წლებში – 1; 6. ნერონის ჰემიდრაქმა (54-68 წწ.) – 1 (ბორი); 7. ნერვას (96-98 წწ.) კესარიული დიდრაქმა – 3 (კლდეეთი); 8. ტრაიანეს კესარიული დიდრაქმა (98-117 წწ.) – 1 (ბორი); 9. ადრიანეს (117-138 წწ.) კესარიული დიდრაქმა – 2 (კლდეეთი), ჰემიდრაქმა – 2 (ბორი); 10. ანტონინუს პიუსის (138-161 წწ.) კესარიული დიდრაქმა – 2 (კლდეეთი); 11. ფაუსტინა უმცროსის დენარი – 1 (ბორი); 12. იულია დომნას (193-217 წწ.) დენარი – 1; 13. ალექსანდრე მაკედონელის სტატერების ტიპის ქართული მინაბაძი – 16 (კლდეეთი – 13, ბორი – 2, ილემი – 1).

არგვეთში აღმოჩენილი მეხუთე კატეგორიის მონეტები, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, IV საუკუნის ოქროს მონეტებია. ისინი მოიძიეს საჩხერის რაიონში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად, რომელსაც ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ჯურხა ნადირაძე ხელმძღვანელობდა. ეს მონეტები ეკუთვნის: 1. კონსტანტინე I-ს (306-337 წწ.) – 2 ცალი (ერთი მოჭრილია სისციაში, ერთიც – კონსტანტინოპოლში) და 2. კონსტანციუს II-ს (337-361 წწ.) – 4 (ყველა ანტიოქიის ზარაფხანისა).

საჩხერეს აღმოჩენასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ასეთი დეტალიც: აქ ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა ოქროს სრულიად გლუვი ფირფიტა, რომელიც თავისი ზომით უახლოვდება სოლიდის მეტროლოგიურ მონაცემებს (წონა – 3,21 გრამი, ზომა – 20/21 მილიმეტრი). ეს ფირფიტა, ისევე როგორც ოქროს მონეტები, მიცვალებულს პირში ედო.

ამრიგად, არასრული მონაცემებით, არგვეთის ტერიტორიაზე სულ აღმოჩენილია გვიანანტიკური ხანის დაახლოებით 112 მონეტა. საუკუნეების მიხედვით უცხოური მონეტები ასე ნაწილდება: I ს. – 81 ეგზემპლარი; II – 9; IV – 6.

ცხადზე ცხადია, რომ არგვეთის ტერიტორიაზე მიკვლეული ავგუსტეს დენარები და გოტარზეს დრაქმები იბერიიდან შემოდიოდა, ხოლო კესარიული მონეტები – კოლხეთიდან. უნდა გამახვილდეს ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ სამონეტო მიმოქცევა ინტენსიურად არგვეთში მაინცდამაინც I-II საუკუნეებში იკვეთება განსაკუთრებული სიმკვეთრით და ისიც მაინცდამაინც ბორი-კლდეეთი-შორაპნის მიდამოებში. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის გიორგი ცქიტიშვილის მოსაზრების თანახმად, III საუკუნეში ბორში უქმდება ერისთავების რეზიდენცია. ამასთან ხომ არ უნდა იყოს დაკავშირებული IV საუკუნის ოქროს მონეტების აღმოჩენის ფაქტები უკვე საჩხერეში? რა თქმა უნდა, არგვეთის პოლიტიკური ცენტრების გადანაცვლების საკითხი ასე მცირერიცხოვანი ნუმიზმატიკური მასალით ვერ გადაწყდება, მაგრამ მისი გათვალისწინება სხვა მონაცემებთან ერთად, ვფიქრობთ, საკითხის კვლევას წინ წასწევს.

ამით ვამთავრებთ სამონეტო საქმისა და სამონეტო მიმოქცევის ზოგად მიმოხილვას საქართველოში მთლიანად ანტიკურ ხანაში (ძვ. წ. VI – ახ. წ. IV სს.). ამის შემდეგ იწყება ახალი ეპოქა, ფეოდალური ეპოქა, ქრისტიანობის ეპოქა, ახალი პოლიტიკური კატაკლიზმების ეპოქა, რაც, რა თქმა უნდა, სათანადოდ აისახა კიდეც საქართველოს ნუმიზმატიკურ ძეგლებზე.

პირველი ქართულწარწერიანი და ჯვრის გამოსახულებიანი მონეტები

ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან ცნობილია სასანური სამონეტო ტიპის მიხედვით მოჭრილი დრაქმები, რომელთაც ქართული წარწერა და ჯვრის გამოსახულება ამშვენებს. სამეცნიერო ლიტერატურაში მათ აღსანიშნავად დამკვიდრებულია ტერმინი: ქართულ-სასანური მონეტები, ან ქართლის ერისმთავართა დრაქმები. ესაა უაღრესად საინტერესო და ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი ნუმიზმატიკური ჯგუფი, რომლის გენეზისის გასააზრებლად აუცილებელია თუნდაც სქემატური პოლიტიკური ფონი.

III საუკუნიდან ქართლის პოლიტიკური მდგომარეობა გაუარესდა. მის სამხრეთით, პართიის სახელმწიფოს ადგილას, ჩამოყალიბდა უფრო ძლიერი და აგრესიული სამეფო, რომელსაც სათავეში სასანიანთა დინასტია ედგა. ირანის შაჰებმა დაიწყეს ენერგიული ბრძოლა მეზობელი, პირველ რიგში, ამიერკავკასიის ქვეყნების დასაპყრობად და იქ მაზდეანობის ანუ ცეცხლთაყვანისმცემლობის დასანერგად. ქართველმა პოლიტიკოსებმა ორიენტაცია იმთავითვე დასავლეთისაკენ – რომისაკენ (ბიზანტიისაკენ) აიღეს. 326 (?) წელს მეფე მირიანმა ქართლში ქრისტიანობა ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა, რამაც, ცხადია, ირანის მხრივ საპასუხო რეაქცია გამოიწვია. IV საუკუნის ბოლოსა და V საუკუნის ის პირველ ნახევარში სასანიანებმა შეძლეს როგორც სომხეთისა და ალბანეთის, ისე ქართლის დახარკვა. უკვე IV საუკუნის ბოლო წლებში მათი მოხელე პიტიახში თბილისში იჯდა და აქედან აკონტროლებდა ქართლის მეფის მოქმედებას. 428 წელს ირანელებმა მეფობა გააუქმეს სომხეთში, შემდეგ კი – ალბანეთშიც. ამან ქართლის მდგომარეობა კრიტიკული გახადა. ირანის წინააღმდეგ ბრძოლას შეალია თავისი ბობოქარი სიცოცხლე ვახტანგ გორგასალმა, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში მან სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. გმირი მეფის დაღუპვის შემდეგ ირანი ქართლის სრული დაპყრობის გეგმის განხორციელებას შეუდგა. 523 წელს მის წინააღმდეგ აჯანყება სცადა ქართლის მეფე გურგენმა, მაგრამ მას მხარი არ დაუჭირეს დიდაზნაურთა უმრავლესობამ და ვერც ბიზანტიისაგან მიიღო დახმარება. გურგენი თავისი ოჯახის წევრებითა და ამალით დასავლეთ საქართველოში გადავიდა. 532 წელს ბიზანტიამ „საუკუნო ზავი“ დადო ირანთან, რომლის ძალითაც მან სცნო ირანელთა უფლება აღმოსავლეთ საქართველოზე. ამით ფაქტობრივად ქართლში მეფობა გაუქმდა. მთელი VI საუკუნის განმავლობაში არ შეწყვეტილა ბრძოლა ქართლის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის და ეს პერიპეტიები უტყუარად აისახა

ე. ნ. ქართულ-სასანურ მონეტებზე. როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ამ პერიოდში ჩვენში მონეტები იჭრება სასანური ირანის სტანდარტის მიხედვით. მონეტის შუბლზე ყოველთვის გამოსახულია ირანის შაჰის ბიუსტი, ხოლო ზურგზე – ცეცხლთაყვანისმცემელ სასანიანთა ემბლემა – საკურთხეველზე აგიზგიზებული ცეცხლი, რომელსაც ორი შეიარაღებული მცველი დარაჯობს. მეამბოხე ქართველებმა ამ შაბლონურ ტიპს შაჰის მხარს ზემოთ მიუმატეს ქრისტიანობის სიმბოლო – ჯვარი, რომელიც ამავე დროს ეროვნული სიმბოლოც იყო. ეს გახლდათ დიდი, მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქციის დასაწყისი. შემდეგ ეტაპზე მონეტის კიდეზე, მეფის გამოსახულების ზემოთ ვხვდებით ქართულ ასოებს ან მონოგრამებს, რომლებიც ქართველ ერისმთავართა სახელებს გვაუწყებს. მეტიც: ქართველებმა ქრისტიანობის ემბლემა – ჯვარი აგიზგიზებული ცეცხლის ნაცვლად საკურთხეველზე მოათავსეს და ამით ირანელთა ემბლემა დემონსტრატიულად განდევნეს ქართული მონეტიდან, ხოლო ერისმთავარმა სტეფანოსმა მთლიანად მოათავსა თავისი სახელი მონეტის ცენტრში, მეფის გამოსახულების გვერდით. აქ იშვიათი სიზუსტითაა ასახული ქართველ-ირანელთა ბრძოლის პერიპეტიები, ამ ბრძოლის დასაწყისი და მისი დასასრული.

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ სტეფანოსის სახელით მოჭრილი მონეტები გვიანდელია ქართულ-სასანურ დრაქმებს შორის. მიუხედავად ამისა, პრობლემის განხილვას ბოლოდან ვიწყებთ, რადგან მიგვაჩნია, რომ სტეფანოსის დრაქმების ზუსტი მეცნიერული ატრიბუცია და ქრონოლოგიური კლასიფიკაცია შექმნის საიმედო საფუძველს ამ სამონეტო ჯგუფის მტკიცე მეცნიერულ ნიადაგზე დაყენებისათვის საერთოდ.

ვიდრე უშუალოდ ნუმიზმატიკური მასალის ზოგად აღწერას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ხაზგასმით აღვნიშნოთ წინამორბედ მეცნიერთა, განსაკუთრებით კი ი. ბართოლომეის დიდი დამსახურება ქართულ-სასანური დრაქმების შესწავლის საქმეში. იგი პირველი მეცნიერი იყო, რომელმაც დაამტკიცა, რომ ქართულ-სასანური მონეტების უმრავლესობა ჰორმიზდ IV-ის (579-590 წწ.) დრაქმების იმიტაციას წარმოადგენს (ტაბ. VI, № 35). ამით მან მტკიცე ქრონოლოგიური საყრდენი შექმნა მათ დასათარიღებლად.

სტეფანოსის სახელით მოჭრილი მონეტები ორ ჯგუფად იყოფა. ვიძლევით მათ სქემატურ აღწერილობას:

I ჯგუფი.

შუბლი – ჰორმიზდ IV-ის გამოსახულება მარჯვნივ. ფალაური ლეგენდა: ჰრმ-აფზუ. ყველაფერი ეს ჩასმულია შეერთებული წერტილებისაგან შემდგარ ერთმაგ მსხვილ რკალში. მონეტის კიდეზე ოთხი ქართული მთავრული ასო ᲡᲦᲩᲡ-სფნს სტეფანოს, შემორკალური ოთხი ნახევარმთვარით.

ზურგი – კვარცხლბეკზე აღმართული ჯვარი. თარიღი და ზარაფხანის სახელი იმდენადაა დამახინჯებული, რომ წაკითხვა შეუძლებელია. გარშემო შეერთებული წერტილებისაგან შემდგარი ორმაგი რკალი.

II ჯგუფი.

შუბლი – როგორც წინა, ოღონდ ფალაური წარწერის ნაცვლად მეფის გამოსახულების მარცხნივ და მარჯვნივ ქართული ასომთავრული ლეგენდა: ԼԲՊՓԸՀՃԼ-სტეფანოს. გარშემო ორმაგი რკალი.

ზურგი – როგორც წინა, ოღონდ ფალაური წარწერის გარეშე. გარშემო სამმაგი რკალი (ტაბ. VI, №№ 40-41).

პირველ ჯგუფს ბერლინის მუზეუმის კუთვნილი უნიკალური მონეტა ქმნის, ხოლო მეორე ჯგუფის მონეტები 11 ცალის რაოდენობით დაცულია მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმებში (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი – 3, ბერლინი – 4, ერმიტაჟში – 2, მოსკოვის ისტორიული მუზეუმი – 1, ბრიტანეთის მუზეუმი – 1) და, გარდა ამისა, 10 ცალი ლიტერატურაშია მოხსენიებული. ყველა მათგანი უპასპორტოა. დაბოლოს უნდა მოვიხსენიოთ კიდევ ერთი ასეთი გამოუქვეყნებელი მონეტა, რომელიც აღმოჩნდა არაგვის ხეობაში, ადგილ ნეძიხში, ქვა-ყუთში, არქ. გათხრების დროს (ხელმძღვანელი პროფ. რ. რამიშვილი)

თანამედროვე ნუმიზმატიკურ ლიტერატურაში სულ უკანასკნელ ხანებამდე გაბატონებული შეხედულების მიხედვით, მონეტა, რომელზედაც სტეფანოსის სახელი შემოკლებულადაა გადმოცემული, ეკუთვნის ქართლის ერისმთავარს სტეფანოს I-ს (ვახუშტის ქრონოლოგიით 600-619 წწ.), ხოლო დრაქმები, რომლებზედაც ამ უკანასკნელის სახელი სრულადაა აღბეჭდილი – სტეფანოს II-ს (639-663 წწ.).

პირველი ჯგუფის მონეტის ატრიბუციას თავიდანვე არავითარი დავა არ გამოუწვევია, მაგრამ მეორე ჯგუფის დრაქმების პუბლიკაციას იმთავითვე მოჰყვა დისკუსია. ზოგი მათ სტეფანოს I-ს აკუთვნებდა, ზოგი – სტეფანოს II-ს.

მაგრამ უკვე 1847 წელს ი. ბართოლომეი კატეგორიულად გამოვიდა სრულ ქართულწარწერიანი მონეტების სტეფანოს I-ისადმი მიკუთვნების სასარგებლოდ. მისი არგუმენტაცია მარტივი და ლოგიკურია. მან აღნიშნა დიდი მსგავსება სტეფანოსის სახელით მოჭრილი მონეტების პირველ და მეორე ჯგუფს შორის (კერძოდ ის, რომ ორივე მათგანზე ჰორმიზდ IV არის გამოსახული) და არ მიიჩნია შესაძლებლად მეორე ჯგუფის დრაქმები VII საუკუნის შუა ხანებში გადაეტანა. სტეფანოს II-ის ზეობის წლები დროის ხანგრძლივი ინტერვალითაა მოცილებული ჰორმიზდ IV-ის მმართველობის ხანას, ამიტომ, ი. ბართოლომეის აზრით, ამ უკანასკნელის მონეტების მიხედვით ემისია მხოლოდ სტეფანოს I-ს შეეძლო.

სამწუხაროდ, ი. ბართოლომეის, ჩვენი აზრით, ერთადერთი სწორი შეხედულება, დავიწყებულ და გაბათილებულ იქნა პროფ. ევგ. პახომოვის არგუმენტაციის წყალობით, რომელთა კრიტიკული გარჩევა მხოლოდ უკანასკნელ ხანებში მოხდა.

რაში მდგომარეობს ევგ. პახომოვის შეხედულებათა კვინტესენცია? მისი აზრით, სტეფანოსის სახელით მოჭრილი მონეტები მკვეთრად განირჩევიან ერთმანეთისაგან და ამიტომ მათი ემისია ორ სხვადასხვა პირს უნდა მიეწეროს. სტეფანოს I-ს იგი მიაკუთვნებს ბერლინის უნიკალურ მონეტას და მისთვის დამახასიათებლად მიიჩნევს შემდეგ ნიშნებს: 1. ფალაური ლეგენდა შაჰის ბიუსტთან (აქედან

მისი დასკვნა: მონეტაზე მოთავსებული პორტრეტი ირანის შაჰია და არა ქართლის ერისმთავარი); 2. ქართლის ერისმთავრის სახელი დაქარაგმებულია არა მონეტის ცენტრალურ ადგილას, არამედ არეზე (ე. პახომოვის აზრით, ზემოთქმული გარკვევით მიუთითებს, რომ მონეტა მოჭრილია არა დამოუკიდებელი მმართველის, არამედ ირანის შაჰის ვასალის მიერ); 3. მონეტის შუბლზე მოთავსებულია ერთმაგი რკალი. 4. მონეტის ზურგზე – ორმაგი. 5. მონეტის რევერსზე ისევ ფალაური ლეგენდებია დამახინჯებული სახით.

ამ ფორმალური ნიშნების გამოყოფის შემდეგ ევგ. პახომოვი ბერლინის უნიკალურ მონეტას უდარებს ჰორმიზდ IV-ისა და ხოსრო II-ის (590/1-628 წწ.) ორიგინალურ დრაქმებს და ამ გზით ცდილობს სტეფანოს I-ის მონეტის ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენას.

ქართველმა ოსტატმა, ევგ. პახომოვის ვარაუდით, პროტოტიპად აიღო ჰორმიზდ IV-ის დრაქმა, რაზედაც მიუთითებს წარწერა, მეფის ბიუსტი და ერთმაგი რკალი მონეტის შუბლზე. მაგრამ მონეტის ზურგზე ორმაგი რკალი უდავოდ აღებულია ხოსრო II-ის საფასეებიდან (ვინაიდან ჰორმიზდ IV ერთრკალიან მონეტას ჭრიდა). აქ შეიძლება კონტრარგუმენტის წამოყენება: საქმე ისაა, რომ ხოსრო II-ის დრაქმებზე ამოკვეთილია სამმაგი რკალი და არა ორმაგი. მაგრამ ამ საბუთს არ შეიძლება მიენიჭოს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ხელოსანს ადვილად შეეძლო რკალების რაოდენობის აღრევა.

ამრიგად, ასკვნის ევგ. პახომოვი, ბერლინის მუზეუმის კუთვნილი უნიკალური ცალის ემისია შეიძლებოდა განხორციელებულიყო მხოლოდ მაშინ, როდესაც: 1. ქართლი დამოკიდებული იყო ირანზე; 2. საქართველოს სამონეტო ცირკულაციაში ძირითადად ჰორმიზდ IV-ის მონეტები მიმოიქცეოდა, ხოლო ხოსრო II-ის დრაქმები ის-ის იყო ირთვებოდა ბრუნვაში (ამაზე მიუთითებს დამატებითი რკალი ქართული მონეტის ზურგზე). ეს ყველაფერი, ევგ. პახომოვის კონცეფციის თანახმად, მიუთითებს სტეფანოს I-ის ზეობაზე.

რა არის დამახასიათებელი სრულ ქართულ წარწერიანი მონეტებისათვის? 1. ფალაური ლეგენდის სრული უგულებელყოფა; 2. ქართული ზედწერილის მოთავსება მეფის ბიუსტის გვერდით; 3. ორმაგი რკალი მონეტის შუბლზე და 4. სამმაგი – მონეტის ზურგზე.

პირველი ორი მომენტი, ევგ. პახომოვის აზრით, მიანიშნებს, რომ მონეტები მოჭრილია დამოუკიდებელი მმართველის მიერ, რომელიც აღარ ემორჩილება სასანიანთა იმპერიას. ასეთი კი იყო სტეფანოს II და არა სტეფანოს I. ხოლო ბოლო ორი ნიშნის მიხედვით, შეიძლება ამ დრაქმების დათარიღება. საქმე ისაა, რომ ორმაგი რკალი მონეტის შუბლზე და სამმაგი – ზურგზე, გვხვდება არა ჰორმიზდ IV-ის საფასეებზე, არამედ ხოსრო II-ის მონეტებზე და ამდენად ისინი ამ უკანასკნელთა იმიტაციას წარმოადგენს. ხოსრო II-ის მეფობის წლები (590/1-628 წწ.) კი ემთხვევა (?! გ. დ.) სტეფანოს II-ის ზეობის (639-663 წწ.) წლებს.

ასეთია ევგ. პახომოვის პოზიცია ე. წ. ქართულ-სასანურ მონეტებთან დაკავშირებით.

ევგ. პახომოვის კონცეფციაში არის რამდენიმე შესანიშნავი დაკვირვება, რომელსაც უნდა გაეწიოს ანგარიში (მისი დიდი დამსახურებაა, მაგალითად, ბერლინის მუზეუმის უნიკალური მონეტის ზურგზე მოთავსებული დამატებითი რკალის პროტოტიპის მითითება და, განსაკუთრებით, დადგენა უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტისა, რომ სრულ ქართულწარწერიანი მონეტები ხოსრო II-ის დრაქმების იმიტაციაა), მაგრამ მისი ატრიბუცია მაინც ხელოვნურია.

სამწუხაროდ, მიუხედავად აშკარა სუსტი ადგილებისა, ის თავიდან ბოლომდე იქნა გაზიარებული ქართულ (და არა მარტო ქართულ) ნუმიზმატიკურ ლიტერატურაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ხელოვნებათმცოდნეობითსა და ისტორიული ხასიათის ნაშრომებში იყო ცდები არსებული კონცეფციის დარღვევისა, მაგრამ ეს ცდები არ იყო დაფუძნებული ევგ. პახომოვის დებულებების კრიტიკაზე, კონკრეტული მასალის შესწავლაზე და ძირითადად ზოგად ხასიათს ატარებდა.

როგორია ჩვენი პოზიცია სტეფანოსის სახელით მოჭრილ მონეტებთან დაკავშირებით? ორივე სამონეტო ჯგუფს ჩვენ მივაკუთვნებთ სტეფანოს I-ს და ვათარიღებთ 595-600 წლებით (± ერთი ან ორი წელი). რა საფუძვლით? კონკრეტული მასალის შესწავლის საფუძველზე, ე. წ. ქართულ-სასანური და ორიგინალური სასანური დრაქმების შედარების საფუძველზე.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ გაბათილდეს დებულება სტეფანოს II-ისადმი ერთ-ერთი სამონეტო ტიპის მიკუთვნების შესახებ. საამისოდ არსებობს უმარტივესი და მეტად ეფექტური გზა.

როგორც ცნობილია, სტეფანოსის სახელით მოჭრილი მონეტების მეორე ჯგუფი წარმოადგენს ხოსრო II-ის დრაქმების სრულ იმიტაციას. ევგ. პახომოვის ეს დაკვირვება შეურყეველია. მაგრამ ისმის კითხვა: ხოსრო II-ის მონეტის რომელ ტიპს ბაძავს ისინი? ირკვევა, რომ მხოლოდ იმ დრაქმებს, რომელთა ემისია წარმოებდა ხოსრო II-ის მმართველობის პირველ და მეორე წელს (ე. ი. 590/1-592 წწ.).

ხოსრო II თავისი ხანგრძლივი მეფობის მანძილზე ძირითადად ორი ტიპის მონეტას ჭრიდა. მონეტის პირველი ტიპი, რომელიც თარიღდება მისი მმართველობის პირველი-მეორე წლებით, შაჰის გამოსახულებისა და მისი გვირგვინის მიხედვით (აგრეთვე სხვა დეტალების მიხედვითაც) აბსოლუტურად იდენტურია ჰორმიზდ IV-ის დრაქმებისა. ერთადერთი სიახლე, რაც ხოსრომ შეიტანა თავის ადრეულ მონეტებში, არის ის, რომ შუბლის გამოსახულება მოთავსებულია ორმაგ, ხოლო ზურგისა – სამმაგ რკალში.

შემდეგ წლებში ხოსრო II კარდინალურად შეცვალა თავისი სამონეტო ტიპი. აქ მოთავსებული ნვეროსანი შაჰის ბიუსტი და მისი გვირგვინი დიამეტრულად განსხვავდება ხოსრო II-ის ადრეულ დრაქმებზე ამოკვეთილი გამოსახულებისაგან (ტაბ. VI, № 36. შეადარე სრულ ქართულწარწერიან სტეფანოსის მონეტას –

ტაბ. VI, № 41). განსხვავება იმდენად თვალსაჩინოა, რომ ის ჩვენ გვანთავისუფლებს ამ ორი სამონეტო ტიპის სკრუპულოზური აღწერისაგან.

გადაჭრით უარვყოფთ ჩვენ აგრეთვე იმის შესაძლებლობას, რომ ე. წ. სტეფანოს II-ის მონეტები ქართულ-სასანური დრაქმების გამეორებაა, ტრადიციის გაგრძელებაა. საქმე ისაა, რომ არცერთ ქართულ-სასანური მონეტის შუბლზე არ გვხვდება ორმაგი რკალი, ხოლო ზურგზე – სამმაგი. იგი ყოველგვარი ეჭვის გარეშე აღებულია ხოსრო II-ის ადრეული საფასეებიდან. აქედან ზოგადი ხასიათის დასკვნა: ცვლილებები სასანურ სამონეტო ტიპოლოგიაში დაუყოვნებლივ აისახება ქართულ ნუმიზმატიკაში.

ამრიგად, ურყევია ჩვენი დებულებაც, რომ ე. წ. სტეფანოს II-ის მონეტები სრული იმიტაციაა ხოსრო II-ის ადრეული დრაქმებისა.

ახლა დავსვათ კითხვა: განა ლოგიკურია, რომ სტეფანოს II-ს (რომლის მოღვაწეობის ხანა VII საუკუნის შუა ხანებზე მოდის) თავის მონეტის ნიმუშად აელო ფულის ის ნიშანი, რომელიც თითქმის 50 წლის წინათ მოიჭრა?! ცხადია, არა. სტეფანოს II-ს თავისი დრაქმები უნდა მოეჭრა ხოსრო II-ის იმ მონეტების მიხედვით, რომელთა ემისია წარმოებდა გვიან – VII საუკუნისის ოციან წლებში. ნუმიზმატიკური თვალსაზრისით, ამ დებულების გაბათილება, მეტი რომ არ ვთქვათ, ძალიან გაჭირდება.

ამრიგად, სტეფანოს II უნდა ამოიშალოს იმ ქართველ მოღვაწეთა სიიდან, რომელთა მონეტებმა ჩვენს დრომდე მოაღწია.

იმისათვის, რომ დავადგინოთ სტეფანოსის სახელით მოჭრილი I და II ჯგუფის მონეტების ემისიის ქრონოლოგია, თავდაპირველად შევუდაროთ ერთმანეთს ჰორმიზდ IV-ისა და ხოსრო II-ის მონეტები, მოჭრილი მისი მმართველობის 1-2 წლებში. მათი იდენტურობა ეჭვს გარეშეა. განსხვავებაა რკალთა რაოდენობაში: ჰომრიზდ IV-ის მონეტის როგორც შუბლის, ასევე ზურგის გამოსახულება ერთმაგ რკალშია ჩასმული, ხოლო ხოსრო II-ის მონეტის შუბლზე ორმაგი რკალია მოცემული, ზურგზე კი – სამმაგი.

ახლა მათ შევუდაროთ სტეფანოსის დრაქმა არასრული ქართული ნარწერით. გვირგვინის ტიპის მიხედვით ის სრული ანალოგია ორივე მათგანისა. ამასთანავე, შუბლზე ამოკვეთილი რკალის მიხედვით იმეორებს ჰორმიზდ IV-ის სამონეტო ტიპს, მაგრამ ზურგზე უკვე სიახლე აქვს: ორმაგი რკალი. ჩვენ სამართლიანად მიგვაჩნია ევგ. პახომოვის აზრი, რომლის თანახმადაც ამ მონეტის ემისია უნდა მომხდარიყო მაშინ, როდესაც საქართველოში ძირითადად ჰორმიზდ IV-ის მონეტები მიმოიქცეოდა, მაგრამ ის-ის იყო ფეხს იკიდებდა აგრეთვე ხოსრო II-ის დრაქმებიც, ვინაიდან დამატებითი რკალი ხელოსანს მხოლოდ აქედან შეეძლო აელო. აქედან გამომდინარე, სრულიად აშკარაა, რომ ის მოჭრილია მას შემდეგ, რაც ტახტზე უკვე აღარ ზის ჰორმიზდ IV, მაგრამ ხოსროც დიდი ხანი არაა, რაც ამ პრეროგატივით აღიჭურვა. ამრიგად, ამ მონეტის ემისია ძალიან არ უნდა მოვაცილოთ ჰორმიზდ IV-ის მმართველობის უკანასკნელ და ხოსრო II-ის მეფობის

პირველ წლებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველი ახალი ტიპის ორიგინალური სასანური მონეტის საქართველომდე მოღწევას და ბრუნვაში ჩართვას გარკვეული პერიოდი დასჭირდებოდა, ჩვენი აზრით, ამ მონეტის ემისიის დროდ, მეტ-ნაკლები სიზუსტით, შეიძლება მივიჩნიოთ 593 წელი, ან შემდგომი ხანა, მაგრამ არა უგვიანეს 595 წლისა.

დაბოლოს, ერთმანეთს შევუდაროთ სტეფანოსის სრულ ქართულლეგენდიანი და ორიგინალური სასანური დრაქმები. სრულიად აშკარაა, რომ ქართული მონეტა ბაძავს ხოსრო II-ის დრაქმას, მოჭრილს ამ უკანასკნელის მმართველობის პირველ-მეორე წლებში (ამაზე მეტყველებს გვირგვინის ტიპი, მეფის გამოსახულება, რკალთა რაოდენობა მონეტის შუბლსა და ზურგზე) და ოდნავი მსგავსებაც არ გააჩნია მის გვიანდელ დრაქმებთან. აქედან დასკვნა: ის მოჭრილია მაშინ, როდესაც ხოსრო II-ის მონეტების პირველმა ტიპმა ფართოდ მოიკიდა ფეხი საქართველოში, ხოლო მეორე ტიპი ჯერ კიდევ არაა გამოჩენილი ჰორიზონტზე. როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ხოსრო II-ის პირველი ტიპის დრაქმები 590/1-592 წლებში იჭრებოდა. ხუთი (თუნდაც მეტი!) წელი განა არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ ისინი ფართოდ გავრცელებულიყო საქართველოში? ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ მონეტები სრული ქართული ლეგენდით 595-600/602 წლებით უნდა დათარიღდეს.

მოტანილი ნუმიზმატიკური ექსკურსი სრულიად აშკარად ხდის ვახუშტის ქრონოლოგიის (რომლის თანახმადაც სტეფანოს I ქართლის ერისმთავრად 600-619 წწ. იყო) გადასინჯვის აუცილებლობას.

სტეფანოს I სამონეტო საქმიანობა ამით არ ამოიწურება, მაგრამ ამაზე შემდგომ. ამჟამად ორ მომენტს მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება და განვიხილოთ ქართულ-სასანური მონეტების ადრეული ნიმუშები. პირველი მომენტი: სტეფანოსის მონეტების ემისიის ხანა, როგორც ზემოთ დავრწმუნდით, 593/95-600/2 წლებზე მოდის. ამ თარიღის დადგენით ჩვენ საერთოდ ქართულ-სასანური მონეტების გვიანდელი ქრონოლოგიური ზღვარი დავადგინეთ. მეორე მომენტი: სტეფანოსის მონეტათა რევერსზე, მაზდეანური ემბლემის ნაცვლად, ქრისტიანობის სიმბოლო – კვარცხლბეკზე აღმართული ჯვარია გამოსახული.

დავიწყოთ გურგენის მონეტებით. სამეცნიერო ლიტერატურაში ისინი ექვსი ცალის რაოდენობითაა ცნობილი (სამი ინახება ბერლინის მუზეუმში, ერთი – ერმიტაჟში, ორი – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში). მონეტის აღწერა ზედმეტად მიგვაჩნია. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ გურგენის სახელით მოჭრილი დრაქმები ჰორმიზდ IV-ის მონეტების სრული მიბაძვითაა მოჭრილი. ერთადერთი განმასხვავებელი დეტალია ორი ქართული მთავრული ასო (ან მონოგრამა) მონეტის შუბლზე, მეფის გამოსახულების ზევით: ᲒᲜ, გნ (ან მათი ლიგატურა), ე. ი. – გურგენ. ჰორმიზდ IV-ის ბიუსტის გვერდით ამოკვეთილია დამახინჯებული თარიღი, რომელიც ჰგავს 7-ს (ე. ი. ჰორმიზდ IV-ის მეფობის მე-7 წელი, 579+7=586 წ.) (ტაბ. VI, № 37). ცხადია, ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ გურგენის მონეტა მაინცდამაინც ჰორმიზდ IV-ის მეფობის მეშვიდე წელსაა მოჭრილი (ის მიუთითებს

მხოლოდ იმაზე, რომ ქართლის ერისმთავრის დრაქმა მოჭრილია ჰორმიზდ IV-ის მეფობის მე-7 წლით დათარიღებული მონეტის მიხედვით, მისი მიბაძვით), მაგრამ სრულიად აშკარად მიგვანიშნებს, რომ მისი ემისია არ შეიძლებოდა განხორციელებულიყო 586 წელზე ადრე.

გურგენსავე უნდა ეკუთვნოდეს, ჩვენი აზრით, ძალიან იშვიათი მონეტები (ერთი მათგანი ინახება ბერლინის მუზეუმში, ერთიც – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში), რომელზედაც ამოტვიფრულია ქართული მონოგრამა და რომლის დაშლა შეიძლება როგორც ორ, ისე სამ ასომთავრულ ნიშნად: ԼՀ – გნ – და ԴՀԼ – ვნგ (ტაბ. VI, № 38), პირველ შემთხვევაში აბრევიატურა გაიხსნება როგორც გურგენ-ი, ხოლო მეორე – როგორც ვახტანგ-ი. ვინაიდან მსგავსი (მაგრამ ზუსტად ასეთივე არა) მონოგრამა გვხვდება გვიანდელ ქართულ მონეტებზე, კერძოდ ვახტანგ III-ის დრაქმებზე, რომელთა თარიღია 1298/99, 1299/1300 წლები, ამიტომ ევგ. პახომოვი მეორე ვარიანტს აძლევს უპირატესობას.

მაგრამ თუ დაკვირვებით შევუდარებთ ერთმანეთს გურგენის სახელით მოჭრილ და ამ უკანასკნელ მონეტებზე ამოკვეთილ ასოთა პალეოგრაფიულ მოხაზულობას, ჩვენი აზრით, ეჭვს არ უნდა იწვევდეს მათი გრაფიკული და შინაარსობრივი იდენტურობა. საკვლევ მონეტებზე Ղ და Հ უბრალოდ შეერთებულია. ესეც არ იყოს, გაჭირდება კიდევ ერთი უცნობი ერისმთავრის – ვახტანგის (ქვემოთ ვნახავთ, რომ იგი ამ პოსტზე მარტო არაა) მოთავსება გურგენსა და სტეფანოსს შორის.

ვინ არის ეს გურგენი?

ქართულ საისტორიო ლიტერატურაში გურგენი გაიგივებულია ქართულ წყაროებში მოხსენიებულ გუარამთან. „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ის ავტორი გვაუწყებს: „ნელად-რე შეკრბა ქართლი და განაჩინეს ერისთავად გუარამ". ჯუანშერი ამ ფაქტს ასე გადმოგვცემს: „მაშინ კეისარმან აღასრულა თხოვა მათი (ე. ი. ქართველების – გ. დ.) და მისცა მეფედ დისწული მირდატისი ვახტანგის ძისა, ბერძნის ცოლისაგან, რომელსაც ერქუა გუარამ..." ვახუშტის მიხედვით „ესე გუარამ მეფე იყო ფრიად მორწმუნე და მაშენებელი ეკლესიათა" და მეფობდა იგი 575-600 წლებში.

მაგრამ ქართული წყაროები გვიანდელია. უცხოურ სინქრონულ წყაროებში კი იხსენიება არა გუარამი, არამედ გურგენი. აშკარად არ უნდა იყოს მართალი ვახუშტის ქრონოლოგია (ამას ყურადღება მიაქცია ჯერ კიდევ აკადემიკოსმა გიორგი ჩუბინაშვილმა და სათანადოდ შეასწორა კიდეც: 545-586 წწ.). თუ კი გუარამი მეფობდა 575-600 წლებში, მაშინ რატომ აწერია VI საუკუნის 80-იან წლებში მოჭრილ მონეტას გურგენის და არა გუარამის სახელი? ხომ არ შეიძლება სერიოზულად ვიფიქროთ, რომ ქართლის ერისმთავარს გუარამს სხვისი სახელით – გურგენის სახელით მოეჭრა მონეტა?

როგორც ცნობილია, 571 წელს ქართლში სპარსელთა ტირანიის წინააღმედგ აჯანყებამ იფეთქა, რომელსაც VI საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიკოსის თეოფანე ბიზანტიელის ცნობით, გორგენი (გურგენი) წინამძღოლობდა.

ამრიგად, თეოფანე ბიზანტიელის ცნობის თანახმად, გურგენი 571 წლისთვის უკვე ენერგიული ეროვნული მოღვაწეა, ხოლო მონეტების მიხედვით მას ქართლის ერისმთავრის ტახტი უკავია 586 წლიდან მაინც. სადღა უნდა მოთავსდეს გუარამი?! სწორედ ამ წინააღმდეგობამ აიძულა აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია გუარამის ვინაობის საკითხი საკამათოდ მიეჩნია.

ორში ერთი: ან გუარამი და გურგენი ორი სხვადასხვა პიროვნებაა (რაც ნაკლებ მოსალოდნელია), ან რეალური პიროვნება არის გურგენი და არა გუარამი.

როგორ უნდა დათარიღდეს გურგენის მონეტები? ნაწილობრივ ჩვენ უკვე გავეცით პასუხი ამაზე. ის აშკარად 586 წლის შემდეგაა მოჭრილი, მაგრამ მისი ემისიის ხანა 590 წელს არ უნდა გადასცილდეს.

VI საუკუნის 70-80-იან წლებში ქართლის ინტეგრაციის პროცესი იწყება. ამ დიდი ეროვნული საქმის მებაირახტრედ უდავოდ დიდი პიროვნება – გურგენი მოჩანს. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ მან პირველმა შეძლო ისეთი დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო ღონისძიების გატარება, როგორიც სამონეტო რეგალიაა. მართალია, ეს პირველი ცდა თითქოს შენიღბულიც კი არის: ქართული მონეტა სასანური დრაქმის ზუსტი ასლია. მხოლოდ ორი ქართული ასო, ან მონოგრამაა დამოუკიდებელი პოლიტიკური ტენდენციის მანიშნებელი, რომელიც ქართული ნერა-კითხვის უცოდინარ სპარსელს შეიძლებოდა არც კი შეემჩნიათ, მით უმეტეს, მათი მიმოქცევის მასშტაბები უდავოდ ლოკალური უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს მაინც დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური ჟესტი იყო. ამ ნაბიჯის გადასადგმელად უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში უკვე მომზადებული იყო პოლიტიკური ნიადაგი.

571 წელს სომხეთში აჯანყებამ იფეთქა ირანელთა წინააღმდეგ ვარდან მამიკონიანის წინამძღოლობით. იმავე წელს აღდგა ქართლიც გურგენის თავკაცობით. მათ უკან დგას ბიზანტია. 572 წელს აჯანყებულმა სომხებმა მუსრი გაავლეს დამსჯელ ექსპედიციას მარზპან სურენის მეთაურობით, ხოლო თვით მარზპანი მოკლეს. ქართველებს კი ირანელთა სარდალი გოლონ მიჰრანი დაუმარცხებიათ.

576-577 წლებში ბიზანტია-ირანს შორის კვლავ იწყება საზავო მოლაპარაკება. 579 წელს გარდაიცვალა ხოსრო I და ტახტს მისი შვილი ჰორმიზდ IV (579-590 წწ.) იკავებს. ბიზანტია-ირანის ომმა ისევ ახალი ძალით იფეთქა.

589 წელს ბიზანტიელები ამარცხებენ მოწინააღმდეგეს ნისიბისის ახლოს. გარდა ამისა, ირანის შაჰის წინააღმდეგ აჯანყების დროშას ააფრიალებს უაღრესად ენერგიული და ნიჭიერი პიროვნება ბაჰრამ ჩუბინი, ირანის იმპერიის სახელგანთქმული სარდალი. ამით სარგებლობს ოპოზიციის მეორე ფრთა – სამხედრო არისტოკრატია და ქურუმები. ისინი ერთიანდებიან, 590 წლის 6 თებერვალს ტახტიდან ჩამოაგდებენ ჰორმიზდ IV-ს და თვალებს დათხრიან. 590 წლის 15 თებერვალს ტახტს ხოსრო II იკავებს, მაგრამ მცირე ხნით. ვერც ახალი შაჰი უმკლავდება ძლევამოსილ სარდალს, ძლივს დააღწევს თავს მის ბრჭყალებს და ირანის შაჰან-

შაჰი თავის მოსისხლე მტერთან – ბიზანტიის იმპერატორთან! – გარბის და მისგან თხოულობს შველას უზურპატორის წინააღმდეგ.

ჩვენი აზრით, სწორედ ამ ხანებში – 589 წლის ბოლოსა და 590 წლის გაზაფხულზე – უნდა განეხორციელებინა გურგენს თავის სამონეტო რეგალია. ძნელი წარმოსადგენია ამაზე მეტად ხელსაყრელი მომენტი და, როგორც ჩანს, იგი სათანადოდ გამოიყენა კიდეც ქართლის ერისმთავარმა.

ამავე პერიოდით უნდა დათარიღდეს აგრეთვე სხვა წყაროებით უცნობი ქართლის ერისმთავრის ჯონბერ, ან ჯუანშერის სახელით მოჭრილი უნიკალური მონეტა. ის ისეთივეა, როგორც გურგენის მონეტები, ოღონდ გურგენის აღმნიშვნელი ასოები შეცვლილია ორი ასომთავრული ნიშნით: ჯო (ტაბ. VI, № 39).

პირველად ეს მონეტა გამოაქვეყნა მიხეილ ბარათაშვილმა და მიაკუთვნა მეფე ჯუანშერს (718-786 წწ.). ი. ბართოლომეიმ კი „ჯო" გაშიფრა როგორც – ჯავახეთი. 1852 წელს გამოქვეყნებულ თავის პირველ მონოგრაფიაში ქართული ნუმიზმატიკის შესახებ, ვ. ლანგლუამ მხარი დაუჭირა ამ ასოთა მნიშვნელობის მ. ბარათაშვილისეულ ინტერპრეტაციას.

1858 წელს ი. ბართოლომეიმ წამოაყენა სრულიად ახალი მოსაზრება: „ჯო" მან წაიკითხა როგორც „ჯვარო".

ჯერ კიდევ მ. ბროსე კატეგორიულად გამოვიდა ასეთი წაკითხვის წინააღმდეგ იმის გამო, რომ ასოები ამოკვეთილი იყო მეფის გამოსახულებასთან და ლოგიკურად არ შეიძლებოდა სხვა რამეს დაკავშირებოდა, თუ არა პიროვნებას (მეფეს, ერისმთავარს).

ჩვენი აზრით, „ჯო"-ს გაშიფრვის ყველა მისაღები ვარიანტია მისი გაიდენტურება ჯონბერ-ჯუანშერთან. მართალია, ასეთი დაქარაგმება ამ სახელისა ჩვენთვის ცნობილი არაა (განა კი ბევრი გვაქვს ამ ეპოქის ძეგლები?), მაგრამ სხვა საბუთები ამ უკანასკნელი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს.

როგორც ჯერ კიდევ მ. ბროსე აღნიშნავდა, ეს ორი ასო ამოკვეთილია მეფის ბიუსტის ზემოთ და ამ შემთხვევაში არ შეიძლება ნიშნავდეს სხვა რამეს, თუ არა პოლიტიკური მოღვაწის სახელს. განა გურგენის მონეტებზე იმავე ადგილას ამოტვიფრული ასოები ქართლის ერისმთავარს არ აღნიშნავს? მაშ რატომ უნდა ჩავდოთ „ჯო"-ში სხვა შინაარსი?!

სრულებით გაუგებარია და დაუსაბუთებელი მათი წაკითხვა როგორც „ჯვარო" (ან „ჯვარი უფლისაჲ"), ან „ჯავახეთი". მონეტაზე არავითარი ჯვარი არაა გამოსახული და, ამდენად, ასეთი ინტერპრეტაცია უბრალოდ ჰაერშია გამოკიდებული და არაფერს უკავშირდება. ეს მომენტი უნდა გაითვალისწინონ ამ უკანასკნელი მოსაზრების თანამედროვე დამცველებმაც, რომლებიც თეორიული ხასიათის დასკვნების წამოყენებით არიან გატაცებულნი და არ უწევენ ანგარიშს კონკრეტულ ნუმიზმატიკურ მასალას, მის მონაცემებს. რაც შეეხება „ჯავახეთს", ქართული ნუმიზმატიკიდან ვერ დავასახელებთ ვერცერთ პრეცედენტს, როდესაც ზარაფხანად მთელი პროვინცია იყოს დასახელებული და ისიც მონეტის შუბლზე.

ამრიგად, ჯონბერ//ჯუანშერი წერილობითი წყაროებით უცნობი ერისმთავარია, რომელიც გურგენის შემდეგ ჩანს სამოლვანეო ასპარეზზე, მაგრამ მეტად ხანმოკლე დროით, შეიძლება ერთი წლით ან რამდენიმე თვითაც კი (მონეტის უნიკალობაც ამის მოწმობაა).

ჯონბერ//ჯუანშერის მონეტაზე მოთავსებული დამახინჯებული თარიღი (და სხვა დეტალებიც) ადასტურებს, რომ იგი უკვე გურგენის დრაქმის მინაბაძია და არა ორიგინალური სასანური მონეტისა. დრო მისი ემისიისა 590-591 წწ. უნდა შემოიფარგლოს.

590 თუ 591 წელს კეისარ მავრიკეს (582-602 წწ.) რაზმების დახმარებით ხოსრო II ილაშქრებს „ტირანის" ბაჰრამ ჩუბინის წინააღმდეგ და 591 წლის დასაწყისში იბრუნებს ტახტს.

591 წლის გაზაფხულზე რატიფიცირებული იქნა საზავო ხელშეკრულება ბიზანტია-ირანს შორის. ხოსრო II-ს დიდი კომპენსაციის გაღება მოუხდა ბიზანტიის სასარგებლოდ. მან დათმო სომხეთის დიდი ნაწილი და ქართლი თბილისამდე. გარდა ამისა, ხოსრო II ნება დართო ირანის ტერიტორიაზე ქრისტიანული ეკლესიის მშენებლობისა. უფრო მეტიც: ქრისტიანობამ ხოსრო II-ის მმართველობისას ისეთი პრივილეგიები მოიპოვა, რომ ის მაზდეანობის მეტოქედ იქცა თვით იმპერიის შიგნით. ცნობილი მეცნიერი ნ. პიგულევსკაია წერს: „Христианство становилось противником маздеизма, были основания подозревать самого царя в том, что он тайный христианин". ხოსრო II-ის კონფესიური პოლიტიკა ყოველთვის უნდა გვქონდეს მხედველობაში ქვემოთ, როდესაც მსჯელობა გვექნება ჯვრის გამოსახულებიან ქართულ-სასანურ მონეტებსა და მცხეთის ჯვრის ტაძრის მშენებლობასთან დაკავშირებით.

ათი წლის განმავლობაში ბიზანტია-ირანის ზავი არ დარღვეულა.

ამ ხანებში, კონკრეტულად 591-593 წლებში უნდა იყოს მოჭრილი ე. წ. ქართულ-სასანური მონეტების ანონიმური სერიის ორი ჯგუფი: პირველი – მონეტები ჯვრის გამოსახულებით ავერსზე, მეფის ბიუსტის გვერდით; მეორე – მონეტები კვარცხლბეკზე აღმართული ჯვრით – რევერსზე (ტაბ. VI, № 42).

ორივე ჯგუფი მონეტებისა ხუთ-ხუთი ცალის რაოდენობითაა ჩვენამდე მოღწეული (დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და ერმიტაჟში, შესაბამისად, 4+3; 1+2). კვარცხლბეკზე აღმართული ჯვრის გამოსახულებიანი მეექვსე მონეტა აღმოჩენილია 1900 წელს ძველ ბაბილონში არქეოლოგიური გათხრების დროს მიკვლეული უზარმაზარი განძის შემადგენლობაში.

ამ მონეტების ქრონოლოგიის დადგენა ფორმალური მაჩვენებლებით, კერძოდ, მათზე მოთავსებული დამახინჯებული ფალაური თარიღების მიხედვით, ჩვენი აზრით, შეუძლებელია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ თვით მათი წაკითხვა პირობითია, ხოლო მეორეც, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ეს თარიღები მხოლოდ იმას მოწმობს, თუ რომელ წელს მოჭრილ ორიგინალ სასანურ დრაქმებს ბაძავს ქართულ-სასანური მონეტები.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მაინც შევჩერდებით ამ თარიღებზე.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კუთვნილ მონეტებზე, რომლებზედაც ჯვარი შაჰის ბიუსტთანაა გამოსახული, თითქოს უნდა იკითხებოდეს ექვსი და შვიდი (მაგრამ კატეგორიულად ამის მტკიცება არ შეგვიძლია). იმავე ტიპის მონეტაზე, რომელიც ე. პახომოვის მიერაა გამოქვეყნებული, გარკვევით იკითხება რვა.

მონეტებზე, რომელთა ზურგზე კვარცხლბეკზე აღმართული ჯვარია გამოსახული, თარიღები კიდევ უფრო დამახინჯებულია. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეგზემპლარებზე ძალიან დიდი პირობითობით შეიძლება ექვსის და შვიდის გარჩევა.

ასე რომ, ამ მონეტების ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენისას უნდა ვიხელმძღვანელო ლოგიკური კატეგორიებით და გავითვალისწინოთ ისტორიული სიტუაცია.

სასანური ტიპის მონეტებზე ჯვრის მოთავსება რევოლუციური აქციაა და ის, ჩვენი აზრით, გაცილებით უფრო გაბედული ნაბიჯია, ვიდრე ქართული ასოების ამოკვეთა მეფის გამოსახულებასთან. ამ ღონისძიებით, ფაქტობრივად, ქართლმა საქვეყნოდ განაცხადა თავისი ეროვნული პრეტენზიები. კიდევ მეტი: ქართლის რომელიღაც რადიკალურად განწყობილმა ერისმთავარმა მაზდეანობის ემბლემა – წმინდა ცეცხლი, საერთოდ განდევნა მონეტიდან და მის ადგილას (კვარცხლბეკზე) დემონსტრაციულად ქრისტიანული რელიგიის ემბლემა – ჯვარი აღმართა. ეს შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქართლი ბიზანტიის ეგიდის ქვეშ მოექცა, ე. ი. 591 წელს და მის შემდგომ ხანებში.

ახლა თუ გავიხსენებთ სტეფანოსის მონეტების ზურგის კომპოზიციას – კვარცხლბეკზე ამაყად აღმართული ჯვარი, ისეთივე როგორც ე. წ. ქართულ-სასანური ანონიმური დრაქმების ერთ ჯგუფზე – თავისთავად დგება საკითხი ჯვრის გამოსახულებიანი ანონიმური მონეტების სტეფანოსისადმი მიკუთვნების შესახებ. ყოველ შემთხვევაში, კვარცხლბეკზე აღმართული ჯვრის გამოსახულებიანი ანონიმური მონეტები, ჩვენი მტკიცე რწმენით, არ შეიძლებოდა სხვა ვინმეს მოეჭრა, თუ არა სტეფანოსს. ამის სასარგებლოდ, ჯერ ერთი, მიუთითებს მონეტათა ზურგის საერთო ტიპი (კვარცხლბეკზე აღმართული ჯვარი) და, მეორეც, ის რომ იდენტურია მათი ნიშნები, რომლებიც ჩანაფიქრის თანახმად, ზარაფხანას უნდა აღნიშნავდეს.

ევოლუცია ამ სამონეტო ტიპისა ჩვენ ასე გვესახება: თავდაპირველად სტეფანოსმა, პოლიტიკური კონიუნქტურის შეცვლის დასაწყის ხანაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, პოლიტიკური ხასიათის ზონდაჟი ჩაატარა. თავის მონეტაზე, მეფის გამოსახულებასთან, მინიატიურული ჯვარი მოათავსა. ეს, ალბათ, უნდა მომხდარიყო ირან-ბიზანტიის ზავის დადების პირველ ხანებში, როდესაც ზავის პირობები პრაქტიკულად ჯერ კიდევ არ იყო რელიეფურად გამოკვეთილი. შემდეგ კი უნდა განხორციელებულიყო დანარჩენი სამონეტო ჯგუფის ემისია (შესაბამისად, ანონიმური მონეტები ჯვრის გამოსახულებით კვარცხლბეკზე და წარწერიანი დრაქმები).

როგორც ვხედავთ, სტეფანოსის ზეობის დაწყების აკადემიკოს გ. ჩუბინაშვილისეული თარიღი – 590 წელი, არსებითად ახლოა ჭეშმარიტებასთან. შეიძლება ეს არ მომხდარიყო მაინცდამაინც 590 წელს, შეიძლება ეს მოხდა 591 წელს (აღსანიშნავია, რომ ცნობილი მეცნიერის ვახტანგ ჯობაძის მიხედვითაც, სტეფანოსის მმართველობის ხანა 591-604 წწ. შორის უნდა ვივარაუდოთ), მაგრამ, ვფიქრობთ, ამას ამჯერად არ აქვს პრინციპული მნიშვნელობა.

მონეტებზე გამოსახულ კვარცხლბეკზე აღმართულ ჯვართან დაკავშირებით საჭიროა ერთ მომენტს მიექცეს კიდევ ყურადღება.

პროფესორი ნიკო ჩუბინაშვილი წერს: ქართლის ერისმთავრები, რასაკვირველია, „ცეცხლთაყვანისმცემელთა ემბლემას არ დაუპირისპირებდნენ მემორიალურ, სამარხის სტელა-ჯვარს. სრულიად ბუნებრივია, რომ მათ ქრისტიანული თავისი ეროვნული სიმბოლო სტელა-ჯვარი დაუპირისპირეს"... „ამ მონეტებზე უდავოდ გამოხატულია არა მემორიალური, არა საფლავის სტელა, არამედ ქართული ადრექრისტიანული სტელა-ჯვარი". და შემდეგ: „VI საუკუნის დადგენილი ტრადიციით ქართლში მოჭრილ მონეტებზე ჩვეულებრივად გამოხატულია ფართოდ ცნობილი და კარგად ათვისებული ობიექტები". ჩვენი აზრით, ეს სავსებით სწორი დებულებაა.

მაგრამ რომელია VI საუკუნის ქართლში ეს, ნ. ჩუბინაშვილის სიტყვებით, „... ერის გამაერთიანებელი გაბატონებული იდეოლოგიის მკვეთრი გამომხატველი" და „კარგად ათვისებული" სტელა-ჯვარი? ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს წმ. ნინოს მიერ აღმართული ჯვარი მაღალ მთაზე, არაგვის შესართავთან, სადაც ახლა ქართული ხუროთმოძღვრების სიამაყე – მცხეთის ჯვრის ტაძარი დგას. ტაძარზე ადრე აქ, ღია ცის ქვეშ, ჯვარი ყოფილა აღმართული, რომელიც ორნახევარი საუკუნის მანძილზე ქართველი ხალხის უდიდესი თაყვანისცემის საგანი იყო (ნიკო ჩუბინაშვილი. „ქვემო ქართლის სტელა-ჯვრები", „ძეგლის მეგობარი", კრებული № 30, 1972, გვ. 39). „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ის ავტორი გვაუწყებს: „ხოლო ესე სასწაულთაგან ზეცისათა ჩუენებული პატიოსანი ჯვარი მცხეთისა აღვიპყარით კელითა კაცობრივითა და მივედით ბორცუსა მას ქუეშე... და ხვალის დღჱ აღვედით კლდესა მას ზედა... და დასდვა კელი წმიდამან ნინო ერთსა ქვასა და მრქუა მე: „მოვედ, შენდა ჯერ-არს, დასწერე ჯუარი ქვასა ამას. და მე ვყავ ეგრეთ და მუნ აღჰმართეს ჯუარი იგი დიდებით მეფეთა და მოდრკა მეფჱ მუკლთა თჳსთა ზედა და ყოველნი მთავარნი და ყოველი სიმრავლჱ ერისა და თავყუანის-სცეს ძლევით შემოსილსა ჯუარსა". როგორც ცნობილია, სწორედ ამ ჯვრითაა შთაგონებული მცხეთის ჯვრის ტაძრის არქიტექტურული ფორმა. სწორედ ამ ჯვრის, ქართველი ხალხის წმინდა სალოცავის, მინიატიურული გამეორება უნდა იყოს აგრეთვე სტეფანოსის მონეტების რევერსზე გამოსახული კვარცხლბეკზე აღმართული ჯვარი. ყოველ შემთხვევაში, იდეა აქედან უნდა მომდინარეობდეს. მართლაც, რა უნდა დაეპირისპირებინა ქართველი ხალხის მებაი-

რახტრეს ზოროასტრიზმისათვის, თუ არა უპირველესი და უწმინდესი ეროვნული სალოცავი?

აკადემიკოს გ. ჩუბინაშვილს გამორკვეული აქვს, რომ მცხეთის ჯვრის დიდი ტაძრის მშენებლობა VI საუკუნის 90-იან წლებში იწყება. ყველა ნიშნის მიხედვით, ჯვრის გამოსახულებიანი მონეტების ემისია და ტაძრის მშენებლობის დაწყება-დამთავრება სინქრონულია. თავისი პოლიტიკური მნიშვნელობით (სხვა ასპექტებს ჩვენ, ცხადია, არ ვეხებით) ეს ორი მომენტი (მონეტის მოჭრა და ტაძრის მშენებლობა) ტოლფასოვანი ღონისძიებანია. ორივე მათგანს, მინიატიურულ მონეტას და გრანდიოზულ ტაძარს ერთი და იგივე პოლიტიკურ-იდეოლოგიური ფუნქცია აკისრია: საქვეყნოდ განცხადება მაზდეანობის აღსასრულისა ქართლში და ქრისტიანული რელიგიის (მაშასადამე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი პოლიტიკის) აპოთეოზსა. და ეს არ შეიძლება განხორციელებულიყო ორ სხვადასხვა ისტორიულ მონაკვეთში, ორი სხვადასხვა პიროვნების მიერ.

მცხეთის ჯვრის დიდი ტაძრის მშენებლობისათვის ხელი შეეძლო მოეკიდა მხოლოდ იმას, ვინც გაბედა ირანის შაჰის ბიუსტის გვერდით თავისი სახელი ამოეკვეთა, ვინც გაბედა ზოროასტრიზმის ემბლემა წმინდა ცეცხლი მისი ანტიპოდით, ქრისტიანული რელიგიის სიმბოლოთი – ჯვრით შეეცვალა. და გაბედა იმიტომ, რომ ისტორიული პირობები იძლეოდა ამის საშუალებას. გაბედა იმიტომ, რომ „ნელადრე შეკრბა ქართლი", იმიტომ, რომ 591 წლის ხელშეკრულების თანახმად, ქართლი ბიზანტიის გავლენის სფეროში მოექცა, იმიტომ, რომ ირანის ახალი მბრძანებლის კონფესიური პოლიტიკაც იძლეოდა ამის საშუალებას. სხვა ისტორიულ მონაკვეთში ამ ორი, ჭეშმარიტად რევოლუციური ღონისძიების (სამონეტო ემისია და ტაძრის მშენებლობა) გატარება, ან მათი ურთიერთიზოლირება ძნელი წარმოსადგენია. ამისათვის სათანადო პირობები არ არსებობდა 591 წლამდე, ამისათვის სათანადო პირობები არ არსებობდა VII საუკუნის პირველი წლების შემდეგ[8].

როგორც ცნობილია, სტატუსკვო ბიზანტიასა და ირანს შორის გაგრძელდა 602 წლამდე. 602 წელს იმპერატორი მავრიკე ტახტიდან ჩამოაგდეს. ხოსრო II, რომელიც შესაფერის დროს ელოდა, დაუყოვნებლივ ჩაერია ბიზანტიის შინაურ საქმეებში. მან რამდენსამეგზის სასტიკად დაამარცხა მოწინააღმდეგე, აღადგინა თავისი პოზიციები სომხეთსა და ქართლში და კონსტანტინოპოლამდე მიაღწია. მეტად სიმპტომატური ფაქტია, რომ ჩვენამდე არ მოუღწევია ადარნასესა და ვარსამუსეს მონეტებს, რომლებთაც სტეფანოს I-ის შემდეგ ეკავათ ქართლის ერისმთავართა ტახტი.

ამ საკითხებზე ასე დაწვრილებით ჩვენ იმიტომაც შევჩერდით, რომ იყო ცდები მცხეთის ჯვრის ტაძრის VII საუკუნის შუა ხანებით დათარიღებისა (კ. თუმანოვი, პ. მურადიანი).

ერთ-ერთი „არაპირდაპირი" არგუმენტი ამ მოსაზრების ავტორებისა სტეფანოსის სახელით მოჭრილი მონეტებიც იყო, რომლებიც ზოგადად ქმნიდა

შთაბეჭდილებას საქართველოში ისტორიული ვითარების შესახებ VI საუკუნის დასასრულს, VII საუკუნის დასაწყისსა და VII საუკუნის შუა ხანებში. ვინაიდან სრული ქართულწარწერიანი მონეტა, რომელსაც შეცდომით სტეფანოს II-ს აკუთვნებდნენ, ქართლის პოლიტიკური დამოუკიდებლობის აშკარა მაჩვენებელია, ამიტომაც VII საუკუნის შუა ხანები იქნა მიჩნეული ტაძრის მშენებლობისათვის შესაფერის ეპოქად.

ცხადია, ამ არასწორი მოსაზრების მომხრენი არ დარჩენილან კრიტიკული პასუხების გარეშე, მაგრამ ნუმიზმატიკური მასალა იქ არ იყოს სათანადო სიღრმით მოხმობილი. ვფიქრობთ, სტეფანოსის სახელით მოჭრილი მონეტების რეატრიბუციით ასეთ გაუგებრობას ადგილი აღარ ექნება.

შემდეგ საბუთად სტეფანოს II-ის ხანაში მცხეთის ჯვრის ტაძრის აგების სასარგებლოდ მოჰყავთ ქართული წყაროების ერთსულოვანი (იმდენად ერთსულოვანი, რომ ერთიმეორისაგან გადაწერის, ან ერთი საერთო სათავის არსებობის შთაბეჭდილება იქმნება) ჩვენება სტეფანოს I-ის „ურწმუნოების" შესახებ. აი ისინიც.

ჯუანშერი: „... ხოლო ეს სტეფანოზ იყო ურწმუნო და უშიში-ღმრთისა, არა ჰმსახურა ღმერთსა, არც ჰმატა სჯულს და ეკლესიათა".

„შიოს სასწაულები": „... იყო კაცი ამპარტავანი და ბოროტთა შურითა აღსავსე და ეკლესიათა ფრიად ძჯრსა უყოფდა".

ვახუშტი: „... ხოლო იყო ესე სტეფანოზ ურწმუნო და უშიში ღვთისა".

ამაზე დიდი ისტორიული უსამართლობა ძნელი წარმოსადგენია. როგორ შეიძლება ანტიქრისტედ გამოაცხადო ადამიანი, რომელმაც მცხეთის ჯვარი ააშენა, რომელმაც თავის მონეტაზე, მაზდეანური წმინდა ცეცხლის ნაცვლად, ჯვარი აღმართა, ე. ი. ქრისტიანული რელიგიის ალმით აწარმოა ანტიირანული ბრძოლა?! რომელი ურწმუნო ათავსებს ჯვარს თავის მონეტაზე?!

ისტორიკოსის ამოცანა ის კი არაა, რომ ჩაეჭიდოს ქართული წყაროების ვერსიას სტეფანოს I-ის ერეტიკოსობის შესახებ და შეუძლებელი ამტკიცოს (ამ ცნობების გასაბათილებლად მარტო ჯვრის გამოსახულებიანი მონეტებიც კმარა!), არამედ გამოარკვიოს ამ ვერსიის შექმნის მიზეზები.

შესაძლებელია, ახლოს იყო ჭეშმარიტებასთან პროფესორ ზაზა ალექსიძის აზრი, რომელსაც ასეთი კვალიფიკაციის მიზეზად სტეფანოს I-ის მონოფიზიტობა მიაჩნია (როგორც ცნობილია, ქრისტიანობაში ორი ძირითადი მიმართულება იყო: მონოფიზიტობა და დიოფიზიტობა. პირველი აღიარებდა ქრისტეს ერთბუნებიანობას, მის მხოლოდ ღვთაებრივ ბუნებას, მეორე კი თვლიდა, რომ ქრისტეს ორი ბუნება ჰქონდა – ღვთაებრივი და ადამიანური. ამ ორ მიმდინარეობას შორის ბიზანტიაში დიდი ბრძოლა წარმოებდა, რომელიც ბოლოს დამთავრდა დიოფიზიტების გამარჯვებით. 451 წელს ქალკედონის მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით ბიზანტიაში მონოფიზიტობა აიკრძალა). გვიანდელი ქართული წყაროების ქალკედონური რწმენის ავტორებმა, ჩანს, უბრალოდ არ

დაინდეს მონოფიზიტი სტეფანოსი (მაგრამ ამისათვის ეჭვმიუტანლად უნდა დავამტკიცოთ სტეფანოსის მონოფიზიტობა).

შესაძლებელია, ასეთი ვერსიის სათავე გახდა სტეფანოს I-ის ცდა საეკლესიო მიწების სეკულარიზაციისა (ანუ საეკლესიო და სამონასტრო მიწების გადაქცევა სახელმწიფო საკუთრებად). სტეფანოს I-მა შიომღვიმის მონასტერს ფარსმან მეფისაგან მინიჭებული ორი აგარაკი „მისტაცა", მაგრამ შიოს მიერ მოხდენილი სასწაულების შედეგად ბრძოლა წააგო. და მოხდა საოცარი მეტამორფოზი: „ამიერითგანღა იწყო სტეფანოზ კეთილის ყოფად ეკლესიათა და პატივისა პყრობად ეპისკოპოზთა, მღვდელთა და მონაზონთა და ამანცა ფრიადი აშენა ეკლესიასა ზედა ჯუარისასა" („შიოს სასწაულები"). განა შეიძლება საერთოდ ვილაპარაკოთ ამ ცნობაზე დაყრდნობით სტეფანოს I-ის რწმენისა თუ ურწმუნოების შესახებ?

შესაძლებელია, მიზეზები კიდევ უფრო ღრმაა. გავიხსენოთ ბრძოლა საერო ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის ვახტანგ გორგასლის ეპოქაში. იმავე „შიოს სასწაულებში" სტეფანოსი ასე მიმართავს ბერებს: „მე მეფეთა საყდართა ვზი და თქვენ კი არარა მთავრობისა პატივი წინამიყავით". იქნება ამ კონკრეტულ შემთხვევაში არეკლილი იყოს საერო და საეკლესიო ხელისუფალთა ღრმა კონფლიქტი?

მაგრამ თანამედროვე ისტორიოგრაფიამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოაცილოს ამ დიდ პიროვნებას ეს დაუმსახურებელი ეპითეტი.

სამონეტო მიმოქცევა აღმოსავლეთ საქართველოში V საუკუნეში – VII საუკუნის პირველი ნახევარში

წინა თავში ჩვენ შევჩერდით ე. წ. ქართულ-სასანური დრაქმების მიმოხილვაზე და აღვნიშნეთ, რომ ისინი სასანური მონეტების მიხედვით არის მოჭრილი. თავისთავად ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ VI საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკაში პრევალირებული ადგილი ეჭირა სასანურ ვერცხლის მონეტებს, რომ ეს პერიოდი ქართული ნუმიზმატიკის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „სასანური" ხანაა. ეს ამასთანავე იმასაც ნიშნავს, რომ პოლიტიკურადაც ქართლი უფრო მეტად ირანზე იყო დამოკიდებული. ამ მოსაზრებას შესანიშნავად ადასტურებს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მიკვლეული (შემთხვევით თუ არქეოლოგიური გათხრების შედეგად) ირანის მრავალრიცხოვანი ნუმიზმატიკური მასალა (ცალკეული აღმოჩენები და განძები). საკმარისია აღინიშნოს, რომ მათი რიცხვი ორი ათასს აღემატება. მაგრამ ვიდრე უშუალოდ მათ განხილვაზე გადავიდოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ, რომ ეს მასალა კარგადაა შესწავლილი და პუბლიცირებული ქართველი სპეციალისტების – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ირინე ჯალაღანიასა და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის მედეა წოწელიას მიერ (იხ. И. Л. Джалаганиа. Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв., Тбилиси, 1979; Монетные клады Грузии. Клад сасанидских и византийских монет из Цители Цкаро, первая часть, Тбилиси, 1980, часть вторая, 1982; М. В. Цоцелия. Каталог сасанидских монет Грузии, Тбилиси, 1981). მათ მიერვე გამოთქმულია მრავალი საყურადღებო მოსაზრება საქართველოში ირანული მონეტების მიმოქცევასთან დაკავშირებით.

ირანული ეპიგრაფიკული ძეგლების მიმოხილვამ მეცნიერები მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ სასანიანების მიერ იბერიის ფორმალური ჩართვა საკუთარ გავლენის სფეროში მოხდა III საუკუნის შუა ხანებისთვის. ნუმიზმატიკური მასალაც იმას მოწმობს, რომ III საუკუნის სასანური ვერცხლის მონეტების ხვედრითი წონა ქართლის სამონეტო ბაზარზე უმნიშვნელოა. ჯერჯერობით იბერიის ტერიტორიაზე აღმოჩენილია შესაბამისი ხანის შვიდი მონეტა: შაპურ I-ის (241-272 წწ.) – 4 (სამთავრო, ყარაღაჯი – სიღნაღის რაიონი, თბილისი, მუხრანი – კასპის რაიონი) და ვარაჰრან I-ისა (274-276 წწ.) – 3 (განთიადი – დმანისის რაიონი, ავრანლო – წალკის რაიონი და ნინოწმინდა – საგარეჯოს რაიონი).

ამის შემდეგ არის თითქმის საუკუნენახევრის წყვეტილი. სასანური მონეტები ქრება იბერიის ეკონომიკიდან. ძნელია ამ ფაქტს ახსნა მოეძებნოს. ირანს ხელი

არ აუღია ქართლის სრული დამორჩილების მცდელობაზე და ისიც ცნობილია, რომ 387 წელს ბიზანტიასთან დადებული ზავით ამიერკავკასია ირანის ვასალი გახდა. ეს როგორღაც უნდა ასახულიყო აღმოსავლეთ საქართველოს სამონეტო აღმოჩენებში, მაგრამ ეს ასე არ არის. იბერიის ბაზარზე სასანური დრაქმები V საუკუნის 30-40-იანი წლებიდან ჩნდება მხოლოდ. მაშ, რომელი მონეტები ცირკულირებს იბერიის ტერიტორიაზე III-V საუკუნეებში? III-IV საუკუნის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით, ხოლო რაც შეეხება V საუკუნის მასალას, როგორც აღმოჩენები მოწმობს, ეს, ალბათ, ბიზანტიური მონეტებია. ასე, მაგალითად, 1. იმპერატორ თეოდოსი II-ის (408-450 წწ.) სოლიდები, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ვითარებაში აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს შემდეგ პუნქტებში: თელავში, თეთრიწყაროს რაიონში, მცხეთაში, წინანდალში, ურბნისში (ქარელის რაიონი) – თითო-თითო ცალი. მისივე სპილენძის მონეტა ნაპოვნია დმანისში; 2. კეისარ მარკიანეს მეუღლის პულხერიას (450-457 წწ.) სოლიდი აღმოჩენილია დმანისის რაიონში; 3. ლეონ I-ის (457-474 წწ.) სოლიდები მიკვლეულია: ბოლნისის რაიონში – 2 ცალი, ხიდისთავში (გორის რაიონი), ახალგორის რაიონში; მისივე ვერცხლის მონეტების მინაბაძი სამი ცალის რაოდენობით აღმოჩენილია მცხეთის არქეოლოგიური გათხრების დროს.

ყველაფერი ეს იმის მაჩვენებელია, რომ V საუკუნის განმავლობაში ბიზანტიური მონეტა აღმოსავლეთ საქართველოს მთელს ტერიტორიაზე მიმოიქცევა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლეონ I-ის ვერცხლის მონეტის მინაბაძების აღმოჩენის ფაქტი მცხეთის მიდამოებში, რაც უცილობლად მიუთითებს ორიგინალების პოპულარობაზე იბერიაში.

ამრიგად, მიუხედავად სასანელთა დიდი მცდელობისა, III-V საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოს სამონეტო ბაზარი მაინც ძირითადად დასავლეთისკენაა ორიენტირებული. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, V საუკუნის 30-40-იანი წლებიდან ცირკულაციაში ერთვება სასანური დრაქმებიც (ვარაჰრან V-ის (421-439 წწ.), იეზდიგერდ II-ის (439-457 წწ.), ფეროზის (459-484 წწ., ბალაშის (484-488 წწ.), ზამასპის (496-498 წწ.)). მაგრამ უფრო სწორია ვივარაუდოთ, რომ სასანური დრაქმების როლის გააქტიურება მაინცდამაინც V საუკუნის დასასრულიდან შეიმჩნევა, ვინაიდან დასახელებული მმართველების მონეტები ძირითადად VI საუკუნეში ჩამარხული განძების შემადგენლობაში შედის (ასე მაგალითად, 1828 წ. მცხეთაში აღმოჩნდა განძი, რომელიც 30-34 სასანურ მონეტას შეიცავდა. განძში შედიოდა ვარაჰრან V-ისა და იეზდიგერდ II-ის მონეტები, მაგრამ კომპლექსი ჩამარხული იყო ხოსრო I-ის – 531-579 წწ. დროს). ამის პოლიტიკური მიზეზი, ცხადია, ვახტანგ გორგასლის მარცხი იყო სპარსელების წინააღმდეგ ომში.

სასანური მონეტის გავრცელების ტოპოგრაფიის შესწავლამ საშუალება მისცა ირ. ჯალაღანიას აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამოეყო რამდენიმე ლოკალური რაიონი, სადაც ირანის დრაქმები განსაკუთრებით აქტიურ როლს თამაშობდა. ესენია: ერწო-თიანეთი, მცხეთა, ურბნისი, ქვემო ქართლი, ჰერეთი.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ერწო-თიანეთის „ქვეყანა". ეს რაიონი მდიდარია არქეოლოგიური ძეგლებით. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია, მოსაზრება, რომ აქ გადიოდა სავაჭრო მაგისტრალი, ე. წ. „შემოვლითი გზა". ეს იყო ტრანსკავკასიური სავაჭრო არტერიის (რომელიც იბერიას ალბანეთსა და სომხეთზე გავლით მახლობელ აღმოსავლეთთან აკავშირებდა) განშტოება, ალაზნის ველისა და მცხეთის დამაკავშირებელი ეკონომიკური ძარღვი. სწორედ ერწო-ჟალეთზე გამავალ ამ გზას, როგორც ამას ნუმიზმატიკური მასალაც მოწმობს, სასანურ ხანაში ჰქონია განსაკუთრებული მნიშვნელობა. ქვემოთ მოგვყავს ერწო-თიანეთის ზონაში სასანური მონეტების აღმოჩენის სია:

1. 1923 წელს სოფელ თოლენჯში (თიანეთის რაიონი) იპოვეს განძი, რომლის გადარჩენილი ნაწილის (71 ცალი) სია ასე გამოიყურება: 1. ფეროზი (459-484 წწ.) – 2 ცალი; 2. ბალაში (484-488 წწ.) – 2; 3. კავადი (488-531 წწ.) – 60; 4. ზამასპი (496-498 წწ.) – 1; 5. ხოსრო I (531-579 წწ.) – 6. განძის ქრონოლოგიური ჩარჩოებია 459-541 წლები. ჩამარხვის დრო – VI საუკუნის შუა ხანები.
2. სოფელ სიმონიანთხევში (თიანეთის რაიონი) 1924 წელს იპოვეს განძი, რომელიც გაიფანტა. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ 14 მონეტამ. ესენია: 1. ფეროზის სასანური დრაქმა – 1 ცალი; 2. კავადის – 11; 3. ხოსრო I-ის – 2. განძის ქრონოლოგიური ჩარჩოებია 459-536 წლები. ეს განძიც VI საუკუნის შუა ხანებშია ჩამარხული.
3. სოფელ გულელებში (თიანეთის რაიონი) მოიძიეს ფეროზის დრაქმა.
4. 1968 წელს სოფელ მაღრანეთში (თიანეთის რაიონი) აღმოჩნდა შერეული განძი 19 ცალის რაოდენობით, აქედან 12 სასანური დრაქმაა და დანარჩენი ბიზანტიური ჰექსაგრამები (ვერცხლის მონეტები). სასანური მონეტის სია ასე გამოიყურება: 1. ხოსრო I – 2 ცალი; 2. ჰორმიზდ IV (579-590 წწ.) – 7; 3. ხოსრო II (591-628 წწ.) – 3. ბიზანტიური მონეტები მოჭრილია იმპერატორ ჰერაკლეს (610-641 წწ.) და მისი შვილის ჰერაკლე-კონსტანტინეს მიერ 615 წლის შემდეგ. განძის ჩამარხვის თარიღად ვარაუდობენ VII საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულს.

უაღრესად საინტერესოა სასანური დრაქმებისა და ბიზანტიური ჰექსაგრამების ერთობლივი აღმოჩენის ფაქტი, რაც მათ პარალელურ ცირკულაციაზე მიუთითებს უდავოდ. ამასთან დაკავშირებით უთუოდ საინტერესოა ლიტერატურაში დაცული ერთი ცნობა: 1904 წელს თბილისის ძველ ნაწილში („მაიდანზე") აღმოჩნდა ასევე შერეული განძი სასანური და ბიზანტიური მონეტებისა, რომელიც 700-800 ცალისაგან შედგებოდა. სასანური მონეტები უმთავრესად ხოსრო II-ის (591-628 წწ.) დრაქმებს წარმოადგენდა, ხოლო ბიზანტიურები ისევ და ისევ ჰერაკლესა და ჰერაკლე-კონსტანტინეს ჰექსაგრამებს.

628 წელს, როგორც ცნობილია, იმპერატორ ჰერაკლეს მოკავშირე ხაზარებმა თბილისი აიღეს. ბიზანტიამ ამიერკავკასიაში გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. სწორედ ამ პოლიტიკური ვითარების ანარეკლია ზემოთ მოყვანილი განძების შემადგენლობაც, სასანური დრაქმებისა და ბიზანტიური ჰექსაგრამების ერთობლივი ცირკულაცია (მით უმეტეს, რომ ანალოგიური განძები ამიერკავკასიაში სხვაგანაცაა აღმოჩენილი).

ახლა შევეხოთ მცხეთის აღმოჩენებს.

1. 1930 წელს მის მიდამოებში აღმოჩნდა 41 სასანურ დრაქმისაგან შემდგარი განძი. იგი შეიცავს ბალაშის (484-488 წწ.), კავადის და ხოსრო I-ის მონეტებს. განძის ქრონოლოგიური დიაპაზონია 484-568 წლებში დამარხული უნდა იყოს VI საუკუნის ბოლოს.
2. 1953 წელს შემთხვევით იპოვეს ფეროზის დრაქმა.
3. სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ვითარებაში მცხეთის მიდამოებში აღმოჩნდა კავადის ოთხი დრაქმა.
4. 1961 წელს „მთა-ქართლის" არქეოლოგიური გათხრების დროს მიაკვლიეს ჰორმიზდ IV-ის ვერცხლის მონეტას.
5. იქვე აღმოჩნდა ხოსრო II-ის (591-628 წწ.) დრაქმა.

გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს ცნობა იმის შესახებ, რომ 1827 წელს სვეტიცხოვლის მიდამოებში იპოვეს სასანური მონეტების განძი, რომლის შემადგენლობაში შემავალი მონეტების ძირითადი ნაწილი მპოვნელმა გადაადნო.

მცხეთაში სასანური მონეტები, როგორც ეს სამართლიანადაა აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში, ჩანს, შემოდიოდა ორი არტერიით – „შემოვლითი გზით" და იმ მაგისტრალით, რომელიც კასტორიუსის რუკის მიხედვით იწყებდა არტაშატთან და აერთებდა სომხეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს (ამის შესახებ ჩვენ არაერთგზის ვწერდით წინა ნაწილებში).

დიდი მნიშვნელობა აქვს აღმოსავლეთ საქართველოს ფარგლებში სასანური მონეტების მიმოქცევის შესწავლის თვალსაზრისით ურბნისის აღმოჩენებს. ეს პუნქტი მდებარეობს მტკვრის მარცხენა სანაპირობზე, გორიდან 12 კმ-ის მოშორებით. ურბნისი მოხსენიებულია წერილობით წყაროებში როგორც ქალაქი ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მტკვრის გასწვრივ მიმავალმა დიდმა სავაჭრო გზამ ხელი შეუწყო მის აღმავლობას. არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა, რომ ურბნისმა, როგორც ადრეფეოდალურმა ქალაქმა, იარსება VIII საუკუნემდე. ურბნისი გაცხოველებულ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე მიუთითებს აგრეთვე აქ აღმოჩენილი სასანური მონეტებიც:

1. 1956 წელს არქეოლოგიური გათხრების დროს ურბნისში აღმოჩნდა ერთმანეთზე მიჟანგული შვიდი მონეტა. ქიმიური დამუშავების შემდეგ ისინი აღმოჩნდა: ა) კავადის (488-531 წწ.) – 4 და ხოსრო I-ის (531-579 წწ.) სამი დრაქმა.

2. 1960 წელს აქ იპოვეს 21 ვერცხლის სასანური მონეტისაგან შემდგარი განძი. ყველა მათგანი მოჭრილია ხოსრო II-ის (591-628 წწ.) სახელით. ყველაზე ადრეული მათ შორის მოჭრილია ხოსრო II-ის მმართველობის მეორე წელს, გვიანდელი – 24-ე წელს.

ამრიგად, განძის ქრონოლოგიური ჩარჩოებია 591-613 წლები და დამარხული უნდა იყოს VII საუკუნის პირველ მეოთხედში.

3. 1960 წელსვე ურბნისის არქეოლოგიური გათხრების დროს მიაკვლიეს შვიდ სასანურ მონეტას: ფეროზის – 1 ცალი, კავადის – 2, ხოსრო I-ის – 4.
4. იმავე წელს ადგილობრივმა მოსახლემ შემთხვევით მოიძია თერთმეტი სასანური დრაქმისაგან შემდგარი განძი. ყველა მონეტა მოჭრილია ხოსრო II-ის (591-628 წწ.) სახელით.
5. არქეოლოგიური გათხრების დროს ურბნისში იმავე წელს კვლავ აღმოჩნდა ხოსრო II-ის დრაქმა.

ამრიგად, ურბნისიდან მომდინარე ნუმიზმატიკური მასალა მოწმობს, რომ აქ V-VII საუკუნეებში წამყვანი ადგილი ეკავა სასანურ დრაქმებს. საქმის ვითარებას, ცხადია, არ ცვლის ამავე ტერიტორიაზე ბიზანტიის იმპერატორების თეოდოსი II-ის (408-450 წწ.) სოლიდისა და იუსტინე I-ის (518-527 წწ.) სპილენძის მონეტების აღმოჩენის ფაქტები.

შემდეგი ლოკალური რაიონი სასანური მონეტების ფართო გავრცელებისა არის ქვემო ქართლი. აქ აღმოჩენილი ადრეული სასანური მონეტების (ვარაჰრანის დრაქმების) შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით. ახლა ვიძლევით V-VI საუკუნეების ირანული მონეტების აღმოჩენათა სიას.

1. 1970 წელს ბოლნისში აღმოჩნდა ფეროზის (459-484 წწ.) სახელით მოჭრილი ვერცხლის მონეტების განძი ოცდაცხრა ცალის რაოდენობით.
2. წალკის რაიონის სოფელ სანთაში იპოვეს კავადის (488-531 წწ.) დრაქმა.
3. 1945-50-იან წლებში სოფელ სიონში (მარნეულის რაიონი) მოიძიეს ხოსრო I-ის (531-579 წწ.) მონეტა.

ქვემო ქართლის ტერიტორიაზე გავრცელებულ სასანურ მონეტებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: მას განაგებდა პიტიახში ვარსქენი, სწორედ ფეროზის თანამედროვე, რომელიც 482 წელს ვახტანგ გორგასალმა მოაკვლევინა. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ აქ მაინცდამაინც ფეროზის სახელით მოჭრილი მონეტების განძია აღმოჩენილი. ამიტომ, როდესაც ქვემო ქართლის ტერიტორიაზე გავრცელებულ სასანურ დრაქმებზე ვსაუბრობთ, ეკონომიკური ურთიერთობების პარალელურად, პოლიტიკურ მომენტსაც უნდა ვითვალისწინებდეთ.

დაბოლოს, უნდა შევეხოთ ისტორიული ჰერეთის საზღვრებში აღმოჩენილ სასანურ მონეტებს:

1. 1939 წელს სოფელ ბაისუბნის ახლოს (ლაგოდეხის რაიონი) მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა თიხის ქოთანი სასანური ვერცხლის მონეტებით. განძი გაიფანტა და მოხერხდა მხოლოდ ორი მათგანის განსაზღვრა – ერთი ეკუთვნოდა კავადს (488-531 წწ.) და მეორე – ჰორმიზდ IV-ს (579-590 წწ.).
2. 1958 წელს სოფელ ვაშლოვანში (ლაგოდეხის რაიონი) ასევე მიწის სამუშაოების დროს იპოვეს ხოსრო I-ის (531-579 წწ.) დრაქმა.
3. 1977 წელს წითელი წყაროს (დღევანდელი დედოფლის წყაროს) რაიონის სოფელ ოზაანის სავარგულებში მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა სასანური ვერცხლის მონეტების დიდი განძი. მოხერხდა 1278 ცალის შეგროვება, თუმცა განძის პუბლიკაციის შემდეგ კიდევ ათიოდე ცალი შემოვიდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში. შესწავლილი მონეტებიდან 1268 ცალი სასანური დრაქმაა, ხოლო 10 – ბიზანტიური ჰექსაგრამა. მმართველების მიხედვით ასეთნაირად ნაწილდება: 1. ხოსრო I (531-579 წწ.) – 96 ეგზემპლარი; 2. ჰორმიზდ IV (579-590 წწ.) – 743; 3. ხოსრო II (591-628 წწ.) – 429; 4. ჰერაკლე და ჰერაკლე-კონსტანტინე (615-631 წწ.) – 8; 5. ჰერაკლე, ჰერაკლე-კონსტანტინე, ჰერაკლიონი (632-641 წწ.) – 2; სასანური დრაქმების ქრონოლოგიური ჩარჩოები 87 წლით განისაზღვრება, სჭარბობს ჰორმიზდ IV-ის (579-590 წწ.) მონეტები. ბიზანტიური ჰექსაგრამები გამოშვებულია 615-641 წლებში. განძი, ალბათ, VII საუკუნის შუა ხანებში ან მეორე ნახევრის დასაწყისშია ჩამარხული. დაბოლოს, ამ განძთან დაკავშირებით უნდა შევეხოთ კიდევ ერთ საკითხს – საკითხს ზარაფხანების შესახებ. განძის შემადგენლობაში შემავალი მონეტები მოჭრილია სასანური იმპერიის 42 ზარაფხანაში, რომელთაგან თერთმეტის ლოკალიზაცია ვერ ხერხდება.
4. 1970 წელს შრომაში (თელავის რაიონი) აღმოჩნდა ხოსრო II-ის (591-628 წწ.) დრაქმა.

კახეთის აღმოჩენებთან დაკავშირებით კიდევ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ზონაში მიკვლეულია უფრო გვიანდელი, არაბული ხანის დირჰემების განძები, რომელთა შემადგენლობაში სასანური მონეტებიც შედის. ამის საფუძველზე ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებდა, რომ ირანული მონეტები ამ რაიონში გვიანაა შემოსული. წითელი წყაროს (დედოფლის წყაროს) განძის შემადგენლობამ, სადაც არცერთი არაბული მონეტა არ შედის, საბოლოოდ გააბათილა ეს მოსაზრება.

კახეთში სასანური მონეტების შემოსვლის გზის დადგენას, ცხადია, დიდი კვლევა-ძიება არ სჭირდება. ეს რაიონი უშუალოდ ეკვრის აზერბაიჯანს, სადაც მათ დომინირებული ადგილი ეკავა.

ვიდრე გამოვიტანდეთ ზოგად დასკვნებს სასანური მონეტების ცირკულაციის შესახებ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, საჭიროდ მიგვაჩნია დავუბრუნდეთ აქ ასევე გავრცელებულ ბიზანტიურ მონეტებს. V საუკუნის მასალისა და სასანურ განძებთან ერთად აღმოჩენილი ჰექსაგრამების შესახებ ჩვენ უკვე

ვწერდით. ახლა ვიძლევით აღმოსავლეთ საქართველოს ფარგლებში მიკვლეული VI საუკუნის – VII საუკუნის პირველი ნახევრის ბიზანტიური მონეტების სიას:

1. 1940-იან წლებში ნოსტეს (კასპის რაიონი) მიდამოებში იპოვეს იმპერატორ ანასტასი I-ის (491-518 წწ.) სპილენძის მონეტა.
2. 1872 წელს მცხეთაში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა იუსტინე I-ის (518-527 წწ.) სპილენძის მონეტა.
3. ასეთივე მონეტა აღმოაჩინა 1936 წელს დმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ.
4. 1950 წელს რუსთავის ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს იპოვეს ასეთივე მონეტა.
5. 1959 წელს უბრნისის გათხრების დროს აღმოჩნდა იუსტინე I-ის სპილენძის მონეტა.
6. მისივე სპილენძის მონეტა ნაპოვნია თბილისში 1961 წელს გორის ქუჩაზე.
7. 1961 წელს მცხეთაში არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ქვის სამარხში იუსტინიანე I-ის (527-565 წწ.) ვერცხლის მონეტა იპოვა.
8. 1961 წელს მცხეთის მიდამოებში მთა ქართლის ექსპედიციამ მავრიკე ტიბერიუსის (582-602 წწ.) სპილენძის მონეტას მიაკვლია.
9. 1902 წელს მცხეთის მიდამოებში ნავთსადენის გაყვანის დროს ნაპოვნია ჰერაკლესა (610-641 წწ.) და ჰერაკლე-კონსტანტინეს სახელით მოჭრილი ვერცხლის მონეტა.
10. 1936 წელს სოფელ წინწყაროში (თეთრიწყაროს რაიონი) ნაპოვნ მონეტებში ერთი ჰერაკლეს და ჰერაკლე-კონსტანტინეს სახელით მოჭრილი ჰექსაგრამაც იყო. ასეთივე მონეტა აქ აღმოჩნდა 1937 წელსაც.
11. 1936 წელს დმანისში არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა ჰერაკლე კეისრის სპილენძის მონეტა.
12. ჰერაკლეს და ჰერაკლე-კონსტანტინეს სახელით მოჭრილი ვერცხლის მონეტა იპოვეს 1937 წელს მცხეთის არქეოლოგიური გათხრების დროს არმაზისხევის უბანზე.
13. 1952 წელს სოფელ ჭანდრების (ქარელის რაიონი) ეკლესიაში მოიძიეს ჰერაკლეს და ჰერაკლე-კონსტანტინეს ჰექსაგრამა.
14. 1962 წელს სოფელ ჟებოტაში (თიანეთის რაიონი) წვიმისაგან გადარეცხილ სამარხთან იპოვეს ჰერაკლეს ვერცხლის მონეტა.

მოტანილი სია, რა თქმა უნდა, იმის მაჩვენებელია, რომ მთელი VI საუკუნეში, განსაკუთრებით კი VII საუკუნის პირველ ნახევარში, სასანურის პარალელურად აღმოსავლეთ საქართველოს ფულად მეურნეობაში ბიზანტიური მონეტებიც მონაწილეობს. მაგრამ თუ ხვედრით წონაზე ვისაუბრებთ, ცხადია, უპირატესობა სასანურ დრაქმებს ეკუთვნის. ნუმიზმატიკური მასალა ყოველგვარი ეჭვის გარეშე ადასტურებს, რომ პოლიტიკური მეტოქეობა ირანსა და ბიზანტიას შორის პირვე-

ლის უპირატესობით დამთავრდა, რასაც, ბუნებრივია, მოჰყვა მისი გაბატონება აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკაშიც.

მაგრანეთის, თბილისის („მაედანზე") და წითელი წყაროს (აგრეთვე ამიერკავკასიის სხვა პუნქტებში მიკვლეული კომპლექსების) განძების ანალიზის საფუძველზე, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ხსენებულ რეგიონში სამონეტო მიმოქცევის თავისებურება ისაა, რომ VII საუკუნეში აქ ერთდროულად ორი ვალუტაა დაკავებული: სასანური და ბიზანტიური. ამ მოსაზრებას ჩვენ არ ვხდით სადავოდ, მაგრამ ვნახოთ რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ზემოთ დასახელებულ სამი შერეული განძის შემადგენლობის ანალიზიდან.

მაგრანეთის განძი ძალიან მცირერიცხოვანია და ამიტომ შორს მიმავალი დასკვნების გამოტანა მასზე დაყრდნობით არ იქნება მართებული. თბილისის განძის ზუსტი შემადგენლობა ჩვენ არ ვიცით და კონკრეტული მსჯელობისათვის ის არ გამოდგება. დაგვრჩა წითელწყაროს განძი, სადაც შეფარდება ასეთია: 1268 სასანურ დრაქმაზე მოდის 10 ბიზანტიური ჰექსაგრამა. ეს ციფრები როგორლაც რეალურად ასახავს სასანური და ბიზანტიური მონეტების მეტოქეობას იბერიის ბაზარზე, რომელიც უპირატესად მაინც სასანური დრაქმებით იკვებება. ბიზანტიური ჰექსაგრამების გაჩენა აუცილებლად უკავშირდება ჰერაკლეს ლაშქრობას ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში. როგორც ცნობილია, 628 წელს მან თბილისი აიღო და აღმოსავლეთ საქართველოს დროებით თავისი გავლენის სფეროში მოაქცია. ეს იყო დროებით პოლიტიკური და სამხედრო გამარჯვება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ეკონომიკური. ეკონომიკურად ბიზანტიურმა ჰექსაგრამამ ვერ დაამარცხა სასანური დრაქმა, იბერია მაინც სასანიანთა იმპერიის გავლენის ქვეშ დარჩა.

ამრიგად, პირველი სასანური მონეტები აღმოსავლეთ საქართველოს ბაზარზე III საუკუნის პირველ ნახევარში ჩნდება (შაპურ I, ვარაჰრანი). მაგრამ ამას სპორადული ხასიათი აქვს და არავითარ შემთხვევაში არ მიუთითებს იბერიისა და ირანის რეგულარულ ეკონომიკურ ურთიერთობაზე. III-V საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოს ბაზარი მაინც დასავლეთისკენაა ორიენტირებული (რომაული და ბიზანტიური მონეტები).

V საუკუნის 30-40-იანი წლებიდან იბერიის სამონეტო ცირკულაციაში თანდათან ერთვება იეზდიგერდ II-ის, ფეროზის, ბალაშისა და კავადის დრაქმები. V საუკუნის დასასრულიდან, მთელი VI საუკუნის განმავლობაში და VII საუკუნის პირველ ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოს ფულად მეურნეობაში გამოკვეთილად პრევალირებული ადგილი სასანურ დრაქმებს უჭირავს, თუმცა გარკვეულ როლს ბიზანტიური ვერცხლის მონეტებიც თამაშობს (ჰერაკლესა და ჰერაკლე-კონსტანტინეს სახელით მოჭრილი ჰექსაგრამები). ყველაფერი ეს, ცხადია, უშუალოდ დაკავშირებულია სასანიანთა იმპერიის სამხედრო და პოლიტიკურ (აქედან გამომდინარე ეკონომიკურ) წარმატებებთან ამიერკავკასიაში.

სამონეტო მიმოქცევა ლაზიკის სამეფოს ტერიტორიაზე V-VII საუკუნეებში

ფლავიუს არიანეს ცნობის თანახმად, ახ. წ. II საუკუნეში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სანაპიროზე, ტრაპეზუნტიდან დიოსკურია-სებასტოპოლისამდე, ცხოვრობდნენ შემდეგი ტომები: კოლხები, სანები ან დრილები, მაკრონები, ჰენიოხები, ძიდრიტები, ლაზები, აფსილები, აბაზგები, სანიგები. დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში მდ. რიონის ორსავე მხარეს, აჭარა-ქობულეთის საზღვრიდან ვიდრე დაახლოებით მდ. ხობამდე გადაჭიმული იყო ლაზიკის სამეფო. მის ჩრდილოეთით მდებარეობდა აფსილების, აბაზგების და სანიგების „სამთავროები".

ლაზიკის სამეფო განსაკუთრებით ძლიერდება IV საუკუნიდან. მისი საზღვრები ფართოვდება ჩრდილოეთის მიმართულებით. მის ფარგლებში შევიდა აფსილებისა და აბაზგების ტერიტორია და, გარკვეული დროით, სანიგებისაც. განსაკუთრებულ სიძლიერეს ლაზთა სამეფო, როგორც ვარაუდობენ, IV საუკუნის დასასრულიდან V საუკუნის 60-70-იან წლებამდე აღწევს.

I-IV საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სამონეტო მიმოქცევის შესახებ, როგორც სანაპირო ზოლში, ასევე ქვეყნის შიდა რაიონებში ჩვენ უკვე ვწერდით. აღნიშნული გვქონდა, რომ ამ ხანებში ბიჭვინტა აყვავებულია, რისი დასტურიც, სხვა მასალასთან ერთად, აქ აღმოჩენილი 500-ზე მეტი მონეტაა. ჩვენ იმასაც ვუსვამდით ხაზს, რომ ეს მონეტები პიტიუნტში მდგარი რომაელთა გარნიზონის საკუთრებაა და რომ ქვეყნის შიდა რაიონებში IV საუკუნის ნუმიზმატიკური მასალა პრაქტიკულად თითქმის არ გვხვდება.

ვნახოთ რა ვითარებაა ქვეყანაში ამ მხრივ V საუკუნეში.

ცნობილია, რომ IV საუკუნის 70-იან წლებში ბოსფორის სამეფოს (ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი) ბარბაროსების ახალი ტალღა მოაწყდა. როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ლიტერატურაში, მათი შემოსევები კავკასიის ზღვისპირეთსაც გადმოწვდენია. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ IV საუკუნის დამლევს ბიჭვინტა ძირფესვიანად აოხრებულა და დაუკარგავს თავისი პირვანდელი მნიშვნელობა. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია აღინიშნოს ის, რომ პიტიუნტ-ბიჭვინტის ტერიტორიაზე არ ჩანს V საუკუნის კულტურული ფენები. ამასვე ადასტურებს არქეოლოგიური გათხრების შედეგად აქვე აღმოჩენილი მცირერიცხოვანი მონეტებიც, სულ ათი ცალი (ხუთასის წინააღმდეგ!). ეს მასალა იმპერატორების მიხედვით ასე ნაწილდება: არკადიუსის (395-408 წწ.) – 8 ცალი, თეოდოსი II-ის (409-450 წწ.) – 1 და ერთიც მისი მეუღლის – ევდოკიასი (ყველა მათგანი სპილენძისაა). ცხადია, ამ

მასალის ფონზე ძნელია საუბარი სამონეტო მიმოქცევის რაიმე ინტენსიურობაზე ბიჭვინტის ფარგლებში V საუკუნეში.

ასეთივე ვითარებაა ლაზიკის მთელს სამეფოში. მაგრამ ვიდრე აქ აღმოჩენილი ბიზანტიური მონეტების სიას მოვიყვანდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ შემდეგი: საქართველოში გავრცელებული ბიზანტიური მონეტები შესწავლილია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატების თამარ აბრამიშვილისა და იზოლდა ცუხიშვილის მიერ (იხ. თ. აბრამიშვილი. საქართველოს სახელმწიფო მუზუმის ბიზანტიური მონეტები, თბილისი, 1965; მისივე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები (1966-1989 წწ.), თბილისი, 1989; იზ. ცუხიშვილი. აღმოსავლეთ რომის და დასავლეთ საქართველოს ურთიერთობა IV-XII სს. (ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით), საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1987).

დავუბრუნდეთ ლაზიკის სამეფოს ფარგლებში აღმოჩენილ V საუკუნის ბიზანტიური მონეტების სიას:

1. 1959 წელს სოხუმის ციხის ტერიტორიაზე იპოვეს არკადიუსის (395-408 წწ.) სპილენძის მონეტა.
2. 1903 წელს გაგრის სამაროვანზე აღმოჩნდა ჰონორიუსის (395-426 წწ.) ოქროს მონეტა.
3. 1937 წელს მესტიის რაიონის სოფელ ცხუმარში გეოლოგიური სამუშაოების დროს იპოვეს ლეონ I-ისა (457-474 წწ.) და ანასტასი I-ის (491-518 წწ.) თითო ოქროს მონეტა.

ამრიგად, ლაზიკის ვრცელი სამეფოს ტერიტორიაზე V საუკუნის მხოლოდ 14 მონეტაა მოძიებული. და ეს იმ პირობებში, როდესაც ქვეყანას საკუთარი ფულადი ნიშნები არ გააჩნია. ცხადია, ყველაზე მარტივია ეს ფაქტი შემთხვევითობით ავხსნათ, მაგრამ ეს არ იქნება დამაჯერებელი, რადგან ბიჭვინტის არქეოლოგიური გათხრების შედეგები ზუსტად ასახავს ქვეყანაში შექმნილ ვითარებას.

ზოგიერთი ისტორიკოსი თვლის, რომ ლაზიკის სანაპირო ზოლის პუნქტებში V საუკუნის დასაწყისში და უფრო გვიანაც იდგა აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) გარნიზონი. მაგრამ ასეთ მტკიცებას საფუძველი არ აქვს. სხვა მონაცემებთან ერთად, ამის საწინააღმდეგოდ ნუმიზმატიკური მასალაც მეტყველებს. ასე, მაგალითად, ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ III-IV საუკუნეებში ბიჭვინტაში რომაული გარნიზონი იდგა. ეს გარემოება აისახა არა მარტო წერილობით წყაროებში, არამედ ბიჭვინტაში მიკვლეულ არტიფაქტებშიც. რაც მთავარია ამჯერად ჩვენთვის, ეს აისახა ნუმიზმატიკური მასალაშიც: ამ საუკუნეების 850-ზე მეტი მონეტაა ბიჭვინტაში აღმოჩენილი, მაშინ როდესაც V საუკუნისა მხოლოდ ათი! ასეთ ვითარებაში ლაპარაკიც კი ზედმეტია პიტიუნტში უცხო ქვეყნის გარნიზონის დგომის შესახებ.

VI საუკუნის დასაწყისიდან იწყება მძაფრი ბრძოლა ორ დიდ იმპერიას – ბიზანტიასა და ირანს – შორის ლაზიკის დაუფლებისათვის. ეს გასაგებიცაა: ლაზიკისა

და იბერიის ფლობა ნიშნავდა კონტროლს მთელს კავკასიის რეგიონზე, შავ ზღვაზე და კავკასიის ულელტეხილებზე, საიდანაც მათ მუდმივი საფრთხე ემუქრებოდა ადგილობრივი ტომების თავდასხმების სახით.

თავდაპირველად ლაზიკის სამეფოს თავისი გავლენის სფეროში მოქცევის თვალსაზრისით, უპირატესობა ბიზანტიის მხარეზე იყო. განსაკუთრებულ აქტიურ პოლიტიკას დასავლეთ საქართველოს მიმართ ბიზანტია აწარმოებდა იუსტინე I-ის დროიდან (518-527 წწ.). ეს გამოწვეული იყო ირანის პრეტენზიით, რომელიც ამტკიცებდა, რომ „კოლხიდა, რომელსაც ეხლა ლაზიკა ეწოდება, ძველთაგანვე სპარსელთა ქვეშევრდომი იყო და იგი რომაელებს ძალით უჭირავთ, უსამართლოდ"-ო (პროკოპი კესარიელი, VI ს. ავტორი). ამ დროიდან მოყოლებული, ლაზიკის ტერიტორია ბიზანტიამ ირანის წინააღმდეგ ბრძოლის ბაზად აქცია, ააგო აქ მთელი სისტემა ციხესიმაგრეებისა: პეტრა (ციხისძირი), სებასტოპოლისი, პიტიუნტი და სხვ. იმავე პროკოპი კესარიელის ცნობით, ბიჭვინტა ამ პერიოდში უფრო ციხესიმაგრეა, ვიდრე ქალაქი, სადაც დგას ბიზანტიური გარნიზონი. ცვლილებამ ბიჭვინტის სტრუქტურაში დაუყოვნებლივ გამოიწვია ბიზანტიური მონეტების შემოსვლა მის ტერიტორიაზე. პიტიუნტის ტერიტორიაზე აღმოჩენილია VI საუკუნის 100-ზე მეტი ბიზანტიური მონეტა, რომელთაგან უმრავლესობა საუკუნის პირველ ნახევარშია მოჭრილი. ყველა მათგანი სპილენძისაა. იმპერატორების მიხედვით განსაზღვრული ნუმიზმატიკური მასალა ასე ნაწილდება: ანასტასი I (491-518 წწ.) – 5; 2. იუსტინე I (518-527 წწ.) – 72; 3. იუსტინიანე I (527-565 წწ.) – 15; 4. იუსტინე II (565-578 წწ.) – 4; 5. მავრიკე ტიბერიუსი (582-602 წწ.) – 4.

ნუმიზმატიკური თვალსაზრისით, ბიჭვინტაში აღმოჩენილი მონეტების გარკვეული ნაწილი იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას. უპირველეს ყოვლისა, ეს შეეხება 1961 წელს აღმოჩენილ იუსტინე I-ის ხუთნუმიანი მონეტების განძს, რომელიც 55 ცალისაგან შედგება (ნუმია – უმცირესი ფულადი ერთეული ბიზანტიაში. იჭრებოდა სპილენძისაგან, ანასტასი I-ის დროიდან, 40, 20, 10 და 5 ნუმიანები). უნდა აღინიშნოს, რომ იდენტური მონეტების აღმოჩენის შემთხვევები საქართველოს სხვა პუნქტებში აღრიცხული არაა. ბიჭვინტაში კი, გარდა ჩვენს მიერ მოხსენიებული განძის მონეტებისა, ცალკეულად კიდევ 11 ასეთი მონეტაა ნაპოვნი. სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვითაც, მათი რიცხვი არც თუ ისე ბევრია, სულ ორი ათეული ცალი. ბიჭვინტის ბიზანტიური განძის მონეტები, როგორც ჩანს, მოჭრილია კონსტანტინოპოლის ზარაფხანის I და II სახელოსნოში.

საერთოდაც უნდა აღინიშნოს, რომ ბიჭვინტაში აღმოჩენილ ბიზანტიურ მონეტებში სჭარბობს კონსტანტინოპოლის ზარაფხანის პროდუქცია (86 ცალი). გარდა იმპერიის დედაქალაქში მოჭრილი მონეტებისა, პიტიუნტის ტერიტორიაზე აღმოჩენილია აგრეთვე ანტიოქია-თეოპოლისში (2), ნიკომედიაში, კართაგენში (1) და თესალონიკაში (2) მოჭრილი ფულები. კართაგენსა და თესალონიკაში მოჭრილი მონეტების აღმოჩენა ბიჭვინტაში იმ მხრივ იმსახურებს ყურადღებას, რომ ეს

პირველი შემთხვევაა მათი ფიქსირებისა საქართველოს საზღვრებში. იგივე უნდა ითქვას თეოპოლისის შესახებაც. ანტიოქიას 538 წლის მიწისძვრის შემდეგ იუსტინიანემ თეოპოლისი შეარქვა. სწორედ ბიჭვინტაა ერთადერთი პუნქტი, სადაც თეოპოლისის ზარაფხანაში მოჭრილი მონეტა აღმოჩნდა.

ბიჭვინტაში აღმოჩენილი მონეტები ნომინალების მიხედვით ასე ჯგუფდება: 40 ნუმიანი არის 30 ცალი; 30 ნუმიანი – 1; 20 – 8; 10 – 4; 5 – 60-ზე მეტი. როგორც ვხედავთ, სჭარბობს 5 და 40 ნუმიანი მონეტები.

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ბიჭვინტაში აღმოჩენილი VI საუკუნის ყველა მონეტა სპილენძისაა, რაც ფულადი მეურნეობის ფართო განვითარებაზე მიუთითებს უთუოდ.

მაგრამ VI საუკუნის მეორე ნახევრიდან ბიჭვინტას, როგორც ჩანს, აღარ ეწერა ძველი ბრწყინვალების აღდგენა. 542 წელს ეგრისის სამეფოს ტერიტორიაზე იწყება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ირანსა და ბიზანტიას შორის, რომელიც ოც წელიწადს გაგრძელდა. პროკოპი კესარიელის ცნობის თანახმად, 542 წელს ბიზანტიელებს ბიჭვინტა და სებასტოპოლისი საკუთარი ხელით დაუნგრევიათ, რათა ეს ცნობილი ციხე-ქალაქები სპარსეთის მეფეს ხოსროს არ ჩავარდნოდა ხელთ. შემდეგში იუსტინიანეს ბიჭვინტა აღარ აღუდგენია, მას მხოლოდ სებასტოპოლისი განუახლებია.

სიმპტომატური ფაქტია, რომ ბიჭვინტაში მიკვლეული იუსტინიანე I-ის მონეტებიდან არცერთი არაა მოჭრილი 542 წლის შემდეგ, ე. ი. პიტიუნტის დანგრევის შემდეგ. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ამის შემდეგ ბიზანტია-ბიჭვინტის ურთიერთობა აღარ გაგრძელებულა. იუსტინე II-ის, მავრიკე ტიბერიუსის, ჰერაკლესა (610-641 წწ.) და ნიკიფორე III-ის (1078-1081 წწ.) მონეტები მოწმობს, რომ ეს ურთიერთობა გრძელდება, მაგრამ მას აღარ აქვს ინტენსიური და რეგულარული ხასიათი.

ახლა ვნახოთ, როგორია VI საუკუნის ბიზანტიური მონეტების აღმოჩენათა ტოპოგრაფია ლაზიკის სამეფოს დანარჩენ ტერიტორიაზე.

1. საინტერესო სპიენძის მონეტები აღმოჩნდა სოხუმის ტერიტორიაზე. ისინი ნაწილდება შემდეგნაირად: ანასტასი I (491-518 წწ.) – 2; იუსტინე I (518-527 წწ.) – 1; იუსტინიანე I (527-565 წწ.) – 4.
   სებასტოპოლისი, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, 542 წელს ბიზანტიელებმა თავად დაანგრიეს, მაგრამ შემდეგში იუსტინიანემ იგი განაახლა. ბიზანტიური მონეტების აღმოჩენათა სიმცირე აქ, როგორც ჩანს, არქეოლოგიური გათხრების არასისტემატურ ხასიათში უნდა ვეძიოთ.
2. VI საუკუნის ბიზანტიური მონეტები აღმოჩენილია წებელდას (სიბილე) მიდამოებში (გულრიფშის რაიონი). აქ არის მთელი კომპლექსი ციხისა, ნამოსახლარისა და სამაროვნისა, რომელიც II-VII საუკუნეებით თარიღდება. ციხესიმაგრის დანიშნულება იყო ქლუხორის გადასასვლელის მისადგომების დაცვა.

ამ გზას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. VI-VIII საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიიდან სწორედ ქლუხორის უღელტეხილიდან და აფსილიიდან შავი ზღვის სანაპიროებისაკენ გამოდიოდა აქ ე. წ. „აბრეშუმის გზა".

არქეოლოგიური გათხრების შედეგად სხვადასხვა დროს მოხსენიებულ პუნქტში აღმოჩენილია იუსტინიანე I-ის (527-565 წწ.) 6 მონეტა, 2 – სპილენძის, 3 – ვერცხლის და 1 – ოქროს.

3. VI საუკუნის ბიზანტიური მონეტები ნაპოვნია ციხისძირში. სულ უკანასკნელ დრომდე ციხისძირი გაიდენტურებული იყო წყაროებში მოხსენიებულ პეტრასთან, რომელიც იუსტინიანე I-ის დროიდან შესანიშნავ სიმაგრედ იქცა შავი ზღვის სანაპირზე. აქვე იჯდა ბიზანტიის მოხელე, რომელიც სავაჭრო მონოპოლიას აწარმოებდა ლაზიკაში. მაგრამ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა გურამ გრიგოლიამ წამოაყენა პეტრას განსხვავებული ლოკალიზაცია. მან პეტრა სოფ. ხოფასთან გააიგივა (ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა).

სხვადასხვა დროს ციხისძირში აღმოჩნდა ანასტასი I (491-518 წწ.), იუსტინე I (518-527 წწ.) და იუსტინე II-ის (565-578 წწ.) 10-15 სპილენძის მონეტა.

4. 1903 წელს ოჩამჩირეში მიწის სამუშაოების დროს თითქოს უპოვიათ მონეტებით სავსე ქოთანი, რომელშიაც შედის VI-XI საუკუნეების ბიზანტიური სპილენძის მონეტები. ეს „განძი" საეჭვოა თავისი დიდი ქრონოლოგიური დიაპაზონის გამო. შეუძლებელია ერთ კომპლექსში თავი მოეყარა ასეთი განსხვავებული დროის მონეტებს. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ვიდრე ეს კომპლექსი მუზეუმში მოხვდა, ამას კი ადგილი 1957 წელს ჰქონდა, მისი შემადგენლობა აირია. ასეა თუ ის, „განძი" ჩვენთვის საინტერესო VI საუკუნის მონეტებსაც შეიცავს. ესენია: იუსტინე I-ის (518-527 წწ.) – 2 ცალი, იუსტინიანე I-ის (527-665) – 1; იუსტინე II-ის (565-578) – 2; ტიბერიუს II-ის (578-582) – 1; მავრიკე ტიბერიუსის (582-602) – 2, სულ 8 ცალი.

სპეციალურ ლიტერატურაში ოჩამჩირეს ანტიკური ნამოსახლარი გაიგივებულია წყაროებში მოხსენიებულ ქალაქ გიენოსთან. სამეცნიერო ლიტერატურაში ასევე გამოთქმულია მოსაზრება, რომ აქ საქალაქო ცხოვრების შემდგომი გამოცოცხლება II-V საუკუნეებიდან იწყება. ამავე დროს VI საუკუნის ბიზანტიურ წყაროებში გიენოსი (ოჩამჩირე) არსად არ იხსენიება. ეს გარემოება, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის იზოლდა ცუხიშვილის აზრით, ზრდის ინტერესს ოჩამჩირეს „განძის" მიმართ და შეიძლება მიუთითებდეს აქ ბიზანტიის გარნიზონის დგომაზე.

VI საუკუნის ბიზანტიური მონეტები ლაზიკის სამეფოს სხვა წერტილებშიცაა მიკვლეული. მოგვყავს მათი სია კეისრების მმართველობის თანმიმდევრობის მიხედვით, ოღონდ აღმოჩენის დროისა და პირობების მითითების გარეშე.

1. ანასტასი I-ის (491-528 წწ.) სპილენძის მონეტა აღმოჩნდა ქუთაისში;
2. იუსტინე I-ის (518-527 წწ.) ექვსი მონეტა (ოთხი სოლიდი, ერთი ვერცხლის და ერთიც სპილენძი) ნაპოვნია შემდეგ პუნქტებში: ნოქალაქევში (სენაკის რაიონი),

ზუგდიდში, ბათუმის მიდამოებში; 3. იუსტინიანეს (527-565 წწ.) შვიდი მონეტის (სამი სოლიდი, სამი სპილენძის და ერთი ვერცხლი) აღმოჩენის ტოპოგრაფია ასე გამოიყურება: ფსირცხა (გუდაუთის რ-ნი), ჩხალთა (სოხუმის რაიონი), ახალი ათონი, ჩხორონწყუ და ფოთი; 4. ტიბერიუს II-ის (578-582 წწ.) ოქროს მონეტა აღმოჩნდა ჩიბათში (ლანჩხუთის რაიონი) მიკვლეულ განძის შემადგენლობაში (ამ განძის შესახებ ჩვენ ქვემოთ ვისაუბრებთ); 5. მავრიკე ტიბერიუსის (582-602 წწ.) სოლიდების განძი 23 მონეტის შემადგენლობით ნაპოვნია 1930 წელს ნოქალაქევის არქეოლოგიური გათხრების დროს; 6. აქვეა აღმოჩენილი VI საუკუნის სპილენძის გაცვეთილი ექვსი მონეტა.

იზ. ცუხიშვილმა შეაჯამა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მიკვლეული VI საუკუნის ბიზანტიური მონეტების რიცხვი და ასეთი სურათი მიიღო: საინტერესო რეგიონში აღმოჩენილია 182 სპილენძის ბიზანტიური მონეტა, 7 – ვერცხლისა და 37 – ოქროსი. სურათი საკმაოდ ნათელია. სახეზე გვაქვს მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირურთიერთობანი ლაზიკასა და ბიზანტიის იმპერიას შორის.

ვიდრე დასავლეთ საქართველოს ფარგლებში აღმოჩენილ VII საუკუნის ბიზანტიური მონეტების მიმოხილვაზე გადავიდოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ აქ, მართალია, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც გვხვდება სხვა ქვეყნის მონეტები. ასე, მაგალითად, ციხისძირში აღმოჩნდა სასანური მონეტების განძი, რომელთაგან მხოლოდ სამი ეგზემპლარი შევიდა ბათუმის მუზეუმის საცავში. ესენია: კავადის (488-531 წწ.) ორი და ხოსრო I-ის (531-579 წწ.) ერთი დრაქმა. გარდა ამისა, ორი სასანური დრაქმა აღმოჩენილია აგრეთვე აფხაზეთის ტერიტორიაზე: კავადის დრაქმა ნებელდის ტერიტორიაზე და ხოსრო II-ის (591-628 წწ.) – სოხუმში. ამ აღმოჩენებს არავითარი დისონანსი არ შეაქვთ საერთო სურათში და კარგად თავსდება ირან-ბიზანტიის მეტოქეობის ჩარჩოებში ლაზიკის ტერიტორიაზე. ორივე დასახელებულ რეგიონში ირანის ჯარები გარკვეული დროით იმყოფებოდნენ ირან-ბიზანტიის ომის დროს და, ამდენად, სასანური დრაქმების პოვნა აქ სავსებით ბუნებრივია. თუმცა დასავლეთ საქართველოს ფულადი მეურნეობა ძირითადად მაინც ბიზანტიურ მონეტაზეა დაფუძნებული.

გადავდივართ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი VII საუკუნის ბიზანტიური მონეტების მიმოხილვაზე. მათი სია ასე გამოიყურება:

1. 1952-1953 წლებში ბიჭვინტაში აღმოჩნდა იმპერატორ ჰერაკლეს (610-641 წწ.) სპილენძის სამი მონეტა.
2. 1940 წელს მარტვილის რაიონის სოფ. დიდიჭყონში იპოვეს ოქროს მონეტა, მოჭრილი ჰერაკლესა და ჰერაკლე-კონსტანტინეს სახელით.
3. ჰერაკლე კეისრის ოქროს მონეტა აღმოჩნდა სოფ. ჩიორაში (ონის რაიონი).
4. 1950 წელს სოფ. ქორეთში (საჩხერის რაიონი) იპოვეს ჰერაკლეს ჰექსაგრამა (უნდა აღინიშნოს, რომ არგვეთის ტერიტორია მაინც აღმოსავლეთ საქა-

რთველოსთანაა მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკურ კავშირში. ამიტომ არ შევჩერდით ჩვენ აქ აღმოჩენილ სასანური მონეტების გარშემო).

5. იმპერატორ ფოკას (602-610 წწ.) ოქროს მონეტა აღმოჩნდა 1927 წელს სოფელ დრანდის (სოხუმის რაიონი) მიდამოებში.
6. იუსტინიანე II-ის (685-695 წწ.) სამი ოქროს მონეტა იპოვნეს 1915 წელს ბიჭვინტის მიდამოებში.
7. კონსტანს II-ის (641-668 წწ.) ოქროს მონეტა აღმოჩნდა სოხუმის მიდამოებში.
8. 1958 წელს სოფელ ჩიბათში (ლანჩხუთის რაიონი) აღმოჩნდა ბიზანტიური ოქროს მონეტების განძი, რომლის გადარჩენილი ნაწილი ასე გამოიყურება: ტიბერიუს II-ის (578-582 წწ.) – 1 ცალი, მავრიკე ტიბერიუსის (582-602 წწ.) – 1, ფოკას (602-610 წწ.) – 107, ჰერაკლეს (610-641 წწ.) – 14.
9. ზუგდიდის რაიონის სოფელ ოდიშში აღმოჩნდა 13 ვერცხლის მონეტისაგან შემდგარი განძი, აქედან ორი მიეკუთვნება მავრიკე ტიბერიუსს (582-602 წწ.) და 11 – ჰერაკლესა და ჰერაკლე კონსტანტინეს (610-641 წწ.).
10. 1930 წელს სოფელ ღვანკითში (თერჯოლის რაიონი) იპოვეს კონსტანს II-ის (641-668 წწ.) სოლიდი.

ამრიგად, დასავლეთ საქართველოში ნაპოვნია 130 ოქროს, 14 ვერცხლის და სამი სპილენძის VII საუკუნის ბიზანტიური მონეტა. აქედან 123 ჩიბათის განძში იყო თავმოყრილი, ხოლო 13 – ოდიშისა. განძის გარეთ რჩება მხოლოდ 11 მონეტა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ძირითადი მასა მონეტებისა დაკავშირებული უნდა იყოს ჰერაკლეს საჯარისო კონტიგენტთან, რომელიც დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებოდა ხოსრო II-სთან (591-628 წწ.) ომის დროს.

როგორც ცნობილია, ჰერაკლე კეისარმა აღმოსავლეთ საქართველო დალაშქრა. ვარაუდობენ, რომ იბერიაში იგი სწორედ ლაზიკის საზღვრებიდან შეიჭრა. ამრიგად, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი VII საუკუნის პირველი ნახევრის ბიზანტიურ მონეტებს უფრო „მილიტარისტული" ხასიათი აქვს, ვიდრე ეკონომიკური.

როგორც ზემოთ მოყვანილი სია გვარწმუნებს, VII საუკუნის მეორე ნახევრის ოქროს მონეტები უაღრესად შეზღუდული რაოდენობით შემოდის ლაზიკაში – სულ აღმოჩენილია ხუთი ცალი. მაგრამ ეს მარტო დასავლეთ საქართველოსთვის არაა დამახასიათებელი. საქმე ისაა, რომ ოქროს მონეტათა ემისია მკვეთრად იზღუდება VII საუკუნის ბოლოს თვით იმპერიის ფარგლებში. ამიტომ მისი გატანაც საკუთრივ იმპერიის ფარგლებს გარეთ ასევე შეზღუდულია.

არაბული მონეტების მიმოქცევა საქართველოში

VII საუკუნის პირველ ნახევარში არაბეთის ნახევარკუნძულზე ჩამოყალიბდა ახალი პოლიტიკური ერთეული – არაბთა სახალიფო, რომელიც ადვილად გაუსწორდა უკვე საკმაოდ დასუსტებულ სასანიანთა იმპერიას. სირიის, მესოპოტამიისა და საკუთრივ ირანის ტერიტორიების დაპყრობის შემდეგ არაბებს გზა გაეხსნათ საქართველოსაკენ.

640 წელს მათ აიღეს ქალაქი დვინი (სომხეთი) და 642/43 წლებში მოადგნენ ქართლს. მაგრამ არაბთა ეს პირველი ლაშქრობა უშედეგოდ დამთავრდა.

654 წელს არაბებმა სასტიკად დაამარცხეს სომხეთში მდგომი ბიზანტიის სარდალი მავრიანოსი, რომელმაც თავი ქართლს შეაფარა. არაბთა ლაშქარი ამის შემდეგ საქართველოს საზღვარს მოადგა. ქართლის ერისმთავარმა სტეფანოსმა არაბთა სარდალს ჰაბიბ იბნ-მასლამას ელჩის ხელით საჩუქრები გაუგზავნა და ზავი და მშვიდობა შესთავაზა. არაბთა სარდალი კმაყოფილი დარჩა ქართლის ერისმთავრის წინადადებით, მირთმეული საჩუქრები მომავალი ხარკის ანგარიშში ჩათვალა, მოვიდა თბილისში და ქართლს, როგორც ნებაყოფლობით დამორჩილებულ ქვეყანას, „დაცვის სიგელი" მისცა, რომელშიც ჩამოთვლილი იყო ქართლის მორჩილების პირობები.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ VII საუკუნის მანძილზე თვით სახალიფოს შიგნით შინაური შფოთი იყო და პარალელურად არაბები იბრძოდნენ ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგაც. ამის გამო არაბები საქართველოში მხოლოდ საუკუნის ბოლოს დამკვიდრდნენ მტკიცედ. ამიერკავკასიის რეალური დაპყრობა კი მათ VIII საუკუნის პირველ ნახევარში შეძლეს. 735 წელს საქართველოში დიდი ლაშქრით შემოიჭრა არაბთა სარდალი მერვან იბნ-მუჰამედი („მურვან ყრუ") და აქედან იწყება არაბთა ნამდვილი ბატონობა საქართველოში.

VII საუკუნის მნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა ძვრებმა მახლობელ აღმოსავლეთში, რა თქმა უნდა, თავის ასახვა პოვა ეკონომიკასა და ფულად მიმოქცევაში. საქმე ისაა, რომ ყოფილი სასანიდური იმპერიის უზარმაზარ ტერიტორიაზე, რომელიც არაბთა ხელში გადავიდა, მოსახლეობა შეჩვეული იყო სასანიდური დრაქმების ცირკულაციას. ამიტომ წმინდა ეკონომიკური მოსაზრებით, არაბებს არ შეეძლოთ სამონეტო ტიპის დაუყოვნებლივ შეცვლა (და არც პრაქტიკულად იყვნენ ამისათვის მზად). ამ მიზეზის გამო, თავისი ბატონობის დასაწყისში, ისინი ჭრიან სასანიდური მონეტების ტრადიციულ ტიპს (შაჰის ბიუსტისა და წმინდა ცეცხლის გამოსახულებით), რომელზედაც ფალაურ ლეგენდასთან ერთად ათავსებენ არაბულ ზედწერილებსაც. ამ მონეტებს სამეცნიერო ლიტერატურაში არაბულ-სასანიდურ,

ან სასანიდური ტიპის არაბულ მონეტებს უწოდებენ. არაბები ჭრიან აგრეთვე არაბულ-ბიზანტიურ მონეტებს, რომელთაც თავისი გავრცელების კონკრეტული არეალი ჰქონდა: პალესტინა, სირია.

VII-VIII საუკუნეების არაბულ-სასანიდური მონეტები შედის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ IX-X საუკუნეების ქუფური (არაბული) მონეტების განძების შემადგენლობაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ გვიანდელი განძების შემადგენლობაში შედის აგრეთვე VI საუკუნის დასასრულისა და VII საუკუნის პირველი მეოთხედის წმინდა სასანიდური მონეტებიც.

რამდენიმე სიტყვა ადრეული ხანის „სასანიდური ტიპისა" და სასანიდური მონეტების შემოსვლის დროის შესახებ. ვინაიდან „სასანიდური ტიპის" მონეტები ცალკე არასოდეს არ აღმოჩენილა საქართველოს ტერიტორიაზე, სავსებით მართებულად მიგვაჩნია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ირ. ჯალაღანიას მოსაზრება, რომ ისინი შემოჰყვა IX-X საუკუნეების არაბული დირჰემების ნაკადს. რაც შეეხება VI-VII საუკუნეების წმინდა სასანიდურ დრაქმებს, ისინი აქ მიმოიქცეოდა არაბულ-სასანიდური და არაბული მონეტების შემოსვლამდე და მთელი VII საუკუნის მანძილზე, ბიზანტიურ ჰექსაგრამებთან ერთად, წარმოადგენდა სამონეტო ცირკულაციის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს (ამის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით).

ვინაიდან საქართველოში აღმოჩენილი არაბული ხანის მონეტები ძალიან მრავალრიცხოვანია, ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ მათი დიფერენციაცია: პირველად განვიხილავთ საკუთრივ სასანიდურ და არაბულ-სასანიდური ტიპის მონეტებს, შემდეგ საქართველოში გავრცელებულ არაბულ (ქუფურ) დირჰემებს და ბოლოს საქართველოში მოჭრილ არაბულ მონეტებს.

1. 1960 წელს ახმეტის რაიონში (ბახტრიონის გორაზე) VIII საუკუნის არაბულ დირჰემებთან ერთად აღმოჩნდა ხოსრო II-ის (591-628 წწ.) სასანიდური დრაქმა.
2. 1937 წელს თელავის რაიონის სოფელ ფშაველის მიდამოებში აღმოჩნდა ქუფური მონეტების განძი (რაოდენობა 150 ცალი), რომლის შემადგენლობაში შედის: ა) ხოსრო II-ისა და 672 წელს მოჭრილი არაბულ-სასანიდური თითო მონეტა. განძში შემავალი მონეტებიდან უგვიანესი მოჭრილია 807-808 წლებში, ე. ი. განძი IX საუკუნის დასაწყისშია ჩამარხული.
3. 1962 წელს ყვარლის რაიონის სოფელ მთისძირში იპოვეს VIII-IX საუკუნეების არაბული დირჰემების განძი (300-მდე ცალი), რომლის შემადგენლობაში ერია თითო ეგზემპლარი სასანიდური დრაქმებისა – ჰორმიზდ IV-ისა (579-589 წწ.) და ხოსრო II-ისა (591-628 წწ.). განძის ქრონოლოგიური ჩარჩოებია VI ს. დასასრული - IX საუკუნის პირველი მეოთხედი.
4. 1924 წელს ლაგოდეხის რაიონის სოფელ ლელიანში აღმოჩნდა 171 ცალი ვერცხლის მონეტისაგან შემდგარი განძი. მის შემადგენლობაში ქუფური მონ-

ეტების გარდა შედის: ა) ხოსრო II-ის (591-628 წწ.) დრაქმა; ბ) VII საუკუნის დასასრულის არაბულ-სასანიდური დირჰემი და გ) ექვსი მონეტა მოჭრილი პროვინცია ტაბარისტანში VIII საუკუნის განძში შემავალი მონეტებიდან უადრესი VI საუკუნის ბოლოს არის მოჭრილი, უგვიანესი – 829 წელი.

5. 1921 წელს ლაგოდეხის რაიონის სოფელ კავშირთან იპოვეს სასანიდური და ქუფური ვერცხლის მონეტების განძი (ჩვენამდე მოაღწია 38 ეგზემპლარმა). მის შემადგენლობაში შედის: ა) ხოსრო II-ის დრაქმა და ბ) ტაბარისტანში VIII საუკუნეში მოჭრილი დირჰემი. განძში თავმოყრილ მონეტებიდან უგვიანესი 820 წელსაა მოჭრილი.
6. 1924 წელს ლაგოდეხის რაიონის სოფელ აფენთან აღმოჩნდა სასანიდური და ქუფური მონეტების განძი (394 ცალი). განძი, როგორც აღვნიშნეთ, შერეულია და შეიცავს ჩვენთვის საინტერესო შემდეგ მონაცემს: ა) ჰორმიზდ IV-ის (579-589 წწ.) დრაქმას – 1 ცალი; ბ) ხოსრო II-ისას (591-628 წწ.) – 16; გ) VII-VIII საუკუნეებში მოჭრილ არაბულ-სასანიდურ დირჰემს – 20 ცალი; ყველაზე ადრეული მონეტა განძისა ჰორმიზდ IV-ის ხანას განეკუთვნება, ყველაზე გვიანდელი კი მოჭრილია ჰიჯრის (მუსლიმური წელთაღრიცხვა) 218 წელს (=833/34 წწ.).
7. 1949 წელს ყოფილი ბოგდანოვკის (ამჟამად ნინოწმინდას) რაიონის სოფელ დილიფში (დლივში) აღმოჩნდა ქუფური მონეტების განძი (განძის მონეტები მიმოიფანტა, ჩვენამდე მოაღწია 14 მთელმა და 19 ნატეხმა), რომლის შემადგენლობაში შედის: ა) ხოსრო II-ის (591-628 წწ.) დრაქმა – 1 ცალი და ბ) VIII საუკუნეში მოჭრილი არაბულ-სასანიდური ორი დირჰემი; განძის ქრონოლოგიური ჩარჩოებია 620-833 წლები.
8. 1900 წელს ყვარლის რაიონის სოფელ ჭიკაანში იპოვეს განძი, რომელიც გაიფანტა (ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ 11 ეგზემპლარმა). გადარჩენილ ნაწილში შედიოდა: ა) ხოსრო II-ის დრაქმა და ბ) ტაბარისტანული ვერცხლის მონეტა მოჭრილი 778 წელს; განძის ადრეული მონეტა 591 წელსაა მოჭრილი, ხოლო გვიანდელი – 861 წელს.
9. 1960 წელს ახმეტის რაიონის სოფელ ფიჩხოვანში აღმოჩნდა ქუფური მონეტების განძი (108 ეგზემპლარი). მის შემადგენლობაში შედის: ა) ხოსრო II-ის დრაქმა – 1 ცალი და ბ) არაბულ-სასანიდური მონეტები მოჭრილი VII-VIII საუკუნეებში – 2; განძში თავმოყრილი მონეტებიდან, ხოსრო II-ისა მოჭრილია არაუადრეს 590 წლისა, ხოლო გვიანდელი – არაუგვიანეს 901/2 წლებისა. განძის ჩამარხვის თარიღად X საუკუნის პირველი მეოთხედი უნდა მივიჩნიოთ.

ამრიგად, მეცნიერების განკარგულებაშია რვა სამონეტო განძი, რომელთა შემადგენლობაში, შეზღუდული რაოდენობით, შედის საკუთრივ სასანიდური დრაქმები (ჰორმიზდ IV-ისა და ხოსრო II-ისა) და VII-VIII საუკუნეების არაბულ-სა-

სანიდური დირჰემები. რვა განძიდან შვიდი ჩამარხულია IX საუკუნის პირველ მეოთხედში (ან პირველ ნახევარში) და ერთიც – X საუკუნის დასაწყისში. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ VI საუკუნეში და VII საუკუნის დასაწყისის შემდეგ, აღმოსავლეთ საქართველოს ფულად მიმოქცევაში შეიმჩნევა ერთგვარი დაქვეითება. აქ, როგორც ჩანს, არაბულ-სასანიდური დირჰემები არ შემოდის ემისიის თანადროულად, ხოლო ომაიანთა მონეტები მეტ-ნაკლები ინტენსიურობით VIII საუკუნის დასასრულიდან მიიკვლევს გზას საქართველოს ბაზრისაკენ.

ამრიგად, არაბთა დაპყრობებმა უარყოფითად იმოქმედა არა მარტო ქვეყნის პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკის მდგომარეობაზედაც. თუ VI საუკუნე და VII-ის დასაწყისი ეკონომიკური ცხოვრების აღმავლობის ხანა იყო, VII საუკუნის მეორე და VIII საუკუნის პირველ ნახევარში აშკარა დეპრესიასთან გვაქვს საქმე, რომელიც თითქმის VIII საუკუნის დასასრულამდე გრძელდება. შემთხვევითი არაა, რომ სინქრონული სამონეტო განძები საქართველოს ტერიტორიაზე მიკვლეული არ არის.

ახლა, ვიდრე უშუალოდ საქართველოში გავრცელებული არაბული დირჰემების განხილვაზე გადავიდოდეთ, ვარღვევთ რა ჩვენი ნაშრომის ზემოთ შემოთავაზებულ არქიტექტონიკას, გვსურს შევჩერდეთ თბილისში მოჭრილ ერთ უნიკალურ მონეტაზე. ეს იმითაა განპირობებული, რომ ის ადრეულია და მისი მოთავსება საქართველოში მოჭრილ გვიანდელ არაბულ მონეტებს შორის გარკვეულ უხერხულობას შექმნის.

საქმე ეხება თბილისის ზარაფხანაში ჰიჯრის 85 წელს (= 704/5 წწ.) მოჭრილ ომაიანთა დირჰემს. ეს უნიკალური მონეტა (ეს მონეტა, როგორც გ. ჯაფარიძემ გვაცნობა, აღარ არის უნიკალური, მეორე ეგზემპლარი ინახება კატარის მუზეუმში) ფაქტობრივად ადასტურებს, რომ 704 წელს არაბებს თბილისი ხელთ ეპყრათ (სამწუხაროდ, სადაა ეს მონეტა ამჟამად დაცული არავინ იცის. 1941-45 წწ. სსრკ-გერმანიის ომამდე ინახებოდა ბერლინის მუზეუმში). როგორც ვარაუდობენ, არაბთა მხრიდან სამონეტო ემისიის ფაქტი თბილისში VIII საუკუნის დასაწყისში უფრო პოლიტიკური ჟესტი იყო ვიდრე ეკონომიკური, ის არ უნდა ყოფილიყო გამიზნული ფართო ცირკულაციისათვის. აღსანიშნავია, რომ ამის შემდეგ 125 წლის მანძილზე, ჰიჯრის 210 წლამდე (=825 წ.) თბილისის ზარაფხანა არ ფუნქციონირებს. ამის ახსნა ჭირს. გამოთქმულია ზოგიერთი ჰიპოთეზა ამასთან დაკავშირებით, რასაც შემდგომ გაგაცნობთ.

და კიდევ ერთი: პროფესორი დ. კაპანაძე ზემოთ მოხსენიებულ მონეტას „არაბული ყაიდის თბილურ დრამას" უწოდებს. ეს ტერმინი მართებული არ არის. თბილისში 704 წელს მოჭრილი ვერცხლის მონეტა „არაბული ყაიდის" კი არაა, არამედ წმინდა წყლის არაბული დირჰემია.

ახლა შევეხოთ საქართველოში გავრცელებულ ქუფურ მონეტებს. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს რომ VII საუკუნის დასასრულს ხალიფა აბდ ალ-მალიქმა ჩაატარა ფულადი რეფორმა, რის შედეგადაც ბიზანტიურმა ოქროსა და

ვერცხლის მონეტებმა ადგილი დაუთმო არაბულ დინარსა (ოქროს ფულს წონით 4,25 გრამი) და დირჰემს (წონა 2,75-2,90 გრამი), მაგრამ ამას, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, არ მოყოლია საქართველოში მათი მასობრივი შემოსვლა და ტეზავრაცია VIII საუკუნეში.

ომაიანთა დინარის პოვნის ფაქტი საქართველოში და საერთოდ ამიერკავკასიაში ძალიან იშვიათია. ერთადერთი უტყუარი შემთხვევა ცნობილია სოფელ კალინოვკიდან (ლაგოდეხის რაიონი). 1945 წელს მიწის დამუშავების დროს აქ აღმოჩნდა ჰიჯრის 88 წელს (=706/7 წწ.) მოჭრილი ოქროს მონეტა.

რაც შეეხება VIII საუკუნის ომაიადურ დირჰემებს, მათი პოვნის მცირერიცხოვანი შემთხვევები საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებულია. ასე მაგალითად:

1. 1924 წელს ზემოავჭალის ელსადგურის მშენებლობის დროს მდინარე მტკვარზე, სხვა ქუფურ მონეტებთან ერთად, აღმოჩნდა იშვიათი ომაიადური დირჰემი, დათარიღებული 700/1 წლებით.
2. მცხეთაში, ჯვრის მონასტრის მოდამოებში, 1963 წელს იპოვეს 717/18 წლებში მოჭრილი ომაიადური დირჰემი.
3. 1937 წელს ლაგოდეხის მიდამოებში აღმოჩნდა ომაიადური ვერცხლის მონეტა დათარიღებული 718/19 წლებით.
4. სოფელ მატაანში (ახმეტის რაიონი) 1964 წელს იპოვეს ორი ომაიადური დირჰემი, მოჭრილი 710/11 და 721/22 წლებში.
5. 1950 წელს სოფელ მერჯევში (საჩხერის რაიონი) აღმოჩნდა ომაიადური დირჰემი, დათარიღებული 718/19 წლით.
6. თბილისის მიდამოებში XIX საუკუნის მეორე მეოთხედში აღმოჩენილა ომაიადური დირჰემები, მათ შორის ერთი მოჭრილია 721/22 წლებში.

(ეს და სხვა ცნობები არაბული მონეტების აღმოჩენისა საქართველოს ტერიტორიაზე, ამოკრებილია ირ. ჯალაღანიას ნაშრომებიდან: 1. ქუფური მონეტების ტოპოგრაფია საქართველოში, თბილისი, 1972; 2. საქართველოს სამონეტო განძები, I, თბილისი, 1976; 3. Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв., Тб., 1979).

ცხადია, VIII საუკუნის ცალკეულად აღმოჩენილი ომაიადური მონეტების რიცხვი მცირეა, მაგრამ ვითვალისწინებთ რა VIII საუკუნის ბოლოსა და IX საუკუნეში არაბული მონეტების განძების შემადგენლობას (ფშაველის, დილიფის, მთისძირის, ფიჩხოვანის, ლელიანის, კავშირის), რომელთა აუცილებელი კომპონენტია ომაიადური დირჰემები, შეიძლება დავუშვათ მათი ცირკულაცია გარკვეული მასშტაბებით ჩვენთვის საინტერესო პერიოდშიაც.

ომაიადური ფელსების (სპილენძის მონეტების) მიმოქცევის საკითხი ჯერჯეროობით დიდი სირთულეების წინაშე დგას. მართალია ისინი აღმოჩენილია თბილისისა და რუსთავის არქეოლოგიური გათხრების დროს, მაგრამ მათი ზუსტი ატრიბუცია

ცუდი დაცულობის გამო, ძალიან ჭირს. ზოგადად ისინი შეიძლება VIII საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღდეს.

რაც შეეხება თბილისის ზარაფხანაში მოჭრილ ფელსს, ის ჯერჯერობით ცნობილი არაა.

ამრიგად, ფაქტობრივი მასალის ანალიზის საშუალებით შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ საქართველოს და სახალიფოს შორის ეკონომიკური ურთიერთობის გააქტიურებას ადგილი ჰქონდა მხოლოდ VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან.

სპეციალისტების მიერ გამოყოფილია ქუფური მონეტების საქართველოში გავრცელების ორი, მკვეთრად გამიჯნული სფერო: ა) თბილისი და მის ახლოს მდებარე რაიონები, მცხეთა-სამთავრო-ავჭალა, კასპი, სამგორი, რუსთავი (აქ მასალა უმთავრესად წარმოდგენილია ერთეული აღმოჩენების სახით); ბ) ისტორიული ჰერეთის ტერიტორია, მდინარე ალაზნის მარცხენა სანაპირო, ლაგოდეხის, ყვარლის, ახმეტის რაიონები (აქ ძირითადად განძებია აღმოჩენილი). არაბული მონეტების მიმოქცევის ამ ლოკალური რაიონების წარმოქმნასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად დამპყრობლის ხელისუფლება ვრცელდებოდა ქვეყნის შიდა რაიონებზე, ძირითადად ქართლის საზღვრებში, ხოლო პერიფერიაზე მათი გავლენა სუსტი იყო. სწორედ ეს ტერიტორია – კახეთი და ჰერეთი წინაურდება VIII საუკუნის ბოლოსა და IX საუკუნის დასაწყისში როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიკურად. მეტიც: ვარაუდობენ VIII საუკუნის 60-იან წლებში ჰერეთი საერთოდ თავისუფლდება არაბთა უღლისაგან. სწორედ აქ, ლაგოდეხის, ყვარლისა და ახმეტის რაიონშია კონცენტრირებული VIII-IX საუკუნეების სასანურ-არაბული მონეტების განძები.

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, 1921-24 წლებში ლაგოდეხის რაიონის სამ სოფელში – კავშირში, ლელიანსა და აფენში – აღმოჩნდა სასანურ-ქუფური მონეტების სამი განძი, რომელიც თავის დროზე მეცნიერულად შეისწავლა ცნობილმა ქართველმა ნუმიზმატმა თ. ლომოურმა. მისი დასკვნები მთლიანად დაადასტურა შემდგომმა აღმოჩენებმა. თ. ლომოურის დასკვნები მოკლედ ასე შეიძლება გადმოიცეს: 1. ზემოთ აღნიშნული სამივე განძის შემადგენლობა იდენტურია, შედგება სასანიდური და ქუფური მონეტებისაგან; 2. ქრონოლოგიურად ეს განძები იფარგლება VI საუკუნის დასასრულითა და IX საუკუნის პირველი ნახევარით; 3. აღმოჩენის სამივე პუნქტის (კავშირის, ლელიანისა და აფენის) ცენტრია ლაგოდეხი. ეს უკანასკნელი კი მდებარეობდა იმ სავაჭრო მაგისტრალზე, რომელიც რამდენიმე ასეულ კილომეტრზე იყო გადაჭიმული და საქართველოს აღმოსავლეთის ქვეყნებთან აკავშირებდა. ეს ეკონომიკური არტერია მიემართებოდა მდინარე ალაზანსა და კავკასიონის ქედს შორის, ერთი თავისი განშტოებით გადაკვეთავდა ხსენებულ მდინარეს და ჟინვალიდან სამხრეთით უერთდებოდა იმ გზას, რომელიც თბილისიდან მცხეთის გავლით ჩრდილოეთისაკენ მიემართებოდა. გზის მეორე ბოლო აღწევდა ბელაქანს, ზაქათალასა და ნუხას (თანამედროვე აზერბაიჯანის

ტერიტორია). აქ კვლავ მისი ერთი ტოტი სამხრეთისაკენ უხვევდა, გადაკვეთავდა მდინარე მტკვარს და ბარდავამდე მიემართებოდა.

სხვათაშორის ამ საკითხს შეეხო აგრეთვე აკად. დავით მუსხელიშვილი. საბუთად გამოიყენა რა სოფელ ფშაველისა (თელავის რაიონი) და მთისძირის (ყვარლის) განძების შემადგენლობა, მან წამოაყენა მოსაზრება, რომ შესაძლებელია თანამედროვე გზის ადგილას, რომელიც აერთებს ახმეტასა და ზაქათალას, ძველთაგანვე არსებობდა ასეთი შემაერთებელი ეკონომიკური ძარღვი.

დავუბრუნდეთ უშუალოდ არაბული მონეტების აღმოჩენის შემთხვევებს საქართველოს ტერიტორიაზე. მასალა ძალიან დიდია. ამიტომ ჩვენ გვერდს ვუვლით ცალკეულად აღმოჩენილ ცალებს (თუმცა მათი გავრცელების ძირითადი სექტორი ზემოთ მოვხაზეთ) და ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ განძებზე იმ თანმიმდევრობით, როგორც ჩამოვთვალეთ სასანურ და არაბულ-სასანურ მონეტებთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, შევეხებით საქართველოს სხვა კუთხეებში აღმოჩენილ არაბული მონეტების განძებსაც.

ა) ფშაველის განძის შემადგენლობაში (იხილე ზემოთ № 2) შედის შემდეგი ქუფური მონეტები: VIII საუკუნის შუა ხანების ომაიანთა დირჰემი – 4 ცალი, ესპანეთის ომაიანები – 1 (770-771 წწ.), აბასიანები – 118 ეგზემპლარი, VIII-IX საუკუნეების აღლაბიდების დირჰემი – 2 ცალი (802, 804/5 წწ.). როგორც უკვე თავის ადგილზე გვქონდა აღნიშნული, განძის გვიანდელი მონეტა მოჭრილია ხალიფა ჰარუნ არ რაშიდის (786-809 წწ.) დროს – 807/8 წლებში.

ბ) მთისძირის განძის (იხილე № 3) შემადგენლობაში შედის: ომაიანები (VIII ს.) – 15 ცალი, ესპანეთის ომაიანები (782/3 წწ.) – 1. განძის ძირითად ბირთვს შეადგენს VIII-IX საუკუნეების აბასიდური დირჰემები – 282 ცალი. გვიანდელი მონეტა მოჭრილია 819/20 წლებში.

გ) ლელიანის განძის (იხილე № 4) შემადგენლობა შეიცავს: VIII საუკუნის 12 ომაიადურ დირჰემს და აბასიდურ ვერცხლის მონეტებს, რომელთაგან გვიანდელი დათარიღებულია 829 წლით.

დ) კავშირის განძის (იხილე № 5) შემადგენლობაში შედის: VIII საუკუნის პირველი ნახევარის ომაიადური მონეტები – 7 ცალი და აბასიდური დირჰემები. განძის გვიანდელი მონეტა 820 წლით თარიღდება.

ე) აფენის განძის (იხილე № 6) ძირითადი ნაწილი მოჭრილია ხალიფა ჰარუნ არ რაშიდის (786-809 წწ.) სახელით. განძი ჩამარხულია 833 წლის შემდეგ.

ვ) დილიფის (დლივის) განძის (იხილე № 7) შემადგენლობაში შედის: ომაიანთა ხუთი ვერცხლის (VIII ს.) და 25 აბასიდური დირჰემი, მათ შორის გვიანდელია 833 წელს მოჭრილი ცალი.

ზ) ჭიკაანის განძიდან (იხილე № 8) ჩვენამდე მოღწეულია 11 ცალი, აქედან ხუთი – აბასიდური დირჰემია, მათ შორის გვიანდელი მოჭრილია 861 წელს.

თ) ფიჩხოვანის განძში (იხილე № 9) შედის: ომაიანები – 8 ცალი, ესპანეთის ომაიანები – 1 (785/6 წწ.), იდრისიანები – 2 და 90 აბასიდური დირჰემი. განძის ყველაზე გვიანდელი მონეტა მოჭრილია არაუგვიანეს 901/2 წლებისა.

გარდა ზემოთ დასახელებული განძებისა, საქართველოს ტერიტორიაზე კიდევაა აღრიცხული ქუფური მონეტების კომპლექსების აღმოჩენის შემთხვევები. ჩვენ ისინი არ გამოგვიყენებია, ამიტომ მოგვყავს მათი სია. უპირველეს ყოვლისა, ისევ ჰერეთის რეგიონიდან მომდინარე მასალას შევეხებით:

1. 1930 წელს კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩენილია რამდენიმე ასეული ქუფური (ომაიადური, აბასიდური და სხვა) ვერცხლის მონეტისაგან შემდგარი განძი, რომელიც მპოვნელებმა დაიტაცეს. გადარჩენილი ცალები VIII-IX საუკუნეების ქუფური მონეტები გამოდგა. როგორც ვარაუდობენ, არ არის გამორიცხული, რომ ეს ცნობა გულისხმობს აფენსა, კავშირში და ლელიანში აღმოჩენილ განძებს. ყოველ შემთხვევაში, ეს კომპლექსი კიდევ ერთი საბუთია ქუფური მონეტების ინტენსიური ცირკულაციისა აღმოსავლეთ კახეთის საზღვრებში.
2. 1965 წელს საჩხერის რაიონის სოფელ სავანეში, „ალავიძეების უბანში" მიწის გადაბრუნებისას აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი ვერცხლის მონეტებით. განძის შემადგენლობიდან გადარჩა მხოლოდ 68 ეგზემპლარი, ერთი ომაიადური და 67 აბასიდური დირჰემი. განძის გადარჩენილი ნაწილის ქრონოლოგიური დიაპაზონია 740/41-792/93 წლები.
3. 1857 წელს თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრაში აღმოჩენილა ქუფური დირჰემები (200 ცალამდე). ქრონოლოგიური ჩარჩოები განძისა IX საუკუნის ბოლო მეოთხედი - X საუკუნის პირველი ნახევარია. ამრიგად, ეს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არაბული მონეტების ერთ-ერთი გვიანდელი განძია.
4. 1961 წელს თბილისში, ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე აღმოჩნდა განძი – ქუფური მონეტების წვრილი ნატეხები, საერთო წონით 428,16 გრამი (განძის შემადგენლობაში რამდენიმე მთელი ეგზემპლარიც ერია). მოხერხდა ზოგიერთის განსაზღვრა: ა) ბიზანტიის იმპერატორ იოანე ციმისხეს (969-976 წწ.) მონეტის ნატეხი; ბ) აბასიდური მონეტები მოჭრილი 939/40 წლებში – 2 ცალი, ნატეხი აბასიდური დირჰემისა, თარიღი – 990/91 წელი; გ) თბილისის ამირა ჯაფარ იბნ მანსურის მიერ 977/78 წლებში მოჭრილი მონეტა (თბილისის საამიროსა და მისი ამირების მონეტების შესახებ შემდეგ გვექნება საუბარი). განძის ჩამარხვის თარიღად უნდა მივიჩნიოთ X საუკუნის დასასრული – XI საუკუნის დასაწყისი. ჩვენში ნაპოვნ ქუფური მონეტების განძებს შორის ეს კომპლექსი ჯერჯერობით უგვიანესია.

ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქუფური მონეტების განძები თვალნათლივ მიუთითებს არაბული დირჰემების აქტიურ როლ-

ზე ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში VIII საუკუნის დასასრულიდან IX საუკუნეში და X საუკუნის პირველ ნახევარში.

არაბული მონეტების მიმოქცევასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს კიდევ ასეთი დეტალი: IX საუკუნის შუა წლებიდან ჩვენში სამონეტო ცირკულაციაში ჩართულია დაჭრილი დირჰემები (აღმოჩენილია, მაგალითად, დილიფ-დლივის განძის შემადგენლობაში). ასეთივე მოვლენა დაფიქსირებულია რუსეთის ფულად მიმოქცევაში VIII საუკუნის დასასრულსა და IX საუკუნის დასაწყისში. აკადემიკოსი ვალენტინ იანინი ამას ხსნის იმით, რომ რუსეთის ბაზარზე ჭრელი მეტროლოგიური სიტუაცია იყო და დაჭრილი მონეტები როგორღაც აწესრიგებდა მიმართებას რუსულ ფულად-წონით სისტემასთან. საკითხის სირთულისა და პრობლემატურობის გამო, ამ უაღრესად საინტერესო მოვლენაში ჩაღრმავება წინამდებარე ნაშრომში შეუძლებელია.

და კიდევ: ჩვენ არაფერი გვითქვამს საქართველოში აღმოჩენილი ქუფური მონეტების ზარაფხანების შესახებ. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ჩვენში შემოდის არა მარტო არაბთა სახელმწიფოს ცენტრალური რეგიონის – ერაყის – ზარაფხანების მონეტები, არამედ სხვა, ძალიან შორეული ქალაქების დირჰემებიც.

მოკლედ უნდა შევჩერდეთ დასავლეთ საქართველოს შესახებ. რა თქმა უნდა, ისიც ვერ გადაურჩა არაბთა შემოსევას, მაგრამ მოვლენები აქ განსხვავებული სცენარით წარიმართა.

როგორც ცნობილია, მთელი VII საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში მიმდინარეობდა განუწყვეტელი ბრძოლა ბიზანტიასა და სახალიფოს შორის ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის. ბიზანტიელი მემატიანის თეოფანეს ცნობით, 697 წელს ბიზანტიელებს აუჯანყდა და თავისი ქვეყანა არაბებს გადასცა ეგრისის (ლაზიკის) პატრიკიოსმა სერგი ბარნუკის ძემ. 705-711 წლებში არაბებს თითქმის მთელი დასავლეთ საქართველო უჭირავთ, რაც, ცხადია, ბიზანტიის მხრიდან საპასუხო რეაქციას იწვევს. არაბებმა ვერ შეძლეს ამ რეგიონში გამაგრება. მიუხედავად იმისა, რომ მურვან ყრუმ მიწასთან გაასწორა ლაზიკის დედაქალაქი არქეოპოლისი (ნოქალაქევი), მათ აქ ფეხი მაინც ვერ მოიკიდეს. ეს აისახა აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკაშიც. არაბული დირჰემები დასავლეთ საქართველოში, როგორც ჩანს, არ მიმოიქცეოდა. დღესდღეობით აღრიცხულია მათი აღმოჩენის ორად-ორი შემთხვევა სოფელ მერიაში (ოზურგეთის რაიონი) და გელათში (ქუთაისის რაიონი).

რაც შეეხება არაბული მონეტების ორ განძს, რომელიც შავი ზღვის სანაპირ ოზეა ნაპოვნი, ისინი აქ სხვა არხებითაა შემოსული. პირველი განძი აღმოჩენილია სოფელ არქაბში (ლაზისტანი) და შეიცავს 723-811 წლებში მოჭრილ 300 დირჰემს ხოლო მეორე – ჭოროხის მიდამოებში (ის გაიფანტა). სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მიუხედავად ბიზანტია-არაბების გაუთავებელ ომებისა, ეკონომიკური ურთიერთობა მათ შორის არ შეწყვეტილა. კონსტანტინოპოლის გემები ძალიან ხშირი სტუმრები იყო ტრაპეზუნტის ნავსადგურისა, რო

მელიც სახალიფოსთან ვაჭრობის კარიბჭეს წარმოადგენდა ჩრდილოეთით. სწორედ ამ სექტორიდან უნდა იყოს შემოსული არაბული დირჰემები ზემოთ დასახელებულ პუნქტებში.

ჩვენ უკვე ვწერდით, რომ პირველი არაბული მონეტა თბილისში მოიჭრა ჰიჯრის 85 წელს (=704 წ.), ხალიფა აბდ ალ-მალიქის (685-705 წწ.) დროს და, როგორც არაბული სამფლობელოს ყველა სხვა ზარაფხანის დირჰემები, ისიც ანონიმურია. თბილისში ჰიჯრის 85 წელს მოჭრილი დირჰემის მეორე ეგზემპლარი ინახება კატარის მუზეუმში. ამის შემდეგ თითქმის 125 წლის მანძილზე თბილისის ზარაფხანა არ ფუნქციონირებს, რაც ძნელი ასახსნელია. მეცნიერების განკარგულებაში არსებული ფაქტობრივი მასალის მიხედვით, თბილისის სამონეტო კარი მოქმედებას იწყებს ჰიჯრის 210 წელს (= 825/6 წწ.), ვინაიდან სწორედ ამ წლითაა დათარიღებული პირველი თბილურ-აბასიდური დირჰემი. სამწუხაროდ, არც მისი წონა და არც მისი ადგილსამყოფელი დღესდღეობით ცნობილი არაა. ვიცით მხოლოდ, რომ ამ დირჰემის ნატეხი ერია შვეციაში აღმოჩენილ განძის შემადგენლობაში (ამ ფაქტმა არ უნდა გაგვაკვირვოს. IX-X საუკუნეების ქუფური მონეტები მასობრივად გადიოდა ჩრდილოეთში, აღწევდა სკანდინავიასა და დასავლეთ ევროპას. ცხადია, გამონაკლისს ამ მხრივ არც თბილისში მოჭრილი არაბული დირჰემები წარმოადგენდა). შემორჩენილია მხოლოდ მისი ჩანახატი, რომელზედაც პროფესორმა ე. პახომოვმა წაიკითხა თბილისის ზარაფხანის სახელი.

... და კვლავ თითქმის ოცდაათწლიანი ხარვეზი: ჰიჯრის 211-247 წლებში თბილისში მოჭრილი მონეტები ცნობილი არაა. შემთხვევითია თუ არა ეს გარემოება, ამას მომავალი აღმოჩენები უპასუხებს.

ჰიჯ. 248 წელს (=862/63 წწ.) მოჭრილი თბილურ-აბასიდური დირჰემები (ტაბ. VII, № 43) ცნობილია სულ ექვსი ცალის რაოდენობით: სამი მათგანი დაცულია ერმიტაჟში, ორი – მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში და ერთიც – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

თბილურ-არაბულ მონეტებთან დაკავშირებით ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას. პროფესორმა ე. პახომოვმა შეადგინა უნიკალური კარტოთეკა ამიერკავკასიაში მოჭრილი და აქვე აღმოჩენილი მონეტებისა, რომელიც ამჟამად ერმიტაჟის კუთვნილებაა. სწორედ ეს კარტოთეკა გვიწევს დიდ დახმარებას თბილურ-არაბული მონეტების საერთო რიცხვის, ემისიის წლებისა და ადგილსამყოფელის დადგენის თვალსაზრისით. ამ მხრივაც ე. პახომოვის დამსახურება სრულიად განსაკუთრებულია. სწორედ მის კარტოთეკაში არის ცნობა, რომ თბილისში ჰიჯ. 249 წელს (=863/64 წწ.) მოჭრილი დირჰემი ინახებოდა ვინმე სოლოვიოვის კოლექციაში – მოზდოკში.

ჰიჯ. 287 წელს (=900 წ.) გამოშვებულ თბილურ-არაბულ მონეტას მიაკვლია ერმიტაჟის ნუმიზმატიკის განყოფილების ფონდებში ამავე განყოფილების თანამშრომელმა იგორ დობროვოლსკიმ.

როგორც ფაქტობრივი მასალა მოწმობს, ჰიჯრის 294 წელს (= 906/7 წწ.) თბილისის ზარაფხანა უფრო ინტენსიურად მოქმედებდა. ემისია შედარებით უფრო მეტი რაოდენობითაა ჩვენამდე მოღწეული. ამავე დროს ეს მონეტები (ტაბ. VII, № 44) შედიოდა როგორც რუსეთსა და სკანდინავიაში, ასევე საქართველოში აღმოჩენილი განძების შემადგენლობაში (მაგალითად, 1857 წ. ბორჩალოს მაზრაში ნაპოვნ განძის შემადგენლობაში). 906/7 წლებში მოჭრილი თბილურ-აბასური დირჰემი ოთხ-ოთხი ცალის რაოდენობით დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟში, თითო-თითო – აზერბაიჯანის ისტორიულ მუზეუმსა და ამერიკის ნუმიზმატიკური საზოგადოების ფონდებში. ერთი ასეთი მონეტა შედიოდა 1872 წელს იერუსალიმში აღმოჩენილი განძის შემადგენლობაში, რომელიც ბერლინის მუზეუმის კოლექციაში მოხვდა დასაცავად.

295 წლით (= 907/8 წწ.) დათარიღებული დირჰემი ცნობილი გახდა ევგ. პახომოვის კარტოთეკის წყალობით.

თბილისში 307 წელს (= 919/20 წწ.) მოჭრილი აბასიდური დირჰემი უნიკუმია.

ცხრა ცალადაა ცნობილი თბილური დირჰემი, რომლის ემისიის წელია 312 (= 924/25 წწ.). სამი მათგანი დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ერთი – ერმიტაჟში, ორი – ბერლინში და სამიც, დ. კაპანაძის ცნობით, სხვადასხვა მუზეუმებში. მხოლოდ ლიტერატურაშია მოხსენიებული 314 (= 926/27 წწ.) და 321 (= 933 წ.) წლებით დათარიღებული თბილურ-არაბული მონეტები.

ე. პახომოვის კარტოთეკის საშუალებით დგინდება, რომ ჰიჯრის 323 წლით (= 934/35 წწ.) დათარიღებული თბილისში მოჭრილი მონეტა შედიოდა 1871 წელს მინსკში აღმოჩენილი ქუფური დირჰემების განძის შემადგენლობაში.

331 წელს (= 942/43 წწ.) გამოშვებული თბილურ-არაბული დირჰემის ორი ეგზემპლარი დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ერთიც – მოხსენიებულია ლიტერატურაში.

სულ უკანასკნელ დრომდე ჰიჯრის 331 წლით მთავრდებოდა თბილისში მოჭრილი აბასიდური მონეტების რეესტრი. მაგრამ, როგორც ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ირ. ჯალაღანია აღნიშნავს, არის ყველა საფუძველი ვივარაუდოთ, მათი ემისია როგორც 332 (= 943/44 წწ.), ასევე 333/4 წლებში (= 944/45 წწ.). ყოველ შემთხვევაში, ერმიტაჟის მეცნიერმა თანამშრომელმა ი. დობროვოლსკიმ ამავე მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების აღმოსავლური მონეტების ერთ-ერთ თბილურ ცალზე დაბეჯითებით წაიკითხა თარიღი 335 წელი (= 946/47 წწ.). ამრიგად, თბილისის ზარაფხანის მიერ აბასიანთა ხალიფას სახელით (ზოგიერთ შემთხვევაში მისი მემკვიდრის მოხსენიებითაც) სამონეტო ემისია წარმოებდა 946/47 წლების ჩათვლით. ამ ფაქტის დადგენას დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს (აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც: ლიტერატურაში მოხსენიებულია ერთი თბილისური ოქროს მონეტაც – დინარი, რომელიც ხალიფა ალ-მუთთაკი ბილ-ლაჰს (940-944 წწ.) ეკუთვნის.

ცხადია, აბასიანი ხალიფების სახელით მონეტების ემისიას ახორციელებდა თბილისში მჯდომი ნაცვალი – ამირა. ამირას ინსტიტუტი საქართველოში VIII საუკუნის შუა ხანებიდან დამკვიდრდა. ცნობილია თბილისელი ამირების სამი საგვარეულო: შუაბიდები, შაიბანიდები და ჯაფარიანები. პირველი ორი საგვარეულოს წარმომადგენლები მონეტებს ჭრიდნენ მხოლოდ და მხოლოდ ხალიფების სახელით, რაც ცენტრალური ხელისუფლების მიმართ მათ სრულ ლოიალობაზე, სრულ დამოკიდებულებაზე მიუთითებს.

ჯაფარიანთა საგვარეულოს წარმომადგენლები კი უკვე საკუთარი სახელით ჭრიან მონეტებს. ამ ფაქტს დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ჯაფარიანთა სახელით თბილისში მოჭრილი დირჰემები ადგენს, როდის დაგვირგვინდა წარმატებით თბილისის საამიროს ბრძოლა სრული დამოუკიდებელობისათვის, როდის განყვიტა თბილისის საამირომ ყოველგვარი კავშირი ცენტრალურ ხელისუფლებასთან, როდის აქციეს ჯაფარიანებმა თავისი ხელისუფლება მემკვიდრეობითად. გარდა ამისა, მათ გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის ჯაფარიანთა საგვარეულოს გენეალოგიური ცხრილის დაზუსტების თვალსაზრისითაც, ვინაიდან ამ დინასტიის ზოგიერთი ამირას სახელი მხოლოდ მონეტების საშუალებით გახდა ცნობილი (მაგალითად, მანსურ იბნ ჯაფარი და ჯაფარ იბნ მანსური), ისინი არცერთ წერილობით წყაროში არ იხსენიებიან.

ჯაფარიანთა (ბანუ ჯაფარ) არაბული დინასტია თბილისში დაახლოებით IX ს-ის 80-იან წლებში დამკვიდრდა და ქალაქს ორი საუკუნის მანძილზე ფლობდა.

საკითხი, თუ როდის მოიპოვა ჯაფარიანთა საგვარეულომ პოლიტიკური დამოუკიდებლობა, სამეცნიერო ლიტერატურაში სადისკუსიოა. აკადემიკოსები სიმონ ჯანაშია და მარიამ ლორთქიფანიძე თვლიან, რომ ეს მოხდა IX საუკუნის 80-იან წლებში, ამ ხანიდან აქციეს მათ თბილისის საამირო სამემკვიდრეო მამულად. პროფესორი ევგ. პახომოვი და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გ. ჯაფარიძე კი, ძირითადად ნუმიზმატიკურ მასალებზე დაყრდნობით, ვარაუდობენ, რომ პოლიტიკური დამოუკიდებელობა და სიქის უფლება (ანუ მონეტის ემისიის უფლება) ჯაფარიანთა საგვარეულომ მოიპოვა მხოლოდ X საუკუნის 40-იან წლებში. როგორც ჩანს, მეორე მოსაზრება უფრო ახლოს უნდა იყოს რეალობასთან.

დღეისათვის ცნობილი ჯაფარიანთა საგვარეულოს ორი პირველი წარმომადგენელი ჯაფარი და ჯაფარ იბნ ალი (908-914 წწ.), როგორც ირკვევა, მონეტას არ ჭრიდნენ (ყოველ შემთხვევაში, ასეთი ნუმიზმატიკური ფაქტები დღესდღეობით ცნობილი არ არის).

ჯაფარიანთა დინასტიის პირველი ამირა, რომლის მონეტამაც ჩვენამდე მოაღწია, გახლავთ მანსურ იბნ ჯაფარი. სხვა წყაროებში იგი, როგორც ამას აკად. მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, მოხსენიებული არაა. ჰიჯრის 342 წელს (= 953/54 წწ.) მისი სახელით მოჭრილი დირჰემი ბოლო დრომდე უნიკუმად ითვლება. მანსურ იბნ ჯაფარი მონეტებს ჭრიდა 343 წელსაც (= 954/55 წწ.) (ტაბ. VII, № 45). ერთი მათგანი ინახება ერმიტაჟში და ორიც საქართველოს სახელმწიფო

მუზეუმშია დაცული. აქედან ერთ-ერთი მათგანი შედიოდა 1932 წელს თბილისის მიდამოებში აღმოჩენილი ქუფური მონეტების განძის შემადგენლობაში. მანსურ იბნ ჯაფარის დირჰემებთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებს გვაწვდის ე. პახომოვი: ა) თბილისში მოძღვაროვის კოლექციაში ინახებოდა 343 წლით დათარიღებული მონეტა; ბ) ამავე წლით დათარიღებული დირჰემი დაცულია მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში. ლიტერატურაში შემონახულია ცნობა, რომ 343 წელს მოჭრილი თბილური დირჰემი შედიოდა მინსკის რაიონის სოფელ ნოვი დვორში აღმოჩენილი ქუფური მონეტების დიდი სამონეტო კომპლექსის შემადგენლობაში.

ჯაფარიანთა დინასტიის მეორე წარმომადგენელი, რომელიც სამონეტო რეგალიას ახორციელებდა, გახლავთ ჯაფარ იბნ მანსური. მისი სახელით ჰიჯრის 364 წელს (= 974/75 წწ.) თბილისში მოჭრილი ორი დირჰემია დღემდე ჩვენამდე მოღწეული. ერთი დაცულია ერმიტაჟში, ხოლო მეორე – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. ეს უკანასკნელი, ე. პახომოვის ცნობის თანახმად, შეუძენიათ ერთ თბილისელი ვაჭრისაგან და, ჩანს, ადგილობრივაა აღმოჩენილი.

სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟის ნუმიზმატიკის განყოფილებაში ინახება ჯაფარ იბნ მანსურის ერთადერთი დირჰემი, დათარიღებული ჰიჯრის 366 წელს (= 976/77 წწ.). ამასთანავე, ლიტერატურაში დაცულია ცნობა, რომ 1891 წელს ნოვორჟევსკის მაზრის სოფელ დემშინოში აღმოჩენილია ქუფური და დასავლეთ ევროპული მონეტების უზარმაზარი განძი (დაახლოებით 6000 ცალი), რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა ერთი თბილური დირჰემი, მოჭრილი 366 წელს. ძნელი სათქმელია, არის თუ არა აქ საუბარი ერთიდაიმავე ეგზემპლარზე.

ჩვენ წინა პარაგრაფში უკვე მოვიხსენიეთ თბილისის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე 1961 წელს აღმოჩენილი შუაზე, ან უფრო მცირე ნაწილებად დაჭრილი მონეტების განძი. მის შემადგენლობაში ერია ჯაფარ იბნ მანსურის ერთი მონეტა, დათარიღებული ჰიჯრის 367 წელს (= 977/78 წწ.) (ტაბ. VII, № 46). მეორე ასეთ ეგზემპლარს მიაკვლია ი. დობროვოლსკიმ ერმიტაჟის კოლექციაში.

ჯაფარ იბნ მანსურის სახელით ჰიჯრის 370 წელს (= 980/81 წწ.) მოჭრილი ორი დირჰემი დაცულია ერმიტაჟის ნუმიზმატიკურ კოლექციაში.

ამრიგად, ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ჯაფარ იბნ მანსური სამონეტო ემისიას აწარმოებდა ჰიჯრის 364, 366, 367 და 370 წლებში.

ჯაფარიანთა საგვარეულოს მესამე წარმომადგენელი, რომლის მონეტებმაც ჩვენამდე მოაღწია, თბილისის ამირა ალი იბნ ჯაფარია. უნდა აღინიშნოს, რომ მისი მმართველობის ხანა მხოლოდ ნუმიზმატიკური მონაცემებით განისაზღვრება.

ალი იბნ ჯაფარის მონეტებმა დიდი ხანია მიიპყრო მკვლევართა ყურადღება (ა. მარკოვი, დ. კაპანაძე, ე. პახომოვი, დ. ლანგი, ხ. მუშელიანი, ირ. ჯალაღანია, მ. ანთაძე). ამ საკითხის გარშემო საინტერესო მოსაზრებებია გამოთქმული და ნაშრომების გარკვეული რაოდენობა გამოქვეყნებული. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. ჯაფარიძის წერილი „თბილისის ამირას ალი იბნ ჯაფარის მონეტები" (იხ. კრებული „ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები", თბილისი, 1991, გვ. 132-

150), სადაც ალი იბნ ჯაფარის მონეტები მონოგრაფიულადაა შესწავლილი. ჩვენ მთლიანად ვეყრდნობით ხსენებულ გამოკვლევას.

ჩვენამდე მოღწეული ალი იბნ ჯაფარის მონეტები მოჭრილია ჰიჯრის 386-418 წლებში (=996/97-1027/28 წწ.). ისინი ყველაზე მრავალრიცხოვანია სხვა ჯაფარიანთა მონეტებთან შედარებით. დღეისათვის ცნობილია 466 ეგზემპლარი. 440 ცალი დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, 17 – მოსკოვის სახელმწიფო ა. ს. პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმში, 4 – მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში, 3 – სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟში, 1 – სომხეთის სახელმწიფო მუზეუმში და ერთიც – ამერიკის ნუმიზმატიკური საზოგადოების კოლექციაში, ნიუ-იორკში.

ამ მონეტების დიდი ნაწილი (438 ეგზემპლარი) მოდის თბილისისა და სოფელ ქვახვრელის (ქალაქ გორის მახლობლად) განძებიდან. პირველი აღმოჩნდა 1953 წელს მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირის გამაგრების დროს გოგირდის აბანოების მიდამოებში. ამ განძის 421 მონეტა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, შვიდი მონეტა კი საჩუქრად გადაეცა სხვადასხვა საცავებს. რაც შეეხება ქვახვრელის განძს, მისი ნაწილი დაიფანტა და ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულია მხოლოდ 10 მონეტა (აღმოჩნდა 1978 წ.). თბილისის განძი შეისწავლა და გამოსცა პროფესორმა დ. კაპანაძემ (იხ. „Клад монет начала XI в. Тбилисского эмира Али ибн Джафара", Эпиграфика Востока, т. XIV, 1961, გვ. 71-78), ხოლო ქვახვრელისა – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა მ. ანთაძემ (იხ. მისი „ქვახვრელის განძი", საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტომი XXXVIII-B, თბილისი, 1986, გვ. 121-125). უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ალი იბნ ჯაფარის მონეტების მრავალრიცხოვნებისა, მათ შორის არის იშვიათი და უნიკალური ეგზემპლარებიც კი.

გ. ჯაფარიძის სტატიის გამოქვეყნებამდე სამეცნიერო ლიტერატურაში ალი იბნ ჯაფარის მონეტები, თარიღების, ზედწერილების და სხვა დეტალების მიხედვით, სამ ტიპად იყო დაყოფილი. გ. ჯაფარიძემ გამოჰყო ამ მონეტების ექვსი ტიპი, ახლებურად განსაზღვრა ზემოხსენებული განძების შემადგენლობა და დაადგინა ალი იბნ ჯაფარის მონეტების ემისიის ახალი წელი.

სახელმძღვანელოში, ცხადია, ყოვლად შეუძლებელია ყველა სამონეტო ტიპის აღწერა, ამიტომ სანიმუშოდ ვიძლევით მხოლოდ I და II ტიპის აღწერილობას.

I ტიპი. ვერცხლი. მოჭრილია ჰიჯრის 386 წელს (=996/97 წწ.). ცნობილია ორ ცალად: ერთი დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, მეორე – მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში.

შუბლი – ცენტრში სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: არ არის ღმერთი, გარდა/ალაჰისა ერთისა, / არ ჰყავს მას თანაზიარი. გარშემო ბრტყელი ხაზოვანი რკალი, რომლის გარეთ ორი გარშემოვლებული ზედწერილია: პირველი (შიდა) – სახელითა ალაჰისა, მოიჭრა ეს დირჰემი თბილისს 386 წელს. და მეორე (გარეთა) – ნაწყვეტი ყურანის ერთ-ერთი სურიდან –

ძალაუფლება ალაჰისა, ადრეც და მერეც და იმ დღეს გაიხარებენ მორწმუნენი ალაჰის შეწევნით. კიდეზე შემორჩენილია ხაზოვანი რკალის ფრაგმენტი.

ზურგი – ცენტრში ხუთსტრიქონიანი ზედწერილია: მუჰამადი / მოციქულია ალაჰისაა / ატ-ტაი ლილლაჰი / ამირა გამარჯვებული (ალ-მუზაფფარ) / ალი იბნ ჯაფარი. ცენტრალური ზედწერილი შემოზღუდულია ხაზოვანი რკალით, რომლის გარშემო ნაწყვეტები ყურანიდან: მუჰამადი მოციქულია ალაჰისა, რომელმაც გამოგზავნა ის სწორი გზითა და რჯულით ჭეშმარიტით, რათა აღამაღლოს ყველა სარწმუნოებაზე, თუნდაც სძულდეთ ეს ურწმუნოებს (ტაბ. VII, № 47).

386/996-97 წლებით დათარიღებული დირჰემები გვაძლევს ალი იბნ ჯაფარის მმართველობის ყველაზე ადრეულ და, როგორც ვარაუდობენ, შესაძლოა, საწყის თარიღსაც კი. ამ მონეტების თავისებურება ის არის, რომ მათზე იხსენიება აბასიანი ხალიფა ატ-ტაი ლილლაჰი (974-991 წწ.), ნაცვლად ალ-კადირ ბი-ლლაჰისა (991-1031 წწ.). ეს უკანასკნელი ხალიფა გახდა მას შემდეგ, რაც ატ-ტაი ლილლაჰი მოწინააღმდეგეებმა ტახტიდან ჩამოაგდეს. მაგრამ ალ-კადირი ყველა მუსლიმ გამგებელს მაშინვე არ უცნია, მით უმეტეს, რომ დამხობილი ხალიფა ცოცხალი დარჩა. შემდეგში ასეთი შეუსაბამობა ალი იბნ ჯაფარის მონეტებზე აღარ გვხვდება.

II ტიპი. ვერცხლი. მოჭრილია ??4 წელს. ეს უნიკალური მონეტა დაცულია ამერიკის ნუმიზმატიკური საზოგადოების კოლექციაში.

შუბლი – ოთხსტრიქონიანი ზედწერილი: არ არის ღმერთი, გარდა /ალაჰისა ერთისა / არა ჰყავს მას თანაზიარი /ალ-კადირ ბი-ლლაჰი. გარშემო ორი ზედწერილია: პირველი (შიდა) ... მოიჭრა ეს დირჰემი თბილისს ??4 წელს და მეორე (გარეთა) – ფრაგმენტი ყურანიდან.

ზურგი – ცენტრში ხუთსტრიქონიანი ზედწერილი: ალაჰს /მუჰამადი/ მოციქულია ალაჰისა, ამირა/ (გამარჯვებული) ალ-მუზაფფარ აბუ.../ ალი იბნ ჯაფარი. გარშემო ფრაგმენტი ყურანიდან. მოჭრის თარიღი, რომელიც ფრაგმენტულად არის შემორჩენილი მონეტაზე, მისი პირველი პუბლიკატორის დ. ლანგის თანახმად – ალ-კადირის ზეობის წლებისა და 386 წლის დირჰემის მონაცემების გათვალისწინებით – შეიძლება იყოს 394/1003-04, 404/1013-14 ან 414/1023-24 წლები. გ. ჯაფარიძეს მისაღებად მიაჩნია მხოლოდ 394-404 წლები, რადგანაც უკვე 413 წლიდან ალი იბნ ჯაფარის დირჰემები სხვა თავისებურებებით ხასიათდება.

III ტიპი. მოვერცხლილი მონეტები, მოჭრილი 413 წელს (= 1022-23 წწ.), თარიღი წაიკითხა გ. ჯაფარიძემ. ცნობილია შვიდი ცალის რაოდენობით, რომლებზედაც ეს თარიღი სრულად ან ნაწილობრივ იკითხება. ერთი მათგანი დაცულია მოსკოვის სახვითი ხელოვნების მუზეუმში და ექვსი – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. ისინი აღმოჩნდა თბილისის განძში, მაგრამ, როგორც გ. ჯაფარიძე შენიშნავს, განძის გამოცემის დროს მათი იდენტიფიკაცია არ მომხდარა.

IV ტიპი. მოვერცხლილი დირჰემი, მოჭრილია 418 წელს (= 1027/28 წწ.) (ტაბ. VII, № 48). ეს მონეტები აღმოჩნდა როგორც თბილისის, ასევე ქვახვრელის განძების შემადგენლობაში.

418 წელს დირჰემებზე აღნიშნულია ყველაზე გვიანდელი თარიღი ალი იბნ ჯაფარის 30 წელზე მეტი ხნის მმართველობისა. ამის შემდეგ მისი მოღვაწეობის შესახებ არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება. ალის მემკვიდრე იყო ჯაფარი. ვარაუდობენ, რომ მან თბილისის ამირას ტახტზე ალი იბნ ჯაფარი (1028-1030 წწ.) შეცვალა.

413 და 418 წლების დირჰემები დამზადებულია ბრინჯაოსაგან და დაფარულია ვერცხლის თხელი ფენით. მონეტის გაფუჭება ალი იბნ ჯაფარმა დაიწყო ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზე. მისი ყველაზე ადრეული დირჰემი დაბალი სინჯისაა (560), რითაც მკვეთრად განსხვავდება აბასიანთა და ჯაფარიანთა მაღალხარისხოვანი დირჰემებისაგან, რომლებიც იჭრებოდა თბილისში IX-X საუკუნეებში (თბილისში მოჭრილი დირჰემების წონითი მაჩვენებლები ასეთია – ანონიმური დირჰემი – 2,8 გრ.; აბასიდური სერია – 2,7-4,4 გრ.; მანსურ იბნ ჯაფარი – 2,8-3,5 გრ.; ჯაფარ იბნ მანსური – 2,1-3,5 გრ.; ალი იბნ ჯაფარი – 0,1-5,2 გრ.) ამ მოვლენას დ. კაპანაძე ხსნიდა თბილისის მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობით. გ. ჯაფარიძე თბილისის საამიროში მონეტების გაფუჭებას ხსნის ე. წ. ვერცხლის კრიზისით, იმ გლობალური მოვლენით, რომელიც დამახასიათებელი იყო მუსლიმური სამყაროსათვის უზარმაზარ ტერიტორიაზე ცენტრალური აზიიდან ესპანეთამდე.

ალი იბნ ჯაფარის მონეტების V და VI ტიპის დირჰემებზე თარიღად შემორჩენილია მხოლოდ ასეულები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გ. ჯაფარიძეს მიაჩნია, რომ მათი ემისია განხორციელდა III ტიპის მონეტაზე უფრო ადრე, ე. ი. 413 წელზე უფრო ადრე. რატომ? საქმე ისაა, რომ მეხუთე და მეექვსე ტიპის დირჰემები ჯერ კიდევ ვერცხლისაა და ისინი არ შევიდა თბილისის განძის შემადგენლობაში, რომლის მონეტები უკვე აღარ პასუხობდა არაბულ სტანდარტებს. მათი მოჭრის თარიღად მკვლევარს მიაჩნია ჰიჯრის 400-412 წლები (= 1009/10 – 1021/22 წწ.). ამის შემდეგ ალი იბნ ჯაფარის დირჰემების სინჯი ძალიან დაბალია.

ასეთია თბილისის ამირათა სამონეტო საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა. აღსანიშნავია, რომ ალი იბნ ჯაფარის მემკვიდრეები კიდევ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ფლობდნენ თბილისს, მაგრამ მათ მონეტებს ჩვენამდე არ მოულწევიათ.

სურათი სრული არ იქნება, თუ არ შევეხეთ არაბული მონეტების ქართულ მინაბაძებს, რომლებიც ქრონოლოგიურად და ტიპოლოგიურადაც ახლოს დგას თბილურ-აბასიდურ და ჯაფარიანთა დირჰემებთან.

არაბული მონეტების ქართული მინაბაძები დიდი ხანია ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში. ისინი შედიოდა ერმიტაჟის, პ. ი. ზუბოვისა (დღეს მოსკოვის ისტორიული მუზეუმის საკუთრებაა) და ჩუმაკოვის კოლექციებში. ე. პახომოვის აზრით, მათი ემისია წინ უსწრებდა ბაგრატ III-ის (975-1014 წწ.) ეპოქას. დ. კა-

პანაძე სრულიად სამართლიანად თვლიდა, რომ არაბული დირჰემების იმიტაცია იჭრებოდა არა თბილისში, არამედ საქართველოს რომელიღაც სხვა პოლიტიკური ერთეულის საზღვრებში, ასევე X-XI საუკუნეთა მიჯნაზე.

ამერიკის ნუმიზმატიკური საზოგადოების ორი კუთვნილი მინაბაძი გამოაქვეყნა დ. ლანგმა და უწოდა მათ „აბასიდური დირჰემის მონური ქართული მინაბაძი". აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ მათგანზე მან წაიკითხა მოჭრის ადგილი – თბილისი. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მონეტა მაინცდამაინც თბილისში მოიჭრა. ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ქართული იმიტაცია ბაძავს თბილისში მოჭრილ არაბულ დირჰემს.

ამ სამონეტო ჯგუფს შეეხო აგრეთვე პროფესორი შ. მესხია. მისი აზრით, მონეტების ემისია შეიძლებოდა განხორციელებულიყო თბილისში მხოლოდ მას შემდეგ, რაც აქ მთლიანად მოისპო ჯაფარიანთა საგვარეულოს ხელისუფლება და მთელი ძალაუფლება გადავიდა ქალაქის კომუნის, ქალაქის თვითმმართველობის ხელში. ამას კი ადგილი ჰქონდა XI საუკუნის 80-იანი წლებიდან XII საუკუნის 20-იან წლებამდე.

მაგრამ თავი რომ დავანებოთ შ. მესხიას მიერ შემოთავაზებულ ქრონოლოგიას (რომლის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ), ეს ჰიპოთეზა მაინც გადაულახავი სიძნელის წინაშე დგას. საქმე ისაა, რომ თბილისის ძირითადი მოსახლეობა მაშინ მუსლიმები იყვნენ (?) და ქალაქის თვითმმართველობას, ალბათ, ასევე ისინი განაგებდნენ. მაშინ ვინ ამახინჯებს მონეტებზე არაბულ ზედწერილს და ვინ ცვლის ზოგიერთ არაბულ ასოს ქართულით?! ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ თბილისში სულ მოკლე დროში მთლიანად ამოწყდნენ არაბული წერა-კითხვის მცოდნე ოსტატები?!

საბედნიეროდ, ამ საკითხს ნაწილობრივ ნათელი მოფინა 1977 წელს ნებელდაში (გულრიფშის რაიონი) არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილმა არაბული დირჰემების ქართული მინაბაძების განძმა. ის შეიცავს იმიტაციების 105 ეგზემპლარს და ერთ ორიგინალურ ქუფურ მონეტას, მოჭრილს ჰიჯრის 163 წელს (= 779/80 წწ.). ეს კი შეუძლებელს ხდის მინაბაძები XI-XII საუკუნეებით დავათარიღოთ.

ამ აღმოჩენის საფუძველზე ირ. ჯალალანია მიიჩნევს, რომ მინაბაძების ემისიას ადგილი უნდა ჰქონოდა X-XI საუკუნეთა მიჯნაზე, ბაგრატ III-ის მეფობის ხანაში და არა თბილისში (სადაც ჯაფარიანთა მონეტები იჭრება), არამედ საქართველოს რომელიღაც სხვა პუნქტში. პრინციპულად ეს სწორი მოსაზრებაა, მაგრამ ჩვენ გვეჩვენება, რომ საჭიროა კიდევ ერთხელ ჩავუფიქრდეთ იმ ფაქტს, რომ განძის შემადგენლობაში შედის 779/80 წლებში მოჭრილი არაბული მონეტა, რომელიც ასე თუ ისე ათარიღებს განძის დაფლობას. ჩვენი აზრით, ეს შეიძლება მომხდარიყო ბაგრატ III-ის ეპოქაზე ადრე, IX საუკუნის მეორე და X საუკუნის პირველ ნახევარში.

არსებითად არაბული დირჰემების ქართული მინაბაძების სახესხვაობაა ბაგრატ III-ის (975-1014 წწ.) ჯერჯერობით მხოლოდ ერთ ცალად ცნობილი მონეტა. ამიტომ ჩვენ მას აქ განვიხილავთ და არა სხვა ქართულ მონეტებთან ერთად. ეს უნიკალური მონეტა 1863 წელს აღმოჩენილა თბილისის მიდამოებში. ის შეიძინა ი. ბართოლომეიმ და ერმიტაჟში გადააგზავნა. ვიძლევით მის აღწერილობას (ნახევარი დრამა. წ. – 1,8 გრ.):

შუბლი – ცენტრში არაბული ზედწერილი: არ არის ღმერთი გარდა ალაჰისა, არ ჰყავს მას თანაზიარი. ირგვლივ ასევე დამახინჯებული არაბული წარწერა, რომლის გაშიფვრა ვერ ხერხდება.

ზურგი – ცენტრში არაბული ლეგენდა: „მუჰამედი მოციქულია ალაჰისა", რომელსაც გარს ქართული დაქარაგმებული ასომთავრული ზედწერილი შემოუყვება: ქრისტე, ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე.

უკანასკნელი, ვინც ამ მონეტას შეეხო, არის პროფ. თ. დუნდუა (იხილე მისი „X-XII სს. ქართული მონეტები და საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი", თბილისის უნივერსიტეტის შრომები, (ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია), თბილისი, 1992, გვ. 18-26). მისი აზრით, დ. კაპანაძის მიერ ადრე გამოთქმული ვარაუდი თითქოს ბაგრატ III-ის მონეტის მოჭრა მისი მეფობის სულ უკანასკნელ ხანაში განხორციელდა, მართებული არ უნდა იყოს, ხოლო ემისიის ცენტრის სავარაუდო ლოკალიზაციას (უფლისციხე) იგი იზიარებს.

თ. დუნდუას მსჯელობას საინტერესო მონეტასთან დაკავშირებით ასეთი სახე აქვს: ბაგრატი ქართლში 975, ხოლო აფხაზეთში (დასავლეთ საქართველოში) 978 წელს გამეფდა. ქართლში მან თავისი დედა გურანდუხტი დატოვა და თვით დასავლეთ საქართველოში გადავიდა. მაგრამ როდესაც ის საქმეების მოსაგვარებლად აფხაზეთიდან კვლავ აღმოსავლეთ საქართველოში მოინდომებს გადასვლას, ქართლის საზღვარზე მას დიდგვაროვნები ხვდებიან და წინააღმდეგობას უწევენ. ბაგრატმა იარაღის ძალით აღიდგინა ქართლში თავისი უფლებები. სწორედ ამ დროს უნდა მოეჭრა მას თავისი მონეტა ქართლის რეზიდენციაში – უფლისციხეში. სხვა შესაძლებელი პუნქტი თითქოს არ ჩანს, რადგან თბილისი არაბთა ხელშია და ზარაფხანის მოწყობა სამეფო რეზიდენციის გარდა, თ. დუნდუას აზრით, ნაკლებად სავარაუდოა. მონეტის ტიპის (არაბული დირჰემის მიბაძვა) შერჩევითა და მასზე „აფხაზთა მეფის" ტიტულის მოთავსებით ერთხელ კიდევ მტკიცდება, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო ერთი პოლიტიკური რეგიონია, რომ სამონეტო ემისიის რეგალია ქართლში ბაგრატის კომპეტენციაა. საფიქრებელია, წერს თ. დუნდუა, რომ სწორედ ამის თქმა უნდოდა ბაგრატს ხაზგასმით ქართლის მოსახლეობისათვის და, პირველ რიგში, ოპოზიციისათვის. და შემდეგ: „ვინაიდან ბაგრატი მონეტებზე მხოლოდ „აფხაზთა მეფის" ტიტულითაა მოხსენიებული, მისი დათარიღება XI საუკუნით შეუძლებელია, რადგან ამ ხანებში იგი უკვე „აფხაზთა", „ქართველთა", „კახთა" და „რანთა" მეფეცაა".

ბაგრატ III მონეტების გარეგნული სახე იმასაც მიგვანიშნებს, რომ განსხვავებით ტაო-კლარჯეთისაგან, მის სამფლობელოზე ბიზანტიის გავლენა არ ვრცელდებოდა.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე ლეგენდის ფორმაც. თუ დავით კურაპალატი მონეტაზე წერს: „ქრისტე, შეიწყალე...", ბაგრატი, პირიქით, ღმერთისგან განდიდებას ითხოვს: „ქრისტე, ადიდე..." ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს.

1001 წელს ბაგრატ III დავით კურაპალატის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ტაოში მოსულ იმპერატორ ბასილ II-ს წარუდგა და მას კურაპალატობა უბოძა. სამწუხაროდ, როგორ აისახა ეს ფაქტი ბაგრატის მონეტებზე, ან საერთოდ აისახა თუ არა, ჩვენ არ ვიცით.

სამონეტო მიმოქცევა დასავლეთ საქართველოში VIII-X საუკუნეებში

VIII საუკუნის დასასრულს შეიქმნა მთელი დასავლეთ საქართველოს მომცველი დიდი ქართული სახელმწიფო „აფხაზთა სამეფო". ეგრისის (ლაზიკის) სამეფო ბიზანტიასთან გამუდმებულ ბრძოლებში დასუსტდა. ბიზანტიელებმა შეძლეს აქ მეფის ხელისუფლების გაუქმება. არაბების პერიოდულმა შემოსევებმა და დროდადრო ბატონობამ კიდევ უფრო დაასუსტა ადგილობრივი ხელისუფლება. სამაგიეროდ, VIII საუკუნის მანძილზე თანდათან გაძლიერდა აფხაზთა საერისთავო, რომელიც არაბთა თავდასხმებისგან შედარებით დაცული იყო. VIII საუკუნის 30-იან წლებში მან მიიღო უკვე დასუსტებული ბიზანტიის ვასალობა. VIII საუკუნის პირველ ნახევარში აფხაზთა საერისთავომ აფშილეთი შეიერთა, ხოლო შემდეგ, საუკუნის მეორე ნახევარში, აფხაზეთი და ეგრისიც გაერთიანდა. აფხაზთა ერისთავმა ლეონ II ისარგებლა ბიზანტიაში გაშლილი შინაბრძოლებით და თავი მეფედ გამოაცხადა. ამ დიდ დასავლურქართულ სახელმწიფოს, რომლის დედაქალაქი ქუთაისი იყო, დინასტიის მიხედვით, ეწოდებოდა „აფხაზთა სამეფო" (ან „ეგრისის სამეფო"). XI საუკუნის ძეგლი „მატიანე ქართლისაჲ" ასე გადმოგვცემს ამ ისტორიულ ფაქტს: „ხოლო რაჟამს მოუძლურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა სახელით ლეონ, ძმისწული ლეონ ერისთავისა, რომლისად მიეცა სამკჳდროდ აფხაზეთი. ესე მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითა მათითა გაადგა (ე. ი. გადაუდგა) ბერძენთა, დაიპყრო აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელიდვა მეფე აფხაზთა".

ასეთია პოლიტიკური ფონი ბიზანტია-დასავლეთ საქართველოს ურთიერთობისა VIII საუკუნეში.

IX საუკუნეში ბიზანტიის იმპერიის მდგომარეობა გაუმჯობესდა. მან გარკვეულ წარმატებებს მიაღწია როგორც არაბების წინააღმდეგ ომებში, ასევე ქვეყნის საშინაო მდგომარეობის სტაბილიზაციის საქმეშიაც. მაგრამ დასავლეთ საქართველოს მიმართ ძველი ჰეგემონობის აღდგენა ველარ მოახერხა. ეგრის-აფხაზეთის სამეფოზე მისი გავლენა მხოლოდ და მხოლოდ ნომინალურ ხასიათს ატარებდა და მას არ ჰქონდა უფლება ჩარეულიყო დასავლეთ საქართველოს საშინაო საქმეებში. ფაქტობრივად IX საუკუნეში ეგრის-აფხაზეთი პოლიტიკურად დამოუკიდებელია ბიზანტიისაგან.

შესაბამისად, ჯერჯერობით, ასევე მცირეა დასავლეთ საქართველოს ფარგლებში აღმოჩენილი VIII-IX საუკუნეების ბიზანტიური მონეტები. თუმცა, ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს ასე არ უნდა ყოფილიყო.

VII საუკუნის დასასრულისა და VIII საუკუნის ბიზანტიური ოქროს მონეტები ნაპოვნია შემდეგ პუნქტებში:

1. ბიჭვინტაში, ტიბერიუს III აფსიმარის (698-705 წწ.) – 1 ც.
2. მისივე, სოხუმის ციხის ნანგრევებში – 1 ც.
3. გუდაუთის მიდამოებში, კონსტანტინე V-ისა (741-775 წწ.) და მისი ვაჟის ლეონ IV-ისა (775-780 წწ.) – 1 ც.

მიუხედავად იმისა, რომ VIII-IX საუკუნეების ბიზანტიური მონეტების შემოსვლა დასავლეთ საქართველოს ფარგლებში მკვეთრად მცირდება, IX საუკუნის სპილენძი და ვერცხლი აქ მაინც გვხვდება:

1. ლეონ V-ის (813-820 წწ.) სპილენძის ერთი მონეტა ნაპოვნია ქობულეთში.
2. თეოფილეს (829-842 წწ.) სპილენძის ერთი მონეტა აღმოჩნდა სოფელ ბობოყვათში (ქობულეთის რაიონი).
3. მისივე ერთი სპილენძის მონეტა ნაპოვნია საკუთრივ ქობულეთში.
4. ბობოყვათში აღმოჩნდა ბასილ I-ისა (867-886 წწ.) და ბასილის და კონსტანტინეს (869-879 წწ.) სახელით მოჭრილი სპილენძის ორი მონეტა.
5. ლეონ VI-ის (886-912 წწ.) რამდენიმე ვერცხლის მონეტა იპოვეს ოპიზაში (ბათუმის ოლქი).
6. ლეონ VI-ის სპილენძის ორი მონეტა ერია ოჩამჩირეში აღმოჩენილი განძის შემადგენლობაში, რომელიც, როგორც ჩანს, სხვადასხვა სამონეტო კომპლექსის ურთიერთშერევის შედეგადაა წარმოქმნილი (ამის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით).
7. მისივე სპილენძის მონეტა აღმოჩნდა სოფელ ფსირცხაში (გუდაუთის რაიონი).
8. მისივე სპილენძის მონეტა იპოვეს ციხისძირში.
9. მისივე სპილენძის მონეტა აღმოჩნდა ქობულეთში.
10. მისივე სპილენძის მონეტა მოიძიეს ბობოყვათში.
11. მისივე სპილენძის მონეტა აღმოჩნდა აგრეთვე სოხუმში.

ამრიგად, ზემოთ ჩამოთვლილ პუნქტებში აღმოჩენილია IX საუკუნის ვერცხლის ორი და სპილენძის თორმეტი ბიზანტიური მონეტა. ამასთანავე, ეს უკანასკნელი მაინცდამაინც ბობოყვათ-ქობულეთ-ციხისძირის მიდამოებშია უპირატესად თავმოყრილი, რაც, ალბათ, იმას უნდა დაუკავშირდეს, რომ ეს პუნქტი ჯერ კიდევ იუსტინიანე I-ის (527-656 წწ.) დროიდან ბიზანტიელთა დასაყრდენი ბაზა იყო კოლხეთში. ამასთანავე, იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ IX საუკუნის სპილენძის ბიზანტიური მონეტები უკლებლივ ყველა სანაპირო ზოლის მიდამოებშია აღმოჩენილი. ეს შემთხვევითი ფაქტი არ უნდა იყოს.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ IX საუკუნის სპილენძის ბიზანტიურ მონეტებს გარკვეული მნიშვნელობა აქვს ადრე გამოთქმული მოსაზრე-

ბების კორექტირების თვალსაზრისით. ქართული ნუმიზმატიკის ერთ-ერთი დიდი ავტორიტეტი პროფესორი ევგ. პახომოვი თავის დროზე წერდა: „... Я пришел к выводу, что, в VIII-X веках вся Грузия питалась исключительно мусульманским чеканом, к которому в западной части начинает только в X в. примешиваться византийский". უნდა ვაღიაროთ, რომ მიუხედავად ევგ. პახომოვის უდიდესი ავტორიტეტისა, ეს დასკვნა თავის დროისთვისაც არ იყო სწორი და ახლა მით უმეტეს, იმიტომ, რომ არასოდეს VIII-X საუკუნეების მუსლიმური მონეტები არ თამაშობდა რაიმე აქტიურ როლს დასავლეთ საქართველოს სამონეტო ცირკულაციაში (ამის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით საქართველოში გავრცელებული არაბული მონეტის მიმოხილვის დროს). რაც შეეხება მოსაზრებას ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ტერიტორიაზე ბიზანტიური სპილენძის მონეტების X საუკუნიდან ჩართვის შესახებ, აქაც დრომ თავისი კორექტივი შეიტანა. როგორც ზემოთ დავრწმუნდით, ამას ადგილი ჰქონდა არა X, არამედ IX საუკუნეში.

სხვა ადგილას ევგ. პახომოვი შენიშნავდა, რომ ქუფური დირჰემები VIII საუკუნეში თითქმის მთლიანად დევნის ბიზანტიურ მონეტებს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ ამიერკავკასიის სამონეტო მიმოქცევიდან. თუ „დასავლეთ ამიერკავკასიის" ქვეშ ეგრის-აფხაზეთიც იგულისხმება, ასეთი მოსაზრება ყოვლად უსაფუძვლოა, რადგან, როგორც არაერთგზის მიგვითითებია, დასავლეთ საქართველოში ქუფური მონეტები პრაქტიკულად არ თამაშობდა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან როლს.

დასავლეთ საქართველოში ბიზანტიური მონეტების შემოსვლის შემცირების საკითხს შეეხო აგრეთვე ისტორიის მეცნირებათა კანდიდატი იზ. ცუხიშვილი, რომელმაც არ გაიზიარა ევგ. პახომოვის პოზიცია და ეს გარემოება ახსნა ბიზანტიის იმპერიის საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის გართულებით. ერთ-ერთი მიზეზი ეგრის-აფხაზეთის კავშირურთიერთობის შეკვეცისა, მისი აზრით, ისიც იყო, რომ VII საუკუნის მეორე ნახევრიდან მკვეთრად იზღუდება სამონეტო ემისიის მასშტაბები ბიზანტიის იმპერიის ფარგლებში და შესაბამისად მისი ექსპორტი მეზობელ ქვეყნებში. იზ. ცუხიშვილს მოყავს კიდევ ერთი მაგალითი იმის დასამტკიცებლად, რომ დასავლეთ საქართველოში ბიზანტიური მონეტების შემოსვლის შემცირება არ იყო დაკავშირებული არაბთა ექსპანსიასთან: VIII-IX საუკუნეებში არაბებს ფეხი არ შეუდგამთ ყირიმში, წერს იგი, მაგრამ იქაც იგივე ვითარებაა, რაც აფხაზეთ-ეგრისის სამეფოში.

ამრიგად, სრულებით აშკარაა ეგრის-აფხაზეთისა და ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირურთიერთობების შესუსტება VIII-IX საუკუნეებში.

X საუკუნეში ბიზანტია დასავლეთ საქართველოს ოფიციალური ურთიერთობა არ სცილდებოდა მეგობრობისა და მოკავშირეობის ფარგლებს.

X საუკუნის მეორე ნახევრიდან ეგრისში ბიზანტიური მონეტების შემოსვლის ნაკადი მატულობს. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით შემოდის სპილენძის ანონი-

მური მონეტები, რომელთა ემისია დაიწყო იოანე I ციმისხეს (969-976 წწ.) დროს და გრძელდებოდა შემდეგაც.

ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი X საუკუნის ბიზანტიური მონეტები ქრონოლოგიურად ასე ნაწილდება: 1. რომანოზ I-ის ერთპიროვნული მმართველობის ხანა (919-921 წწ.) – 6 ცალი; 2. კონსტანტინე VII-ისა და რომანოზისა (919-944 წწ.) – 1; 3. კონსტანტინე VII-ისა (913-959 წწ.) – 5 და 4. იოანე ციმისხესი (969-976 წწ.) – 16.

ამ მონეტების აღმოჩენათა ტოპოგრაფია ასე გამოიყურება: 1. 1903 წელს ოჩამჩირეში აღმოჩენილი „განძის" შემადგენლობაში ერია კონსტანტინე VII-ის სპილენძის ერთი მონეტა; 2. ივერიის მთაზე (ახალი ათონი, გუდაუთის რაიონი) იპოვეს კონსტანტინე VII-ის სპილენძის ერთი მონეტა; 3. 1902 წელს ქობულეთის მიდამოებში აღმოჩნდა კონსტანტინე VII-ის ერთი სპილენძის ფული; 4. 1926 წელს ქობულეთში აღმოჩნდა რომანოზ I-ის სპილენძი; 5. ბობოყვათში 1962-1963 წლებში იპოვეს რომანოზ I-ის სპილენძის ორი მონეტა; 6. 1903 წელს ოჩამჩირეში აღმოჩენილი „განძის" შემადგენლობაში რომანოზ I-ის სპილენძის ორი მონეტაც იყო; 7. 1956 წელს სოფელ ბობოყვათში იპოვეს კონსტანტინე VII-ისა და რომანოზ I-ის სპილენძის მონეტა; 8. ციხისძირში 1930 წელს აღმოჩნდა იოანე ციმისხეს სპილენძი; 9. ახალ ათონში 1958 წელს აღმოჩნდა იოანე ციმისხეს სპილენძის ფული; 10. მისივე სპილენძის მონეტა აღმოჩნდა სოფელ ბობოყვათში. 11. იმავე ბობოყვათში 1962-1963 წლებში იპოვნეს იოანე ციმისხეს სპილენძი; 12. 1903 წელს ოჩამჩირეში აღმოჩენილი განძის შემადგენლობაში ერია იოანე ციმისხეს სამი სპილენძის მონეტა; 13. ზესტაფონის რაიონის სოფელ კლდეეთში ნაპოვნია იოანე ციმისხეს სპილენძის მონეტა; 14. 1957-1958 წლებში ანაკოფიის ციხის ტერიტორიაზე (ახალი ათონი) იპოვეს X საუკუნის პირველი ნახევრის სპილენძის ცამეტი მონეტა; 15. სოხუმში აღმოჩნდა რომანოზ I-ის ორი ფოლისი, ხოლო „შუქურასთან" იოანე ციმისხეს სპილენძის მონეტა; 16. 1935 წელს ახალ ათონში იპოვეს იოანე ციმისხეს სპილენძი; 17. მისივე მონეტა აღმოჩნდა სოფელ აჩანდარაში (გუდაუთის რაიონი); 18. 1955 წელს სოხუმში იპოვნეს კონსტანტინე VII-ის ორი და იოანე ციმისხეს სპილენძის ხუთი მონეტა.

ამრიგად, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სულ აღმოჩენილია X საუკუნის სპილენძის 41 მონეტა.

საქართველოში ბიზანტიური მონეტების გავრცელებასთან დაკავშირებით საინტერესოა ევგ. პახომოვის მოსაზრება: „Кроме мусульманской в Грузию проникала, особенно в X в., монета византийская. Она попадается преимущественно в западных и юго-западных провинциях, т. е. тех, на которых византийцы оказывали наибольшее влияние... Ко второй половине X столетия относится приток необыкновенного(?) количества анонимной византийской монеты, нескольких типов, относимых обыкновенно к царствованию Иоана Цимисхия (969-975)... Эта монета находится повсеместно в Западной и Южной Грузии, Армении и т. д.

Сюда же заходили, хотя и в небольшом количестве, золотые византийские солиды". ოქროს მონეტებთან დაკავშირებით ევგ. პახომოვის მიერ გამოთქმულმა ამ შენიშვნამ პროფესორ დ. კაპანაძის პროტესტი გამოიწვია. იგი წერს: „Монетные находки последнего времени противоречат утверждению автора, что в Грузии «находили хотя и в небольшом количестве, золотые византийские солиды». Не говоря о запасах республиканских краеведческих музеев, в одном лишь музее Грузии в Тбилиси хранятся сотни византийских золотых монет, найденных за последнее время на территории республики".

დ. კაპანაძის ასეთი „გულისწყრომა" სრულებით გაუგებარია. საქმე ისაა, რომ ევგ. პახომოვი გულისხმობდა დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში აღმოჩენილ X საუკუნის სოლიდებს და არა საერთოდ ბიზანტიურ ოქროს მონეტებს. როგორც იზ. ცუხიშვილმა დაამტკიცა სპეციალურ გამოკვლევაში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული „ასობით ბიზანტიური ოქროს მონეტა" XI საუკუნისაა და არა X საუკუნის. მეტიც, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის თ. აბრამიშვილის გამოკვლევის თანახმად, „ე. პახომოვის ცნობა, რომ საქართველოში შემოდის ოქროს სოლიდები, ნუმიზმატიკური ფაქტებით არ დასტურდება, დღეისათვის IX-X საუკუნეების სოლიდის აღმოჩენის არც ერთი შემთხვევა არ არის აღრიცხული". ასეთივე დასკვნამდე მივიდა პროფ. გ. ჯაფარიძე, რომელიც სპეციალურად სწავლობდა ოქროს მონეტების (მათ შორის X ს.) როლს ამიერკავკასიის ფულად მეურნეობაში. მისი განცხადებითაც, მეზობელ ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში X საუკუნის ოქროს მონეტები ვერ აღწევდა და, შესაბამისად, არც იყო გავრცელებული.

და კიდევ ერთი: როგორც ევგ. პახომოვის ზემოთ მოყვანილი სიტყვებიდან ჩანს, მისი აზრით, სპილენძის ანონიმური ბიზანტიური მონეტები დასავლეთ საქართველოში გავრცელებულია ყველგან. ეს ასე არ არის. მათი უმრავლესობა ძირითადად მაინც შავი ზღვის სანაპირო ზოლის პუნქტებიდან მომდინარეობს. ასე რომ, მართალია, ბიზანტია ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ურთიერთობა X საუკუნეში, წინა საუკუნეებთან შედარებით, გამოცოცხლდა, მაგრამ არა იმ მასშტაბებით, როგორც მოსალოდნელი იყო. დღესდღეობით მეცნიერების განკარგულებაში არსებული ფაქტობრივი მასალის მიხედვით, ქვეყნის შიდა რაიონები თითქოს განზეა ამ პროცესისაგან.

ამ გარემოებას მარტო არაბთა სახალიფოს ექსპანსიით ვერ ავხსნით, როგორც ამას ადგილი აქვს ზოგიერთ სამეცნიერო გამოკვლევაში. მიზეზები, ალბათ, გაცილებით ღრმაა და მისი გამომზეურება მომავლის საქმეა.

X საუკუნის – XII საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული მონეტები

X საუკუნის – XII საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული მონეტების (რომელთა უმრავლესობას სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგჯერ ქართულ-ბიზანტიურსაც უწოდებენ) პუბლიკაცია-ატრიბუცია ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო და დღემდე გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში მკვლევართა სხვადასხვა თაობის მიერ ბევრი რამ არის გაკეთებული როგორც ახალი სამონეტო ტიპებისა და ვარიანტების გამოვლენისა და გამოქვეყნებისა, ისე მათი შესწავლის შუქზე საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის თვალსაზრისით. ამ მიმართებით განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფესორების ევგ. პახომოვის, დ. კაპანაძის, დ. ლანგის, შ. მესხიას, რ. მეტრეველის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის რ. ქებულაძისა და სხვათა შრომები. ნათქვამი, ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ამ კუთხით აღარაფერია გასაკეთებელი ან სადისკუსიო. საკმარისია აღინიშნოს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიას ჯერ კიდევ არ გააჩნია ამ პრობლემისადმი მიძღვნილი მონოგრაფიული გამოკვლევა.

ჩვენი მიზანი სხვადასხვა გამოცემებში გაბნეული ნუმიზმატიკური მასალის შეკრებით, შესაძლებლობის ფარგლებში მათი ზუსტი ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენითა და შესაბამისი პერიოდის საქართველოს ისტორიის ზოგიერთი მომენტის წინ წამოწევით შემოიფარგლება.

1. **დავით კურაპალატის** (? – გარდაიცვალა 1001 წ.) **მონეტები.** რემედიუმი 3,1-3,5 გრ.

დავით კურაპალატის მონეტები ოთხ ცალად არის ცნობილი და ოთხივე იდენტურია. ვიძლევით მათ აღწერილობას:

შუბლი – ორსტრიქონიანი ქართული ასომთავრული ზედწერილი: ქრისტე, შეიწყალე დავით.

ზურგი – ოთხსაფეხურიან კვარცხლბეკზე აღმართული ჭეშმარიტი ჯვარი, რომლის ტოტებს შუა მოთავსებულია ოთხი ასომთავრული ნიშანი, რომელიც იშიფრება როგორც კურაპალატი (ტაბ. VIII, № 49).

დავით კურაპალატის მონეტის ემისიის დასათარიღებლად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტის დადგენას, თუ რომელ წელს ებოძა მას ბიზანტიის საპატიო ტიტული – კურაპალატი. ამასთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ დავითს ეს ტიტული, სავარაუდოა, მიენიჭა იმ დახმარების სანაცვლოდ, რომელიც მან აღმოუჩინა ბიზანტიის იმპერატორს ბასილ II-ს ბარდა

სკლიაროსის აჯანყების ლიკვიდაციაში. ეს მოხდა 979 ან 978 წელს. ჩვენი აზრით, ზემოთ აღწერილი მონეტების ემისიაც ზუსტად ამ წელს უნდა განხორციელებულიყო, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს იქნებოდა ამ ღირსშესანიშნავი ისტორიული მომენტის საუკეთესო მემორიალი, ხოლო მეორეც, ამის შემდეგ სულ მალე დავითი იმპერატორის მოწინააღმდეგე ბანაკში აღმოჩნდა და „ღალატისათვის" დიდი კომპენსაციის გაღებაც მოუხდა[9].

როგორც უკვე იყო აღნიშნული, დავითის მონეტებმა ჩვენამდე ოთხ ცალად მოაღწია. ოთხივე მათგანი აღმოჩენილია საქართველოს საზღვრებს გარეთ, აღმოსავლეთ, ცენტრალურ და ჩრდილოეთ ევროპის ტერიტორიაზე, კერძოდ: ერთ-ერთი მათგანი ნაპოვნია 1859 წელს ქალაქ შვაანის მახლობლად (გერმანია), მეორე – 1878 წელს ოლონეცკის გუბერნიაში – ლოდეინოეპოლში (ამჟამად სანკტ-პეტერბურგის ოლქი), მესამე – 1900-იან წლებში. ვილაში, თანამედროვე ესტონეთის ფარგლებში, მეოთხე კი – შვეციაში.

რა გზით უნდა მოხვედრილიყო დავით კურაპალატის მონეტები ასე შორს საქართველოდან? ამასთან დაკავშირებით შეიძლება ორი მოსაზრების გამოთქმა:

დავითის მონეტები ტიპოლოგიურად ძალიან ახლოს დგას ბიზანტიურ სინქრონულ ნუმიზმატიკურ ძეგლებთან, კერძოდ, ემსგავსება ბასილ II-ისა და კონსტანტინე VIII-ის (976-1025 წწ.) მონეტას და მათივე ეკვივალენტურია წონით და სინჯითაც. ასე რომ, ქართულ მონეტებს თამამად შეეძლო ბრუნვა ნებისმიერ რეგიონში ბიზანტიური მონეტების პარალელურად. საქართველოს ამ დროს ბიზანტიასთან პოლიტიკური ურთიერთობის გარდა, მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობაც აკავშირებდა. სხვა ქვეყნის ვაჭრებთან ერთად კონსტანტინოპოლის ხშირი სტუმრები იყვნენ ქართველი ვაჭრებიც, რომლებთაც იქ, ცხადია, თან ჩაჰქონდათ ქართული ფული. ასევე ხშირი სტუმრები იყვნენ ბიზანტიის იმპერიისა რუსი ვაჭრებიც, რომლებიც აქ დნეპრისა და შავი ზღვის საშუალებით ჩამოდიოდნენ და ჩამოჰქონდათ ბეწვეული, ცვილი და სხვა, ჩამოჰყავდათ მონები.

შესაძლებელია, სავაჭრო ოპერაციები აქვე ახვედრებდა რუს და ქართველ ვაჭრებს, ან ამ ოპერაციების დროს ბიზანტიურ მონეტებთან ერთად გამოიყენებოდა ქართული ფულიც, როგორც ტოლფასოვანი ერთეული, და შემდეგ რუსმა ვაჭრებმა გაიტანეს ის რუსეთისა და ევროპის ტერიტორიაზე.

უფრო რეალური უნდა იყოს მეორე ჰიპოთეზა: როგორც ცნობილია, კიევის მთავრის სვიატოსლავის დროს (გარდაიცვალა 972 წ.) კიევის რუსეთის ფარგლებში მოექცა დღევანდელი ტამანის ნახევარკუნძულის ტერიტორია – ტმუტარაკანი. სწორედ ტმუტარაკანის საშუალებით ხორციელდებოდა ძველი რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობანი ამიერკავკასიასთან. ვარაუდობენ, რომ აქედან უნდა შესულიყო რუსეთში ბზა და სხვა საქონელი, რომელთა ნაშთები მიკვლეულია ძველი რუსეთის ქალაქების (მაგალითად, ნოვგოროდის) არქეოლოგიური გათხრების დროს. დასავლეთ საქართველოდან უნდა შესულიყო ტმუტარაკანში იქ აღმოჩენილი ბიზანტიური მონეტების გარკვეული ნაწილი, რომლებიც შემდეგ

დნეპრისა და, ზოგჯერ, ვოლგის არტერიებით მიემართებოდა ჩრდილოეთით და ბალტიის ზღვის სანაპიროებს აღწევდა. აქედანვე მოხვდა, ალბათ, დავით კურაპალატის მონეტებიც ჯერ რუსეთში, ხოლო შემდეგ ევროპაში. ამაზე თითქოს მიუთითებს აგრეთვე ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული X-XI საუკუნეების ტმუტარაკანის მონეტა, რომელიც ბიზანტიური მილიარისების სრული მიბაძვითაა მოჭრილი. მართალია, ეს მონეტა უპასპორტოა, მაგრამ არავითარ ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ის სადმე ახლომახლო მიდამოებში უნდა იყოს ნაპოვნი, რადგან მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში, როგორც ამას სპეციალისტების ხანგრძლივი დაკვირვება მოწმობს, ძირითადად თავს იყრის ლოკალური აღმოჩენები. სხვა არხებით ბორჯომში ტმუტარაკანის იშვიათი მონეტის მოხვედრა ძნელი წარმოსადგენია.

ამრიგად, გვაქვს საფუძველი ნუმიზმატიკური მასალების შუქზე ვივარაუდოთ საქართველოსა და რუსეთის კონტაქტები ტმუტარაკანის მეშვეობით, X-XI საუკუნეებში დავით კურაპალატის მონეტების ექსპორტი კი ევროპაში, ალბათ, რუსი ვაჭრების დამსახურებაა.

2. ბაგრატ III-ის (975-1014 წწ.) **მონეტა.**

ბაგრატ III-ის უნიკალური მონეტის შესახებ დაწვრილებით ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი, ამიტომ აქ მხოლოდ მის აღწერილობას ვიძლევით:

> **შუბლი** – ცენტრში დამახინჯებული არაბული ზედწერილი: „არ არის ღმერთი გარდა ალაჰისა, არ ჰყავს მას თანაზიარი", ირგვლივ ასევე დამახინჯებული არაბული წარწერა, რომლის გაშიფვრა ვერ ხერხდება.
>
> **ზურგი** – ცენტრში არაბული ლეგენდა: „მუჰამედი მოციქულია ალაჰისა", რომელსაც გარს ქართული დაქარაგმებული ასომთავრული ზედწერილი შემოუყვება: ქრისტე, ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე"[10] (ტაბ. VIII, № 50).

გიორგი I-ის (1014-1027 წწ.) მონეტებს ჩვენამდე არ მოულწევია.

3. ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ.) **მონეტები.**

თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ ბაგრატ IV-ის, გიორგი II-ის (1072-1089 წწ.) და დავით აღმაშენებლის (1089-1125 წწ.) მონეტების ნაწილი მოჭრილია იმპერატორ კონსტანტინე IX მონომახის (1042-1055 წწ.) მონეტების მიხედვით, რომელთა შუბლზე ვლაქერნისად წოდებული მლოცველი ღვთისმშობელია გამოსახული.

ბაგრატ IV-ის 40 მონეტაა დღეისათვის ცნობილი და ბიზანტიური ტიტულების მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა. პირველის აღწერილობა ასეთია: (რემედიუმი: 1,6-2,2 გრ.)

> **შუბლი** – ორმაგი წერტილოვანი რკალით გარშემოვლებული ვლაქერნის წმინდა ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, რომელსაც თავზე შარავანდი ადგია. თავს ირგვლივ განლაგებულია ბერძნული ზედწერილი: ჰე ჰაგია თეოტოკოს – წმინდა ღვთისმშობელი.

ზურგი – მონეტის კიდეებზე, წერტილოვანი რკალის შიგნით, განლაგებულია ქართული ასომთავრული ზედწერილი: „ქრისტე, ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე". ცენტრში, ასევე წერტილოვანი რკალით გარშემოვლებული სამსტრიქონიანი წარწერა: „და ნოველისიმოსი" (ტაბ. VIII, № 51).

ამ მონეტის (მათი რაოდენობა 12 ცალით განისაზღვრება) დათარიღება ვიწრო ქრონოლოგიური ჩარჩოებით დევიდ ლანგს ეკუთვნის. მისი ვარაუდის თანახმად, ბაგრატმა ნოველისიმოსობა მიიღო მას შემდეგ, რაც ლიპარიტ ბაღვაშისაგან გამწარებულმა საშველად ბიზანტიის იმპერატორს მიმართა და კონსტანტინოპოლში ჩავიდა. ეს მოხდა 1054 წელს. ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, 1057 წლამდე ბაგრატ IV, იმპერიის დედაქალაქში იმყოფებოდა. მაგრამ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს ბაგრატ IV-ის კონსტანტინოპოლში ჩასვლის და ყოფნის სხვა თარიღიც. აწ განსვენებული მეცნიერი მაქსიმე ბერძნიშვილი, დაეყრდნო რა ერთ-ერთ ბერძნულ წყაროს, თვლიდა, რომ ბაგრატ IV კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა არა 1054-1057, არამედ 1052-1055 წლებში. ეს თარიღი უთუოდ ანგარიშგასაწევია. 1060 წელს კი ბაგრატს თურქ-სელჩუკების თავდასხმის საშიშროებასთან დაკავშირებით ახალი ტიტული – სევასტოსობა უბოძეს. ამრიგად, დ. ლანგის მიხედვით ბაგრატ IV-ის პირველი ჯგუფის მონეტები უნდა დათარიღდეს 1054, უფრო ზუსტად კი – 1057-1060 წლებით, მაგრამ, ვინაიდან როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბაგრატი კონსტანტინოპოლში, სავარაუდოა, 1055 წლამდე დარჩა, უფრო მართებულად გვეჩვენება მონეტების დათარიღება 1055/56-1060 წლებით.

ჩვენამდე მოღწეული ბაგრატ IV-ის მეორე ჯგუფის მონეტები (რემედიუმი: 1,2-2,2 გრ.) ზემოთ აღწერილისაგან იმით განსხვავდება, რომ სათანადო ადგილას „ნოველისიმოსის" ტიტული შეცვლილია „სევასტოსით". ზოგადად თარიღდება 1060-1072 წლებით (ტაბ. VIII, № 52).

რითაა საინტერესო ბაგრატ IV-ის მონეტები? უპირველეს ყოვლისა იმით, რომ ლეგენდაში იგი თავის თავს მხოლოდ „აფხაზთა მეფის" (ანუ დასავლეთ საქართველოს მეფის) და ბიზანტიური ტიტულით მოიხსენიებს, და არა „აფხაზთა და ქართველთა" მეფის სახელით. ეს ფაქტი შემთხვევითი არ უნდა იყოს, ვინაიდან ამ პერიოდის ქართულ მონეტებზე ყოველთვის რეალურად ისახება პოლიტიკური სიტუაცია. ამავე დროს ჩვენ ისიც ვიცით, რომ ბაგრატ IV ფლობდა ხსენებულ ტიტულსაც. მართალია, ამჟამად კაცხის წარწერა, რომელშიც თითქოს ბაგრატ IV მოხსენიებულია როგორც „ქართველთა მეფე", გადათარიღებულია და მიკუთვნებულია ბაგრატ III-ის ხანისადმი, მაგრამ არსებობს სხვა საბუთებიც, რომლებიც ეჭვმიუტანლად ადასტურებს ბაგრატ IV-ის მიერ „ქართველთა მეფის" ტიტულის ფლობის ფაქტს. კერძოდ, ასეთი ტიტულით მოიხსენიება იგი 1052-1054 წლების სახარების მინაწერში. ასეთი შეუთანხმებლობის ახსნა ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

უაღრესად საინტერესოა პროფესორ დ. კაპანაძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბაგრატ IV შესაძლოა სპილენძის მონეტებსაც ჭრიდა. თუ ეს ჰიპოთეზა

გამართლდა, მაშინ ბაგრატ IV პირველი ქართველი მეფე იქნება, ვინც სპილენძის ფულის ემისია განახორციელა. ხსენებული ავტორი 1969 წელს წერდა: „ოცდაოთხ წლის წინათ პროფ. ე. პახომოვის პირად კოლექციაში გავეცანი ერთ უცნაურ სპილენძის მონეტას. იმ დროს ერთადერთ ცალად ცნობილი ეს მონეტა თითქოს განგებ მრგვალი მოყვანილობისა და ნორმალური ზომა-წონისა აღმოჩნდა. ვიძლევით ამ აღწერილობას: ზომა – 16 მმ. წონა – 5,48 გრ.

მონეტის შუბლის ცენტრში მოთავსებულია ასომთავრული ბანი შემოვლებული ხაზიანი რკალით. რკალს გარეთ კიდეებზე განლაგებულია ასომთავრული ზედწერილი, რომელიც ქარაგმების გახსნის შემდეგ ასე იკითხება: „სახელითა ღვთისაითა".

მონეტის ზურგზე მოთავსებულია ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი, დამახინჯებული ისე უხეშად, რომ მისი ამოკითხვა ვერ ხერხდება. (სამონეტო ტიპისათვის იხ. ტაბ. XII, №№ 81-82).

მონეტის ცენტრში მოთავსებულ ასომთავრულ „ბანს" არავითარი კავშირი არა აქვს თარიღთან, რადგან ის მოხვდებოდა 782 ან 1314 წელს და ამ დროისათვის მონეტა სრულიად შეუფერებელია და არავითარ დამახასიათებელ ნიშნებს არ ატარებს. უფრო მართებულია, ეს ნიშანი სახელის და კერძოდ ბაგრატის ინიციალად მივიჩნიოთ.

ამიტომ მონეტის ჩვეულებრივი ზომა-წონის, ნორმალური მოყვანილობის და ზედ ამოკვეთილი ზედწერილის შინაარსის მიხედვით ეს ნიმუში XIV საუკუნით დათარიღდა და ბაგრატ V (1360-1393 წწ.) მიეკუთვნა. ასეთ განსაზღვრას იმ დროს დანარჩენი სპეციალისტებიც იზიარებდნენ".

დ. კაპანაძემ თავის ატრიბუციაში ეჭვი შეიტანა 1956 წელს, როდესაც სომხეთის სახელმწიფო მუზეუმში ნახა ფანქრით შესრულებული ანაბეჭდი, გადაღებული ასეთივე, ოღონდ არაწესიერად მოჭრილ მონეტიდან, რაც საქართველოსათვის დამახასიათებელი იყო მხოლოდ XII საუკუნეში და XIII საუკუნის პირველი ოცეულისათვის.

ორიოდე წლის შემდეგ ამავე ტიპის არაწესიერად მოჭრილი ორი მონეტა ე. პახომოვის კოლექციასაც შემოემატა.

დ. კაპანაძე შემდეგ წერს: „ხოლო როდესაც ცნობილი გახდა 1959 წელს აღმოჩენილი ერთი განძის შემადგენლობა, გამოაშკარავდა, რომ ბაგრატ მეხუთისადმი ამ მონეტების მიკუთვნება არ შეიძლება. ეს განძი, აღმოჩენილი ქალ. დარუბანდის კომუნარების ქუჩაზე არხის გაყვანის დროს, ძალიან დამახასიათებელია თავისი შემადგენლობით და მონეტების უზარმაზარი რაოდენობით. განძი, რომელიც 150 კილოგრამს აჭარბებს, შეიცავს XII საუკუნისა და XIII საუკუნის დასაწყისის ილდიგიზიდურ, შარვანულ, დარუბანდის მელიქებისა, სელჯუკურ და ქართულ სპილენძის მონეტებს. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ჯგუფში ზემოაღწერილი ტიპის რამოდენიმე მონეტაც ერია და, მაშასადამე, ისევე როგორც განძის დანარჩენი მონეტები, XIII საუკუნის დასაწყისზე გვიან ვერ დათარიღდება. გარდა

ამისა ცნობილია, რომ უწესოდ მოჭრილ მონეტებს ამის შემდეგ უკვე აღარ უშვებდნენ.

აშკარაა, რომ მონეტის ცენტრში მოთავსებული ასომთავრული „ბანი" თარიღად ვერ ჩაითვლება და ბაგრატის ინიციალს უნდა წარმოადგენდეს. მაშასადამე, იმ დასკვნას უნდა დავადგეთ, რომ მონეტა XII საუკუნის ახლო ხანს ეკუთვნის და იმ ისტორიულ პირს უნდა მიეწეროს, რომელიც XII საუკუნეში ან უფრო ადრე მოღვაწეობდა. ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო შესაფერი ბაგრატ IV (1027-1072 წწ.) იქნება".

ასეთია დ. კაპანაძის არგუმენტაცია საინტერესო მონეტებთან დაკავშირებით.

ჩვენთვის ამჯერად ძნელია დ. კაპანაძის ატრიბუცია გავიზიაროთ, ან არ გავიზიაროთ[1]. საკითხი სადისკუსიაო და შემდგომ ჩაღრმავებულ კვლევას, დამატებით საბუთიანობას მოითხოვს.

4. გიორგი II-ის (1072-1089 წწ.) მონეტები.

თურქ-სელჩუკთა გააქტიურებამ მცირე აზიასა და კავკასიაში ბიზანტიის კეისართა მიერ საკარისკაცო ტიტულების გაცემის წესზედაც მოახდინა გავლენა. ქართველ მეფეებთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნების მიზნით ისინი ახლა უფრო ადვილად გასცემდნენ ადრე ძნელად მისაწვდომ ტიტულებს. ამან განსაკუთრებით თავი იჩინა გიორგი II ტიტულატურაში. მას თანმიმდევრობით მინიჭებული ჰქონდა კურაპალატის, ნოველისიმოსის, სევასტოსისა და კესაროსის პატივიც კი.

ჩვენამდე მოღწეული გიორგი II-ის მონეტები (მათი საერთო რიცხვი 100 ცალს აღემატება) ქართული ლეგენდის მიხედვით სამ ჯგუფს ქმნის. პირველის (რემედიუმი: 1,1-2,1 გრ.) აღწერილობა ასეთია:

> **შუბლი** – ნერტილოვან რკალში ჩასმული ვლაქერნის ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, თავზე შარავანდით. შარავანდის შიგნით ოთხი ნერტილისაგან შემდგარი სამი ვარდულია ჩასმული. გამოსახულების გვერდებზე ორმწკრივად ძლიერ დამახინჯებული ბერძნული ზედწერილი – ჰე ჰაგია თეოტოკოს, „წმინდა ღვთისმშობელი".
>
> **ზურგი** – შერწყმულ წერტილოვან რკალს შიგნით ასომთავრულით შესრულებულია ზედწერილი – „ქრისტე, ადიდე გიორგი აფხაზთა და ქართველთა მეფე". ცენტრში სამსტრიქონად: „და ნოველისიმოსი" (ტაბ. VIII, № 53).

მეორე და მესამე ჯგუფის მონეტები ზემოაღწერილისაგან განსხვავდება იმით, რომ ნოველისიმოსი შეცვლილია სევასტოსითა (ტაბ. VIII, № 54. რემედიუმი 1,2-2 გრ.) და კესაროსით (ტაბ. VIII, № 55). იცვლება აგრეთვე ავერსის ბერძნული ნარწერაც. ზემოთმოხსენიებულ ლეგენდასთან ერთად მონეტებზე გვხვდება სხვა ზედწერილი, რომელიც ასე ითარგმნება: „დედა ღვთისა ვლაქერნის"[12].

5. დავით აღმაშენებლის (1089-1125 წწ.) მონეტები.

დავით IV აღმაშენებლის „ნუმიზმატიკური მოღვაწეობა" ემთხვევა ისეთ გლობალურ ეკონომიკურ მოვლენას აღმოსავლეთში, როგორიცაა „ვერცხლის კრიზისი". შემთხვევითი როდია შემდეგი ფაქტი: თუ დავით კურაპალატის მონეტა 3,5 გრამს

იწონიდა, ბაგრატ IV-ის – 1,56 გრამი იყო, დავით აღმაშენებლის მონეტის წონა 0,51-0,87 გრამებში მერყეობდა.

აღსანიშნავია, რომ მონეტების გაუარესება მხოლოდ საქართველოსთვის არაა დამახასიათებელი. მსგავს პროცესს ადგილი ჰქონდა წინა აღმოსავლეთის ყველა ქვეყანაში, რაც, სპეციალისტების აზრით, უკვე მოხსენებული „ვერცხლის კრიზისის" შედეგია. ნანილი მეცნიერებისა მიიჩნევს, რომ ეს კრიზისი აღმოსავლური ქვეყნების ვერცხლის საბადოების გამოფიტვის შედეგი უნდა ყოფილიყო, ზოგი მეცნიერი კი ამ ფაქტს უკავშირებს აღმოსავლური მონეტის მასობრივ გაზიდვას დასავლურ ქვეყნებსა და ჩრდილოეთში და ა. შ. მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთი ვერსია „ვერცხლის კრიზისის" გამონვევისა დამაჯერებელი არაა და ამ საკითხის გადაჭრა, როგორც ჩანს, შორეული მომავლის საქმეა.

გარდა ამისა, იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ხაზინა თითქოს არ უნდა ყოფილიყო ღარიბი და ამ სიმდიდრის ერთ-ერთ წყაროს გარეშე მტრებთან წარმატებით ბრძოლა წარმოადგენდა. შემთხვევითი არაა ის, რომ თითქმის ყველა გამარჯვების აღნიშვნის შემდეგ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი წერს, რომ ქართველებმა „აღიღეს ტყუე და ალაფი ურიცხვი", ან აიღო დავით აღმაშენებელმა „შარვანს ქალაქი ყაბალა და აღავსო სამეფო თვისი ოქროთა და ვერცხლითა და ყოველითა სიმდიდრითა" და სხვ. მაგრამ ეს ურიცხვი ოქრო და ვერცხლი, როგორც ამას ჩვენამდე მოღწეული მასალა მოწმობს, არ ხმარდებოდა მონეტების წონისა და სინჯის გაუმჯობესებას.

ვიდრე უშუალოდ დავით აღმაშენებლის სახელით მოჭრილი მცირერიცხოვანი მონეტების აღწერაზე გადავიდოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ იგი უკანასკნელი ქართველი მეფეა, რომელიც ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულს ატარებდა. 1085 წელს დავითი მეფედ და სევასტოსად იხსენიება. ასევეა მოხსენიებული იგი დაახლოებით 1089-1091 წლებში წყაროსთავის სახარების წარწერაშიც. ამავე წლების ერთ-ერთი მინაწერის მიხედვით კი დავითი უკვე პანიპერსევასტოსიც არის. მისი სხვა ბიზანტიური ტიტულების შესახებ ცნობები არ არის შემორჩენილი. როგორც ჩანს, დავით აღმაშენებელმა, პოლიტიკურ არენაზე მიღწეული წარმატებების შემდეგ, უარყო ეს ტიტულები. ყოველ შემთხვევაში, რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დროს (1103 წ.) იგი ბიზანტიურ ტიტულს უკვე აღარ ატარებს.

ჩვენამდე მოღწეული დავით აღმაშენებლის მცირერიცხოვანი მონეტები (შვიდი თუ რვა ცალი) სამ ტიპად იყოფა. პირველი ტიპის მონეტა თავიდან ბოლომდე იმეორებს ბაგრატ IV-ის და გიორგი II-ის მონეტებს, შეცვლილია მხოლოდ რევერსის ქართული ზედწერილი ვიძლევით მათ აღწერილობას. (ერთი ეგზემპლარის წონა 0,5 გრ.)

1. **შუბლი** – წერტილოვან რკალში ჩასმული ვლაქერნის ღვთისმშობლის გამოსახულება წელზევით, თავზე შარავანდით. გამოსახულების მარჯვნივ და მარცხნივ უნდა იყოს შემოკლებული ბერძნული ლეგენდა, რომელიც ასე იშიფრება: მეტერ თეუ, ანუ დედა ღვთისა.

ზურგი – მონეტები დაზიანებულია, წრიული, ქართული ასომთავრული წარწერიდან იკითხება მხოლოდ ნაწილი: ...ე/დ/თ აფხ/. ცენტრის ლეგენდიდან – და სევასტოსი. რეკონსტრუქციის შემდეგ მივიღებთ: ქე-ადედთ-აფხზთ-მეფე, ქრისტე, ადიდე დავით აფხაზთა მეფე და – სევასტოსი (ტაბ. IX, № 56).

მონეტა დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში.

დევიდ ლანგის ვარაუდით, მონეტაზე მოთავსებული ტიტული – „სევასტოსი" – შემოკლებული ფორმა უნდა იყოს პანიპერსევასტოსისა, რომელიც ალექსი I-მა კომნენოსმა (1081-1118 წწ.) დავით IV-ს უბოძა, რაც, ალბათ, ძნელი გასაზიარებელია.

2. **შუბლი** – ისეთივე, როგორც № 1.

ზურგი – გარშემოვლებული ქართული ზედწერილი სრული სახით არაა შემორჩენილი: ქე ად- დთ მ- ფე და..., ე. ი. ქრისტე. ადიდე დავით, მეფე და სევასტოსი (?) ... მონეტის ცენტრში ჯვარი[13] (ტაბ. IX, № 57. რემედიუმი: 0,5-0,9 გრ.).

ვიდრე დავით აღმაშენებლის მესამე ტიპის უნიკალური მონეტის აღწერაზე გადავიდოდეთ, რამდენიმე სიტყვით უნდა შევჩერდეთ ზემოთ აღწერილი მონეტების თარიღზე.

როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, სევასტოსის ტიტულით დავითი უკვე 1085 წელს იხსენიება („მეფე და სევასტოსი"). ასევეა იგი წოდებული 1089-91 წლებში. ხოლო იმავე ხანებში მისთვის ახალი პატივის „ პანიპერსევასტოსობაც" უბოძებიათ, მაგრამ რუის-ურბნისის კრების დროს ბიზანტიურ ტიტულს იგი უკვე აღარ ატარებს.

ამრიგად, დავით IV-ის პირველი და მეორე ტიპის მონეტების ემისიის ხანად უნდა მივიჩნიოთ 1085-1103 ან, უფრო ზუსტად, 1089-1103 წლები. (მაინც არ უნდა იყოს სავარაუდო, რომ დავითს გიორგი II-ის ტახტიდან ოფიციალურ გადადგომამდე მოეჭრა მონეტა). თუმცა შეიძლება ამ ქრონოლოგიური ჩარჩოების კიდევ უფრო დავიწროება. რადგან იგი მონეტებზე არსად არ იხსენიება პანიპერსევასტოსის ტიტულით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პირველი და მეორე ტიპის მონეტები დავითმა თავისი მეფობის დასაწყისშივე – 1989-1091 წლებში მოჭრა.

ამავე დროს ისიცაა საგულისხმო, რომ პირველ ხანებში დავითი თავის თავს არ მოიხსენიებს „ქართველთა მეფის" ტიტულით.

გაერთიანებული საქართველოს ძლიერმა მეფემ შემდეგში, როგორც ამას ფაქტობრივი მასალა და წერილობითი წყაროები გვიდასტურებს, საერთოდ უარი თქვა ჯერ ბიზანტიური ტიტულის მონეტაზე მოთავსებაზე. ხოლო შემდეგ კი – მონეტის ბიზანტიურ ტიპზე (?) საზოგადოდ.

ამ მიმართულებით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პროფესორ დევიდ ლანგის მიერ 1957 წელს ჟურნალ „ნუმიზმატიკ ქრონიკლ"-ში (ტ. XVII, გვ. 144, ტაბ. XVII, 10) გამოქვეყნებული ბრიტანეთის მუზეუმის კუთვნილი დავით აღ-

მაშენებლის სპილენძის უნიკალური მონეტის ლეგენდის შინაარსს, რომელიც მან თავდაპირველად არასწორად წაიკითხა. სპილენძის ეს მონეტა 1857 წელს ბრიტანეთის მუზეუმს შეუძენია ენისკილენის ლორდისაგან და ასი წლის განმავლობაში უყურადღებოდ იყო მიტოვებული მუზეუმის საცავში. მისი აღწერილობა ასეთია: (წ. – 10,7 გრ.)

შუბლი – საიმპერატორო ტანსაცმელში გამოწყობილი წვეროსანი დავით აღმაშენებლის გამოსახულება წელზევით პირდაპირ. მარჯვენა ხელში მას გრძელი სკიპტრა უჭირავს. მარცხენაში – სფერო, რომელიც ჯვრითაა დაგვირგვინებული, თავსამკაულის ზემო ნაწილიც ჯვრითაა დამშვენებული (სტემა, საიმპერატორო გვირგვინი). მეფეს ყელზე მძივები უკეთია. გამოსახულების მარცხნივ – ასომთავრულით დთ – დავით. მარჯვნით – მფ – მეფე.

ზურგი – მონეტის ცენტრში თანაბარტოტებიანი ჯვრის გამოსახულება. გარშემო ქართული ასომთავრული ლეგენდა. ჯერ ვიძლევით მის დეივიდ ლანგისეულ წაკითხვას: სხთ-ქ-დთ-მფე-აფთ-ქ-რნ-კხთ. გაშლილი სახით: სახელითა ქრისტეისი დავით, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა. ყველაფერი ეს ჩასმულია ხაზოვან რკალში (ტაბ. IX, № 58).

როდესაც ხსენებული ჟურნალი 1958 წლის დამლევს დეივიდ ლანგისაგან საჩუქრად მიიღო პროფესორმა დ. კაპანაძემ, მან საჩქაროდ გახსნა ამანათი და სიხარულისაგან შეჰყვირა. ასეთი ემოციის მიზეზი გახლდათ ზემოთ აღწერილი სპილენძის მონეტა.

ამავე დღეებში მან ეს ჟურნალი საჩვენებლად წაუღო გამოჩენილ ქართველ მეცნიერს აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილს, რომელმაც იქვე გააკეთა შენიშვნა, რომ ზედწერილი შეცდომით იყო წაკითხული. მისი აზრით, აბრევიატურა სხთ (სახელითა) გადატანილი უნდა იქნეს ლეგენდის ბოლოში და წარწერა ასეთ სახეს მიიღებს: ქ-დთ-მფე აფთ-ქ-რნ-კხთ-სხთ, ანუ: ქრისტე, დავით მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა. მან აღნიშნა, რომ ასეთივე შინაარსის წარწერა, ოღონდ უკვე ვრცლად, გაშლილი სახით, მოთავსებულია დავით აღმაშენებლის საალმო ჯვარზე (დაცულია ქართული ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში).

დ. კაპანაძემ ნიკო ბერძენიშვილის წაკითხვის ვარიანტი დაუყოვნებლივ შეატყობინა დ. ლანგს, რომელმაც იგი უყოყმანოდ გაიზიარა.

როგორ უნდა დათარიღდეს ეს უნიკალური მონეტა?

დ. კაპანაძე თავის სახელმძღვანელოში „ქართული ნუმიზმატიკა" (თბილისი, 1969, გვ. 66) წერს: „ცნობილია, 1123 წელს სომხეთის დედაქალაქის ანისის „ურჯულოებისაგან" გათავისუფლებისა და საქართველოსთან შემოერთების შემდეგ, დავით აღმაშენებელმა „სომეხთა მეფის" ტიტული მიისაკუთრა. ცნობილია აგრეთვე, რომ სახელოვანი მეფე 1125 წელს მიიცვალა. ამრიგად, მონეტის მოჭრის დრო უკიდურეს თარიღებს შორის თავსდება და, მაშასადამე, სულ ორი წლის ფარგლებით განისაზღვრება". მაგრამ ეს ასე არ არის. ამ მონეტის მოჭრა

შეიძლება განხორციელებულიყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც დავითმა 1118 წელს ლორე აიღო და გააუქმა ტაშირის სამეფო და არა ანისის აღების შემდეგ (М. Д. Лордкипанидзе. История Грузии XI - начало XIII века, Тбилиси, 1974, გვ. 103, 199). დავით აღმაშენებლის ტიტულში „სომეხთა მეფე" ნიშნავს ტაშირ-ზორაკერტის მეფობას.

კიდევ ერთი დეტალი ზემოთ აღნიშნულ მონეტასთან დაკავშირებით. დევიდ ლანგის აზრით, მასში შერწყმულია ბიზანტიური და ჯვაროსნული იკონოგრაფიის ელემენტები, ხოლო აკადემიკოს როინ მეტრეველის ვარაუდით, ბიზანტიური და ქართული [14].

ცხადია, ზემოაღწერილი მონეტის მნიშვნელობა ქართული ნუმიზმატიკის ისტორიისათვის (და საზოგადოდ საქართველოს ისტორიისათვის) განსაკუთრებულია. საქმე ის გახლავთ, რომ მონეტის ლეგენდის შინაარსის შეცვლა პოლიტიკური კონიუნქტურის ღრმა ძვრებთანაა დაკავშირებული. ეს აქცია, ეჭვს გარეშე, ქართული ნუმიზმატიკის და, რა თქმა უნდა, არა მარტო ნუმიზმატიკის, არამედ საგარეო პოლიტიკის მაგისტრალური ხაზის ტრადიციური გაგებით „ბიზანტიური" ხანის დასასრულს მოასწავებდა. ეს ერთი. მეორეც: სწორედ ბრიტანეთის მუზეუმის კუთვნილი უნიკალური მონეტა მოწმობს იმ ფაქტს, რომ დავითმა ფულის რეფორმა გაატარა. ყოველ შემთხვევაში, ის პირველი ქართველი მეფე იყო, ვინც სპილენძის მონეტა მოჭრა და უარი თქვა მასზე ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულის მოთავსებაზე.

და კიდევ: უკვე აღწერილი უკლებლივ ყველა მონეტის ემისია ქუთაისში უნდა განხორციელებულიყო, ვინაიდან თბილისი ამ პერიოდში მუსლიმების ხელშია.

სამეცნიერო ლიტერატურაში, როდესაც დავით აღმაშენებლის მიერ გატარებულ ფულის რეფორმაზე საუბრობენ, ყოველთვის ეყრდნობიან არაბი ისტორიკოსის ალ-ფარიკის ცნობას, რომლის თანახმადაც დავითს თითქოს მოუჭრია მონეტა ერთ მხარეს ხალიფასა და სულთნის სახელებით, მეორეზე ალაჰისა და მოციქულისა, ხოლო თვით დავითის სახელი ამოკვეთილი ყოფილა მონეტის კიდეზე.

კარგა ხანია ნუმიზმატები ცდილობენ მატერიალური საფუძველი მოუძებნონ ალ-ფარიკის ამ ცნობას და შეამაგრონ ის ფაქტობრივი მასალით. ამ მიმართებით უაღრესად საინტერესოა სპილენძის იშვიათი მონეტები, რომელთა წონა 1,5-3,5 გრამს შორის მერყეობს. მისი აღწერილობა ასეთია:

შუბლი – გვირგვინოსანი მხედრის მარჯვნივ მიმართული ფიგურა. გამოსახულების ორივე მხარეს – ასომთავრული დ და თ, რომელიც დავითის სახელის დაქარაგმებაა.

ზურგი – სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: მეფე მეფეთა დავით, ძე გიორგისი, მესიის მახვილი.

მონეტა პირველად ფრანგმა მეცნიერმა ვ. ლანგლუამ გამოაქვეყნა და მიაკუთვნა დავით აღმაშენებელს. ეს ატრიბუცია სხვა სპეციალისტებმა არ გაიზიარეს.

პროფესორ ევგ. პახომოვის, დოცენტ თ. ლომოურისა და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ირ. ჯალალანიას აზრით, ზემოთ აღწერილი მონეტის ემისია ლაშა გიორგის ვაჟს, დავით ულუს (1247-1270 წწ.) უნდა მიეწეროს. ამ ატრიბუციის სასარგებლოდ, სხვა საბუთებთან ერთად, მათ მოჰყავთ უძლიერესი არგუმენტი: სადისკუსიო მონეტა ზუსტი ასლია რუმის სელჩუკიდის ქეიხოსრუ I (1192-1200 წწ.) სპილენძის მონეტისა. ლოგიკა აქ მარტივია, მაგრამ თითქმის გადაულახავი. საქართველოს ყველა მმართველი (დავით აღმაშენებლის ჩათვლით) საკუთარ მონეტას ჭრიდა უცხო ქვეყნების ფულის ნიმუშის მიხედვით. სადავო მონეტის ტიპი (გვირგვინოსანი მხედარი) შეიქმნა სელჩუკთა სახელმწიფოში დავით აღმაშენებლის გარდაცვალებიდან თითქმის 70 წლის შემდეგ. ამდენად, მას, უბრალოდ, ფიზიკურად არ შეეძლო ქეიხოსრუ I-ის მონეტის იკონოგრაფია თავისი მონეტის ნიმუშად აეღო.

მიუხედავად თითქოს ასეთი გადაულახავი ზღუდისა, პროფესორი დ. კაპანაძე ამ მონეტებს კვლავ დავით აღმაშენებელს აკუთვნებს. მის არსენალში ამ ატრიბუციის სასარგებლოდ რამდენიმე არგუმენტია, მაგრამ უძლიერესი მათ შორის არის მონეტის ლეგენდა: „მეფე მეფეთა – დავით ძე გიორგისი – მესიის მახვილი". დ. კაპანაძის მოსაზრების თანახმად, ასეთი ამაყი წარწერის მოთავსება საკუთარ მონეტაზე (ფაქტობრივად გამოწვევა მთელი მუსლიმური სამყაროსი) შეეძლო მხოლოდ გაერთიანებული საქართველოს ძლიერ მეფეს დავით აღმაშენებელს და არა მონღოლთა უღელქვეშ მყოფ დავით ულუს. თავისი დებულების განსამტკიცებლად დ. კაპანაძე უდარებს ზემოთ მოყვანილ მედიდურ წარწერას დავით ნარინისა და დავით ულუს მონეტის ლეგენდებს. დავით ნარინის მიერ 1244-1247 წლებში მოჭრილ სპილენძის მონეტაზე მეფე, მაგალითად, ასეთი ტიტულით არის აღბეჭდილი: „მსოფლიოს მფლობელის ყაენის მონა, დავით მეფე". ხოლო მისივე 1247 წლის ვერცხლის მონეტაზე ასეთი წარწერაა: „ძალითა ღვთისათა – მონა გუიუკ-ყაენის მთავრობისა – მეფე დავითი". ხოლო დავით ულუ თავის ვერცხლის მონეტაზე, რომელიც 1253/54 წლებშია მოჭრილი, ასეთ ლეგენდას ათავსებს: „ძალითა ღვთისათა – მსოფლიოს მანგუ ყაენის ნებითა – წელსა ექვსას ორმოცდაათსა" = 1253-1254 წლები. (შუბლზე). „დავით ძე გიორგისა – ბაგრატიონისა, იჭედა თბილისს" (ზურგზე). როგორც ვხედავთ, დავით ულუს ვერცხლის მონეტის ზედწერილიც აგრეთვე ხაზს უსვამს ქართველი მეფის დამოკიდებულებას მონღოლებისაგან. აკადემიკოსი რ. მეტრეველი წერს: „ამ წარწერის შინაარსი თითქოს იმას გულისხმობს, რომ საქართველოს მეფე ფულსა ჭრის მხოლოდ მონღოლთა ყაენისგან სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ. აშკარად ჩანს ის დიდი განსხვავება, რომელიც არსებობს გვირგვინოსანი მხედრის გამოსახულებიანი სპილენძის მონეტასა და დავით ნარინისა და დავით ულუს მონეტების წარწერებს შორის. უდავოა, რომ უკანასკნელი მონეტების წარწერები ამ დროს შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის ჭეშმარიტ სარკეს წარმოადგენს. ყოვლად წარმოუდგენელია, რომ მონღოლთა ბატონობის ქვეშ მყოფ რომელიმე ქართველ მეფეს და კერძოდ

„სამყაროს განმგებლის, მანგუ ყაენის ნებით“ ფულის მომჭრელ დავით ულუს ეკუთვნოდეს ტიტული „მეფეთა მეფე“ და ისეთი მრისხანე ეპითეტი, როგორიცაა „მესიის მახვილი“ (როინ მეტრეველი, დიდნი საქმენი, თბილისი, 1978, გვ. 187).

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, მოტანილი საბუთი ძლიერი არგუმენტია, მაგრამ ისეთი გადაულახავი არა, როგორიც ოპონენტებისა. ქართული დიპლომატიკის ისტორიიდან, საჭიროების შემთხვევაში, მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როცა ტიტულატურა არ შეეფერება ამა თუ იმ მეფის რეალურ ხელისუფლებას.

სრულიად მოულოდნელია პროფესორ დ. კაპანაძის დასკვნა გვირგვინოსანი მხედრის გამოსახულებიანი სამონეტო ტიპის გენეზისის შესახებ: „ჩვენ შეგვიძლია მეტი სითამამით დავსვათ საკითხი, რომ ის სადავო მონეტა, რომელსაც მკვლევართა უმრავლესობა მიანერს ულუ დავითს, თავდაპირველად დავით აღმაშენებელს შემოულია და მხოლოდ შემდეგ გამოიყენეს ეს მოტივი სელჯუკებმა“ (დავით კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბილისი, 1969, გვ. 89). ვითვალისწინებთ რა სამონეტო საქმისა და სამონეტო მიმოქცევის ისტორიას საქართველოში, ჩვენ გვიჭირს ამის დაჯერება.

ამ მონეტების დავით ულუსადმი მიკუთვნების სასარგებლოდ პროფ. გ. ჯაფარიძემ წამოაყენა კიდევ ერთი არგუმენტი. იგი წერს: „მხედრის გამოსახულება და წარწერის ხელი (ნასხი) მონეტაზე უაღრესად საეჭვოდ ხდის აღნიშნული სამონეტო ტიპის აღმაშენებლისადმი მიკუთვნების შესაძლებლობას. ვფიქრობთ, რომ მისი ემისია დაკავშირებულია 1260-61 წლებში მონღოლთა წინააღმდეგ დავით ულუს აჯანყებასთან. სწორედ ამ დროს დავით ულუს თავისუფლად შეეძლო აღედგინა თავის საფასეზე დიდი წინაპრების ტიტულატურა – „მეფეთა მეფე და მესიის მახვილი (იხ. მისი წერილი: ქართული მონეტები არაბული ზედწერილებით, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 4, 1989, გვ. 90). ამ ორიგინალურ მოსაზრებას აუცილებლად უნდა გაეწიოს ანგარიში სადავო მონეტის ატრიბუციის დროს.

ასეა თუ ისე, ვიდრე არ აღმოჩენილა სადავო მონეტის თარიღიანი ეგზემპლარი, მასთან დაკავშირებით გამოთქმული ორივე მოსაზრება ჰიპოთეტურ ხასიათს ატარებს.

ალ-ფარიკის ცნობის ფონზე საჭიროა შევეხოთ სპილენძის კიდევ ორ, „უწესოდ“ მოჭრილ მონეტას, რომლებიც ადრე ევგ. პახომოვის კოლექციაში შედიოდა და მემკვიდრეობით მიიღო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა. სხვათა შორის, მონეტის ეს ტიპი კარგა ხანია აღწერილია სამეცნიერო ლიტერატურაში (იხ. Ир. Джалаганиа. Из Истории монетного дела Грузии XIII века, Тбилиси, 1958, გვ. 40-41) და გამოთქმულია მოსაზრება მისი დავით აღმაშენებლისადმი მიკუთვნების შესახებ. მონეტის წონა – 6,09 გრამი.

შუბლი – სამსტრიქონიანი, არაბული ზედწერილი, რომელსაც შემდეგი ფრაგმენტები შერჩა: „მეფე მეფეთა – მახვილი მესიისა – დავით... მარჯვნივ ვერტიკალურად განლაგებული გაურკვეველი ნიშანი, გარშემოვლებული ხაზიანი რკალის ფრაგმენტი და ირგვლივ განლაგებული ზედწერილის ნაშთი.

ზურგი – სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილის ფრაგმენტები: „მუჰამედ – სულტანი უმაღლესი – ბარქ...", რომელსაც მარჯვნივ შერჩა გარშემოვლებული ზედწერილის ნაშთი.

მართალია, სულთნის სახელი მთლიანად არაა შემორჩენილი, მაგრამ არსებული ასოები უდგება სულთან ბარქიარუქის (1094-1104 წწ.) სახელს, რომელიც დავით აღმაშენებლის თანადროული სელჩუკთა მფლობელ-მბრძანებელი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მონეტის საერთო სახე ზუსტად არ ემთხვევა ალ-ფარიკის აღწერილ დავით აღმაშენებლის მიერ მოჭრილ მონეტას, მაინც მისი მიკუთვნება დავითისადმი უფრო რეალური ჩანს, ვიდრე გვირგვინოსანი მხედრის გამოსახულებიანი ცალებისა.

მაგრამ თუ ასეა, მაშინ ჩვენს წინაშე უცილობლად დადგება რიგი საკითხებისა, რაზედაც პასუხის გაცემა გაჭირდება. უპირველეს ყოვლისა, საკითხი ამ მონეტის დათარიღებისა. როდის მოიჭრა ის? ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ მისი ემისია განხორციელდა ბარქიარუქის მმართველობის დროს (1094-1104 წწ.) ან მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ. ეს კი ცოტა ძნელი წარმოსადგენია იმ პირობებში, როდესაც დავით აღმაშენებელი მთლიანად ვერ აკონტროლებდა აღმოსავლეთ საქართველოს. ყველაზე მეტად კი ასეთ ჰიპოთეზას ხელს უშლის ბრიტანეთის მუზეუმის სპილენძის უნიკალური მონეტა, რომელიც, როგორც ზემოთ დავრწმუნდით, 1118 წელს უნდა მოჭრილიყო. რა გამოდის? დავით აღმაშენებელმა ჯერ მოჭრა აღმოსავლური ტიპი, ხოლო შემდეგ ისევ დაუბრუნდა აშკარად დასავლური სამყაროს (ბიზანტიური) ელფერის მქონე სამონეტო ტიპოლოგიას? ასეთი შესაძლებლობა ჩვენ არარეალურად გვეჩვენება.

ჩვენი აზრით, თუ ალ-ფარიკის ცნობა სინამდვილეს შეეფერება, მის მიერ აღწერილი მონეტა დავითს უნდა მოეჭრა, ალბათ, თბილისის აღების შემდეგ (1122 წ.). რატომ? თბილისი ამ დროს მუსლიმური მოსახლეობისაგან შედგებოდა და საქართველოს მეფეს აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა მათი ინტერესები. გარდა ამისა, ამას მოითხოვდა საქართველოს საგარეო-ეკონომიკური ინტერესები: საქართველოს ფულს აუცილებლად უნდა გაეკვლია გზა აღმოსავლური სამყაროს ბაზრისაკენ. ამის მიღწევა კი შეუძლებელი იყო სათანადო ტიპის მონეტის შემოღების გარეშე.

ცხადია, სახელმძღვანელოში ამ მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრა ყოვლად შეუძლებელია. ამის პრეტენზია არცა გვაქვს, მაგრამ ამ საკითხების წინ წამოწევით გვსურდა გვეჩვენებინა, მასალის უკიდურესი სიმცირის პირობებში, რაოდენ რთულია ჩვენი დიდი მეფის საფინანსო მოღვაწეობის გაშუქება.

როდის გარდაიცვალა თამარ მეფე?

(XII საუკუნის - XIII საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული მონეტების მიმოხილვა)

აღნიშნული პერიოდის ნუმიზმატიკური მასალის განხილვას ვიწყებთ დემეტრე I-ის (1125-1156 წწ.) და ვამთავრებთ ლაშა გიორგის (1210-1222 წწ.) მონეტებით. ამას თავისი გამართლება აქვს. საქმე ისაა, რომ დროის ეს მონაკვეთი ქართული ნუმიზმატიკის მკვეთრად გამოხატული „სპილენძის ხანაა", ე. წ. ვერცხლის კრიზისი თავის ზენიტშია. დემეტრე I-ის დროიდან რუსუდანის მეფობამდე (1222-1245 წწ.) ქართული მონეტები იჭრება მხოლოდ და მხოლოდ სპილენძისაგან. ეს ერთი თავისებურება[15]. მეორე თავისებურება ის გახლავთ, რომ XI-XII საუკუნეთა მიჯნაზე მონეტის ტიპი, გარეგანი სახე და მოყვანილობა მკვეთრად იცვლება: აქამდე მიღებულ კანონზომიერ მოყვანილობას – სიმრგვალეს, მონეტა კარგავს. ამიერიდან ფულის ნიშანთა გარკვეული ნაწილი შემთხვევითი ფორმისა და მოყვანილობის სპილენძის ფირფიტების სახით იჭრება. ამიტომ ძალიან ხშირად, ფირფიტის სიმცირის გამო, სიქის ანაბეჭდი მასზე მთლიანად ვერ თავსდებოდა. ეს წესი აღმოსავლეთის ქვეყნებში იქნა თავდაპირველად დანერგილი და ჩვენშიაც მტკიცედ მოიკიდა ფეხი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ე. წ. არაწესიერად მოჭრილ მონეტებს აღებ-მიცემის დროს ღებულობდნენ უკვე წონის და არა თვლის ანგარიშით. დამატებითი არგუმენტაციის გარეშე ჩვენ პირადად გვიჭირს ამ აზრის გაზიარება.

ყოველივე ზემოთქმული ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ამ პერიოდში ქართული მონეტები მხოლოდ არაწესიერი ფორმისანი იყო. მათ პარალელურად, რა თქმა უნდა, იჭრებოდა მრგვალი ფორმის მონეტებიც.

გადავდივართ მონეტების აღწერაზე.

დემეტრე I დროს რამდენიმე სამონეტო ტიპი იჭრება, მაგრამ ძირითადი სქემა არსებითად ერთია.

სპილენძი, სხვადასხვა ზომის, წონისა და ფორმის.

შუბლი – ცენტრში მოთავსებულია ასომთავრული დონი, რომელიც დემეტრეს სახელის ინიციალს წარმოადგენს. ზემოთ და ქვემოთ არაბული ზედწერილი: „მეფეთა მეფე". ირგვლივ რკალი და გაურკვეველი არაბული წარწერა.

ზურგი – ორსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „მაჰმუდ იბნ მუჰამედი". გარშემო ასევე არაბული ლეგენდა, რომელიც ძნელად იკითხება (ტაბ. X, № 62).

ბევრად ნაკლები რაოდენობითაა ცნობილი დემეტრეს ასევე უწესოდ მოჭრილი, მაგრამ უკვე სხვა ტიპის სპილენძის მონეტა.

შუბლი – რვაკუთხედ ფიგურიან ჩარჩოს ცენტრში ასომთავრული დონი. ჩარჩოს გარეთ განლაგებული არაბული წარწერა „მეფეთა მეფე, მახვილი მესიისა" სტილიზებულია და ჩარჩოს ნაწილს წარმოადგენს.

ზურგი – ხუთღერძიანი ვარდულის შინაგან ბუდეებში მოთავსებული არაბული წარწერა გვამცნობს არაბთა ხალიფას ალ მუქთაფი ლიამრ ალლაჰის (1136-1160 წწ.), ხოლო გარეგან ბუდეებში არაბულივე ზედწერილი – სელჯუკთა სულთნის ღიას ედდინ მასუდის (1133-1154 წწ.) სახელს (ტაბ. X, № 63).

დემეტრე I-ის მეფობა აღინიშნა მთელი რიგი გართულებებით როგორც საგარეო, ასევე საშინაო პოლიტიკაში. განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო ტახტისათვის ბრძოლამ დემეტრესა და მის უფროს ვაჟს, დავითს შორის. დემეტრე უპირატესობას ანიჭებდა თავის უმცროს ვაჟს გიორგის. 1150 წელს ფეოდალების ერთმა ნაწილმა გადაიბირა დავითი და ააჯანყა მამის წინააღმდეგ. ამჯერად დემეტრემ დაამარცხა ოპოზიცია, მაგრამ ისინი კვლავ აჯანყდნენ და 1155 წელს დემეტრე იძულებული შეიქნა ბერად აღკვეცილიყო. გამეფდა დავით V, მაგრამ მან მხოლოდ ექვსი თვე იმეფა. ზოგის ვარაუდით იგი მოკლეს, ზოგის ცნობით, ის თავისი ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა. ტახტზე კვლავ დემეტრე დაბრუნდა, რომელმაც თავად აკურთხა გიორგი (მომავალი გიორგი III) მეფედ (1156-1184 წწ.). დავითს დარჩა ვაჟი დემეტრე (დემნა), რაც ყოველთვის ქმნიდა საბაბს შეთქმულება-აჯანყებისათვის.

დატოვა თუ არა რაიმე კვალი დავით V თავისი ხანმოკლე მეფობის პერიოდში ქართულ ნუმიზმატიკაში? 1969 წელს პროფესორი დ. კაპანაძე წერდა: „ცნობილია, რომ დემეტრე პირველის ძე და გიორგი მესამის უფროსი ძმა დავითი ჩვენს ქვეყანას სულ რამდენიმე თვე განაგებდა და, ალბათ ამიტომ, მისი მონეტები ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ ასეთი მონეტების აღმოჩენა მოსალოდნელია..." დ. კაპანაძეს ინტუიციამ არ უმტყუნა. დავით V-ის მონეტა აღმოჩნდა, მაგრამ აღმოჩნდა იმ მონეტებს შორის, რომელთაც თავად მკვლევარი დავით აღმაშენებელს აკუთვნებდა. ამ იშვიათი, „უწესოდ" მოჭრილი სპილენძის მონეტების შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით, როდესაც დავით აღმაშენებლის მონეტებს მიმოვიხილავდით. ხელმეორედ ვიძლევით მის აღწერილობას:

შუბლი – სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი, რომელსაც შემდეგი ფრაგმენტები შერჩა: „მეფე მეფეთა – მახვილი მესიისა – დავით..." მარჯვნივ ვერტიკალურად განლაგებული გაურკვეველი ნიშანი. გარშემოვლებული ხაზიანი რკალის ფრაგმენტი და ირგვლივ განლაგებული ზედწერილის ნაშთი.

ზურგი – სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილის ფრაგმენტები: „მუჰამედ – სულტანი უმაღლესი“ – და შემდეგ მოდის საკუთარი სახელი, რომელიც ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ირ. ჯალაღანიამ და პროფესორმა დ. კაპანაძემ წაიკითხეს როგორც „ბარქ (იარუკ)“ (ტაბ. X, № 65).

ვინაიდან ბარქიარუქის მმართველობის ხანა (1094-1104 წწ.) ემთხვევა დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდს, აღნიშნული მონეტა ამ უკანასკნელს მიეკუთვნა.

1989 წელს ამ მონეტის ატრიბუციის საკითხს მიუბრუნდა არაბისტი გ. ჯაფარიძე, რომელმაც ჩვენთვის საინტერესო მონეტის ზურგის ლეგენდა ასე წაიკითხა: „მუჰამედი – სულტანი (უდიდესი) – ძე მაჰ(მუდისა)“. ამრიგად, მონეტის ზედწერილში მოხსენიებულია არა სულტანი ბარქიარუქი, არამედ ერაყის სელჩუკიანი სულტანი მუჰამად იბნ მაჰმუდი, რომელიც 1153-1159 წლებში მოღვაწეობდა, ე. ი. ემთხვევა დავით V-ის ხანმოკლე მეფობის პერიოდს (1155 წ.). გ. ჯაფარიძე წერს: „სულტანი მუჰამად იბნ მაჰმუდის თანამედროვე ქართველი მეფეთ-მეფე და მესიის მახვილი დავითი არის მხოლოდ და მხოლოდ დავით აღმაშენებლის შვილიშვილი დემეტრე I-ის ვაჟი დავით V, რომლის მეფობაც 1155 წელზე მოდის“ (იხ. გ. ჯაფარიძე, ქართული მონეტები არაბული ზედწერილებით. დავით V-ის სპილენძის მონეტები, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 4, 1989, გვ. 89-94). სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ გ. ჯაფარიძის ეს აღმოჩენა თავის დროზე სპეციალისტების ყურადღების მიღმა დარჩა, რასაც პირადად ჩვენ დაგვიანებით, მაგრამ მაინც ვასწორებთ, ამრიგად, შეივსო ქართული ნუმიზმატიკის, როგორც თვით ავტორი წერს, ლაკუნა. არ შეიძლება არ დაეთანხმო მის შემდეგ სიტყვებსაც: „... გაირკვა, რომ მიუხედავად ხანმოკლე მეფობისა, დავით V ჭრიდა მონეტას. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ყოველი ახალი მეფე საკუთარი მონეტის ემისიას და რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამონეტო რეგალიას შუა საუკუნეების საქართველოში“.

გიორგი III-ის არანესიერად მოჭრილი სპილენძის მონეტები ორი ტიპისაა.

პირველი – დემეტრეს ზემოთ აღწერილი მონეტის ვარიანტს წარმოადგენს და განსხვავდება მეფის სახელის ინიციალით. ასომთავრული დონის ნაცვლად აქ გიორგის ინიციალია ამოკვეთილი ასომთავრულადვე (ტაბ. X, № 66).

გიორგი III-ის მეორე ტიპის არანესიერად მოჭრილ მონეტას ასეთი სახე აქვს:

შუბლი – ხვეული ხაზებისაგან შემდგარი ვარდულის ცენტრში მოთავსებულია გიორგის სახელის აღმნიშვნელი ასომთავრული ინიციალი, ვარდულის ბუდეებში არაბულად: „მეფეთა მეფე გიორგი, მესიის მახვილი“.

ზურგი – ხვეული ვარდულის ბუდეებში არაბული ზედწერილი: „ალ მუქთაფი ლიამრ ალლაჰ, მართლმორწმუნეთა მბრძანებელი“ (ტაბ. X, № 67).

არ შეიძლება გაკვირვება არ გამოიწვიოს იმ ფაქტმა, რომ გაერთიანებული საქართველოს ძლიერი მეფე გიორგი III თავის მონეტებზე არაბულ ზედწერილებსა და ხალიფას სახელს ათავსებს. ზოგიერთი მკვლევარი ამას იმით ხსნის, რომ საქართველოს მეფე რაღაც ფორმით დამოკიდებული იყო მუსლიმ მფლობელზე. მაგრამ ასეთი მოსაზრება ყოვლად უსაფუძვლოა. დემეტრესა და გიორგი III-ის ასეთი ჟესტი ნაკარნახევია წმინდა ეკონომიკური მოტივებით, რადგან ქართულ მონეტებს გზა უნდა გაეკვლია მახლობელი აღმოსავლეთის ბაზრისაკენ, ამას კი არაბული ლეგენდა და ხალიფას სახელის მოხსენიება უთუოდ უწყობდა ხელს. ამავე დროს წარწერის შინაარსი იმასაც ატყობინებდა მუსლიმურ სამყაროს, რომ, ვთქვათ, გიორგი III „მეფეთა მეფე" და „მესიის მახვილი" იყო. რომელი დამოკიდებული ქვეყანა გაბედავდა დემონსტრატიულად განეცხადებია მუსლიმებისათვის, რომ მისი ქვეყნის მეფე „მესიის მახვილი" (ე. ი. ქრისტიანობის მცველი) იყო?!

გიორგი III „უწესოდ" მოჭრილი მონეტების პარალელურად იწყებს აგრთევე მრგვალი მოყვანილობის, დაახლოებით ერთი ზომისა და წონის მონეტების ემისიასაც. მათ ასეთი სახე აქვს: (წ. ≈ 5 გრ.)

შუბლი – აზიურ-ბიზანტიურ სამოსელში გამოწყობილი გიორგი III მარცხენა (ზოგჯერ მარჯვენა) ხელით დოინჯშემოყრილი ფეხმორთხმით ზის პირდაპირ. მას მეორე განვდილ ხელზე შევარდენი უზის. თავს საიმპერატორო სტემა უმშვენებს. მონეტის არეზე გაფანტულია ქართული მხედრული წარწერა, რომელიც იუწყება მეფის სახელს (შემოკლებულად – გი) და 394 ქორონიკონს =1174 წელს.

ზურგი – სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „მეფე მეფეთა – გიორგი ძე დემეტრესი – მესიის მახვილი" (ტაბ. X, №№ 68, 69).

დ. კაპანაძის აზრით, „ამ მონეტის ქართული ზედწერილის ასოთა განლაგება კომპოზიციურად დაკავშირებულია გამოსახულებასთან და, ალბათ, ამიტომაა, რომ მეფის სახელის აღმნიშვნელი ასოები გადმოცემულია მხედრული ნიშნებით და მეორდება ასომთავრული მონოგრამით".

კიდევ ერთ თავისებურებას უნდა გაესვას ხაზი: გიორგი III-ის ზემოაღწერილ მონეტაზე პირველად ქართული სამონეტო საქმის ისტორიაში თავსდება მხედრული დამწერლობა. გარდა ამისა, კვლავ ჩნდება თარიღი, რომელიც XI საუკუნის პირველი მესამედის შემდეგ ჩვენში მოჭრილ მონეტებზე აღარ თავსდებოდა, მაგრამ ეს თარიღი უკვე ქართული ქორონიკონითაა გადმოცემული და ემისიის წელს კი არ აღნიშნავს, არამედ მონეტის ტიპის დამტკიცების დროს.

წესიერად გამოშვებული მონეტები, რომლებთაც დაახლოებით ერთნაირი წონა და მრგვალი მოყვანილობა ჰქონდა, იჭრებოდა გიორგი III-ის დროიდან მოკიდებული რუსუდანის მმართველობაში მომხდარ სამონეტო რეფორმამდე და ორივე ნიმუშს (წესიერსა და არაწესიერს) თამარისა და ლაშა გიორგის მონეტებს შორისაც ვხვდებით.

დ. კაპანაძე ფიქრობდა, რომ წესიერად მოჭრილი სპილენძის მონეტები მიმოქცევიდან გამქრალი ვერცხლის ფულის ეკვივალენტი იყო, რომელიც აღებ-მიცემობის დროს გადიოდა თვლისა და არა წონის ანგარიშით.

როგორც ცნობილია, 1178 წელს გიორგი III-მ თავისივე სიცოცხლეში თანამოსაყდრედ აკურთხა თამარი. როგორც ჩანს, მათი ერთობლივი მმართველობის ხანას ეკუთვნის ქვემოთ აღწერილი სპილენძის უწესოდ მოჭრილი მონეტა.

შუბლი – გრეხილორნამენტოვანი ნასკვებით გამოყვანილი ექვსბუდიანი ვარდულის ცენტრში ორი ასომთავრული ნიშანი – გი (გიორგი). ვარდულის გარეგან ბუდეებში ასომთავრულადვე: „ადიდენ ღმერთმან მეფეთა მეფე".

ზურგი – ისეთივე, ოღონდ რვაბუდიანი ვარდულის ცენტრში თამარის ასომთავრული ინიციალია, ან მისი სახელის სხვადასხვანაირი დაქარაგმება – თრ, თმრ, თმ. ვარდულის გარეგან რვა ბუდეში მოთავსებულია ასომთავრულითვე შესრულებული ზედწერილი: „ადიდენ ღმერთმან მეფე და დედოფალი" (ტაბ. XI, № 70).

აღწერილი მონეტა ერთგვარი გამონაკლისია ქართულ ნუმიზმატიკაში, ვინაიდან მასზე მოთავსებულია მხოლოდ და მხოლოდ ქართული ლეგენდები.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მონეტის ზუსტ ატრიბუციას თავიდანვე მცირე პოლემიკა მოჰყვა. საქმე ისაა, რომ გიორგის სახელის მქონე თამარის თანამედროვე სამი ისტორიული პირია (მამა, პირველი მეუღლე და ვაჟი).

პროფ. ევგ. პახომოვი მათ თამარსა და მის მეუღლეს – გიორგი რუსს – აკუთვნებდა, მაგრამ ასეთი განსაზღვრა საკვლევით უნიადაგოა თუნდაც იმიტომ, რომ, როგორც სამართლიანად შენიშნავდა დ. კაპანაძე, „... იქ, სადაც თამარი მხოლოდ „მეფე და დედოფლად" არის ნახსენები, შეუძლებელია, რომ მის მეუღლეს გიორგი რუსს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ prince consort-ი იყო, მეფეთა მეფის პრეტენზიები ჰქონოდა". ეს ძლიერი არგუმენტია.

1184 წლიდან თამარი ერთპიროვნული მმართველია. ვიძლევით მისი მონეტების აღწერილობას. ე. წ. უწესოდ მოჭრილი სპილენძის მონეტები ასეთი ტიპისაა:

შუბლი – წნული ორნამენტოვანი ჩარჩოს ცენტრში თამარის ხელრთვა. ორნამენტის გარშემო დაქარაგმებულია ასომთავრული ზედწერილი: „სახელითა ღვთისაითა იქნა ჭედაი ვერცხლისი ამის ქორონიკონსა 407" (=1187 წ).

ზურგი – ხუთსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „დედოფალი დიდებული, – მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, – თამარ, ასული გიორგისა – მესიის თაყვანისმცემელი, – განადიდოს ღმერთმან ძლევანი მისნი"; ირგვლივ რკალი და არაბულადვე გარშემოვლებული მეორე ზედწერილი: „განადიდოს ღმერთმან დიდება მისი, განაგრძოს ჩრდილი მისი და განმტკიცოს კეთილდღეობა მისი" (ტაბ. XI, №№ 71, 72).

ეს მონეტა რამდენიმე თვალსაზრისით იქცევს ყურადღებას. ჯერ ერთი, ასეთი მედიდური წარწერა არაბულად არცერთ ქართულ მონეტას არ ამშვენებს. ერთი

ნუთით დავუშვათ, რომ დაიკარგა ყველა წერილობითი წყარო თამარის ეპოქის შესახებ. საქართველოს არნახული ძლიერების სურათის აღდგენა მარტო ამ მონეტის ლეგენდის საშუალებითაც კი შეიძლება. მეორეც, სპილენძის მონეტას აწერია: „იქნა ჭედაი ვერცხლისი..." ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ გასარკვევია, თუ რა მნიშვნელობით არის აქ ნახმარი ტერმინი „ვერცხლი": როგორც ფულის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი, თუ როგორც ლითონის მიმნიშნებელი. თუ მეორე ვარიანტთან გვაქვს საქმე, მაშინ ეს იქნება კლასიკური მაგალითი ფულის იძულებითი კურსის დანერგვისა შუა საუკუნეების საქართველოში.

ასეთივე ტიპის მონეტის სხვა ვარიანტებზე მოთავსებულია თარიღი 430 ქორონიკონს (= 1210 წ.). ჩვენ განსაკუთრებით ვთხოვთ მკითხველს დაიმახსოვროს ეს თარიღი, რადგან, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, იგი ზოგიერთი მკვლევარის მიერ მიჩნეულია თამარის გარდაცვალების წლად.

უნდა აღინიშნოს, რომ აღწერილი სამონეტო ტიპის საერთო რაოდენობა ათასობითაა ცნობილი და შესაბამისად ამისა ვარიანტების რაოდენობაც სათანადოდ მრავალრიცხოვანია. ვარიანტებიდან ზოგი ძალიან გავრცელებულია, ზოგიც მხოლოდ რამდენიმე ცალად არის ცნობილი. მაგალითად: ორნამენტული ჩარჩოს ნასკვების რიცხვი ჩვეულებრივ ექვსია, ხოლო შვიდი ან რვანასკვიანი იშვიათობას წარმოადგენს. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ასეთი რვანასკვიანი ვარიანტის სახესხვაობა ზურგზე მოთავსებული გარშემოვლებული განსხვავებული შინაარსის ზედწერილით. ჩვეულებრივი ზედწერილის ნაცვლად, რომელიც თამარს ადიდებს, ეს ზედწერილი იტყობინება, რომ „დირჰემი" მოჭრილია „ხუთას ოთხმოცდასამ წელსა", ე. ი. 1187 წელს სულ ორ ან სამ ცალად არის ცნობილი მონეტები, რომლებზედაც მეხუთე სტრიქონი ნაცვლად „განადიდოს ღმერთმან ძლევანი მისნი" იკითხება: „განამტკიცოს ღმერთმან მისი ღირსება".

უნიკალურია ქვემოთ აღწერილი უწესოდ მოჭრილი სპილენძის მონეტა, რომელიც მ. ბარათაშვილის კოლექციის შემადგენლობაში შედიოდა.

შუბლი – ხუთი ნახევარწრისაგან შემდგარ ფიგურიან ჩარჩოში მოთავსებულია სამი ასომთავრული ნიშანი „თრდ" (როგორ უნდა გაიშიფროს ეს აბრევიატურა როგორც თამარ-დავით, თამარ დედოფალი, თუ თამარ დიდი, ჯერჯერობით ნათელი არ არის). წარწერის ზემოთ მომცრო ჯვარია გამოსახული.

ზურგი – მონეტის მთელს არეზე გაბნეულია მსხვილი წერტილები (ტაბ. XI, № 75).

თამარი განაგრძობდა პარალელურად ფულის მოჭრის ორნაირი წესის პრაქტიკას.

როგორც ცნობილია, 1189 წელს მან ხელმეორედ იქორწინა დავით სოსლანზე. მათი სახელითაა მოჭრილი ქვემოთ აღწერილი წესიერი ფორმის სპილენძის მონეტა, რომელიც დიდი რაოდენობითაა ჩვენამდე მოღწეული (რემედიუმი: 4-10 გრ.)

შუბლი – მონეტის ცენტრში მოთავსებულია რთული აგებულების ნახაზი – ნიშანი, რომელსაც დ. კაპანაძე ნაკვეთს ეძახის და ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშნად მიიჩნევს. მარცხნივ და მარჯვნივ ასომთავრულად დაქარაგმებულია თამარისა და დავითის სახელები. კუთხეებში ასომთავრულადვე გადმოცემულია ქორონიკონი 420, რომელიც 1200 წელს უდრის.

ზურგი – ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „დედოფალი დედოფალთა, – მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, – თამარი ასული გიორგისა – მესიის თაყვანისმცემელი" (ტაბ. XI, № 74).

ამ მონეტის ზედწერილთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ასეთი საინტერესო დეტალი: მიუხედავად იმისა, რომ თამარსა და დავითს ძალიან კეთილი ურთიერთობა ჰქონდათ, მიუხედავად იმისა, რომ ის ტახტის მემკვიდრის მამა იყო, მონეტაზე იგი „მეფის" ტიტულით არ იხსენიება. ამ ფაქტს დიდი დაკვირვება და ანალიზი სჭირდება.

რაც შეეხება თამარისა და დავითის მონეტის შუბლზე მოთავსებულ რთულ ფიგურულ ნიშანს, რომელსაც პროფ. დ. კაპანაძე ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშნად მიიჩნევს, მისი მნიშვნელობა გახსნა ქართული პალეოგრაფიის შესანიშნავმა მცოდნემ, ან განსვენებულმა თეიმურაზ ბარნაველმა. მისი აზრით, მონეტაზე მოთავსებულ ფიგურულ ნიშანში მოცემულია მონოგრამულად შერწყმული ქართული ასოები, რომლებიც გადმოცემს თამარისა და დავითის სახელებს (იხ. თეიმურაზ ბარნაველი, ფიგურული ნიშნები განვითარებული შუა საუკუნეების ქართულ მონეტებზე, „მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1974, № 3, გვ. 86-101). თავისი ეს მოსაზრება მას კარგად აქვს ილუსტრირებული გრაფიკული მასალით.

დაბოლოს, ჩვენ გვინდა გაკვრით შევეხოთ თამარის გარდაცვალების თარიღის საკითხს იმდენად, რამდენადაც ამ თარიღის დადგენისას ძალიან მნიშვნელოვან როლს სწორედ ნუმიზმატიკური მასალა ასრულებს. ჩვენ არ ვერთვებით ამ საკითხის გარშემო წარმოებულ პოლემიკაში. გვსურს მხოლოდ ვაჩვენოთ ნუმიზმატიკური მასალის, როგორც პირველხარისხოვანი ისტორიული წყაროს, მნიშვნელობა.

თამარის გარდაცვალების თარიღად დღევანდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში ძირითადად მაინც გაზიარებულია აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება, რომლის თანახმადაც თამარი 1213 წელს გარდაიცვალა (იხ., მაგ., ნ. ასათიანი, ე. გუჩუა, მ. ლორთქიფანიძე, შ. მესხია, საქართველოს ისტორია, VIII-IX კლასების სახელმძღვანელო, თბილისი, 1990, გვ. 320 და სხვ.), თუმცა ამასთან დაკავშირებით ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ჯუმბერ ოდიშელი ჯერ კიდევ 1976 წელს წერდა: „... დღესაც, როდესაც საფუძველი აღარ არსებობს მივიჩნიოთ, რომ თამარი 1213 წელს გარდაიცვალა, მ. ბროსეს, თ. ჟორდანიას, ალ. ხახანაშვილისა და განსაკუთრებით ივ. ჯავახიშვილის დიდი მეცნიერული ავტორიტეტის გამო ზოგიერთი ისტორიკოსი 1213 წელს – ამ თარიღს, რომელიც არც ერთ ისტორიულ წყაროში არასდროს დადასტურებული არ ყოფილა, მაინც სანდოდ მიიჩნევს" (იხ. ჯუმბერ

ოდიშელი, ქართული ისტორიული ქრონოლოგიის ერთი საკითხი, „ცისკარი", 1976, № 1, გვ. 118-125).

1974 წელს აღნიშნული პრობლემა სპეციალურად შეისწავლეს თამაზ ნატროშვილმა და გოჩა ჯაფარიძემ (იხ. მათი ნაშრომი: „ცდა ერთი თარიღის დადგენისა", „მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია, 1974, № 1, გვ. 151-165; № 2, გვ. 168-189. ამ საკითხს ასევე ეხება გ. ჯაფარიძე თავის სტატიაში: „ვახუშტი და XII-XIII სს. საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხები", თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 205, სერია ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, 1979).

მათ გამოიყენეს და კრიტიკულად გააანალიზეს მრავალრიცხოვანი ისტორიული წყარო და ეპისტოლური მასალა, გაითვალისწინეს ქართული მონეტების მონაცემები და საკითხის ასეთი კომპლექსური შესწავლის შემდეგ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ თამარ მეფე 1210 წელს გარდაიცვალა. ჩვენთვის ამჯერად ისაა განსაკუთრებით საყურადღებო, რომ ერთ-ერთი ძირითადი საყრდენი ასეთი დასკვნის გამოტანისათვის მაინცდამაინც ნუმიზმატური მასალაა. საქმე ის გახლავთ, რომ თამარი მონეტებს ჭრიდა 1210 წელს (ეს ფაქტი ჩვენ ზემოთ უკვე დავაფიქსირეთ) და ამავე დროს ცნობილია 1210 წლის (ე. ი. იმავე წელსვე) ლაშა გიორგის სახელით მოჭრილი მონეტებიც (მას ჩვენ ქვემოთ შევეხებით). აქედან დასკვნა: თამარი გარდაცვლილა 1210 წელს და იმავე წელს ტახტზე მისი ვაჟი ასულა. ვინც სწავლობს ქართულ ნუმიზმატიკურ ძეგლებს, იცნობს ქართული მონეტების მონაცემების სრულ ობიექტურობას, იცის რა მწვავედ იდგა სამონეტო რეგალიის საკითხი საქართველოში დროის ნებისმიერ პერიოდში, მისთვის ეს დასკვნა შეურყეველია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ჯუმბერ ოდიშელი ზემოთ მოხსენიებულ წერილში არ დაეთანხმა თ. ნატროშვილისა და გ. ჯაფარიძის მიერ შემოთავაზებულ თარიღს და, უპირველეს ყოვლისა, ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანეს ცნობაზე დაყრდნობით, 1207 წელი მიიჩნია თამარის გარდაცვალების წლად. რაც შეეხება ნუმიზმატიკურ მონაცემებს, თამარის 1210 წლით დათარიღებული მონეტა, მისი აზრით, ალბათ, თამარის გარდაცვალების შემდეგ მოიჭრა. იგი წერს: „საკუთრივ ქართული ნუმიზმატიკა საერთოდ არ არის განებივრებული ყველა პერიოდის მონეტების სიუხვით. მეფის გარდაცვალების შემდგომ მისი სახელით მოჭრილი მონეტები თითქოს არც XI-XII სს. ქართულ ნუმიზმატიკაშია დადასტურებული, მაგრამ ჩანს, რომ აღნიშნული მოვლენის პრეცედენტს წარმოადგენს სწორედ თამარ მეფის 1210 წლის მონეტა". ჩვენთვის ასეთი მოსაზრების გაზიარება ძალიან ძნელია (თუმცა აქვე ისევ დავძეთ, რომ ამჯერად დისკუსიის გამართვა ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენს მიზანს არ შეადგენს).

გადავდივართ ლაშა გიორგის მონეტების აღწერაზე, რომელიც დედამისის მსგავსად, ერთიმეორისაგან შესამჩნევად განსხვავებულ სამონეტო ტიპებს უშვებდა.

1. **შუბლი** – წნულ ორნამენტოვან ჩარჩოს ცენტრში მოთავსებულია ასომთავრული ზედწერილი: „გიორგი ძე თამარისი". ჩარჩოს შემოვლებული

აქვს ისეთივე ზედწერილი, როგორც თამარის 430 ქორონიკონით (= 1210 წ.) დათარიღებულ მონეტას.

ზურგი – ცენტრში მოთავსებულია ოთხსტრიქონიანი არაბული ლეგენდა: „მეფე მეფეთა, – მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, – გიორგი ძე თამარისა, – მესიის მახვილი". გარშემო რკალი. რკალს გარეთ სპარსული ზედწერილი: „სახელითა უწმინდესის ღვთისა იჭედა ესე ვერცხლი წელსა 430" (ტაბ. XII, №№ 78, 79).

ძალიან საინტერესო დეტალია ის ფაქტი, რომ არაწესიერად მოჭრილ სპილენძის ამ სამონეტო ტიპს სპარსული წარწერა ამშვენებს.

ლაშა გიორგის მონეტებს შორის ურევია ფრიად ორიგინალური ნიმუშებიც. ასეთია, მაგალითად, ის ცალი, რომლის შუბლზე თამარის ვენზელია ამოკვეთილი, ხოლო ზურგზე ისეთივე ზედწერილი, როგორც ზემოაღწერილ მონეტაზე.

დ. კაპანაძე ამას ხსნის იმით, რომ ერთსადაიმავე ზარაფხანაში მუშაობის დროს ხელოსნებმა არიეს 1210 წლით დათარიღებული თამარისა და ლაშა გიორგის მონეტების სიქები.

არაწესიერად მოჭრილი მონეტები ლაშა გიორგისა მრავალრიცხოვანია. გაცილებით ნაკლები რაოდენობით მოაღწია ჩვენამდე წესიერად მოჭრილმა სპილენძის ფულებმა. (რემედიუმი: 4,5-6,5 გრ.)

2. **შუბლი** – ოთხსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა: „ქ. გიორგი მეფისა, თამარის ძი-სასა, ჯავა-ხთ უფლისა".

ზურგი – ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „მეფე უმაღლესი, – მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, – გიორგი ძე თამარისა, – მახვილი მესიისა" (ტაბ. XI, № 77).

აღწერილ მონეტაზე ყურადღებას იმსახურებს ლაშა გიორგის მოხსენიება „ჯავახთუფლის" ტიტულით. საკითხს იმის შესახებ, თუ როდის შეიძლებოდა განხორციელებულიყო ამ მონეტის ემისია, ჩვენ ამჯერად არ ვულრმავდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ლაშა გიორგი იყო პირველი ალასტანელი. ეს გახლავთ ქართველ უფლისწულთა ზედწოდება XIII-XIV საუკუნეებში და წარმომდგარია საუფლისწულოს ცენტრის ალასტანის (სოფელი ახალქალაქის რაიონში, ჯავახეთში) სახელწოდებიდან. ალასტანელად წოდებული უფლისწულები ფლობდნენ ჯავახეთს და მის მოსაზღვრე ზოგიერთ რაიონს. ცხადია, მონეტაზე ამ ეპითეტით ლაშა გიორგი სწორედ ამიტომ მოიხსენიება.

დაბოლოს უნდა შევეხოთ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში დაცულ ლაშა გიორგის სპილენძის უნიკალურ მონეტას.

3. წონა – 5,6 გრ. ზომა – 23/24 მმ.

შუბლი – მთელი ტანით პირდაპირ მდგარი გვირგვინოსნის გამოსახულება ლაბარუმით მარჯვენა ხელში და ე. წ. ანექსიკაციით – მტვრიანი პერგამენტის შეკვრა, მოკვდავის სიმბოლო – მარცხენაში. გამოსახულების მარცხნივ და მარჯვნივ შემორჩენილია რამდენიმე ასომთავრული ნიშანი,

რომელიც ასე იკითხება: „გიორგი ძე თამარისა... ოცდაათს (ქორონიკონსა 430 = 1210 წ.).

ზურგი – ვარდულის ოთხ ფურცელში მოთავსებულია არაბული წარწერა: „წელსა ექვსას ექვსსა“ (= 1209/1210 წწ.). ფურცლებს შორის სეგმენტებში მეორე არაბული ზედწერილია: „მეფეთა მეფე გიორგი, ძე თამარისა, მახვილი მესიისა“. ირგვლივ რკალი (ტაბ. XII, № 80).

პროფესორი დ. კაპანაძე ლაშა-გიორგის მონეტებთან დაკავშირებით შენიშნავდა, რომ მათ „ახასიათებს ერთი ფრიად საინტერესო დეტალი: თავის შთამომავლობის აღსანიშნავად ის ახსენებს თამარის, ე. ი. დედისა და არა მამის სახელს. ასეთივე წარწერა მეორდება რუსუდანის მონეტებზედაც, რის შემდეგაც ეს ორიგინალური და, რამდენადაც გვახსოვს, მსოფლიო ნუმიზმატიკაში უნიკალური მოვლენა ქრება“[16].

ბიზანტიური მონეტების მიმოქცევა საქართველოში XI საუკუნეში – XIII საუკუნის დასაწყისში

პირველად უცხოური მონეტების ცირკულაციას საქართველოში XI საუკუნეში - XIII საუკუნის დასაწყისში შეეხო დოცენტი თ. ლომოური და, როგორც ამას აღნიშნავს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ირ. ჯალაღანია, მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, დაგროვდა დიდძალი ახალი ფაქტობრივი მასალა, მისი დასკვნები დღესაც ინარჩუნებს სრულ მეცნიერულ ღირებულებას. თ. ლომოურის მიხედვით, საქართველოში XI-XIII საუკუნეებში მონეტები შემოდის ორი მხრიდან – დასავლეთიდან, თავდაპირველად ბიზანტიიდან, ხოლო XIII საუკუნიდან ტრაპიზონიდან (ტრაპიზონის იმპერიის სამონეტო საქმესთან დაკავშირებით იხ. ტაბ. XV, №№ 99-100; №№ 101-102 მათი ქართული მინაბაძებია) და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, სადაც არაბთა სახალიფოს დაშლის შემდეგ აღმოცენდა სხვადასხვა პოლიტიკური წარმონაქმნი. XIII საუკუნეში კი საქართველოში ვრცელდება მონღოლური და რუმის სელჩუკების მონეტები.

მთელი ამ უზარმაზარი მასალის განხილვა სახელმძღვანელოში წარმოუდგენელია. ამიტომ ამჯერად ჩვენ შევეხებით საქართველოში გავრცელებულ XI-XII საუკუნეების ბიზანტიურ მონეტებს. ვიძლევით მათ აღმოჩენათა სიას როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატების თამარ აბრამიშვილისა და იზოლდა ცუხიშვილის ნაშრომების მიხედვით (ისინი ჩვენ მრავალგზის გვაქვს მოხსენიებული წინა თავებში):

1. 1936 წელს დმანისში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა ბასილ II-ისა და კონსტანტინე VIII-ის (976-1025 წწ.) სპილენძის ოთხი მონეტა.
2. 1937 წელს სოფელ უდეში (ადიგენის რაიონი) იპოვეს მათივე სპილენძის მონეტა.
3. მათივე სპილენძის მონეტა აღმოჩნდა სოფ. ფარავნის (წალკა) მიდამოებში.
4. 1940-იან წლებში სოფელ ნოსტეში (კასპის რ-ნი) ნაპოვნია ბასილ II-ის და კონსტანტინე VIII-ის სპილენძის მონეტა.
5. 1948 წელს განძის კარის (თბილისის ისტორიული ადგილი) მიდამოებში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა მათივე სპილენძის მონეტა.
6. ასეთივე მონეტას მიაკვლიეს ოკამში (ახალქალაქის რ-ნი) საკარმიდამო მიწის დამუშავების დროს.
7. მათივე მონეტა აღმოჩნდა სოფელ აბავრეთში (ახალქალაქის რ-ნი) მიწის დამუშავების დროს.

8. 1960 წელს ბაკურიანში (ბორჯომის რ-ნი) აღმოჩნდა ბასილ II-ის და კონსტანტინე VIII-ის სპილენძის მონეტა.
9. 1906 წელს ახალციხის მიდამოებში ნაპოვნ განძში კონსტანტინე VIII-ის (1025-1028 წწ.) ოქროს ხუთი მონეტა იყო.
10. 1930-იან წლებში სოფელ დვირში (ბორჯომის რ-ნი) მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა ქილაში მოთავსებული ბიზანტიური ოქროს მონეტების განძი. მთელი განძი, ერთი მონეტის გამოკლებით, ეკუთვნის ბიზანტიის სამ იმპერატორს: კონსტანტინე VIII, კონსტანტინე X დუკას (1059-1067 წწ.) (მისი მონეტისთვის იხ. ტაბ. IX, № 59) და რომანოზ IV დიოგენს (1067-1071 წწ.). განძში 22 მონეტა ბრტყელი ტიპისაა და მაკედონიის დინასტიის წარმომადგენელს კონსტანტინე VIII-ს ეკუთვნის. 23 ჩაღრმავების წესით არის მოჭრილი და დუკასა და დიოგენს განეკუთვნება, 22 ცალი – კონსტანტინე X დუკას, 1 – რომანოზ IV დიოგენს. განძის დამარხვა სავარაუდოა XI საუკუნის 70-80-იან წლებში ეს საინტერესო სამონეტო კომპლექსი გამოქვეყნებული აქვს თ. აბრამიშვილს (იხ. „დვირის განძი", საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIX-B, 1956, გვ. 107-121).
11. 1936 წელს დმანისში არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა რომანოზ III-ის (1028-1034 წწ.) სპილენძის მონეტა.
12. იმავე დმანისში მიაკვლიეს მიხეილ IV-ის (1034-1041 წწ.) სპილენძის 6 მონეტას.
13. იქვე აღმოჩნდა კონსტანტინე IX-ის (1042-1055 წწ.) სპილენძის მონეტა.
14. 1956 წელს ავჭალაში შემთხვევით იპოვეს კონსტანტინე IX-ის ოქროს მონეტა.
15. 1911/12 წლებში თბილისში (ავლაბარი) ნაპოვნია თეოდორას (1055-1056 წწ.) სპილენძის მონეტა.
16. 1920-იან წლებში სოფელ წყორძას (ახალციხის რაიონი) მიდამოებში იპოვეს თეოდორას სპილენძის 2 მონეტა.
17. 1936 წელს სოფელ წინწყაროში (თეთრიწყაროს რაიონი) ნაპოვნია თეოდორას სპილენძის მონეტა.
18. 1936 წელს დმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა თეოდორას სპილენძის 3 მონეტა.
19. იქვე აღმოჩნდა მიხეილ VI-ის (1056-1057 წწ.) სპილენძის 2 მონეტა.
20. 1925 წელს თბილისში, ლესელიძის ქუჩის გაფართოების დროს იპოვეს კონსტანტინე X-ის (1059-1067 წწ.) სპილენძის მონეტა.
21. თბილისის მიდამოებშივე 1926 წელს აღმოჩნდა კონსტანტინე X-ის სპილენძის ფული.
22. ასეთივე მონეტა იპოვეს 1926 წელს სოფელ ძველ დმანისში.

23. დმანისშივე 1936 წელს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა კონსტანტინე X-ის სპილენძის 5 მონეტა.
24. 1948 წელს თბილისში სამას არაგველთა სახელობის ბაღთან იპოვეს კონსტანტინე X-ის სპილენძის მონეტა.
25. მისივე ოქროს მონეტა ნაპოვნია სოფელ უგუდეთში (თეთრიწყაროს რ-ნი) 1950-იან წლებში.
26. 1952 წელს თელავის რაიონის სოფელ იყალთოსთან აღმოჩნდა კონსტანტინე X-ის ოქროს მონეტა.
27. მისივე ნომისმა 1953 წელს იპოვეს იმავე თელავში.
28. მისივე ნომისმა ნაპოვნია 1956 წელს ხრამჰესის (წალკის რ-ნი) მშენებლობის დროს.
29. 1957 წელს თბილისის ზღვის მახლობლად შემთხვევით აღმოჩნდა კონსტანტინე X-ის ოქროს მონეტა.
30. 1962 წელს სოფელ იდუმალაში (ასპინძის რ-ნი) სასოფლო კლუბის მშენებლობის დროს იპოვეს ბიზანტიური ფულების განძი. ჩვენამდე მოაღწია ოქროს ერთმა და ელექტრუმის თორმეტმა მონეტამ. ოქროს მონეტა კონსტანტინე X-ს ეკუთვნის და, როგორც თ. აბრამიშვილი ვარაუდობს, შეიძლება „კონსტანტინატი" იყოს, დანარჩენი ელექტრუმის მონეტები ნიკიფორე III (1078-1081 წწ.) სახელითაა მოჭრილი და ალბათ „ბოტინატია" (ამ და სხვა ტერმინების შესახებ ცალკე გვექნება საუბარი (ნიკიფორე III-ის ელექტრუმის ნომისმისთვის იხ. ტაბ. IX, № 61)). თ. აბრამიშვილის აზრით, განძი შეიძლება დაიმარხა თურქების გამანადგურებელი შემოსევების დროს ისტორიული სამცხის ტერიტორიაზე 1080-1090 წლებში (იხ. მისი, „იდუმალას განძი", საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXVI-B, 1970, გვ. 149-161).
31. 1962 წელს სოფელ პატარა დმანისში აღმოჩნდა კონსტანტინე X-ის ოქროს მონეტა.
32. იმავე 1962 წელს ზურტაკეტ-გომარეთის პლატოზე (დმანისის მიდამოები) არქეოლოგიურმა ექსპედიციამ კონსტანტინე X-ის ოქროს მონეტა აღმოაჩინა.
33. რუსთავის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1965 წელს კონსტანტინე X-ის ოქროს მონეტას მიაკვლია.
34. 1936 წელს დმანისში არქეოლოგიურმა ექსპედიციამ რომანოზ IV-ის (1067-1071 წწ.) სპილენძის მონეტა აღმოაჩინა.
35. იმავე 1936 წელს დმანისში არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მიაკვლია მიხეილ VII-ის (1071-1078 წწ.) სპილენძის მონეტას (მისი ოქროს მონეტა იხ. ტაბ. IX, № 60).
36. 1873-1875 წლებში საფარის (ახალციხის რ-ნი) მონასტრის მახლობლად ნაპოვნია ნიკიფორე III-ის (1078-1081 წწ.) ოქროს მონეტა.

37. 1890 წელს საფარის მონასტრის მიდამოებში აღმოჩნდა ნიკიფორე III-ის ვერცხლის მონეტების განძი. მონეტები მოჭრილი იყო ჩალრმავების წესით. ზუსტი რიცხვი ცნობილი არაა.
38. 1930-იან წლებში. თეთრიწყაროს მიდამოებში იპოვეს ნიკიფორე III-ის ელექტრუმის მონეტა.
39. 1936 წელს სოფელ ვარდისუბანსა (თელავის რ-ნი) და გულგულას შუა, ნატკორაში უპოვიათ თერთმეტი ვერცხლნარევი ოქროს ფული (ელექტრუმის). ერთი ცალი, დაცული თელავის მუზეუმში, ნიკიფორე III-ისა აღმოჩნდა.
40. 1962 წელს შიომღვიმის მონასტერთან, მცხეთის მახლობლად, იპოვეს ალექსი I-ის (1081-1118 წწ.) სპილენძის მონეტა.
41. 1935 წელს კრწანისში აღმოჩნდა ალექსი I-ის სპილენძის მონეტა.
42. ასეთივე მონეტა იპოვეს 1936 წელს არქეოლოგიური გათხრების დროს დმანისში.
43. 1948 წელს თბილისში (განჯის კართან) წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა ალექსი I-ის სპილენძის ორი მონეტა.
44. 1949 წელს გურჯაანის მიდამოებში, ალაზნის არხის რეკონსტრუქციის დროს აღმოჩნდა ბიზანტიური ოქროს მონეტების განძი. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ შვიდმა ეგზემპლარმა. ექვსი ეკუთვნის ალექსი I და ერთიც – იოანე II (1118-1143 წწ.). ეს კომპლექსი შესწავლილი აქვს თამარ აბრამიშვილს (იხ. მისი. „Находка византийских золотых монет в Гурджаани". „Византийский Временик", т. XIII, стр. 282-285).
45. 1929 წელს სოფელ შიბლიანთან (საგარეჯოს რ-ნი) ნაპოვნია იოანე II-ის ოქროს მონეტა.
46. 1953 წელს სოფელ ხოდაშენში (თელავის რ-ნი) იპოვეს იოანე II-ის ოქროს მონეტა.
47. ასეთივე მონეტა აღმოჩნდა გურჯაანის რაიონის სოფელ მახარაძეში.
48. 1946 წელს სადახლოს (მარნეულის რ-ნი) მიდამოებში, სოფ. მადანთან იპოვეს ანდრონიკე II-ის (1282-1328 წწ.) ოქროს მონეტა.
49. 1938 წელს თბილისში აღმოჩნდა XI საუკუნის სპილენძის ანონიმური ბიზანტიური მონეტა.
50. ასეთივე ორი მონეტა იპოვეს დმანისის მიდამოებში 1941-1943 წლებში.
51. ასეთივე ორი მონეტა ნაპოვნია 1952 წელს სოფელ ოკამში (ახალქალაქის რ-ნი).
52. 1953 წელს თმოგვის (ასპინძის რ-ნი) ციხის მიდამოებში იპოვეს XI საუკუნის ბიზანტიური სპილენძის ანონიმური მონეტა.
53. თბილისში, ორთაჭალჰესის მშენებლობაზე მტკვრის კალაპოტის ამოწმენდის დროს იპოვეს X-XI საუკუნეების სპილენძის ბიზანტიური მონეტა.
54. 1954 წელს აქვე ნაპოვნი ბიზანტიური მონეტა XI საუკუნისაა.

55. 1953 წელს ახალქალაქის ძველი ციხის ნანგრევებთან ნაპოვნია XI საუკუნის ბიზანტიური სპილენძის მონეტა.

ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოს ფარგლებში ნაპოვნია XI-XII საუკუნეების 160 ცალი ბიზანტიური მონეტა. აქედან ოქროსი – 72, ელექტრუმის – 35 და სპილენძის – 53. საერთო რიცხვიდან ოთხი განძია (ახალციხის, დვირის, იდუმალას და გურჯაანის. იხ. №№ 9, 10, 30, 44). მათ შემადგენლობაში თავმოყრილია 70 ოქროსა და ელექტრუმის მონეტა (სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით საფარის მიდამოებში აღმოჩენილი ვერცხლის მონეტის განძის ზუსტი შემადგენლობა, ან მართლა იყო ის ერთი სამონეტო კომპლექსი თუ არა. მის შესახებ ძალიან ზოგადი ცნობა გაგვაჩნია. იხ. № 37).

ძალიან საინტერესო სურათს გვაძლევს XI-XII საუკუნეების ბიზანტიური მონეტების საერთო რიცხვის განაწილება საუკუნეების მიხედვით. 160 ცალიდან 10 ეკუთვნის ალექსი I-ს (1081-1118 წწ.), ე. ი. გარდამავალ პერიოდს, ხოლო საკუთრივ XII საუკუნეზე მოდის მხოლოდ 4 ეგზემპლარი და ყველა მათგანი მიეკუთვნება იოანე II (1118-1143 წწ.). აქედან დასკვნა: აღმოსავლეთ საქართველოში განსაკუთრებული ინტენსიურობით მიმოიქცევა XI საუკუნის ბიზანტიური მონეტები. XII საუკუნეში მათი შემოსვლა კლებულობს, ხოლო ამ საუკუნის 40-იანი წლებიდან, დღესდღეობით არსებული ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, თითქმის წყდება. ამ ფაქტს ახსნა სჭირდება, რასაც ჩვენ ქვემოთ შევეცდებით. ახლა მოვიყვანთ დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილ XI-XII საუკუნეების ბიზანტიური მონეტების სიას:

1. 1903 წელს ოჩამჩირეში აღმოჩენილი სამონეტო კომპლექსის შემადგენლობაში ერია ბასილ II-ისა და კონსტანტინე VIII-ის (976-1025 წწ.) სპილენძის 7 მონეტა.
2. სოფელ ბობოყვათში (ქობულეთის რ-ნი) 1956 წელს აღმოჩნდა მათივე სახელით მოჭრილი სპილენძის ორი მონეტა.
3. ასეთივე მონეტა ნაპოვნია 1958 წელს წებელდაში (გულრიფშის რ-ნი).
4. ასეთივე მონეტა აღმოჩნდა 1957 წელს ახალ ათონში (გუდაუთის რ-ნი).
5. ასეთივე მონეტა აღმოჩნდა ქობულეთში 1962 წელს.
6. ორი ასეთი მონეტა ნაპოვნია ბობოყვათში 1962-1963 წლებში.
7. ციხისძირში (ქობულეთის რ-ნი) 1949 წელს იპოვეს სპილენძის ექვსი ბიზანტიური მონეტა, რომელთაგან ორი კონსტანტინე VIII-ს (976-1028 წწ.) ეკუთვნოდა.
8. ოჩამჩირის სამონეტო კომპლექსში იყო რომანოზ III-ის (1028-1034 წწ.) სპილენძის 4 მონეტა.
9. გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში 1948 წელს იპოვეს რომანოზ III-ის სპილენძის მონეტა.
10. ასეთივე მონეტა აღმოჩნდა 1962 წელს ქობულეთში.

11. ოჩამჩირის სამონეტო კომპლექსში მიხეილ IV-ის (1034-1041 წწ.) სპილენძის ოთხი მონეტაც ერია.
12. ასეთივე ორი მონეტა უპოვიათ 1910-1911 წლებში გელათში.
13. 1929 წელს ასეთივე მონეტა აღმოჩნდა სოფელ საქარაში (ზესტაფონის რ-ნი).
14. 1957 წელს სოფელ ქვედა ვანში (ვანის რ-ნი) უპოვიათ ასეთივე მონეტა.
15. ოჩამჩირის სამონეტო კომპლექსში კონსტანტინე IX-ის (1042-1055 წწ.) სპილენძის ორი მონეტაც იყო.
16. ახალ ათონში 1957 წელს კონსტანტინე IX-ის ვერცხლის მონეტა აღმოჩნდა.
17. ოჩამჩირის სამონეტო კომპლექსში იყო იმპერატორ თეოდორას (1055-1056 წწ.) სპილენძის 11 მონეტა.
18. ასეთივე მონეტები (ზუსტი რიცხვი ცნობილი არაა) აღმოჩენილა 1910-1911 წლებში გელათში.
19. ორი ასეთი მონეტა უპოვიათ ბობოყვათში 1956 და 1962-1963 წლებში.
20. ოჩამჩირის სამონეტო კომპლექსში იყო კონსტანტინე X-ის (1059-1067 წწ.) სპილენძის ხუთი მონეტა.
21. მისივე სპილენძის ორი მონეტა აღმოჩნდა 1950 წელს ციხისძირში.
22. ასეთივე მონეტა ნაპოვნია ქობულეთის მიდამოებში 1962 წელს.
23. სოხუმის მთაზე 1951 წელს იპოვეს მიხეილ VII-ის (1071-1078 წწ.) ოქროს მონეტა.
24. ასეთივე მონეტა აღმოჩნდა ციხისძირში 1959 წელს.
25. ოჩამჩირის სამონეტო კომპლექსში იყო ნიკიფორე III-ის (1078-1081 წწ.) სპილენძის მონეტა.
26. თერჯოლის რაიონის სოფელ ჩხარში 1925 წელს აღმოჩნდა ნიკიფორე III-ის ელექტრუმის მონეტა.
27. ასეთივე მონეტა უპოვიათ 1925 წელს სოფელ მესხეთში (ქუთაისის რ-ნი).
28. 1926 წელს რაჭაში აღმოჩენილა ნიკიფორე III-ის ასეთივე მონეტა.
29. ასეთივე მონეტა იპოვეს 1926 წელს ქუთაისის მიდამოებში.
30. ასეთივე მონეტა აღმოჩნდა სოფელ გუბში (ხონის რ-ნი) 1933 წელს.
31. ასეთივე მონეტა იპოვეს სოხუმის მთაზე 1951 წელს.
32. ხუთი ასეთი მონეტა აღმოჩნდა ბიჭვინტის არქეოლოგიური გათხრების დროს 1956 წელს.
33. 1955 წელს სოხუმში აღმოჩნდა სპილენძის მონეტების განძი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა: მიხეილ IV-ის (1034-1041 წწ.) – 2, კონსტანტინე IX-ის (1042-1055 წწ.) – 5, კონსტანტინე X-ის (1059-1067 წწ.) – 3 და 10 ანონიმური ფოლისი (1075-1080 წწ.).
34. 1901 წელს რაჭაში იპოვეს ჩალრმავების წესით მოჭრილი XI საუკუნის ოქროს ბიზანტიური მონეტა.

35. სოფელ ქედში (ქედის რ-ნი) 1904 წელს აღმოჩენილა XI-XII საუკუნეების რამდენიმე ცალი სპილენძის ბიზანტიური მონეტა.
36. ოზურგეთის მიდამოებში 1905 წელს იპოვეს ჩაღრმავების ნესით მოჭრილი XI საუკუნის ბიზანტიური ოქროს მონეტა.
37. სინოპის მიდამოებში (სოხუმი) 1969 წელს აღმოჩნდა ნიკიფორე III-ის ელექტრუმის მონეტა.
38. 1910-1911 წლებში გელათში უპოვიათ ბიზანტიური სპილენძის მონეტები (ზუსტი რიცხვი ცნობილი არ არის) „ოთხსტრიქონიანი წარწერით".
39. ასეთივე მონეტა აღმოჩენილია 1934 წელს ციხისძირში.
40. ქუთაისში, ბაგრატის ტაძრის ნანგრევების სიახლოვეს 1935 წელს იპოვეს XI-XII საუკუნეების სპილენძის ბიზანტიური მონეტა „ოთხსტრიქონიანი წარწერით".
41. ასეთივე მონეტა აღმოჩენილია ქუთაისში, რკინიგზის ხიდის მახლობლად 1939 წელს.
42. XI საუკუნის ბიზანტიური სპილენძის მონეტა იპოვეს ციხისძირის მახლობლად, 1948 წელს.
43. ასეთივე მონეტა აღმოჩნდა ციხისძირში 1949 წელსაც.
44. 1957 წელს სოხუმში (შუქურას მახლობლად) იპოვეს ბასილ II-ისა და კონსტანტინე VIII-ის (976-1025 წწ.) ორი ფოლისი.
45. ზუგდიდის რაიონის სოფელ ოდიშში აღმოჩნდა კონსტანტინე X დუკას და მისი მეუღლის ევდოკიას (1059-1067 წწ.) სპილენძის მონეტა.
46. იქვე უპოვიათ რომანოზ IV-ის (1067-1071 წწ.) ფოლისი.
47. სოფელ აბანოეთში (ამბროლაურის რ-ნი) 1968 წელს აღმოჩნდა სპილენძის მონეტების განძი, რომელიც შედგებოდა: ბასილ II-ისა და კონსტანტინე VIII-ის (976-1025 წწ.) – 2, მიხეილ IV-ის (1034-1041 წწ.) – 1, თეოდორას (1055-1056 წწ.) – 2, კონსტანტინე X-ის (1059-1067 წწ.) – 2 ფოლისისაგან. გარდა ამისა, განძის შემადგენლობაში შედის ლათინთა დროის სამი და ერთი განუსაზღვრელი მონეტა.
48. 1983 წელს სოფელ ლიხნში, შუა საუკუნეების სასახლის კომპლექსის გათხრების დროს, თიხის კოჭობში აღმოჩნდა ქართული ვერცხლისა და ბიზანტიური ოქროს მონეტების განძი. ბიზანტიური მონეტები ჩაღრმავებული ტიპისაა და მოჭრილია შემდეგი იმპერატორების სახელით: 1. კონსტანტინე X-ის (1059-1067 წწ.) – 9 ცალი; 2. მისი მეუღლის ევდოკიასი – 1; 3. რომანოზ IV-ის (1067-1071 წწ.) – 17; 4. კონსტანტინე IX მონომახის (1042-1055 წწ.) – 1. სულ – 28. 43 მონეტა ქართულია და მოჭრილია ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ.) – 31 ცალი და გიორგი II-ის (1072-1089 წწ.) სახელით – 12.

ამრიგად, დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილია XI-XII საუკუნეების 141 ცალი ბიზანტიური მონეტა. აქედან 96 სპილენძისაა, 32 – ოქროსი, 12 – ელექტრუმისა

და 1 ვერცხლის (ცხადია, რიცხვები აბსოლუტურად ზუსტი არ შეიძლება იყოს). საერთო რიცხვიდან სამი განძია: ორი სპილენძის მონეტებისა (აღმოჩენილია სოხუმსა და აბანოეთში, №№ 33, 47) და ერთი შერეული – ოქროსა და ვერცხლისა (ლიხნი, № 48).

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ზემოთ დასახელებული მონეტების რიცხვი მთლიანად XI საუკუნეზე მოდის. XII საუკუნის მასალა ჯერჯერობით ამ რეგიონში დაფიქსირებული არაა.

ამრიგად, სრულიად გამოკვეთილად, საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის პიკი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, XI საუკუნეზე მოდის. ეს მით უფრო სარწმუნო გახდება, თუ შევიხსენებთ იმასაც, რომ მთელი XI საუკუნის მანძილზე ქართული მონეტები ბიზანტიური სტანდარტის მიხედვით და ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულების აღნიშვნით იჭრება.

ბიზანტიური ოქროს მონეტების მიმოქცევასთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესო ცნობები მოიძიება ქართულ წერილობით წყაროებში. ამ საკითხს თავის დროზე შეეხნენ აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი, დოცენტი თ. ლომოური, პროფესორი ნიკოლოზ ქოიავა და სხვ. (იხ. მათი ნაშრომები: „ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია," ტფილისი, 1925; „ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში", კრებული „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა", ტფილისი, 1938; „ფულის ტრიალი რუსთაველის ეპოქის საქართველოში", ენიმკის მოამბე, ტ. III, ტფილისი, 1938). ამ საკითხის სპეციალურად შესწავლას ეძღვნება აგრეთვე გ. ჯაფარიძის წერილი „ოქროს მონეტის ტერმინოლოგია XI-XIII სს. საქართველოში" (იხ. „მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1976, № 3, გვ. 84-95). ჩვენ მთლიანად ვეყრდნობით მათი კვლევის შედეგებს.

შესაბამისი პერიოდის ქართულ წყაროებში ოქროს ფულის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინია დრაჰკანი (დარეჰკან, ე. ი. დარიოსის. ყოველივე იმაზე მეტყველებს, რომ იბერებს აქემენიდური ფული სცოდნიათ, და კონკრეტული ოქროს მონეტის ტერმინის ნატურალიზაცია მოუხდენიათ – თ. დ.), რომელიც ხან დინარს შეესაბამება, ხან კიდევ ბიზანტიურ ნომისმას. ტერმინები: წითელი, წითელი ოქრო და წითელი დინარი, გოჩა ჯაფარიძის აზრით, იდენტიფიცირებული უნდა იქნას აბასიანთა დინარებთან.

ვიდრე ქართულ წყაროებში მოხსენიებულ ბიზანტიური ოქროს მონეტის აღმნიშვნელ ტერმინებს შევეხებოდეთ, შევიხსენოთ, რომ ბიზანტიური ნომისმა საქართველოს სამონეტო განძებში ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ხელახლა XI საუკუნიდან ჩნდება და ამას იმპერიის აქტიურ საგარეო პოლიტიკას უკავშირებენ.

X საუკუნის მეორე ნახევარში ბიზანტიამ განამტკიცა თავისი პოზიციები ჩრდილოეთ სირიის ნაწილში (ანტიოქია), ხელთ იგდო ჩრდილოეთ მესოპოტამიაში თეოდოსიპოლის რაიონი, სადაც თეოდოსიპოლის თემა შექმნა. ბასილ II-

ის (976-1025 წწ.) მმართველობის დასასრულს იმპერიამ შეიერთა ვასპურაკანის სამეფო (სომხური ფეოდალური სახელმწიფო 908-1021 წწ.) და მანამდე დავით კურაპალატის სამფლობელოები ტაოში. შეიქმნა ვასპურაკანის და ივერიის თემები. მოგვიანებით ბიზანტიამ გააუქმა და შეიერთა ანისის სამეფო... ამით აიხსნება ბიზანტიის ოქროს მონეტის ფართო გავრცელება ამიერკავკასიაში XI საუკუნეში (გ. ჯაფარიძე). თუ ადრე ბიზანტიის იმპერია ითმენდა ამიერკავკასიაში ქრისტიანული ქართული და სომხური, ასე თუ ისე, ძლიერი სახელმწიფოების არსებობას, რათა ისინი მუსლიმებისათვის დაეპირისპირებია, ამჯერად ამის საჭიროება აღარ იყო არაბთა სახალიფოს დაშლა-დასუსტების გამო. ამიტომ ის აქტიურად ერევა საქართველოს საშინაო საქმეებში. მისი პოლიტიკა გარკვეულად იცვლება მხოლოდ თურქ-სელჩუკთა აგრესიის გაძლიერებასთან დაკავშირებით.

ეს გახლავთ ის პოლიტიკური ფონი, რომელთა შუქზე უნდა განვიხილოთ საქართველოში აღმოჩენილი XI საუკუნის ნუმიზმატიკური მასალა.

აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებასაც, რომ ნიკიფორე ფოკას (963-968 წწ.) დროიდან პირველად ბიზანტიის სამონეტო საქმის ისტორიაში, იჭრება ორი განსხვავებული წონითი სტანდარტის მქონე მონეტა: სრულწონიანი – ჰისტამენონ ნომისმა (4,40 გრამი) და შემსუბუქებული წონის (3,81-4,08 გრამი) – ტეტარტერონ ნომისმა.

მიხეილ IV-ის (1034-1041 წწ.) დროიდან ჰისტამენონს ეძლევა ჩაღრმავებული ფორმა, ხოლო ტეტარტერონის ფორმა ტრადიციულად ბრტყელი დარჩა.

ჩვენში, როგორც ამას აღმოჩენები მოწმობს, ორივე სამონეტო ტიპი ცირკულირებდა (იხ. მაგ., დვირის განძის შემადგენლობა, № 10), მაგრამ მაინც, ალბათ, ჰისტამენონ ნომისმა ჭარბობდა.

ქართულ წყაროებში დამოწმებულია ბიზანტიური მონეტების შემდეგი ზედსახელები: კონსტანტინატი, მიხაილატი, დუკატი, რომანატი, ექუსთავი („სკიპტრატი"), დუკატ-მიხაილატი, ბოტინატი და სხვ. მათი ნაწილი გვხვდება მხოლოდ საქართველოს ფარგლებს გარეთ (ათონის ივერიის და პეტრიწონის მონასტრებში) შექმნილ წერილობით ძეგლებში და საინტერესოა მხოლოდ ბიზანტიური ნუმიზმატიკისათვის.

ჩვენთვის მთავარია ის ტერმინები, რომლებიც საქართველოში იყო გადახდის საშუალება. ასეთებია: კონსტანტინატი, დუკატი და ბოტინატი (ჩვენ აქ, რა თქმა უნდა, ვერ დავასახელებთ იმ წყაროებს, სადაც ისინი იხსენიება. ამჯერად მათი იდენტიფიკაციაა საინტერესო).

ბოტინატი (ბოტანატი, პოტინატი, ვოტანიატი) – მკვლევართა ერთობლივი განსაზღვრით, ის ნიკიფორე III ბოტანიატის (1078-1081 წწ.) ნომისმაა.

დუკატის (დოკატი, დრაჰკანი დუკატი) დეფინიცია აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, ის მიხეილ VII დუკას (1071-1078 წწ.) ოქროს მონეტაა. პროფესორი ს. კაკაბაძე თვლიდა, რომ ეს სახელი უკავშირდება კონ-

სტანტინე X დუკასა (1059-1067 წწ.) და მიხეილ VII დუკას. გ. ჯაფარიძის აზრით, უფრო მართებულია რ. ბლეიკის თვალსაზრისი, რომელიც უპირატესობას ანიჭებდა კონსტანტინე X დუკას, რადგან მიხეილ VII დუკას ნომისმები დუკატ-მიხაილატად იხსენიება.

კონსტანტინატი (კონსტანატი, კუსტანატი, დრაჰკანი კონსტანტინატი) ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დაკავშირებულია კონსტანტინე X დუკას სახელთან, მაგრამ, როგორც აღინიშნა, ამ იმპერატორის ნომისმების ზედსახელი უნდა იყოს დუკატი. კონსტანტინატი უფრო კონსტანტინე IX მონომახის (1042-1055 წწ.) ნომისმებს გულისხმობს (გ. ჯაფარიძე).

ამავე საუკუნეებში ქართულ წყაროებში გვხვდება კიდევ ერთი სამონეტო ტერმინი – პერპერა (დრაჰკანი პერპერა, პერპერატი, პელპელი). გ. ჯაფარიძის მოსაზრების თანახმად, ეს არის ბიზანტიური ოქროს მონეტა ჰიპერპირონი, ჩაღრმავებული ფორმისა, რომლის მოჭრაც უკავშირდება ალექსი I კომნენოსის (1081-1118 წწ.) დაახლოებით 1082 წლის სამონეტო რეფორმას. ეს ტერმინი უაღრესად გავარვარებულს ნიშნავს და გაწმენდილ ოქროს შეესაბამება. მათი მოხსენიება ქართულ წყაროებში მხოლოდ XI საუკუნის 80-90-იანი წლების შემდეგ არის მოსალოდნელი.

სამონეტო განძებში XII საუკუნის პერპერები შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება საქართველოში. ესენია, კერძოდ, გურჯაანში აღმოჩენილი ალექსი I-ისა და იოანე II კომნენოსის (1118-1143 წწ.) ოქროს მონეტები (იხ. ჩვენთან № 44).

ამრიგად, როგორც ფაქტობრივი, ასევე წერილობითი წყაროების მონაცემების ანალიზი უეჭველს ხდის XI საუკუნის ოქროსა და სპილენძის ბიზანტიური მონეტების უაღრესად ფართო ცირკულაციას როგორ აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. XII საუკუნიდან მათი შემოსვლა საგრძნობლად კლებულობს (ყოველ შემთხვევაში, დღესდეობით არსებული ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით), რაც უდავოდ პოლიტიკური სიტუაციის შეცვლასთანაა დაკავშირებული. საქართველო დავით აღმაშენებლის ეპოქაში ერთიანდება. ის საერთოდ უარს ამბობს არა მარტო ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულების მოთავსებაზე საკუთარ მონეტებზე, არამედ, თბილისის აღების შემდეგ, ბიზანტიურ სამონეტო ტიპზე საზოგადოდ. დასუსტებულ ბიზანტიას აღარ ძალუძს საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევა. ეს ვითარება, როგორც ნუმიზმატიკური მასალა მოწმობს, დაუყოვნებლივ აირეკლა ქვეყნის ეკონომიკაშიც.

დაბოლოს, საქართველოში აღმოჩენილი XI საუკუნის სამონეტო განძებიდან ჩვენ განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ ლიხნის განძი (იხ. ჩვენთან № 48), რომელიც შერეული ხასიათისაა და ქართულ და ბიზანტიურ მონეტებს შეიცავს. ის კიდევ ერთი მოწმობაა იმისა, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ტერიტორიაა, რომ ეკონომიკურადაც აფხაზეთი ყოველთვის იყო ერთიანი საქართველოს

ორგანული ნაწილი. უადგილო არ იქნება ისიც გავიხსენოთ, რომ სოფლის შუაში დგას X-XI საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი – ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, ხოლო მის მახლობლად აფხაზთა მთავრების ორსართულიანი სასახლის ნანგრევები. ამრიგად, სახეზე გვაქვს აფხაზეთის იდეოლოგიური და ეკონომიკური ერთიანობა სრულიად საქართველოსთან, რომ არაფერი ვთქვათ პოლიტიკურ ერთიანობაზე [17].

XIII საუკუნეში საქართველოში მოჭრილი მონეტები

1222-1245 წლებში საქართველოში თამარის ქალიშვილი რუსუდანი მეფობდა. დედისაგან განსხვავებით მისი მეფობა უიღბლო გამოდგა. საქართველოს თავს დაატყდა დიდი უბედურება ჯერ ჯალალ ედ-დინის, ხოლო შემდეგ მონღოლთა შემოსევის სახით. ამას ზედ დაერთო ისიც, რომ მის დროს კიდევ უფრო გაიზარდა დიდგვაროვანთა გავლენა საქართველოს სამეფო კარზე და მეტისმეტად შესუსტდა მეფის ცენტრალური ხელისუფლება, რამაც, თავის მხრივ, უარყოფითად იმოქმედა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაზე.

XIII საუკუნის დასაწყისში აზიის სტეპებში შეიქმნა მონღოლთა სახელმწიფო. მათ გამოჩენას პოლიტიკურ არენაზე თან მოჰყვა დიდი მასშტაბის საომარი ოპერაციები ჩინეთის, ცენტრალურ აზიის, მახლობელი აღმოსავლეთის, რუსეთისა და ევროპის ტერიტორიაზედაც კი. თათარ-მონღოლთა მომთაბარე ტომები, შეჩვეული მომთაბარეთა ცხოვრების მკაცრ პირობებს, შესანიშნავი მეომრები იყვნენ. მათ მტკიცედ დისციპლინირებული დიდი ლაშქარი ჰყავდათ და თავიანთი ველური სიმკაცრით შიშის ზარს სცემდნენ მაშინდელ მსოფლიოს.

თათარ-მონღოლებმა გაანადგურეს ჩინეთის იმპერია, დაიპყრეს ხორეზმის სამეფო ცენტრალურ აზიაში და დაგეგმეს უფრო დასავლეთით მდებარე ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, დაპყრობაც. 1220 წელს საქართველოში შემოიჭრა კიდეც მონღოლთა მოთარეშე რაზმი, მაგრამ მათ ამ ეტაპზე ქვეყნის სრული დაპყრობა არ ჰქონიათ მიზნად.

ხორეზმშაჰის მემკვიდრე ჯალალ ედ-დინი მონღოლებს გამოექცა და ირანში შეუდგა მონღოლთა წინააღმდეგ ძალების შეგროვებას. მაგრამ ის ბეცი პოლიტიკოსი გამოდგა. იმის მაგივრად, რომ საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობა დაემყარებინა და გამოეყენებინა მისი სამხედრო პოტენციალი საერთო მტრის წინააღმდეგ, მან წინდაუხედავი ნაბიჯი გადადგა, განიზრახა საქართველოს დაპყრობა. 1225 წლის ნოემბერში, ისარგებლა რა საქართველოს დიდგვაროვანთა შორის არსებული წინააღმდეგობებით, გარნისთან (სომხეთი) დაამარცხა ქართველთა ჯარი, ხოლო შემდეგ წელს თბილისიც აიღო.

ჯალალ ედ-დინის ბრბოებმა წარმოუდგენელი სისასტიკე გამოიჩინეს საქართველოში ქრისტიანი მოსახლეობის მიმართ, ათიათასობით ადამიანი ამოხოცეს, გაძარცვეს, გაანადგურეს ქალაქები და სოფლები. მათი თარეში საქართველოში ხუთ წელზე მეტხანს გაგრძელდა. მართალია, ჯალალ ედ-დინმა ქვეყანა საბო-

ლოოდ ვერ დაიმორჩილა, მაგრამ ქვეყანა სასტიკად დააზიანა და ფაქტობრივად მონღოლებს საქართველოსა და მთელი წინა აზიის დაპყრობა გაუადვილა.

ამ პირსისხლიანმა დამპყრობელმა თავისი კვალი ქართულ ნუმიზმატიკაშიც დატოვა. უპატრონოდ მიტოვებულ თბილისში (რუსუდანი ქუთაისში გადავიდა) მას, როგორც ჩანს, ხელში ჩაუვარდა სახელმწიფო ხაზინა, რომელიც საკუთარი მონეტების მოსაჭრელად გამოიყენა. ქართული ფულის მთელი მარაგი ჯალალ ედ-დინმა ზარაფხანაში ხელახლა გადაამუშავა და ქართულ მონეტებზე ახალი სიქის დარტყმის საშუალებით საკუთარ ფულად აქცია. ვიძლევით მის აღწერილობას:

შუბლი – შემორკალული ორსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „სულთანი – უზენაესი" შემოვლებულია მეორე არაბული ზედწერილით: „იჭედა ესე დირჰემი ნელსა ექვსას ოცდასამსა" (=1226 წ.).

ზურგი – შემორკალული ორსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „ჯალალ ად დუნია-ვედდინ", შემოვლებულია მეორე არაბული ზედწერილით: „განადიდოს ღმერთმან დიდება მისი, განაგრძოს ჩრდილი მისი და განამტკიცოს კეთილდღეობა მისი" (ტაბ. XIII, № 83).

ხშირია შემთხვევები, როდესაც ჯალალ ედ-დინის სიქის ქვეშ შემორჩენილია ლაშა გიორგის, ან თამარის ფულის დაუზიანებელი წარწერების ნაწყვეტები. იშვიათ შემთხვევაში ჩნდება გიორგი III-ისა და დემეტრე I-ის მონეტის დეტალებიც. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადად ჯალალ ედ-დინის მონეტები გადაჭედილია არაწესიერად მოჭრილ ქართული ფულიდან, მაგრამ იშვიათ შემთხვევაში ამ მიზნით წესიერად მოჭრილი მონეტებიცაა გამოყენებული, კერძოდ, გიორგი III და თამარის ფული.

რუსუდანის სამონეტო საქმიანობით ახალი ეტაპი იწყება ქართული ნუმიზმატიკის ისტორიაში, რაც გამოიხატა შემდეგში: 1. შეწყდა ე. წ. უწესოდ მოჭრილი მონეტების ემისია და 2. კვლავ დაიწყო ვერცხლის ფულის გამოშვება. რა თქმა უნდა, ეს ნოვაცია მარტო ქართული მოვლენა არ გახლავთ. ისევე როგორც „ვერცხლის კრიზისი", ისიც მახლობელი აღმოსავლეთის გლობალური მოვლენაა და მისი მიზეზების დადგენა ისევე რთულია, როგორც „ვერცხლის კრიზისის" გამომწვევი გარემოებისა.

ვიძლევით ჯერ რუსუდანის სპილენძის მონეტების აღწერილობას, რომელთა წონითი რემედიუმი საგრძნობლად მერყეევია – 1-16 გრ.

1. **შუბლი** – რთული ორნამენტული ჩარჩოს ცენტრში მოთავსებულია რუსუდანის ასომთავრულად დაქარაგმებული სახელი – რსნ. მის ზემოთ ამოკვეთილია მცირე ზომის ხვეული, რომელიც ცნობილი პალეოგრაფის თ. ბარნაველის განმარტებით, ასევე რუსუდანის მონოგრამაა, რომლის დანაწევრებით შემადგენელ ელემენტებად ვიღებთ მთავრული დამწერლობის ასოებს: რუსუდან (იხ. თ. ბარნაველი, ფიგურული ნიშნები განვითარებული შუასაუკუნეების ქართულ მონეტებზე. „მაცნე", ისტორიის... სერია, 1974, № 3, გვ. 86-101; პროფესორი დ. კაპანაძე ამ მონოგრამას დედოფლის

„ხელრთვას", „ფაქსიმილეს" უწოდებს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თეიმურაზ ბარნაველის ინტერპრეტაციით, ასევე რუსუდანის მონოგრამაა მონეტაზე მოთავსებული რთული ორნამენტული ჩარჩო, რომლის გარე ხვეულების გახსნა გვაძლევს შემდეგ ასოებს: როსნ, ე. ი. „რუსუდან"). ორნამენტის ბუდეებში შემოკლებით თარიღია „ქორონიკონსა 447" (=1227 ნ.).

ზურგი – ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „დედოფალი მეფეთა და დედოფალთა, – მშვენება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა, – რუსუდან ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი, – განადიდოს ღმერთმან ძლევანი მისნი". გარშემო რკალი (ტაბ. XIII, № 86).

ზემოთ აღწერილ მონეტასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მათი მრავალრიცხოვნებისა, ყველა მათგანს თარიღად 1227 წელი უზის. ეს იმას ნიშნავს, რომ 1227 წელი გახლავთ მონეტის ტიპის შემოღებისა და არა ემისიის წელი.

ამ მონეტებთან დაკავშირებით ასევე საინტერესოა მათი ემისიის ცენტრის დადგენის საკითხი.

პროფესორ ევგ. პახომოვს მიაჩნდა, რომ ჯალალ ედ-დინს თბილისი ხელთ ეპყრა 1226-28 წლებში. 1228 წელს მან ქალაქში მცირე გარნიზონი დატოვა და სამხრეთისაკენ გასწია საქმეების მოსაგვარებლად, რითაც ისარგებლეს ქართველებმა და თბილისი დაიბრუნეს. მომდევნო 1229 წელს ჯალალ ედ-დინმა საქართველოს დედაქალაქი კვლავ დაიკავა. ამრიგად, ე. პახომოვის მიხედვით, 1227 წელს საქართველოს დედაქალაქი მტრის ხელშია და ამიტომ ამ წლით დათარიღებული მონეტები არ შეიძლება თბილისში მოჭრილიყო. მათი ემისიის ცენტრად მას ქუთაისი მიაჩნია (იხილე Е. А. Пахомов. Монеты Грузии, часть, I, С.-Петербург, 1910, стр. 117-118).

ქართულ საისტორიო მეცნიერებაში ეს საკითხი სხვაგვარად დგას. თბილისი ჯალალ ედ-დინმა პირველად აიღო 1226 წლის მარტში. იმავე 1226 წელს ქართველებმა თბილისი დაიბრუნეს და ხელმეორედ მხოლოდ 1227 წლის ბოლოს დათმეს. ასე რომ, 1227 წლით დათარიღებული მონეტების ემისია დედაქალაქის ზარაფხანაში სავსებით შესაძლებელია.

რუსუდანის ვერცხლის მონეტის წონა ისეთივეა, როგორც სინქრონული აღმოსავლური დირჰემისა და 2,35-2,70 გრამს შორის მერყეობს. მისი აღწერილობა ასეთია:

2. **შუბლი** – ქრისტეს წელზევითი შარავანდედიანი გამოსახულების[18] ირგვლივ რკალია, რომლის გარეთ განლაგებულია ასომთავრული ზედწერილი: „სახელითა ღვთისაითა იჭედა ქორონიკონსა 450" (=1230 ნ.).

ზურგი – რთული ორნამენტული ჩარჩოს ცენტრში, რომელიც მოგვაგონებს თამარ მეფის 1200 წლით დათარიღებულ მონეტაზე ამოკვეთილ ნიშანს (თ. ბარნაველი მას „შუბისპირის მსგავს კონტურად" მიიჩნევს), ჩაწერილია ასომთავრული რსნ, ე. ი. „რუსუდან". ირგვლივ გარშემოვლებულია არაბული ზედწერილი: „დედოფალი დედოფალთა, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნო-

ებისა, რუსუდან ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი" (ტაბ. XIII, №№ 87-89).

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კუთვნილი ვერცხლის უნიკალური მონეტა, რომლის წონაა 2,50 გრ.

3. **შუბლი** – ზემოთ აღწერილი მონეტისაგან განსხვავებით ქრისტეს თავის ირგვლივ მოთავსებული შარავანდედი რკალს გარეთ გადის და ჰყოფს გარშემოვლებულ ზედწერილს, რომლის შინაარსი შეცვლილია შემდეგნაირად: „სახელითა ღვთისაითა ჭედაი ვეცხლი ქორონიკონსა 450" (=1230 წელი).

ზურგი – შუბისპირის მსგავსი ფიგურა, რომელიც მწვერვალით ზემოთკენაა მიმართული. ეს გახლავთ მონოგრამა, რომელშიც რუსუდანის სახელი სრული დაწერილობითაა (ასომთავრულით) მოცემული: „რუსუდან". გარშემოვლებული არაბული ზედწერილი ისეთივეა, როგორც № 2-ზე.

აღწერილ ვერცხლის მონეტებს ლიტერატურაში დრამას უწოდებენ. ბევრად უფრო იშვიათია ორიოდე ცალად ცნობილი დრამის წილადები – ნახევარდრამიანები, შესაბამისად მცირე ზომითა და წონით (1,25-1,30 გრ.). გარდა ამისა, მათ შუბლსა და ზურგზე მოთავსებული არ არის გარშემოვლებული ზედწერილი (ტაბ. XIII, № 90).

რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ ე. წ. დამღების შესახებ. დამღები ანუ კონტრამარკები ქართულ ფულზე თამარის დროს გაჩნდა და განსაკუთრებით რუსუდანის მეფობის დროს გავრცელდა.

სპეციალურად დამზადებული პუნსონის საშუალებით მონეტაზე დანაბეჭდის ანუ კონტრამარკის დარტყმა, ე. ი. მონეტის რაიმე მიზნით დადამღვა ანტიკური დროიდანვე იყო მიღებული. მონეტის დადამღვას სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდა: ან წინამორბედების მიერ გამოშვებულ და უკვე ბრუნვიდან გამოსულ „მკვდარ მონეტას" ამ ხერხით აცოცხლებდნენ, ან უცხოურ მონეტას დამღავდნენ საკუთარი ფულის ნიშნად გამოსაცხადებლად, ან რეალური ღირებულების ნომინალის ასაწევად. ეს მარტივი ხერხი, ცხადია, საგრძნობლად ამცირებდა ახალი მონეტის გამოშვების ხარჯებსაც.

XII საუკუნის დასასრულს ჩვენში შემოღებული დადამღვის წესი, როგორც პროფესორი დ. კაპანაძე აღნიშნავს, მონეტათა ორივე ჯგუფზე ვრცელდებოდა: არაწესიერად მოჭრილი მონეტებისათვის ერთი სახის პუნსონებს ხმარობდნენ, ხოლო წესიერად მოჭრილი მონეტებისათვის – მეორე სახისას. დარღვევა ძალიან იშვიათ შემთხვევებში ხდებოდა. უმთავრესად დადამღულია თამარის, ლაშა გიორგისა და რუსუდანის მონეტები. დემეტრე I-ის, გიორგი III-ისა და დავით ნარინის მონეტები – იშვიათ შემთხვევაში.

ქართული კონტრამარკებით უცხო მონეტების დადამღვის შემთხვევები შედარებით ხშირი მოვლენაა. XII-XIII საუკუნეებში ჩვენში გავრცელებული სელჩუკური, შარვანული, ილდეგიზიდური და ბიზანტიური სპილენძის მონეტების გარკვეული ნაწილი ქართული დამღებითაა აღბეჭდილი.

ქართულ დამღებზე, როგორც წესი, სხვადასხვა ასო-ნიშნები, მონოგრამებია გამოსახულია, როგორც ქართული, ასევე სხვა შრიფტით. ზოგიერთ შემთხვევაში მათი მნიშვნელობის გახსნა ხერხდება (ასე მაგალითად, ადვილად იშიფრება რუსუდანის სახელის აღმნიშვნელი მონოგრამები და აბრევიატურა), ზოგჯერ – არა.

ჩვენს ქვეყანას ჯერ კიდევ არ მოეშუშებინა ჯალალ ედ-დინის მიერ მიყენებული ჭრილობები, რომ 1235 წელს მის საზღვრებს მონღოლთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი მოადგა. მეფე რუსუდანი კვლავ დასავლეთ საქართველოში გადავიდა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს დიდგვაროვანი ფეოდალები (სამცხის მთავრის ივანე-ყვარყვარე ჯაყელ-ციხისჯვარელის გამოკლებით) მონღოლებთან შეთანხმებისა და უბრძოლველად დამორჩილების გზას დაადგნენ. მიუხედავად ამისა, მონღოლებს 7 წელიწადი დასჭირდათ მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს დასაპყრობად. მოსახლეობა თავგანწირულ წინააღმდეგობას უწევდა მათ. დასავლეთ საქართველოში მონღოლებმა ფეხი ვერ შედგეს და ბოლოს იძულებულნი გახდნენ საქართველოს სამეფო კართან მშვიდობიან მორიგებაზე დათანხმებულიყვნენ. დაზავების პირობის მიხედვით მონღოლები საქართველოში მეფობასა და ადგილობრივ მმართველობას არ გააუქმებდნენ. ისინი საქართველოს მხოლოდ ხარკის გადახდას (50.000 პერპერას რაოდენობით. პერპერა – ბიზანტიური ოქროს ფული) და ჯარის გამოყვანას ავალებდნენ. სამეფო ტახტზე ყოველი ახლადასული ქართველი მეფეც მათ უნდა დაემტკიცებინათ.

პოლიტიკური კონიუნქტურის შეცვლამ წარუხოცელი კვალი დატოვა საქართველოს ნუმიზმატიკურ ძეგლებზე. მკვეთრად იცვლება მონეტის გარეგნული სახე და ზედწერილების შინაარსი. ამდროინდელი ქართული მონეტები განსაკუთრებული სიმართლითა და სიწრფელით გადმოგვცემს იმ ტრაგედიას, რომელიც ჩვენმა ერმა განიცადა XIII-XIV საუკუნეებში.

როგორც პროფესორი დ. კაპანაძე აღნიშნავს, ახლად შექმნილი პირობების შესაბამისად იწყება პარალელური, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი და სრულიად განსხვავებული მონეტების ორი სერიის გამოშვება:

1. ეროვნული ხასიათის მონეტებისა, რომლებზედაც ქართველ მეფეთა სახელებია აღბეჭდილი და 2. უცხო ნიმუშების ყაიდაზე საქართველოშივე მოჭრილი უცხო მფლობელთა სახელებით (ჯერ ჩინგიზიდთა, ხოლო შემდეგ ჰულაგუიდთა – მონღოლთა დინასტიები) აღბეჭდილი მონეტებისა.

მონეტათა ეს ორი ძირითადი სახე მთელი XIII საუკუნის მანძილზე იჭრებოდა.

უკვე რუსუდანის მეფობაში იჭრება ანონიმური დირჰემი, რომლის შუბლზე მოზიდული მშვილდია გამოსახული და არაბულად აწერია: „ყაან სამართლიანი". გარდა ამისა, მოცემულია თარიღი ჰიჯრით – 637 წელი (= 1239/40 წწ.) და მოჭრის ადგილი – თბილისი. მონეტის ზურგზე მოთავსებულია არაბული ლეგენდა: „არ არს ღმერთი გარდა ალაჰისა, მუჰამედი მოციქული ალაჰისა" (ტაბ. XIV, № 91). მეტროლოგიური მონაცემებით ეს მონეტა იდენტურია რუსუდანის ვერცხ-

ლის მონეტებისა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მონღოლებმა გამოიყენეს საქართველოში არსებული სამონეტო სისტემა.

ჯერჯერობით აუხსნელია რატომაა ეს დირჰემი მოჭრილი ზოგადად „ყაან სამართლიანის" და არა მონღოლთა კონკრეტული მბრძანებლის სახელით. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ დროს მონღოლთა კარზე დიდი უთანხმოება იყო და ამიტომ არჩევდნენ მონეტაზე ზოგადად „ყაენის" მოხსენიებას.

ხუთი წლის შემდეგ, კერძოდ, ჰიჯრის 642 წელს (= 1244/45 წწ.) თბილისის ზარაფხანაში მოიჭრა განსხვავებული ტიპის დირჰემი, რომლის აღწერილობა ასეთია:

> **შუბლი** – მარცხნივ მიმართული მხედარი დაჭიმული მშვილდით, რომელიც ნახევრად მარჯვნივაა მობრუნებული, ისარს ესვრის მონეტაზე გამოსახულ ჩიტს. ცხენს ქვემოთ მარცხნივ მიმართული ძაღლი მოძრაობაში. გამოსახულების ზემოთ თურქული წარწერა: „(ულუღ) მანგილ ულუს-ბეკ". ამ ზედწერილის შინაარსის ორი ინტერპრეტაცია არსებობს: 1. „ულუს-ბეკი დიდი მონღოლის სახელით" და 2. „დიდი მონღოლი ულუს-ბეკი".
>
> **ზურგი** – არაბული ლეგენდა: „არ არს ღმერთი გარდა ალაჰისა, მუჰამედი მოციქული ალაჰისა. იჭედა თბილისს 642 წელს" (ტაბ. XIV, № 92).

უნდა აღინიშნოს, რომ იდენტური ტიპის მონეტები თბილისის გარდა იჭრებოდა ამიერკავკასიის სხვა ქალაქებშიაც: განჯაში, ბაქოში, ნახჩევანში და სხვ.

ტერმინი „ულუსი" საზოგადოდ მონღოლებში ოლქს, წილხვედრ ქვეყანას აღნიშნავდა. მაგალითად, ჯუჩის ულუსი აღნიშნავდა ჩინგის-ყაენის ერთ-ერთი ვაჟის – ჯუჩის წილხვედრ ქვეყანას, მის ოლქს, მის სამბრძანებლოს, რომელიც რუსულ წყაროებში ოქროს ურდოს სახელითაა ცნობილი. ის ვოლგის შუა და ქვემო წელზე მდებარეობდა და უზარმაზარი ტერიტორია ემორჩილებოდა, მათ შორის რუსეთი. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ულუსის" ქვეშ მონღოლთა ადმინისტრაციაც იგულისხმებოდა. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, ჩვენთვის საინტერესო ულუს-ბეკი ამიერკავკასიის ოლქის მმართველია, რომელსაც, პროფესორ ევგ. პახომოვის მოსაზრების თანახმად, არ ჰქონდა უფლება საკუთარი სახელით მონეტის ემისიისა და ამიტომ მათ ოლქის მმართველის, მონღოლთა ადმინისტრაციის სახელით ანხორციელებს (ეს და XIII ს. საქართველოში სამონეტო საქმის ისტორიასთან დაკავშირებული სხვა საკითხები სპეციალურად განხილულია ირინე ჯალაღანიას ნაშრომში „Из истории монетного дела в Грузии XIII века", Тбилиси, 1958).

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულია მომდევნო წლით (ჰიჯრის 643 წ.) დათარიღებული მესამე ტიპის უნიკალური ანონიმური მონეტა, წონა – 2,61 გრამი.

> **შუბლი** – ორი პარალელური ხაზისაგან შემდგარი ექვსსხივიანი ვარსკვლავი. ვარსკვლავის ცენტრში – ორსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „ყაან სამართლიანი".

ზურგი – სამსტრიქონიანი არაბული რელიგიური სიმბოლო ისეთივეა, როგორც ზემოთ აღწერილ ორ ცალზე. ეს ზედწერილი მოთავსებულია ოთხკუთხა ჩარჩოში, რომელიც შემოვლებულია რკალით. რკალსა და ჩარჩოს შორის შექმნილ სეგმენტებში არაბულად: „იჭედა თბილისს, წელსა ექვსას ორმოცდასამსა“ (= 1245/46 წწ.) (ტაბ. XIV, № 94).

როგორც ვხედავთ, მონეტის შუბლზე კვლავ ჩნდება ლეგენდა „ყაან სამართლიანი“. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს შემთხვევით არ არის, მაგრამ ახსნა იმისა, თუ რატომ ხდება ულუს-ბეკის შეცვლა სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ ისევ ზემოთმოტანილი წარწერით, დღესდღეობით შეუძლებელია.

ჰიჯრის 642 წელს (= 1244/45 წწ.), იმ დროს, როდესაც თბილისის ზარაფხანაში ულუს-ბეკის სახელით ვერცხლის მონღოლური მონეტა იჭრება, დმანისის ზარაფხანა უშვებს ქართულ სპილენძის მონეტას დავითის სახელით. წონა – 6,46 გრამი. მისი აღწერილობა ასეთია:

შუბლი – ცენტრში მთავრული ასო დონისა და თანის შეწიაღებული დაქარაგმება დავითის სახელს აღნიშნავს. ირგვლივ არაბულად მოთავსებულია ზედწერილი: „მსოფლიოს მფლობელის ყაენის მონა, დავით მეფე“.

ზურგი – ასევე არაბულად ოთხსტრიქონიანი წარწერა: „ქალაქსა დმანისს, ხანგრძლივ ჰყოს იგი ღმერთმან, (წელსა) ექვსას ორმოცდაორსა“ (= 1244/45 წწ.).

ამ მონეტის შუბლის ქვედა ნაწილში ხშირად 465 ქორონიკონია მოთავსებული, რაც 1245 წელს უდრის და ზოგჯერ ამავე მონეტის ზურგის მეხუთე სტრიქონზედაც მეორდება ჰიჯრის გადმოცემული თარიღის გვერდით (სამონეტო ტიპისთვის იხ. ტაბ. XIV, № 93).

აღწერილი მონეტა მრავალმხრივ იქცევს ყურადღებას. ჯერ ერთი, გასარკვევია რომელ დავითს მიეკუთვნება იგი: დავით VI რუსუდანის ძეს, თუ დავით VII გიორგი ლაშას ძეს (მის უკანონო ვაჟს). თავის დროზე ამ მონეტის ატრიბუციამ პოლემიკაც გამოიწვია, მაგრამ შემდეგში ჯერ ი. ბართოლომეიმ, ხოლო შემდეგ ევგ. პახომოვმა ის სავსებით მართებულად დავით VI რუსუდანის ძეს (მომავალი ნარინი) მიაკუთვნეს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ დავით VII (მომავალი ულუ) ამ ხანებში რუმის სასულთნოში იმყოფებოდა.

ამ მონეტის წყალობით დადგენილ იქნა დმანისში ზარაფხანის არსებობის ფაქტი, რომლის შესახებ მანამდე არაფერი ვიცოდით. ზარაფხანის სახელი ამოიკითხა ცნობილმა ქართველმა ორიენტალისტმა აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა (იხ. მისი წერილი: „დმანისის მონეტების გამო“, „ლიტერატურული ძიებანი“, II, 1944). ამით კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ამ ქალაქის, როგორც საშუალო საუკუნეების საქართველოს დიდი სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრის, მნიშვნელობას.

საქართველოში პოლიტიკური ვითარების დადგენის მიზნით ძალიან საინტერესოა დავით ნარინის მონეტის შუბლის ზედწერილი: „მსოფლიოს მფლობელის ყაენის მონა, დავით მეფე“. გავიხსენოთ თამარ მეფის მონეტებზე მოთავსებული

მედიდური ლეგენდა: „დედოფალი დიდებული, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარ, ასული გიორგისა, მესიის თაყვანისმცემელი, განადიდოს ღმერთმან ძლევანი მისნი, განადიდოს ღმერთმან დიდება მისი, განაგრძოს ჩრდილი მისი და განამტკიცოს კეთილდღეობა მისი". საქართველოში დატრიალებული ისტორიული ტრაგედია ამ ორი წარწერის შედარების საფუძველზედაც კარგად ჩანს.

დაბოლოს კიდევ ერთი საკითხი. 1244/45 წლებში, როდესაც დავით ნარინის სახელით დმანისში სპილენძის მონეტის ემისია განხორციელდა, იგი საქართველოში არ იმყოფება, მონღოლეთშია, სადაც რუსუდანმა გაამგზავრა ტახტზე დამტკიცების მიზნით. მაშ ვინ ჭრის მისი სახელით მონეტებს? ირ. ჯალაღანიას აზრით, შესაძლებელია, რუსუდანი თავისი მომხრეებით დროებით ზის დმანისში (თუმცა ამის შესახებ წყაროებში არაფერია თქმული) და იქ ანხორციელებს სამონეტო რეგალიას თავისი შვილის სახელით. ამისი საჭიროება კი აუცილებელი იყო, ვინაიდან ტახტს ჰყავდა მეორე პრეტენდენტი, ლაშა გიორგის ვაჟი, ასევე დავითი, წარმოშობით ბაგრატიონი (დავით რუსუდანის ძის მამა კი, როგორც ცნობილია, არ იყო ქართველი), ტახტის კანონიერი მემკვიდრე, მიუხედავად იმისა, რომ იგი ლაშას უკანონო შვილი იყო. ეს მოსაზრება ანგარიშგასაწევია.

1245 წელს გარდაიცვალა რუსუდანი. მისი ვაჟი შორეულ ყარაყორუმში იმყოფებოდა და არავინ იცოდა ცოცხალი იყო იგი, თუ არა. ქვეყანა დარჩა უმეფოდ. მონღოლებთან შეთანხმებით, ქართველ დიდებულთა ერთმა ნაწილმა რუმის სასულთნოდან ჩამოიყვანა ლაშა გიორგის ვაჟი და ისიც მონღოლეთში გააგზავნეს ტახტზე დამტკიცების მიზნით. იქ მისულ პრეტენდენტს თავისი მამიდაშვილი ცოცხალი დახვდა. ტახტის მაძიებლების ირგვლივ დაჯგუფდნენ ქართველი დიდგვაროვნები. მონღოლებმა ეს ფაქტი თავის სასარგებლოდ გამოიყენეს და საქართველოს სამეფო ტახტზე 1247 წელს ერთდროულად ორივე პრეტენდენტი დაამტკიცეს. დავით გიორგის ძეს უფროსი, ანუ ულუ უწოდეს, ხოლო დავით რუსუდანის ძეს – უმცროსი. ამით დამპყრობლებმა იმის პირობა შექმნეს, რომ ყოველთვის ყოფილიყო ქართველთა შორის შინაგანი უთანხმოების საფუძველი. 1247 წელს ორივე დავითი საქართველოში დაბრუნდა.

დმანისის მონეტის გამოშვებიდან სამი წლის შემდეგ, კერძოდ, ჰიჯრის 645 წელს (=1247/48 წწ.) დავით ნარინის სახელით სპილენძის მონეტები იჭრება უკვე თბილისის ზარაფხანაში, მაგრამ ქართულ ქორონიკონს აქ აღარ ათავსებენ. იგი ისეთივეა, როგორც დმანისში მოჭრილი სპილენძის მონეტა, ოღონდ განსხვავდება მისგან მოჭრის ადგილისა (თბილისი) და თარიღის (ჰიჯრის 645 წელი) მიხედვით (ტაბ. XIV, № 96).

დავით ნარინის სპილენძის მონეტის მოსაჭრელად მიმოქცევიდან გამოსულ მონეტებსაც იყენებდნენ. ზოგჯერ დავით ნარინის სიქის ქვეშ შეინიშნება რუსუდან დედოფლის მონეტის გადარჩენილი დეტალები. ამიტომაცაა, რომ დავით ნარინის სპილენძის მონეტათა წონითი რემედიუმი შესამჩნევ გადახრებს იძლევა.

1247 წელს თბილისის ზარაფხანაში დავით ნარინის სახელით ვერცხლის მონეტაც იჭრება წონით 2,4-2,7 გრამი. ვიძლევით მის აღწერილობას:

შუბლი – მარჯვნივ მიმართული გვირგვინოსანი მეფე მხედრის გამოსახულება, რომელსაც მარჯვენა ხელში მათრახი უჭირავს. გამოსახულების წინ მონოგრამა, რომელიც დავითის სახელს აღნიშნავს. აქვეა თარიღი ქორონიკონით 467 (= 1247 წ.). მხედრის უკან ექვსქიმიანი ვარსკვლავი.

ზურგი – ოთხსტრიქონიანი სპარსული ზედწერილი: „ძალითა ღვთისათა, მონა გუიუკ-ყაენის მთავრობისა. მეფე დავითი". ზედწერილის გვერდით მარჯვენა მხარეს სპარსულადვეა მოჭრის ადგილი: „იჭედა თბილისს" (ტაბ. XIV, № 95).

უნდა აღინიშნოს, რომ დავით ნარინის მონეტების დიდი ნაწილი გადაჭედილია. ახალი ქართული სიქის ქვეშ ზოგჯერ შეინიშნება რუმის სელჩუკთა სულთნის – ქეიხოსრუ II-ის (1236-1245 წწ.) დირჰემის დეტალები. ეს გარემოება განპირობებულია სელჩუკთა და ქართული მონეტების წონების სიახლოვით.

იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ცხენოსანი ფიგურის გამოსახულება საქართველოში მოჭრილ მონეტებზე პირველად გამოჩნდა ჰიჯრის 642 წელს, ულუს-ბეკის ფულებზე, ხოლო შემდეგ დავით ნარინის მონეტებზე. ორივე მათგანი წარმოადგენს XII საუკუნის სელჩუკთა მონეტებზე მოთავსებული მხედრის ასლს, რაც საქართველოსა და სელჩუკთა სახელმწიფოს მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკურ კავშირურთიერთობაზე მიუთითებს.

თბილისშივე ჰიჯრის 650, 651 და 652 წლებში იჭრება დავით ნარინის თანამოსაყდრის ულუ დავითის ვერცხლის იშვიათი მონეტები. უნდა ითქვას, რომ მათზე ქართული წარწერები მთლიანად ქრება და მათი გარეგნული სახე ძალიან მოგვაგონებს სელჩუკურ დირჰემებს. წონა – 2,73 გრამი.

შუბლი – ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „დავით მეფე – ძე გიორგისა – ბაგრატიონისა – იჭედა თბილისს".

ზურგი – ასევე ოთხსტრიქონიანი სპარსული ზედწერილი: „ძალითა ღვთისათა – მსოფლიოს მანგუ ყაენის ნებითა – წელსა ექვსას – ორმოცდაათსა" (= 1252-53 წწ.) (ტაბ. XIV, № 97).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ თავის მამიდაშვილისაგან განსხვავებით, რომელიც არაფერს ამბობს თავის ძეობის შესახებ (და არ ამბობს იმიტომ, რომ იგი მამით სელჩუკი იყო), დავით ულუ საქვეყნოდ აცხადებს, რომ იგი გიორგი ლაშას ძეა და წარმოშობით ბაგრატიონი.

დავით ულუს მონეტებთან დაკავშირებით ყურადღება უნდა მიექცეს კიდევ ერთ ასეთ ფაქტს. არ ჩანს მისი სახელით მოჭრილი მონეტები ჰიჯრის 650 წლამდე (ე. ი. 1252/3 წლამდე). როგორც ცნობილია, საქართველოს ორივე მეფე საქართველოში 1247 წელს დაბრუნდა. დავით ნარინი ამ წელს უკვე ჭრის მონეტას, დავით ულუ არა. შემთხვევითია ეს, თუ არა? ხომ არ უდევს ამას საფუძვ-

ლად კოლიზიები ბიძაშვილ-მამიდაშვილს შორის? ზოგიერთი მკვლევარი ამას იმით ხსნის, რომ დავით ნარინი სწორედ 1252 წელს გადავიდა დასავლეთ საქართველოში და სწორედ ამ დროიდან ულუ გახდა აღმოსავლეთ საქართველოს ერთპიროვნული მმართველი. მაგრამ ეს ჰიპოთეზა გარკვეულ ეჭვს იწვევს იმიტომ, რომ დავით ნარინის დასავლეთ საქართველოში გადასვლის თარიღად ქართულ ისტორიოგრაფიაში 1259 წელია მიჩნეული.

დავით ულუსვე უნდა ეკუთვნოდეს სპილენძის იშვიათი მონეტები, რომელსაც ჩვენ უკვე შევეხეთ, როდესაც დავით აღმაშენებლის ნუმიზმატიკურ მემკვიდრეობას ვიხილავდით მისი აღწერილობა ასეთია:

შუბლი – გვირგვინოსანი მხედრის მარჯვნივ მიმართული ფიგურა. გამოსახულების ორივე მხარეს – ასომთავრული დ და თ, რომელიც დავითის სახელის დაქარაგმებაა.

ზურგი – სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: მეფე მეფეთა – დავით ძე გიორგისი – მესიის მახვილი (ტაბ. XV, №№ 103-104).

ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ მონეტის ზუსტი ატრიბუცია პოლემიკის საგანია. მეცნიერთა უმრავლესობა მას დავით ულუს აკუთვნებს იმ ძლიერი არგუმენტის საფუძველზე, რომ სადისკუსიო მონეტა ზუსტი ასლია რუმის სელჩუკიდის ქეიხოსრუ I-ის (1192-1200 წწ.) სპილენძის ფულების იკონოგრაფიისა. ამიტომ მისი ემისია დავით აღმაშენებლის მიერ წარმოუდგენელია. რაც შეეხება მონეტის ზურგის ამაყ წარწერას, რომელიც არ შეეფერება დავით ულუს ეპოქასა და მის პოლიტიკურ მდგომარეობას, ის კარგად ახსნა პროფ. გ. ჯაფარიძემ. როგორც ცნობილია, 1260-61 წლებში დავით ულუ აჯანყდა მონღოლების წინააღმდეგ და ამ დროს, მკვლევარის მოსაზრებით, მას თავისუფლად შეეძლო აღედგინა თავის მონეტაზე დიდი წინაპრების ტიტულატურა. ჩვენ მხარს ვუჭერთ ამ სადავო მონეტების მიკუთვნებას დავით ულუსადმი.

მონღოლთა ერთიანი იმპერია ჩინგიზ-ყაენის გარდაცვალების შემდეგ თანდათან დაიშალა მთელ რიგ საყაენოებად. საქართველოს სამხრეთით, ირანის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ილხანთა მონღოლური სახელმწიფო, რომლის პირველი ყაენი იყო ჩინგიზის შვილიშვილი ჰულაგუ. საქართველო უშუალოდ ამ საყაენოს დაემორჩილა. ჰულაგუს დროს კიდევ უფრო დამძიმდა მონღოლთა უღელი. 1259 წელს საქართველოში აჯანყებამ იფეთქა, რომელსაც დავით ნარინი ხელმძღვანელობდა. მართალია, თავდაპირველად ნარინმა დაამარცხა მონღოლები, მაგრამ როდესაც საქართველოში მონღოლთა უფრო დიდი ლაშქარი მოვიდა, მან თავი აარიდა ბრძოლას და დასავლეთ საქართველოში გადავიდა. ეს საქართველოს ორად გაყოფას ნიშნავდა. 1260 წელს მონღოლების წინააღმდეგ დავით ულუც აჯანყდა, მაგრამ იგი დამარცხდა და ჯერ სამცხეში, ხოლო შემდეგ იმერეთში გადავიდა. ეს მოხდა 1261 წელს. სწორედ ამ ხანებში ქუთაისში უნდა მოჭრილიყო ბიზანტიური

მონეტების მსგავსი ვერცხლის იშვიათი მონეტა (სულ ათიოდე ცალადაა ცნობილი) წონით 2,3-2,9 გრ. მას ასეთი სახე აქვს:

შუბლი – მთელი ტანით პირდაპირ მდგომი ორი მეფე. მათ შორის ლაბარუმია აღმართული. გამოსახულებათა გვერდით, მონეტის კიდეებზე დაქარაგმებულია ასომთავრული ზედწერილი: მარცხნივ – „დავით მეფე", მარჯვნივ – „მეფეთა მეფე დავით".

ზურგი – გამოსახულია ტახტზე მჯდომი ღვთისმშობელი გვერდით მოთავსებული ასომთავრული ზედწერილით: მარცხნივ – „დდი", მარჯვნივ – „ღთსი", ე. ი. „დედაი ღვთისაი" (ტაბ. XV, № 98)[19].

ცხადია, ორი დავითის მეფობა იმერეთში არ შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო. დიდებულებს შორის კვლავ კამათი და დავა ატყდა იმ საკითხის გარშემო, თუ რომელ მათგანს ჰქონდა მეტი უფლება საქართველოს ერთადერთი მეფე ყოფილიყო. ერთი ნაწილი დავით VII ემხრობოდა, მეორე – დავით VI-ს. ამავე დროს აღმოსავლეთ საქართველოდან დამაფიქრებელი ცნობები მოდიოდა. მონღოლები აქ სამეფო ხელისუფლების გაუქმებას აპირებდნენ. ულუ დავითმა გადაწყვიტა, რომ თათრებთან შეთანხმების გზას დადგომოდა. მოციქულები გაგზავნა შეთანხმების პირობების გასაგებად. გამამხნევებელი პასუხის მიღების შემდეგ იგი ჯერ თბილისში გადმოვიდა, შემდეგ კი ჰულაგუ ყაენის ურდოშიც გაემგზავრა. ჰულაგუ ყაენიც დაინტერესებული იყო საქართველოს შემორიგებით, რადგან ამ დროს მომწიფდა კონფლიქტი ჩრდილოეთის მონღოლურ სახელმწიფოს – ოქროს ურდოსა და ილხანების საყაენოს შორის. საქართველოს პოზიციას ამ კონფლიქტში ირანის ილხანთა სახელმწიფოსათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ ჰულაგუ ყაენსა და დავით ულუს შორის თანხმობა ჩამოვარდა.

ჯერ კიდევ საქართველოს გაყოფამდე (1259 წლამდე) თბილისის ზარაფხანაში ჰიჯრის 652-659 წლებში (=1254-1261 წწ.) მანგუ ყაენის სახელით იჭრება ვერცხლის, ხოლო 652-654 წლებში (=1254-1257 წწ.) ამავე ტიპის სპილენძის მონეტები. ვერცხლის მონეტას ასეთი სახე აქვს:

შუბლი – მორკალულ კვადრატში მოთავსებულია სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „მანგუ ყაენი – უმაღლესი – სამართლიანი". კვადრატსა და რკალს შორის ოთხ სეგმენტში არაბულადვე მოჭრის ადგილი – თბილისი.

ზურგი – რკალისა და კვადრატის ასეთსავე შერწყმის ცენტრში – სამსტრიქონიანი რელიგიური ფორმულა არაბულად: „არ არის ღმერთი, გარდა ალაჰისა ერთისა, არა ჰყავს მას თანაზიარი". სეგმენტებში არაბულადვე მოცემულია თარიღი, რომელიც შეიცავს არა მარტო წელს, არამედ თვესაც, ზოგჯერ კი – დღესაც (ტაბ. XVI, № 107).

მანგუ ყაენის სახელით მოჭრილი ფელსები ისეთივეა, როგორც ზემოთაღწერილი ვერცხლის მონეტები. ამიტომ მის აღწერას არ ვიძლევით (ტაბ. XVI, №№ 105-106).

მანგუ ყაენის სახელით თბილისში მოჭრილ მონეტებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ასეთი დეტალი: იდენტური ტიპის მონეტა მონღოლთა ვრცელ სამფლობელოში არსად არ იჭრება. თბილისური სამონეტო ტიპი ორიგინალურია, განსხვავებით მონღოლთა სხვა ზარაფხანების მიერ გამოშვებული შაბლონური ნახაზის ფულისაგან. ამ გარემოებას მეცნიერთა ერთი ნაწილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, ხედავს ამ ფაქტში საქართველოს პოლიტიკური სტატუსის თავისებურებას, მის ერთგვარ დამოუკიდებლობას მონღოლთა იმპერიის ფარგლებში. მათი აზრით, თითქოს ამაზე მიუთითებს აგრეთვე მანგუ ყაენის მონეტაზე მოთავსებული რელიგიური ფორმულის გადმოცემის ფორმა: „არ არს ღმერთი, გარდა ალაჰისა ერთისა, არა ჰყავს მას თანაზიარი". ვინაიდან აქ მუჰამედი არაა მოხსენიებული, იგი მისაღები იყო ქრისტიანი მოსახლეობისთვისაც. ეს მთლად მართებული არ უნდა იყოს, რადგან მონეტაზე მოთავსებულია მუსლიმური სამყაროსათვის ჩვეულებრივი, ტრაფარეტული რელიგიური ფორმულა, და იქ რაღაც პოლიტიკური ნიუანსის დანახვა ძალიან გაჭირდება. მაგრამ ერთი კი ცხადია: საქართველოში მონეტა ყოველთვის მონღოლთა უზენაესი მმართველის სახელით იჭრება და არა უშუალოდ იმ ქვეყნის მბრძანებლისა, რომელსაც ის ემორჩილებოდა. ასე, მაგალითად, ცნობილია, რომ 1256 წლიდან საქართველო დაემორჩილა ირანის ილხანთა ყაენს – ჰულაგუს, მაგრამ თბილისის ზარაფხანა მაინც დემონსტრაციულად მანგუს სახელით უშვებს მონეტებს, ხაზს უსვამს ამით იმას, რომ საქართველო მონღოლთა უზენაესი ხელისუფლების ვასალია და არა ჰულაგუსი. პროფ. ევგ. პახომოვი ამასთან დაკავშირებით წერდა: „имя Хулагу ни разу не встречается на произведениях Тифлисского монетного двора, намек на то, что Грузия считалась тогда уделом не Хулагу, бившего беспрепятственно свою монету в Багдаде, Мосуле и др. городах, а непосредственно Каана. Самый тип характерен для Тифлиса и нигде более не встречается".

დაბოლოს, თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი მანგუ ყაენის მონეტების წონის შესახებ. ვერცხლის მონეტების საშუალო წონაა 2,62 გრამი, ხოლო სპილენძისა – 4,58 გრამი (დიდი ზომის მონეტებისათვის) და 2,05-2,90 გრამი (მცირე ზომის ფელსებისათვის). ჩანს, იჭრებოდა სპილენძის მონეტების ორი ნომინალი.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთვის საინტერესო მონეტების გარკვეულ ნაწილზე არაბული ზედწერილები დამახინჯებულია. ასეთი ეგზემპლარები ხშირად გვხვდება განძებში მანგუ ყაენის კლასიკურ დირჰემებთან ერთად. მაგრამ ვინაიდან არც წონით და არც სინჯით ისინი არაფრით განსხვავდება ამ უკანასკნელებისაგან, მათი ყალბ მონეტებად მიჩნევა შეუძლებელია.

მანგუ ყაენის სახელით მოჭრილ მონეტებს ქრონოლოგიურად მოსდევს ე. წ. „ყაანურები". ტერმინი „ყაანური" მომდინარეობს მონეტის შუბლის ლეგენდიდან – „ყაან სამართლიანი". ისინი ორი ტიპისაა. პირველი ტიპის ვერცხლის „ყაანურის" აღწერილობა ასეთია:

შუბლი – რთული გრეხილგეომეტრიული ექვსქიმიანი ვარსკვლავი, რომლის ცენტრში ორსტრიქონიანი არაბული ზედწერილია: „ყაან – სამართლიანი“.

ზურგი – შემორკალულ ოთხკუთხაფიგურიან ჩარჩოში სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „არ არს ღმერთი, გარდა ალაჰისა ერთისა, არა ჰყავს მას თანაზიარი“. ჩარჩოსა და რკალს შორის სეგმენტებში არაბულადვე – მოჭრის ადგილი (თბილისი) და თარიღი (წელი, თვე).

მონეტის საშუალო წონაა 2,66 გრამი („ყაანურებისთვის“ იხ. ტაბ. XVI, № 108-109).

მეორე ტიპის „ყაანურები“ ზემოთ აღწერილისაგან განსხვავდება მონეტის ზურგის დეტალებით, კერძოდ, სეგმენტებში აქ მოთავსებულია ორნამენტი, ხოლო თარიღი – რელიგიური სიმბოლოს პირველსა და მეორე სტრიქონს შორის. თარიღი მომცრო არაბული ნიშნებით არის გადმოცემული და 663-678 ჰიჯრის (= 1264-1280 წწ.) რომელიმე ერთ-ერთ წელს შეიცავს. მათი საშუალო წონაა 2,61 გრამი.

როგორც ვხედავთ, თბილისის ზარაფხანა „ყაანურების“ სახით კვლავ ანონიმურ მონეტებს ჭრის. რით იყო ეს განპირობებული? 1259 წელს გარდაიცვალა მანგუ ყაენი და მონღოლეთში კვლავ ატყდა გააფთრებული ბრძოლა ტახტისათვის. ამ ბრძოლაში გაიმარჯვა ხუბილაიმ. შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების გამო, რაც გამოწვეული იყო ტახტისათვის მოქიშპეობით, ჰულაგუ ყაენმა თავის სამფლობელოში დაიწყო ანონიმური მონეტების ემისია „ყაან სამართლიანის“ ეპითეტით, რომელიც თანაბრად მიესადაგებოდა ნებისმიერ გამარჯვებულ პრეტენდენტს. ასევე მოიქცნენ საქართველოს მესვეურნიც. თბილისის ზარაფხანა 1259 წლიდან ვიდრე 1280 წლამდე ანონიმურ მონეტებს ჭრიდა.

უნდა აღინიშნოს რომ ვერცხლის „ყაანურები“ ტექნიკური თვალსაზრისით კარგად არის მოჭრილი და მათი სინჯიც ძალიან მაღალია – 916.

ვერცხლის „ყაანურების“ გარდა იჭრებოდა სპილენძის „ყაანურებიც“, მაგრამ, როგორც ფაქტობრივი მასალა მოწმობს, ძალიან მცირე რაოდენობით. მათი უადრესი ეგზემპლარი ჰიჯრის 675 წლით (= 1276/77 წწ.) თარიღდება (ტაბ. XVI, №№ 110, 111).

ჰიჯრის 680 წელს (= 1281/82 წწ.) მონეტის ტიპი საქართველოში კვლავ იცვლება. იწყება ფრიად თავისებური და ორიგინალური დირჰემების ემისია, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ქართულ-ჰულაგუიდური მონეტების სახელწოდებითაა ცნობილი. პირველად მონღოლთა გაბატონებიდან საქართველოში, თბილისში მოჭრილ მონეტებზე თავსდება ილხანთა სახელები, მაგრამ ქრისტიანულ ლოცვასთან და ჯვრის გამოსახულებასთან ერთად. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო იყო ერთადერთი ჰულაგუიდების ქვეშევრდომთაგან, ვინც თავს უფლებას აძლევდა მონეტებზე ქრისტიანული ლოცვა მოეთავსებინა. ეს კი, რა თქმა უნდა, ილხანთა მხრიდან დიდი კომპრომისი იყო და პირდაპირი მაჩვენებელია

საქართველოს განსაკუთრებულ მდგომარეობისა ჰულაგუიდთა სახელმწიფოში. ქართულ-ჰულაგუიდური მონეტების ემისია გრძელდებოდა ჰიჯრის 680-694 წლებში (= 1281/82-1294/95 წწ.). მათ ასეთი სახე აქვთ:

შუბლი – ხუთსტრიქონიანი უილურული წარწერა, რომელიც აბაღა ილხანის (1265-1282 წწ.) სახელს გადმოგვცემს.

ამ სახელის გარდა, ქართულ-ჰულაგუიდურ მონეტებზე გვხვდება აჰმედის (1282-1284 წწ.), არღუნის (1284-1291 წწ.), ქეღათუს (1291-1295 წწ.) და ბაიდუს (1295 წ.) სახელები.

ზურგი – შემორკალულ კვადრატში ოთხ სტრიქონად განლაგებულია არაბულად გადმოცემული ქრისტიანული ლოცვა: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ღვთისა ერთისა" და ქრისტიანულივე ემბლემა – ჯვარი. თარიღი აქაც კვადრატსა და რკალს შორის დარჩენილ სეგმენტებში თავსდება (ქართულ-ჰულაგუიდურებისთვის იხ. ტაბ. XVII, №№ 114-119).

ქართულ-ჰულაგუიდურ მონეტებზე, როგორც წესი, ემისიის ადგილი არ აღინიშნებოდა. მაგრამ პროფესორ დ. კაპანაძის ცნობით, აზერბაიჯანის ისტორიულ მუზეუმში (ქალაქი ბაქო) დაცულია ერთი ასეთი დირჰემი არაბული წარწერით: „იჭედა თბილისს".

აღსანიშნავია, რომ აჰმედის სახელით აღბეჭდილ დირჰემზე ჯვრის ნიშანი ვარსკვლავითაა შეცვლილი, რასაც იმას მიაწერენ, რომ ჰულაგუიდებიდან მან პირველმა მიიღო ისლამი და მოინდომა ქრისტიანობის სიმბოლოს – ჯვრის განდევნა მონეტიდან. ამის შემდეგ ილხანთა სახელებს არაბულად იმეორებენ უილურული ზედწერილის შემდეგ. აჰმედის მემკვიდრეების სახელით მოჭრილ ქართულ-ჰულაგუიდურ მონეტებზე ჯვრის გამოსახულება კვლავ თავის ადგილს იკავებს.

ქართულ-ჰულაგუიდურ მონეტებს კიდევ ერთი სიახლე ახასიათებს: მათი ემისიით, პირველად ქართული ნუმიზმატიკის ისტორიაში, ხმარებაში შემოდის უილურული შრიფტი.

ქართულ-ჰულაგუიდური დირჰემის საშუალო წონაა 2,17 გრამი. როგორც ვხედავთ, ის საგრძნობლად ჩამორჩება „ყაანურების" წონას. ასევე დაბალია მათი სინჯი – 875.

ქართულ-ჰულაგუიდური დირჰემების პარალელურად იჭრებოდა აგრეთვე იმავე ტიპის სპილენძის მონეტებიც. ფელსებზე თარიღები თითქმის ყოველთვის დამახინჯებული, ან გადასულია და მათი ქრონოლოგიის დადგენა ხერხდება მხოლოდ ილხანთა სახელის საშუალებით.

1270 წელს გარდაიცვალა დავით ულუ და ყაენმა აღმოსავლეთ საქართველოს ტახტზე დაამტკიცა მისი მცირეწლოვანი ვაჟი დემეტრე II (1270-1289 წწ.). 1280 წლიდან დემეტრე II იწყებს წმინდა ნაციონალური ხასიათის სპილენძის მონეტების ემისიას, რომელთაც ასეთი სახე აქვთ:

შუბლი – რთული ორნამენტული ჩარჩო, რომელიც რუსუდანის სპილენძის მონეტაზე მოთავსებული ჩარჩოს მსგავსია. ცენტრში ორი მთავრული ასო დ და ე ანუ დემეტრე; ჩარჩოს გარე ბუდეებში – სხვადასხვანაირად განლაგებული ქართული წარწერები: „მეფე“ ან „მეფეთ მეფე“ და იშვიათ შემთხვევაში ქორონიკონი 500 (= 1280 წ.).

ზურგი – ცენტრში ისეთივე ნიშანია, როგორიც თამარისა და დავითის მონეტაზე, ოღონდ ის აქ უფრო ლამაზადაა შესრულებული (პროფესორი დ. კაპანაძე მას ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშანს ეძახის, სინამდვილეში კი ის თამარისა და დავითის სახელების აღმნიშვნელი რთული მონოგრამაა). შემორკალული ნიშნის ირგვლივ ასომთავრულად დაქარაგმებული ქრისტიანული ლოცვა: „გვრწამს მამაი, ძეი და სული წმინდაი“ (ტაბ. XVII, №№ 112-113).

დემეტრე II ქართულწარწერიანი სპილენძის მონეტაზე მოთავსებული ლოცვა თითქმის ისეთივეა, როგორც ქართულ-ჰულაგუიდურ დირჰემებზე და მათი სინქრონულობა უეჭველია. ამ სამონეტო ტიპის ვარიანტთა რიცხვი საკმაოდ მრავალია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ცნობილია დემეტრე II-ის მონეტების ერთი ეგზემპლარი (დაცულია თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში), რომელზედაც 506 ქორონიკონია მოთავსებული (= 1286 წ.).

დემეტრე II-ის სპილენძის მონეტების წონა 1,68-3,20 გრამებში მერყეობს.

დემეტრე II-ის 1280-1286 წლებში მოჭრილი სპილენძის მონეტები აშკარა მანიშნებელია მონღოლთა უღლის სიმძიმის შესუსტებისა და საქართველოს პოლიტიკური ავტორიტეტის ზრდისა. ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ ქართველთა მეფეს დიდი პირადი მეგობრობა აკავშირებდა არღუნ ყაენის პირველ მრჩეველთან – ბულასთან. მაგრამ როდესაც 1288 წელს არღუნის წინააღმდეგ შეთქმულება გამომჟღავნდა და მისი მოთავეობა ბულას დაბრალდა, ვითარება შეიცვალა. არღუნმა სიკვდილით დასაჯა როგორც ბულა, ასევე დემეტრი II (1289 წ. 12 მარტს).

1292 წელს აღმოსავლეთ საქართველოს ტახტზე ილხანმა ქეღათუმ დაამტკიცა დემეტრე II-ის ვაჟი დავით VIII (1293-1311 წწ.). მისი მეფობის პირველ წლებში საქართველოსა და ირანის ილხანთა სახელმწიფოს ურთიერთობა ნორმალურად ვითარდებოდა. მაგრამ როდესაც ილხანთა ტახტისათვის ბრძოლაში ყაზანმა ბაიდუ დაამარცხა (1295 წ.), რომელსაც მხარს დავით VIII უჭერდა, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა გამწვავდა.

1297 წელს ყაზან-ყაენმა დავით VIII-ს მოსთხოვა მასთან გამოცხადებულიყო ირანში. ეს უკანასკნელი, ეშინოდა რა ყაზანის შურისძიებისა (მამის მაგალითი წინ ჰქონდა), მთებში გაიხიზნა და ოქროს ურდოსთან გააბა კავშირი. იგი შეპირდა ჩრდილოეთ ულუსის მბრძანებლებს, რომ თავისუფლად გაატარებდა თავის სამფლობელოზე ირანის წინააღმდეგ მათ ლაშქარს. ამან შეაფიქრიანა ყაზან-ყაენი, მან მიუტევა „შეცოდება“ დავით VIII-ს ერთი პირობით: საქართველოს მეფე შეწყვეტდა ყოველგვარ კავშირს ოქროს ურდოსთან. სიტყვიერად დავით VIII თითქოს დათანხ-

მდა ამ მოთხოვნაზე, მაგრამ საქმით იგი არ ენდობოდა ირანის მბრძანებელს და სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია ბრძოლა მის წინააღმდეგ.

ყაზან-ყაენი, ითვალისწინებდა რა საქართველოს სტრატეგიულ მნიშვნელობას ირანისათვის, გარკვეულ დათმობებზე მიდიოდა დავით VIII-ს წინაშე. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, კომპრომისის ერთ-ერთი მაჩვენებელი უნდა იყოს ის ფაქტი, რომ მან საქართველოს მეფეს მისცა უფლება სამონეტო ემისიისა საკუთარი სახელით. დავით VIII ჭრიდა როგორც ვერცხლის, ასევე სპილენძის მონეტებს, ოღონდ სხვადასხვა წლებში. ვერცხლის მონეტების აღწერილობა ასეთია:

შუბლი – ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „ფადიშაჰი უზენაესი, სულთანი მაჰმუდ ყაზან ყაანი, ხანგრძლივ ჰყოს ღმერთმა მეფობა მისი".

ზურგი – კვადრატულ ჩარჩოში არაბულად გადმოცემულია ოთხსტრიქონიანი ქრისტიანული ლოცვა, როგორც ქართულ-ჰულაგუიდურ მონეტებზე, მაგრამ აქ ჯვრის ნაცვლად მოთავსებულია დაქარაგმებული ქართული წარწერა: „მეფე დავით". სეგმენტებში თარიღი, რომელიც შერჩენილი ფრაგმენტების მიხედვით ჰიჯრის 696 წელს (= 1296/97 წწ.) აღნიშნავს. მონეტაზე მოთავსებული თვეების მიხედვით გაირკვა, რომ ამ მონეტების ემისია გრძელდებოდა 696 წ. ოთხი თვის განმავლობაში – მეშვიდე, მერვე, მეცხრე და მეათე თვის მანძილზე, რაც ჩვენი წელთაღრიცხვის 1297 წლის აპრილ-ივლისს შეესატყვისება. გრძელდებოდა თუ არა მათი ემისია შემდეგ, ცნობილი არაა (ტაბ. XVIII, № 120).

მონეტის საშუალო წონა 2,44 გრამია, ე. ი. ინარჩუნებს ქართულ-ჰულაგუიდური დირჰემის წონას (იმავე წელს მოჭრილი სპილენძის მონეტისათვის იხ. ტაბ. XVIII, № 122).

დოცენტი თ. ლომოური, რომელიც სპეციალურად სწავლობდა ზემოთ აღწერილ მონეტებს, თვლიდა, რომ ისინი იჭრებოდა ყაზან-ყაენის საფინანსო რეფორმის შემდეგაც, როდესაც ირანისა და მისი სამფლობელოს მთელს ტერიტორიაზე მოხდა სამონეტო საქმის უნიფიკაცია და დაიწყო საერთო ჰულაგუიდური ტიპის მონეტების ემისია. ეს ღონისძიება კი ჰიჯრის 698 წელს ჩატარდა. თ. ლომოურის ეს მოსაზრება ფაქტობრივი მასალით არ დასტურდება: დავით VIII-ის ვერცხლის მონეტები (უკლებლივ ყველა) ჰიჯრის 696 წლითაა დათარიღებული (= 1296/97 წწ.).

დავით VIII-სა და ყაზან-ყაენს შორის ეფემერული ზავი მალე დაირღვა. დავით VIII ისევ მთებში გაიხიზნა, სავარაუდოა მთიულეთში, ან ხევში (იხ. თ. ლომოურის წერილი „დავით VII და ვახტანგ III ფულები", საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XV-B) და იქიდან განაგრძობდა ბრძოლასაც და სამონეტო საქმიანობასაც. საპასუხოდ, ყაზან-ყაენმა აღმოსავლეთ საქართველოს მეფედ მისი ძმა ვახტანგ III დაამტკიცა, რომელიც ასევე ჭრიდა მონეტებს. ეს მონეტები ქრონოლოგიურად წინ უსწრებს დავით VIII-ის ფელსებს, მაგრამ რომ არ დავარღვიოთ თანამიმდევრობა, ჯერ მათ აღვწერთ. აღსანიშნავია, რომ დავით VIII-ის სპილენძის

მონეტები დემეტრე II-ის მონეტის თითქმის სრულ ანალოგიას წარმოადგენს იმ განსხვავებით, რომ ისინი უფრო მცირე ზომისა და წონისაა.

შუბლი – ორნამენტული ჩარჩოს ცენტრში ჩასმულია დავითის სახელის ასოთა შეწიალებული დაქარაგმება, ხოლო ბუდეებში ქართულივე დაქარაგმებული წარწერა: „მეფეთა მეფე" და ქვემოთ ზოგჯერ 530 ქორონიკონის შემცველი ნიშნები (= 1310 წ.).

ზურგი – მოხდენილად გამოყვანილი „ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშანი" (პროფესორ დ. კაპანაძის ტერმინოლოგიით), რომელსაც შემოვლებული აქვს ასომთავრულად შესრულებული ქრისტიანული ლოცვა. ზოგჯერ ამ ნიშნის გვერდით მარცხნივ და მარჯვნივ მოთავსებულია ქორონიკონი 530 (= 1310 წ.) (ტაბ. XVIII, № 123).

ამრიგად, ზოგ ცალზე თარიღი მონეტის შუბლზეა, ზოგზე კი – ზურგზე. გვხვდება ისეთებიც, რომლებზედაც თარიღი სულ არაა.

დავითის სპილენძის მონეტების ისტორიულ-პოლიტიკური მნიშვნელობა თავისთავად ცხადია. მიუხედავად იმისა, რომ იგი საქართველოს მიკროსკოპიულ ტერიტორიას აკონტროლებდა, სახელმწიფოებრივი სტატუსი, როგორც ჩანს, მას არ დაუკარგავს. ამის პირდაპირი მაჩვენებელია სამონეტო რეგალიის განხორციელება ურჩი დავითის მიერ. ეს ერთი. მეორეც, უაღრესად საინტერესოა იმ პუნქტის ლოკალიზაცია, სადაც დავითის სპილენძის მონეტები იჭრებოდა, რადგან დადგინდება საქართველოში კიდევ ერთი ზარაფხანის არსებობის ფაქტი. სამწუხაროდ, თვით მონეტაზე გამოშვების ადგილი დაფიქსირებული არ არის, მაგრამ უეჭველია, რომ მათი ემისია სადღაც მთაში, ჟინვალში ან სტეფანწმინდაში წარმოებდა, როგორც ამას თ. ლომოური ვარაუდობდა.

ამრიგად, დავით VIII-ის ვერცხლის მონეტები იჭრებოდა 1297, ხოლო სპილენძის – 1310 წელს. ამ წლებს შორის ხარვეზი შევსებულია კიდევ ერთი ეროვნული სამონეტო ჯგუფით, რომელიც დავითის ძმას ვახტანგ III-ს ეკუთვნის. ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული ქრონოლოგიის თანახმად, იგი 1302-1303 წლებში მეფობდა, მაგრამ, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ეს თარიღი აშკარად მოითხოვს კორექტივს. ვახტანგ III, ისევე როგორც მისი ძმა, ჭრის ვერცხლისა და სპილენძის მონეტებს. ვერცხლის მონეტები ძირითადად ქართულ-ჰულაგუიდური დირჰემის მსგავსია, თუმცა მის სახესხვაობას წარმოადგენს. ვიძლევით მის აღწერილობას:

შუბლი – ოთხსტრიქონიანი უიღურული ზედწერილი: „დიდი ხაკანის ნაცვალის ყაზანის სახელით ნაჭედი".

ზურგი – მორკალული ჯვრის ნიშანი, რომლის ირგვლივ არაბულად განლაგებულია ქრისტიანული ლოცვა და მოცემულია ასომთავრული ნიშნების ორი მონოგრამა, რომელიც იშიფრება როგორც „მეფე ვახტანგ". ჩარჩოს გარეგან სეგმენტებში არაბულად აღნიშნულია თარიღი: „იჭედა წელსა 698" (= 1298/99 წწ.) და გამოშვების რომელიმე ერთ-ერთი თვე (სამონეტო ტიპისთვის იხ. ტაბ. XVIII, № 121).

ვახტანგ მეფის ჰიჯრის 699 წლით (=1299/1300 წწ.) დათარიღებული ვერცხლის მონეტა ზემოაღწერილისაგან უმნიშვნელო დეტალით განსხვავდება: ჯვრის ტოტებს შორის აქ ჩასმულია თითო წერტილი ან ვარსკვლავი.

როგორც წესი, ვახტანგ III-ის დირჰემებზე მოჭრის ადგილი არ აღინიშნებოდა, მაგრამ ჩვენამდე მოაღწია რამდენიმე ეგზემპლარმა წარწერით „იჭედა თბილისს".

ვახტანგ III-ის დირჰემები ძვირფასი ისტორიული წყაროა, ვინაიდან ის აზუსტებს მისი ტახტზე ასვლის ნამდვილ თარიღს. ამას ყურადღება მიაქცია ჯერ კიდევ თ. ლომოურმა და ნუმიზმატიკური მონაცემების საფუძველზე შეიტანა კიდეც სათანადო კორექტივი ჩვენ მეფეთა ქრონოლოგიაში. მისი აზრით, ვინაიდან ვახტანგი 1298/99 წლებით დათარიღებულ ვერცხლის მონეტაზე უკვე მეფედ იხსენიება, იგი ტახტზე ავიდა არა 1302, არამედ სწორედ 1298/99 წელს. მეტიც: ეს თარიღიც მოითხოვს გადასინჯვას. საქმე ის გახლავთ, რომ სულ უკანასკნელ ხანებში ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ც. ღვაბერიძემ მიაკვლია ვახტანგ III-ის სახელით მოჭრილ ვერცხლის მონეტას, რომელიც ჰიჯრის 697 წელსაა (=1297 წ.) მოჭრილი (ტაბ. XVIII, № 121).

ამრიგად, ვახტანგ III-ის გამეფების ჭეშმარიტი თარიღი გახლავთ 1297 წელი. ეს თარიღი კარგად ეთანხმება XIV საუკუნის სპარსელი ისტორიკოსის რაშიდ-ედ-დინის ცნობას იმის შესახებ, რომ 1297 წლის ნოემბერში დავით VIII განუდგა ყაზან-ყაენს. ამასთან დაკავშირებით XIV საუკუნის ქართველი ისტორიკოსი, რომელსაც პირობითად ჟამთააღმწერელს ვუწოდებთ, გვაუწყებს: „და ვერღარა თავს-იდვა ვახტანგ უპატიოდ ყოფნა, და წარვიდა ურდოს ყაზანის თანა. ხოლო მან კეთილად შეიწყნარა და მისცა მეფობა. და წარმოატანა ხუტლუ-ბუღა ნოინი სპითა უძლიერესითა, და მოვიდა ტფილისს" (ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 308).

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, თითქოს ვახტანგ III-ის გამეფების შემოთავაზებული თარიღი ეჭვს არ უნდა იწვევდეს, იგი დღემდე სათანადოდ არაა ასახული ქართულ საისტორიო სამეცნიერო ლიტერატურაში, რაც, ცოტა არ იყოს, გაოცებას იწვევს.

ვახტანგ III ვერცხლის მონეტების გარდა სამი ტიპის სპილენძის ფულსაც ჭრიდა.

სპილენძის მონეტის პირველი ტიპი მისი დირჰემების სრული ანალოგიაა და ამიტომ მას არ აღვწერთ (ტაბ. XVIII, № 124). მეორე ტიპს ასეთი სახე აქვს:

შუბლი – სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „ხელმწიფე მსოფლიოსი, ყაზან მაჰმუდ, ხანგრძლივ იყოს მეფობა მისი". მესამე სტრიქონქვეშ ასომთავრულით შესრულებული ორი მონოგრამა, ისეთივე, როგორც მის ვერცხლის მონეტებზე: „ვახტანგ მეფე".

ზურგი – შემორკალულ ჩარჩოში სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „არ არს ღმერთი გარდა ალაჰისა ერთისა, არა ჰყავს მას თანაზიარი“ (ტაბ. XVIII, № 125).

ზემოთ მოხსენიებულ პირველი და მეორე ტიპის მონეტაზე თარიღი შემორჩენილი არაა. მაგრამ ვინაიდან, როგორც დავრწმუნდით, ვახტანგ III ტახტზე 1297 წელს ასულა, ხოლო ყაზან ყაენი 1304 წელს გარდაიცვალა, პირველი და მეორე ტიპის სპილენძის მონეტების ემისიაც, ცხადია, ამ თარიღებს შორის უნდა მოთავსდეს.

ვახტანგ III-ის ფელსის მესამე ტიპი ასეთია:

შუბლი – ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „სულტანი უმაღლესი, ღიას ედ დუნია ვედდინი, ხუდაბენდე მუჰამედ, ხანგრძლივ ჰყოს ღმერთმა მეფობა მისი“. ზედწერილი მოთავსებულია კვადრატულ ჩარჩოში. ჩარჩოს გარეთ გაურკვეველი წარწერაა.

ზურგი – სამსტრიქონიანი არაბული ლეგენდა: „არ არს ღმერთი გარდა ალაჰისა, მუჰამედი ალაჰის მოციქულია“. ქვემოთ ვახტანგის სახელი, გადმოცემული სამი ქართული ასოსაგან შემდგარი მონოგრამით (ტაბ. XVIII, № 126).

ეს სამონეტო ტიპი 1304-1308 წლებით უნდა დათარიღდეს, ვინაიდან ხუდაბენდე მუჰამედი (ოლჯაითუ) ტახტზე 1304 წელს ავიდა, ხოლო ვახტანგ III 1308 წელს გარდაიცვალა.

ამავე კატეგორიას ეკუთვნის მხოლოდ ერთ ცალად ცნობილი მონეტა, რომელიც ვახტანგის სპილენძის მონეტების მესამე ტიპის იდენტურია. განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ ვახტანგის მონოგრამა აქ შეცვლილია ასო გ-ითი, რაც, ალბათ, გიორგის ინიციალია. ისტორიული წყაროების მონაცემებით ასეთი პიროვნება ამ ხანებში მართლაც არსებობს. ეს გახლავთ დავით VIII-ს ვაჟი გიორგი VI მცირე, რომელიც ჯერ კიდევ 1309 წელს დაამტკიცეს აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ტახტზე. ბუნებრივია, ეს მონეტაც მას დაუკავშირეს. მაგრამ ასეთი ატრიბუციის წინააღმდეგ აზრი გამოთქვა ევგ. პახომოვმა იმ მოტივით, რომ მონეტის არე, სადაც გიორგის აღმნიშვნელი ინიციალია მოთავსებული, დაზიანებულია და იგი დარწმუნებული არაა ამ ასოს სწორად წაკითხვაში.

დაბოლოს უნდა შევეხოთ ფრიად ორიგინალურ სპილენძის მონეტების ჯგუფს, რომელთა ატრიბუცია დღესაც სადისკუსიოა. მოგვყავს ყველაზე უფრო დამახასიათებელი ასეთი სპილენძის მონეტების აღწერილობა:

1. **შუბლი** – ოთხსტრიქონიანი უილურული ზედწერილი: „ყაანის სახელით ჭედა აბაღამ“.

ზურგი – ტოლმკლავა ჯვრის ტოტებს შუა სომხურად დაქარაგმებულია „ღმერთი იესო ქრისტეს“ ინიციალები. ჯვრის ტოტების პარალელურად ოთხივე მხრიდან არაბული ზედწერილია: „სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა, ღვთისა ერთისა“.

ამ მონეტის მოსაჭრელად პროტოტიპად გამოყენებულია ქართულ-ჰულაგუიდური დირჰემი, რომელთა ემისია 1281/82 წლებში დაიწყო და 1294/95 წლებამდე გრძელდებოდა. ამიტომ მათი დათარიღება XIII ს. მიწურულით სრულიად უეჭველია.

2. **შუბლი** – ვახტანგ III დირჰემებისა და ასეთივე ფელსების სრული განმეორებაა იმ განსხვავებით, რომ ჯვრის გარშემო განლაგებული ზედწერილი ძალიან დამახინჯებულია. თარიღის ნაცვლად სეგმენტებში სრულიად გაურკვეველი ნიშნებია.

ზურგი – უხეშად შესრულებული მარჯვნივ მიმართული ლომი, ზურგზე სხივოსანი მზის გამოსახულებით (ე. წ. „რანკ"-ი).

ვინაიდან ეს მონეტა შუბლის მხრიდან ვახტანგ III-ის დირჰემისა და ფელსების იმიტაციაა, მისი დათარიღება ასევე XIII საუკუნის დასასრულით ეჭვს არ იწვევს.

3. **შუბლი** – შემორკალურ კვადრატულ ჩარჩოში მოთავსებულია ჯვრის გამოსახულება. სეგმენტებში თარიღის ნაცვლად გაურკვეველი ნიშნები.

ზურგი – ე. წ. „რანკი", როგორც წინა მონეტაზე.

ამ მონეტის სინქრონულობაც ზემოთ აღწერილ ორ მონეტასთან ასევე არავითარ ეჭვს არ იწვევს.

ვის შეეძლო განეხორციელებია მათი ემისია?

პროფესორი ევგ. პახომოვი თვლიდა, რომ მათ ჭრიდა ჰულაგუიდების ეგიდის ქვეშ მყოფი რომელიმე სომხური პოლიტიკური წარმონაქმნი. გარდა ამისა, მას მიაჩნია, რომ სომხურწარწერიანი მონეტები წინ უსწრებდა ქართულ-ჰულაგუიდურ დირჰემებს და ამ უკანასკნელთათვის პროტოტიპს წარმოადგენდა.

ევგ. პახომოვის ჰიპოთეზის წინააღმდეგ თავიანთი აზრი გამოთქვეს ქართველმა მეცნიერებმა – პროფესორმა დ. კაპანაძემ და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ირ. ჯალალანიამ. მათი შეხედულების თანახმად, სრულებით დაუშვებელია, რომ სპილენძის მონეტები, რომელთაც ლოკალური მნიშვნელობა და ხურდა ფულის ფუნქცია გააჩნდა, საფუძვლად დადებოდა ისეთ მრავალრიცხოვან და ფართოდ გავრცელებულ ვერცხლის მონეტების ტიპოლოგიას, როგორიც იყო ქართულ-ჰულაგუიდური დირჰემები. ეს ძალიან ძლიერი არგუმენტია. ორივე მეცნიერი თვლიდა (და სავსებით სამართლიანად), რომ ამ ანონიმური სპილენძის მონეტების ემისია უნდა განხორციელებულიყო რომელიმე ქართულ პროვინციაში, სადაც სომხური მოსახლეობა სჭარბობდა და არსებობდა მონეტის მოჭრის ტრადიცია. ასეთი ცენტრი მათ თვით ამ სამონეტო ჯგუფის აღმოჩენის ადგილმა მიუთითა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მათგანი აღმოჩენილია დმანისის არქეოლოგიური გათხრების დროს 1937-1938 წლებში მართლაც, ძნელია მოიძებნოს უფრო შესაფერისი ადგილი, ვიდრე დმანისია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ 1244/45 წლებში აქ მოიჭრა დავით ნარინის სპილენძის მონეტები და ამრიგად აქ, XIII საუკუნეში, ზარაფხანის არსებობის ფაქტი დოკუმენტურად დადასტურებულია. მეო-

რეც, დმანისი (და საერთოდ ქვემო ქართლი) ეთნიკურად ყოველთვის ჭრელი იყო და მესამე: როდესაც მცირეწლოვანი დემეტრე II ყაენმა ტახტზე დაამტკიცა, მას მეურვედ მონღოლების ერთგული კაცი – სადუნ მანკაბერდელი დაუნიშნა. მისი დამლუპველი მოღვაწეობა საქართველოსათვის ძალიან კარგადაა ცნობილი. ჩვენ ამჟამად ის ფაქტი გვაინტერესებს, რომ მან თავისი გაიძვერობით ხელში ჩაიგდო დმანისი და თითქმის ცალკე პოლიტიკურ ერთეულად აქცია. ყველაფერი ეს ერთად აღებული თითქოს არ გამორიცხავს ზემოთ აღწერილი სპილენძის მონეტების ემისიას დმანისის ზარაფხანაში.

აღმოსავლური მონეტების მიმოქცევა საქართველოში XI საუკუნეში – XIII საუკუნის დასაწყისში

XI საუკუნე რთული პერიოდია საქართველოს ისტორიაში. ჯერ ბიზანტია ერევა აქტიურად მის საქმეებში (გიორგი I-ის დროს საქმე საომარ მოქმედებამდეც კი მივიდა), ხოლო შემდეგ – სელჩუკები.

დიდ სელჩუკთა იმპერია შეიქმნა სისხლისმღვრელი ომების შედეგად და მის შემადგენლობაში არაერთი ქვეყანა მოექცა ცენტრალური აზიიდან პალესტინამდე. სელჩუკთა სახელმწიფო ძირითადად ერაყისა და ირანის ტერიტორიას მოიცავდა. XI საუკუნის შუა წლებიდან ფეოდალიზაციის შედეგად წარმოიქმნა რამდენიმე ცალკეული პოლიტიკური ერთეული სირიაში (1078-1117 წწ.), ქირმანში (1041-1186 წწ.), ანატოლიაში. მათ შორის ყველაზე დიდხანს (1077-1308 წწ.) იარსება რუმის სასულთნომ (კონიის, იკონიის სასულთნო), რომელიც მცირე აზიაში ჩამოყალიბდა და რომელიც ბიზანტიის ნაცვლად სამხრეთ-დასავლეთით გაუმეზობლდა საქართველოს.

თურქული მოსახლეობა ძირითადად მომთაბარე-მეჯოგე მეურნეობას მისდევდა და განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ ინტენსიური მეურნეობის მიმდევარ ფეოდალურ საზოგადოებას უპირისპირდებოდა. ასეთი განსაცდელის წინაშე საქართველო მანამდე არასოდეს ყოფილა. არაბები, მაგალითად, ცდილობდნენ საქართველოს ფეოდალური მეურნეობის დამუხრუჭებას დიდი გადასახადებით, ხოლო „დიდი თურქობა" საერთოდ ძირს უთხრიდა ინტენსიურ მეურნეობას. მათ საქართველოს მიწები საძოვრებად აქციეს, აყარეს და გაჟლიტეს ქართული მოსახლეობის დიდი ნაწილი.

ამიერკავკასიაში სელჩუკთა პირველი მარბიელი თავდასხმები 1032-1034 წლებზე მოდის, ხოლო საქართველოში მათი პირველი შემოსევა სულთან ალფ-არსლანის (1063-1072 წწ.) მეთაურობით მოხდა 1064 წელს. მათ უმოწყალოდ ააოხრეს სამცხე-ჯავახეთი. ალფ-არსლანის მეორე შემოსევა თარიღდება 1068 წლით. ამჯერად აღმოსავლეთ საქართველო და არგვეთი ააოხრეს.

საქართველოში ვითარება განსაკუთრებით დამძიმდა მას შემდეგ, რაც მანასკერტთან 1071 წელს სელჩუკებმა დაამარცხეს ბიზანტია. ამის შემდეგ ქრისტიანული საქართველო მარტოდ-მარტო აღმოჩნდა ამ ველური ძალის წინაშე.

სელჩუკთა მძიმე უღელი ემთხვევა ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ.), გიორგი II-ის (1072-1089 წწ.) და დავით აღმაშენებლის (1089-1125 წწ.) მეფობის ხანას. 1080 წ-დან იწყება ე. წ. „დიდი თურქობა" – თურქთა დიდი შემოსევები. მომ-

თაბარენი მოდიოდნენ თავიანთი ჯოგებით, ოჯახებით და სახლდებოდნენ დაპყრობილ მიწებზე, რაც ნიშნავდა კატასტროფას უფრო მაღალი საზოგადოებრივი წყობილების მქონე ქვეყნისათვის. საბედნიეროდ, 1089 წელს საქართველოს სამეფო კარზე პოლიტიკური გადატრიალების შედეგად ტახტი დაიკავა დავით IV აღმაშენებელმა, რომელმაც, საბოლოო ჯამში, ქვეყნიდან გადარეკა სელჩუკები, მოიპოვა რა 1121 წელს დიდგორის ველზე მათზე გადამწყვეტი გამარჯვება.

ამ ვრცელი ისტორიული ექსკურსის შემდეგ თითქოს მოსალოდნელი იყო დიდი სელჩუკების მონეტების აღმოჩენა საქართველოს ფარგლებში, მათი ეკონომიკური ექსპანსია, პოლიტიკური ექსპანსიისა და ძალადობის პარალელურად. სინამდვილეში ეს ასე არ არის. დღესდღეობით არც ერთი მონეტა დიდი სელჩუკებისა ჩვენი ქვეყნის ფარგლებში ნაპოვნი არაა, რაც ძალიან ძნელი ასახსნელია.

მაშ რა მონეტები მიმოიქცეოდა საქართველოში XI-XII საუკუნეებში? ჩვენ უკვე ვწერდით ბიზანტიური მონეტების შესახებ. ბიზანტიური ოქროსა და სპილენძის მონეტები ძალიან ფართოდ ცირკულირებდა საქართველოს სამონეტო მიმოქცევაში, განსაკუთრებით კი XI საუკუნეში. როგორც ქართულ წერილობით წყაროებში დაცული ტერმინები მოწმობს, მიმოიქცეოდა აქ აგრეთვე აღმოსავლური ოქროს მონეტები, რომელთა აღსანიშნავად იხმარებოდა „წითელი ოქრო", „წითელი დინარი" და „წითელი". გ. ჯაფარიძის მოსაზრების თანახმად, ამ ტერმინებში აბასელთა დინარი უნდა იგულისხმებოდეს. სამწუხაროდ, ფაქტობრივი მასალით, აღმოსავლური ოქროს მონეტების ბრუნვა XI-XII საუკუნეების საქართველოს ფულად მიმოქცევაში არ დასტურდება.

XII საუკუნის პირველი მეოთხედიდან სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან საქართველოში შემოდის სხვადასხვა მუსლიმური სახელმწიფოების ნუმიზმატიკური ძეგლები, მხოლოდ და მხოლოდ სპილენძის ფულის სახით. ამ გარემოებას კი ისევ და ისევ მივყევართ ე. წ. „ვერცხლის კრიზისის" პრობლემასთან. ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული გაკვრით რამდენიმე ადგილას, რომ XII საუკუნეში საქართველოს ფულად მეურნეობაში ქრება ვერცხლის მონეტები და ის დაფუძნებულია მხოლოდ და მხოლოდ სპილენძის მონომეტალიზმზე. ჩვენ იმასაც აღვნიშნავდით, რომ თამარის სპილენძის მონეტების გარკვეულ ჯგუფს (და არა მარტო თამარისას) აწერია „... იქნა ჭედაი ვერცხლისაი"... ე. ი. აქ საქმე უნდა გვქონდეს სპილენძის კურსის იძულებით გათანაბრებასთან ვერცხლის ფულის კურსთან. პროფ. დ. კაპანაძე ამ ჯგუფს საკრედიტო მონეტებს უწოდებს. ცხადია, ე. წ. ვერცხლის კრიზისი მარტო ქართული ფენომენი არ არის, ის მახლობელი აღმოსავლეთის გლობალური მოვლენაა და მისი არსის გაგების გარეშე ყოვლად შეუძლებელია არა მარტო XII საუკუნის საქართველოში სამონეტო საქმის სპეციფიკის, არამედ მთლიანად სამონეტო მიმოქცევის აღდგენისა და გაანალიზების ცდა. ამიტომ ჩვენ კიდევ ერთხელ უნდა შევჩერდეთ ამ საკითხზე შედარებით უფრო ვრცლად, რამდენადაც ამის შესაძლებლობას სახელმძღვანელოს ჩარჩოები იძლევა (დაწვრილებით პრობლემის

შესახებ სათანადო ბიბლიოგრაფიით იხ. И. Л. Джалаганиа. Иноземная монета в денежном обращании Грузии V-XIII вв., Тбилиси, 1979, стр. 77-78).

ჯერ კიდევ 1910 წელს ქართული და აღმოსავლური ნუმიზმატიკის ბრწყინვალე მცოდნე პროფესორი ევგ. პახომოვი წერდა: „в первой половине XII в. в мелких государствах на которые разбилась империя сельджуков, появляются чрезвычайно оригинальные типы медных монет с фантастическими изображениями... на которых исчезает арабское слово фельс, которым до того обозначалась медная монета, и вместе него появляется диргем, применявшееся раньше исключительно к серебру. Очевидно в новых медных «диргемах» мы имеем монету кредитную, ходявшую по цене, далеко превышавшей действительную стоимость металла, и долженствовавшую заменить исчезнувшую серебряную".

ამ მოკლე ციტატაში მოცემულია მახლობელი აღმოსავლეთის (მათ შორის, რა თქმა უნდა, საქართველოს) ფულადი მეურნეობის დახასიათება XII საუკუნეში ფაქტობრივად იგივეს იმეორებს აკად. ივ. ჯავახიშვილი, რომელიც წერს, რომ ამ ღონისძიებით ხელისუფლება სპილენძის მონეტებს ანიჭებდა იძულებით კურსს. მაგრამ აქ არაფერია ნათქვამი თვით ვერცხლის „გაქრობის" მიზეზების შესახებ სამონეტო საქმიანობაში.

ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა ავტორების მიერ გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება: ვერცხლის მაღაროების გამოფიტვა მახლობელ აღმოსავლეთში და ამის შედეგად ვერცხლის ღირებულების გაზრდა, ვერცხლის ფართო ექსპორტი დასავლეთში (მათ შორის, ცხადია, მონეტებისა) და ა. შ.

ამ საკითხით სპეციალურად დაინტერესდა ცნობილი ქართველი ეკონომისტი პროფესორი ნიკოლოზ ქოიავა, რომლის აზრითაც ვერცხლის მონეტების შეცვლა სპილენძის ფულით არ შეიძლება აიხსნას არც ვერცხლის მადნების გამოფიტვით და არც ვერცხლის ღირებულების გაზრდით. იგი წერს: „... ვერცხლის ნაკლებობამ კი არ გამოიწვია მონეტების გაფუჭება, არამედ მონეტების გაფუჭებამ გამოიწვია ვერცხლის გაქრობა მიმოქცევიდან". მისი აზრით, მონეტის გაფუჭება კი პირდაპირი შედეგია გაუთავებელი ომებისა, მათი დაფინანსების აუცილებლობისა, დეფიციტის დაფარვის გარდაუვალობისა.

დაახლოებით იგივე აზრისაა აღმოსავლური მონეტების ცნობილი სპეციალისტი პროფესორი ელენე დავიდოვიჩი. იგი კომპლექსურად განიხილავს საკითხს და მიაჩნია, რომ „ვერცხლის კრიზისი" გამოიწვია როგორც ვერცხლის მარაგის შემცირებამ, რაც გამოწვეული იყო ვერცხლის მასობრივი გადინებით ევროპაში, მადნების გამოფიტვით, ასევე ზოგიერთმა პოლიტიკურმა მომენტმაც, მაგალითად, სელჩუკთა მოძრაობამ დასავლეთისაკენ. დასკვნის სახით იგი წერს: „между состоянием серебряных запасов и специфики серебряного чекана существует непрямая связь" და შემდეგ: „состояние серебряных запасов было лишь объективным условием «серебряного кризиса», а причина его кроется в целом комплексе факторов экономического и социально-политического характера. Рост городов,

товарного производства и объема торговли повлекли за собой все возрастающий спрос на средства обращения. Усилившаяся феодальная раздробленность исключила возможность концентрации и мобилизации имевшегося в стране серебряного запаса для нужд централизованного чекана, что привело к выпускам знаков стоимости с принудительными курсом".

ასეთია მოკლედ „ვერცხლის კრიზისის" პრობლემის არსი და მისი შესწავლის დონე თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებაში. ჩვენთვის მთავარია ის, რომ ვიცოდეთ, XII საუკუნეში საქართველოში ფულადი მეურნეობა ძირითადად დაფუძნებულია ე. წ. საკრედიტო მონეტაზე, რომ აღმოსავლეთიდან ჩვენში შემოდის ისეთი მონეტები, რომელთა რეალური ღირებულება ნომინალურზე დაბალია.

როგორც უკვე არაერთგზის გვქონდა აღნიშნული, დავით აღმაშენებელმა დაასრულა საქართველოს გაერთიანება და სელჩუკები საბოლოოდ გარეკა საქართველოს საზღვრებს გარეთ. ამის შემდეგ საქართველოს მტრული ურთიერთობა ჰქონდა სამხრეთ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარე მუსლიმურ სახელმწიფოებთან და მეგობრული შირვანთან, სიუზერენ-ვასალობის პრინციპზე დაფუძნებული.

შირვანი (შარვანი) მდებარეობდა თანამედროვე აზერბაიჯანის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე, მტკვრის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ცენტრი – ქალაქი შემახა. დავით აღმაშენებლის დროიდან საქართველოს სიუზერენობით ორ ქვეყანას შორის მრავალმხრივი, მჭიდრო ურთიერთობა დამყარდა. ამავე ხანებში გაჩნდა ჩვენს მეფეთა ტიტულატურაში წოდება „შირვანშაჰი" („შარვან-შა"). სამწუხაროდ, საქართველო-შირვანის პოლიტიკურ ურთიერთობაზე ჩვენ ვერ შევჩერდებით და პირდაპირ გადავალთ საქართველოში აღმოჩენილ შირვანული მონეტების ჩამოთვლაზე (აქვე აღნიშნავთ, რომ ზოგიერთი განძის კომპლექსში აღმოსავლური სამყაროს სხვა ქვეყნების მონეტებიც შედის, რომელთაც ჩვენ თავთავიანთ ადგილას შევეხებით). ჩამონათვალი ამოღებულია ირ. ჯალალანიას ზემოთ მითითებული მონოგრაფიიდან:

1. 1948-49 წლებში თბილისში, 300 არაგველის სახელობის ბაღის მახლობლად („განჯის კარი") არქეოლოგიური გათხრების დროს, მიცვალებულის ჯიბესა თუ ქისაში აღმოჩნდა 133 სპილენძის მონეტა. განძი ჩამარხულია XIII საუკუნეში და შეიცავს ქართულ და სხვა ქვეყნების ფულებს. მათ შორისაა შირვანშაჰ მენუჩეხრ I (XII ს.) კესრანიდის ერთი მონეტაც.
2. 1961 წელს მცხეთის რაიონის სოფელ ნიჩბისში აღმოჩნდა სპილენძის მონეტების განძი, რომელიც 1460 ცალს შეიცავდა. განძის ქრონოლოგიური დიაპაზონია XII საუკუნე - XIII საუკუნის პირველი მეოთხედი. განძი შეიცავს ქართულ და აღმოსავლურ მონეტებს, მათ შორის 19 შირვანულს. ორი მათგანი მიეკუთვნება ფერიბურზ II იბნ აფრიდუნუს (1187/88-1203/04 წწ.), ხოლო 17 – გერშასპ იბნ ფერუხზადს (1203/04-1224 წწ.).

3. დუშეთის რაიონის სოფელ ბერუაანთაკარში (თარიღი ცნობილი არაა) აღმოჩნდა პატარა ზომის, ძალიან გაცვეთილი მონეტა, რომელიც ევგ. პახომოვის ატრიბუციით ეკუთვნოდა შირვანშაჰების მეორე დინასტიას, ე. ი. კესრანიდებს.
4. 1956-1957 წლებში თბილისის არქეოლოგიური გათხრების დროს ერეკლე II-ის მოედანსა და შავთელის აღმართზე იპოვეს ოთხი პატარა მონეტა, რომელიც შირვანშაჰ კესრანიდებს მიეკუთვნება. უფრო ზუსტი ატრიბუცია ვერ ხერხდება.

ამრიგად, სულ საქართველოში აღმოჩენილია XII საუკუნის - XIII საუკუნის დასაწყისის 25 შირვანული მონეტა. თუ გავითვალისწინებთ საქართველო-შირვანის მჭიდრო პოლიტიკურ ურთიერთობას ამ ხანებში, ეს რიცხვი ძალიან მცირეა. რა თქმა უნდა, მომავალმა აღმოჩენებმა შეიძლება სურათი მკვეთრად შეცვალოს, მაგრამ დღეისათვის ამ ფაქტს ძნელია ახსნა მოუძებნო.

XI-XII საუკუნეებში აზერბაიჯანის ტერიტორია დაიყო მთელ რიგ სამფლობელოებად, რომლებიც დამოკიდებულ ურთიერთობაში იყვნენ ან ერთმანეთთან, ან სელჩუკებისა და ათაბაგების სახელმწიფოსთან, ან ბოლოსდაბოლოს, საქართველოსთან. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ერთ-ერთ დიდი ქალაქთან – დარუბანდთან დაკავშირებით ამ მიმართებით რამდენიმე მოსაზრება იყო წამოყენებული. აღმოსავლეთის ისტორიის ერთ-ერთი დიდი ავტორიტეტი აკადემიკოსი ვ. ბარტოლდი უშვებდა შესაძლებლობას, რომ X საუკუნიდან ეს ქალაქი შედიოდა შირვანის შემადგენლობაში, მაგრამ დროდადრო მას მართავდნენ დამოუკიდებელი მფლობელები. პროფესორ ევგ. პახომოვი, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ამ ქალაქის ისტორიის გარშემო არსებული წერილობითი წყაროები და ნუმიზმატიკური მასალა, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „с начала XII и до начала XIII в. ... может быть прослежено непрерывное существование самостоятельного Дербендского эмирата, с его собственной политикой, шедшей отнюдь не по руслу политики Ширвана". შირვანი თავგამოდებით იბრძოდა დარუბანდის დამორჩილების მიზნით, მაგრამ მისი სრული ანექსია მან ვერ შეძლო. დარუბანდმა შეინარჩუნა დამოუკიდებლობა, რასაც მოწმობს მისი ემირების სახელით XII საუკუნის მონეტების ემისია.

დავით აღმაშენებელი დაინტერესებული იყო დარუბანდის საკითხით, სათანადოდ აფასებდა კასპიის ზღვის ჭიშკრის სტრატეგიულ-ეკონომიკურ მნიშვნელობას. ამავე დროს დარუბანდის ემირები წინააღმდეგი იყვნენ საქართველოს გავლენისა შირვანზე და სწორედ ისინი მონაწილეობდნენ აქტიურად ამ რეგიონში სელჩუკთა სულთნის მოწვევისათვის 1123 წელს. როგორც ჩანს, ამის შემდეგ საქართველოს გავლენა დარუბანდზე გაძლიერდა და მისი საზღვარი გადაიჭიმა „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე". საქართველო-დარუბანდის ურთიერთობა უფრო მშვიდობიანი გახდა დემეტრე I-ის დროს, რომლის სიძეც იყო ამ ქალაქის ემირი.

რა ხასიათი ჰქონდა ამ ურთიერთობას გიორგი III-ისა და თამარის ეპოქაში, ამის შესახებ ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა გვაქვს. ნათელია მხოლოდ ის, რომ საქართველოს საზღვარი დარუბანდამდე აღწევდა და ეს ქალაქი შედიოდა საქართველოს ვასალურ სახელმწიფოთა რიგში. ზემოთქმული ცხადყოფს რამდენად მნიშვნელოვანია ორი ქვეყნის ურთიერთობის გარკვევის კუთხით ჩვენში აღმოჩენილი დარუბანდის ნუმიზმატიკური ძეგლების ზუსტი ფიქსაცია. ვიძლევით მათ სიას, ოღონდ ნუმერაციას ვაგრძელებთ, ვინაიდან ზოგჯერ ერთი და იმავე განძის შემადგენლობაში შედის როგორც შირვანული, ასევე დარუბანდისა და სხვა ქვეყნების მონეტებიც:

5. გარდაბნის რაიონის სოფელ პატარა ლილოში 1937 წელს აღმოჩნდა სპილენძის მონეტების დიდი განძი. მისი ქრონოლოგიური ჩარჩოები XII საუკუნის მეორე ნახევრითა და XIII საუკუნის პირველი მეოთხედით შემოიფარგლება. განძში ქართულ მონეტებთან ერთად სხვა ქვეყნის მონეტებიც შედის, მათ შორის ორი მიეკუთვნება დარუბანდის ემირებს და XII საუკუნით თარიღდება.
6. უკვე მოხსენიებულ ნიჩბისის განძში (იხ. ჩვენთან № 2) არის ერთი მონეტა, რომელიც მიეკუთვნება დარუბანდის ემირ მუზაფფარ იბნ მუჰამად იბნ ხალიფეს.
7. სხვადასხვა დროს თბილისის არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა მდიდარი ნუმიზმატიკური კოლექცია. მისი დამუშავების შემდეგ გამოიყო XII საუკუნის სპილენძის ორი მონეტა, რომელიც დარუბანდში უნდა იყოს მოჭრილი.
8. რუსთავის არქეოლოგიური გათხრებისას, რომელიც მიმდინარეობდა 1949/50, 1959/62, 1965, 1972-75 წლებში, ასევე მიკვლეული იქნა მდიდარი ნუმიზმატიკური კოლექცია. მონეტების საერთო რიცხვიდან მოხერხდა დარუბანდში მოჭრილი სპილენძის ხუთი ეგზემპლარის გამოყოფა. ხუთივე ცუდადაა დაცული და ამიტომ მათი ზუსტი განსაზღვრა ვერ ხერხდება.
9. დმანისის არქეოლოგიური გათხრების დროს, სხვა მონეტებთან ერთად აღმოჩნდა დარუბანდის ემირების სპილენძის ფულებიც, მაგრამ მათი ცუდი დაცულობის გამო ზუსტი რიცხვის დასახელება შეუძლებელია.
10. სოფელ დიღომში 1955 წელს აღმოჩნდა XII-XIII საუკუნეების ქართული და აღმოსავლური მონეტების განძი, რომელიც 474 ერთეულს შეიცავდა. მათ შორის ერთი მოჭრილია დარუბანდში.
11. საგარეჯოს რაიონში 1934 წელს აღმოჩნდა XII-XIII საუკუნეების ქართული და აღმოსავლური მონეტების განძი. მის შემადგენლობაში შედიოდა დარუბანდში მოჭრილი ხუთი მონეტა.

ამრიგად, მართალია მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც, საქართველოში XII-XIII საუკუნეებში მიმოიქცევა დარუბანდის ემირების სპილენძის მონეტები. ისიცაა აღსანიშნავი, რომ, ასევე მცირე რაოდენობით, მაგრამ ქალაქ დარუბანდის ტერიტორიაზე ქართული მონეტებიცაა მიკვლეული.

XII საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოს პოლიტიკური მეტოქე აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში იყო ილდეღიზიდების სახელმწიფო. მას ეკავა აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ ირანის ტერიტორია. საქართველომ რამდენსამეგზის დაამარცხა ათაბაგთა სახელმწიფო. ასე, მაგალითად, 1165-1166 წლებში გიორგი III-მ სძლია ათაბაგ ილდეღიზს და დაიკავა აზერბაიჯანის ტერიტორია ქალაქ განჯამდე. 1195 წელს საქართველოს ლაშქარმა შამქორთან მუსრი გაავლო აბუბექრის არმიას. ასევე დაამარცხეს ილდეღიზიდები ქართველებმა 1203/04 წლებში და აიღეს ქალაქი დვინი. ათაბაგ უზბეკის (1210-1225 წწ.) მმართველობის დასაწყისში ქართველებმა ისევ ილაშქრეს აზერბაიჯანში და მრავალი ქალაქი აიღეს. ათაბაგთა სახელმწიფოც, თავის მხრივ, ხელიდან არ უშვებდა ხელსაყრელ მომენტს, რათა საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარეულიყო. ასე იყო დემნა უფლისწულის აჯანყების დროს. თავისი ინტერესების სასარგებლოდ ცდილობდნენ გამოეყენებიათ ილდეღიზიდებს აგრეთვე თამარის პირველი მეუღლე გიორგი რუსი.

მაგრამ პოლიტიკური მეტოქეობა და საომარი მოქმედებები ხელს არ უშლიდა ამ ორი მტრული ქვეყნის ეკონომიკურ ურთიერთობას, რასაც მოწმობს ჩვენში აღმოჩენილი ილდეღიზიდური მონეტები:

12. პატარა ლილოს განძის შემადგენლობაში (იხ. № 5) შედიოდა აგრეთვე 15 ილდეღიზიდური მონეტა, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩოები 1186-1225 წლებში თავსდება.
13. 1935 წელს თბილისში (კრწანისში) შემთხვევით აღმოჩნდა XII-XIII საუკუნეების სპილენძის მონეტების დიდი განძი, რომელიც ქართულ, აღმოსავლურ და ბიზანტიურ მონეტებთან ერთად შეიცავდა ათაბაგ აბუბექრის (1195-1210 წწ.) სახელით მოჭრილ სამ მონეტასაც (მის მონეტებთან დაკავშირებით იხ. ტაბ. XI, № 76).
14. 1940 წელს თბილისში, ნარიყალას მიდამოებში აღმოჩნდა სპილენძის მონეტების განძი, სადაც ქართულ და ჯალალ ედ-დინის მონეტებთან ერთად 2 ილდეღიზიდური სპილენძის ფულიც შედიოდა. როგორც ჩანს, ისინი აბუბექრს მიეკუთვნება.
15. 1936 წელს თბილისში (ავლაბარში) აღმოჩნდა სპილენძის მონეტების დიდი განძი, რომელიც ძირითადად შედგებოდა XII-XIII საუკუნეების ქართული მონეტებისაგან. იქ იყო აგრეთვე ერთი ცალი ილდეღიზიდური სპილენძის ფული ათაბაგ უზბეკისა (1210-1225 წწ.).
16. „განჯისკარის" არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი განძის შემადგენლობაში (იხ. № 1) XII-XIII საუკუნეების 35 ცალი ილდეღიზიდური მონეტაც იყო.
17. 1900-იანი წლების დასაწყისში სიღნაღის მახლობლად იპოვეს XII-XIII საუკუნეების ქართული მონეტების განძი, სადაც ილდეღიზიდური მონეტებიც ერია (ზუსტი რიცხვი ცნობილი არაა).

18. წყნეთში 1936 წელს აღმოჩენილ XII-XIII საუკუნეების ქართული მონეტების განძში 8 ცალი ილდეღიზიდური მონეტაც იყო.
19. ასევე XII-XIII საუკუნეების ქართული მონეტების განძს მიაკვლიეს 1917 წელს თბილისში, მუსლიმთა სასაფლაოზე (ბოტანიკური ბაღის ახლოს). მის შემადგენლობაში შედიოდა რამდენიმე ცალი სინქრონული ილდეღიზიდური მონეტაც.
20. ნიჩბისის განძში (იხ. № 2) ერთი ჩვენთვის საინტერესო მონეტაც ერია.
21. საგარეჯოს რაიონში აღმოჩენილი განძის შემადგენლობაში (იხ. № 11) რამდენიმე ცალი ილდეღიზიდური მონეტაც იყო.
22. 1936/37 წლებში დმანისის არქეოლოგიური კამპანიის დროს იპოვეს XII-XIII საუკუნეების 7 ილდეღიზიდური მონეტა.
23. რუსთავის არქეოლოგიური გათხრების დროს მოიძიეს XII-XIII საუკუნეების 5 ილდეღიზიდური სპილენძის ფული.
24. რამდენიმე ასეთი მონეტა აღმოჩნდა მტკვრის კალაპოტის გაწმენდისას, ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დროს.

ამრიგად, მიუხედავად პოლიტიკური კონფრონტაციისა, გარკვეულ ჩარჩოებში ილდეღიზიდური მონეტების ცირკულაციის ფაქტი აღმოსავლეთ საქართველოს ფულად მიმოქცევაში დადასტურებული ფაქტია. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ისინი აღმოჩენილია საქართველოს ისეთ დიდ სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრებში, როგორიც იყო თბილისი, დმანისი, რუსთავი.

ძალიან შეზღუდული მასშტაბებით საქართველოში XII-XIII საუკუნის დასაწყისში შემოდის რუმის სელჩუკთა მონეტები. ისინი აღმოჩენილია შემდეგი სამონეტო კომპლექსების შემადგენლობაში: (რუმის სასულთნოს სამონეტო ტიპებისთვის იხ. ტაბ. XIII, №№ 84, 85).

25. „განჯისკარის" სამონეტო კომპლექსში (იხ. № 1) რუმის სულთნის ქაიქუბათ I-ის (1219-1231 წწ.) მონეტაც ერია.
26. პატარა ლილოს განძის შემადგენლობაში იყო რუმის სელჩუკების ერთი მონეტაც (იხ. № 5).
27. ერთი ასეთი მონეტა იყო აგრეთვე სოფელ დილომში აღმოჩენილი განძის შემადგენლობაში (იხ. № 10).
28. რუმის სელჩუკთა მონეტები, როგორც ჩანს, შედიოდა საგარეჯოს რაიონში აღმოჩენილ განძში (იხ. № 11).
29. ავლაბრის ტერიტორიაზე მიკვლეული განძის შემადგენლობაში იყო რუმის სელჩუკის ქაიქაუს I-ის (1210-1219 წწ.) ერთი მონეტა (იხ. № 15).

გარდა უკვე დასახელებული სახელმწიფოთა მონეტებისა, საქართველოში აღმოჩენილია აგრეთვე პატარ-პატარა მუსლიმური ქვეყნების ფულებიც, მაგრამ მათი ხვედრითი წონა ქვეყნის ეკონომიკაში ძალიან მცირეა და ამიტომ აქ მათ არ ვეხებით.

XI საუკუნის - XIII საუკუნის დასაწყისის აღმოსავლური სამყაროს მონეტების საქართველოში გავრცელებასთან დაკავშირებით დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი: აღებულ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოს სამონეტო მიმოქცევის კომპონენტებია შირვანული, ილდეგიზიდური, დარუბანდის ემირების და სხვათა მონეტები. მაგრამ მათი ცირკულაციის მასშტაბები შეზღუდულია. საქართველოს ფულადი მეურნეობა ძირითადად აშკარად დაფუძნებულია ადგილობრივ მონეტებზე. მათი აღმოჩენათა რიცხვი (როგორც განძების, ასევე ცალკეული ცალების) განუზომლად დიდია უცხოურ „ვალუტასთან" შედარებით.

ასეთია სამონეტო საქმისა და სამონეტო მიმოქცევის ზოგადი ისტორია საქართველოში ძვ. წ. VI – ახ. წ. XIII საუკუნეებში.

შენიშვნები

1. ფული საქონელბრუნვის საშუალებაა; ის წარმოების, საბითუმო და საცალო ვაჭრობის დამაკავშირებელი კონკრეტული სახმარი ღირებულებაა. კლასიკური პოლიტეკონომიური აღქმით ფული და ვალუტა სინონიმებია. ფული საქონლის ეკვივალენტია, შეფასებითი კატეგორიაა.

ტერმინი „ფული" ეტიმოლოგიურად, ანუ სიტყვის წარმოქმნის ასპექტით, დაკავშირებულია ბიზანტიურ ფოლისთან – სპილენძის სამონეტო ერთეულთან. ზოგადი მნიშვნელობა კონკრეტულმა სახელმა მოგვიანებით შეიძინა.

როგორი უნდა იყოს საქონლის ეკვივალენტი?

მაქსიმალურად ტრანსპორტაბელური და სტაბილური, რაც უდრის მის მაღალ სახმარ ღირებულებას და იშვიათობას. მეტალები – ოქრო და ვერცხლი სწორედ ამ ტიპისაა. ძვირფასი ლითონების კატეგორიის ჩამოყალიბება ამა თუ იმ ეკონომიკური კომპლექსის სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის შედეგია. ვერცხლი და ოქრო არამწარმოებლური სახმარი ღირებულებაა, თავდაპირველად მათ არც კი ამუშავებენ. კომერციულმა საჭიროებამ, ფერადი მეტალურგიის ამ დარგებისათვის მინიმალური სოციალური კადრების გამოყოფის შესაძლებლობამ, კონკრეტული უჟანგავი ნივთიერებების ასოციაციამ უკვდავების აქტუალურ იდეასთან წარმოშვა სწორედ მათი სპეციფიკური ღირებულებითი აღქმა. მანამდე კი სასაქონლო ეკვივალენტის როლს აუცილებელი სახმარი ღირებულება ასრულებდა – მსხვილფეხა პირუტყვი, საწარმოო ან საბრძოლო იარაღი, ბეწვეული და სხვ.

ახალ უფრო დეტალურად ყოველივე ამის შესახებ.

ნეოლითის ეპოქის მწარმოებელი სოციალური ელემენტი, გარკვეულწილად, უნივერსალია – ის, ერთდროულად, მიწათმოქმედია, მესაქონლეც, ხელოსანი; ახორციელებს პრიმიტიულ საკანონმდებლო, აღმასრულებელ, სასამართლო ხელისუფლებას. შემდგომი სოციალური ისტორია ამ ფუნქციების ეტაპობრივი აბსტრაჰირება-გამოყოფაა. ადრეული მეტალების ხანაში კი ყალიბდება ეკონომიკურ-გეოგრაფიული სისტემები მიკრორეგიონალური სპეციალიზაციით; სხვა სიტყვებით, ადგილი აქვს საქონელბრუნვის დაფუძნება-გენეზისს. მწარმოებლის საწარმოო პროცესიდან მოწყვეტა არ იყო სასურველი. სამხარეთაშორისო ეკონომიკური მიმართებების რეალიზაციისათვის იქმნება სპეციალური სოციალური ფენა – ესენი ვაჭრები არიან. ამ კატეგორიის და სასაქონლო ეკვივალენტის გენეზისი სინქრონული პროცესია.

სასაქონლო ეკვივალენტის ადრეული სტადიის ნიმუშები ქართულ სინამდვილეში ასეთია: 1) მსხვილფეხა პირუტყვი; ეს კარგად ჩანს თუნდაც იქიდან, რომ ტერმინი „ხვასტაგი" აღნიშნავდა ფულსაც და რქოსან საქონელსაც. 2) კოლხური ბრინჯაოს ცულები (ძვ. წ. II ათასწლ. მინურული). ისინი გვხვდება განძის სახითაც, ეს ფაქტი საოცრად ნიშანდობლივია, ე. ი. სასაქონლო ეკვივალენტის ფუნქციას კონკრეტულ ეტაპზე სპილენძის სასაქონლო მარაგი ასრულებს. გათვალისწინებულია რა ეკვივალენტის ბრუნვის სისწრაფე, სპილენძის ფაქტურისაგან დამზადებული სახმარი ღირებულებების მხოლოდ ერთი ნაწილია ფული – ცულები; ზოგჯერ, ალბათ, ბეჭდებიც, და ა. შ. 3) საწმისი,

ანუ ცხვრის ტყავი მატყლითურთ. ვალუტად ქცეული კონკრეტული ფორმა უკვე ოქროს საწმისია – კოლხთა დიდების სიმბოლო. სპილენძის ორმაგი ცული, თუ საწმისი მიკენური სასაქონლო ეკვივალენტია, რაც ძალზედ სიმპტომატური მომენტია.

სავალუტო ფენომენის გენეზისი სასაქონლო ეკვივალენტის ტონაჟს სერიოზულად ამცირებს, ყოველივე საოცრად მოსახერხებელი იყო. საცალო ვაჭრობის შეფარდებითად განუვითარებლობამ კი ძვირფასი მეტალის ზოდის კატეგორიას მიანიჭა თავდაპირველ ეტაპზე უპირატესობა. პროგრესს კონკრეტული კუთხით მონეტის, ანუ ჭრილი ფულის, გენეზისამდე მივყავართ. ელინური კუნძული ეგინა და მცირეაზიური ქვეყანა ლიდია სამონეტო საქმის პიონერებად არის მიჩნეული. ამ რევოლუციას კი ადგილი ჰქონდა ძვ. წ. VII ს. სამონეტო ფაქტურა ჯერ, ძირითადად, ვერცხლია. ამას თავისი მიზეზები გააჩნდა. კონკრეტული მეტალი ყოველთვის სავალუტო მარაგის უმეტესი ნაწილია. წარმოების ევოლუციის შეფარდებითად დაბალ საფეხურზე კი ოქროს შეფარდებითად მაღალი კურსი საზოგადოებრივი პროდუქტის განაწილების სფეროში რიგ სირთულეს გამოიწვევდა. მართლაც, როგორ უნდა გადანაწილდეს მოგება წარმოების საორგანიზაციო და საკუთრივ მწარმოებლურ ფუნქციებს შორის, თუ ჩვეულებრივი ზომის მონეტის კურსი შეფარდებითად მაღალია, მწარმოებლის წილი კი საოცრად დაბალი?! განა ასეთ კონიუნქტურას არ სჯობია უფრო დაბალი კურსის ვერცხლის ექსპლუატაცია?! სტიმულის კატეგორიის ეტაპობრივი ზრდა თვისებრივი და უფრო მოხერხებული, მცირემასშტაბიანი ოქროს მონომეტალიზმით სრულდება, რაც თანამედროვე დემონეტიზაციის, ანუ საკრედიტო ფულის სისტემის, პრინციპია. საერთო დიალექტიკური სურათი კი ასეთია: 1) ვერცხლის მონომეტალიზმი; 2) ბიმეტალიზმი (ოქროს და ვერცხლის ერთდროული ექსპლოატაცია); 3) ოქროს მონომეტალიზმი.

2. სამონეტო ჯგუფის – კოლხური თეთრი – ფარგლებში სულ რვა ტიპი გამოიყოფა. საკუთრივ თითოეული ტიპის ლოკალური გენეზისის საკითხი კი ასე უნდა გადაწყდეს:

1) ჰემიდრაქმების II ტიპი (ადამიანის თავის გამოსახულება/R. ხარის თავი) კოლხეთში იჭრებოდა. აღმოჩენათა ტოპოგრაფია სწორედ ამაზე მეტყველებს – ათასობით არის ნაპოვნი დასავლეთ საქართველოში; მის ფარგლებს გარეთ კი მხოლოდ რამდენიმე ათეული ცალია დაფიქსირებული.

2) III ტიპის დიდრაქმა (ადამიანის თავი/R. ხარის თავები quadratum incusum-ში) ზემოთ განხილული ძეგლების ტიპოლოგიური პროტოტიპია, ჰემიდრაქმა მისი გამარტივებული ვარიანტია – აქ ხარის ერთი თავია ორის მაგივრად. ორივე ტიპის არქაისტული სტილიც მათ ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირებს – ეს კოლხეთის ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის ელინური პოლიტიკური ორგანიზმის პროდუქციაა.

3) II ტიპის დიდრაქმა (ადამიანის არქაისტული თავი/R. ასეთივე თავები ორ ჩაჭდეულ კვადრატში) წინას მსგავსია: ზურგის მხარეები თითქოს განსხვავებულია, მაგრამ ცოტა ქვემოთ ჩვენ აღვნიშნავთ ქალის და ხარის ტიპოლოგიურ სინთეზს I ტიპის დიდრაქმის რევერსზე; ე. ი. ქალი და ხარი სინონიმური კატეგორიებია. არქაისტული ადამიანის თავის ტიპოლოგია და აღმოჩენათა ტოპოგრაფია კვლავ და კვლავ კოლხეთის ელინურ პოლისებზე უნდა ამახვილებდეს კონკრეტული ასპექტით ჩვენს ყურადღებას.

4) ჰემიტეტარტემორიონები ფიჭვნარიდან (არქაისტული თავი/R. წერო) თემატურ ჰარმონიაშია დანარჩენ ნომინალებთან, და აი, რატომ:

ა) II ტიპის დიდრაქმაზე ტრიომორფული ჰეკატეა (ამაზე ქვემოთ).

ბ) III ტიპის დიდრაქმაზე – ტრიომორფული და ზოომორფული ჰეკატე.

გ) II ტიპის ჰემიდრაქმის ტიპოლოგიაც მსგავსია.

ე. ი. ყველგან მთვარის ატრიბუტებია.

ჰემიტეტარტემორიონის ტიპოლოგიასთან მიმართებაში მეტად სიმპტომატურია მაღალ-ფეხებიანი ფრინველის და ლოტოსის კვიპროსული (კერამიკაზე) სინთეზი; ეს უკანასკნელი ნაყოფიერების ღვთაების ატრიბუტია, წერო კი მისი სინონიმი ყოფილა. ნაყოფიერების ღვთაება კოლხეთში ამავე დროს ჰეკატეცაა.

5) ასეთი ფუნქციური სინთეზის იკონოგრაფია I ტიპის დიდრაქმის ზურგის მხარეზეა წარმოდგენილი:

ა) ქალის შიშველი ფიგურა ნაყოფიერების კულტთან არის დაკავშირებული;

ბ) ხარის თავის მთვარის ატრიბუტია;

გ) ამასთან, ჰინტერლანდში ὁ Μείς კულტია, ზღვისპირეთში – ἡ Ἑκάτη. ბილინგვიზირებული ფაზისის ვარიანტია ჰერმაფროდიტული სინთეზი – მთვარის სქესობრივი აღქმის მოტანილი და ადგილობრივი შტრიხების შერწყმა.

ტიპოლოგიური მიმართებანი, აღმოჩენათა ტოპოგრაფია, ასტრალური თემატიკა (შუბლის მხარეზე გამოსახული ლომი, აპოლონ/ჰელიოსის სიმბოლო; მისი ჰერმაფროდიტიზაცია კი უკვე აპოლონის მზექალასთან შერწყმის პერიპეტიაა. ლომი ნამდვილად ჰერმაფროდიტია – ხვადის ფაფრით და ძუძუებით. ეს ორი სქესობრივი კატეგორია იკონოგრაფიულად რეალისტურად აისახებოდა, მაგალითისთვის იხ. კოლხური ჰემიდრაქმების I ტიპი; ან კი – საკუთრივ მილეტური ნუმიზმატიკა) კონკრეტულ ტიპს უცილობლად უკავშირებს ზემოაღნიშნულ მასალას.

6) კოლხური დრაქმა (ლომის თავი an face/R. ხარის თავის გამოსახულება), ქუთაისის მუზეუმის უპასპორტო ცალი, ტიპოლოგიურ-თემატურ კავშირშია განხილულ დიდრაქმასთან.

7) იგივე შეიძლება ითქვას I ტიპის ჰემიდრაქმის (ლომის თავი/R. ძუ ლომის პროტომა) მიმართაც – აქ მზის ჰერმაფროდიტული აღქმის იდეაა დაფიქსირებული; აღმოჩენათა ტოპოგრაფიაც მის კოლხურ გენეზისს ეთანხმება.

8) ტეტრადრაქმები უპასპორტოა. მაგრამ ტიპოლოგიური პარალელი ჰემიდრაქმების I კატეგორიასთან აშკარაა; თემატიკაც ტრადიციულია: აპოლონი-ლომი-მზე/პეგასი-მთვარე.

კონკრეტული კუთხით სხვა საინტერესო პრობლემაა ნომინლური სისტემის განსაზღვრა. ჯერ კი დავადგინოთ ერთი რამ – კერძოდ კი, მონეტის ნორმიდან წონითი გადახრის დასაშვები ლოგიკური ოდენობა. ეს აუცილებელი მომენტია, რათა ნებისმიერი ნუმიზმატიკური ძეგლი შევუფარდოთ რომელიმე ზუსტად დადგენილ სტანდარტს. ატიკური დრაქმის (4,2 გრ.) ეტაპობრივ მინიმალიზაციას 3,5 გრ. დონეზე არავითარი ახალი ნომინალის შექმნა არ მოყოლია შედეგად. 0,7 გრ. კი საერთო ჯამში ერთი ატიკური ობოლია. დაცილება დიობოლის ფარგლებში მეტისმეტია. ამასთან თუ გავითვალისწინებთ აშკარად ერთი ემისიის და ნომინალის მასშტაბით ფაქტობრივი გადახრის შემთხვევებს, უზუსტობის დასაშვები ოდენობის განსაზღვრა 0,9 გრ. თითქმის აბსოლუტური სიზუსტეა. ყოველივე ამასთან დაკავშირებით შემდეგი ფორმულის კონსტრუქციაა დასაშვები:

$$N = \begin{cases} P + / 0,7 - 0,2 / \text{ზედა წონა} \\ P - / 0,7 + 0,2 / \text{ქვედა წონა} \end{cases}$$

სადაც N – ნომინალია.

P – ზუსტი წონა.

ახლა დავუბრუნდეთ ფაქტობრივ მასალას:

I ტიპი (ე. წ. ტეტრადრაქმა). რემედიუმი 10,4-13 გრ. d (დიამეტრი) ≈ 22 მმ.

აქედან ყველაზე მძიმე ეგზემპლარი მილეტური სტატერია (14 გრ.).

საშუალო (12,7 გრ.) – ეგინური (12,12 გრ.).

მსუბუქი კი – სპარსული (11,2 გრ.).

ძვ. წ. VI საუკუნის II ნახევარი (?) (უფრო ძვ. წ. 494 წ-დან, მილეტის განადგურების შემდგომ). სამი ემისია(?).

II ტიპი (ე. წ. I ტიპის დიდრაქმა).

მონეტები წ. 10 გრ., 10,1 გრ., 11,3 გრ., 11,4 გრ. სპარსული სტატერებია.

მონეტები წ. 7,9 გრ., 8,1 გრ., 8,6 გრ., 8,6 გრ., 9,4 გრ.(?) კი – ატიკური დიდრაქმები. d = 17/20-20/21 მმ.

კონკრეტულ ტიპოლოგიურ ფარგლებში მკაფიო ტენდენცია ნომინალური გაწვრილებისაკენ სერიული კატეგორიის არსებობის მამტკიცებელია. ხოლო ბოლო ეტაპის ატიკური სტანდარტი, რომლის მიმართაც აქტიური უნდა იყოს ჰემიდრაქმების არაარქაისტული ნაწილი (II ტიპი, quadratum incusum-ის გარეშე), განსახილველ ემისიებს ზოგადად ძვ. წ. VI საუკუნის II ნახ.(?) – V საუკუნით ათარიღებს.

III ტიპი (ე. წ. II ტიპის დიდრაქმა).

მონეტები წ. 9,6 გრ.(?), 9,9 გრ., 10,4 გრ. სპარსული სიკლებია.

მონეტები წ. მაგ. 8,7 გრ., 9,2 გრ. – ატიკური დიდრაქმები. d = 18/20-21/23 მმ.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით შესაძლებელია რამდენიმე დებულების ჩამოყალიბება: I – (2) და (3) ტიპები მონაცვლეობით იჭრებოდ, II – ეს უკანასკნელიც სერიას შეესაბამება. განსახილველი ტიპის მონეტებს ძვ. წ. V საუკუნით ათარიღებენ.

IV ტიპი (III ტიპის დიდრაქმა).

ტიპის ტრადიციული დაკავშირება დიდრაქმასთან ლოგიკურია შეიცვალოს (3) ანალოგიური ნომინალური ევოლუციის სქემით, ან უფრო, თითქმის სრული ტიპოლოგიური შესაბამისობა ჰემიდრაქმების II ტიპთან (ქვემოთ გვექნება საუბარი მათ ატიკურ სტანდარტზე) სწორედ ატიკური დიდრაქმის ვარიანტს ხდის ჩვენთვის კონკრეტული ასპექტით საინტერესოს. ტიპის მატარებლის უნიკალურობა და ასევე აშკარა ტიპოლოგიური კავშირი ჰემიდრაქმებთან კონკრეტული ემისიის ეკონომიკურ წელს აძლევს სპეციფიურ სტატუსს – ეს არის terminus post quem non ჰემიდრაქმების II ტიპის სერიისა, რაც, ალბათ, შემდგომ წელსვე მსხვილი ნომინალის დამატების გარეშე ხორციელდებოდა. აღნიშნული ეგზემპლარი ძვ. წ. V საუკუნით თარიღდება.

V ტიპი: ქუთაისის მუზეუმის უნიკალური ცალის (5,5 გრ. d = 17/19 მმ.) დრაქმად ატრიბუცია აშკარად მოძველებულია, სინამდვილეში აქ საქმე უნდა გვქონდეს ნახევარსტატერთან, ასევე სიკლთან (სპარსული სისტემით). ტიპის თემატური კავშირი (2)-სთან სიმპტომატურია სპარსული სისტემის ჩარჩოებში მათი ერთ ემისიად აღქმისათვის.

VI ტიპი: I ტიპის ჰემიდრაქმა (ატიკური სისტემის) რემედიუმი – 1,7-2,6 გრ. d = 11/12-12/13 მმ. ტიპის თემატური კავშირი (2)-სთან ნიშანდობლივია ატიკური სისტემის ფარგლებში მათი წინას ანალოგიური მიმართების მტკიცებისათვის. ამჯერადაც ძვ. წ. V საუკუნე ჩვენთვის საინტერესო თარიღია.

VII ტიპი: II ტიპის ტრიობოლი (ატიკური ჰემიდრაქმა დეგრადაციისკენ ტენდენციით). რემედიუმი: 1,2-2,6 გრ. d = 12 მმ.

ორიოდე სიტყვით ქრონოლოგიასთან დაკავშირებით – I. quadratum incusum-ის გაქრობა; II. კონტაქტი ძვ. წ. V-III საუკუნეების სხვადასხვა კატეგორიის ინვენტართან; III. ამ ტიპის ნუმიზმატიკური ძეგლების განსაკუთრებული მრავალრიცხოვნება; IV. – სინჯის და წონის ეტაპობრივი შემცირება – ყოველივე აღნიშნული გვაძლევს საფუძველს ჰემიდრაქმების II ტიპის ემისიების ძვ. წ. V-III საუკუნეების ჩარჩოში მოქცევისა.

VIII ტიპი: ეს უკნინესი ნომინალია – ჰემიტეტარტემორიონი. თარიღდება სამარხეული კომპლექსის მიხედვით – ძვ. წ. V საუკუნის II ნახევრით. ემისია განხორციელდა, ალბათ, ჰემიდრაქმების II ტიპის სინქრონულად.

გრაფიკულად კი ყოველივე ასე წარმოდგება:



კოლხური თეთრი სამონეტო ჯგუფის სახელია. სამონეტო კლასიფიკაცია შემდეგი იდეური მომენტების გათვალისწინების საფუძველზე უნდა ხორციელდებოდეს, ეს ის იდეური მომენტებია, რაც მონეტაშია ჩადებული: 1. ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონი; 2. სოციალური კონტრაქტის ტიპი, ე. ი. სახელმწიფო სტრუქტურის ტიპი (ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის პოლიტიკური დეცენტრალიზაციის შემთხვევაში); 3. სამონეტო რეგალიით აღჭურვილი კონკრეტული იურიდიული სუბიექტი; 4. ემისიის წელი; 5. წმინდა ეკონომიკური იდეები – სამონეტო სისტემა და სხვ.; 6. ტიპოლოგია; 7. სტილი; 8. ლეგენდათა სისტემა. ემისიას აყალიბებს პირველი ოთხი აღნიშნული პუნქტის ფარგლებში იდენტური შტრიხების შემცველი ნუმიზმატიკური ძეგლები. ანალოგიური ვითარება I, II, VI და VII პუნქტებთან დაკავშირებით უკვე სერიაა, მხოლოდ I-II-სთან – ჯგუფი.

მაგ. კოლხური ვერცხლის ფულის ნებისმიერი ტიპის ასტრალური ტიპოლოგიური სინთეზი ეკონომიკურ-გეოგრაფიული კატეგორიის მაჩვენებელია, ის ქვეყანაზე მიუთითებს, ყოველივე პონტო-მედიტერანულ სისტემაში კოლხეთის სპეციფიური ნიშანია. ხოლო ღვთაების და მისი ატრიბუტების გამოსახულებანი და არა ბასილევსისა, აღნიშნავს იმას, რომ de jure სამონეტო რეგალია სწორედ პირველი მათგანის ხელშია; ასეთი თეოკრატიული გადაწყვეტა სწორედ რომ რესპუბლიკის მახასიათებელი შტრიხია. ზემოთ განხილული ნემიზმატიკური ძეგლების ნებისმიერი ტიპი ამ ორი ხაზგასმული მომენტის მატარებელია. ე. ი. აქ საქმე გვაქვს სამონეტო ჯგუფან.

II ტიპის ჰემიდრაქმები ამ ნიშნების მატარებელია, დამატებით სახეზეა ტიპოლოგიური და სტილისტური დამთხვევაც. ე. ი. აქ სერიაა.

II ტიპის ჰემიდრაქმების ნაწილზე ბერძნული ასოებია – მათ მაგისტრატების სახელს უკავშირებენ. მაგისტრატის ფიქსაცია კი სწორედ რომ ეკონომიკური წლის აღნიშვნის ტოლფასია. ე. ი. ჰემიდრაქმები იდენტური ასოებით ერთი ემისიაა.

3. ატიკური ნომინალური რეცეპცია ძალზედ სიმპტომატურია.

„თუ ქალაქებში ვინმე ჭრის ვერცხლის ფულს და ამისათვის იყენებს არა ათენური მონეტებს, საწონებსა თუ საზომებს, არამედ უცხოური მონეტებს, საწონებსა და საზომებს, მე მას დავსჯი და დავაჯარიმებ კლეარქეს წინა დეკრეტის მიხედვით"[1]. ეს არის ნაწყვეტი ათენელთა ცნობილი დეკრეტიდან, რომელიც მოკავშირეებს აიძულებდა ეხმარათ ათენური ფული, საწონები და საზომები. აღნიშნული სიტყვები ბულეს მდივანს (ὁ γραμματεύς) უნდა დაემატებინა თავისი საზეიმო ფიცისთვის. კანონს ადგილებზე ახორციელებდნენ მოკავშირე ქალაქებში მყოფი ἄρχοντες τῶν Ἀθηναίων და პოლისის მაგისტრატი[2]. კანონი სადღაც ძვ. წ. 450-414 წლებში უნდა მიეღოთ[3]. სტელები ამ ტექსტით აღიმართა ათენსა და მოკავშირე ქალაქებში. უკვე შვიდი ფრაგმენტია აღმოჩენილი[4]. დეკრეტის შინაარსი სხვადასხვანაირად არის გაგებული. ერთი რამ აშკარაა – ის საოცრად იმპერიალისტურია, და თუ ათენის „იმპერიაში" შემავალ რომელიმე ქალაქს ჯერ კიდევ ჰქონდა სამონეტო ემისიის რეგალია, აქ უნდა მოეჭრათ მხოლოდ და მხოლოდ ატიკური წონის ფული. ელექტრუმის სტატერები კვლავაც დიდი პოპულარობით სარგებლობდა[5]. მოგვიანებით არისტოფანემ თავის „ფრინველებში" მწარედ დასცინა ამ დეკრეტს[6]. კანონი სავაჭრო და საგადასახადო სისტემების მოწესრიგებას ემსახურებოდა – ათენელები ხომ საკმაოდ მკაცრად მოითხოვდნენ მოკავშირეებისგან ფოროსის გადახდას.

შავიზღვისპირეთი ათენს თავისთვის უნდოდა. პერიკლემ სამხედრო-საზღვაო ექსპედიციაც კი მოაწყო აქ (Plut. Pericl. 20). ათენური ტეტრადრაქმები და ატიკური კერამიკა კოლხეთის ეკონომიკის ძალზედ სიმპტომატური შტრიხებია[7]. უფრო მეტიც, თუ ადრე დასავლეთ საქართველოში ფული მილეტური, ეგინური და სპარსული სისტემების საფუძველზე იჭრებოდა, ახლა აქ ატიკური სტანდარტი გაბატონდა.

საბოლოო სურათი კი ასეთია:

ტიპი – ლომის თავი/პეგასი ფაზისის პირველ სამონეტო სერიას შეესაბამება.

შემდეგ ჩნდება ჰერმაფროდიტი ლომის გამოსახულება. ასეთი გამოსახულებით ჯერ მოიჭრა სპარსული სისტემის სტატერი. ამავე ემისიას განეკუთვნება სიკლიც, ე. ი. მეხუთე ტიპი.

მომდევნო ემისია მესამე ტიპს (ადამიანის თავები) წარმოაჩენს როგორც სპარსულ სტატერს.

---

[1] A Selection of Greek Historical Inscriptions. To the End of the Fifth c. B. C. Edited by R. Meiggs and D. Lewis. Oxford, 1969. Printed to the University 1971, გვ. 113; Chr. Howgego. Ancient History from Coins. London. 1995, გვ. 44.

[2] Selection... გვ. 113.

[3] Selection... გვ. 114-115; C. G. Starr. Athenian Coinage. Oxford. 1970, გვ. 68 შენ. 15; Chr. Howgego. დასახ. ნაშრ. გვ. 44.

[4] Selection... გვ. 111; „Athenian Coinage Decree". J. M. Jones. A Dictionary of Ancient Greek Coins. London. First published in 1986.

[5] Selection... გვ. 113.

[6] C. M. Kraay. Coins of Ancient Athens. Newcastle upon Tyne. 1968, გვ. 5.

[7] G. F. Dundua, T. G. Dundua. Les Relations Économiques de la Colchide aux Époques Archaïque et Classique D'Après le Matèriel Numismatuque. La Mer Noire Zone de Contacts. Actes du VII-e Symposium de Vani. Paris, 1999, გვ. 111 №23; Очерки Истории Грузии. т. I. 1989, გვ. 228.

ჰერმაფროდიტი ლომის გამოსახულების რესტავრაცია უკვე ატიკური სისტემის ექსპლოატაციასთან არის დაკავშირებული – იჭრება დიდრაქმა ლომისგამოსახულებიან ჰემიდრაქმასთან ერთად.

ამას მოჰყვება მესამე ტიპი როგორც უკვე ატიკური დიდრაქმა.

მეშვიდე ტიპი (ადამიანის თავი / ხარის თავი), ერთის მხრივ, აშკარად ატიკური სისტემის მიხედვით არის მოჭრილი, მეორეს მხრივ, ის არის მეოთხე ტიპის (ადამიანის თავი / ხარის თავები) გამარტივებული ვარიანტი. აქედან კი ასეთი დასკვნის გამოტანაა შესაძლებელი – მეოთხე ტიპი უნდა ჩაითვალოს ატიკური სისტემის მსხვილ ნომინალად, რომელიც ქალისგამოსახულებიან ჰემიდრაქმასთან ერთად ქმნის ერთ ემისიას. ეს უკანასკნელი ტიპი შემდგომ ძალზედ ხანგრძლივ სერიას მიესადაგა.

აი, ასე გაიმარჯვა კოლხეთში ატიკურმა სტანდარტმა.

დიოსკურია მილეტელთა მიერ დაარსებული ბერძნული ქალაქი იყო. მას, ალბათ, ოლიგარქია მართავდა. ხანდახან პოლისს ჰინტერლანდის მოსახლეობა აწუხებდა. დიოსკურიამ ბილინგვიზაციის და სრული ასიმილაციის რთული გზა განვლო. ქალაქის ისტორია ბრძოლებითაა აღსავსე. 1993 წლის ზაფხულში აქ კვლავაც ომი იყო. მაგრამ ერთმა ყუმბარამ მაინც ძალზედ კარგი საქმე გააკეთა – მის მიერ ამოთხრილ ორმოში აღმოჩნდა მონეტის ფორმის რაღაც თეთრი მეტალი. ვიძლევით აღწერილობას – წ. 300,37 გრ., d = 70 მმ. ათენას თავის გამოსახულება ატიკურ მუზარადში. აქ ე. წ. „ძველი სტილის" მონეტების მოდელია წარმოდგენილი/ ბუ. ეს აშკარად ათენური საწონია. ნივთი უნახავთ ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების თანამშრომლებს და აგრეთვე ისტ. მეცნ. დოქტ. პროფ. გ. დუნდუას არქეოლოგიური კვლევის ცენტრიდან მაშინ, როცა ის იქ გასაყიდად მიიტანეს. 1993 წლის სრული ქაოსის პირობებში საწონი ვერც შეიძინეს, და ვერც წესიერად დააფიქსირეს.

აგორაზე აღმოჩენილი დამღიანი საწონების უდიდესი ნაწილი ტყვიის უხეშ ფირფიტებს წარმოადგენს. ზოგჯერ მათზე მონეტების ანალოგიური სიმბოლოებია გამოსახული – კერძოდ, ათენა და ბუ[8]. მაგ. რომაული ხანის ტყვიის საწონზე ათენას თავისგამოსახულებიანი მრგვალი დამღაა მოთავსებული[9] 69,9 გრ. წონის ბრინჯაოს 1/6 სამონეტო მინაზე ბუა ამოკვეთილი[10]. საწონების კონტრამარკებზეც კი აღნიშნული ტიპებია[11]. ათენურ საწყაოზე ასევე ორი ტრადიციული დამღაა – ორტანიანი ბუ და ათენას თავი მუზარადში[12].

ათენური სამონეტო მინა უდრიდა 100 დრაქმას. მისი წონა ≈ 436,6 გრ. არსებობდა საბაზრო (სავაჭრო) მინაც 138 დრაქმის შესაბამისი; წონა 602 გრ.[13] დიოსკურიის საწონი სწორედ რომ ათენური საბაზრო ნახევარი მინაა.

ყოველივე ზემოთქმული შესაძლოა ასე შეჯამდეს:

1) დიოსკურია ნებით, ან ძალით იმ კავშირის სუბიექტი გამხდარა, სადაც ათენი პირველობდა. ქალაქი ოფიციალურ ათენურ საწონებს იღებს.

2) აქვე გაწევრიანებულ ფაზისს, ალბათ, ატიკური სამონეტო მინა და სტანდარტი აუთვისებია. მაგრამ არის რიგი შეკითხვებისა, რასაც, ჯერჯერობით, პასუხს ვერ გავცემთ. მაგ. ათენთან დაახლოებას პოლისის კონსტიტუციის ლიბერალიზაცია ხომ არ მოჰყვა შედეგად;

---

[8] The Athenian Agora. v. X. Weights, Measures and Tokens by M. Lang and M. Crosby. Results of Excavations Conducted by the American School of Classical Studies of Athens. Part I. Weights and Measures by M. Lang. Princeton. New Jersey. 1964, გვ. 6.

[9] დასახ. ნაშრ. გვ. 31, ტაბ. 9 LW (lead weight) 66.

[10] დასახ. ნაშრ. გვ. 26, ტაბ. 1 BW (bronze weight).

[11] დასახ. ნაშრ. გვ. 28, ტაბ. 6 LW 26, გვ. 30, ტაბ. 8 LW 46.

[12] დასახ. ნაშრ. ტაბ. 14 DM (dry measure) 44, 45; ტაბ. 18 DM 44, 45.

[13] „Mina", „Attic Weight Standard". J. M. Jones. დასახ. ნაშრ.

ნეტავ რას უნდა ნიშნავდეს ქალღმერთთა ის „არქაული ღიმილი", რაც ათენურ „ძველ სტილს" და ფაზისურ მონეტებს (მეშვიდე ტიპი) ასე დიდხანს შემორჩა?

3) ერთი რამ კი ნათელია – ატიკური სტანდარტი კოლხეთში დაინერგა სადღაც ძვ. წ. 450-414 წლებში. ასეთი სტანდარტიზაცია კი იგივეა, რაც ევროს რეალიზაცია დღევანდელ ევროპაში.

4. არის სხვა მოსაზრებაც. იბერიის სამონეტო საქმის დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ კლარჯეთის ერისთავის ბაგრატ ბივრატის ძის ვერცხლის მონეტები (ძვ. წ. III ს. II ნახევარი. ამასთან დაკავშირებით იხ. თ. დუნდუა. ბაგრატი, ძე ბივრატისა. თბ. 2001).

ერთი და იგივე თავის გამოსახულებიან მონეტებზე შემდეგი არამეული წარწერებია:

№ 1. BaGaDaT FRaTaRaKA ZI ALaHIA*

№ 2 BIURaT FRaTaRa ZI...**

№ 3 BIURAT BaGaDaT...***

№ 4 BaGaDaT FRaTARaKa BIURat ZI ALaHIA

(Fratakara ცეცხლის დამნთები (?), Frataraka – მამასახლისი; ZI ALaHIA – ღვთაებრივი).

წერილობითი წყაროების და ნუმიზმატიკური მასალის შეჯერების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ძვ. წ. III საუკუნის II ნახევარში კლარჯეთის ერისთავმა ბაგრატ ფარნავაზიანმა მოჭრა მონეტები ამაყი ლეგენდით – „ბაგადატი, ძე ბიურატისა, ღვთაებრივი მამასახლისი" (BaGaDaT FRaTaRaKA BIURat ZI ALaHIA). № 1 ორიგინალურადაა გადაწყვეტილი, ცეცხლის ტაძარი კი ნასესხებია სპარსული ვერცხლის ფულებისგან. არც სატრაპის სამოსელი და არც ცეცხლის ტაძარი არ უნდა ყოფილიყო უცხო იბერებისთვის, რომლებიც თაყვანს სცემდნენ არმაზ-აჰურა მაზდას, და იცვამდნენ ირანულ ყაიდაზე (Strabo XI. 3.3.).

ამ ფულების ტიპოლოგიური ნატურალიზმი უახლოეს ელინურ პოლისზე მიუთითებს, როგორც ზარაფხანაზე. ემისიები ან ფაზისს, ან ტრაპეზუნტს შეუკვეთეს.

---

* ბაგადატი. ტეტრადრაქმა. წ. – 16,58 გრ.

შუბლი: ბაგადატის თავის გამოსახულება მარჯვნივ, წვერ-ულვაშით, საყურით, შუბლსაკრავით (taenia). ახურავს სატრაპის თავსაბურავი (kyrbasia) ორმაგი თასმით უკან და ზემოთ დამაგრებული ყურებით. გარშემო წერტილოვანი რკალი.

ზურგი: ტახტზე მჯდომი ბაგადატი მარცხნივ. ატარებს სატრაპის თავსაბურავს და გრძელ მოსასხამს ცრუ-სახელოებით და სამკლავეებით, მარჯვენა ხელში გრძელი სკიპტრა უჭირავს, მარცხენაში – ყვავილი(?). მის წინ შტანდარტია დეკორით – ※ და ფოჩებით – dirēfš-i Kaviān, ლეგენდები – მარჯვნივ, ზემოდან ქვემოთ, და მარცხნივ, ქვემოდან ზემოთ. წერტილოვანი რკალი.

** ბაგადატი. ტეტრადრაქმა. წ. – 16,89 გრ.

შუბლი: როგორც წინა.

ზურგი: ცეცხლის ტაძარი პლატფორმაზე ორმაგი კარებით, პილასტრებით და არქიტრავით, ზემოთ სამი ქონგურია, თითოეული წყვილი რქით. მარცხნივ ბაგადატის გამოსახულებაა სატრაპის თავსაბურავში და გრძელ სამოსელში, მარჯვნივ. მარჯვენა ხელი ზემოთ აქვს აწეული თაყვანისცემის ნიშნად. შტანდარტი მარჯვნივ. ლეგენდები – მარჯვნივ, ზემოდან ქვემოთ, ქვემოთ, და მარცხნივ (თუკი, საერთოდ, არსებობდა), სამონეტო არეს მიღმა. წერტილოვანი რკალი.

*** ბაგადატი. ჰემიდრაქმა. წ. – 1,68 გრ.

შუბლი: როგორც წინა.

ზურგი: როგორც წინა. ლეგენდები – მარჯვნივ, შტანდარტსა და ტაძარს შორის, გარეთ – წაშლილია, ქვემოთ, და მარცხნივ, წერტილოვანი რკალი.

5. გვიანელინისტური ხანის და შემდგომი პერიოდის როგორც ბიმეტალიზმი, ასევე ავტოხტონური ემისიების მიერ აკუმულაციის ეტაპობრივი გამოდევნა სრულებითაც არ იყო განპირობებული ადეკვატური ეკონომიკური პროცესებით. პირიქით, საქმე გვაქვს კონკრეტული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ დაჩიხვასთან, შესაბამისად, ზემოაღნიშნული მომენტები კარგავს რეალურ სემანტიკას. ზოგადად აღვნიშნათ, რომ კრიზისის ჰიპოთეტური მიზეზთაგანია ფეოდალიზაციისათვის აუცილებელი სოციალური კონიუნქტურის არარსებობა; სხვა ამ კატეგორიის საფუძველია საგარეო-პოლიტიკური „ფაქტორი". სტატერის იდეა, დასახული საუკუნის დასაწყისში, თანდათან ინფლაციურ დეგრადაციას განიცდის, მაშინ როცა ნატურალისტური კონცეფციების და რეგალიური მომენტების გაქრობა, ე. ი. მინაბაძად ტრანსფორმაცია, წმინდა პოლიტიკური მომენტებით უნდა აიხსნას.

მითრიდატული ხანის კოლხეთის სამონეტო ბაზრის დანაწევრება შემადგენელ კომპონენტებად ზოგი კატეგორიის კვლევის ობიექტთა წრიდან გამორიცხვით უნდა დაიწყოს. ქვემოთ აღინიშნება ის ობსტრუქციული კონიუნქტურა, რაც ხელს უშლის სპილენძის ნუმიზმატიკური ძეგლების პერცეფციას დასავლეთ საქართველოში სახმარ ღირებულებად.

რაც შეეხება ეკონომიკის ევოლუციის ზოგადი სქემის მოხაზვის საკითხს, ერთი კონკრეტული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის მიერ სხვა ტიპოლოგიურად იდენტური სოციალურ-ეკონომიკური ფენომენის ექსპლოატაციის შედეგს a priori უპირისპირდება შემდეგი თანაფარდობა – ვერცხლის ტრიალის ორჯერ თუ სამჯერ ინტენსიფიკაცია ძვ. წ. I საუკუნის I ნახევარში – ეს, ერთი შეხედვით, საპირისპირო ინდიკატორია, მაგრამ რიგ სპეციფიურ მომენტთან აღნიშნული მონაცემების კოორდინაცია სულ სხვა დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს – დაბალი სინჯის და წონის ლისიმაქეს ტიპის სტატერების ემისიის გააქტიურების ეკონომიკური არსი პონტოური ვერცხლის ექსპანსიის შედეგად საქონელბრუნვის მოცულობის შემცირების ბაზაზე აღმოცენებული აშკარა ინფლაციური პროცესების სოციალური ეფექტის დაძლევაში მდგომარეობს. პირიქით, თუ დავუშვებთ ეკონომიკის აღმავალ ხაზს, იმიტაციების ფაქტურა დიდ დისონანსს შეიტანს საერთო სურათში. ე. ი. ყოველ შემთხვევაში, ნუმიზმატიკური მასალის ლოგიკური გააზრება საინტერესო პერიოდის კოლხეთის ეკონომიკის არასახარბიელო კონდიციაზე მიუთითებს. აღნიშნულ სუბსტრატზე აღმოცენდება სხვა შეფასებებიც.

ძვ. წ. I საუკუნის II ნახევრის სამონეტო მიმოქცევასთან დაკავშირებით შესაძლებელია შემდეგი დებულების კონსტრუქცია: რიგი მეთოდური მომენტის გათვალისწინების საფუძველზე მიღებული რეზულტატი ევპატორის ხანასთან მიმართებაში დაახლოებით 1/3-ით შემცირებულ ვერცხლის მიმოქცევას და იმიტაციების (ალექსანდრეს და ლისიმაქეს ტიპის სტატერების მინაბაძები) ემისიის მკვეთრად შეკვეცილ მოცულობას შეესაბამება. უკანასკნელი რაოდენობრივი ემპირიზმი თითქოსდა სიმპტომატური უნდა ყოფილიყო, რომ არა ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი – იმიტაციური სტატერის წონის ეტაპობრივი დეგრადაცია, რაც განსაკუთრებით სწრაფ პროცესად სწორედ განსახილველ პერიოდში იქცა. ზემოთ ჩვენ შევეცადეთ გაგვერკვია აღნიშნული იმიტაციების ეკონომიკური ფუნქცია. მისი რაციონალური ტიპი აშკარად სახელმწიფოებრივ ემისიაზე მიუთითებს, ხოლო იურიდიული რეგალიის დაუფიქსირებლობა – სამეფო ხელისუფლების, მის მიერ მთელი ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის მასშტაბით, თავისი რეალური სემანტიკის დაკარგვის მიჯნაზე ყოფნას. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის საინტერესო პროდუქცია სხვადასხვა სოციალური კონტრაქტის საერთო-ეკონომიკური ორგანიზების რეგალიის მატერიალიზაციაა. არავითარ შემთხვევაში მსგავსი პოლიტიკური კონიუნქტურის ვერსია არ უნდა გავრცელდეს

ა) ლოტოსისგამოსახულებიანი მონეტების (დაწვრ. იხ. ქვემოთ) ზოგიერთი საინტერესო ასპექტის ატრიბუციაზე. მითრიდატე უმცროსის მმართველობა სამეფო ავტორიტეტის ინტერიერული რეანიმაციაა, განპირობებული, ერთი მხრივ, სამხედრო ტიპის დიქტატორული მმართველობის აუცილებლობით, ხოლო მეორე, თვით ევპატორის მხრიდან, რომლის სასარგებლოდაც კოლხეთის მეფის ზოგიერთი რეგალია იზღუდება. ლოკალური ზარაფხანების ხაზგასმული აქტიურობა ევპატორის ხანაში შემდეგი მიზეზებით იყო განპირობებული: 1. ეს იყო გარკვეული პოლიტიკური დემარში სკეპტუხთა მხრიდან. 2. ევპატორის ლოიალურობა განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკის მიმართ, მისი უდიდესი სოციალური აუცილებლობის და რენტაბელურობის გამო. ბ) არისტარქეს დეკლარაციის ტიპი ფორმალურად მაინც რომაული საკანონმდებლო ხელისუფლების უზენაესობის აღიარებაზე მეტყველებს (იხ. ქვემოთ) და, აგრეთვე, ეს საუკეთესო გამოსავალი იყო კოლხეთის ტერიტორიაზე უმაღლესი ავტორიტეტის ხელისუფლების დეტერმინიზმისათვის. ამ კატეგორიის იმიტაციების ემისიისთვის რაიმე ობიექტური მიზეზის არარსებობა ნორმალური ევოლუციის პროცესს დაქვემდებარებულ ქართლის ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რეგიონში, სწორედ აქ გვავარაუდებინებს მცირე მასშტაბის არაოფიციალური ზარაფხანების არსებობას. ეკონომიკური კრიზისის და ინფლაციური მომენტების შემდგომი გაღრმავება აშკარად სახეზეა.

ახ. წ. I საუკუნის I ნახევარში საგარეო ვაჭრობის თითქმის სრული მოშლის პირობებში, და ასეთი დასკვნის გაკეთებას კონკრეტულ ეტაპზე ხელს ვერ შეუშლის პერიოდის არქეოლოგიური შესწავლის დაბალი ხარისხი, გარკვეულწილად თვისებრივი ინდიკატორებით დაძლეული, ადგილობრივი სოციალური კონტრაქტების ზოგადეკონომიკური პოლიტიკის მიზანი კონკრეტული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის ფულადი მიმოქცევის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების პერმანენტული გადაწყვეტა იყო. ამით აიხსნება ავტოხტონური ემისიების საოცარი აქტიურობა, სინჯადობის და წონის თვალსაზრისით რაიმე რადიკალური ცვლილებების გარეშე. აქვე დავძენთ, რომ პროტოფეოდალური ტიპის ინფლაცია მისი კაპიტალისტური ანალოგიისაგან განსხვავდება ბრუნვაში არსებული მეტალის საერთო წონის თანდათანობითი შემცირებით. ამ მოვლენის მიზეზი გასაგებია, და ფულის საქონელთან ქმედების სხვადასხვა მასშტაბთან არის დაკავშირებული. მაღალი ხარისხის ოქროს სამონეტო აკუმულაციების აბსორბციას ავტოხტონურ ემისიებსა და სახელმწიფოს მიერ წარმართულ საგარეო-ეკონომიკურ აქციებში კრიზისის დასაწყისშივე ექნებოდა ადგილი.

ლოკალური ინფლაციური ემისიების შეწყვეტის და უცხოური ვალუტის მეტად თუ ნაკლებად ნორმალური დენის ფაქტი ეკონომიკის აღმავალ ხაზზე ტრანსფორმაციის ნათელი ილუსტრაციაა. ყოველივე ეს კი აშკარაა 50-იან წლებში.

6. მითრიდატემ, შესაძლოა, ვერცხლიც კი მოჭრა. საერთოდ, არისტარქეს ვერცხლი ეპიზოდური ეკონომიკური სტაბილიზაციის რეგულირებისათვის საჭირო მონახაზი იყო შემდეგი ძირითადი ატრიბუტიკით: მონომეტალიზმი (Ar). და მაღალი სინჯადობა. ობიექტური მიზეზების გამო მან რეფორმაციული სტატუსი ვერ შეიძინა. იგივე შეიძლება ითქვას მითრიდატე უმცროსის(?) ვერცხლზე(?). რაც შეეხება სპილენძს, პროტოფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი დამხმარე სოციალურ ქმედებათა გარკვეული კონცენტრაცია ძირითად სოციალურ სუბიექტში ხელს უშლიდა აღნიშნული მეტალის ფრაქციულ სახმარ ღირებულებად პერცეფციას. სპილენძის მინიმალური დალექილი რაოდენობა ძირითადად ზღვისპირეთში კოლხეთისთვის მის არაკონვერტირებულ სტატუსზე მიუთითებს, ხოლო ფართო მიმოქცევა მითრიდატულ ხანაში წმინდა პოლიტიკური ფენომენია.

7. ახლა იბერიის სამონეტო საქმეს მივუბრუნდეთ. I საუკუნის შუა ხანები ალექსანდრესა და ლისიმაქეს იმიტაციების ემისიის უკანასკნელი ეტაპია. ორსაუკუნოვანი შესვენების შემდგომ კი იბერიამ კვლავ განაახლა ქმედება ამ თვალსაზრისით, გარკვეულმა ეკონომიკურმა კონიუნქტურამ ხელი შეუწყო ქართლის სამონეტო ბაზრის რომაული დიფერენტების რემინისცენციური ფენომენის გენეზისს. ამ მოვლენის ეგზისტენციის ქრონოლოგია სამარხეული კომპლექსების, კონკრეტული პროტოტიპების და სხვა უფრო ზოგადი მომენტების გათვალისწინების საფუძველზე, ძირითადად, III საუკუნის II ნახევრით იფარგლება.

სამონეტო ტიპოლოგიის ევოლუცია თითქმის ნატურალისტური კონცეფციების სქემით შეცვლის ჩვეულებრივი პროცესია.

კონკრეტული პერიოდის იბერიის სამონეტო მიმოქცევასთან დაკავშირებით შესაძლებელია რამდენიმე დებულების კონსტრუქცია: 1. იმპერიის მძაფრი ეკონომიკური კრიზისი და ირანის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ტრანსფორმაცია აკუმულაციური დეფიციტის საფუძველი შეიქმნა. ავტოხტონური ემისიის საკითხი აქტუალური უნდა გამხდარიყო. 2. ეს და თვით იმიტაციების სპეციფიური ჰაბიტუსი გამორიცხავს მათ იატაკქვეშა წარმოებას. 3. მაგრამ რეგალიის დაუფიქსირებლობა წყაროთმცოდნეობითი ბაზისის არსებულ დონეზე გაუგებარია. 4. იმიტაციების მცირე რაოდენობა, სამარხეულ კომპლექსებში მათი არადომინირებული კონდიცია, წონის და, აუცილებლად, სინჯადობის თანდათანობითი დაცემა, თითქმის ბიმეტალიზმი და ნომინალური გაწვრილება; დამატებით IV საუკუნის დაცემული სამონეტო ბაზრის პერცეფცია წინა პერიოდის დერივატად – ყოველივე საკმაოდ მძაფრი და ხანგრძლივი კრიზისული პროცესის დანახვის საფუძველს გვაძლევს. ერთადერთი, რაც შეიძლება ითქვას ამასთან დაკავშირებით, მაინცდამაინც მეტად ფრთხილი სამუშაო ჰიპოთეზის სახით უნდა იქნეს ჩამოყალიბებული – ფეოდალური ურთიერთობების პრიმატისთვის აუცილებელი სოციალური სტრუქტურის შექმნის პროცესის მიმდინარეობის შედარებით ნელი ტემპები კონკრეტული კუთხით დასაშვები მიზეზთაგანია.

8. სკრუპულოზური ტიპოლოგიური ანალიზი, სხვა ფაქტობრივი (ქრონოლოგიური) დიფერენტების ლოგიკური გაარჩევა, რეგალიური სიმპტომების პერმანენტულობის აქსიომური პერცეფცია ინტერიერული ტიპოლოგიურ-ატრიბუტული ევოლუციის შემდეგი ალტერნატიული ჰიპოთეზის სუბსტრატია – ჯგუფის სავარაუდო სტრუქტურა უდრის წარმოდგენილ სქემას: 1. რეგალიის მატარებლის პერსონიფიკაცია, გვერდით ჯვრის გამოსახულება. 2. ჯვარი ორივე მხარეს. 3. ჯვარი საკურთხეველზე. 4. გურგენის სახელის ილუსტრაცია ლიგატურით – Ֆ, Ֆ. 5. იგივე, ოღონდ დაქარაგმებული – ՂՌ 6. ემისია ასომთავრული ნიშნებით – ՀԱ (=ჯუანშერ). 7. ჰორმიზდ IV და ხოსრო II ადრეული ნუმიზმატიკური ძეგლების ჰიბრიდი. ჯვარი კვარცხლბეკზე; ლეგენდა – ՍՓՌՍ (=სტეფანოს). 8. ხოსრო ფარვიზის ადრეული დრაქმების ავტოხტონური რეალიზაცია, ჯვარი კვარცხლბეკზე; ლეგენდა – ՍԲԳՓ/ՇՌԱՍ. ჯგუფის სავარაუდო terminus post quem non 585 წელია. ბევრად უფრო მყარია ზედა ქრონოლოგიური შტრიხი – 592 წელი. ემისიების ეკონომიკური არსი მდგომარეობს საუკუნეების მიჯნიდან სოციალურ-ეკონომიკური კონდიციის შესაბამისი ბიმეტალისტური ტენდენციების ადეკვატური შესაძლებელი დისტრიბუციული ქაოსის ლიკვიდაციაში, ნომინალის კურსის დაცემაში, თუმცა კონკრეტული ღონისძიება სრულებითაც არ იყო აქტუალური. მომდევნო ხანგრძლივი ჰიატუსი ამ მხრივ მეტად სიმპტომატურია. ფეოდალური ბაზრების აკუმულაციური ხასიათი საკმაოდ აქტიურ პროტოფეოდალურ რეგალიასთან მიმართებაში თითქოს პარადოქსია, მაგრამ სწორედ ეს

უკანასკნელი ფენომენია ალოგიკური. ტენდენცია კაპიტალისტური საწყისი არსიდან ფეოდალიზაციისაკენ აშკარაა. განხილული ეკონომიკური სემანტიკის დიალექტიკური კომპონენტია აშკარად დაწეული წონა – რემედიუმი 2,1-3,8 გრ. აქედან დრაქმა მხოლოდ ევოლუციის I საფეხურის ნომინალური ეგზისტენციის ფორმაა, შემდგომ კონკრეტული ასპექტით საქმე გვაქვს თვისებრივ ცვლილებასთან. ჯგუფის სუმირებული სტატისტიკაა ≈ 30 ც.

9. და მაინც აქ ყველაფერი წესრიგში არ უნდა იყოს. მაშინ რატომ ბაძავს დავითი 977 წელს მოჭრილ საიმპერიო ვერცხლს, რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე?! იმას ხომ არა, რომ დავითი კამპანიის სამზადისში უკვე კურაპალატია? Ph. Grierson. Catalogue of the Byzantine Coins in the Dumbarton Oaks Collection and in the Whittemore Collection. v. III. part two. Washington. 1973, გვ. 610, ტაბ. XLVI, № 16. კიდევ ერთი – ჰიპოთეტურ პროტოტიპზე საპატრიარქო ჯვარია. ალბათ, დავით კურაპალატის მონეტის ტიპოლოგიის შექმნისას სხვა ნიმუშიც იქნა გამოყენებული. იხ. Ph. Grierson. დასახ. ნაშრ., გვ. 536, 554-555, №№16, 17-18, ტაბ. XXXVII, №№ 16, 17-18).

10. X საუკუნის ლოკალურ ემისიებთან დაკავშირებით შესაძლებელია რამდენიმე დაკვირვების შემოთავაზება: 1. 80-იან წლებამდე დირჰემის სტანდარტი შენარჩუნებულია. 2. მინაბაძების რემედიუმის ქვედა წონითი შტრიხი უკვე აღარ არის დირჰემი. აღნიშნული ქრონოლოგიური მომენტიდან მოყოლებული ვიდრე საუკუნის ბოლოსი, ხორციელდება ნომინალის დეგრადაცია, იჭრება დაბალი წონითი კატეგორია მინაბაძებისა და მასთან მიმართებაში თითქოსდა გაუგებრობაა ალი ბენ ჯაფარის მონეტის მაღალი წონა (3,9 გრ.) დაბალ სინჯადობასთან ერთად. რას უნდა ნიშნავდეს ლიგატურის და წონის სინქრონული ზრდა?! ყოველივე ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის პირველი რეაქცია იყო გლობალურ მოვლენებზე, აქ ეკონომიკური კრიზისი არაფერ შუაშია. ე. ი. ემისიები არის არა ინფლაციური კატეგორიის, არამედ სპეციფიური დაკომპლექტება საკუთარი სამონეტო ბაზრის, თუმცა საკრედიტო ფულზე გადასვლა ნაადრევი იყო. 3. ქართლის ეკონომიკური კომპლექსის პირდაპირი კონტაქტი დასავლეთთან არ დასტურდება, ე. ი. დავით III მონეტის ბიზანტიურ ყაიდაზე მოჭრის ფაქტი წმინდა პოლიტიკური ომაჟია; ამავე დროს, ის რეფორმაციულია – წინასწარ იქნა გააზრებული ა) ახალი ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის პერსპექტიული გენეზისი უახლოეს მომავალში. ბ) ბიზანტიის ფინანსური დომინანტის აკუმულაციური დიფუზია აღმოსავლეთისკენ.

11. ყოველივეს მაინც თან ვურთავთ მცირე კომენტარს.

ისლამის რეცეპცია საკანონმდებლო რეგალიისგან აბსტრაჰირებული განსხვავებული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის სოციალური კონტრაქტის მიერ აუცილებელია, ღონისძიება სიუზერენის მხრიდან გარკვეული და ეფექტური პრევენციაა ფსევდოქრისტიანული, რეალურად კი პურიტანული ლოკალური სტრუქტურული სისტემის შენარჩუნებისა. ქრისტიანული კონფესიის არაკონსტიტუციური ეგზისტენცია უდრის საკმაოდ შორსწასულ გაუცხოებას უფლებრივი კომპლექსისგან. „ხოლო აღსართან მიერთო სულტანსა. მიუძღუანა ძღუენი დიდი, დაუტევა სჯული, დაიცჯთა წინა, აღუთქუა ხარაჯჯ“ (ქ˙ც, I, გვ. 309) – კონკრეტული არაპერმანენტული და, ამავე დროს, ალოგიკური კონდიცია და ქმედება მაინც მოითხოვდა სწრაფ კონტრღონისძიებას. რანთა და კახთა მეფის კონფესიონალური მეტამორფოზი მეტად თუ ნაკლებად სერიოზული დაწოლის არარსებობის პირობებში განხორციელდა. რა არის ეს, არაპერსპექტიული მანიპულაცია რეგალიის ნაწილობრივი ტრანსფორმაციით, რა სფეროს შეეხო ის?! ინტერიერული საგარეო პოლიტიკა აბსურდია,

მაშინ ჰიპოთეზის სახით შესაძლოა ავტოხტონური საბაჟო რეგალიისადმი პოსესიური მიმართების პრეროგატივის სელჩუკთა სოციალური კონტრაქტის კომპეტენციად პერცეფცია. ხოლო მისი ბაზისური ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონები ვერცხლის დეფიციტს განიცდის – ეს ერთი მხრივ. მეორე მხრივ კი, სპილენძის უწესოდ ჭრის წესის აპრობაცია განსახილველი ნუმიზმატიკური ძეგლების იურიდიულ ატრიბუციას სწორედ ამ ბაგრატს უკავშირებს – ალი ბენ ჯაფარის ექსპერიმენტი უკვე მომხდარი ფაქტია. I და II ჰიპოთეზების ლიგატურაა პირობითად სინთეზური დებულება ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფის მიერ განხორციელებული ექსტრემალური ღონისძიების შესახებ – მისი ეკონომიკური სემანტიკა უდრის ლოკალური ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის ადეკვატური სავალუტო ფონდის დაცვის პოლიტიკას. აქ სწორედ უწესოდ ნაჭედი საკრედიტო ფული იგულისხმება. სტანდარტული მოდელი სპილენძის სასაქონლო ღირებულებით მიმოიქცევა. ასეთ შემთხვევაში ბაზისური (საკრედიტო) ნომინალის და მისი ფრაქციის ემისიას ადგილი ექნებოდა სადღაც 1069-1072 წლებში. კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ ყოველივე ზემოაღნიშნულის ზედაპირულ და უმეტესწილად ლოგიკურ ტიპს.

ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონისა და ეთნიკური კომპლექსის პირობითი სტრუქტურული დანაწევრების XI-XII საუკუნეების პერცეფცია (იხ. მაგ., მატიანე ქართლისაჲ-ში და დავითის ისტორიკოსთან) de facto და de jure სოციალური კონტრაქტების და ეკონომიკურ-გეოგრაფიული სუბსტრატების რემინისცენციაა. ამ ასპექტით საინტერესო ფსევდოსემანტიკური დიალექტიკური სისტემა გარკვეულწილად ასეთი სახით წარმოგვიდგება – აფხაზეთი და აფხაზნი, ქართლი – ქართველნი და მესხნი (!), კახეთი და კახნი. ა) კახეთის, ქართლისა და აფხაზეთის წმინდა ადმინისტრაციული კატეგორიების ნომინალური აბსტრაჰირება ქართლის (საქართველო) ეკონომიკურ-გეოგრაფიული კომპლექსიდან. ბ) ეთნიკური ერთეულის და ფაქტობრივად უნიკალური სოციალური კონტრაქტის ჰორიზონტალური დიფერენციაცია. გ) ქართველთა და მესხთა მეტად სიმპტომატური დივერგენციული ფიქსაცია ერთ სიბრტყეზე. დ) ტრადიციული ტიტულატურის – მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა – სტრუქტურულ-ნომინალური სპეციფიკა და შემდგომი ტიპოლოგიური აბსოლუტური ტრანსფორმაცია – ყოველივე ინდიკატორია სოციალური კონტრაქტის იდეალური ფუნქციონირების ორგანიზების პროცესის განსაზღვრული ხანგრძლივობისა (ბაგრატ III დავით IV). ხოლო დიალექტიკური მიმართება – ქართველნი და მესხნი (იხ. მაგ., ქ"ც, I, გვ. 289, 333) – უკვე ქართველთა მეფობის ფაქტობრივი რეგალიური რეალიზაციის დაპირისპირებაა სტატუსის წმინდა იდეურ ასპექტთან. ნომინალური რეცეპციის პირობად კონკრეტული ფონეტიკურ-სტრუქტურული ერთეულის – ქართლის – კონკრეტული სოციალური სემანტიკა და ადეკვატური რეგალიური კონიუნქტურა აღნიშნული ფიზიკურ-გეოგრაფიული ბაზისის პერიფერიისადმი აქტიურ რეალურ რეგალიურ ქმედებას გულისხმობს. ბაგრატ IV-ის უფლებათა სრული კომპლექსის კონსტიტუციური გაუცხოება მესხეთის პირობითად დაშვებული სოციალური კომპლექსის ეკონომიკური ბაზისიდან ფაქტია და ლოგიკურად მოითხოვს I ემისიის ქრონოლოგიური შტრიხების კორექტირებას – 1055 წელი უმჯობესი ვარიანტია.

დაბოლოს, დუალიზაციის დიალექტიკის ზოგიერთი ქრონოლოგიური შტრიხის შესახებ – ბაგრატ IV-ის ბიზანტიური დიპლომატიური ვოიაჟის სემანტიკა ასე თუ ისე უკვე გასაგები უნდა იყოს, აქ ლიპარიტის საკითხი მეორეხარისხოვანია. ბიზანტია ზონალური პერსპექტიული კონფრონტაციის (კონფლიქტი დანარჩენ ევროპასთან) მიჯნაზეა, სადაც საქართველოს შეეძლო მეტად სიმპტომატური როლის თამაში. ეს ჰიპოთეტური კონსტრუქცია უფრო რეალურ ქრონოლოგიურ დეტერმინიზმს შეესაბამება. მიღებული რეკონსტრუქცია [შემდგომად] (ქ"ც, I, გვ. 303) – კარდინალურად ეწინააღმდეგება საერთო კონტექსტს –

აქ საუბარია ერთ კონკრეტულ წელზე და არა რაღაც მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივ დროის მონაკვეთზე. თუ ინფორმაციის პერცეფცია ამ უკანასკნელი კომენტარის ანალოგიურია, მაშინ ტექსტში თეოდორაც უნდა მოეძებნოს ადგილი, რაც რესტავრაციას ხელოვნურ და ალოგიკურ ქმედებად აქცევს; ე. ი. ყოველივე მცდარია. ვინმე მიხაელის დალექვა ქართულ ისტორულ აზროვნებაში (ქ˜ც, I, გვ. 303) სიმპტომატურია: ის ან კეისარია, რაც გამორიცხულია, ან კი, ფრთხილი ჰიპოთეზის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი – ქართული თეოლოგიისათვის კარგად ცნობილი ფილოსოფოსი და სახელმწიფო ფუნქციონერი მიქელ ფსელოსი (მასზე იხ. The Chronographia of Michael Psellus. Translated from the Greek by E. R. A. Suter. First Published in 1953. L., წინასიტყვაობა; მეტად ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ იმპერატორთან კონფლიქტს ადგილი ჰქონია მონომახის ზეობის სადღაც ბოლოსკენ – Psellos, VI, 191-203). გარდა ამისა, ფრაზა – „... მოითხოვა გუარანდუხტ ბაგრატ ბერძენთა მეფისაგან, და გამოგზავნა ბერძენთა მეფემან (ხაზი ჩვენია – თ. დ.) დიდითა დიდებითა...“ (ქ˜ც, I, გვ. 304) – ბაგრატის ემიგრაციის ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად 1054 წელს აჩენს. თუ ყოველივე ამას დავურთავთ ინდუქციურ შტრიხებს – ა) ლიპარიტის დაბრუნებას ბაგრატის მომენტალური რეაქცია მოჰყვა, მოვლენები სწრაფად განვითარდა (ქ˜ც, I, გვ. 303); ბ) მეფემ ბიზანტიაში სამი წელი დაყო (ქ˜ც, I, გვ. 303) – შესაძლებლად მიგვაჩნია შემდეგი დებულებების კონსტატაცია – 1. ბაგრატ IV კონსტანტინოპოლშია 1051-1054 წლებში. 2. I სამონეტო ემისია თარიღდება ზუსტად 1055 წლით. 3. ლიპარიტიც ამავე წელს შეიპყრეს მესხმა აზნაურებმა.

II ემისიის ამავე კუთხით განხილვის დროს სიმპტომატურია ალფ-არსლანის მიერ ქართლის (ტერმინი ქართლი უდრის – ა) ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რეგიონს (იბერია); ბ) de jure სოციალური კონტრაქტის პირობით შენარჩუნებას და მის ადეკვატურ ფიზიკურ-გეოგრაფიულ სუბსტრატს (მინუს კახეთი); გ) შიდა ქართლს – ერთი ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის მასშტაბით უნიკალური სოციალური კონტრაქტის სტრუქტურული რესტავრაციის იურიდიულ პლაცდარმს და ეკონომიკური სპეციალიზაციის ასპექტით განსაკუთრებული მნიშვნელობის ბაზისს. კონკრეტულ შემთხვევაში საჭირო ვარიანტია ბ) – „... სამწუხაროდ აღივსო ყოველი (ხაზი ჩვენია – თ. დ.) ქართლი...“ (ქ˜ც, I, გვ. 309); ხოლო ყოველსა (ხაზი ჩვენია – თ. დ.) ქართლსა შინა დადგა ლაშქარი...“ (იქვე)) 1068 წლის ხანმოკლე ოკუპაცია; პოლიტიკური დოტაციის სოციალური სუპერსტრატის პროცენტული ზრდა ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის ნორმალური საქონელბრუნვის შემცირების ხარჯზე ხდებოდა, დისტრიბუციული გაუგებრობა კი ახალ ემისიას საჭიროებდა – ვთვლით, რომ 1068, უფრო სწორად, 1068/69 წლები (ქ˜ც, I, გვ. 309) მაინცდამაინც წმინდა ჰიპოთეტური მომენტი არ უნდა იყოს. დავითის ნუმიზმატიკური აბრევიატურაც (იხ. ქვემოთ) შემთხვევითი არ არის. ქართლის ადეკვატური იდეაში მეტროპოლიური სოციალური ჯამი არასტაბილური სოციალური კონტრაქტის სტადიაშია დასავლელ სოციალურ პარტნიორთან და ასეთი სიტუაცია გრძელდება ვიდრე 1099 წლამდე (აქ ქართლის წინას ანალოგიურ სემანტიკასთან გვაქვს საქმე – ყოველივე ამის ინდიკატორია: რეგალიის დიფუზიის ეტაპობრივი ტიპი – „და იყო მაშინ საზღვარი სამეფოსა მთა მცირე ლიხთა...“ (ქ˜ც, I, გვ. 324); თრიალეთის სტრატეგიული პოზიციის პრაქტიკული რეალიზაცია (ქ˜ც, I, გვ. 325); „ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალემი და ანტიოქია... და არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა, და თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლს“ (ქ˜ც, I, გვ. 325-326); და აგრეთვე ინფორმაცია ტაოს მხარეში ნომადური ტიპის მეურნეობის ეგზისტენციისათვის შესაბამისი პირობების არსებობის შესახებ (ქ˜ც, I, გვ. 333)). ვლაქერნის ტიპის შესატყვისი სერიის საინტერესო ნაწილიც უფრო თამამი მიდგომის შემთხვევაში სწორედ 1089-1099 წლებით უნდა დათარიღდეს.

12. პირველი ორი სამონეტო ემისია 1072-1081, ხოლო მესამე – 1081-1089 წლებით უნდა დათარიღდეს. მაგრამ ამ კუთხით კიდევ შეიძლება მსჯელობა. გიორგის და გრიგოლ ბაკურიანის ძის rendez-vous საიმპერატორო იურისდიქციის მხარეებზე საქართველოს მეფის კონტროლს აწესებს (ქ"ც, I, გვ. 318). ხომ არ არის ასეთი პოლიტიკური კონიუნქტურა ხელსაყრელი ბაზისი კესაროსის ტიტულის რეცეპციისათვის?! შემდგომ კი „... განძლიერებასა თურქთასა დაუტევნეს ბერძენთა ქუეყანანი მათნი, ციხენი და ქალაქნი, რომელ აღმოსავლეთს ჰქონდეს, და წარვიდეს" (ქ"ც, I, გვ. 318). ე. ი. გიორგი კესაროსია უკვე 1074 წელს (?). 1072 წლის მიწურულს გარდაიცვალა ბაგრატ IV, გიორგი ამ დროს კურაპალატია (ქ"ც, I, გვ. 314). I ემისია უკანასკნელს უფრო 1073 წელს უნდა განეხორციელებინა, II – 1074 წელს, ამავე წელს ის ხდება კესაროსი. III ემისიის ქრონოლოგიური ჩარჩოები ზოგადია – 1075-1089 წლები.

13. საქართველო იმდენად იყო ინტეგრირებული ბიზანტიასთან, რომ აქაც და იქაც უნიფიცირებული სამონეტო ტიპები იჭრებოდა მართლმადიდებელი ინტეგრაციული სიმბოლიკით დატვირთული – „ძელი ცხორებისაჲ" (ჭეშმარიტი ჯვარი), ღვთისმშობელი ორანსი ვლაქერნისად წოდებული და ა. შ.[1] რაც შეეხება ლეგენდებს, აქ პრინციპული განსხვავებაა. ბერძნული წარწერები უმეტესად ასეთია:

უფალო, მეოხ, ეყავ ...; ღვთისმშობელო, მეოხ ეყავ... ; ჯვარო, დაიფარე ... ქართული ალტერნატივა ასეთია – ქრისტე, შეიწყალე ... ; ქრისტე, ადიდე ...

ვლაქერნის ღვთისმშობელი შემდეგი იმპერატორების დენომინაციებზეა:

1. კონსტანტინე IX მონომახი (1042-1055 წწ.) – 2/3 მილიარისი
2. თეოდორა (1055-1056 წწ.) – 2/3 მილიარისი
3. მიხაელ VI სტრატიოტიკი (1056-1057 წწ.) – 2/3 მილიარისი
4. კონსტანტინე X დუკა (1059-1067 წწ.) – 1/3 მილიარისი
5. რომან IV დიოგენი (1068-1071 წწ.) – 1/3 მილიარისი
6. მიხაელ VII დუკა (1071-1078 წწ.) – 1/3 მილიარისი

ვლაქერნის ღვთისმშობელი შემდეგი ქართველი მეფეების ვერცხლის ფულებზეა:

1. ბაგრატ IV. I ემისია. თეთრი (2/3 მილიარისი). 1055 წელი ქუთაისი. მეფე და ნოველისიმოსი
2. ბაგრატ IV. II ემისია. თეთრი. 1068/9 წლები. ქუთაისი. მეფე და სევასტოსი
3. გიორგი II. I ემისია. თეთრი და ნახევარი თეთრი. 1073 წ. ქუთაისი. მეფე და ნოველისიმოსი
4. გიორგი II. II ემისია. თეთრი და ნახევარი თეთრი. 1074 წელი ქუთაისი. მეფე და სევასტოსი.
5. გიორგი II. III ემისია. თეთრი და ნახევარი თეთრი (1/3 მილიარისი). 1075-1089 წწ. ქუთაისი. მეფე და კესაროსი
6. დავით IV. I ემისია. ნახევარი თეთრი. 1089-1099 წწ. ქუთაისი. მეფე და სევასტოსი

[1] Tedo Dundua. Review of Georgian Coins with Byzantine Iconography. Numismatica e Antichità Classichie. XXIX. 2000. Quaderni Ticinesi, გვ. 387-396.

7. ნიკიფორე III ბოტანიატი (1078-1081 წწ.) – 2/3 მილიარისი[2]

7. დავით IV. II ემისია. ნახევარი თეთრი. 1089-1099 წწ. ქუთაისი. მეფე და ... ჯვარი

8. ალექსი I კომნენოსი (1081-1118 წწ.) – ტეტარტერონი (Æ)[3]

აქედან ჩანს, რომ ვლაქერნის ღვთისმშობლის ტიპის პრეზერვაცია არა ტრადიციაა, არამედ ბიზანტიური თანადროული ტიპის პერმანენტული გათვალისწინება. დავით IV ბაძავს ალექსის 90-იან წლების და შემდგომაც. მაგრამ საიდან გაჩნდა კონკრეტული ჯვარი მისი ფულის რევერსზე? ტრაპეზუნტის დუქსის თეოდორე გაბრასის[4] ფულებიდან. ე. ი. ნებისმიერი ბიზანტიური „რუდიმენტი" საქართველოს სამეფოს პოლიტიკური პარტნიორია.

ტრაპეზუნტის მხარესთან საქართველოს ურთიერთობას თავისი ხანგრძლივი ისტორია აქვს. აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ერთ დროს ერთ ეკონომიკურ სისტემას ქმნიდა, აქ ერთ ენაზე საუბრობდნენ. პონტოს ელინური ქალაქები კი, მოგვიანებით, კოლხეთის სამრეწველო პარტნიორების ფუნქციას ასრულებდა. მითრიდატე VI ევპატორის ხანაში პონტო და კოლხეთი პოლიტიკურადაც მაქსიმალურადაა ინტეგრირებული. რომაული Limes Ponticus ტრაპეზუნტით მთავრდებოდა. ტრაპეზუნტის მითრაც ლაზიკაში საოცრად შეიყვარეს. ბიზანტიური თანამეგობრობის პერიოდში საქართველოსთვის ტრაპეზუნტი რომეების სამეფოს ყველაზე ახლომდებარე ქალაქია. XI საუკუნეში კი ხალდეის მხარე საქართველოს სამეფოს მოკავშირეა, ისე როგორც შემდგომ – ტრაპეზუნტის კომნენოსთა იმპერია. გენუელთა მიერ ორგანიზებული ინდური საქონლის ჩრდილოური ტრანზიტი საზღვაო მარშუტით – კაფა-სევასტოპოლი-ტრაპეზუნტი-გალატა-იტალია საქართველოს ზღვისპირეთსა და განსახილველ მხარეს ერთ სატრანზიტო დერეფნად აქცევდა. XVII საუკუნეში ტრაბზონელ ვაჭრებს სამეგრელოდან გაჰქონდათ რიგი სახმარი ღირებულებებისა. დღესაც ქალაქი ტრაბზონი თურქულ-ქართული კომერციული კონტაქტების ცენტრია.

14. მონეტის შუბლის მხარის პროტოტიპია ალექსი I კომნენოსის რეფორმის შემდგომდროინდელი ბილონის ასპრის ზურგის ტიპოლოგია. თუმცა ქართველი მეფის საიმპერიო სამოსი ფიქცია არ არის.

და კიდევ ერთი – რა ნომინალთან გვაქვს საქმე? ფოლისი?! მაგრამ ალექსი და იოანე კომნენოსების დროს წონა დაბალია. კონკრეტულ შემთხვევაში ფოლისის შედარებით ძველი სტანდარტებია რეალიზებული.

15. კარგა ხნის მანძილზე საქართველოში სამონეტო მეტალის ფუნქციას ასრულებს მხოლოდ და მხოლოდ სპილენძი. ამაზე, და საერთოდ, ვერცხლის კრიზისზე ბევრი რამ დაიწერა. ვერცხლის დროებითი მატერიალური დეფიციტის ჰიპოთეტური ეგზისტენ-

---

[2] Philip Grierson. დასახ. ნაშრ., გვ. 747, 753, 758, 773, 795, 817, 831.

[3] Michael Hendy. Coinage and Money in the Byzantine Empire 1081-1261. Washington. 1969, გვ. 88. ალექსის რეფორმა სრულფასოვანი ვერცხლის ემისიას არ ითვალისწინებდა, ამასთან დაკავშირებით იხ. Philip Grierson. Byzantine Coinage. Washington. 1982, გვ. 11.

[4] Ph. Grierson. Byzantine Coins. First published in 1982. London, University of California Press, Berkeley and Los Angeles, გვ. 228-229, ტაბ. 58.

ცია ალოგიკურად მიგვაჩნია. საქმე ეხება ფეოდალურ სამყაროს, სადაც სანედლეულო შიმშილის შესაძლებლობის დაშვება კონკრეტულ ეტაპზე უბრალოდ აბსურდია. ხომ არ ხდება ასეთი რამ: ევოლუციის რაღაც ეტაპზე აღმოსავლეთში ვერცხლის სასაქონლო აკუმულაცია საერთო სასაქონლო მასასთან მიმართებაში შეფარდებითად მცირეა, რაც ვალუტის შეფარდებითად და არარენტაბელურად მაღალი კურსის საფუძველია. სოციალური დისტრიბუციული ნესრიგი ორგანიზაციასა და წარმოებას შორის მოითხოვს ნომინალის გაწვრილებას იმ დონემდე, რასაც ცირკულაციის ასპექტით უამრავი სირთულე მოჰყვებოდა. ვერცხლის უკნინესი ერთეული უდრის რაციოზე გადაყვანილ სპილენძს. საფუძველი ეყრება საკრედიტო ფულს. მაინც, რას უნდა გამოეწვია ასეთი სპეციფიური სავალუტო კონიუნქტურა?! საწარმოო ძალების განსაკუთრებული კონცენტრაცია შავი მეტალურგიის და აგრარულ სექტორებზე მოითხოვდა გარკვეულ შეზღუდვებს ფერადი მეტალურგიის სფეროში. ვერცხლის რეცეპციის ტექნოლოგიური სირთულე (Ag_2S და უფრო ხშირად, პლუს სხვა სულფიდებიც. ერთმანეთისაგან განცალკევებას ახორციელებს Pb. და Zn.) კი შრომითი კადრების ნაწილს სპილენძის წარმოებაზე გადართავდა, რაც ფერადი მეტალურგიის პროდუქციის საერთო მოცულობის შეფარდებით სტაბილიზაციას ემსახურებოდა. სარწყავი ზონა ძაბავს საკუთარ ძალებს. დუალური საქართველო კი ყოველივეს საკრედიტო ავტოპროტექციონიზმით პასუხობს. აღმოსავლური ლეგენდები სწორედ აზიურ საკრედიტო სისტემაში ჩართვის ინდიკატორია.

დემეტრეს დროიდან მოკიდებული რუსუდანის მეფობაში გატარებულ ფულის რეფორმამდე საქართველოში მუდმივად ხორციელდება ე. წ. „უწესოდ მოჭრილი" სპილენძის ნუმიზმატიკური ძეგლების ემისია. უკანასკნელი ტექნიკური სიახლე I. ზოგავს ხარჯებს და მუშახელს. II. ნიშანია საკრედიტო კატეგორიისა. III. ჩვეული ფორმის ფული, ალბათ, უკვე ხურდაა. IV. საკრედიტოს მიმართება ვალუტასთან სასაქონლოა. V. სავალუტო მარაგი არის ოქრო პლუს ვერცხლი გადათვლილ ვერცხლზე. VI. ხურდა ფულის მიმართება საკრედიტოსთან პირობითია.

16. თამარისა და ლაშას სამონეტო საქმე კომენტარს საჭიროებს: 1. საქართველო კარგავს აკუმულაციური ფულადი ბაზრის ჰაბიტუსს. მაშინ სახეზე უნდა იყოს ყოველწლიური ემისიები?! 1187 და 1210 წლები ამ ასპექტით უპირისპირდება ლოგიკურ ეკონომიკურ კონიუნქტურას. როგორ უნდა აიხსნას კონკრეტული დივერგენცია?! სსრკ 1961 წლის დენომინაცია კონკრეტული ასპექტით სიმპტომატური პარალელია. 1187 წელი რეფორმაციულია, საკრედიტო სპილენძი საბოლოო სასაქონლო რატიფიკაციას, ალბათ, სწორედ ამ დროს იღებს. მაგრამ, არა. რა ვუყოთ მაშინ 1210 წლის ორ ემისიას?! პროდუქცია იზრდება. რას ნიშნავს?! ა) Æ. და Æ. სასაქონლო შეფარდების რეალიზაციას?! ალბათ, ეს ასეა. ბ) თამარის გარდაცვალებას 1210 წელს. 2. ლაშა ჯავახთუფალი თამარის თანამოსაყდრეა და მის სიცოცხლეშივე ახორციელებს ხურდა ფულის ემისიას. ე. ი. 1207-1209 წლებში სპეციფიური საუფლისწულო ატრიბუტი დიარხიის მასშტაბით თამარის ძის სუბორდინირებულ პოზიციაზე მიგვანიშნებს. სხვა დიარხიის დროსაც, მაგალითად, ულუსა და ნარინის, ემისიაზე ერთ-ერთის სახელი თავსდება მხოლოდ და მხოლოდ (იხ. ქვემოდ). 3. თამარის ფოლისის რემედიუმი სიმპტომატურია. ეს აშკარად არ არის ერთი ემისია. 4. მონეტა სამი მთავრული ნიშნით „თრდ" ასე გავიაზრეთ: ფული 1187 წლის ჰიპოთეტური რეფორმის შემდგომ ვერ მოიჭრებოდა. სოსლანი კი თამარს შერთეს 1188 წელს, ე. ი. ეს ვარიანტი სინამდვილეში პირველია, ის კონკრეტული მონარქის სამონეტო რეგალიის რეალიზაციის ადრეული ნიმუშია. ლეგენდა ასე უნდა იქნას წაკითხული – „თამარ დედოფალი". ემისია განხორციელდა 1184-1186 წლებში. 5. ლაშა „ჯავახთუფლის" მონ-

ეტები არ არის ერთი ემისია, გამომდინარე რემედიუმიდან. 6. გვირგვინის მიხედვით, ლაშა ავგუსტეა.

17. არიულ-თურანული რეაქცია ეკონომიკურ-გეოგრაფიული კომპლექსის მსხვრევას და დაქვეითებას იწვევს. ლოკალური ცნობიერი სისტემის დასავლურ-აღმოსავლური სინთეზური პერმანენტული ცნობიერი სუპლემენტი დიფერენცირდება: ამიერიდან იმერეთი უფრო დასავლურ-ბიზანტიური მოდელების, აღმოსავლეთ საქართველო კი ირანული სტილის რეცეპტორია. ყოველ შემთხვევაში, ნუმიზმატიკური კატეგორიების შუქზე ეს ასე ჩანს. ქართლის საოკუპაციო სერიები თუ ლოკალური სოციალური კონტრაქტების ემისიები მკაფიოდ ხაზგასმულ აღმოსავლურ სახეს ატარებს, მაშინ როცა დასავლეთ საქართველოს სტილიზება ბიზანტიურ ყაიდაზე ხორციელდება.

18. ქრისტეს ბიუსტი აღებულია ნიკიფორე III ბოტანიატის ნომისმებიდან (Ph. Grierson. დასახ. ნაშრ., გვ. 827-828, №№ 4-5, ტაბ. LXIX, №№ 4-5. ტეტარტერონი, კლ. I და II), რომლებიც ჯერ კიდევ მიმოქცევაშია. წყაროებში კი „ბოტინატურ თეთრს" (თეთრი აქ საანგარიშო ერთეულია) „ცხუმური თეთრი" ცვლის. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსუდანის ვერცხლი ცხუმში მოიჭრა. მართლაც, თბილისი ხომ ოკუპირებულია.

19. ტიპი – ტახტზე მჯდომი ღვთისმშობელი – აღებულია მიხაელ VIII პალეოლოგის მონეტებიდან. იხ. M. Hendy. დასახ. ნაშრ., გვ. 263, ტაბ. 45, № 12.

ტაბულები*

ტაბულების აღწერილობა

I ტაბულა

№ 1. სტატერი (ე. წ. ტეტრადრაქმა). ვერცხლი. კოლხეთი. ძვ. წ. VI-V სს.
№ 2. დიდრაქმა. ვერცხლი. კოლხეთი. ძვ. წ. V ს.
№ 3. სტატერი (დიდრაქმა). ვერცხლი. კოლხეთი. ძვ. წ. V ს.
№ 4. სიკლი (დრაქმა). ვერცხლი. კოლხეთი. ძვ. წ. V ს.
№ 5. ჰემიდრაქმა. I ტიპი. ვერცხლი. კოლხეთი. ძვ. წ. V ს.
№ 6-7. ჰემიდრაქმა. II ტიპი. ვერცხლი. კოლხეთი. ძვ. წ. V-III სს.

II ტაბულა

№ 8. სტატერი. ოქრო. ალექსანდრე მაკედონელი.
№ 9. ალექსანდრე მაკედონელის სტატერის ტიპის მინაბაძი. ოქრო. ძვ. წ. II – ახ. წ. I სს.
№ 10. ალექსანდრე მაკედონელის სტატერის ტიპის მინაბაძი. ოქრო. ძვ. წ. II - ახ. წ. I სს.
№ 11. ალექსანდრე მაკედონელის სტატერის ტიპის მინაბაძი. ოქრო.
№ 12. სტატერი. ოქრო. ლისიმაქე.
№ 13. ლისიმაქეს სტატერის ტიპის მინაბაძი. ოქრო. ძვ. წ. II-I სს.
№ 14. ლისიმაქეს სტატერის ტიპის მინაბაძი. ოქრო. ძვ. წ. II-I სს.
№ 15. ლისიმაქეს სტატერის ტიპის მინაბაძი. ოქრო. ძვ. წ. II-I სს.
№ 16. სტატერი. ოქრო. მეფე აკა. ძვ. წ. II ს. დასაწყისი.

III ტაბულა

№ 17. ჰემიდრაქმა. ვერცხლი. მეფე სავლაკი (?). ძვ. წ. II ს.
№ 18. სპილენძი. კოლხეთი. მითრიდატე ფილადელფოს ფილოპატორი(?) ძვ. წ. 84 წ.
№ 19. დრაქმა. ვერცხლი. არისტარქე კოლხი. ძვ. წ. 52/51 წწ.
№ 20. სპილენძი. დიოსკურიის საქალაქო მონეტა. ძვ. წ. 105-90 წწ.
№ 21. სპილენძი. დიოსკურიის საქალაქო მონეტა. ძვ. წ. 105-90 წწ.
№ 22. სპილენძი. ტრაპეზუნტის საქალაქო მონეტა (იულია დომნა – 193-217 წწ.).

IV ტაბულა

№ 23. დრაქმა. ვერცხლი. ოროდ II (ძვ. წ. 57-38/37 წწ.). პართიის მეფე.
№ 24. დრაქმა. ვერცხლი. გოტარზე (40/41-51 წწ.). პართიის მეფე.

---

* მონეტები მოცემულია ან ნატურალური ზომით, ან – რამდენჯერმეა გადიდებული

№ 25. დენარი. ვერცხლი. ავგუსტე. ძვ. წ. 2 – ახ. წ. 4 წწ.
№ 26. ავგუსტეს დენარის მინაბაძი. ვერცხლი. III ს.
№ 27. ავგუსტეს და მარკუს ავრელიუსის დენარების ჰიბრიდული მინაბაძი. ვერცხლი. III ს.
№ 28. ავგუსტეს დენარის მინაბაძი. ვერცხლი III ს.

V ტაბულა

№ 29. ავგუსტეს დენარის მინაბაძი. ვერცხლი. III ს.
№ 30. ავგუსტეს დენარის მინაბაძი. ვერცხლი. III ს.
№ 31. ავგუსტეს აურეუსის მინაბაძი. ოქრო. III ს.
№ 32. რომაული აურეუსის ჰიბრიდული მინაბაძი. ავგუსტე და კომოდუსი (180-192 წწ.). ოქრო. III ს.
№ 33. რომის იმპერატორ ფილიპე არაბის (244-249 წწ.) აურეუსის მინაბაძი. ოქრო. III ს.
№ 34. რომის იმპერატორ ვალერიანეს (253-260 წწ.) აურეუსის მინაბაძი. ოქრო. III ს.

VI ტაბულა

№ 35. დრაქმა. ვერცხლი. ჰორმიზდ IV (579-590 წწ.). სასანიანი.
№ 36. დრაქმა. ვერცხლი. ხოსრო II (591-628 წწ.). სასანიანი.
№ 37. დრაქმა. ვერცხლი. ერისმთავარი გურგენი.
№ 38. დრაქმა. ვერცხლი. ერისმთავარი გურგენი.
№ 39. დრაქმა. ვერცხლი. ერისმთავარი ჯუანშერი.
№ 40. დრაქმა. ვერცხლი. ერისმთავარი სტეფანოს I. 592 წ.
№ 41. დრაქმა. ვერცხლი. ერისმთავარი სტეფანოს I. 592 წ.
№ 42. დრაქმა. ვერცხლი. ქართულ-სასანური.

VII ტაბულა

№ 43. დირჰემი. ვერცხლი. ალ-მუსთაინ ბილლაჰი (862-866 წწ.). აბასიანი. თბილისი. 862/63 წწ.
№ 44. დირჰემი. ვერცხლი. ალ-მუქთაფი ბილლაჰი (902-908 წწ.). აბასიანი. თბილისი. 906/7 წწ.
№ 45. დირჰემი. ვერცხლი. მანსურ იბნ ჯაფარი. თბილისი. 954/55 წწ.
№ 46. დირჰემი. ვერცხლი. ჯაფარ იბნ მანსური. თბილისი. 977/78 წწ.
№ 47. დირჰემი. ვერცხლი. ალი იბნ ჯაფარი. თბილისი. 996 წ.
№ 48. დირჰემი. ვერცხლი. ალი იბნ ჯაფარი. თბილისი. 1027/28 წწ.

VIII ტაბულა

№ 49. დრამა. ვერცხლი. დავით III კურაპალატი. 977-979 წწ.
№ 50. ნახევარი დრამა. ვერცხლი. ბაგრატ III. 980 წ.
№ 51. თეთრი (2/3 მილიარისი). ვერცხლი. ბაგრატ IV. 1055 წ.
№ 52. თეთრი. ვერცხლი. ბაგრატ IV. 1068/69 წწ.
№ 53. ნახევარი თეთრი. ვერცხლი. გიორგი II. 1073 წ.

№ 54. ნახევარი თეთრი. ვერცხლი. გიორგი II. 1074 წ.
№ 55. თეთრი. ვერცხლი. გიორგი II. 1075-1089 წწ.

IX ტაბულა

№ 56. ნახევარი თეთრი. ვერცხლი. დავით IV. 1089-1099 წწ.
№ 57. ნახევარი თეთრი. ვერცხლი. დავით IV. 1089-1099 წწ.
№ 58. ფოლისი. სპილენძი. დავით IV. 1118-1125 წწ.
№ 59. ნომისმა. ოქრო. კონსტანტინე X დუკა (1059-1067 წწ.). ბიზანტიის იმპერატორი.
№ 60. ნომისმა. ოქრო. მიხეილ VII დუკა (1071-1078 წწ.). ბიზანტიის იმპერატორი.
№ 61. ნომისმა. ელექტრუმი. ნიკიფორე III ბოტანიატი (1078-1081 წწ.). ბიზანტიის იმ-პერატორი.

X ტაბულა

№ 62. სპილენძი. დემეტრე I.
№ 63. სპილენძი. დემეტრე I.
№ 64. სპილენძი. დემეტრე I.
№ 65. სპილენძი. დავით V.
№ 66. სპილენძი. გიორგი III.
№ 67. სპილენძი. გიორგი III.
№ 68. სპილენძი. გიორგი III. 1174 წ.
№ 69. სპილენძი. გიორგი III. 1174 წ.

XI ტაბულა

№ 70. სპილენძი. გიორგი III და თამარი. 1178-1184 წწ.
№ 71. სპილენძი. თამარი. 1187 წ.
№ 72. სპილენძი. თამარი. 1187 წ.
№ 73. სპილენძი. თამარ და დავით. 1200 წ.
№ 74. სპილენძი. თამარ და დავით. 1200 წ.
№ 75. სპილენძი. თამარი. 1184-1186 წწ.
№ 76. სპილენძი. ელდიგუზიანი აბუ-ბაქრი (1195-1210 წწ.).
№ 77. სპილენძი. გიორგი ლაშა. თამარისა და გიორგი IV ლაშას თანამოსაყდრეობა (1207-1210 წწ.).

XII ტაბულა

№ 78. სპილენძი. გიორგი IV ლაშა. 1210 წ.
№ 79. სპილენძი. გიორგი IV ლაშა. 1210 წ.
№ 80. სპილენძი. გიორგი IV ლაშა. 1210 წ.
№ 81. სპილენძი. ანონიმური.
№ 82. სპილენძი. ანონიმური.

XIII ტაბულა

№ 83. სპილენძი. ხორეზმის შაჰი ჯალალ ედ-დინი (1220-1231 წწ.). 1226 წ.
№ 84. დირჰემი. ვერცხლი. ქეიხოსრუ II (1237-1246 წწ.). რუმის სულთანი. 1240/41 წწ.
№ 85. დირჰემი. ვერცხლი. ქეიქაუს II, კილიჩ-არსლან IV და ქაიქუბათ II (1249-1257 წწ.). რუმის სულთნები. 1255/56 წწ.
№ 86. სპილენძი. რუსუდანი. 1227 წ.
№ 87. დრამა. ვერცხლი. რუსუდანი. 1230 წ.
№ 88. დრამა. ვერცხლი. რუსუდანი. 1230 წ.
№ 89. დრამა. ვერცხლი. რუსუდანი. 1230 წ.
№ 90. ნახევარი დრამა. ვერცხლი. რუსუდანი.

XIV ტაბულა

№ 91. დრამა. ვერცხლი. ანონიმური. თბილისი. 1239/40 წწ.
№ 92. დრამა. ვერცხლი. ანონიმური. თბილისი. 1244/45 წწ.
№ 93. სპილენძი. დავით VI ნარინი. დმანისი. 1245 წ.
№ 94. დრამა. ვერცხლი. ანონიმური. თბილისი. 1245/46 წწ.
№ 95. დრამა. ვერცხლი. დავით VI ნარინი. თბილისი. 1247 წ.
№ 96. სპილენძი. დავით VI ნარინი. თბილისი. 1247/48 წწ.
№ 97. დრამა. ვერცხლი. დავით VII ულუ. თბილისი. 1252/53 წწ.

XV ტაბულა

№ 98. დრამა. ვერცხლი. დავით VI ნარინი და დავით VII ულუ. 1261 წ.
№ 99. ასპრი. ვერცხლი. იოანე I კომნენოსი (1235-1238 წწ.). ტრაპიზონის კეისარი.
№ 100. ასპრი. ვერცხლი. მანუელ I კომნენოსი (1238-1263 წწ.). ტრაპიზონის კეისარი.
№ 101. კირმანეული. ვერცხლი. XIII ს. II ნახ.
№ 102. კირმანეული. ვერცხლი. XIII ს. II ნახ.
№ 103. სპილენძი. დავით VII ულუ.
№ 104. სპილენძი. დავით VII ულუ.

XVI ტაბულა

№ 105. სპილენძი. მანგუ ყაენი (1248-1259 წწ.). თბილისი. 1254 წ.
№ 106. სპილენძი. მანგუ ყაენი. თბილისი. 1256 წ.
№ 107. დრამა. ვერცხლი. მანგუ ყაენი. თბილისი. 1259 წ.
№ 108. დრამა. ვერცხლი. ანონიმური. ყაანური. თბილისი. 1263 წ.
№ 109. დრამა. ვერცხლი. ანონიმური. ყაანური. თბილისი. 1270 წ.
№ 110. სპილენძი. ანონიმური. ყაანური. თბილისი. 1277 წ.
№ 111. სპილენძი. ანონიმური. ყაანური. თბილისი.

XVII ტაბულა

№ 112. სპილენძი. დემეტრე II. 1280 წ.
№ 113. სპილენძი. დემეტრე II. 1280 წ.

№ 114. დრმა. ვერცხლი. ქართულ-ჰულაგუიდური. ილხანი აბაღა (1265-1282 წწ.). თბილისი. 1281 წ.

№ 115. დრამა. ვერცხლი. ქართულ-ჰულაგუიდური ილხანი აჰმედი (1282-1284 წწ.). თბილისი. 1284 წ.

№ 116. დრამა. ვერცხლი. ქართულ-ჰულაგუიდური. ილხანი არღუნი (1284-1991 წწ.). 1286 წ.

№ 117. დრამა. ვერცხლი. ქართულ-ჰულაგუიდური. არღუნი და მისი ძე ყაზანი. 1286/87 წწ.

№ 118. დრამა. ვერცხლი. ქართულ-ჰულაგუიდური. ილხანი ქეიღათუ (1291-1295 წწ.). თბილისი.

№ 119. დრამა. ვერცხლი. ქართულ-ჰულაგუიდური. ილხანი ბაიდუ (1294-1295 წწ.). თბილისი.

XVIII ტაბულა

№ 120. დრამა. ვერცხლი. დავით VIII. 1296/97 წწ.

№ 121. დრამა. ვერცხლი. ვახტანგ III. 1297/98 წწ.

№ 122. სპილენძი. დავით VIII. 1996/97 წწ.

№ 123. სპილენძი. დავით VIII. 1310 წ.

№ 124. სპილენძი. ვახტანგ III.

№ 125. სპილენძი. ვახტანგ III. 1298/99 წწ.

№ 126. სპილენძი. ვახტანგ III.

№ 127. თეთრი. ვერცხლი. ილხანი ყაზანი (1295-1304 წწ.). 1298/99 წწ.

ტაბულები

1

2

3

4

5

6

7

II ტაბულა

8

9

10

11

12

13

14

15

16

17

18

19

20

21

22

IV ტაბულა

23

24

25

26

27

28

29

30

31

32

33

34

VI ტაბულა

35

36

37

38

39

40

41

42

43

44

45

46

47

48

49

50

51

52

53

54

55

56

57

58

59

60

61

X ტაბულა

62

63

64

65

66

67

68

69

70



71

72

73

74

75

76

77

XII ტაბულა

78



79

80



81

82

83

84

85

86

87

88

89

90

XIV ტაბულა

91

92

93

94

95

96

97

98

99

100

101

102

103



104

XVI ტაბულა

105

106

107

108

109

110

111



112

113

114

115

116

117

118

119

XVIII ტაბულა

120

121

122

123

124

125

126

127

Giorgi Dundua, Tedo Dundua

GEORGIAN NUMISMATICS

Part One

SUMMARY*

A pocket-size Georgia has amazingly different nature. Indeed, the West of the country is sunny and humid, while the East and the South lack later character. The West is Colchis. And the East – Iberia; local folk call it Kartli. Georgia is a synthesis of the West and the East. Native name – Sakartvelo - has been derived form Kartli.

HISTORY

COLCHIS/LAZICA

Protofeudalism	towards the end of the 2nd millennium B.C. – the 1st c. A.D.
Feudalism	the 1st – the 10th cc.

IBERIA

Protofeudalism	the 12th c. B.C. – the 4th c. A.D.
Feudalism	the 4th – the 10th cc.

GEORGIA

Feudalism	the 10th c. – 1864/1871
Capitalism	1864/71 –

CAPITALISM IN GEORGIA

Abolishment of serfdom	Civil equality	Liberalism
1864/1871	1917	nowadays

* This summary is rather intended to show the general picture, than to follow the work step by step.

GEORGIA WITHIN THE EUROPEAN INTEGRATION

COLCHIS/LAZICA

partner	type of relationship	chronology
Ionian Greeks /Miletus/	Colonization and Hellenization	the 6th – the 5th cc. B.C.
Hellas /Athens/	Colonization and Hellenization	the 5th c. B.C.
Pontus	Economic and political integration. Failure of Hellenism	the 4th c. B.C. – the 1st c. A.D.
Pontus	Economic integration	the 1st – the 4th cc.
Rome	Pontic Frontier with the Romans stationed at the seaside	the 1st – the 4th cc.
Byzantium	Slight hegemony	the 4th – the 10th cc.

IBERIA

partner	type of relationship	chronology
Greeks from Syria – Seleucids	Military alliance and Transcaucasian transit of the Indian goods	the 3rd c. B.C.
Rome	Military alliance and Transcaucasian transit of the Indian goods	the 1st – the 3rd cc.
Byzantium	Slight hegemony	the 4th – the 10th cc.

GEORGIA

partner	type of relationship	chronology
Byzantium	Dual Empire de jure	the 11th – the 15th cc.
Russia	Political integration and economic assistance	the 18th c. – 1917
Soviet Union	East European integration	1922 – 1991
Europe	Council of Europe	nowadays

MONEY HISTORY

GENERAL SCHEME

Protofeudalism	occasional local issues	imported silver coins
Feudalism	intensive local issues	1) local silver coins 2) bimetallism /AV. ÆR./ 3) Monometallism /AV./
Capitalism		

There are some exceptions for Georgia:

1) bilingual Graeco-Colchian community was there in Colchis with Hellenistic experiment still working hard – so the first Graeco-Colchian series are abundant, and imported gold staters compose neat bimetallistic structure. As soon as these Greeks seized to speak Greek, the local issues were postponed for a very long time.

2) the copper issues of the 12th – the 13th cc. have a special indication – "silver", so this is credit money – just a measure to keep silver within the country, and not a modern financial summit.

3) capitalistic bimetallism was realized under Russian imperial censorship with imperial issues.

COLCHIS

In the 5th – the 3rd cc. B.C. Phasis, the bilingual /Graeco-Colchian/ community of the Eastern Black Sea littoral issued the silver coins with the Craeco-Colchian types.

I type. Stater /the Milesian (13 gr.), the Aeginetan (12.7 gr.) and the Persian (10.4 gr.) standards/. ÆR. d = 22 mm. At least, three (?) emissions. Phasis. After 494 B.C.

Obv. Lion's head, left/right/, showing teeth – cut in a fine manner.

Rev. Winged Pegasus, right, in quadratum incusum.

PL. I № 1

II type. Stater /the Persian system – 10 gr., 10.1 gr., 11.3 gr./ and didrachm /Attic standard – 7.9 gr., 8.1 gr., 8.6 gr., 9.4 gr./. ÆR. d =17/20-20/21 mm. Series. Phasis. The 5th c. B.C.

Obv. Lying hermaphrodite lion /with a mane and the teats/, to right /left/ with a head turned back.

Rev. Kneeling female figure with a bull's head /also hermaphrodite/, and a necklace (?), right /left/, in quadratum incusum – local amalgamation of fertility, Hecate, male-moon and Arethusa.

PL. I № 2

III type. Stater /the Persian standard – ex. 9.6 gr., 9.9 gr., 10.4 gr./ and didrachm /Attic standard – ex. 8.7 gr., 9.2 gr./. Æ. d = 18/20 – 21/23 mm. Series. Phasis. The 5th c. B.C. /II and III types are usually replaced by each other/.

Obv. Archaic female head, right, within linear circle.

Rev. two identical heads, facing one another, each in quadratum incusum.

PL. I № 3

IV type. Didrachm (?) /Attic standard (?)/. Æ. Phasis. The 5th c. B.C.

Obv. Archaic female head /identical with III type/, right, within the linear circle.

Rev. Two bull's heads, facing one another, each in quadratum incusum.

V type. Siglos (5.5gr.) Æ. d.=17/19 mm. 'Persic' issue together with II type /typological connection is very symptomatic/. Phasis. The 5th c. B.C.

Obv. Lion's head facing.

Rev. Bull's head, right, in quadratum incusum.

PL. I № 4

VI type. Hemidrachm /Attic standard, 1.7-2.6 gr./ Æ. d=11/12-12/13 mm. A typological connection with II type is symptomatic. They both should be considered as one issue within Attic standard. Phasis. The 5th c. B.C.

Obv. Lion's head, right /left/, showing teeth.

Rev. Lioness's foreparts, right, in quadratum incusum.

PL. I № 5

VII type. Hemidrachm /Attic standard, 1.2-2.6 gr. with a tendency towards a degradation/. Æ. d = 12 mm. Series /first issued with IV type/. Phasis. The 5th – the 3rd cc. B. C.

Obv. Archaic female head /identical with III and IV types/, either in linear circle, or in border of the dots, right /left/.

Rev. Bull's head, right, within linear circle. Sometimes there are the Greek letters – MO/ ΣO, O, A, Φ, Π, E, Δ – on these coins, as the names of the magistrate.

PL. I №№ 6-7

VIII type. Hemitetartemorion (?). An abortive supplement for female-type hemidrachms. Phasis. The second half of the 5th c. B.C.

Obv. Archaic female head /identical with III, IV and VII types/, right.

Rev. Crane (?), right

An idea of the Hellenistic integration is reflected in the Colchian imitations to the gold staters of Alexander and Lysimachus.

Colchis. King Aka /Akής/. Stater – 8.5 gr. AV. d = 17/18 mm. The beginning of the 2nd c. B.C.

Obv. Diademed head of Alexander the Great, right, wearing horn of Ammon.

Rev. Athena enthroned, left, holding Nike and resting left arm on shield; on right

ΒΑΣΙΑΕΩΣ, on left ΑΚΟΥ, crowned by Nike; in the field below – trident with dolphins.

PL. II № 16

Colchian imitations to Lysimachan type gold staters. Sceptukhoi /the dukes/.

Series (1.1-7.9 gr.) /inflation/. *AV*. The 2nd – the 1st cc. B.C. /even while being subjugated to Pontus/.

Obv. Non-naturalistic head, right; radiant hair style sometimes ornamented with bird-effigies.

Rev. Schematic Athena enthroned, left /right/, holding Nike, trident below.

PL. II №№ 13-15

Colchian imitations to Alexander's type gold staters. Sceptukhoi /the dukes/. Series (1.6-3.7 gr.) /inflation/. *AV*. The 2nd c. B. C. – the beginning of the 1st c. A. D. /even while being subjugated to Pontus/.

Obv. Non-naturalistic head, right.

Rev. Bull-headed, or ram-headed schematic Nike, facing.

PL. III №№ 9-11

In the 2nd – the 1st cc. B.C. Pontus and Colchis formed one state. Universal Hellenistic types were well preserved in the Colchian numismatics.

Dioscurias. Chalkos /ex. 1.3-3.1 gr./, dichalkon /ex. 3.7 – 5 gr./ and tetrachalkon /ex. 6.1 gr. This sample is poorly preserved/. Series. 105-90 B.C.

Obv. Caps of Dioscuri, surmounted by six, or eight-pointed stars.

Rev. Thyrsos /of Dionysios, i.e. of Mithridates Eupator/, and legend ΔΙΟΣ/ΚΟΥΡΙΑ/ ΔΟΣ.

PL. III №№ 20-21

Colchis. Mithridates Philopator Philadelphus – son of Mithridates Eupator, king of the country. Chalkos (1.2-2.1 gr.) and hemichalkon (0.8-1.1 gr.). Issues of 84 B.C. /There do exist some silver pieces too/. Surion /modern Vani in the hinterland of Colchis/.

Obv. Lotus

Rev. eight-pointed star.

PL. III № 18

Gnaeus Pompejus put Colchis within the Roman hegemony. And his local client certain Aristarchus placed an effigy of the famous Roman general on his drachm.

Colchis. Aristarchus. Light drachm (3.2-3.7 gr.). *Æ*. d=17/18-21/22 mm. Issue of 52/51 B. C.

Obv. Gnaeus Pompejus, diademed and crowned with the rays, right.

Rev. Seated figure of Tyche in a tall crown, with vessel and rudder, right; on right – ΑΡΙΣΤΑΡΧΟΥ, on left – ΤΟΥΕΠΙ, below ΚΟΛΧΙΔΟΣ/ΒΙ /i.e. of Aristarchus the viceroy (ὁ ἐπί τῆς βασιλείας), issued in 12th year of his rule/.

PL. III № 19

Trapezus with its mixed /Graeco-Colchian/ population worshiped Mithras as equestrian.

Trapezus. Municipal coinage. Æ.

Obv. Bust /Trajan – Philip (Arabs)/, right; Greek legend.

Rev. Full picture – Mithras as equestrian in a radiant Phrygian cap, right. Life-tree – behind. Fire-altar – before. Column with a crow, sometimes with amour. Cautes, holding an upright torch and signifying day and life; and Cautopates, holding an inverted torch, signifying night and death. Star – up, and a snake – below. Legend – ΤΡΑΠΕΖΟΝΤΙΩΝ – and date / Era of Trapezus/.

PL. III № 22

IBERIA

The first Iberian coins /the 3rd c. A.D./ are the imitations to denarius of Augustus /Augustus/Rev. Gaius and Lucius Caesars standing facing, shields and spears between them /PL. IV №№ 26, 28; PL. V №№ 29-30// and late 3rd c. Roman Imperial gold. Every time weight had been lowered, and fineness – reduced.

The next is "Georgian /Iberian/-Sassanian" silver, copied mostly from a drachm of Ohrmazd IV /personification of a ruler./Rev. Holy fire – ātar – on altar; all protected by two guardians/. A structure of the group seems to be as follows:

1) personification of a ruler, the cross beside
2) the cross on the both sides
3) the cross on altar
4) name Gurgen /prince of Iberia/ in Georgian letters /Obv./ – a monogram
5) the same name /Obv./ – abbreviation in Georgian letters
6) abbreviation in Georgian letters for the name Juansher /prince of Iberia. Obv./
7) a hybrid /Ohrmazd IV and Xusraw II – early issues/, the cross on altar. abbreviation in Georgian letters for the name Stephanos /prince of Iberia. Obv./
8) early issue of Xysraw II as a prototype; the cross on altar; Georgian letters for the name Stephanos /Obv./

The supposed chronology of the group is 585 (?) – 592; the weight ranges from 2.1 to 3.8 gr.

Stephanos I. 2.2-3 gr. ÆR. Tbilisi. 592.

Obv. Bust, right. Name – Stephanos.
Double-linear circle

Rev. The cross on altar. Guardians.
Threefold-linear circle

PL. VI №№ 40-41

The Arab hegemony was marked by a restoration of Tbilisi /Tiflis/ mint. The occupation series /money of the Umayyads and the ʻAbbāsids/ and the dirhems of the local bilingual Jaʻfarid emirs were struck there:

1) anonymous dirhem. 704/705. 2.8 gr.
2) ʻAbbāsid series. 825/26 – 946/7. 2.7-4.4 gr. /Pl. VII №№ 43-44/.
3) Mansūr b. Jaʻfar. 953/54 – 954/55. 2.8-3.5 gr. /Pl. VII № 45/.
4) Jaʻfar b. Mansūr. 974/75, 976/77 – 977/78, 980/981. 2.1-3.5 gr. /Pl. VII № 46/.

5) 'Ali b. Ja'far. 996/97, 1013/14, 1027/28. 0.1-5.2 gr. /Pl. VII №№ 47-48/.

The fineness is being reduced. The last pieces are irregular.

And free from any control the dukes of Kartli issued the imitations with the distorted Arabian legends and the Georgian letters inserted into /the 10th c./.

Even Bagrat III /from Bagrationi ruling house/, king of Georgia, possessing by that time the West /former Colchis/Lazica/ and the East parts of the country, used Arab pattern for his coin. But he put very proud Georgian legend on the reverse – "Christ, exalt Bagrat, the king of Abkhasians" /i. e. of West Georgia; the whole problem will be discussed later/. Bagrat III. Half dirhem. 1.8 gr. Uplistsikhe /East Georgia/. 980. PL. VIII № 50.

GEORGIAN COINS WITH BYZANTINE ICONOGRAPHY

This part deals with the money issues of Georgia in the 10th – 15thcc. Aim of the research was a strict attribution of numismatic data and consideration of the corresponding historical information.

Epoch under the discussion is very important in the view of the Byzantine-Georgian relationship. A numismatic expression of this conjuncture is under a special interest – particularly, Georgian money was struck in Byzantine style and Georgian kings claimed their imperial titles stressing this was a formal integrity of the Orthodox World.

It is more correct to split the whole period into two stages: I. the 10th c. – the beginning of the 13th c. is a time of very strong imperial feelings: II. the 13th-15th cc. – of their reminiscence.

The founder of the "Byzantine" period of the Georgian numismatics was David III Kuropalates, seignior of Imier Tao, the part of the South-Western Georgia. The Description of his miliaresion /drama in Georg./ is as follows:

David III Kurapalates. Miliaresion. The weight ranges from 3.1 to 3.5 gr.

Obv. Georgia legend (abbreviation everywhere) – "Christ, forgive David".

Cross Potent and Georgian legend – "Kurapalati"

PL. VIII № 49

Only four specimens are known from the emission.

The most important thing to know for dating these coins is the precise year when David was granted the title of Kuropalates. And it is thought that this title was bestowed upon him for his special help to the emperor Basileios in the struggle against mutinous grandees. This event took place in 979. The study dates the emission of the coins of David III to 979, it was in that year that he received the title of Kuropalates and coins bearing that title would have served as a magnificent memorial to that historical event.

From the 4 specimens now discussed none of them was found in Georgia. They were discovered far away from there, on the territory of Eastern, Central and Northern Europe /Russia,

Estonia, Germany and Sweden/. How did they find their way to those regions? Two hypotheses exist concerning this item:

1) typologically these coins are very close to almost synchronous silver pieces of Basileios II and Constantine VIII, and they have the same weight and standard. So it was good money and could circulate everywhere together with Byzantine currency. Russian merchants used to come to Constantinople regularly and then they took the silver pieces of David Kuropalates to Europe.

2) it is not a very bad idea to perceive in the fact of discovery of David Kuropalates' coins on the territory of Eastern, Central and Northern Europe, the existence of the trading contacts between Georgia and Russia in the 10th – 11th cc., effected via Tmutaracan /modern Tamar Peninsula/, this view being buttressed by other evidence as well. Rare Tmutaracanian piece was found in Georgia – the imitation of Miliaresion.

The supposed mint for coins of Kuropalates is Oltisi, his residence /modern Oltu in Turkey/.

The kings of Georgia – Bagrat IV (1027-1072), Giorgi II (1072-1089) and David IV (1089-1125) – were enjoying St. Virgin Blachernitissa type taken from the coins of Constantine IX.

The very characteristic trait of the 11th c. Georgian numismatics is an obvious tendency towards weight lightening – a reception of a new standard, the Byzantine 2/3 miliaresion, called tetri /Æ./ took place during the reign of Bagrat IV.

Now let us describe the material:

Bagrat IV. I emission. Tetri. The weight ranges from 1.6 to 2.2 gr. 1055. Kutaisi /the Western Georgia/.

Obv. Facing bust of Virgin orans, nimbate, wearing pallium and maphorium. And Greek legend - Η ΑΓΙΑ ΘΕΟΤΟΚΟC – "The Holy Virgin".

Rev. Marginal Georgian legend – "Christ, exalt Bagrat, the king of the Abkhasians" /i.e. the Western Georgia/. in the centre – " and Nobilissimos".

PL. VIII № 51

Only 12 specimens are known. The dating is based on the king's Byzantine title and other political traits.

Now briefly about the mentioned Georgian title – "the king of the Abkhasians". A country is economic-geographic region. Unique culture is formed within on a basis of the intensive interior economic links. And Georgia is such complex. It was formed by economic synthesis of the East /Iberia/ and the West /Colchis/, and since the Mingrelian /i.e. the Colchian/ language has been transfered to a position of a family-language. A bit earlier the Svanetian and the Abkhasian languages were put on the same position by the Mingrelian language. In the 8th c. new dynasty was founded in Colchis, or Lazica. And this ruling house was from the province of Abkhasia, part of Lazica. Lazica now is called "the Kingdom of Abkhasians", and the languages spoken here are Mingrelian, first, then – Georgian. And soon after Georgia – a new economic complex – came to realization, and some times later the country was unified by Bagrationi ruling house. This house also claimed to be "the king of the Abkhasians", i.e. of the Western Georgia.

Bagrat IV. II emission /28 specimens/. Tetri. The weight ranges from 1.2 to 2.2 gr. 1068/69. Kutaisi. Everything is the same except of the central legend – here we have "Sebastos".

PL. VIII № 52

The whole money production/more than 100 spec./ of the next king Giorgi II can be divided into three emissions, taking into account the alterations of Byzantine title.

Giorgi II. I emission. Tetri / debased/. The weight ranges from 1.1 to 2.1 gr. 1073. Kutaisi.

Obv. Facing bust of Virgin orans, nimbate, wearing pallium and maphorium. And distorted Greek legend – Η ΑΓΙΑ ΘΕΟΤΟΚΟC – "The Holy Virgin".

Rev. Marginal Georgian legend – "Christ, exalt Giorgi, the king of the Abkhasians and the Kartvelians" /i. e. the Eastern and Southern Georgia/. In the centre – "and Nobilissimos".

PL. VIII № 53

II and III emissions have "Sebastos" and "Caesaros" instead. And Greek legend – MP – ΘY H BΛΑXEP – NITICA – /St. Virgin Blachernitissa/ – appears sometimes.

Giorgi II. II emission /"king ... and Sebastos"/. Tetri. The weight ranges from 1.2 to 2 gr. 1074. Kutaisi.

PL. VIII № 54

Giorgi II. III emission /" king... and Caesaros"/. Tetri and half tetri. The weight ranges from 1 (?) to 1.9 gr., from 0.5 to 0.9 gr. 1075 – 1089. Kutaisi.

PL. VIII № 55

Three types exist within the money issues of the king David IV /some 7 or 8 spec./.

David IV. I emission. Half tetri. The weight of one specimen is 0.5 gr. 1089–1091. Kutaisi.

Obv. Facing bust of Virgin orans, nimbate, wearing pallium and maphorium. Greek legend: MP – ΘY.

Rev. Marginal Georgian legend – "Christ, exalt David, the king of Abkhasians". In the centre – "and Sebastos"

PL. IX № 56

And the second type has the cross on Rev. While St. Virgin is maintained. II emission. Half tetri. The weight ranges from 0.5 to 0.9gr. 1098–1099. Kutaisi.

PL. IX № 57

Thus St. Virgin Blachernitissa series came to an end.

David IV. III emission. Follis Weight – 10.7 gr. 1118–1125. Kutaisi.

Obv. The bust of king in imperial coat – wearing stemma /imperial crown with cross and the pendants, pendilia, πρεπενδούλια/, divitision and chlamys; holds in right hand scepter cruciger, and in left, globus cruciger. And Georgian legend – "king David".

Rev. Cross in a centre and marginal Georgian legend – "Christ, David the king of Abkhasians, Kartvelians, Ranians, Kakhetians, Armenians" /Rani and Kakheti are very Eastern provinces of Georgia/.

PL. IX № 58

The obverse type of this coin is patterned on the reserve of the post-reforn aspron trachy /billon/ of Alexius I Comnenus. But the imperial coat of the Georgian king is not a fiction.

After this in Georgia for some times only copper functions as a monetary metal. Credit money was founded. Eastern legends on these "irregularly" struck coins are just the indicators of inclusion into the credit system of Asia. And the Georgian king is nothing else but "the sword of Messiah".

But the Western typology is still preserved.

Giorgi Lasha (1210-1222). Follis. Weight – 5.6 gr. 1210. Tbilisi.

Obv. The king with labarum and 'ανεξικακία – roll of parchment, wrapped in cloth and filled with dust – a symbol of mortality. He wears stemma /like Giorgi III (1156-1184) on his copper coin/. Corresponding Georgian legend.

Rev. Here Lasha claims in Arabic to be " a sword of Messiah" and "King of the Kings".

PL. XII № 80

The Iranian-Turkish reaction causes a decomposition and degradation of the economic-geographical complex. But imperial attitude still exists.

The bust of Christ appears on the silver "Botinati" of queen Rusudan (1222 – 1245). Drama. The weight ranges from 2.4 to 2.8gr. Sukhumi/Sebastopolis.

Obv. Bust of Christ facing, wearing nimbus, pallium and colobium and raising right hand in benediction, holds ornamented book of Gospels in left hand. Greek legend – IC - XC, and Georgian marginal legend, denoting the year when it was struck – 1230.

Rev. Specific badges with the name of Rusudan inside. And Arabic legend – "the Queen of the Queens, glory of the country and faith, Rusudan, daughter of Tamar, champion of Messiah.

PL. XIII №№ 87-89

The crowns of David Ulugh and David Narin on their drama struck in Kutaisi mint in 1261 are with emperor's pendants, i.e. this is again stemma. The weight ranges from 2.3 to 2.9gr.

Obv. Labarum in the centre and the kings' effigy on the both sides. Georgian legends – "King of the Kings, David" and "king David".

Rev. St. Virgin seated upon a throne like on the imperial issue of Michael VIII Palaeologus and corresponding Georgian legend.

PL. XV № 98

Georgian imitations of Trapezuntine aspers keep the effigy of stemma within the limits of Georgian culture.

Money called "Kirmaneuli". Several monetary units exist within this group, drama, tetri and half tetri. Kutaisi, mostly.

Obv. Caesar holding labarum. Distorted Greek legends for the names of Comneni. Georgian origin is outlined by a six-pointed star typology.

Rev. St. Eugenius and distorted Greek legend.

PL. XV № 101-102

This especially interesting period of the Georgian numismatics came to an end in 1453 – 1461.

CREDIT MONEY

Demetre I (1125–1156). Irregular issue. Æ

Obv. Octagon with Georgian letter "D" in centre. Arabic legend – "King of the Kings, Sword of the Messiah".

Rev. Rosette and the names of Caliph and Sultan in Arabic.

PL. X № 63

Giorgi III (1156–1184). Irregular issue. Æ

Obv. Rosette with Georgian letter "G" in centre. "King of the Kings Giorgi, sword of the Messiah" – in Arabic.

Rev. Rosette and the names of Caliph.

PL. X № 67

Giorgi III. Follis = 5gr. Æ.d. =25 mm. 1174.

Obv. King in stemma, Persian loose trousers and oriental boots; seated cross-legged, facing. His right /left/ hand rests on his thigh, on his left hand up lifted sits a falcon. Georgian letters for the name of Giorgi, and also representing date 394 of the Paschal cycle.

Rev. King of the Kings/Giorgi, son of Demetre,/ Sword of the Messiah – in Arabic.

PL. X №№ 68-69

Giorgi III and his daughter **Tamar**. Irregular issue. Æ. (1178–1184).

Obv. Rosette with Georgian letters "GI", in centre. Georgian legend – "may God exalt King of the Kings".

Rev. Rosette with Georgian letters "T", "TR", "TMR", "TM" in centre. Georgian legend – "may God exalt king and queen".

PL. XI № 70

Tamar (1184–1210). Irregular issue. Æ. 1184–1186.

Obv. Five semicircles form a frame, Georgian abbreviation within – "Tamar, the queen". Cross above.

Rev. Large dots.

PL. XI № 75

Tamar. Irregular issue. Æ. 1187–1210.

Obv. In centre – signature. Wreath of rosettes. Georgian marginal legend – "in the name of God, this silver piece was struck in 407 /= 1187/ of Paschal cycle /or in 430 /=1210//.

Rev. Arabic legend – in centre "the Great Queen,/glory of the world and faith, Tamar, daughter of Giorgi,/Champion of the Messiah,/may God increase her victories". Marginal Arabic legend – "may God increase her glory, and lengthen her shadow, and strengthen her beneficence".

PL. XI № 71-72

Tamar and **David** /consort/ – co-regnancy. Follis. 4-10 gr. d = 22-28 mm.
Series. 1200.

Obv. In centre, specific badge. To left and right – Georgian letters "TR", "DT".
Date – 420 of Paschal cycle /1200/. Border of the dots.

Rev. Arabic legend – Queen of the Queens, /glory of the world and faith, /Tamar, daughter of Giorgi, /Champion of the Messiah.
Border of the dots.

PL. XI № 73-74

Next follis /4.5-6.5 gr. d = 23–26 mm./ bears the name of Tamar's son, Giorgi Lasha. Their co-regnancy is dated by 1207–1210. Special additional title "Lord of Javakhs" /Javakheti, province of South Georgia, was destined to a Georgian prince/ outlines Lasha's subordinated position.

PL. XI № 77

Giorgi Lasha (1210–1222) continued the credit issues /PL. XII №№ 78-79/ while his sister Rusudan (1222–1245) seized this system.

Till the 11th c. Byzantium had been a handsome and dominant power, the champion of Christendom against onslaught of Asia and Islam. But it was already very old European pattern of South trying to control North. Soon Empire found itself caught between two fires – crusaders and the Turks. European and Turkish *receptio* destroyed the whole system. And sophisticated half-Asiatic Sultan did very little to maintain military alliance with the countries dwelling on Asiatic frontier. For a long time Georgia had been left alone.

Enriched by Turkish /Seljuks, Mongols etc./ *receptio*, Iran became supreme Asiatic power. Russia was thought to be a potential rival, and Caucasian Range – a splendid barrier. So Georgia was to be attacked severely.

Mongols stationed in Iran exercised their power and Asiatic numismatic style over East Georgia. The occupation series and the coins of local kings were struck there. And those who had to move to West Georgia were safe to maintain Byzantine style.

ძირითადი ბიბლიოგრაფია

1. **თ. აბრამიშვილი.** XIII-XIV სს. დასავლურ-ქართული ფული (კირმანეული). თბ., 1959; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები. თბ., 1965; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის პართული მონეტების კატალოგი. თბ., 1984; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ტრაპიზონის ასპრებისა და დასავლურ-ქართული ფულის (კირმანეულის) კატალოგი. თბ., 1984; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები. თბ., 1989.
2. **მ. ანთაძე.** საქართველოს და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თბ., 1982.
3. **ი. გაგოშიძე, მ. ანთაძე, ც. ღვაბერიძე, მ. წოწელია, თ. ქუთელია, მ. შეროზია.** ფული საქართველოში. თბ., 2000 (პირველი გამოცემა).
4. **კ. გოლენკო.** მეფე სავ(ლაკის) მონეტის ახალი ტიპი. საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე. ტ. XXV. № 1, თბ., 1960.
5. **გ. დუნდუა.** სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში. თბ., 1964; ლომის გამოსახულებიანი კოლხური თეთრის გენეზისისათვის. „მაცნე". ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 1, თბ., 1972; კოლხური თეთრის გენეზისის საკითხები. „მაცნე". ისტორიის... სერია. № 4, თბ., 1978; „მაცნე". ისტორიის... სერია, № 2, 1979 (ა. კახიძესთან თანაავტორობით); კოლხური თეთრი (ზოგადი მიმოხილვა). იბერია-კოლხეთი. საქართველოს ანტიკური პერიოდის არქეოლოგიურ გამოკვლევათა კრებული. № 1, თბ., 2003. საქართველოში გავრცელებული ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი მონეტები. „მაცნე". ისტორიის... სერია. № 1, თბ., 1973; იჭრებოდა თუ არა მონეტა ვანში? „მაცნე". ისტორიის... სერია. № 2, თბ., 1974; სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი ბიჭვინტაში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით ძვ. წ. II-ახ. წ. IV სს. „დიდი პიტიუნტი", I, თბ., 1975; ერთხელ კიდევ ტრაპეზუნტის მონეტების ზურგის იკონოგრაფიის შესახებ. „დიდი პიტიუნტი". II. თბ., 1977; ე. წ. ქართულ-სასანური მონეტების პრობლემა და ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის საკითხები. „მაცნე" №№ 1, 3, 1976; მონეტები ვანიდან. ვანი III. თბ., 1977 (გ. ლორთქიფანიძესთან თანაავტორობით); საქართველოს სამონეტო განძები (რომაული ხანის მონეტები სოფ. ეკიდან და სეფიეთიდან). თბ., 1979; გურიის ნუმიზმატიკური მასალა. გურია I. თბ., 1996; ანტიკური ხანის უცხოური მონეტების განძები კოლხეთიდან (ძვ. წ. IV-ახ. წ. IV სს.). გურია II. თბ., 1997; აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი გვიანანტიკურ-ადრებიზანტიურ ხანაში ბიჭვინტის ნუმიზმატიკური მასალების ფონზე. გურია III. თბ., 2001; სავლაკი თუ სავმაკი? კრებ. „ოჩხარი". თბ., 2002.
6. **თ. დუნდუა.** კოლხეთი, იბერია და პონტოს სამეფო ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თბ., 1993; საქართველო და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. წ. I-II. თბ., 1995; ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თბ., 1997; ბაგადატი, ძე ბივრატისა. თბ., 2001; კოლხური თეთრი და კოლხეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი. თბ., 2002; ფული საქართველოში (გ. დუნ-

დუასთან, ნ. ჯავახიშვილთან და ა. ერისთავთან თანაავტორობით). თბ., 2003. (მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა).

7. **ს. კაკაბაძე.** საფასის ისტორიისათვის საქართველოში. „საისტორიო მოამბე". ნ. I, 1925.
8. **დ. კაპანაძე.** ქართული ნუმიზმატიკა. თბ., 1969 (აქვე იხ. მისი ნაშრომების ბიბლიოგრაფია).
9. **თ. ლომოური.** ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში. კრ. „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის ძეგლები". თბ., 1938; XIII საუკუნის ქართული ფულის საკითხთა გამო. სსმმ. X-B. 1940; დავით VII და ვახტანგ III ფულები. სსმმ. XV-B. 1948; ქოდალას განძი. სსმმ. XIV-B. 1944; პატარა ჯიხაიშში აღმოჩენილი XVI საუკუნის განძის გამო. სსმმ. XVII-B. 1953; ფულის მიმოქცევის ისტორიისათვის შუა საუკუნეების საქართველოში. თბ., 2005.
10. **ოთ. ლორთქიფანიძე.** მდინარე-ღვთაება ფასისი („კოლხური დიდრაქმების" I ტიპის იკონოგრაფიისათვის). „ძიებანი". № 1. თბ., 1998; „კოლხური დიდრაქმის" II ტიპის იკონოგრაფიისათვის. „ძიებანი". № 3. თბ., 1999.
11. **ს. მაკალათია.** კოლხური დიდრაქმა. სსმმ. ტ. VII. 1933; ახალი ტიპის კოლხური მონეტების აღმოჩენა. სსმმ. ტ. XIV-B. 1947; სეფიეთში აღმოჩენილი რომაული ფულების განძი. სსმმ, XII-B. თბ., 1944.
12. **თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე.** ცდა ერთი თარიღის დადგენისა. „მაცნე". ენისა და ლიტერატურის სერია. №№ 1-2, თბ., 1974.
13. **რ. ქებულაძე.** ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეში. თბ., 1974.
14. **ც. ღვაბერიძე.** საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელაირთა სახელმწიფოსთან (ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით). თბ., 1986; ილხანთა ირანის სპილენძის ფულის კატალოგი (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდების მიხედვით). თბ., 1994.
15. **იზ. ცუხიშვილი.** გვიანრომაული მონეტების ბიჭვინთის განძი; ბიჭვინთის ბიზანტიური მონეტები. „დიდი პიტიუნტი". II, თბ., 1977.
16. **ივ. ჯავახიშვილი.** ქართული საფას-საზომთამცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია. ტფ., 1925.
17. **ირ. ჯალაღანია.** ქუფური მონეტების ტოპოგრაფია საქართველოში. თბ., 1972; საქართველოს სამონეტო განძები. I. თბ., 1976.
18. **გ. ჯაფარიძე.** ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX-XIX სს.). თბ., 1973; აბასელთა სახალიფოს ზარაფხანები. კრ. მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის ნარკვევები. თბ., 1968; თბილისის ამირას ალი იბნ ჯაფარის მონეტები. კრ. ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები. თბ., 1991; ქართული მონეტები არაბული ზედწერილებით (დავით V-ის სპილენძის მონეტები). „მაცნე". ისტორიის... სერია. № 4. თბ. 1989.
19. **М. П. Баратаев.** Нумизматические факты Грузинского царства. СПб., 1844.
20. **К. В. Голенко.** О монетах, приписываемых Савмаку. ВДИ, 1951, № 4; Клад синопских и колхидских монет из Кобулети (1948 г.). ВДИ. № 1, 1961; Еще о монетах приписываемых Савмаку. ВДИ. № 3, 1963; Денежное обращение Колхиды в римское время. Л., 1964; Четыре клада колхидок. НЭ. VI, 1966 (თანაავტორი დ. კაპანაძე); Заметки об обращении римской монеты в Закавказье. ВДИ. № 4, 1971; К датировке монет Диоскуриады. НС. Тб., 1977; Клад монет из села Тобаниери. ВВ. т. XVI, 1959; Аристарх Колхидский и его монеты. ВДИ. № 4, 1974.

21. **Г. Ф. Дундуа.** Клад римских монет I-III вв. из с. Эки. КСИА, 1977; Взаимоотношения римского мира с Восточным Причерноморьем и некоторые вопросы колхского пантеона (по нумизматическим материалам Бичвинтской археологической экспедиции). сб. Историко-филологические разыскания. I. Тб., 1980; Денежное обращение Центральной Колхиды в V-I вв. до н. э. (по материалам Ванского Городнища). Тб., 1983 (თანაავტორი გ. ლორთქიფანიძე); Нумизматика античной Грузии. Тб., 1987.
22. **И. Л. Джалаганиа.** Из истории монетного дела в Грузии XIII века. Тб., 1958; Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв. ТБ., 1979; Монетные клады Грузии. Клад сасанидских и византийских монет из Цители Цкаро (первая часть). Тб., 1980; второя часть, 1982.
23. **И. А. Джавахишвили.** Е. А. Пахомов, «Монеты Грузии». «Христианский Восток». т. I, СПб., 1912.
24. **А. Н. Зограф.** Античные золотые монеты Кавказа. ИГАИМК. вып. 110, 1935; Распространение находок античных монет на Кавказе. ТОНГЭ. т. I. Л., 1945.
25. **М. М. Иващенко.** Герзеульский клад монет Кессарии-Каппадокийской. ИГАИМК. вып. 10. VII, 1931.
26. **Д. Г. Капанадзе.** Грузинская нумизматика. М., 1955 (აქვე იხ. ავტორის ნაშრომების ბიბლიოგრაფია).
27. **Р. Кебуладзе.** Клад из села Цихесулори. НС. Тб., 1977.
28. **Е. А. Пахомов.** Монеты Грузии. ч. I. С.-Петербургъ, 1910; Монеты Грузии. ч. I-II. Тб., 1970; Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. вып. I-IX. Баку, 1926-1966; Вес и достоинство медной монеты Тифлиса XVII-XVIII вв. Баку, 1928.
29. **G. Dundua.** Hellenistic coins from the site of Vani, in Colchis (Western Georgia). "The Numismatic Chronicle". vol. XIX, 1979 (თანაავტორი გ. ლორთქიფანიძე); Pitiunt-Bitchwinta in der Spätantike. "Georgica". 1980 (თანაავტორი გ. ლორთქიფანიძე); Les Kolkhidki. Dialogues d'histoire Ancienne. № 8, 1982; Das numismatische Material von Pityunt (2 Jh. v. Chr – 5 Jh. n. Chr.). "Georgica". 18 Jahrgang, 1995 (თანაავტორი გ. ლორთქიფანიძე); Les relations économiques de la Colchide aux Époques Archaïque et Classique d'après le matériel numismatique. La Mer Noire Zone De Contacts. Presses Universitaires Franc-Comtoises (თანაავტორი თ. დუნდუა); Hords of Foreign coins of the Classical Period from Colchis (4th century B. C. – 4th century A. D.). Georgian Journal of Archaeology. Tb., 2004.
30. **T. Dundua.** Georgia within the European integration as seen in coinage. Small catalogue the Georgian coins, Tb., 1999.
31. **D. M. Lang.** Studies in the numismatic history of Georgia in Transcaucasia. New York, 1955; Notes on Caucasian numismatics. N. C. 1957, vol. XVII.
32. **V. Langlois.** Numismatique de la Géorgie. 1852; Essai de classification des suites monétaires de la Géorgie depuis l'Antiquité jusqu'à nos jours. Paris, 1860; Supplement à l'essai de classification des suites monétaires de la Géorgie depuis l'Antiquité jusqu'à nos jours. "Revue de numismatique Belge", 1861.
33. **Izolda Tsukhishvili, Georges Depeyrot.** History and coin finds in Georgia. Late Roman and Byzantine hoards (4th - 13th cc.). Moneta Wetteren. 2003.

შემოკლებათა განმარტება

სსმმ	აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე
ВВ	Византийский Временник
ВДИ	Вестник Древней Истории
ИГАИМК	Известия Государственной Академии Истории Материальной Культуры
КСИА	Краткие Сообщения Института Археологии
НС	Нумизматический Сборник, посвященный памяти Д. Г. Капанадзе
НЭ	Нумизматика и Эпиграфика
ТОНГЭ	Труды Отдела Нумизматики Государственного Эрмитажа
ЭВ	Эпиграфика Востока
NC	The Numismatic Chronicle

სარჩევი

ლითონით დაწერილი ისტორია 3
რას მოგვითხრობენ ძველებური მონეტები 5
ქართული ნუმიზმატიკის განვითარების ძირითადი ეტაპები 15
კოლხური თეთრი 30
ძვ. წ. VI-IV საუკუნეების უცხოური მონეტების მიმოქცევა საქართველოში 42
ყალბი ფული... ფულის გაფუჭება 50
საქართველოში გავრცელებული ელინისტური ხანის ოქროს მონეტები 61
იჭრებოდა თუ არა მონეტა ვანში? 73
სამონეტო მიმოქცევა ელინისტური ხანის იბერიაში (ძვ. წ. III-I სს.) 87
ანტიკური მედლები საქართველოდან 96
ტრაპეზუნტის მონეტები და ქართველური ტომების რელიგიის ისტორიის საკითხები 102
სამონეტო მიმოქცევა კოლხეთში I-IV საუკუნეებში 110
სამონეტო მიმოქცევა იბერიაში I-IV საუკუნეებში 122
პირველი ქართულწარწერიანი და ჯვრის გამოსახულებიანი მონეტები 133
სამონეტო მიმოქცევა აღმოსავლეთ საქართველოში V საუკუნეში – VII საუკუნის პირველ ნახევარში 149
სამონეტო მიმოქცევა ლაზიკის სამეფოს ტერიტორიაზე V-VII საუკუნეებში 157
არაბული მონეტების მიმოქცევა საქართველოში 164
სამონეტო მიმოქცევა დასავლეთ საქართველოში VIII-X საუკუნეებში 183
X საუკუნის – XII საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული მონეტები 188
როდის გარდაიცვალა თამარ მეფე? (XII საუკუნის – XIII საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული მონეტების მიმოხილვა) 201
ბიზანტიური მონეტების მიმოქცევა საქართველოში XI საუკუნეში – XIII საუკუნის დასაწყისში 211
XIII საუკუნეში საქართველოში მოჭრილი მონეტები 222
აღმოსავლური მონეტების მიმოქცევა საქართველოში XI საუკუნეში – XIII საუკუნის დასაწყისში 243

შენიშვნები 252
ტაბულები 270
Summary 295
ძირითადი ბიბლიოგრაფია 307
შემოკლებათა განმარტება 310

Giorgi Dundua
Tedo Dundua
GEORGIAN NUMISMATICS
Part One

ARTANUJI Publishers
Tbilisi 2006

საგამომცემლო ჯგუფი

ეთერ გაიდოშვილი
თამარ გეგია
გუგა კუდავა
ვიოლა ტულუში
მართა წიკლაური
ილია ხელაია
ალექსანდრე ჯიქურიძე

გამომცემლობა **არტანუჯი**

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 17ბ.
25-05-22, 91-22-83, 8(93) 25-05-22.
www.artanuji.ge artanuji@artanuji.ge

გიორგი დუნდუა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. მისი მოღვაწეობით იწყება ახალი ეტაპი ქართული ნუმიზმატიკური მეცნიერების ისტორიაში. გიორგი დუნდუა ყოველთვის ცდილობს ნუმიზმატიკური მასალა აქციოს პირველხარისხოვან ისტორიულ წყაროდ. იკვლევს საქართველოს ანტიკური და ფეოდალური პერიოდების ქართულ და აქ სინქრონულად გავრცელებულ უცხოურ მონეტებს. არის 5 მონოგრაფიის და 80-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

თედო დუნდუა

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავა-ხიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის პროფესორი. მისი კვლევის ძირითადი მიმართულებებია: 1) საქართველოს ისტორია, 2) ნუმიზმატიკა, 3) ისტორიის ფილოსოფია. არის 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.



გამომცემლობა
არტანუჯი